საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი

გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები

V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის
შრომების კრებული

II ნაწილი

თბილისი
2021

UDC (uak)

გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები

V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი:

გურგენიძე დავით – სტუ-ის რექტორი (თავმჯდომარე)
კლიმიაშვილი ლევან – სტუ-ის ვიცე-რექტორი
კოპალიანი კარლო – სტუ-ის კანცლერი
გასიტაშვილი ზურაბ – სტუ-ის რექტორის მოადგილე
ქუთათელაძე რუსუდან – სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი
ბუაჩიძე ზაზა – სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის მენეჯერი.

კონფერენციის სარედაქციო საბჭო:

ქუთათელაძე რუსუდან – პროფესორი, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
ბარათაშვილი ევგენი – პროფესორი, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
აბრალავა ანზორ – პროფესორი, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
იაშვილი გენადი – პროფესორი, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
ბერიაშვილი მამუკა – პროფესორი, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
მეტრეველი მარინა – პროფესორი, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
გრიგალაშვილი ლევან – პროფესორი, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
ცაავა გიორგი – პროფესორი, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
ყანდაშვილი თემურ – პროფესორი, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
ფაილოძე ნინო – პროფესორი, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
შტეფან ჰუტერი – პროფესორი, დოქტორი, ზაარლანდის ტექნიკისა და ეკონომიკის უნივერსიტეტი, ეკონომიკური მეცნიერების ფაკულტეტის დეკანი
ჰაუზერი ვილჰელმ– პროფესორი, ზაარლანდის ტექნიკისა და ეკონომიკის უნივერსიტეტი
ფეჰერვოლგუი ბიეტა – პროფესორი, პანონიის უნივერსიტეტი, ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი
ცუპონი ვიქტორია – პროფესორი, პანონიის უნივერსიტეტი, ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტი
გეორგ ლომანი – ემერიტუს პროფესორი, მაგდენბურგის უნივერსიტეტი
ქოქრაშვილი ქეთევან – პროფესორი, სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი
ჩხეიძე მაია – პროფესორი, საქართველოს უნივერსიტეტი
შონია ნანა – პროფესორი, ქუთაისის აკ. წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი
თაკალანძე ლარისა – პროფესორი, სოხუმის უნივერსიტეტი, სპიკერი
ჩიკვილაძე ნინო – ასოცირებული პროფესორი, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
ყურაშვილი გუგული – ასოცირებული პროფესორი, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
კიკნაძე მზია – პროფესორი, სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი
კობიაშვილი ანა – პროფესორი, სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი
ქუთათელაძე ქეთევან – პროფესორი, სტუ-ის ენერგეტიკისა სა ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი.

ჟურნალში წარმოდგენილი მასალები იბეჭდება ავტორისეული რედაქციით

© საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2021

ISBN 978-9941-28-127-3 (ყველა ნაწილი)
ISBN 978-9941-28-128-0 (პირველი ნაწილი)
http://www.gtu.ge

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილის (იქნება ეს ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) გამოყენება არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური) არ შეიძლება გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე. საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.
წიგნში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი/ავტორები.
ავტორის/ავტორთა პოზიციას შეიძლება არ ემთხვეოდეს საგამომცემლო სახლის პოზიცია.

Georgian Technical University
Faculty of Business Technologies

Globalization and Current Challenges in Business

V International Scientific Conference
Proceedings

Part II

Tbilisi
2021

UDC (uak)

Globalization and Current Challenges in Business

V International Scientific Conference

Organisation Committee:
Gurgenidze Davit – Rector of GTU, academic (Chairman)
Klimiashvili Levan – Vice Rector of GTU
Kopaliani Karlo – Chancellor of GTU
Gasitashvili Zurab – Deputy Rector of GTU
Kutateladze Rusudan – Dean of the Faculty of Bisines Technologies at GTU
Buachidze Zaza – Manager of the Faculty of Business Technologies at GTU

Editorial Committee:
Kutateladze Rusudan– Professor at GTU, the Faculty of Business Technologies
Baratashvili Evgeni– Professor at GTU, the Faculty of Business Technologies
Abralava Anzor – Professor at GTU, the Faculty of Business Technologies
Iashvili Genadi– Professor at GTU, the Faculty of Business Technologies
Beriashvili Mamuka– Professor at GTU, the Faculty of Business Technologies
Metreveli Marina– Professor at GTU, the Faculty of Business Technologies
Grigalashvili Levan – Professor at GTU, the Faculty of Business Technologies
Tsaava Giorgi – Professor at GTU, the Faculty of Business Technologies
Kandashvili Temur – Professor at GTU, the Faculty of Business Technologies
Pailodze Nino – Professor at GTU, the Faculty of Business Technologies
Steffen Hütter – Professor at University of Technology and Economics in Saarland
Wilhelm Houzer – Professor at University of Technology and Economics in Saarland
Fehérvölgyi Beáta – Professor at University of Pannoia, Faculty of Business and Economics, Dean of Faculty
Csizmadiáné Czuppon Viktória –Professor at University of Pannoia, Hungary, Faculty of Business and Economics
Georg Loman – Emeritus Professor, University of Magdeburg
Kokrashvili Ketevan – Professor at GTU, the Faculty of Law and International Relations
Chkheidze Maia –Professor at GTU
Shonia Nana –Professor at Akaki Tsereteli State University
Takalandze Larisa – Professor of at Sokhumi State University, Speaker
Cikviladze nino – Associate at GTU, the Faculty of Business Technologies
Kurashvili Guguli – Associate Professor at GTU, the Faculty of Business Technologies
Kiknadze Mzia – Professor at GTU, the Faculty of Informations and Control Systems
Kobiashvili Ana – Professor at GTU, the Faculty of Informations and Control Systems
Kutateladze Ketevan – Professor at GTU, the Faculty of Power Engineerring and Telecommunication

The Presented materials are printed according to the authors original way

© Publishing House „Technical University“, 2021
ISBN 978-9941-28-127-3 (All part)
ISBN 978-9941-28-128-0 (First part)
http://www.gtu.ge

Verba volant, scripta manent

All rights reserved. No part of this publication may be reproduced (will this be a text, photo, illustration or otherwise) in any form or by any means (electronic or mechanical) without the prior written permission of publisher. Piracy is punished according to the law.
Author(s) are responsible for the accuracy of all the facts provided in the book.
The position of author(s) might not be coinciding with the position of the Publishing House.

შინაარსი

სექცია III
ფინანსების, საბანკო საქმის, საბუღალტრო აღრიცხვის, აუდიტისა და ანალიზის აქტუალური პრობლემები

ბარაბაძე კონსტანტინე
მონეტარული პოლიტიკის კომუნიკაცია 13

ბექაური გიორგი
საბაჟო კანონმდებლობის ცვლილება COVID-19 პანდემიით გამოწვეული კრიზისის კვალდაკვალ 17

ბენია მაია, ბენია ირინა
ევროპული გზა ინფორმაციული საზოგადოებისაკენ ახალი ეკონომიკის ფორმირებისათვის 22

ბენია მაია, გაგვიშვილი ლევან
პოსტინდუსტრიული ცოდნის საზოგადოება და ინოვაციური მედიაეკონომიკა 28

გრიგალაშვილი ლევან, აბაშიძე გოჩა
სახელმწიფო და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოები და მათი როლი ქვეყნის ეკონომიკაში 35

გრიგალაშვილი ლევან, გრიგალაშვილი ბიძინა
ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვის აუთსორსინგის ეფექტიანობა მცირე და საშუალო ბიზნესში 40

გრიგალაშვილი ლევან, ნატრიაშვილი ნინო
აუდიტის ხარისხის თანამედროვე მოთხოვნები 45

გულიკაშვილი ნანა, მოსიაშვილი ვალერი
მსოფლიო რეგულაციები კრიპტოვალუტის მიმართ 50

კატუკია ვალერი
შიდა აუდიტის როლი სამეწარმეო საქმიანობაში 54

ლიპარტია ზურაბ, მირცხულავა ონისე
ეფექტიანი საგადასახადო სისტემის ფორმირება სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების გასაუმჯობესებლად საქართველოში 58

ნოზაძე მზევინარ, მუმკუდიანი ვალერი, კუტუბიძე შალვა
მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ფინანსური სტაბილურობისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით გატარებული ღონისძიებები 63

პაპასკირი რუსუდან
ოპტიმალური დივიდენდური პოლიტიკის შერჩევის შესაძლებლობები საქართველოს კომპანიებში 68

ფაილოძე ნინო, სულაშვილი გიორგი, ნადირაძე გოჩა
სახელმწიფო შესყიდვები ეკონომიკაში და მისი ეფექტიანობა 71

ქვარაია ირაკლი, ქუთათელაძე ქეთევან, მალანია ელისაბედ
სამშენებლო პროექტების დაფინანსებისა და განხორციელების პრობლემები საქართველოში 75

ქორიძე თამთა
გლობალიზაცია და საგადასახადო ადმინისტრირების თანამედროვე გამოწვევები 80

ქუთათელაძე ალეკო, კვიცარიძე ქეთევან
ფულის გათეთრებისა და უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო გამოცდილება 84

ქუთათელაძე ალეკო, ნიკურაძე რუსუდან
გლობალური საცალო საბანკო მომსახურების მიმდინარე ტენდენციები 88

შენგელია ნათია, წიკლაური-შენგელია ჟუჟუნა, შენგელია რევაზ
მდგრადი განვითარების ანალიზისა და ფინანსური ანგარიშგების მნიშვნელობა ინვესტიციების მოზიდვისათვის 92

ცაავა გიორგი, ბურდიაშვილი რატი, მოსიაშვილი ვალერი
ინოვაციები საბანკო მენეჯმენტში და პროცესების მართვის სრულყოფა 96

ცაავა გიორგი, ტატიშვილი ანა
ბანკების ძირითადი ოპერაციები, საბანკო რესურსების მულტიპლიცირებისა და კრედიტის მონიტორინგის პრაქტიკუმი 102

ჭელიძე მედეა, ხიდირბეგიშვილი ნინო, აბუთიძე გოჩა
კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკების მართვის მნიშვნელობა ფინანსური ინსტიტუტების საქმიანობისა და მდგრადობისთვის 107

ხარხელაური ხათუნა
მოგების გადასახადის რეფორმის შედეგები საქართველოში 112

ჯაფარიძე ირინე, ჯინჭარაძე ტრისტან
კოვიდ 19-ით გამოწვეული კრიზისის ანალიზი ფინანსურ სისტემაში და მისი დაძლევის გზები ლოქდაუნის პირობებში 117

ჯინჭარაძე თორნიკე, ჯინჭარაძე ტრისტან
საჯარო ფინანსების მენეჯმენტი კორონა კრიზისის დროს 120

სექცია IV
საჯარო და ელექტრონული მმართველობის თანამედროვე გამოწვევები

ბაღათურია გიორგი, ლორთქიფანიძე ნინო
ადმინისტრაციული რეფორმები გერმანიაში - გაკვეთილები საქართველოსთვის 124

გლუნჩაძე გრიგოლ
უკრაინა-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობები 128

დურგლიშვილი ლალი, შერაზადიშვილი ბესიკ
მცირე და საშუალო ბიზნესის მართვა კრიზისულ პერიოდში 133

კახიძე ნათია
ელექტრონული მმართველობა განვითარების თანამედროვე ეტაპზე 137

მამულაშვილი გიორგი, იაშვილი გენადი
ცირკულარული მიგრაცია და სახელმწიფოს პოლიტიკა (უცხოეთში პროფესიული განათლებით დასაქმება) 141

ნიშნიანიძე ნინო
საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტნცია. კონსტიტუციური ნორმის ზოგიერთი საკითხის განმარტებისათვის..... 145

სამადაშვილი მანანა, ბებიაშვილი ნატო
ადამიანური რესურსების მართვა საჯარო სექტორში 153

სულაშვილი მალხაზ, ჩაჩავა ნინო, ფეჰერვოლგი ბიატა, ცუპონი ვიქტორია, გიორგაძე ბიჭიკო
ეკო-ინოვაციური საქმიანობის ორგანიზაციული მხარდაჭერა "ECOMODE" პროექტის ანალიზის საფუძველზე..... 157

უგულავა მაია, ბაღათურია ოთარ
საქართველოს სახელმწიფო მართვის ანტიეპიდემიური პოლიტიკის ასპექტები..... 161

ფიფია ნიკოლოზ
საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების წესი..... 165

ქოქრაშვილი ქეთევან, ამაშუკელი მამუკა
სახელმწიფო ანტიკრიზისული მართვის არსებითი მახასიათებლები..... 169

ქათამაძე ნატო
დუალური განათლება-სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება საქართველოში 176

შერაზადიშვილი ბესიკ, ჯანჯღავა კესო
სოციალური უზრუნველყოფა და დაცვა საქართველოში COVID-19-ის პანდემიის პირობებში 180

სექცია V
ტურიზმის თანამედროვე გამოწვევები და პერსპექტივები

აქიმიშვილი ნინო
სასტუმრო ინდუსტრიის სტანდარტიზაციის ფორმირების პროცესის ასპექტები..... 183

ახალაია ნანა
კურორტ ლებარდეს რენესანსი, ტურიზმის მდგრადი განვითარებისათვის 187

ბალახაშვილი ჟანა, ქაჯაია თამარ
საერთაშორისო ტურიზმის გავლენა ქვეყნის ეკონომიკის ზრდაზე 191

ბარკალაია ბესიკ, აქიმაშვილი ნინო
ლიცენზირება და სერტიფიცირება როგორც სასტუმრო საქმიანობის ფუნქციონირების აუცილებელი ფაქტორი..... 194

ვასაძე მანანა, ბორცვაძე ნინო
სოფლის ტურიზმის განვითარების პერსპექტივები 198

ზეიკიძე ვაჟა, მაისურაძე გიორგი, რუხაძე თამარ, ქამხაძე თამარ
საქართველოს რეგიონული ტურისტული კლასტერის განვითარების და ფორმირების მეთოდოლოგიური საფუძვლები..... 202

კაციტაძე ნანა, კოჭლამაზაშვილი ლელა, თუშიშვილი ნათელა
Covid-19 პანდემიით გამოწვეული მომხმარებლის ქცევის ცვლილებები ტურისტულ ბაზარზე 206

ლაზვიაშვილი ნინო, ოთხმეზური არჩილ
ტურიზმის ინდუსტრიის სისტემური მახასიათებლების მარკეტინგული ანალიზი 211

მალანია ელისაბედ, ქვარაია ირაკლი, ქუთათელაძე ქეთევან
სასტუმროების დაპროექტებისას გასათვალისწინებელი ძირითადი საკითხები 214

მამფორია ნანი, ლეთანძე ნინო
კოვიდ-19-ის გავლენა ტურიზმზე 218

მეიშვილი სოფიკო
ტურიზმის ინდუსტრიის აღდგენის პერსპექტივები პანდემიის შემდგომ პერიოდში 222

მესხიშვილი ლელა
ტურიზმის განვითარების შესაძლებლობები სამცხე-ჯავახეთის რეგიონში 226

მეტრეველი მარინა, კუჭავა მაკა
სამედიცინო ტურიზმის გამოწვევები და შესაძლებლობები გლობალიზაციის პირობებში 230

ოსიტაშვილი ნინო, ნადარეიშვილი ნანა
თანამედროვე ტენდენციები და გამოწვევები სასტუმრო ინდუსტრიაში 234

ქაჯაია ქეთევან
ტურიზმის პანდემიური პრობლემები და მაღალი ინფლაცია საქართველოში 238

ქაჯაია ქეთევან
როგორ უნდა გამოვიდეს ტურიზმი პანდემიური შოკიდან 242

ყიზილაშვილი კონტანტინე
საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის როლი ტურიზმის განვითარებაში 246

ჭიპაშვილი ანა
ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალი და ტურიზმის განვითარების პერსპექტივები ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის მაგალითზე 251

ხმალაძე კონსტანტინე, ბერიძე ლამარა
საქართველოს მთიანი დასახლებების ეკონომიკური რეაბილიტაცია 255

მახათაძე სულხან
ტურიზმის განვითარების პრობლემები და პერსპექტივები ჭიათურის მუნიციპალიტეტში 259

ჩაჩავა ნინო, სულაშვილი მალხაზ, ნაჰრენდორფი გუდრუნ, მეიშვილი გიორგი, ნეფარიძე ირინე, თავდუმაძე ნინო
საუკეთესო პრაქტიკა არაფორმალური პროფესიული განათლების სისტემაში 266

CONTENTS

SECTION III
Current problems in finance, banking, accounting, auditing and analysis

Konstantin Barabadze
monetary policy communication 13

Bekauri Giorgi
Changes in customs legislation during the COVID-19 pandemic crisis 17

Benia Maia, Benia irina
The European path to the information society for the formation of a new economy 22

Benia Maia, Gagvishvili Levan
Post-Industrial Knowledge Society and Innovative media economics 28

Grigalashvili Levan, Abashidze Gocha
Existing Enterprises with share participation of the state and of the Autonomous Republic of Adjara and their role in the country's economy 35

Grigalashvili Levan, Grigalashvili Bidzina
The effectiveness of accounting and tax accounting outsourcing for small and medium-sized businesses 40

Natroshvili Nino
Modern requirements for audit quality 45

Gulikashvili Nana, Mosiashvili Valeri
World Regulations on Cryptocurrency 50

Katukia Valeri
The role of internal audit in entrepreneurial activities 54

Lipartia Zurab, Mirtskhulava Onise
Creating an effective tax system to improve socio-economic transformations in Georgia 58

Nozadze Mzevinar, Mushkudiani Valeri, Kutubidze Shalva
Measures implemented for financial stability of microfinance organizations and for protection of customer rights 63

Papaskiri Rusudan
The opportunities for selecting the optimal dividend politics in Georgian companies 68

Pailodze Nino, Sulashvili Giorgi, Nadiradze Gocha
State Procurements in the economy and its efficiency 71

Kvaraia Irakli, Kutateladze Ketevan, Malania Elisabed
Problems of financing and implementation of construction projects in Georgia 75

Koridze Tamta
Globalization and the current challenges of tax administration 80

Kutateladze Aleko, Kvitsaridze Qetevan
International experience in combating money laundering and illicit income legalization 84

Kutateladze Aleko, Nikuradze Rusudan
New Trends in Global Retail Banking Services 88

Shengelia Natia, Tsiklauri-Shengelia Zhuzhuna, Shengelia Revaz
The Relevance of Sustainability Analysis and Financial Reporting in the Attraction of Investment 92

Tsaava Giorgi, Burdiashvili Rati, Mosiashvili Valeri
Innovations in banking management and improvement of management processes 96

Tsaava Giorgi, Tatishvili Ana
Basic bank operations, bank resources multiplication and credit monitoring practicum 102

Chelidze Medea, Khidirbegishvili Nino, Abutidze Gocha
The Importance of Climate-related Risk Management for the Operation and Sustainability of Financial Institutions 107

Kharkelauri Khatuna
Consequences of profit tax reform in Georgia 112

Japaridze Irine, Jincharadze Tristan
Analysis of the Covid 19 Crisis in the Financial System and Ways to Overcome It in Lockdown 117

Jincharadze Tornike, Jincharadze Tristan
Public Finance Management during the Corona Crisis 120

SECTION IV
Modern Challenges of Public and e-Government

Bagaturia Giorgi, Lortkipanidze Nino
Administrative Reforms in Germany - Lessons for Georgia 124

Glunchadze Grigol
Political relations between Ukraine and Georgia 128

Durglishvili Lali, Sherazadishvili Besik
SME Management in Crisis Period 133

Kakhidze Natia
E-government at the Modern Stage of Development 137

Mamulashvili Giorgi, Iashvili Genadi
Circular Migration and State Policy (Employment with Vocational Education Abroad) 141

Nishnianidze Nino
Jurisdiction of the Constitutional Court. To clarify some issues of the constitutional norm 145

Samadashvili Manana, Bebiashvili Nato
Human resource management in the public sector 153

Sulashvili Malkhaz, ChaChava Nino, Beáta Fehérvölgyi, Viktória Czuppon, Kutsia Irma, Bichiko Giorgadze
Organisational Support of Eco-innovative Practices based on ecomode project analyze 157

Ugulava Maia, Baghaturia Otar
The Aspects of Anti-Epidemic Policy of Public Governance of Georgia 161

Pipia Nikoloz
composition of the electioral commission 165

Kokrashvili Ketevan, Amashukeli Mamuka
Essential characteristics of state anti-crisis management 169

Katamadze Nato
Social Security and Protection in Georgia within the Conditions of COVID-19 Pandemic 176

Sherazadishvili Besik, Janjgava Keso
Social Security and Protection in Georgia within the Conditions of COVID-19 Pandemic 180

SECTION V
Modern challenges and perspectives of tourism

Akimishvili Nino
Aspects of the Hotel Industry Standardization Process 183

Akhalaia Nana
Resort Lebarde Renaissance, for the Sustainable Development of Tourism 187

Balakhashvili Jana, Kajaia Tamar
The influence of international tourism on the growth of the country's economic 191

Barkalaia Besik, Akimishvili Nino
Licensing and Certification as an Essential Factor in Hotel Operation 194

Vasadze Manana, Bortsvadze Nino
Prospects for the Development of Rural Tourism 198

Zeikidze Vazha, Maisuradze Giorgi, Rukhadze Tamar, Kamkhadze Tamar
Methodological bases of the development and formation of the regional tourism cluster of Georgia 202

Katshitadze Nana, Kochlamazashvili Lela, Tushishvili Natela
Changes in Consumer Behavior in the Tourism Market Caused by the Covid-19 Pandemic 206

Lazviashvili Nino, Otkhmezuri Archil
Marketing of systemic features of the tourism industry Analysis 211

Malania Elisabed, Kvaraia Irakli, Kutateladze Ketevan
Key Issues for Hotel Designing 214

Mamporia Nani, Letandze Nino
The Impact of Covid-19 on Tourism 218

Meishvili Sophiko
Prospects for the recover of the tourism industry in the post-pandemic period 222

Meskhishvili Lela
Tourism development opportunities in Samtskhe-Javakheti region 226

Metreveli Marina, Kuchava Maka
Challenges and Opportunities of the Medical Tourism in the Context of Globalization 230

Ositashvili Nino, Nadareishvili Nana
Modern trends and challenges in the hotel industry 234

Kajaia Ketevan
Tourism`s pandemic problems and higher inflation rate in Georgia 238

Kajaia Ketevan
How does tourism should recover from pandemic shock? 242

Kizilashvili Konstantine
The Role of Georgian Cultural Heritage in the Development of Tourism 246

Chipashvili Ana
Tourism-recreational potential and tourism development
Perspectives on the example of Borjomi-Kharagauli National Park 251

Khmaladze Konstantine, Beridze Lamara
Economic rehabilitation of mountainous settlements of Georgia 255

Makharadze Sulkhan
Problems and perspectives of tourism development in Chiatura municipality 259

Khmaladze Konstantine, Beridze Lamara
Best practices in non-formal vocational education 266

სექცია 3
ფინანსების, საბანკო საქმის, საბუღალტრო აღრიცხვის, აუდიტისა და ანალიზის აქტუალური პრობლემები

მონეტარული პოლიტიკის კომუნიკაცია

ბარაბაძე კონსტანტინე
საქართველოს ტექნიკურის უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ცენტრალური ბანკისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს მისი ძირითადი ამოცანების, მონეტარული პოლიტიკის გადაწყვეტილებებისა და გატარებული ღონისძიებების საზოგადოებასთან კომუნიკაცია.

ფინანსურ სექტორთან და ფართო საზოგადოებასთან კომუნიკაცია მნიშვნელოვანია ნებისმიერი ბანკისათვის და მას გაზრდილი მნიშვნელობა ენიჭება ბოლო ათწლეულების განმავლობაში.

ცენტრალურ ბანკებში 1990-იან წლებამდე გამეფებული იყო შეხედულება, რომ მონეტარული პოლიტიკის განმახორციელებლებმა რაც შეიძლება ნაკლები უნდა ილაპარაკონ.

აშშ-ის სენატის კომიტეტში გამოსვლისას, ფედერალური სარეზერვო სისტემის მმართველი, ალან გრინსპანი 1987 წელს ამბობდა: „მას შემდეგ, რაც ცენტრალური ბანკირი გავხდი, გაუგებრად და არალოგიკურად ლაპარაკი ვისწავლე. თუ რასაც ვამბობ, თქვენთვის ნათელია, მაშინ თქვენ კარგად ვერ გაიგეთ რა ვთქვი“.(1)

შემდგომში გავრცელდა შეხედულება, რომ უფრო მეტმა ღიაობამ შეიძლება გააუმჯობესოს მონეტარული პოლიტიკა.

წარმატებული მონეტარული პოლიტიკა დაკავშირებულია არა იმდენად მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთის ეფექტიან კონტროლთან, რამდენადაც ბაზრის მოლოდინებზე ზეგავლენის მოხდენასთან.

- ეფექტიანი მონეტარული პოლიტიკისათვის აუცილებელია გამჭვირვალობა;
- ცენტრალურ ბანკებში ეს მოსაზრება პოპულარული ბოლო ათწლეულის განმავლობაში გახდა.

ცენტრალური ბანკების კომუნიკაციის ინტენსიფიკაციის პროცესი დამახასიათებელია მსოფლიო მასშტაბით.

კომუნიკაცია მონეტარული პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. კომუნიკაცია ზრდის მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობას, რაც, საბოლოოდ, ხელს უწყობს ცენტრალური ბანკის ძირითადი მიზნის - ფასების სტაბილურობის მიღწევას. ფასების სტაბილურობა არ გულისხმობს უცვლელ ფასებს, საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფასები მუდმივად იცვლება. მცირე მასშტაბით ფასების საერთო დონის ზრდა, ანუ ზომიერი ინფლაცია, ეკონომიკური ზრდისა და, შედეგად, მოსახლეობის შემოსავლების ზრდის თანამდევი მოვლენაა. შესაბამისად, ფასების სტაბილურობაში იგულისხმება საშუალოვადიან პერიოდში ინფლაციის ისეთი დონე, რომელიც იცავს საუკეთესო ბალანსს შემოსავლების გრძელვადიან ზრდასა და ფასების მატებას შორის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფასების სტაბილურობა არის ინფლაციის ოპტიმალური დონე, როდესაც მოსახლეობის რეალური შემოსავლის ზრდის გრძელვადიანი ტემპი ყველაზე მაღალი და მდგრადია.

მონეტარული პოლიტიკის კომუნიკაციის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი არის მოლოდინებზე ზეგავლენის მოხდენა, მოლოდინების მართვა. მიუხედავად იმისა, რომ დროის კონკრეტულ მომენტში შესაძლოა ფაქტიური ინფლაცია გადახრილი იყოს მიზნობრივი დონიდან, ეფექტური კომუნიკაციის

პირობებში ბაზრის მოლოდინები მაინც ჩამოყალიბებულია ინფლაციის მიზნობრივი დონის ირგვლივ, რაც აადვილებს ინფლაციის დაბრუნებას მიზნობრივ დონემდე. ამას გარდა კომუნიკაცია უზრუნველყოფს ბაზარზე პროგნოზირებადი გარემოს შექმნას. ამდენად, ღიაობა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება მნიშვნელოვანია ცენტრალური ბანკების საქმიანობისთვის.

დღესდღეობით ეკონომისტებში აღიარებულია, რომ ინფლაციის ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი ინფლაციის მოლოდინია. მაგალითად, თუ ეკონომიკური აგენტები მომავალში ელოდებიან ფასების დონის მნიშვნელოვან ზრდას, ისინი გაზრდიან მოხმარებას დღესვე, რაც გაზრდის ერთობლივ მოთხოვნას და შესაბამისად უფრო მეტად გაიზრდება ფასების დონეც დღესვე. ანუ ინფლაციის მოლოდინმა შესაძლოა გამოიწვიოს ფაქტობრივი ინფლაცია. სწორედ ამიტომ, ცენტრალური ბანკები ზრუნავენ ინფლაციის მოლოდინების მიზნობრივ დონესთან ახლოს შენარჩუნებაზე. ამისთვის მნიშვნელოვანია ეკონომიკურ აგენტებთან რეგულარული და ეფექტური კომუნიკაცია მონეტარული პოლიტიკის მიზნებისა და განხორციელების შესახებ და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა. საბედნიეროდ, მონეტარული პოლიტიკის სხვა რეჟიმებთან შედარებით, ინფლაციის თარგეთირების ერთ-ერთ უპირატესობას სწორედ მისი კომუნიკაციის სიმარტივე წარმოადგენს, ვინაიდან ინფლაციის წინასწარ გამოცხადებული მიზნობრივი მაჩვენებელი საშუალებას იძლევა ზუსტად განისაზღვროს ცენტრალური ბანკის მთავარი მიზანი და შეიქმნას სწორი მოლოდინები მონეტარული პოლიტიკის მომავალი ცვლილებების შესახებ.

კომუნიკაციის შედეგად, თანდათანობით იზრდება ცნობადობა ცენტრალური ბანკის მიზნებისა და ამოცანების შესახებ. ამას გარდა, ეფექტიანი კომუნიკაციით ხდება ცენტრალური ბანკის მიმართ სანდოობის ზრდისა და მონეტარული პოლიტიკის გადაწყვეტილებების პროგნოზირებადობის გაუმჯობესების ხელშეწყობა, რაც რაციონალური მოლოდინების ფორმირების აუცილებელი წინაპირობებია.

მთელ მსოფლიოში ცენტრალურმა ბანკებმა ბევრი რამ გააკეთეს კომუნიკაციის სრულყოფისთვის. "დღეს ცენტრალური ბანკის კომუნიკაცია არ არის მხოლოდ მონეტარული პოლიტიკის ელემენტი, არამედ მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტსაც წარმოადგენს", - ასეთი შეფასება გააკეთა 2014 წელს ევროპის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტმა, მარიო დრაგიმ.[2]

ბოლო ათწლეულის განმავლობაში, ცენტრალური ბანკები მიისწრაფოდნენ კომუნიკაციის არხების მოდიფიცირებისკენ, გამომდინარე იქიდან, რომ ბევრი მათგანი წუხდა იმაზე, რომ მათი კომუნიკაცია ჩვეულებრივი მოსახლეობისთვის საკმაოდ რთული გასაგები იყო. ამან, რა თქმა უნდა, შეიძლება შეაფერხოს კიდეც ცენტრალური ბანკის პოლიტიკის შემუშავება და შეასუსტოს მისადმი ნდობა.

ინგლისის ბანკის ახალი კვლევის თანახმად, ცენტრალურ ბანკებს ჩვეულებრივი კომუნიკაცია დასახვეწი და გასაუმჯობესებელი აქვთ. ეს მოსახლეობის ჩართულობითა და მათი ფინანსური განათლების დონის ამაღლებით უნდა მოხდეს.

კვლევა ყურადღებას ამახვილებს კონცეფციაზე, რომელიც ნათლად ასახავს თუ როგორ შეუძლია ჩვეულებრივ, მარტივ კომუნიკაციას მოსახლეობაში სრულიად მოულოდნელი, უარყოფითი რეაქცია გამოიწვიოს.

აღნიშნული კვლევის ავტორებს მიაჩნია, რომ გამარტივებულმა კომუნიკაციამ შეიძლება გაზარდოს მოსახლეობის წილი, რომლებიც ყურადღებას აქცევენ ცენტრალური ბანკის მესიჯებს, რაც ასევე ამყარებს მოსახლეობის ნდობას ბანკის მიმართ და შედეგად, ზრდის კეთილდღეობას. თუმცა, ეს ახლადშექმნილი ნდობა ვერ შენარჩუნდება თუ საზოგადოება, შენიშნავს, რომ რეალობა არ შეესაბამება ცენტრალური ბანკის მარტივ საკომუნიკაციო მესიჯებს. [3]

ცენტრალურმა ბანკებმა გასაგებად უნდა აუხსნან მოსახლეობას საკუთარი მოქმედებების ჩარჩო და ხმა მიაწვდინონ კონკრეტულ ადამიანთა ჯგუფებს, გაზარდონ მათი ჩართულობა და იზრუნონ ფინანსური განათლების დონის ამაღლებაზე. მოსახლეობამ კარგად უნდა გაიაზროს ბანკის ფუნქციამოვალეობები. საკომუნიკაციო პოლიტიკის წარმატება, აღნიშნავენ ავტორები, იმით კი არ უნდა შეფასდეს, თუ რამდენ ადამიანთან შედგა კომუნიკაცია, ან ორიენტირებული კი არ უნდა იყოს იმაზე, რომ რაც შეიძლება ბევრ ადამიანს მიაწვდინონ ხმა, არამედ პირიქით, გაზარდონ ამჟამინდელი დაინტერესებული ჯგუფების ჩართულობა.

ავტორებმა სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების ანალიზიც გააკეთეს, რომლის მეშვეობითაც ცენტრალური ბანკები უზრუნველყოფდნენ სხვადასხვა ჯგუფების ჩართულობას. "კომუნიკაცია აუცილებელია იყოს მარტივი, რელევანტური და ჰქონდეს ლოგიკური ბმა, რათა ფართო აუდიტორიისთვის უფრო სანდო და დამაჯერებელი გახდეს",[3] - აღნიშნავენ ისინი.

მარტივი კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად, ცენტრალურმა ბანკებმა უნდა შექმნან შესაბამისი კონტექსტი და ეს შესაძლებელია სხვადასხვა ამბების გამოყენებით მოხდეს. ამჟამად, სოციალური მედია ერთ-ერთი ძირითადი არხია, რომლის მეშვეობით ცენტრალურმა ბანკებმა დაიწყეს შესაბამისი ამბების თხრობა.

ავტორები ცენტრალურ ბანკებს რეკომენდაციას აძლევენ უფრო პირდაპირი ხერხებით ჩართონ მოსახლეობა, მაგალითად თუნდაც პირისპირ შეხვედრებით. ასეთი სახის საუბრები შესაძლოა დაეხმაროს ცენტრალურ ბანკებს შეისწავლონ თუ როგორ იღებს საზოგადოება ბანკის ამა თუ იმ მესიჯს და დარწმუნდნენ იმაში, რომ მათი კომუნიკაცია პირდაპირ პასუხობს ხალხის კითხვებს, მათ ინტერესებს.

ცენტრალურმა ბანკებმა კომუნიკაციის სტრატეგია უფრო გასაგები ენითა და პირდაპირი ჩართულობით განავითარეს, მაგრამ ალტერნატიული მედიის ფორმების გამოყენებამ ასევე შესაძლოა ხელი შეუწყოს კომუნიკაციის ეფექტურობას.

ცენტრალურმა ბანკებმა უნდა გააგრძელონ საკომუნიკაციო სტრატეგიის განვითარება, რათა ხმა მიაწვდინონ მოსახლეობას უფრო მეტ რაოდენობას და თავიანთი პოლიტიკის ამჟამინდელ სცენართან მოახდინონ ადაპტირება.

- **დასკვნა**

  ცენტრალური ბანკებისთვის კომუნიკაცია მნიშვნელოვანია ეფექტიანი მონეტარული პოლიტიკის გასატარებლად. კომუნიკაციის არსებული არხების განვითარებითა და ახალი გზების დანერგვით, ცენტრალურმა ბანკებმა უნდა მოახდინონ საზოგადოებაში ნდობის ამაღლება და ინფლაციური მოლოდინების მართვა.
- ცენტრალური ბანკები მუდმივად უნდა ზრუნავდნენ საკომუნიკაციო არხების გაუმჯობესებასა და განვითარებაზე. ამასთანავე, ცენტრალურმა ბანკებმა უფრო მრავალფეროვანი უნდა გახადონ მონეტარული პოლიტიკის კომუნიკაციის კონკრეტული აქტივობების ფორმატები.
- ცენტრალური ბანკები უნდა შეეცადონ ელექტრონული და ბეჭდვითი გამოცემებისა თუ მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალების მეშვეობით მაქსიმალურად ხელმისაწვდომი გახადონ ინფორმაცია ფულად და სავალუტო ბაზრებზე მიმდინარე ტენდენციების შესახებ, წარმოაჩინონ საკუთარი ხედვა ამ საკითხებთან დაკავშირებით და ახსნან ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღების მოტივები.
- ცენტრალურმა ბანკებმა ეფექტურად უნდა გამოიყენონ ახალი (ციფრული) მედიის შესაძლებლობები და ინოვაციური სერვისების დახმარებით შეეცადონ ორმხრივი კომუნიკაციის დამყარებას საზოგადოებასთან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Simply is best: enhancing trust and understanding of central banks through better communications, ხელმისაწვდომია:https://bankunderground.co.uk/2018/11/22/simply-is-best-enhancing-trust-and-understanding-of-central-banks-through-better-communications/ [1.12.2020]
2. Mario Draghi - ECB President, Speech "Central bank communication", 14 July 2014;
3. The 3 E's of central bank communication with the public, Staff Working Paper, Bank of England, 2020 ხელმისაწვდომია: https://www.bankofengland.co.uk/-/media/boe/files/working-paper/2020/the-3-es-of-central-bank-communication-with-the-public.pdf [12.12.2020];

4. საქართველოს ეროვნული ბანკი, „მონეტარული პოლიტიკის საოპერაციო დოკუმენტი“, თბილისი, 2019 წელი; ხელმისაწვდომია: https://www.nbg.gov.ge/index.php?m=720&lng=geo [15.12.2020]
5. საქართველოს ეროვნული ბანკი, „წლიური ანგარიში“, თბილისი, 2019 წელი; ხელმისაწვდომია: https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/annualreport/2020/erovnuli_banki_211020.pdf [25.01.2021]

Monetary policy Communication

Konstantine Barabadze
PhD student at the Georgian Technical University

One of the key priorities of Central Bank is to communicate with public its main tasks, monetary policy decisions and the measures taken.

Communication with financial sector and general public is important for every central bank and it has become increasingly important over the recent decades;

Communication is one of the significant tools of monetary policy. Communication increases the effectiveness of monetary policy which ultimately contributes to the achievement of the core objective of the central bank;

Communication results in gradual increase in awareness of the goals and tasks of the central bank. In addition, the effective communication promotes the further enhancement of central bank credibility and improvement of monetary policy predictability which are the preconditions for the rational expectations;

Communication is a key tool through which the central banks conduct an effective monetary policy. By developing existing channels of communication and launching new approaches the central banks should raise public confidence and manage the inflation expectations.

The central banks should continuously improve and widen communication tools.

Central banks should try to make information about current trends in the money and foreign exchange markets easily accessible through electronic and print publications or other media, to present their views on these issues and explain the reasons for making different decision.

Central banks need to make effective use of new (digital) media opportunities and seek to establish two-way communication with public through the innovative services.

საბაჟო კანონმდებლობის ცვლილება COVID-19 პანდემიით გამოწვეული კრიზისის კვალდაკვალ

ბექაური გიორგი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია კოვიდ-19 პანდემიით გამოწვეული კრიზისის გავლენა საერთაშორისო ვაჭრობაზე, საქონლის და მომსახურების მიწოდების ჯაჭვზე. ჩვენი აზრით, ეს კრიზისი ბევრად განსხვავდება აქამდე არსებული ყველა ეკონომიკური კრიზისისაგან. რადგან მიმდინარე რეცესია გამოიწვია სახელმწიფოს მხრიდან მომსახურების დარგში რიგი სერვისების მიწოდების აკრძალვით. ხოლო წარმოების დარგში ეკონომიკური ვარდნა უმთავრესად გამოიწვია მიწოდების ჯაჭვის რღვევამ. სწორედ ამიტომ უდიდესი ყურადღება დაეთმო საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილების და გაფორმების პროცედურების გამარტივებას. სამომავლოდ უნდა ველოდოთ საბაჟო გაფორმების პროცედურების უპირტესად დისტანციურ რეჟიმში განხორციელებას, რასაც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია თავის მიზნად ისახავს. კრიზისმა ასევე აჩვენა უდიდესი პრობლემები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მოსახლეობის სამედიცინო საქონლით უზრუნველყოფის მიმართულებით. სწორედ ამიტომ უნდა ველოდოთ საერთაშორისო „ფარმაცევტული შეთანხმების“ გადახედვას, რომელიც 2010 წლის შემდეგ აღარ განახლებულა.

ამდენად, ავტორი ასკვნის რომ გამოწვევები ჯერ კიდევ წინაა. პოსტ-კოვიდური პერიოდი უფრო მეტ ცვლილებას შესთავაზებს საერთაშორისო თანამეგობრობას. რადგან ჩვენ უკვე ახალ რეალობაში მოგვიწევს ცხოვრება, ახალი გამოწვევებით და მიზნებით.

საკვანძო სიტყვები: მიწოდების ჯაჭვი, საზღვრის კვეთის შეზღუდვები, სასაქონლო ნომენკლატურა, არასატარიფო ღონისძიებები

ძირითადი ტექსტი

მიმდნარე საუკუნეში მსოფლიო გახდა გლობალიზირებული, შესაბამისად ეკონომიკის ზრდა დამოკიდებულია ადამიანების, საქონლის, კაპიტალის და სერვისების მიერ საზღვრის თავისუფლად კვეთის შესაძლებლობაზე. კოვიდ 19-ით გამოწვეულმა პანდემიამ უდიდესი ზიანი მიაყენა საერთა-შორისო ვაჭრობას და ეკონომიკას, რადგან აიკრძალა ქვეყნებს შორის თავისუფლად გადაადგილება და საქონლის მიწოდების ჯაჭვები ხშირ შემთხვევაში ჩამოიშალა. შეიძლება ითქვას, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ეს იყო უდიდესი გლობალური რეცესია. მე-20 საუკუნეში ეკონომისტებმა თითქმის ყველა ეკონომიკური რყევა იწინასწარმეტყველს, ეკონომიკურ პროგნოზირებაზე დაყრდნობით გააფრთხილეს საზოგადოება და ანტიკრიზისული გეგმებითაც კი მოამარაგეს ქვეყნების მთავრობები. აღნიშული კრიზისი კი თავისი არსით სრულიად განსხვავებულია, რადგან მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობა დარღვეულია არა ჭარბი პროდუქციის არსებობით ბაზარზე, არამედ მიწოდების ჯაჭვის აშკარა რღვევით.

მას შემდეგ, რაც შეზღუდვები დაწესდა საერთაშორისო ფრენებზე, აშკარა გახდა, რომ საჰაერო გადაზიდვები უკვე ხელმიუწვდენელი იქნებოდა. რადგან საერთაშორისო საჰაერო გადამზიდავები იყენებდნენ მოდელს, რომლის დროსაც მგზავრების გადაყვანა და ტვირთის გადაზიდვა თანად-როულად ერთი და იგივე საჰაერო ხომალდით ხდებოდა. ICAO (საერთაშორისო სამოქალაქო ავიაცის ორგანიზაცია) მონაცემების მიხედვით 2020 წლის აპრილში მგზავრების საჰაერო გადაყვანა თითქმის ნულს გაუტოლდა. მართალია, 2020 წლის ოქტომბრის თვეში ფრენები წინა წლის იგივე პერიოდის თითქმის 20%-მდე გაიზარდა, მაგრამ ეს მაინც ძალიან მცირეა. სწორედ ამიტომ ყველაზე მეტად პანდემიამ საჰაერო გადაზიდვები დააზარალა. ექსპერტებს ამ სფეროში მიღებული დანაკარგები 270 მილიარდ დოლარად აქვთ შეფასებული. აღსანიშნავია, რომ თუ 2020 წლამდე საჰაერო გადაზიდვის საშუალო ტარიფი კილოგრამზე 4 ა.შ.შ. დოლარს შეადგენდა, 2020 წლის აპრილისთვის ის 20 ა.შ.შ

დილარამდე იყო გაზრდილი.

პანდემიამ საგრძნობი გავლენა იქონია როგორც საზღვაო, ასევე სარკინიგზო გზებით საკონტეინერო გადაზიდვების ღირებულებაზე. პანდემიის გამო ევროპის ქვეყნებიდან მკვეთრად შემცირდა ექსპორტი და იმატა იმპორტმა. ევროპაში იმპორტისთვის განკუთვნილ კონტეინერების დროული დაცლა ვერ ხერხდებოდა გადატვირთული რეჟიმით გამოწვეული დიდი საცობების გამო. იზრდებოდა განბაჟების (ტვირთის გაფორმების) დრო, რაც გახდა საქონლის გადასაზიდად საჭირო კონტეინერების რაოდენობის შემცირების მიზეზი.

ჯამრთელობის დაცვის ზომებმა და საზღვრის კვეთის შეზღუდვებმა სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებს შორის არსებული თავისუფალი ვაჭრობის სარგებელი შეამცირეს, რადგან დანიშნულების ადგილზე პროდუქციის მიწოდება გვიანდებოდა, ხოლო ტრანსპორტირების ხარჯები და ფასი იზდებოდა. საზღვაო გადაზიდვები ასევე ძალიან დიდი ცვლილებების წინაშე დადგა. პანდემიის დასაწყისში საზღვაო ხომალდს არ შეეძლო სანაპიროზე გადმოესხა ეკიპაჟის წევრები მანამ, სანამ ისინი 14 დღიან საკარანტინო პერიოდს არ გაივლიდნენ. რაც უარყოფითად აისახა საზღვაო გადაზიდვების ფასებზე.

2020 წლის მაისის შუა რიცხვებიდან ივლისი შუა რიცხვებამდე UNECE-მა (გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია) შეისწავლა საქართველოში ამ მხრივ არსებული მდგომარეობა. მათ გამოკითხეს 330 მიკრო, მცირე და საშუალო საწარმო, მათ შორის 226 მრეწველობის და სავაჭრო ორგანიზაცია და 104 მწარმოებელი ფერმერი როგორც მეცხოველეობის, ისე მემცენარეობის დარგში. სამწუხაროდ, გარდა ამისა, სატრანსპორტო კოლაფსმა დააზარალა იმპორტიორები, ადგილობრივი მწარმოებლებითვის საერთაშორისო სატრანსპორტო მატარებლების სერვისების ღირებულების ზრდამ შეამცირა მათზე ხელმისაწვდომობა და ეს განსაკუთრებულად შეეხო გადაზიდვების იმ სახეებს, რომლებშიც საზღვაო ტრანსპორტი იყო ჩართული.

დიაგრამა 1. საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული სატვირთო მანქანების რაოდენობა



ზემოთ ხსენებული კვლევის მიხედვით გაზრდილია მოთხოვნა ავტოსატრანსპორტო საშუალებებით საქონლის გადაზიდვაზე. შემოსავლების სამსახურის 2020 წლის ანგარიშის მიხედვი 14%-ით გაიზარდა საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული სატვირთო მანქანების რაოდენობა (დიაგრამა 1).

მსოფლიო კრიზისი კიდევ უფრო უმართავი და დამანგრეველი იქნებოდა, რომ არა საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობა. ამ მხრივ გამოსაყოფია გაეროს 2020 წლის აპრილის 79-ე კონფერენცია, სადაც საერთაშორისო ვაჭრობის გაძლიერების და პანდემიის პირობებში გადაზიდვების პროცედურების გამარტივების ათპუნქტიანი გეგმა იქნა შემოთავაზებული. დოკუმენტში ხაზგასმითაა აღნიშნული საერთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელობა ამ გლობალური პრობლემის წინააღმდეგ ბრძოლაში, რაც გულისხმობს საერთაშორისო ვაჭრობისა და ტვირთბრუნვის ხელშეწყობას, პორტების, სახმელეთო და საჰაერო საზღვრების სრულფასოვან ფუნქციონირებას, საბაჟო ორგანოების უსაფრთხო და სრულფასოვანი კონტროლის განხორციელების პარალელურად.

საერთაშორისო ვაჭრობის ლოჯისტიკის ხელშეწყობის და გადაზიდვების პროცედურების გამარტივების პუნქტებია:

ტვირთის შეუფერხებელი გადაადგილების უზრუნველყოფა - დღეისათვის კომერციული ტვირ-

თის გადაზიდვის დაახლოებით 80% ხდება საზღვაო გზით, ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სატვირთო გემების სრულფასოვანი მომსახურების უზრუნველყოფას, იქნება ეს სამედიცინო თუ სხვა სახის ტვირთი.

- **ღია პორტები** - პორტებში ხდება საერთაშორისო ვაჭრობისთვის აუცილებელი მომსახურებების განხორციელება, ამიტომ მათი სრული დატვირთვით მუშაობა აუცილებელია.
- **კრიტიკულად მნიშვნელოვანი საქონლის დაცვა საერთაშორისო ვაჭრობაში, საბაჟო პროცედურების დაჩქარება და სავაჭრო პროცდურების გამარტივება** - მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციამ წარმოადგინა სასაქონლო ნომენკლატურის მიხედვით კოდების ჩამონათვალი კრიტიკულად მნიშვნელოვანი სამედიცინო აღჭურვლობის.
- **გადაზიდვის ტრანსსასაზღვრო ხელშეწყობა** - რა დროსაც სატვირთო ავტომანქანების, მატარებლ-ების და თვითმფრინავების გადაადგილებაზე პასუხისმგებელ პირებს უნდა შეეძლოთ საზღვრის შეუფერხებელი გადაკვეთა.
- **სატრანზიტო მიმოსვლის უზრუნველყოფა** - ყველა ქვეყანამ, მათ შორის იმან, ვისაც არ აქვს საზღვაო პორტი, უნდა უზრუნველყოს სატრანზიტო მიმოსვლა, რათა დანარჩენ ქვეყნებს საზღვაო პორტთან შეუფერხებელი წვდომა ჰქონდეს.
- **გამჭირვალობის და ინფორმატიულობის უზრუნველყოფა** - სავაჭრო სფეროს სწრაფი ცვალება-დობის ფონზე, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან, მჭიდრო კომუნიკაცია დაინტერესებულ სექტორთან მათთვის საჭირო ინფორმაციის სრულყოფილი და დროული მიწოდებისთვის.
- **ციფრულ (დისტანციურ) სერვისზე გადასვლა** - ვინაიდან ხალხებს შორის კომუნიკაცია მინიმუ-მამდე უნდა იყოს დაყვანილი, ციფრულ სერვისებზე გადასვლა სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება.
- **კომერციული მხარისთვის რიგი იურიდიული საკითხების გადაწყვეტა** - ისეთი იურიდიული პრობლემები, რომლებიც გამოწვეულია პანდემიასთან დაკავშირებული რიგი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებით.
- **ტვირთის გადამზიდავების დაცვა** - ეკონომიკური და სოციალური ზომების მიღება გადამზიდა-ვების მაქსიმალური ხელშეწყობისათვის, რათა თავიდან იქნას აცილებული მათი გაკოტრების საფრთხე.
- და ბოლოს **ტექნიკური დახმარების პრიორიტეტულობა** - რაც მოიაზრებს არსებული სერვისების გამარტივებას და ახალი სერვისების დანერგვას, როგორიცაა, მაგალითად, ციფრული ვაჭრობა.

ტვირთის გაფორმების თანამედროვე მეთოდებისა და ციფრული ვაჭრობის განვრცობა და წინა პლანზე წამოწევა საბაჟო ადმინისტრირების და პროცედურების მყისიერი ცვლილების აუცილებლობამ გამოიწვია. საქართველოს საბაჟომ ჩვეულ რეჟიმში გააგრძელა მუშაობა. საქონლის დეკლარირების პროცესის გამარტივებისათვის შემლებისდაგვარად მაქსიმალურად იქნა გამოყენებული თანამედროვე ტექნოლოგიები. დაინერგა გზათსარგებლობის გადასახადის გადახდის ელექტრონული სისტემა, ასევე რეკომენდაცია გაიცა იმის თაობაზე, რომ საქონლის იმპორტიორებს ესარგებლად წინასწარი დეკლარირების სერვისით, რაც მათ საშუალდებას აძლევს საქონლის გაფორმების პროცედურები დაასრულონ საბაჟო საზღვარზე. ამ შემთხვევაში, აუცილებლობას არ წარმოადგენს საქონლის საბაჟო კონტროლის ზონაში წარდგენა გარდა იმ შემთხვევისა, თუ ტვირთის სპეციფიკიდან გამომდინარე დამატებითი საბაჟო კონტროლი არ მოითხოვება, მისი მაღალი რისკის შემცველობიდან გამომდინარე. ამასთან, შესაძლებელი გახდა ტვირთის გაფორმების პროცედურებისთავის საჭირო დოკუმენტების ორიგინალის ან ასლის სახით წარმოდგენა. გარდა ამისა, იმპორტიორისათვის ძალზე მნიშვნელოვანი დოკუმენტის, - პრეფერენციული წარმოშობის სერთიფიკატის EURO 1, - წარმოდგენა ახლა უკვე შესაძლებელი გახდა ელექტრონულადაც კი.

არასატარიფო კონტროლის განხორციელების დროს, ფიტოსანიტარული და ვეტერინარული კონტროლის ჩატარება შესაძლებელი გახდა წინასწარი შეტყობინების გარეშე, ხოლო ვეტერინარული კონტროლი ახალი წესების იმპლემენტაციამ გადაიწია. ამასთან, გაზრდილი მოთხოვნის დაკმაყოფი-ლებისთვის ისეთ პროდუქციაზე, როგორიცაა დამცავი ტანსაცმელი, სახის ნიღბები და კოვიდ-19 გავრცელებისთვის ხელის შემშლელი სხვა საგნები, 80-ზე მეტმა ქვეყანამ მიიღო ექსპორტის შეზღუდვის

ან/და ექსპორტის ლიცენზირების გადაწყვეტილება. ზოგიერთმა ასევე დააწესა რაოდენობრივი კვოტა საკვების ექსპორტზე. ეპიდსიტუაციის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 3 აპრილის №649-ე განკარგულებით ცვლილება შევიდა საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 იანვრის №164-ე განკარგულებაში და დროებითი ღონისძიების სახით აიკრძალა თერთმეტი დასახელების პროდუქციის საქართველოდან ექსპორტი. GATT შეთანხმების 11.2 (a) პუნქტი იძლევა საშუალებას, შეიზღუდოს ან აიკრძალოს იმ საქონლის ექსპორტი, რომელიც აუცილებელია კრიტიკულად მაღალი დეფიციტის აღმოსაფხვრელად, ისიც დროებით. გრძელვადიანი შეზღუდვები ამ მუხლით არ განისაზღვრება. შესაბამისად, შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადაში უნდა შეიცვალოს მიღებული გადაწყვეტილება. გრძელვადიანი შეზღუდვა შესაძლებელია შენარჩუნებულ იქნეს GATT შეთანხმების 20 (b) მუხლის შესაბამისად იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს სხვა არჩევანი, გარდა იმისა, რომ ექსპორტის გრძელვადიანი შეზღუდვის საფუძველზე შენარჩუნებულ იქნას სამედიცინო პროდუქციის ქრონიკული დეფიციტი. ამჟამად საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 იანვრის №164-ე განკარგულებით იკრძალება მხოლოდ კოვიდ 19-ის სადიაგნოსტიკო ტესტ-სისტემების ექსპორტი.

დასკვნა

არსებული კრიზისის გამოცდილებაზე დაყრდნობით, ჟენევის ვაჭრობის კვირეულზე სამომავლოდ დაიგეგმა ელექტონული ვაჭრობის და ზოგადად საბაჟო პროცედურების დროს ელექტრონული სისტემების უფრო აქტიური გამოყენების მხარდაჭერა, რათა მინიმალური იყოს ადამიანთა კონტაქტი ერთმანეთთან და, მეორეს მხრივ, არ მოხდეს გაფორმების პროცედურების ხანგძლიობის გაზრდა.

ასევე სამომავლოდ მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაცია იმსჯელებს იმ ნაბიჯებზე, რომლებიც უნდა გადაიდგას სამედიცინო პროდუქციით ვაჭრობის ხელშეწყობისათვის, რათა მსოფლიომ სამომავლო კრიზისების დროს თავი უფრო დაცულად იგრძნოს. ამ ფონზე უნდა ველოდეთ ძველი ხელშეკრულებების განახლებას და რიგი მიმართულებებით ახალი საერთაშორისო შეთანხმებების დადებას, რაც აუცილებლად მოახდენს გავლენას საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასა და საბაჟო პროცედურებზე. დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ აუცილებელია თანამედროვე საინფორმაციო და კომუნიკაციის ტექნოლოგიების დანერგვა, სამომავლო გამოწვევებთან უფრო სწრაფი და რენტაბელური პოლიტიკის გამოყენებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. 2020 წლის 3 აპრილი საქართველოს მთავრობის № 649 განკარგულება „საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებებისა და ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 იანვრის No164 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, საქართველოს ფინანსთა მინისტრის და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №1-1/179–№01-44/ნ–№99–№2/ნ 2020 წლის 28 აპრილი ქ. თბილისი
3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო: საქართველოს 2021- 2030 წლების ტრანსპორტისა და ლოგისტიკის ეროვნული სტრატეგია
4. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 იანვრის №164 განკარგულება „საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებებისა და ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“
5. ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2020 წლის ანგარიში
6. Asian development bank: transport restrictions adopted to covi-19 as of 10 June 2020 /2020

7. Customs measures to mitigate the effects of the covi-19 pandemic/Georgia
8. Geneva trade week- learning from the covid-19 pandemic: how to secure stable trade flows in times of global heals crisis – DDG ALAN WM. Wolff/02 October 2020
9. Intergovernmental 13th regional environmentally sustainable transport (est) forum in Asia: transport in the aftermath of covid-19: lessons learned and future directions/10-11 November 2020
10. Keidanren: realizing free, open trade and investment under covid-19 targeting an inclusive and resilient framework (provisional translation) July 14, 2020
11. UENCE : intermodal transport in the age of covid-19 practices, initiatives and responses people-smart sustainable cities/2021
12. What customs can do to mitigate the effects of the Covid-19 pandemic /highlights of WCO members' practices 2nd edition1
13. www.wto.org/english/tratop_e/covid19_e/trade_related_goods_measure_e.htm
14. http://hl.company/news/kak_covid_19_povliyal_na_ryinok_gruzoperevozok_i_skladskoy_logistiki

Changes in customs legislation during the COVID-19 pandemic crisis

Giorgi Bekauri
Doctoral student of Georgian Technical University

Summary

The article discusses about the impact of the crisis caused by the Covid-19 pandemic on international trade, supply chain of goods and services. This crisis is very different from all previous economic crises. One the one hand the current recession has been caused by a ban. The state imposed some kind of prohibitions in the service sector. One the other hand the economic downturn in the manufacturing sector was mainly caused by the disruption of the supply chain. That is why the greatest attention was paid to the simplification of the procedures for the movement of product and customs clearance procedures of goods . The goal of the World Customs Organization is to simplify customs clearance procedures by development and implementation of electronic declaration. The crisis has also shown the greatest problems in providing medical items to the population in different parts of the world. Undeniable we must wait for the revision of the international "pharmaceutical agreement", which has not been renewed since 2010.

Thus, the author concludes that the challenges are still ahead. The post-Covid period will offer more changes to the international community. We will live in a new reality, with new challenges and goals.

Keywords: supply chain, border crossing restrictions, non-tariff measures.

ევროპული გზა ინფორმაციული საზოგადოებისაკენ ახალი ეკონომიკის ფორმირებისათვის

ზენია მაია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ზენია ირინა
თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

ახალი ეკონომიკა დაფუძნებულია ახალ ეკონომიკურ რესურსებზე - ცოდნასა და ინფორმაციაზე. ინფორმაციულ ეკონომიკაში შიდა პოლიტიკის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია არა სიმდიდრის განაწილების, არამედ ინფორმაციისა და მედიის ფლობის საკითხი, რომელიც თვითონ გვევლინება სიმდიდრის მწარმოებლად. სწორედ ინფორმაციას მიიჩნევენ თანამედროვე საზოგადოების ტრან-სფორმაციის მთავარ გასაღებად. ევროპული გზა ინფორმაციული საზოგადოებისაკენ განაპირობებს ახალი ეკონომიკის ფორმირებას, ახალი პროფესიების გაჩენას, სამუშაო ბაზრის ტრანსფორმაციას. თანამედროვე პირობებში საბანკო სექტორი თავად ხდება განვითარებადი ინფორმაციული გარემოს ბუნებრივი, განუყოფელი ნაწილი. ფინანსური ინფორმაცია ციფრული და უსაფრთხოების მიზნით კოდირების შემდეგ, ხდება საერთო ინფორმაციის საქონელი. სოციალური მედიაინდუსტრიის ინფორმაციულად მდიდარი ბაზარი კონვერგენციას განიცდის იზოლირებულ ბაზრებთანაც, ერთიანი მედია ბაზარი სულ უფრო მეტ ადგილს იკავებს ეროვნულ ეკონომიკებში, ვინაიდან ის აწარმოებს ჩვენი დროის ყველაზე მნიშვნელოვან რესურსებს - ინფორმაციულ პროდუქტებს და საკომუნიკაციო მომსახურებებს. ინფორმაციით მდიდარი მედია ბაზრები მოწინავე ბაზრის დემოკრატიის ერთ-ერთი ქვაკუთხედია.

საკვანძო სიტყვები: ახალი ეკონომიკა, ცოდნის ეკონომიკა, ინფორმაციული საზოგადოება, მედიაბაზრის კონვერგენცია, გლობალური თანამშრომლობა, მობილური და სატელიტური ქსელები, ფართოზოლოვანი ინტერნეტი, პოსტმოდერნიზმი, ონლაინმედია.

ძირითადი ტექსტი

ინფორმაციულ ერაში დეფინიცია "ახალი ეკონომიკა" არ არის მხოლოდ ტენდენცია, ის მინფორმაციული საზოგადოებისა და გლობალიზირებული მსოფლიო ეკონომიკის საფუძველია. ტრადიციული ეკონომიკის განვითარების მექანიზმს წარმოადგენს როგორც სრუქტურულად, ისე ინსტიტუციურად, ურთიერთქმედებს მასთან, ქმნის ინტეგრირებულ, გარდამავალ ფორმებს. ჩვეულებრივ, ”ახალი ეკონომიკა” გულისხმობს ეროვნული ეკონომიკის იმ სექტორებს, სადაც იწარმოება კომპიუტერული და საკომუნიკაციო აპარატურა, პროგრამული უზრუნველყოფა, აგრეთვე ინფორმაციის ფორმირების, შენახვის, განკარგვისა და მიღების მთელი სისტემა, ძირითადად ინტერნეტ სისტემის საფუძველზე.

რა თქმა უნდა, ”ახალი ეკონომიკა” ემყარება ინფორმაციისა და კომუნიკაციის კომპონენტს, რაც მეტწილად განსაზღვრავს ამ ფენომენის არსს. ეკონომიკური ოპერაციების უმრავლესობის შინაარსი გულისხმობს რეალური ფიზიკური ობიექტის ინფორმაციით ჩანაცვლების შესაძლებლობას და ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში პროგრესი კატალიზატორის როლს ასრულებს ამ ოპერაციების განვითარების გლობალური მასშტაბისთვის. ასევე მსოფლიო ეკონომიკისა და მისი ცალკეული სფეროების გლობალიზაციის ინიცირებასა და გააქტიურებას უწყობს ხელს.

”ახალი ეკონომიკის” ფენომენის მხოლოდ მისი ინფორმაციისა და კომუნიკაციის (ICT) კომპონენტამდე დამცრობა, არასწორია. მისი შემოქმედებითი საფუძველი ემყარება სხვა ტექნოლოგი-ებსაც: ბიოტექნოლოგია, ნანოტექნოლოგია, რესურსების დაცვის ტექნოლოგიები, ახალი მასალების შექმნა, გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები და ა.შ. ფინანსური ფაქტორი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის ბუნებას.

"ახალი ეკონომიკა", არის "ცოდნის ეკონომიკა", ცოდნაზე დაფუძნებული მომსახურების ეკონომიკა, რომელიც ემყარება სხვადასხვა დონის საგანმანათლებლო სამეცნიერო სტრუქტურებს. მათში მოცემულია ინფორმაციის დამუშავების მექანიზმი, რომელიც, თავის მხრივ, გარკვეულ პირობებში გარდაიქმნება ცოდნად, შემდეგ კი ტექნოლოგიად. დამუშავების, მონაცემების დნობის, ნედლეული ინფორმაციის ინტელექტუალურ პროდუქტად გადაქცევის ეს პროცესი: ნოუ-ჰაუ, ტექნოლოგია - ქმნის ზრდის საფუძველს, გავლენას ახდენს მისი მწარმოებლურობის ზრდაზე.

ცოდნის ეკონომიკა არის ეკონომიკა, სადაც ინტელექტუალური კომპონენტი აღემატება ტრადიციულ მატერიალურ ფაქტორებს. მეცნიერებატევადობა ხდება მსაზღვრელი ფაქტორი და ყალიბდენა წარმოებული საქონლის თვისებად, ინოვაციების საფუძველი ახალ ეკონომიკურ სფეროში. ამავე დროს, "ახალი ეკონომიკის" ინოვაციურობა გავლენას ახდენს ბიზნეს გარემოზე ისე, რომ ეს განაპირობებს მუდმივი ცვლილებებს, რისკებს და კონკურენტუნარიანობას, რაც ასევე მისი არსებობისა და შემდგომი ზრდის საფუძველია.

ახალი ეკონომიკა დაფუძნებულია ახალ ეკონომიკურ რესურსებზე - ცოდნასა და ინფორმაციაზე. ე. ტოფლერმა ერთმნიშვნელოვნად გამოხატა საკუთარი პოზიცია - „ინფორმაციულ ეკონომიკაში შიდა პოლიტიკის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია არა სიმდიდრის განაწილების (ან გადანაწილების) საკითხი, არამედ ინფორმაციისა და მედიის ფლობის, რომელიც თვითონ გვევლინება სიმდიდრის მწარმოებლად“.

ცვლილებების ყველაზე მნიშვნელოვანი სფერო, რომელიც ინიცირებულია ისტ– ის პროგრესით, პირველ რიგში გახდა ეკონომიკა. ინფორმაციის ხედვა, როგორც ეკონომიკური ღირებულების რესურსი, გასული საუკუნის 60 – იან წლებში დაიწყო ამერიკელი ეკონომისტების ემპირიულ კვლევებზე დაყრდნობით. 1962 წ. ფ. მახლუპმა, გააანალიზა ინფორმაციული ინდუსტრიის როლი აშშ-ს ეკონომიკაში, ხაზი გაუსვა მათ მზარდ მნიშვნელობას და გააერთიანა ისინი "ცოდნის ინდუსტრიის" ზოგადი კონცეფციის ცნებაში. ამერიკელმა სოციოლოგმა დ. ბელმა ასევე განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საზოგადოების ძირითადი რესურსის ცვლილებებს. პოსტინდუსტრიული საზოგადოების მისეულ თეორიაში პოსტინდუსტრიული ეკონომიკის ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება ასოცირდება წარმოების და ინფორმაციის გავრცელების სექტორის მზარდ როლთან - პოსტინდუსტრიული საზოგადოების ფორმირება ხდება მაშინ, როდესაც ინფორმაციის წარმოება და მისი ტრანსსასაზღვრო განაწილება, ტრანსსასაზღვრო კომუნიკაცია ხდება გადამწყვეტი ფაქტორი ეკონომიკაში.

ინფორმაციული ეკონომიკის წარმოშობა ნიშნავდა მომსახურების სექტორის სწრაფ ზრდას ინდუსტრიულ სექტორთან შედარებით. უკვე გასული საუკუნის 60-იან წლებში, როდესაც დ. ბელი მხოლოდ ახლო ინფორმაციული ეპოქის თავისებურებების გარკვევას ცდილობდა, აშშ – ს ეკონომიკაში დასაქმებულთა მესამედზე მეტი - 39,5% მუშაობდა მომსახურების სექტორში: ტრანსპორტში, ვაჭრობაში, საბანკო და სადაზღვევო სექტორებში, საყოფაცხოვრებო მომსახურებაში. 1973 წლისთვის ეს მაჩვენებელი 47.6% -მდე გაიზარდა. ამან განაპირობა ცოდნისა და ინფორმაციის ახალი თეორიული კონცეფციების, არა როგორც წარმოების პროცესების მთავარი სუბსტანციის ფორმირება, არამედ როგორც განმსაზღვრელ პროდუქტიულ ძალად და მთავარი ეკონომიკურ რესურსად ფორმირება. ეკონომისტ მ. პორატის აზრით, რომელმაც 1960 – იან წლებში შეისწავლა და გააანალიზა აშშ – ს საინფორმაციო ინდუსტრიები, ინფორმაციის სექტორი განიხილება როგორც პირველადი დარგი, რომ შეერთებულ შტატებში დასაქმებულთა დაახლოებით ნახევარი შეგვიძლია მივათვალოთ საინფორმაციო სფეროში დასაქმებულთა კატეგორიას. პორატის მიხედვით, აშს-ში წარმოებული ყველა ინფორმაცია დაყოფილია სამ ძირითად კატეგორიად:

1) ფინანსური, საბუღალტრო, საინვესტიციო ინფორმაცია;

2)კულტურული ინდუსტრიის საწარმოების, მათ შორის მედიასაწარმოების მიერ წარმოებული ინფორმაცია;

3) ცოდნა, ყველა სახის ნოუ-ჰაუს ჩათვლით, საკონსულტაციო მომსახურება, მენეჯმენტი.

ამ დასკვნების სისწორე დაადასტურა 1990-იან წლებში აშშ-ს ეკონომიკის განვითარებამ. 1991 წელს პირველად აშშ-ს ხარჯებმა ინფორმაციისა და ინფორმაციული ტექნოლოგიის შეძენაზე გადააჭარბა

წარმოების ტექნოლოგიისა და ძირითადი საშუალებების შეძენის ღირებულებას. ამ ათწლეულის შუა პერიოდში ამერიკის ეკონომიკამ „ინფორმაციული რესურსის მეშვეობით წარმოებული პროდუქტის რაოდენობა გაუტოლა ინდუსტრიაში არსებული დამატებითი ღირებულების დაახლოებით სამ მეოთხედს“.

1960-იანი წლების დასაწყისისთვის პოსტიუნდუსტრიული თეორიის მომხრეთა შორის გამოირჩეოდა სოლიდური ჯგუფი, რომლებმაც ინფორმაციის მიანიჭეს თანამედროვე საზოგადოების განვითარების მამოძრავებელი რესურსის ფუნქცია და შინაარსი. ეს მიდგომა პოსტინდუსტრიულ კონცეფციას უკავშირებს ფილოსოფიური აზროვნების მიმართულებას, რომელიც უკვე არსებობდა ევროპულ ფილოსოფიაში, რომელიც ითვალისწინებდა კაცობრიობის ევოლუციის დანახვას ცოდნის პროგრესის პრიზმაში. ფ. მახლუპმა ერთ-ერთმა პირველმა შემოიტანა დეფინიცია "ინფორმაციული საზოგადოება". სამეცნიერო ლიტერატურაში მისი ფართო გამოყენება ასოცირდება თ. სტონიერის (აშშ), მ. უმესაოს (იაპონია), ს. ნორას და ა. მინკას (საფრანგეთი) სახელებს.

"ინფორმაციული საზოგადოების" ცნების თანამედროვე ეტაპს უკავშირდება აომორის უნივერსიტეტის პროფესორის, ,,ინფორმაციული საზოგადოების ინსტიტუტის“ დამფუძნებლის ი. მასუდას სახელი. თავის ნაშრომში „ინფორმაციული საზოგადოება, როგორც პოსტინდუსტრიული საზოგადოება“ (1981 წ.) პირველ ნაწილში შეისწავლეს იაპონური საზოგადოების მდგომარეობა, მისი საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და ინფორმაციის ინდუსტრიის განვითარების პროექტები, ასევე კანადის, შვედეთის. წიგნის მეორე ნაწილში გაანალიზებულია მომავალი საზოგადოების სხვადასხვა ასპექტები. ი. მასუდას ძირითადი თეზა იყო, რომ ”ინოვაცია ინფორმაციულ ტექნოლოგიაში არის სოციალური ტრანსფორმაციის ფარული ძალა, რაც გამოიხატება ინფორმაციის რაოდენობისა და ხარისხის რადიკალურად ზრდით, აგრეთვე ინფორმაციის მიმოცვლის მოცულობის მატებით.“

ბრიტანელ სოციოლოგ ფ.ვებსტერის წიგნის „ინფორმაციული საზოგადოების თეორიები“ (1995) უპირატესობა არის ინფორმაციული საზოგადოების შესახებ არსებული ფილოსოფიური, სოციო-ლოგიური, კომუნიკაციური თეორიების დეტალური ანალიზი. შემოთავაზებული კლასიფიკაციის მიხედვით - პირველ ჯგუფში, ფ. ვებსტერის თანახმად, შედიან ის ავტორები, რომლებიც დარწმუ-ნებულნი არიან, რომ დღეს ძველი საზოგადოების სიღრმიდან სათავეს იღებს სრულიად ახალი სისტემა. ,,პოსტინდუსტრიალიზმი“ დ. ბელისა და მისი მრავალი მიმდევრის მიერ, ,,პოსტმოდერნიზმი“, ასოცირებული ჯ. ბოდრიარისა და მ. პოსტერის სახელებთან, ,,მოქნილი სპეციალიზაციის თეორია“, რომლის უკან დგას მ. პიორი, ს. საბელი, ლ. ჰირშჰორნი და მ.კასტელსის ,,ინფორმაციონალიზმის თეორია”. მკვლევარების ერთი ნაწილი განსხვავებულ მოსაზრებას ემხრობა და ინფორმაციული საზოგადოება წინა სისტემის, პოსტინდუსტრიული საზოგადოების თანამედროვე ეტაპის ლოგიკურ წარმონაქმნად მიაჩნია. თეორიების მეორე ჯგუფში შედის გ. შილერის ნეომარქსიზმის ფილოსოფიური ცნებები, დ. ჰარვის ,,მოქნილი დაგროვების თეორია“, ე. გიდენსის ,,ნაციონალური სახელმწიფო და ძალადობა“, ჯ. ჰაბერმასისა და ნ. გარნემის ,,საზოგადოებრივი სფეროს თეორია“.

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ჩამოთვლილი თეორიებს, მიუხედავად მათი განსხვავებულობისა, აერთიანებთ "ინფორმაციის" ზოგადი კონცეფცია. ყველა ავტორი სწორედ ინფორმაციას მიიჩნევს თანამედროვე საზოგადოების ტრანსფორმაციის მთავარ გასაღებად.

თავად ფ.ვებსტერი საზოგადოებაში მომხდარ ცვლილებებს უყურებს არა მხოლოდ ეკონომიკური რესურსის პრიზმაში, არამედ განიხილავს როგორც კომპლექსურ ცვლილებას ინტეგრირებულს რამდენიმე სფეროში და რომ ინფორმაციული საზოგადოების სრულფასოვნად დახასიათება შეიძლება მხოლოდ მისი ხუთივე მხარის - ტექნოლოგიური, ეკონომიკური, პროფესიული, სივრცული და კულტურული შესწავლა-გაანალიზებით. რომ დავაკონკრეტოთ:

1)ტექნოლოგიური: თავს იჩენს საზოგადოების სხვადასხვა სფეროში ქსელური აზროვნების და ლოგიკის გაჩენაში, ინტეგრირებულ სისტემებში ტექნოლოგიების კონვერგენციის პროცესში;

2) ეკონომიკური: ინფორმაციულ ინდუსტრიებს მზარდი წილი შეაქვთ მთლლიან შიდა პროდუქტში;

3) პროფესიონალური: ინოვაციური შრომის ბაზარი ყალიბდება;

4) კულტურული: კულტურის არსის ახალი გაგება;

5)სივრცული: რადიკალურად იცვლება სივრცისა და დროის აღქმა.

ხუთივე ინდიკატორზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რევოლუციური ცვლილებების მომსწრენი ვართ.

"ინფორმაციის" ცნების ახალმა თეორიულმა მიდგომებმა მეცნიერებს უკარნახა, ფული განსაზღვრონ როგორც "ინფორმაციის პროდუქტი". ე. გიდენსი გვთავაზობს, თავი დავაღწიოთ ფულის, როგორც მატერიალური ღირებულების გაგებას, ხაზგასმით აღნიშნა, რომ "ფული ფორმისგან დამოუკიდებელი ხდება, რჩება სუფთა ინფორმაცია". ზოგიერთი ეკონომისტის აზრით, თანამედროვე ფულის არსი მდგომარეობს იმაში, თუ რა ინფორმაცია გადააქვს მას, რის ტრანსპორტირებას ახდენს? დღეს ფული აღარ არის მხოლოდ გაცვლის საშუალება, ის ხდება ინფორმაციის არხი, რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს შეადაროს და ერთმანეთს შეუწონოს ერთი შეხედვით შეუდარებელი ნიმუშები - მაგალითად ვერმეერის ფერწერა, ამაზონის აქციები და ნაირობიში ნადირობის ელიტარული ტურიზმი. მომხმარებლის თვალში ისინი ერთგვარად საერთო მნიშვნელს იძენენ.

გვერდს ვერ ავუვლით ისტ-ის განსაკუთრებულ როლს თანამედროვე საბანკო სექტორში. სატელეკომუნიკაციო საშუალებები, რომლებთანაც გადაჯაჭვულია საერთაშორისო საბანკო ქსელები, ქმნის "გლობალური სოფლის" ეკონომიკურ ინფრასტრუქტურას (მ. მაკლუენის მიხედვით). მილიონობით ფინანსური ოპერაცია, რომელიც ყოველდღე ხდება, კომუნიკაციის ცალკეული ფენომენია. თანამედროვე პირობებში, საბანკო სექტორი თავად ხდება განვითარებადი ინფორმაციული გარემოს ბუნებრივი, განუყოფელი ნაწილი. გლობალური მასშტაბით სატელეკომუნიკაციო და საბანკო სექტორის ინტეგრაციის მაგალითია მსოფლიოში პირველი ბანკთაშორისი ფინანსური სატელეკომუნიკაციო SWIFT ინფორმაციისა და საკომუნიკაციო სისტემა (შეიქმნა 1960-იან წლებში), რომელსაც თანამშრომლობის საფუძველზე ფლობს 1000-ზე მეტი ბანკი. ამ ქსელის არსებობამ დაადასტურა ის ფაქტი, რომელიც ახლა უკვე ნათელია: ფინანსური ინფორმაცია ციფრული და უსაფრთხოების მიზნით კოდირების შემდეგ, ხდება საერთო ინფორმაციის საქონელი, რომლის დამუშავებაც შესაძლებელია "საერთო მიზნების საფუძველზე".

ფილოსოფიის, სოციოლოგიის, ეკონომიკის თეორეტიკოსების კრიტიკული დამოკიდებულება ინფორმაციული საზოგადოების თეორიისადმი გამომდინარეობს იქიდან, თუ რა არის თავად ინფორმაციული საზოგადოების თეორიის ძირითადი პოსტულატი, ე.ი. ინფორმაციისა და ისტ-ის პროგრესის აღიარებიდან, როგორც სოციალური განვითარების მამოძრავებელი ძალა. მისი ოპონენტები ყურადღებას ამახვილებენ იმ ფაქტზე, რომ ინფორმაციული საზოგადოების თეორიის ცენტრი ის ფაქტორებია, რომლებიც პირდაპირ არ განსაზღვრავს საზოგადოებას, როგორც სოციალურ მთლიანობას . შესაბამისად, ინფორმაციული საზოგადოება არ შეიძლება ჩაითვალოს ცივილიზაციის განვითარების ახალ, დამოუკიდებელ ეტაპად, რომელიც წარმოადგენს პოსტინდუსტრიული საზოგადოების მხოლოდ ერთ ფორმას.

ინფორმაციული საზოგადოების კონცეფციამ, მიუხედავად მის მიმართ არსებული საკმაოდ მკაცრი კრიტიკისა, მაინც მოიპოვა მნიშვნელოვანი პოპულარობა. ეს კონცეფცია გახდა მრავალი განვითარებული ქვეყნის პოლიტიკური სტრატეგიის საფუძველი. აშშ-ში, იაპონიაში, სკანდინავიის ქვეყნებში, დიდ ბრიტანეთში, გერმანიასა და ბევრ სხვა ქვეყანაში მიღებულმა ინფორმაციული საზოგადოების განვითარების პროგრამებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა როგორც თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო სტრუქტურების, ისე ზოგადად, მედიასისტემების ტრანსფორმაციაზე.

ევროკავშირის აღმასრულებელმა ორგანომ - ევროკომისიამ, ინფორმაციული საზოგადოების მოდელზე გადასვლის სტრატეგიის შემუშავებისას, მიიღო მრავალი დოკუმენტი, რომლებიც ამ გადასვლის საკანონმდებლო და ტექნოლოგიურ პირობებს უნდა ითვალისწინებდეს. სამოქმედო გეგმის დოკუმენტი (1994): ,,ევროპული გზა ინფორმაციული საზოგადოებისკენ" მ. ბანგემანის ანგარიშის საფუძველზე, რათა უზრუნველყოს გლობალური, თანმიმდევრული და დაბალანსებული მიდგომა ინფორმაციული საზოგადოების შექმნისადმი. მან შეიმუშავა ოთხეტაპიანი სტრატეგია, რომელიც მოიცავდა:

1. საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩოს შექმნა;

2.ტექნოლოგიური ქსელების, მომსახურებისა და ინფორმაციის განვითარება;

3. სოციალური, საზოგადოებრივი და კულტურული ღირებულებების დაცვა;

4.დაბალანსებული ინფორმაციული საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა.

სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს საკანონმდებლო ზომების მიღებას, რაც აუცილებელია ბაზრის ლიბერალიზაციის უზრუნველსაყოფად. შეთანხმდნენ, რომ ევროკავშირი გადამწყვეტ როლს შეასრულებს ისეთი ძლიერი ქსელების განვითარებაში, როგორიცაა ინტეგრირებული სერვისების ციფრული ქსელები (ISDN), ფართოზოლოვანი მაღალსიჩქარიანი ქსელები (IBC), მობილური და სატელიტური ქსელები. ასევე განისაზღვრა ღონისძიებები ევროპაში ძირითადი ინფორმაციული და საკომუნიკაციო სერვისების განვითარების ხელშესაწყობად. ევროკომისია მოქნილი ინსტრუმენტი აღმოჩნდა საერთო წესების შემუშავებაში, რაც ასე აუცილებელია გლობალური ინფორმაციული საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში. უკვე მიღწეულის გათვალისწინებით, ევროპის ქვეყნებს ახალი ამოცანები ეკისრებათ:

1. ტელეკომუნიკაციების ეფექტური და კოორდინირებული ლიბერალიზაციის გზით, ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესება, ელექტრონული კომერციის დანერგვისთვის აუცილებელი პირობების შექმნა.

2. უწყვეტი განათლება მთელი სიცოცხლის მანძლზე, ამ მიმართულებით მუშაობს ინიციატივა "განათლება ინფორმაციულ საზოგადოებაში".

3. ინფორმაციული საზოგადოების ფორმირებისას გარკვეული კითხვები წარმოიშობა ცალკეული პიროვნების როლისა და დაცულობის თაობაზე: გარდაქმნების ცენტრში მთავარი ფასეულობა უნდა იყოს ადამიანი. დისკუსიებს შედეგად მოჰყვა მწვანე წიგნის გამოცემა - ,,ცხოვრება და მუშაობა ინფორმაციულ საზოგადოებაში: ხალხი უპირველეს ყოვლისა“ (Green Paper. Living and Working in the Information Society: People First. European Comission, Belgium, 1996). წიგნში საუბარია ახალი სამუშაო ადგილების შექმნაზე, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლების დაცვაზე, უპირველეს ყოვლისა პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის ხელშეუხებლობაზე.

4. დღეს აშკარაა გლობალური თანამშრომლობის მნიშვნელობა, ინფორმაციული საზოგადოების შექმნის კანონზომიერებიების დადგენა და დამკვიდრება. ეს გავლენას ახდენს ინტელექტუალური საკუთრების უფლებებზე, გლობალურ მონაცემთა ბაზების დაცვასა და პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის დაცვაზე, მავნე და უკანონო შინაარსის შემცველი ინფორმაციის გავრცელებაზე, დაბეგვრის საკითხებზე, ინფორმაციის უსაფრთხოებაზე, სიხშირეების გამოყენებასა და სტანდარტებზე. ამ სფეროებში საერთო წესების დასადგენად საჭიროა მრავ ალმხრივი მოლაპარაკებები მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ჩარჩოებში. (Europe at the Forefront of the Global Information Society: Rolling Action Plan". Communication from the European Comission to the Council, the Europeean Parliament, the Economic and Social Committee, and the Committee of the Regions, 1996.)

2000 წელს ევროკავშირის მიერ მიღებულმა e-Europe პროგრამა წინ გადადგმული ნაბიჯი აღმოჩნდა ინფორმაციული საზოგადოების ევროპული კონცეფციისა და კერძოდ ონლაინ მედიის განვი-თარებაში, ვინაიდან პროგრამა ფოკუსირებული იყო ინტერნეტის საყოველთაო ხელმისაწვდომობაზე, ონლაინ სერვისების ხარისხის გაუმჯობესებასა და დისტანციური სასწავლო სისტემის შექმნაზე.

ამრიგად, ევროკავშირის სწრაფვამ ინფორმაციული საზოგადოების მოდელის ფორმირებისას უფრო კონკურენტუნარიანი ვითარება წარმოშვა ეროვნულ მედიასაშუალებებში, ერთგვარად აიძულა ტრადიციული მედია, მოეძებნა აუდიტორიასთან ურთიერთობის ინოვაციური ეფექტური გზები. ონლაინ მედიის გაჩენამ, ახალი ტექნოლოგიური პლატფორმების განვითარებამ ხელი შეუწყო კონტენტის მწარმოებელი დამოუკიდებელი სექტორის გაძლიერებას, რომელსაც უდიდესი გავლენა აქვს თანამედროვე მედიაეკონომიკაზე.

სოციალური მედიაინდუსტრიის ინფორმაციულად მდიდარი ბაზარი კონვერგენციას განიცდის იზოლირებულ ბაზრებთანაც, ისეთ სფეროებში, როგორიცაა ტელეკომუნიკაცია, საყოფაცხოვრებო ელექტრონიკა, კომპიუტერები, პროგრამული უზრუნველყოფა. განვითარებადი ერთიანი მედია ბაზარი სულ უფრო მეტ ადგილს იკავებს ეროვნულ ეკონომიკებში, ვინაიდან ის აწარმოებს ჩვენი დროის ყველაზე მნიშვნელოვან რესურსებს - ინფორმაციულ პროდუქტებს და საკომუნიკაციო მომსახურებებს.

მედიის შერწყმა და ინტერპრეტაცია, ინფორმაციისა და სატელეკომუნიკაციო ინდუსტრიების ინტეგრირება მდიდარი მედია ბაზრების გაჩენის დამადასტურებელია. ინფორმაციით მდიდარი მედია ბაზრები მოწინავე ბაზრის დემოკრატიის ერთ-ერთი ქვაკუთხედია.

ინფორმაციით მდიდარი მედია ბაზრები, მიუხედავად თავისი უნივერსალურობისა და მიმზიდ-ველობისა, მხოლოდ ყველაზე განვითარებული მცირერიცხოვანი საზოგადოების მახასიათებელია. ამასთან, სწორედ ისინი სთავაზობენ სოციალურ მედიაინდუსტრიებს საბაზრო პირობებში ფუნქციონი-რების იმ მოდელს, რომელიც საშუალებას აძლევს მედიას იარსებოს როგორც დამოუკიდებელი ეკონომიკური ინდუსტრია, შეინარჩუნოს შედარებითი პოლიტიკური დამოუკიდებლობა.

The European path to the information society for the formation of a new economy

Maia Benia, Associate Pprofessor of Georgian Tehcnical University
Irina Benia, Associate Pprofessor, Tbilisi Humanitarian Teaching University

Summary

The new economy is based on new economic resources such as knowledge and information. The most important issue of domestic policy in the information economy is not the distribution of wealth, but the issue of information and media ownership, which itself appears to be the producer of wealth. Information is considered to be the key to the transformation of modern society. The European path to the information society leads to the formation of a new economy, the emergence of new professions, the transformation of the labor market. Nowadays the banking sector itself becomes a natural, integral part of the developing information environment. Financial information after encryption for security purposes, becomes a common information item. The information-rich market of the social media industry is converging with isolated markets, the single media market is becoming increasingly important in national economies as far as it manufactures information products and communication services. Competently informed media markets are one of the cornerstones of democracy.

Key words: New Economy, Knowledge Economics, Information society, Media market convergence, Global collaboration, Mobile and satellite networks, Broadband Internet, Postmodernism, online media.

პოსტინდუსტრიული ცოდნის საზოგადოება და ინოვაციური მედიაეკონომიკა

ბენია მაია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოციებული პროფესორი

გაგვიშვილი ლევან
აგრარული უნივერსიტეტის ასოციებული პროფესორი

აბსტრაქტი

თანამედროვე ეკონომიკის ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელია არამატერიალური რესურსის - ინფორმაციის გარდაქმნა ეკონომიკურ და პოლიტიკურ რესურსად. ესაა რესურსი, რომელიც მეტწილად განსაზღვრავს როგორც საზოგადოების, ასევე ცალკეულ მოქალაქეთა მატერიალურ კეთილდღეობას. ინფორმაცია თანდათან სულ უფრო და უფრო იძენს სამომხმარებლო საქონლის თვისებებს, ეკონომიკის ძირითადი სექტორები ასოცირდება ინფორმაციული მედიაინდუსტრიის სექტორთან და თავად მოხმარებაც გადადის ინფორმაციისა და კომუნიკაციის სფეროში. ინტერნეტის განვითარებასთან ერთად, პოლიტიკურმა ცხოვრებამაც გადაინაცვლა ინტერაქტიულ გარემოში: ელექტრონული მმართველობა, ელექტრონული დემოკრატია ხდება ურთიერთქმედების ახალი ფორმა ხელისუფლებასა და ხალხს შორის. განათლება, ჯანდაცვა, კულტურა არსებობის სრულიად ახალ ფორმებს პოულობენ ვირტუალურ სამყაროში. საქმე გვაქვს ახალი ტიპის ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების ფორმაციასთან, რომელიც განაპირობებს სრულიად ახალი ტიპის საზოგადოების ჩამოყალიბებას. მის დასახასიათებლად ასევე გამოიყენება დეფინიცია - „ცოდნის საზოგადოება“.

საკვანძო სიტყვები: ინფორმაციული საზოგადოება, პოსტინდუსტრიული ეპოქა, მედიაეკონომიკა, ციფრული უთანასწორობა, ცოდნის საზოგადოება, სოციალური მედიაინდუსტრია, საინფორმაციო ტექნოლოგიები, მონაცემთა ბაზები, ინტერნეტბაზარი.

ძირითადი ტექსტი

თანამედროვე პოსტინდუსტრიულ საზოგადოებას მოიხსენიებენ როგორც ,,ინფორმაციულს" და ეს ცნება პირდაპირ კავშირშია ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პროგრესთან, გარემომცველ სამყაროში ინფორმაციის მზარდ როლთან. ტერმინი ,,ინფორმაციული საზოგადოება“ გამომდინარეობს ,,პოსტინდუსტრიული საზოგადოების თეორიიდან”, ე.ი. საზოგადოება, რომელიც ხასიათდება ტექნიკური პროგრესის დაჩქარებით, მატერიალური წარმოების როლის შემცირებით, მომსახურების და ინფორმაციის სექტორის განვითარებით, ადამიანის საქმიანობის მოტივებისა და ხასიათის ცვლილებით, მთელი სოციალური სტრუქტურის ძირეული ტრანსფორმაციით. ინფორმაცია ხდება პოსტინდუსტრიული საზოგადოების მთავარი საწარმოო რესურსი, ხოლო მისი თანმიმდევრული დამუშავება ხდება წარმოების დომინანტური სახეობა (სამთო-მომპოვებელი და სამრეწველო წარმოებისგან განსხვავებით, რომელიც ახასიათებდა ინდუსტრიულ საზოგადოებას). მნიშვნელოვანი განსხვავება ასევე ეხება საბაზისო ტექნოლოგიების თვისობრიობასაც - ინდუსტრიული ეპოქისათვის დამახასიათებელი შრომატევადი და კაპიტალტევადი დარგებიდან მეცნიერებატევად მიმართულებად გარდაქმნა.

თანამედროვე ეკონომიკის ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელია არამატერიალური რესურსის - ინფორმაციის გარდაქმნა ეკონომიკურ და პოლიტიკურ რესურსად. ესაა რესურსი, რომელიც მეტწილად განსაზღვრავს როგორც საზოგადოების, ასევე ცალკეულ მოქალაქეთა მატერიალურ კეთილდღეობას. ინფორმაცია თანდათან სულ უფრო და უფრო იძენს სამომხმარებლო საქონლის თვისებებს, ეკონომიკის ძირითადი სექტორები ასოცირდება ინფორმაციული მედიაინდუსტრიის სექტორთან და თავად მოხმარებაც გადადის ინფორმაციისა და კომუნიკაციის სფეროში. ინტერნეტის განვითარებასთან ერთად, პოლიტიკურმა ცხოვრებამაც გადაინაცვლა ინტერაქტიულ გარემოში: ელექტრონული მმართველობა, ელექტრონული დემოკრატია ხდება ურთიერთქმედების ახალი ფორმა ხელისუფლებასა და ხალხს შორის. განათლება, ჯანდაცვა, კულტურა არსებობის სრულიად ახალ

ფორმებს პოულობენ ვირტუალურ სამყაროში. საქმე გვაქვს ახალი ტიპის ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების ფორმაციასთან, რომელიც განაპირობებს სრულიად ახალი ტიპის საზოგადოების ჩამოყალიბებას. მის დასახასიათებლად ასევე გამოიყენება დეფინიცია - „ცოდნის საზოგადოება“.

ბიზნესის და საზოგადოების მიერ ინფორმაციის გამოყენების თვისობრივი ცვლილებების გათვალისწინებით, ჩანს რომ დღევანდელ პირობებში მისი ხარისხი და თანმიმდევრულობა ძალზე მნიშვნელოვანია. ბრიტანელი სოციოლოგის ფ.ვებსტერის მიხედვით, ინფორმაციული საზოგადოების თანამედროვე კონცეფციებს, ცივილიზაციის განვითარების აუცილებელი ელემენტების რიცხვს დაუმატა "თეორიული ცოდნის" ცნება. მისი აზრით, ეს ცნება აღწერს "აბსტრაქტულ, განზოგადებულ და კოდიფიცირებულ ცოდნას", რომელსაც ახასიათებს ისეთი რაოდენობრივი მაჩვენებლები, როგორიცაა უმაღლესი განათლების გავრცელება და დასაქმება კვლევასა და განვითარებაში. ფ.ვებსტერის აზრით, ინფორმაციის საზოგადოება წარმოიქმნება არა მხოლოდ მაშინ, როდესაც ინფორმაცია ხდება საქონელი, არამედ ინფორმაციული ტექნოლოგიები ქმნის ბიზნესის ინფრასტრუქტურას, რის შედეგადაც არამატერიალური წარმოების სექტორებში დასაქმებულთა რაოდენობა ბევრწილად აღემატება მატერიალური საქონლის წარმოებაში დასაქმებულთა რაოდენობას. ინფორმაციულ საზოგადოებაში თეორიულ ცოდნას გადამწყვეტი გავლენა აქვს გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ეკონომიკური და პოლიტიკური რისკების შეფასებაში, საზოგადოებრივ და პირადი ცხოვრების კონტროლში, რაც საბოლოოდ განსაზღვრავს კიდეც ჩვენი ცხოვრების წესს.

რიგი მკვლევარების აზრით, საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპის ფუნდამენტური მახასიათებელია აგრეთვე სოციალური და ბიზნეს-კომუნიკაციის ქსელური სტრუქტურა, რაც განპირობებულია ცხოვრების ყველა სფეროში სატელეკომუნიკაციო ქსელების შეუზღუდავი შეღწევით. ამრიგად, მნიშვნელოვანია "ქსელური" კომუნიკაციის პრინციპის მნიშვნელობა, რომელიც ინფორმაციული საზოგადოებისთვის ფუნდამენტური გახდა, ახალი დემოკრატიის სიმბოლოდ გვევლინება, დემოკრატიისა რომელიც ხელს უწყობს კომუნიკაციის ჰორიზონტალური მოდელის დანერგვას ცხოვრების ყველა სფეროში.

"ინფორმაციული საზოგადოების" იგივე ,,ცოდნის საზოგადოების“ თეორიულ კონსტრუქციაში საკმაოდ ბევრი ვარაუდი არსებობს. მაგალითად, გადაუჭრელი რჩება ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემა, როგორიცაა ენერგორესურსებზე დამოკიდებულება, რაც სამრეწველო ეკონომიკისთვის უმთავრესი იყო. ელექტროენერგიის გარეშე შეუძლებელია სატელეკომუნიკაციო ქსელების ფუნქციონირება და თანამედროვე ახალი ეკონომიკის მთავარი წინააღმდეგობა, რომელიც დაფუძნებულია ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე და ქმნის მეორეულ პროდუქტს სწორედ ინფორმაციის გამოყენებით, არის ის, რომ ამ ტიპის საზოგადოება ვერ იარსებებს ენერგიის ტრადიციული წყაროების გარეშე, ზოგადად, ენერგორესურსების გარეშე. თავად ინფორმაციას, როგორც საზოგადოების მთავარ რესურსს, არ შეუძლია უზრუნველყოს მისი სასიცოცხლო საქმიანობა, რაც ინფორმაციული საზოგადოების კონცეფციას ხდის მყიფეს და არამდგრადს.

მეორე პრობლემა, რომელიც ინფორმაციული საზოგადოების, როგორც ახალი სამეცნიერო თეორიის კონცეფციის სიმყარეში ეჭვს აჩენს, არის ინფორმაციული უთანასწორობის თავისებურებები. დღეისათვის იგი იმეორებს საზოგადოების გახლეჩის ყველა ასპექტს, რომელიც დამახასიათებელი იყო ინდუსტრიული საზოგადოებისათვისაც. ვისაც ინფორმაციაზე თავისუფალი წვდომა არ ჰქონდა, დღესაც ინფორმაციულად ღარიბია - ესაა ინდუსტრიულ და პოსტინდუსტრიულ საზოგადოების ეკონომიკურად უღარიბეს ფენები, რომელთაც არ ჰქონდათ განათლების, ჯანდაცვისა და კულტურის სრვისებზე ხელმისაწვდომობა, მძიმე სოციალური პირობებში არსებობდნენ. ახლაც სწორედ ეს სოციალური ჯგუფები ქმნიან ციფრულ უთანასწორობას, რომელიც გლობალურ დონეზე აღიარებულია, როგორც უთანასწორობის ახალი საფუძველი. ციფრული უთანასწორობა, ფაქტობრივად ადრე არსებული სოციალური უსამართლობის ახალი ფორმაა, რომელიც გამოწვეულია მატერიალური რესურსების არათანაბარი ხელმისაწვდომობით.

ინდუსტრიულ საზოგადოებაში მედიის ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენდა აუდიტორია, რომელსაც სოციალური მედია სთავაზობდა რეკლემის დამკვეთებს, აუდიტორია როგორც პოტენციური

მყიდველი. შესაბამისად მედიეკონომიკის განვითარების მთავარი პარადიგმა იყო აუდიტორიის ზრდა. სოციალური მედიაინდუსტრიაც მასობრივ პროდუქტს აწარმოებდა. გეგმიური ეკონომიკის პირობებში მასობრივ აუდიტორიას ჰყავდა საკუთარი "მყიდველი" - პოლიტიკური ელიტა, რომელიც ასევე დაინტერესებული იყო მედიაინდუსტრიისგან ეყიდა მასობრივი აუდიტორია.

ასე გაჩნდა გაზეთები და საეთერო ტელევიზია, რომელსაც გაუჩნდა მომხმარებელთა ფართო მასები და რეკლამირების დაფინანსების პირობებში ისინი გადაიქცნენ ეკონომიკურად მომგებიან საწარმოებად. მეოცე საუკუნის განმავლობაში მედიის ინდუსტრიალიზაცია მოხდა: მედიის შინაარსის დადგენა დაიწყო სასაქონლო წარმოებისა და გაცვლის ლოგიკით. ამიტომ სამრეწველო საზოგადოებისთვის ნიშნეულია მედიის "სუბსიდირება." საბაზრო ეკონომიკის დემოკრატიულ ქვეყნებში "სუბსიდიები" მოდიოდა რეკლამის დამკვეთი მსხვილი ბიზნესისგან, სოციალისტური ეკონომიკის ქვეყნებში - სახელმწიფოსგან. ამასთან, პრინციპი პრაქტიკულად იგივე აღმოჩნდა- ერთი და იგივე რეზულტატზე ორიენტირებული.

ინდუსტრიული საზოგადოების განვითარებამ გავლენა მოახდინა ყველა სფეროზე - ეკონომიკა, სოციალური სტრუქტურა, განათლება, თვითონ ცხოვრების წესი. ამ ცვლილებებმა გამოიწვია მომსახურების სექტორის წილის გაზრდა ეკონომიკაში, არამატერიალური სექტორების, პირველ რიგში, განათლებისა და მედიის წილის ზრდა და მოხმარების პერსონალიზაცია. მედიის ეკონომიკის შედეგები ძალიან ხელშესახები აღმოჩნდა: მასობრივმა აუდიტორიამ დაიწყო სეგმენტაცია - პროფესიული და ინდივიდუალური ინტერესების - სოციალური, საგანმანათლებლო და გენდერული კრიტერიუმების შესაბამისად. აუდიტორია, როგორც მასა, დაიშალა ვიწრო სეგმენტებად, რაც უინტერესო გახდა რეკლამის ყოფილი დამკვეთისთვის. აუდიტორიის არასტაბილურობამ გამოიწვია სარეკლამო შემოსავლების მნიშვნელოვანი შემცირება და მეინსტრიმულმა მედიამ დაიწყო უფრო ინდივიდუალურ პარამეტრებზე გადასვლა. ბეჭდური მედიის ფასები გაიზარდა, აუდიოვიზუალური მედიის სფეროში, სადაც აუდიტორიისთვის გადასახადი საერთოდ არ იყო, ბევრი ფასიანი მომსახურება გაჩნდა. მედიის ყველა სახე, რომელიც ადრე მასობრივი იყო, მიჰყვა ჟურნალების გზას, რომლებიც ყოველთვის ვიწრო სამიზნე აუდიტორიაზე იყვნენ ორიენტირებული.

შინაარსის შერჩევითობის წინ წამოწევამ არჩევანის ინდივიდუალიზაცია მასობრივი აუდიტორიის მთავარ მახასიათებლად იქცა, რამაც მნიშვნელოვნად განსაზღვრა მედიის ეკონომიკის მიმართულება პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში. განვითარების მეორე ტენდენციამ, რომელიც სულ უფრო და უფრო განსაზღვრავდა მედიის სფეროს დინამიკას, კერძოდ, ტექნოლოგიის პროგრესმა, გააიფა ინფორმაციის წარმოებაც და გავრცელებაც- მკითხველისთვის მედიასაშუალებებზე წვდომა იზრდება, ხოლო მედია კომპანიებისთვის შინაარსის წარმოება იაფდება. ეს გარდამტეხი მომენტი აღმოჩნდა მედიის ეკონომიკაში.

ინფორმაციული იგივე ცოდნის საზოგადოების ფორმირებამ გამოიწვია ის ფაქტი, რომ ეკონომიკის მნიშვნელოვანი ნაწილი ასოცირდება ინფორმაციის წარმოებასთან, განაწილებასთან და შენახვათან. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ინფორმაცია უკვე ყველა ეტაპზე არსებობდა ციფრული ფორმით. სულ უფრო მეტი ინფორმაცია გავრცელდა ინტერაქტიული ქსელების მეშვეობით , რამაც არჩევანისა და მოხმარების ინდივიდუალიზაცია აბსოლუტამდე აიყვანა. ქსელის მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს დამოუკიდებლად ჩამოაყალიბოს თავისი საინფორმაციო დღის წესრიგი, აირჩიოს გასართობი და საგანმანათლებლო საინფორმაციო სერვისები. ეს მთლიანად გარდაქმნის მედიის ეკონომიკის საფუძვლებს: რეკლამის დამკვეთის სუბსიდირება კი აღარ განსაზღვრავს მედიის შინაარსს, არამედ თავად აუდიტორია. შესაბამისად, ინფორმაციის არხებზე წვდომისათვის მედია ფინანსდება აუდიტორიის ჯიბიდან - საკაბელო არხები, ციფრული სატელევიზიო არხები, ინტერნეტი და სატელეფონო ხასიათის სერვისების მიწოდებისთვის. ამ ფონზე ასევე შეიმჩნევა ტარიფების ზრდა "ძველ" მედიაში ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე: იზრდება გაზეთებისა და ჟურნალების ფასი, იზრდება საზოგადოებრივი სატელევიზიო არხების სააბონენტო გადასახადი, სპეციალურ საკაბელო არხებზე (ახალი ამბები, ფილმები, მუსიკა) ძვირდება. დიდი ადგილი უკავია ფასიან მომსახურებებს.

ინფორმაციულ საზოგადოებაში, რომელიც ცხოვრების მაღალი დონით ხასიათდება, მედიის

ეკონომიკას სჭირდება უიშვიათესი რესურსის დაუფლება -ეს გახლავთ აუდიტორიის ყურადღება. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ბაზარზე იყოს მაღალკონკურენტუნარიანი. როიტერის ცნობილი პრინციპი ,, მიჰყევით კაბელს“ საფუძვლად უდევს ბრიტანული სააგენტო Reuters- ის საბაზრო სტრატეგიას, ამ პრინციპებს ნათლად ასახავს. მაგრამ მედიაბაზარზე არსებული "ნიშები" შეივსო, ტექნოლოგიების გავლენა მედია სისტემებზე უფრო რთული და მრავალშრიანი გახდა. უკვე მეოცე საუკუნეში გახდა ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიები მამოძრავებელი ძალა, რომელიც, ბრიტანელი მკვლევარის რ. უილიამსის აზრით, ,, თუ ცხოვრების ახალ წესს არ ქმნის, საფუძველს მაინც უმზადებს ამ პროცესს.” მედიატექნოლოგიები მაღალ ეკონომიკურ ეფექტს იძლევა მაშინ, როდესაც საზოგადოების მხრიდან გაზრდილია მოთხოვნა. ტექნოლოგიის დანერგვა პირდაპირ არის დამოკიდებული საზოგადოების სოციალურ საჭიროებებზე: მაშინაც კი, თუ განვითარების ეკონომიკური დონე საკმარისია ახალი ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიის დანერგვისთვის, მისი მასობრივი რეალიზაციისათვის მაინც სოციალური კომუნიკაციის ახალი სისტემებია საჭირო. უპირველეს ყოვლისა, რ. უილიამსის თვალსაზრისით, საუბარია შიარაღებული ძალებისა და ბიზნესის სექტორის საჭიროებებზე. ინტერნეტის განვითარება აშშ-ში, რომელიც ნაკარნახევი იყო პენტაგონის მოთხოვნების საპასუხოდ, ეკონომიკური საჭიროებებითაც იყო სტიმულირებული. საზოგადოდ ონლაინ ინტერაქტიული კომუნიკაციების დანერგვა მნიშვნელოვნად ამცირებს მენეჯმენტისა და ლოგისტიკისა ხარჯებს წარმოებაშიც და მომსახურებაშიც;

ასევე ჟურნალისტიკის სფეროში კონტენტის არსებობა ციფრული ფორმით, რომელიც აერთიანებს ახალი მედიის ყველა სახეობას (CD, ციფრული ვიდეო, ვებ – გამოცემები);

ხასიათდება უდიდესი ტევადობით - მულტიმედიურობით; ინტერაქტიულობა და უკუკავშირი, რომელიც ხელს უწყობს ინფორმაციის წყაროს ცენტრალიზებულობას, ასევე განაპირობებს ინფორმაციის მომხმარებელთა მეტ თავისუფლებას ციფრული შინაარსის არჩევანში.

მედიის ეკონომიკური პარადიგმების ცვლილების კონტექსტში ასევე აღსანიშნავია მედიაინდუსტრიის შემოსავლის ტრადიციული და ახალი წყაროები, შთამბეჭდავია ონლაინ რეკლამირების ხარჯების ზრდა. 2002 წ აშშ-ში რეკლამაში დანახარჯმა მიაღწია სარეკლამო ინდუსტრიის მთლიანი მოცულობის სარეკლამო დანახარჯების 3% -ს, 1940 მლნ აშშ დოლარს. ყველა ქვეყანაში - ეკონომიკური განვითარების დონის მიუხედავად, - ინტერნეტ სარეკლამო ხარჯების მოცულობა იზრდება. ამრიგად, ლათინურ ამერიკაში სარეკლამო ინვესტიციების წილმა ინტერნეტში 1.8% შეადგინა. ევროპაში, ონლაინ რეკლამირების მოცულობამ 2002 წელს შეადგინა 2,5 მილიარდი დოლარი, ხოლო ერთი წლის განმავლობაში ეს თანხა 1 მილიარდით გაიზარდა. ბრიტანეთისა და გერმანიის წილად მოდის ონლაინ რეკლამირების უდიდესი მოცულობაა: მომდევნო 5 წლის განმავლობაში გაიზარდა ინტერნეტის მთლიანი რეკლამის 50% -მდე. ონლაინ რეკლამირების ზრდის ინდექსი იკვეთება ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებში - 10%. რა ხანია დანერგილია მონაცემთა ბაზების ყიდვის პრაქტიკაც. მომხმარებელთა ონლაინ მედიაში არის საიტები, რომლებიც უფასოდ გვთავაზობენ თავიანთ მომსახურებას. დარეგისტრირებისთანავე ჩვენი პროფილი შენახულია, დამახსოვრებულია, ხელსაყრელი წინადადების შემთხვევაში ხდება მონაცემთა ბაზების გაყიდვა ან იჯარით გაცემა. მოგების მიღების ეს მეთოდი, ასევე მომხმარებლების ინტერნეტ ინტერესების შესახებ ინფორმაციის გაყიდვა, რომელსაც საიტებიც გამალებით უთვალთვალებენ და აგროვებენ, სულ უფრო მნიშვნელოვანი შემოსავლის წყარო ხდება. საინტერესოა, რომ უმრავლესობა ინტერნეტ სერვისისა და შინაარსის პროვაიდერი მომხმარებელსაც კი არ სთხოვს ნებართვას, ისე აგროვებს მომხმარებელთა პირად მონაცემებს და გადასცემს რეკლამის დამკვეთს.

თანამედროვე საზოგადოების სხვადასხვა განმარტებებს - პოსტინდუსტრიულ, პოსტმოდერნულ თუ ინფორმაციულს - აერთიანებთ ცვალებადი ბუნება, ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების გადანაცვლება წარმოებიდან სერვისში, ინფორმაციის, კომუნიკაციისა და ტექნოლოგიების სფეროში. ტექნოლოგიების მზარდი როლი განაპირობებს მთელი რიგი კონცეფციების გაჩენას, რაც საზოგადოების განვითარებასა და პროგრესს საინფორმაციო და მედიაკომუნიკაციებისგან განუყოფლად განიხილავს.

უნდა აღინიშნოს, რომ პოსტინდუსტრიული საზოგადოების თეორია დღეს ერთადერთი

სოციალური მეტათეორიაა, რომელსაც უცხოელი მეინსტრიმ ეკონომისტებისა და სოციოლოგების უმეტესობა იზიარებს. ამ გარემოების ახსნის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზები შეიძლება ასეც განიმარტოს:

ა)ახალი საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესს აკავშირებს ცოდნის პროგრესსა და ტექნოლოგიურ მიღწევებთან;

ბ)საზოგადოებებს კაპიტალისტურ და სოციალისტურ ბანაკებად კი არ ყოფს, არამედ მათ ტიპოლოგიას განსაზღვრავს შესაბამისი ეკონომიკური სტრუქტურების განვითარების სტილისა და დონის მიხედვით.

პოსტინდუსტრიული საზოგადოების თეორია აანალიზებს ინდუსტრიული საზოგადოების სტრუქტურაში არსებულ მნიშვნელოვან ცვლილებებს - თეორიული ცოდნის პარადიგმა შეიცვალა, ტექნოლოგიების გავლენა ცხოვრების ყველა სფეროზე გაიზარდა, მოხდა საქონლის წარმოების ეკონომიკიდან მომსახურების ეკონომიკაზე გადასვლა, განათლების როლის ზრდა, დასაქმების სტრუქტურის შეცვლა, ადამიანის მამოტივირებელი ახალი ორიენტირების შემოღება, დემოკრატიის პრინციპების განვითარება, სრულიად ახალი პოლიტიკური სისტემის ფორმირება. საგულისხმოა, რომ ამ თეორიისთვის სოციალური ცხოვრების არცერთი ზემოჩამოთვლილი ფაქტორი არ არის წამყვანი. თანამედროვე ცხოვრების არსი სწორედ მათ ურთიერთქმედებაში, სინერგიულ ურთიერთგავლენასა და პერმანენტულ ცვლილებებში მდგომარეობს.

პოსტინდუსტრიული საზოგადოების თეორიის დებულებები შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს:

• საზოგადოების ისტორიის პერიოდიზაცია მათი კლასობრივი სტრუქტურის შეფასებას კი არ ემყარება, არამედ სოციალური წარმოების დომინანტური ტექნოლოგიების შესწავლას, რომელიც ეკონომიკური განვითარების ვექტორის მსაზღვრელია;

• გაბატონებული ტექნოლოგიის ტიპის მიხედვით, სოციალური წარმოება იყოფა სამ სექტორად - პირველადი (სოფლის მეურნეობა), მეორადი (მრეწველობა) და მესამეული (მომსახურება). პოსტინდუსტრიული საზოგადოება ხასიათდება მესამეული სექტორის წილის ზრდით მთლიანი ეროვნული პროდუქტის სტრუქტურაში პირველად და მეორად სექტორებთან შედარებით.

პოსტინდუსტრიული საზოგადოების თეორიამ პოპულარობა მოიპოვა 1960-იანი წლების შუა პერიოდიდან, რადგან მან მოახერხა იდეოლოგიური წინააღმდეგობებით გახლეჩილი საზოგადოების ერთი ნიშნით გაერთიანება. გამოჩენილი სოციოლოგები დ. ბელი, დ. რისმანი, რ. არონი უკვე დარწმუნებული იყვნენ, რომ თანამედროვე საზოგადოებებში პოლიტიკური და სოციალური განსხვავებები გაცილებით ნაკლები მნიშვნელობის მქონე იქნებოდა, ვიდრე ტექნოლოგიური პროგრესის ფაქტორი. აშკარაა, რომ პოსტინდუსტრიული საზოგადოების თეორია თავიდანვე ტექნოლოგიური დეტერმინიზმის ჩრდილში მოექცა, მაგრამ ეს მხოლოდ ხაზს უსვამს იმ რეალურ გავლენას, რომელსაც ტექნოლოგია და განსაკუთრებით საინფორმაციო ტექნოლოგიები ახდენს თანამედროვე საზოგადოების განვითარებაზე. თუმცა პოსტინდუსტრიულმა თეორიამ მიუხედავად პოპულარობისა, მაინც ვერ მოიპოვა საყოველთაო აღიარება, მაგრამ დასავლეთის სოციოლოგებისა და ეკონომისტების შემდგომი ინტელექტუალური ძიების ამოსავალ წერტილად კი იქცა - თანამედროვე თეორეტიკოსები ცდილობენ გავიდნენ ამ ცნების ჩარჩოდან, ახლებურად განსაზღვრონ საზოგადოების ბუნება მისი ძირითადი მახასიათებლების საშუალებით. კონცეფციათა ჯგუფი ასოცირდება "ინფორმაციული საზოგადოების" კონცეფციასთან.

ინფორმაციული საზოგადოების თეორია, როგორც ეკონომიკური და სოციალური განვითარების შემდეგი ეტაპი (პოსტინდუსტრიული ეტაპის შემდეგ), ჩამოყალიბებას იწყებს 1960-იანი წლებიდან. ერთ – ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელმაც გავლენა მოახდინა ამ პერიოდში საზოგადოების სტრუქტურული გარდაქმნის პროცესზე, იყო ისტ – ის პროგრესი. რადიკალურმა ცვლილებებმა ინფორმაციის შეგროვების, განაწილების, შენახვის პროცესში მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ეკონომიკის, პოლიტიკის, კულტურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტებზე. თანამედროვე ეკონომიკის განვითარებას განაპირობებს ისტ – ის პროგრესი, სწორედ ისტ-ი ხდება სოციალური ტრანსფორმაციის მამოძრავებელი ძალა. თავის ცნობილ ნაშრომში "მესამე ტალღა" (1980),

ე. ტოფლერმა თანამედროვე ეპოქის მრავალი დეფინიცია შემოგვთავაზა - კოსმოსური ხანა, ინფორმაციის ხანა, ელექტრონიკის ხანა, მარშალ მაკლუენის მიხედვით ,,გლობალური სოფელი“ - ინტეგრირებულ იქნა კიდევ უფრო მრავალფეროვან კონცეფციაში, რომელიც ცნობილია როგორც ცივილიზაციის ,,მესამე ტალღა“. ე. ტოფლერის აზრით, ეს განაპირობებს "სუპერინდუსტრიული" საზოგადოების გაჩენას ახალი რესურსებით, განსხვავებული ცხოვრების წესით, წარმოების ინოვაციური მეთოდებით, ოჯახის ახალი ფორმებით, ქცევის ახალი კოდექსით და ფუტურისტული ხასიათის ელექტრონული სახლით.

ევროკავშირთან აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა EU4Digital რომლის ამოცანაა ევროკავშირის ერთიანი ციფრული ბაზრის უპირატესობების გავრცელება საქართველოსა და სხვა აღმოსავლეთ პარტნიორ ქვეყნებში, და ევროკავშირის დახმარების მიმართვა ციფრული ეკონომიკის და საზოგადოების პოტენციალის განვითარებაზე ეკონომიკური ზრდის, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის, ადამიანების ცხოვრების გაუმჯობესების და ბიზნესის დახმარების მიზნით.

კერძოდ, პროგრამის EU4Digital საშუალებით ევროკავშირი დაეხმარება საქართველოს როუმინგის ტარიფების შემცირებაში, მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი სტრატეგიების დანერგვაში ეკონომიკის და ელექტრონული სერვისების განვითარებისთვის; ციფრული ჩარჩოების ჰარმონიზაციაში საზოგადოების მასშტაბით, დაწყებული ლოგისტიკიდან დამთავრებული ჯანმრთელობით და კიბერ-უსაფრთხოებით, და ციფრული უნარების ათვისებაში.

ევროკავშირის 2019 წლის ასოცირების განხორციელების ანგარიშის მიხედვით, საქართველომ მნიშვნელოვანი ძალისხმევა გასწია ციფრული ეკონომიკის და საზოგადოების სფეროში ეკონომიკის და ბიზნესის შესაძლებლობების მხარდაჭერის, ციფრული კომპეტენციების გაუმჯობესების და ელექტრონული ვაჭრობის განვითარების კუთხით. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) მხარდაჭერის ვალდებულება და ტელეკომუნიკაციის ინფრასტრუქტურის განვითარება ეროვნულ პრიორიტეტად არის აღიარებული საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში. მთელი რიგი ნაბიჯებია გადასადგმელი ეროვნული ფართოზოლოვანი სტრატეგიისა და ელექტრონული კომერციის განვითარებისათვის.

ევროკავშირის ზემოხსენებული პროექტი არამარტო ძლიერი ციფრული ეკონომიკის, არამედ იმ დარგების სწრაფ განვითარებას შეუწყობს ხელს, რომლებშიც საქართველოს აქვს ზრდის პოტენციალი, მაგ. ბიზნესი, მეწარმეობა, ტურიზმი, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, სოციალური მედიაინდუსტრია, მედიაეკონომიკა და ინოვაციები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. 1.https://www.oecd.org/competition/digital-economy-innovation-and-competition.htm
2. 2.Alan Albarran, Bozena Mierzejewska; Handbook of Media Management and Economics (2nd ed.) Media Management And Economics SeriesTaylor and Francis (2018);
3. 3.Ulrike Rohn, Tom Evens; Media Management Matters; Challenges and Opportunities for Bridging Theory and Practice; Media Management And Economics SeriesTaylor and Francis (2020);
4. 4.Hoskins C et al; Media Economics; Sage Publications; ISBN: 0761930957
5. ISBN-13(EAN): 9780761930952; http://dictionary.css.ge/content/sociology-leisure
6. 5.SOCIAL AND ECONOMIC IMPACT OF DIGITAL TRANSFORMATION ON THE ECONOMY
7. This report was prepared by Raul L. Katz, ITU expert, under the direction of the ITU/BDT
8. Regulatory and Market Environment Division gsr@itu.int This report was prepared by Raul L. Katz ITU expert, under the direction of the ITU/BDT Regulatory and Market Environment Division
9. 6.Вартанова Е. Л. Медиаэкономика зарубежных стран. М.: Аспект Пресс, 2003. - 336 с
10. 7.Goldfarb, Avi, and Catherine Tucker. 2019. "Digital Economics." Journal of Economic Literature, 57 (1): 3-43.
11. 8.https://eufordigital.eu/geo/countries/georgia
12. 9. https://www.bea.gov/data/special-topics/digital-economy

Post-Industrial Knowledge Society and Innovative media economics

Maia Benia , Associate Pprofessor of Georgian Technical University

Levan Gagvishvili, Associate Pprofessor of Georgian Agrarian University

Summary

The most important feature of the modern economy is the transformation of intangible resources - information into economic and political resources. It is a resource that largely determines the material well-being of both the community and individual citizens. Information is gradually gaining more and more properties of consumer goods, the main sectors of the economy are associated with the information media industry sector, and consumption itself is shifting to the field of information and communication. With the development of the Internet, political life has also shifted to an interactive environment. With the development of the Internet, political life has also shifted to an interactive environment: E-government and e-democracy are becoming a new form of interaction between government and people. Education, healthcare, culture find completely new forms of existence in the virtual world. We are dealing with a new type of economic and social life formation, which leads to the formation of a completely new type of society. The definition - "knowledge society" is also used to describe it.

Key words: Information society, Post-industrial era, Media Economics, Digital inequality, Knowledge Society, Social media industry, Information technologies, Databases, Internet market.

სახელმწიფო და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოები და მათი როლი ქვეყნის ეკონომიკაში

გრიგალაშვილი ლევან
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

აბაშიძე გოჩა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველომ გეზი აიღო საბაზრო ეკონომიკისაკენ, შესაბამისად დაიწყო სამართლებრივი და საფინანსო/ეკონომიკური რეფორმების განხორციელების პროცესი, რომლის სტრატეგიულ მიმართულებას საკუთრების სამართლებრივი რეგულირება და კომერციული ორგანიზაციების ჩამოყალიბება წარმოადგენდა. ამან საფუძველი დაუდო საწარმოთა შექმნას სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით. საბაზრო ეკონომიკის პირობებშიც სახელმწიფო საწარმოებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის სტაბილურობას და ქვეყნის მდგრად განვითარებას. იმ დიდ ეკონომიკური მნიშვნელობასთან ერთად სახელმწიფო საწარმოებს აქვთ არსებითი სოციალური გავლენა საზოგადოებაზე, თუმცა მათი ეფექტიანი მართვა არაერთ გამოწვევასთანაც არის დაკავშირებული.

საკვანძო სიტყვები: სახელმწიფო საწარმო, პრივატიზაცია, ეკონომიკა, კორპორაციული მართვა.

ძირითადი ტექსტი

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კვალობაზე საქართველოში დაიწყო სამეწარმეო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირება. 1991 წელს მიღებული იქნა კანონი „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“. მოგვიანებით, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს ახალი კანონის[1] მიღების შემდეგ ზემოაღნიშნული ანონი კანონი ძალადაკარგულად გამოცხადდა 1994 წლის 28 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის №578-ე დადგენილებით.

უნდა აღინიშნოს, რომ „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“ კანონი და დებულებაც საკმაოდ დეტალურად არეგულირებდა სახელმწიფო საწარმოებთან დაკავშირებულ საკითხებს. დეტალური რეგულირება გამოწვეული იყო იმ პერიოდში არსებული სპეციალური უფლებაუნარიანობის არსებობით. 90-იან წლებში პოსტ-საბჭოთა სივრცეში დაიწყო მასობრივი პრივატიზაციის პროცესი. პრივატიზაციის ფარგლებში ხელოვნურად და დირექტიულად ყოფილი სახელმწიფო საწარმოები გარდაიქმნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებად და სააქციო საზოგადოებებად. ამდენად, ხელოვნურად ჩამოყალიბდა კორპორაციის ახალი ტიპი, რომელსაც ექსპერტები „კვაზი სააქციო საზოგადოებასაც“ უწოდებენ.

საერთაშორისო გამოცდილება სახელმწიფო საწარმოების სამართლებრივი და საფინანსო რეგულირების საკითხებში არაერთგვაროვანია. აშშ-ისა და ანგლოსაქსურ სისტემებში ტრადიციულად, სახელმწიფო მინიმალური ხარისხით ერეოდა ეკონომიკაში, ხოლო სახელმწიფო ქონებაზე დამყარებული საწარმოების შექმნა იქ უმნიშვნელო წილით ხორციელდებოდა. ევროპულ სახელმწიფოებში, მათ შორის გერმანიაში, სახელმწიფოს ყოველთვის ძლიერი როლი ჰქონდა, ბევრი საწარმო სახელმწიფოს საკუთრებაში იყო.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებულ (2021 წლის 1 აპრილი) მონაცემებზე დაყრდნობით სახელმწიფოს საკუთრებაში რეგისტრირებულია 7 728 საწარმო (მუნიციპალური და ავტონომიური რესპუბლიკების საკუთრებაში არსებული საწარმოების ჩათვლით),

[1] https://matsne.gov.ge/ka/document/view/28408?publication=69

საიდანაც მოქმედია 3 476 საწარმო ანუ 44,9%.[1] დღევანდელი მდგომარეობით სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საწარმოების პარტნიორის უფლებამოსილებას ახორციელებს სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებულ საწარმოებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

სსიპ „სახელმწიფოს ქონების ეროვნული სააგენტო“-ს მონაცემებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ საკუთრებაში გააჩნიათ 104 საწარმო საიდანაც მოქმედია 58, ხოლო 46 უმოქმედო, მათ შორის 5 საწარმოზე მიმდინარეობს ლიკვიდაციის პროცესი[2], ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მონაცემებზე დაყრდნობით 35 საწარმო, საიდანაც მოქმედია 12 საწარმო, მოქმედ პასიურია 12 საწარმო, 2 საწარმო გადაცემულია მართვის უფლებით, ხოლო 9 გაკოტრების რეჟიმშია.[3]

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოები განსაზღვრავენ ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის სტაბილურობას და შეუძლიათ ქვეყნის მდგრად განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყონ ხელი, ამათან მათი მართვა არაერთ გამოწვევასთანაც არის დაკავშირებული, კერძოდ:

– გამჭვირვალობის დაბალი ხარისხის პრობლემა, რომლის მიზეზიც არსებული კანონმდებლობაა.

– სახელმწიფო საწარმოს დაფუძნება, როგორც გარკვეული პრობლემის მოგვარების მცდელობა. ასეთი მიდგომა აბსოლუტურად გაუმართლებელია და ის ვერ აგვარებს პრობლემას. ეჭვს აღარ იწვევს ის ფაქტი, რომ ზოგადად, სახელმწიფო კერძო მფლობელთან შედარებით ცუდი მენეჯერია და მისი საქმე ბიზნესის კეთება არ არის. ეს არის სისტემური პრობლემა და ნაკლებადაა დამოკიდებული მთავრობის ნებასა თუ პატიოსნებაზე. სახელმწიფო საკუთარი საწარმოს შექმნით, პირველ რიგში, ხელს უშლის კერძო ინიციატივას, კონკურენციას უწევს კერძო სექტორს და არღვევს თავისუფალი ბაზრის კანონებს, ხოლო, მეორე მხრივ, ამცირებს სახელმწიფო რესურსების გამოყენების ეფექტიანობას.

– შეზღუდული კონტროლი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ, რომელსაც ევალება სახელმწიფო საწარმოების მუშაობის შესწავლა და ანალიზი, ვერ ახერხებს, მოიცვას საწარმოთა დიდი ნაწილი შეზღუდული რესურსების გამო. შესამოწმებელ ობიექტთა შერჩევა ხდება რისკების ანალიზის საფუძველზე და წლის განმავლობაში მხოლოდ პრიორიტეტულ სექტორებზე კეთდება აქცენტი. შესაბამისად, რაც უფრო დიდია სახელმწიფო საწარმოთა რიცხვი, მით უფრო დიდ რესურსებს მოითხოვს მათი საქმიანობის კონტროლი.

– სახელმწიფო საწარმოების დიდი რაოდენობა ერთი მხრივ, ზრდის საბიუჯეტო თანხების არაეფექტიანი გამოყენების რისკებს და ზღუდავს კერძო სექტორის განვითარებას, ასევე ზრდის სახელმწიფო დანახარჯებს, რომელიც ამ საწარმოების მუშაობის კონტროლისა და მართვისათვის არის საჭირო.

– კონკურენციის გაწევა კერძო სექტორზე და სახელმწიფოს მხრიდან პრივილეგიებით სარგებლობა.

– საწარმოთა მენეჯმენტი არ ინიშნება კონკურსის წესით და ასეთი ვალდებულება კანონმდებლობითაც არ არის განსაზღვრული, ასევე სახელმწიფო საწარმოები არ იმართება კორპორაციული მმართველობის პრინციპის მიხედვით, რომელიც დააგენდა საწარმოთა ძირითად მიმართულებებს.[4]

ასევე აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო პრაქტიკაში განასხვავებენ კორპორაციული მმართველობის სამ ძირითად მოდელს, კერძოდ: ცენტრალიზებული, დეცენტრალიზებული და დუალისტური.

ცენტრალიზებული მართველობის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ქვეყანაში არსებული ყველა სახელმწიფო საწარმო შედის ერთი მაკოორდინებელი ორგანოს მმართველობის სფეროში და აღნიშნული ორგანო საწარმოების მიმართ ახორციელებს პარტნიორის, ფაქტობრივად ყველა უფლებამოსილებას (გამონაკლისი შეიძლება იყოს რაიმე კონკრეტული ფუნქცია, რომლის განხორციელების სპეციალური

[1] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/66/sakutrebis-formebis-mikhedvit
[2] https://drive.google.com/file/d/0B3vgM3lEWoh4OUhYb25GQnJZTU0/view
[3] http://adjara.gov.ge/branches/description.aspx?pid=187&gid=5&ppid=164#.YJQwqLUzbIU
[4] https://forbes.ge/sakhelmtsipho-satsarmoebi/

უფლებამოსილება გააჩნდეს პრემიერ-მინისტრს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს, სპეციალურად შექმნილ საბჭოს და ა.შ.).[1] ცენტრალიზებული კორპორაციული მმართველობის მოდელი უკვე დიდი ხანია მოქმედებს ბელგიაში, პოლონეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, ნორვეგიაში და ა.შ.

დეცენტრალიზებული მოდელი არის ყველაზე ტრადიციული, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო საწარმოები, სფეროების მიხედვით, გადანაწილებულნი არიან შესაბამის სამინისტროებს შორის, აღნიშნული მოდელი მუშაობს დღეის მდგომარეობით საქართველოშიც.[2] მსგავსი მოდელი მოქმედებდა გაერთიანებულ სამეფოში 2003 წლამდე; ასევე, ფაქტობრივად, დეცენტრალიზებული იყო მმართველობა სლოვენიაშიც 2009 წლის ბოლომდე. ეს სისტემა, დღეისათვის, ითვლება მოძველებულად და თითქმის ყველა ქვეყანა ცდილობს, ახალი ეფექტიანი სისტემების დანერგვას.

ორმაგი მმართველობის სისტემა (ე.წ. დუალისტური მოდელი)- გულისხმობს უფლებამოსილებათა გადანაწილებას ცენტრალურ მაკოორდინებელ ორგნოსა და საჯარო მმართველობის შესაბამისი სექტორის სამინისტროებს შორის. აღნიშნული ტიპის მმართველობას ვხვდებით OECD-ის სახელმწიფოებში როგორებიცაა: გერმანია, შვეიცარია, იტალია, მექსიკა, ჩილე, თურქეთი და ა.შ.

დღეისათვის მმართველობის ყველაზე მისაღებ ფორმად ცენტრალიზებული მოდელი ითვლება, სწორედ ამიტომ ყველა განვითარებული ქვეყანა, თუ ჯერ კიდევ არაა ამ მოდელის მიმდევარი, ცდილობს მალევე გადავიდეს ამ ფორმაზე. ცენტრალიზებული მოდელის დადებით მხარეს წარმოადგენს სახელმწიფო საწარმოთა მართვის უფლებამოსილებების ერთ ორგანოში მოქცევა. ეს კი განსაკუთრებით მისაღები უნდა იყოს დაბალგანვითარებული, პატარა ქვეყნებისთვის, რომელთაც თავიანთი შეზღუდული ოდენობის კვალიფიციური კადრების თავმოყრა სწორედ ამ ორგანოში შეეძლებათ, რაც გააუმჯობესებს საწარმოთა მართვის ეფექტიანობას.

2019 წლის დეკემბერში ჩინეთში დაწყებულმა და შემდეგ მთელ მსოფლიოში გავრცელებულმა კორონავირუსმა (Covid-19) სერიოზული საფრთხის წინაშე დააყენა მსოფლიო. *covid-19 და მისგან გამოწვეული 2020 წლის გლობალური რეცესია მსოფლიო ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვნად შემაფერხებელი ფაქტორი გახდა, ვირუსმა დააზარალა არამარტო განვითარებადი არამედ ისეთი განვითარებული ქვეყნები, როგორიც არის ჩინეთი, აშშ, იტალია, ესპანეთი, გერმანია, საფრანგეთი, შვეიცარია და სხვა, შესაბამისად საჭირო გახდა შესაბამისი ღონისძიებების გატარება რასაც სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქონების/წილების მასობრივი პრივატიზაცია, განკერძოება ეწოდება.*

როგორც წესი, სახელმწიფო აქტივების/წილების პრივატიზაცია შეიძლება მრავალ მიზანს ემსახურებოდეს, ამასთან პრივატიზაციის პოლიტიკის ორ მთავარ მიზანს წარმოადგენს:

- ეფექტიანობის და პროდუქტიულობის ზრდა;
- დამატებითი შემოსავლების მიღება და დამატებითი ინვესტიციების მოზიდვა.

აღსანიშნავია, რომ პრივატიზება გვევლინება, სახელმწიფოს მხრიდან, საწარმოთა ეფექტიანობის ამაღლების მნიშვნელოვან ბერკეტად, უშუალოდ აქტივების გასხვისების პროცესამდეც. ის გამოდის, როგორც საწარმოთა მმართველების ერთგვარი მოტივატორი საბოლოო შედეგების გაუმჯობესების საქმეში და შეუძლია აამაღლოს შრომის ნაყოფიერება, შეამციროს საქონლის დეფიციტი და სიჭარბე, გააძლიეროს კონკურენცია.

საქართველოს მთავრობა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელი იყო აქტიური ნაბიჯების გადადგმა სახელმწიფო ქონების აქტიური პრივატიზაციის დაწყებასა და ყველა აქტივის რაციონალურ გამოყენებასთან დაკავშირებით ეკონომიკისა და სამუშაო ადგილების სწრაფი აღდგენისთვის, ასევე ქვეყანაში ახალი ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობისთვის, შესაბამისად 2021 წლის 7 მაისის მდგომარეობით სარეალიზაციოდ გამოტანილია სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული 9 საწარმოს წილი.[3]

---

[1] The Government of the Republic of Slovenia; Policy of Corporate Governance on State Owned

[2] Comparative Report on Corporate Governance on State Owned Enterprises ; OECD ;2006, p. 27.

[3]https://eauction.ge/Home/Search/W3sia2V5IjoiQ2F0ZWdvcnlJRCIsInZhbHVlIjoiNzIifV0=/1

დასკვნა

სახელმწიფოს ეკონომიკური როლის შეფასებისათვის აუცილებელია ეკონომიკური ძალაუფ-ლების შინაარსის გარკვევა. ეკონომიკური ძალაუფლების უმნიშვნელოვანესი ფორმაა სახელმწიფოს ეკონომიკური ძალაუფლება, რომელიც გამოიხატება სახელმწიფოს ეკონომიკურ როლში და რეალიზდება მის ეკონომიკურ ფუნქციებში, გარდამავალ პერიოდში სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური ფუნქციების შესრულება ორგანულადაა დაკავშირებული სახელმწიფო მართვის სრულყოფასთან, რომელიც მიიღწევა სიღრმისეული ადმინისტრაციული რეფორმის თანმიმდევრული განხორციელებით.

სახელმწიფო საწარმოთა მართვის ყველა ეტაპსა და დონეზე, აუცლებელია, სახელმწიფოში შემუშავებული იყოს შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტები. სახელმწიფო საწარმოთა მიმართ უნდა არსებობდეს გარკვული სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც გამომდინარეობს როგორც მთავრობის, ასევე საზოგადოების ინტერესებიდან, ამასთან საჭირო და აუცილებელიც არის რიგი რეკომენდაციების გათვალლისწინება:

– გამჭვირვალობის მაღალი სტანდარტის დანერგვა სახელმწიფო კომპანიებში კანონმდებლობის დონეზე.

– სახელმწიფომ უარი თქვას ახალი საწარმოების შექმნაზე და ხელი შუწყოს კერძო სექტორის განვითარებას სათანადო ბიზნეს-გარემოს შექმნის გზით.

– შემუშავდეს საწარმოთა მართვის ერთიანი პრინციპები.

– საწარმოთა მენეჯმენტის და თანამშრომელთა დანიშვნა მოხდეს კონკურსის წესით.

– სახელმწიფოს ამომავალი წერტილი უნდა გახდეს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების გონივრული მართვა და განკარგვა იმგვარად, რომ ხელი შეუწყოს ქვეყნის ინფრასტრუქტურისა და ზოგადად ეკონომიკის განვითარებას.

– განხორციელდეს საწარმოთა საპრივატიზებოდ მომზადება და მასობრივი პრივატიზაცია, გარდა სტრადეგიული მნიშვნელობის საწარმოებისა.

მას შემდეგ, რაც სახელმწიფოს მიერ გატარდება ზემოაღნიშნული ღონისძიებები და საწარმოთა მენეჯმენტი საქმიანობას წარმართავს სრულყოფილი კანონმდებლობის ჩარჩოებში და გახდიან ამ პროცესს გამჭვირვალეს, მარეგულირებელ ორგანოებს უკვე შეეძლებათ არსებული ნაკლოვანებების შემჩნევა და მათი დროული აღმოფხვრა შესაბამისი ქმედითი ღონისძიებების გატარების გზით. საბო-ლოოდ კი მივიღებთ სახელმწიფო საწარმოთა იმ მინიმალურ ოდენობას, რომელთაც საქმიანობის ეფექტურად წარმართვა და საზოგადოებისათვის სარგებლის მოტანა შეეძლებათ დიდი დანაკარგებისა და ხარჯების გარეშე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/66/sakutrebis-formebis-mikhedvit
2. https://drive.google.com/file/d/0B3vgM3lEWoh4OUhYb25GQnJZTU0/view
3. http://adjara.gov.ge/branches/description.aspx?pid=187&gid=5&ppid=164#.YJQwqLUzbIU
4. https://forbes.ge/sakhelmtsipho-satsarmoebi/
5. The Government of the Republic of Slovenia; Policy of Corporate Governance on State Owned
6. Comparative Report on Corporate Governance on State Owned Enterprises ; OECD ;2006, p. 27.
7. https://eauction.ge/Home/Search/W3sia2V5IjoiQ2F0ZWdvcnlJRCIsInZhbHVlIjoiNzIifV0=/1
8. https://matsne.gov.ge/ka/document/view/28408?publication=69

Existing Enterprises with share participation of the state and of the Autonomous Republic of Adjara and their role in the country's economy

Levan Grigalashvili
Professor of Georgian Technical University

Gocha Abashidze
PhD Student Of Georgian Technical University

Summary

After the collapse of the Soviet Union, Georgia embarked on a path to a market economy, thus embarking on a process of legal and financial / economic reforms, the strategic direction of which was the legal regulation of property and the establishment of commercial organizations. This laid the foundation for the creation of enterprises with the share participation of the state. Even in a market economy, state-owned enterprises can contribute to the stability of various sectors of the economy and the sustainable development of the country. In addition to their great economic importance, state-owned enterprises have a significant social impact on society, although their effective management is associated with a number of challenges.

Keywords: State Enterprise, Privatization, economic, Corporate governance.

ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვის აუთსორსინგის ეფექტიანობა მცირე და საშუალო ბიზნესში

გრიგალაშვილი ლევან
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

გრიგალაშვილი ბიძინა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

აუთსორსინგი (ინგლ. Outsourcing - outer-source-using) ნიშნავს ორგანიზაციის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებული ცალკეული სახეების ან ფუნქციების გადაცემას სხვა კომპანიისათვის. წარმოდგენილ სტატიაში აუტსორსინგული მომსახურების ეფექტიანობის საკითხები განხილულია მცირე საწარმოთა საქმიანობის მაგალითზე. გაანალიზებულია საწარმოთა ზომითი კატეგორიები საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციების მიხედვით. დასაბუთებულია საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის უდიდესი მნიშვნელობა საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის სწორი მენეჯმენტის, გადასახადების გამოანგარიშების, კონკურენტიანობის ამაღლების საქმეში. წარმოჩენილია აუტსორსინგული მომსახურების დადებითი მხარეები და ნაჩვენებია მისი როლი დანახარჯების შემცირების საქმეში.

საკვანძო სიტყვები: აუტსორსინგი, საბუღალტრო აღრიცხვა, მცირე საწარმო, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები.

ძირითადი ტექსტი

აუტსორსინგის ეფექტიანობის საკითხების განხილვამდე უპრიანია მიმოვიხილოთ, რა იგულისხმება საწარმოთა მცირე და საშუალო ზომით კატეგორიებში საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ გეგმიანი ეკონომიკის პირობებში საწარმოთა დაყოფა ასეთი კატეგორიების მიხედვით არ ხდებოდა, შესაბამისად, ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების წარმოების წესები ყველა საწარმოსათვის ერთნაირი იყო, თუმცა გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს სსრკ ფინანსთა სამინისტროს ჰქონდა გარკვეული მცდელობები და შემოიღეს კიდეც მცირე ზომის საწარმოებისათვის ბუღალტრული აღრიცხვის გამარტივებული წესები, რომელმაც პრაქტიკაში გამოყენება ვერ ჰპოვა.

დამოუკიდებელი საქართველოს საკანონმდებლო აქტებში და სამეურნეო პრაქტიკაში „მცირე საწარმოს“ ცნება გაჩნდა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიღების შემდეგ, კერძოდ კანონის მე-13 მუხლის მიხედვით მცირე საწარმოდ ითვლებოდა საწარმო, რომელსაც სრულ შტატში ჰყავდა არა უმეტეს 10 თანამშრომლისა და სამეურნეო წლის ამონაგები არ აღემატებოდა 40 ათას ლარს. ამასთან კანონი მოითხოვდა, რომ მცირე საწარმოებში ბუღალტრული აღრიცხვა ყოფილიყო სწორი, სრულყოფილი, გასაგები, უწყვეტად დაკავშირებული ანგარიშების ნომენკლატურასთან[1]. 1999 წლიდან ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შემოღების შემდეგ, ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ნორმა გაუქმდა და შესაბამისად, მცირე საწარმოს განმარტება, კატეგორია, აღრიცხვის წესები მარეგულირებელი ჩარჩოს გარეშე დარჩა.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის მიღებით ადგილი ჰქონდა აღნიშნული ხარვეზის გამოსწორების მცდელობას, თუმცა კონკრეტული მითითებები აქაც არ არის მოცემული. დღევანდელი რეგულაციით საწარმოები იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

მეოთხე კატეგორიის საწარმო - სუბიექტი, რომლის მაჩვენებლები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შემდეგი სამი კრიტერიუმიდან სულ მცირე ორ კრიტერიუმს აკმაყოფილებს: ა) აქტივების

[1] საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, საქართველოს პარლამენტის უწყებები, N21-22, 28/10/1994წ.)

ჯამური ღირებულება 1 მილიონ ლარს არ აღემატება; ბ) შემოსავალი 2 მილიონ ლარს არ აღემატება; გ) საანგარიშგებო პერიოდში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 10-ს არ აღემატება;

მესამე კატეგორიის საწარმო - სუბიექტი, რომელიც არ არის მეოთხე კატეგორიის საწარმო და რომლის მაჩვენებლები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შემდეგი სამი კრიტერიუმიდან სულ მცირე ორ კრიტერიუმს აკმაყოფილებს: ა) აქტივების ჯამური ღირებულება 10 მილიონ ლარს არ აღემატება; ბ) შემოსავალი 20 მილიონ ლარს არ აღემატება; გ) საანგარიშგებო პერიოდში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 50-ს არ აღემატება;

მეორე კატეგორიის საწარმო - სუბიექტი, რომელიც არ არის მესამე ან მეოთხე კატეგორიის საწარმო და რომლის მაჩვენებლები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შემდეგი სამი კრიტერიუმიდან სულ მცირე ორ კრიტერიუმს აკმაყოფილებს:

ა) აქტივების ჯამური ღირებულება 50 მილიონ ლარს არ აღემატება; ბ) შემოსავალი 100 მილიონ ლარს არ აღემატება;

გ) საანგარიშგებო პერიოდში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 250-ს არ აღემატება

პირველი კატეგორიის საწარმო - სუბიექტი, რომლის მაჩვენებლები საანგა-რიშგებო პერიოდის ბოლოს შემდეგი სამი კრიტერიუმიდან სულ მცირე ორ კრიტერიუმს აკმაყოფილებს: ა) აქტივების ჯამური ღირებულება 50 მილიონ ლარს აღემატება; ბ) შემოსავალი 100 მილიონ ლარს აღემატება; გ) საანგარიშგებო პერიოდში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 250-ს აღემატება[1].

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების გამოყენების ვალდებულება საწარმოთა ზომითი კატეგორიების მიხედვით, კერძოდ: პირველი კატეგორიის საწარმოები ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებას აწარმოებენ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად; მეორე და მესამე კატეგორიების საწარმოები - მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SMEs) შესაბამისად, ხოლო მეოთხე კატეგორიის საწარმოები - ადგილობრივი სტანდარტების შესაბამისად[2]. ამ განმარტებებიდან გამომდინარე უნდა ვივარაუდოთ, რომ მეორე და მესამე კატეგორიის საწარმოები, რომლებსაც ევალებათ ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება აწარმოონ მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SMEs) შესაბამისად, ითვლებიან მცირე და საშუალო საწარმოებად. ცხადია, ასეთად უნდა მივიჩნიოთ აგრეთვე მეოთხე კატეგორიის საწარმოებიც, თუმცა, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ კანონი არ აკონკრეტებს მცირე საწარმოს განმარტებას, არ ადგენს მის კატეგორიას. ეს ყველაფერი ანგარიშგების წარდგენის მიზნებისათვის არის მოცემული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემოღებული იქნეს საწარმოთა მე-5 კატეგორია, რომელიც ჩაითვლება მცირე საწარმოდ. ამასთან უნდა ავღნიშნოთ, რომ საწარმო, რომლის შემოსავალი წელიწადში, 1 მილიონამდეა (მეოთხე კატეგორიის შემთხვევაში), მით უმეტეს 20 მილი-ონამდე ან 50 მილიონამდეა (მესამე და მეორე კატეგორიების შემთხვევაში), საქართველოს დღევანდელი ეკონომიკის განვითარების დონიდან გამომდინარე მცირე ან საშუალო საწარმოდ არ უნდა იქნეს მიჩნეული.

რა ითვლება მცირე საწარმოდ საგადასახადო კოდექსის მიხედვით? პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ მცირე ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს მხოლოდ მეწარმე ფიზიკურ პირს, ამასთან სავალდებულოა ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულმა ერთობლივმა შემოსავალმა წლის განმავლობაში 500000 ლარს არ გადააჭარბოს [3]. მაშასადამე, საგადასახადო კანონმდებლობითაც არ არის განსაზღვრული „მცირე“ ან „საშუალო“ საწარმოს ზომითი კატეგორიები. არც სტატისტიკური

---

[1] საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ 08.06.2016 წ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/3311504?publication=11

[2] „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონი, 08.06.2016 წ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/3311504?publication=11.

[3] საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 89. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717%23part_201?publication=173

მონაცემები გვაძლევს ამის შესახებ ზუსტ განმარტებებს. ცხადია მათზე რაიმე სახის საგადასახადო შეღავათიც არ ვრცელდება და აღნიშნული გარემოება ხელს ვერ უწყობს მცირე ბიზნესის განვითარებას.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის პირველივე წლებში გამოიკვეთა საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის უდიდესი მნიშვნელობა საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის სწორი მენეჯმენტის, გადასახადების გამოანგარიშების, კონკურენტიანობის ამაღლების საქმეში. მსოფლიოში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი მიზანია საბაზრო ურთიერთობების ყველა მონაწილისათვის ინფორმაციის მიწოდება, რომელიც ფინანსურ ანგარიშ-გებაშია განზოგადებული. ამის საფუძველზე კი მომხმარებლები ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს ღებულობენ, შესაბამისად, ზუსტი აღრიცხვისა და ანგარიშგების გარეშე საწარმოს ეფექტიანი მართვა პრაქტიკულად შეუძლებელია. სამეურნეო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც ბიზნესმენები საკმაოდ დიდი ხანია ეწევიან საქმიანობას, მაგრამ მხოლოდ მიღებული მნიშვნელოვანი ზარალების შედეგად გააცნობიერეს, რამდენად საჭიროა მოწესრიგებული საბუღალტრო და საგადასახადო აღ-რიცხვა. ეს განსაკუთრებით მცირე ბიზნესს ეხება.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, დღეისათვის მოქმედი რეგულაციები მცირე საწარმოებსაც ავალდებულებს ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, მის გამოქვეყნებას, ეს მაშინ, როდესაც 2018 წლამდე კომერციული ბანკებისა და ცალკეული მსხვილი საწარმოების გარდა არცერთი კომპანია არ აქვეყნებდა საკუთარ ფინანსურ მაჩვენებლებს, რის გამოც ბიზნესის შეფასება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ 2016 წლის 8 ივნი-სის კანონის შესაბამისად საწარმოებს და მათ შორის მცირე საწარმოებსაც დაევალათ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება სპეციალურ პორტალზე. ცხადია, ეს მოთხოვნა მცირე ბიზნესს დამატებითი ხარჯების გაღებისკენ უბიძგებს.

დღევანდელ ეკონომიკურ სიტუაციაში, არსებულ საგადასახადო გარემოში და სააღრიცხვო სისტემაში საწარმოს ბუღალტერს მეტად რთული ოპერაციების შესრულება უწევს, როგორიცაა მაგალითად ფულადი თანხების მოძრაობა სალაროში და საბანკო ანგარიშებზე, ინვესტიციებისა და წილების აღრიცხვა, დივიდენდების გაცემა, საქონლისა და ძირითადი აქტივების შეძენა, რეალიზაცია, მოთხოვნებისა და შემოსავლების აღიარება, ვალდებულებების წარმოქმნისა და დაფარვის ოპერაციები, საბანკო სესხების დაფარვა, პროდუქციისა და მომსახურების თვითღირებულების გამოანგარიშება, გადასახადების განსაზღვრა და თავისდროული გადახდა, ბოლოს კი ფინანსური ანგარიშგების შედგენა/წარდგენა და პუბლიკაცია. გარდა ამისა ბუღალტერმა ზედმიწევნით კარგად უნდა იცოდეს აღრიცხვა-ანგარიშგებისა და აუდიტის მარეგულირებელი კანონები, საგადასახადო კოდექსი, შრომის კოდექსი და სხვ. ყოველივე ეს საკმაო ცოდნასა და კვალიფიკაციას მოითხოვს. სიტუაცია განსაკუთრებულად რთულდება, როცა მცირე მეწარმე სუბიექტი ბიზნეს საქმიანობასაც ახორციელებს და ბუღალტრის ფუნქციებსაც ასრულებს, რასაც ხშირ შემთხვევაში სერიოზულ შეცდომებამდე მივყევართ თავისი უარყოფითი შედეგებით. ზოგჯერ ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვის წარმოება მცირე მეწარმე სუბიექტებს გაცილებით ძვირი უჯდებათ, ვიდრე გარეშე პირის ან ბუღალტრული ფირმის დაქირავება. ამასთან აღსანიშნავია, რომ აუტსორსინგის დროს მთელი პასუხისმგებლობა საბუღალტრო და საგადასახადო აღრიცხვის სისწორეზე, მომსახურე ფირმებს ეკისრება. აქედან გამომდინარე ურთიერთობები, რომლებიც პრაქტიკულად არ რეგულირდება კანონმდებლობით, მაგრამ არის ეფექტური, წარმატებით გამოიყენება მრავალი მეწარმე სუბიექტის მიერ.

პერსონალის აუთსორსინგი საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში. აუთსორსინგი აქტუალური გახდა საქართველოსთვისაც. ადგილობრივმა კომპანიებმა და უცხოური საწარმოების ფილიალებმა აქტიურად დაიწყეს აუთსორსინგის პრაქტიკული გამოყენება. ბოლო წლებში განსაკუთრებით გაიზარდა ბუღალტრულ და აუდიტორულ კომპანიებში დასაქმებულ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც მივლენილნი არიან სხვადასხვა კომპანიებში საბუღალტრო და საგადა-სახადო მომსახურების მიწოდებისთვის. მართალია ასეთი მომსახურების მოცულობაზე ზუსტი მონა-ცემები არ მოიპოვება, მაგრამ პროფესიონალურ ორგანიზაციებში მოპოვებული ინფორმაციიდან, აგრეთ-ვე შემოსავლების სამსახურში საქმიანობიდან გამომდინარე ეს პროცესი აშკარა და თვალში საცემია.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ აუტსორსინგი ნიშნავს ორგანიზაციის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებული ცალკეული სახეების ან ფუნქციებისსხვა კომპანიისათვის გადაცემას. შეთანხმების საფუძველზე შესაძლებელია გადაცემული იქნეს შემდეგი საქმიანობები:

- ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული პროცესები - გარე მომსახურება ან ინფორმაციული სისტემის ტექნიკური მხარდაჭერა, web სერვერებისა და საიტების შექმნა, ინფორმაციის დამუშავება-დაცვა და სხვა კორპორატიული სერვისები;
- ბიზნეს პროცესები - ამ შემთხვევაში აუტსორსები ატარებენ სარეკლამო აქციებს, მუშაობენ ლოჯისტიკის, ტრანსპორტის, დაცვის და საოფისე ფართობების კლინინგის სფეროში;
- კადრებთან დაკავშირებული საქმიანობა - აუტსორსერი კომპანიის მიერ კადრების შერჩევა, მათი გადამზადება, შრომის დისციპლინისა და კანონმდებლობის დაცვა და სხვ;
- საწარმოო ციკლის მართვა გარედან - ეს გულისხმობს საპროექტო დოკუმენტაციის შედგენას, შეთანხმებათა გაგრძლების პროცედურებს, სატენდერო პროცედურების ჩატარებას, მიმწოდებლებთან და სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობებს და სხვ;
- საბუღალტრო და იურიდიული მომსახურება - ამ შემთხვევაში აუტსორსული კომპანია აწარმოებს დამკვეთი კომპანიის საბუღალტრო საქმიანობას, ადგენს ფინანსურ ანგარიშგებას, ახდენს საგადასახადო დეკლარირებას; საჭიროების შემთხვევაში მონაწილეობს სასამართლო პროცესებში და სხვ. აღსანიშნავია, რომ საბუღალტრო და ინფორმაციული ტექნოლოგიების აუტსორსინგი მიზანშეწონილია მუდმივად ხორციელდებოდეს, ხოლო აუტსორსების ნაწილობრივი ან ეტაპობრივი მომსახურება გამოყენებული იქნეს აუდიტორული მომსახურების, სასამართლო პროცესების, კონსულტაციებისა და პერსონალის ატესტაციის შემთხევევებში.

საბუღალტრო სფეროში აუტსორსინგის მიზნები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

- ბუღალტრული აღრიცხვის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;
- ანგარიშგების ინფორმაციულობის ამაღლება;
- დაინტერესებული პირების მხრივ ნდობის ხარისხის ამაღლება;
- საფინანსო საქმიანობის ოპტიმალური მექანიზმის ჩამოყალიბება;
- ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებაზე და ანგარიშგების შედგენაზე მინიმალური დროითი დანახარჯების უზრუნველყოფა;

ბუღალტრულ აღრიცხვაში აუთსორსინგის გამოყენებისა თუ არ გამოყენების საკითხს დამოუკიდებლად წყვეტს ყველა სამეურნეო სუბიექტი კონკრეტული გარემო პირობებიდან გამომდინარე, აანალიზებს რა მის დადებით და უარყოფით მხარეებს. დადებით მხარეებად ძირითადად განიხილება: ბუღალტერიის თანამშრომელთა შენახვის და მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზე გასაწევი ხარჯების შემცირება; ბუღალტერიის განთავსების ადგილისა და საოფისე ტექნიკის შეძენის ხარჯების შემცირება; ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამულ და ინფორმაციულ უზრუნველყოფაზე გასაწევი ხარჯების შემცირება; საბუღალტრო და საგადასახადო რისკების შემცირება სათანადო კვალიფიციური კადრების დეფიციტის შემთხვევაში; სუბიექტური ფაქტორების ზეგავლენის შემცირება ბუღალტრულ და საგადასახადო აღრიცხვაზე და სხვ.

უარყოფით მხარეებად, პირველ რიგში შეიძლება დავასახელოთ: ოპერატიული მმართველობითი საქმიანობის შესუსტების რისკი; საწარმოს საქმიანობის დამოკიდებულების ზრდა გარეშე შემსრულებელზე; ზარალის რისკი დაბალი ხარისხის მომსახურების მიწოდების შემთხვევაში და სხვ.

ზემოაღნიშნული რისკებისაგან თავის დაზღვევის მიზნით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აუტსორსინგული კომპანიის სწორად შერჩევას. გარდა ამისა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია მომსახურების ღირებულების სწორად განსაზღვრა, რამდენადაც სხვადასხვა ფირმებში იგი სხვადასხვანაირად განისაზღვრება. როგორც წესი მცირე ზომის საწარმოებში მომსახურების ღირებულება განისაზღვრება ბუღალტერიის წარმოების სტანდარტული პაკეტის მიხედვით, რომელიც მოიცავს:

ა) ბუღალტრული აღრიცხვის სრულად წარმოებას ყველა სააღრიცხვო ობიექტის მიხედვით;

ბ) შერჩევითი მომსახურება;

გ) მთავარი ბუღალტრის ფუნქციების გადაცემა

აუტსორსინგულ მომსახურებაზე გაწეული ხარჯები საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით გამოსაქვით ხარჯებს მიეკუთვნება და მეწარმე ფიზიკური პირის შემთხვევაში გამოიქვითება ერთობლივი შემოსავლიდან, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში აღიარდება ხარჯებად, რომელიც თავის მხრივ შეამცირებს გასანაწილებელ მოგებას.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან შეიძლება დავასკვნათ:

1. საკანონმდებლო დონეზე განისაზღვროს მცირე და საშუალო საწარმოთა ზომითი კატეგორიები, რისთვისაც გათვალისწინებული იქნეს საქართველოს ეკონომიკის განვითარების დღევანდელი მდგომარეობა;
2. გადასინჯული იქნეს მცირე და საშუალო საწარმოების მიერ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვალდებულებების არსებული საკანონმდებლო მოთხოვნები;
3. საკანონმდებლო დონეზე განმტკიცდეს აუტსორსინგული მომსახურების არსი (განმარტება), აუტსორსერის უფლებები და მოვალეობები, ხელშეკრულების ძირითადი მომენტები და პასუხისმგებლობის ზომები.
4. მცირე ზომის საწარმოებში უპირატესობა მიეცეს ბუღალტრული აღრიცხვის სრულად წარმოებას ყველა სააღრიცხვო ობიექტის მიხედვით, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ამ სფეროში მოწესრიგებული სააღრიცხვო და საგადასახადო სისტემის დამკვიდრებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, საქართველოს პარლამენტის უწყებები, N21-22, 28/10/1994წ.
2. საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“, 08.06.2016წ.
3. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 89.
4. Аникин Б. А., Рудая И. Л. Аутсорсинг и аутстаффинг: высокие технологии менеджмента. Москва: ИНФРАМ, 2017. – 330 с
5. Красова Е. В. Актуальные проблемы ведения бухгалтерского учета субъектами малого предпринимательства в России, Теоретическая и прикладная экономика.- 2017. №
6. Матушевская Е. А., Алексеева Л. А. Бухгалтерские риски: сущность, классификация и причины возникновения, Таврический научный обозреватель. 2016. № 12

The effectiveness of accounting and tax accounting outsourcing for small and medium-sized businesses

Levan Grigalashvili
Professor Georgian Technical University

Bidzina Grigalashvili
PhD Student Georgian Technical University

Summary

In modern conditions of managing outsourcing acts as one of ways of reducing costs of the organization. Its positive and negative sides are analysed, considered the scheme of conducting accounting when using outsourcing and taxation. The article discusses the efficiency of outsourcing services on the example of small business activities. The great importance of accounting and auditing in the proper management of economic activities of enterprises, calculation of taxes, increasing competitiveness is substantiated. Dimensional categories of enterprises are analyzed according to the legal regulations in force in Georgia.

It is concluded that at the legislative level the size categories of small and medium enterprises are defined; Revise the existing requirements for financial reporting obligations by SMEs; Preference should be given to full production of accounting by all accounting entities.

Keywords: outsourcing, accounting, tax accounting.

აუდიტის ხარისხის თანამედროვე მოთხოვნები

გრიგალაშვილი ლევან
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ნატრიაშვილი ნინო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

აუდიტორული შემოწმების პროცესის სწორად და რაციონალურად წარმართვისათვის, კონკრეტული გარემოებების შესაფერისი, საკმარისი და აუცილებელი აუდიტორული პროცედურების შერჩევისათვის, აუცილებელია აუდიტორს ნათლად და სწორად ესმოდეს ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მიზნები. აუდიტორმა ფინანსური ანგარიშგების უტყუარობისა და სამართლიანობის შესახებ რწმუნების მისაღებად უნდა მოიპოვოს საკმარისი შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულობები, რომელსაც დაეყრდნობა მისი პროფესიული მოსაზრება. თანამედროვე პირობებში სულ უფრო იზრდება აუდიტის ხარისხისადმი მოთხოვნილება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სტატიაში სწორედ ამ საკითხებზეა საუბარი.

საკვანძო სიტყვები: ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები, აუდიტორული კომპანიები, დამოუკიდებელი აუდიტორი, აუდიტის ხარისხი, აუდიტორული საქმიანობის მონიტორინგი.

ძირითადი ტექსტი

საბჭოთა პერიოდის საქრთველოში სახელმწიფო ორგანოები ახორციელებდნენ კონტროლს, რევიზიას, რომელიც ადმინისტრაციულ, სავალდებულო ხასიათს ატარებდა. საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლისას საქართველოში შეიცვალა სიტუაცია, ჩამოყალიბდა თავისუფალი მეწარმეობა, გზა გაეხსნა კერძო სამართლებრივი სუბიექტების ჩამოყალიბებას სხვადასხვა სფეროებში, მომრავლდნენ ფირმები და კომპანიები, განხორციელდა ინვესტიციები არამარტო ქვეყნის შიგნით, არამედ ქვეყნის გარედანაც. პოლიტიკური ვითარების შეცვლასთან ერთად საჭირო შეიქმნა შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს შექმნა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდებოდა ამ ფირმების და კომპანიების ფინანსურ-ეკონომიკური საქმიანობის კონტროლი. საქართველომ აირჩია დასავლური მოდელი და ამ მიმართულებით გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები.

დასავლეთ ევროპაში და ამერიკის შეერთებულ შტატებში დიდი ხანია დამკვიდრდა დამოუკიდებელი აუდიტის სისტემა, რომლის საშუალებითაც ნებისმიერ ეკონომიკურ სუბიექტს შეუძლია მოიწვიოს დამოუკიდებელი აუდიტორი და განახორციელოს თავისი სამეურნეო საქმიანობის შემოწმება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ აუდიტი არ გულისხმობს მხოლოდ შემოწმებას და შეცდომების აღმოჩენას, არამედ მას შეუძლია აგრეთვე რეკომენდაციის გაცემა იმ ღონისძიებების შესახებ, რომელიც უნდა ჩატარდეს, რათა აღმოიფხვრას ნაკლოვანებები და ობიექტმა შეძლოს განაგრძოს თავისი საქმიანობა და განვითარება.

ამჟამად, მსოფლიოში გავრცელებულია ორი სახის აუდიტი:

- სახელმწიფოს მიერ შექმნილი მაკონტროლებელი ორგანო, რომელსაც უფლება აქვს შეამოწმოს სახელმწიფო და კერძო სამართლის სუბიექტები;
- დამოუკიდებელი აუდიტი, რომლის მოწვევა შეუძლია ნებისმიერ სუბიექტს ნებაყოფლობით, რათა შეამოწმოს თავისი არამარტო წლიური საბუღალტრო ანგარიშგება, არამედ მიიღოს რეკომენდაციებიც.

აუდიტორული მომსახურების ხარისხის კონტროლის თემა განსაკუთრებით აქტუალური გახდა 2002 წლის სკანდალის შემდეგ, რომელიც დაკავშირებული იყო კომპანია Enron-ის ფინანსური ანგარიშგების ფალსიფიკაციასა და ფინანსური მაქინაციების დაფარვის ბრალდებებით საკონსულტაციო-აუდიტორულ ფირმა Arthur Andersen-ის მიმართ, რომელიც კომპანია Enron-ის დამოუკიდებელ

აუდიტორს წარმოადგენდა, რის შემდეგაც ორივე კომპანიამ შეწყვიტა არსებობა. ამ საქმის ფარგლებში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა პროფესიული სტანდარტების დარღვევას, რომელიც დაუშვა აუდიტორულმა კომპანია Arthur Andersen-მა გაწეული მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის ნაწილში, რამაც უშუალოდ იმოქმედა აუდიტის ჩატარების კონტროლის გამკაცრების აუცილებლობაზე.

აუდიტორული მომსახურების ხარისხის კონტროლის უზრუნველყოფის მოთხოვნები დადგენილია როგორც აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით, ასევე დამატებით, საჭიროების შემთხვევაში, კონკრეტული ქვეყნის ადგილობრივი კანონმდებლობის მიხედვით.

მტკიცებულობების შეკრება აუდიტში მიზანმიმართული პროცესია, რომლის რაციონალურად ორგანიზებისათვის აუდიტორი უნდა ხელმძღვანელობდეს გარკვეული ორიენტირებით – ფინანსური ანგარიშგების მუხლების სისწორის კრიტერიუმებით, რასაც აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებში ფინანსური ანგარიშგების მტკიცებები ეწოდება. ფინანსური ანგარიშგება რომ ასახავდეს უტყუარ და სამართლიან თვალსაზრისს, ფინანსური ანგარიშგებისათვის დადგენილი ნორმატიული ბაზის შესაბამისად, აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობა ქმნის მტკიცებებს ფინანური ანგარიშგების სხვადასხვა ელემენტის აღიარების, გაზომვის, წარდგენისა და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების შესახებ. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით მტკიცებები არის სამეურნეო სუბიექტის ხელმძღვანელობის მიერ მკაფიოდ ან სხვაგვარად წარმოდგენილი ოფიციალური ინფორმაცია, რომელიც ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში და აუდიტორი იყენებს სხვადასხვა ტიპის პოტენციური უზუსტობების განსახილველად.

მსოფლიოში მრავალი ფირმაა, რომელიც ეწევა აუდიტორულ საქმიანობას და კლიენტისთვის ძნელია მათ შორის გააკეთოს არჩევანი, ამიტომ გადაწყვეტილებებს იღებენ: პოპულარობის, რეპუტაციის, ცნობადობის გათვალისწინებით. აუდიტორული ფირმების და კომპანიების სიმრავლის გამო, არსებობს დიდი და ძლიერი კონკურენცია მათ შორის, განსხვავებულია მომსახურების განაკვეთი და ხარისხი.

ყველა კლიენტს სურს, რომ მიიღოს საიმედო ინფორმაცია თავისი ობიექტის შესახებ, ამიტომ მიმართავს გამოცდილ აუდიტორულ ფირმას, რომელიც ცნობილია კარგი რეპუტაციით. შემოწმებისას აუდიტორი შეიძლება წააწყდეს ობიექტის მიერ განხორციელებულ არაკანონიერ საქმიანობას, რომელიც კანონით იკრძალება. ამ შემთხვევაში აუდიტორმა უნდა იმოქმედოს საერთაშორისო სტანდარტების და სახელმწიფოს მიერ მიღებული კანონმდებლობის შესაბამისად. აუდიტს ატარებს სახელმწიფოც, თავისი უფლებამოსილი სტრუქტურების მეშვეობით. მათი მიზანია გაირკვეს თუ რამდენად შეესაბამება ობიექტის ფინანსურ-ეკონომიკური საქმიანობა მიღებულ კანონმდებლობას და გადაცდომის გამოვლენის შემთხვევაში გაატაროს შესაბამისი რეაგირების ღონისძიებები. მაკონტროლებელი ორგანო უნდა იყოს დამოუკიდებელი და განოხორციელოს აუდიტი ეფექტურად და ყოველგვარი დაინტერესებული პირთა ზემოქმედების გარეშე, უნდა იმოქმედოს ობიექტურად, საჯაროდ და ხარისხიანად შეასრულოს თავისი სამუშაო, რადგან სახელმწიფო ატარებს მაკონტროლებელი ორგანოს საშუალებით ფინანსურ-ეკონომიკურ შემოწმებას, მისი შედეგები ანუ დასკვნა საჯაროა. მომხმარებელმა უნდა იცოდეს თუ რომელი ფირმა, კომპანია არის საიმედო და მაღალი ხარისხის მომწოდებელი. ყველაფერი ეს მომხმარებელს ეხმარება ჩამოაყალიბოს აზრი ამა თუ იმ ფირმაზე და გააკეთოს სწორი არჩევანი.

კერძო სამართლის სამეწარმეო სუბიექტები ნებაყოფლობით ატარებენ აუდიტს დამოუკიდებელი აუდიტორების მეშვეობით, რომელიც ეხმარება მათ ნაკლოვანობების გამოვლენასა და აღმოფხვრაში რაც მნიშვნელოვანია ობიექტისთვის, რათა განაგრძონ საქმიანობა და შეძლონ განვითარება. რაც შეეხება სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ აუდიტს, ის ატარებს ადმინისტრაციულ ხასიათს, ემსახურება კანონიერების დაცვას და მათ ფარგლებში მოქმედებას. ორივე სახის აუდიტი ემსახურება საბაზრო ურთიერთობის განვითარებას შესაბამისი ნორმების და სტანდარტების ფარგლებში.

თანამედროვე ეკონომიკურ ურთიერთობებში აუდიტორული კონტროლი მართვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს. ყველა სახის აუდიტი წარმოადგენს დიაგნოსტიკური გამოკვლევის განხორციელების სპეციფიკურ სისტემას, რომელიც საშუალებას გვაძლევს გაკეთდეს დასკვნა ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტურობის ხარისხსა და მისი სრულყოფის გზებზე.

საქართველოში ამ საქმიანობის საკანონმდებლო რეგულაციები 1995 წლიდან დაიწყო, როცა საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ (1995 წლის 7 თებერვალი N623 კანონი), შემდეგ 2012 წლიდან მიღებული იქნა კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ (2012 წლის 29 ივნისი N6598 კანონი), ხოლო დღეისათვის მოქმედებს 2016 წლიდან მიღებული კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ (2016 წლის 8 ივნისი N5386 კანონი).

ახალი კანონის ამოქმედებისთანავე შეიქმნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური, რომელიც ახორციელებს საბუღალტრო-საანგარიშგებო და აუდიტორული საქმიანობის ზედამხედველობას საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტებისა და კანონის შესაბამისად. აღნიშნული სამსახურის მიერ შემუშავებულია რეგულაციები პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის, ხარისხის უზრუნველყოფის, პროფესიული ეთიკისა და აუდიტორული მომსახურების სტანდარტების მიმართულებით, ასევეა განსაზღვრული განგრძობითი განათლების სტანდარტებისა და პროფესიული სერტიფიცირების პროცედურები.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური საქართველოში პასუხისმგებელია ანგარიშვალდებული საწარმოების აუდიტორების ზედამხედველობაზე. აღნიშნულის ფარგლებში მას მოეთხოვება თითოეული რეგისტრირებული აუდიტორული ფირმის ხარისხის შეფასება.

ზედამხედველი აფასებს აუდიტორული ფირმების სისტემებს, პოლიტიკას და პროცედურებს კანონის, აუდიტის და მარწმუნებელი მომსახურების სტანდარტების შესაბამისად. ის ასევე ამოწმებს აუდიტორული ფირმის უნარებს, სიფრთხილეს და კეთილსინდისიერებას, აუდიტის განხორციელების პროცესში მომზადებული, აუდიტის ინდივიდუალური ფაილების შეფასებით.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (SARAS) ფუნქციებში შედის:

- სავალდებულო ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებისა და სხვა შესაბამისი ნორმების შემოღება;
- ანგარიშგებების მომზადებისა და წარდგენის წესების განსაზღვრა;
- ანგარიშგებების პორტალის წარმოება;
- აუდიტორის/აუდიტორული ფირმის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელება.

SARAS-ი აქვეყნებს მონიტორინგის შესახებ ინფორმაციას ვებ-გვერდზე www.saras.gov.ge, რომელშიც შეჯამებულია SARAS-ის მიერ განხორციელებული აუდიტის ხარისხის შეფასების შედეგები. ამ დოკუმენტში ხაზგასმულია ძირითადი მიგნებები და ის სფეროები, რომლებზეც აუდიტორულმა ფირმამ უნდა გაამახვილოს ყურადღება ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. ეს ინფორმაცია გამოსადეგია, იმისათვის, რომ გახდეს საჯაროდ ცნობილი თუ რა შედეგი არსებობს ამა თუ იმ აუდიტორული კომპანიის მიმართ ხარისხის კონტროლის მონიტორინგის კმიმართულებით.

ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი აუდიტორული ფირმის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის ადეკვატური უნდა იყოს და განხორციელდეს არა უმეტეს 6 წელიწადში ერთხელ. იმ ფირმებში, კი რომლებიც სდპ და პირველი კატეგორიის საწარმოების აუდიტს ახორციელებენ, ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი ხორციელდება 3 წელიწადში ერთხელ. ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგით გამოვლენილ დარღვევებზე პასუხისმგებელი არის აუდიტორი, აუდიტორული ფირმა ან/და კონკრეტულ აუდიტორულ დასკვნაზე შესაბამის გარიგების პარტნიორი. ეს პირები მონაწილეობენ ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის ანგარიშის განხილვაში და იძლევიან ახსნა-განმარტებებს. აუდირებული ფინანსური ანგარიშგების სანდოობის ხარისხის ამაღლების მიზნით, სავალდებულოა მარეგულირებელი ორგანოების სამსახურთან თანამშრომლობა.

აუდიტორი დამოუკიდებელი უნდა იყოს აუდიტის ობიექტისგან შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა აუდიტის მთელი პერიოდის განმავლობაში. ეს მოთხოვნები ჩამოყალიბებულია: ბუღალტერთა

საერთაშორისო ფედერაციის მიერ, პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსში); ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტი 1-ში; აუდიტის 220 - ე საერთაშორისო სტანდარტში -„ფინანსური ანგარიშგებების აუდიტის ხარისხის კონტროლი“ და სხვა დოკუმენტებში.

აუდიტის ხარისხზე გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები:

- იმ ინფორმაციის ხარისხი და დროულობა, რომელსაც წარადგენს აუდიტს დაქვემდებარებული საწარმო, რამდენად არის უზრუნველყოფილი დირექტორთა ჩართულობა აუდიტის პროცესში;
- აუდიტორული ფირმის ორგანიზაციული კულტურა და ფოკუსირება პროფესიულ სკეპტიციზმზე და კონსულტაციაზე;
- აუდიტორთა ცოდნა და გამოცდილება (დაქირავების და ტრენინგის პრაქტიკის ჩათვლით, შიდა და გარე ექსპერტების გამოყენება და აუდიტორების მიერ დარგის ცოდნა);
- აუდიტორთა გუნდის უფროსი წევრების და პარტნიორის მიერ გარიგების ხარისხის კონტროლის განხილვაზე (EQჩღ) დახარჯული დრო და გარიგების პარტნიორის მიერ განხორციელებული ქმედითი ზედამხედველობა;
- აუდიტორული ფირმის შესაბამისობა ორგანიზაციულ დამოუკიდებლობის მოთხოვნებთან, მათ შორის, აუდიტორულ ფირმასა და კომპანიას შორის ურთიერთობის ხანგრძლივობის და ტიპის ჩათვლით;
- აუდიტორული ფირმის ინვესტიცია აუდიტის ხარისხში (მაგალითად, თანამშრომლების რაოდენობა ხარისხის მართვის დეპარტამენტში);
- აუდიტორთა პროფესიული საქმიანობის ქმედითი ზედამხედველობა.

დასკვნა

მონიტორინგი ეფექტური ხარისხის კონტროლის მნიშვნელოვანი პირობაა, რომლის მიზანია ფირმა უზრუნველყოს იმის დასაბუთებული რწმუნებით, რომ ხარისხის კონტროლის სისტემასთან დაკავშირებული პოლიტიკა და პროცედურები რელევანტურია, ადეკვატურია და ეფექტურად ფუნქციონირებს.

ფინანსური ანგარიშგება მთელი მისი კომპონენტებით ნათლად წარმოაჩენს კომპანიათა საქმიანობის საერთო სურათს, რადგანაც დღეისათვის აღრიცხვა ხორციელდება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აქედან გამომდინარე, საქართველოში საბაზრო ურთიერთობების განვითარებამ და კერძო სექტორის დამკვიდრებამ გამოიწვია სერიოზული ცვლილებები არა მხოლოდ აღრიცხვის, არამედ აუდიტის სფეროშიც, ამიტომ აუდიტორული საქმიანობაც როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სექტორში, ძირეულად შეცვალა. სწორედ ამით იყო განპირობებული, რომ დღის წესრიგში დადგა სახელმწიფო საფინანსო და კერძო სექტორის კონტროლის პრაქტიკაში ეფექტიანი აუდიტის დანერგვის აუცილებლობა, რაც საბოლოოდ განაპირობებდა ისეთი საკითხების გადაწყვეტას, როგორიცაა სახელმწიფო და კერძო კომპანიების საქმიანობისა და მათი სახსრების ხარჯვის გამჭვირვალობა, პროდუქტიულობა და ეფექტიანობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" https://matsne.gov.ge/ka/document/view/3311504?publication=11
2. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტი 220 https://saras.gov.ge/Content/files/isa/ISA_220.pdf
3. ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტი (ხკსს 1) https://saras.gov.ge/Content/files/ISQC_1_2018.pdf
4. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ვებ-გვერდი. https://www.saras.gov.ge/Content/files/cat1.pdf

5. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმის შედგენის მეთოდოლოგია. 2013 წ.
https://sao.ge/Uploads/2019/11/5c0b52f0-179c-4dc5-9807-bb6a3e596ca6.pdf
6. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები.
https://saras.gov.ge/ka/FinAudit
7. ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი მიმართულებები 2021 წლისთვის.
https://www.saras.gov.ge/Content/files/Quality_control_system_monitoring_directions_for_2021.pdf

Modern requirements for audit quality

Nino Natriashvili
PhD student of Georgian Technical University

Summary

The main issues of audit quality assessment are discussed and actively studied in the field of scientific research. Experts are constantly working to determine audit quality indicators, combining various indicators, in particular, the volume of audits conducted, the speed of error identification, the accuracy of performance continuity assessment parameters, and so on. These efforts demonstrate that a number of factors comprehensively contribute to the auditor's interest in conducting a quality audit.

მსოფლიო რეგულაციები კრიპტოვალუტის მიმართ

გულიკაშვილი ნანა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

მოსიაშვილი ვალერი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

რეზიუმე

აღნიშნული თემა მიზნად ისახავს წარმოადგინოს და გაგვაცნოს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილებაზე დაყრდნობით კრიპტოვალუტების რეგულირება და ამ გამოცდილებიდან გამომდინარე მოხდეს რეკომენდაციების შემუშავება საქართველოს ფინანსური სექტორისათვის მაქსიმალურად ადაპტირებული ხელსაყრელი და კანონმდებლობაზე მორგებული ვარიანტის. რაღათქმაუნდა მოსახლეობის და კერძო სექტორის ინტერესების გათვალისწინების ჩათვლით რაც ვფიქრობ მნიშვნელოვანი და აუცილებელია ნებისმიერი ჩვენთაგანისათვის, რადგან არ მოხდეს ეგრედწოდებული მაინერების და მცირე ბიზნესების დაზარალება და სახელმწიფომ შეინარჩუნოს ქვეყანაში ფულის მასის მარეგულირებელის წამყვანი პოზიცია და ხელსაყრელ პირობებში განაგძოს მუშაობა კერძო სექტორთან ასევე მიიღოს დამატებითი შემოსავალი ბიუჯეტში გადასახადების დახით და შეინარჩუნოს ეროვნული ბანკის ყველა ფუნქციის განხორციელების პრეროგატივა. ასევე მაქსიმალურად იქნეს შემცირებული ქვეყანაში შესაძლო კრიმინალური ფინის გაზრდა კრიპტოვალუტების მონაწილეობით და დაუქვემდებაროს შესაბამის უწყებებს ამ საშუალებით განხორციელებული ყველა ტრანზაქცია. ხოლო კრიპტოვალუტების რეგულირების, მიდგომების და დამოკიდებულებების ოპტიმალური ვარიანტის დანერგვისათვის.

საკვანძო სიტყვები: ელექტრონული ფული. კრიპტოვალუტა, უნაღდო ანგარიშსწორება. დეცენტრალიზებული. მსოფლიო გამოცდილება,სამართლებრივი რეგულირება.

ძირითადი ტექსტი

მსოფლიოში არ არსებობს არავითარი საერთაშორისო შეთანხმება კრიპტოვალუტის შესახებ და ყველა ქვეყანას ამ საკითხთან თავისი მიდგომა აქვს. მას შემდეგ, რაც კრიპტოვალუტების ცნობადობა გაიზარდა მთელს მსოფლიოში სახელმწიფოებმა დაიწყეს ამ სფეროს რეგულირება. ზოგიერთი ქვეყანა უფრო გახნილია კრიპტოვალუტასთან მიმართებაში და მისი გამოყენების არეალიც შედარებით ფართოა. მეორეს მხრივ, ზოგიერთ სახელმწიფოში კრიპტოვალუტა და ანონიმური ტრანზაქციების განხორციელება სრულად აკრძალულია. კრიპტო ვალუტებისადმი ინტერესი რაც უფრო იზრდება, მით მეტია რისკიც. კრიპტოვალუტების სამყაროში. არიან სახელმწიფოები, რომლებიც კრიპტო ვალუტებისადმი დადებითად არიან განწყობილნი და მზად არიან ბლოკჩეინ ტექნოლოგია სახელმწიფო სექტორებში დანერგონ და ვხვდებით ისეთ სახელმწიფოებს, რომლებიც კრიპტოვალუტების რეგულირებას მაქსიმალურად ცდილობენ ან სულაც ყველაფრის აკრძალვას რაც დაკავშირებულია კრიპტო ვალუტების ვაჭრობასთან. "კრიპტოვალუტის გამოყენების ყველაზე კარგი შედეგები შეიძლება იყოს ის, რომ ბიტკოინის ლეგალიზაციით უფრო მეტ თავისუფლებას მივიღებთ. ფინანსები იქნება გაცილებით ძლიერი, რადგან ბიტკოინის ღირებულება მაღალია. ასევე კიდევ უფრო გამარტივდება ფინანსების განკარგვა, თუ მთელი მსოფლიო გამოიყენებს მხოლოდ ერთი ტიპის კრიპტოვალუტას. ამ შემთხვევაში უფრო მარტივად სამართავი გახდება საერთაშორისო ბიზნესები, ვიდრე ახლაა", - წერს Inside Bitcoins-ი. თუ 2017 წელი შეგვიძლია ჩავთვალოთ როგორც ICO-ების წელად, 2018 წელი გვევლინება როგორც კრიპტო ვალუტების მარეგულირებელი გადაწყვეტილებების წელი. უკვე დაწყებულია რეგულაციების ეტაპი და მსოფლიოს ქვეყნები ცდილობენ განსაზღვრონ და დაადგინონ გზები მისი წარმატებით განხორციელებისათვის. უმრავლესი ქვეყნის ლიდერი, ძირითადად, აღნიშნავს, რომ რეგულაციების დაწესების მთავარი მიზანი ფულის გათეთრება, არალეგალური სუბსტანციებით ვაჭრობისა და ტერორიზმის დაფინანსების თავიდან აცილებაა. მიუხედავად იმისა, რომ ბიტკოინი მისი სისტემის, ბლოკჩეინის მეშვეობით დაცული და უსაფრთხოა, შესაძლებელია, ის მომავალში მაინც გახდეს ჰაკერების

თავდასხმის ობიექტი."დაცვა და ციფრული უსაფრთხოება აუცილებლად უნდა განვითარდეს, რათა კრიმინალებისგან იქნას დაცული ეს სისტემა. კრიპტოვალუტა უფრო და უფრო პოპულარული ხდება, ამავდროულად, აშშ-ში დაფიქსირდა BitLicense-ს გაცემის შემთხვევები, რაც გულისხმობს რეგულირების გარკვეულ ფორმას", - წერს ვებგვერდი. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი დადებითი რამ იწერება ინტერ-ნეტში ბლოკჩეინის დაცულ სისტემაზე, ექსპერტთა ნაწილი მაინც ეჭვით უყურებს კრიპტოვალუტებში თანხების დაბანდებას.

აშშ. ამერიკის შეერთებულ შტატებს ამ ეტაპზე კრიპტო ვალუტების რეგულაციის შესახებ არ გააჩნია ერთიანი კონკრეტული ხედვა.თუმცა ამ კონკრეტულის მიმართ გარკვეული რეგულაციების განხორციელებას გეგმავს. ამერიკაში კრიპტოვალუტები არ არის აღიარებული ოფიცილურ საგადამ-ხელო საშუალებად.ხოლო კრიპტოვალუტის ბირჟები რეგულირდება ყველა შტატში ინდივიდუ-ალურად.მათ არ გააჩნიათ თანმიმდევრული და ერთიანი სამართლებრივი ხედვა კრიპტოვალუტასთან მიმართებაში.2013 წლიდან კრიპტოვალუტის ბირჟებს განიხილავენ როგორც ფულადი სახსრების გამტარ ორგანოებს დაექვემდებარება თითოეული შტატის კანონმდებლობას.ხოლო კრიპტოვალუტას ამერიკის კანონმდებლობა განიხილავს როგორც საკუთრებას(კაპიტალი) შესაბამისად მისი ფლობა ექვემდებარება საგადასახადო კანონმდებლობას. ფასიანი ქაღალდების კომისიამ (SEC) ინვესტორებს კრიპტო ვალუტების რისკების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა, შეაჩერა რამდენიმე ICO და მიანიშნა ახალი რეგულაციების საჭიროებაზე. ამის საწინააღმდეგო მიდგომა აქვს სასაქონლო ფიუჩერსებით ვაჭრობის კომისიას(CFTC)ის გახდა პირველი აშშ მარეგულირებელი, რომელმაც ნება მისცა 2018 წლიდან საჯაროდ ევაჭრათ კრიპტო ვალუტების დერივატივებით და შეხვედრებზე განეხილათ ვაჭრობის წესების სავარაუდო ცვლილებებზე. ხაზინის გენერალური მდივნის სტივ მუნჩინის მოსაზრებით მთავარი საფრთხე ფულის გათეთრების მიზნით კრიპტო ვალუტების გამოყენებაა. 2018 წლის 25 იანვარს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის დამსწრე საზოგადოებას კი განუცდახა, რომ მისი ნომერ პირველი ყურადღება კრიპტო ვალუტების მიმართ ის არის, რომ ის არ იქნას გამოყენებული უკანონო საქმიანობებისთვის. მისი განცხადებით, ფინანსური სტაბილურობის ზედამხედველობის საბჭომ ჩამოაყალიბა სპეციალური ჯგუფი ბაზრის შესწავლისათვის და იმის თავიდან ასაცილებლად, რომ კრიპტო ვალუტა არ იქნება „შვეიცარიის საბანკო ანგარიშის ციფრული ანალოგი“. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ინვესტორები, რომლებიც აშშ-ს წარმომადგენლები არ არიან, შტატების მიერ დაწესებული სალიცენზიო დაბრკოლებების გამო შეშფოთებულები არიან. თუ აშშ კრიპტო ვალუტას ისე აღიქვამს როგორც ვალუტას, სავარაუდოა, რომ შტატების ლიცენზიას წინ უსწრებს ფედერალური მთავრობის და ფედერალური მარეგულირებელი ორგანოების ქმედებები. თუმცა, თუ აშშ კრიპტო ვალუტებს მოეპყრობა როგორც „ფასიან ქაღალდს“, კრიპტო ვალუტები, განსაკუთრებით ICO-ები, უნდა განიმარტოს თითოეული შტატის კანონმდებლობის მიხედვით.

კანადა. კანადის ფინანსურ მომხმარებელთა სააგენტო კრიპტო ვალუტებს როგორც „იურიდიულ შეთავაზებად“ არ განიხილავს, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ მთელი ჩრდილოეთი ამ აზრს ემხრობა. რეალურად, ყველაზე გამჭვირვალე ქვეყანად მოისაზრება როცა საქმე ეხება ციფრული ვალუტის გარშემო არსებულ კანონებს (შვეიცარიის გარდა, რომელსაც პოზიციონირება სურს როგორც „კრიპტო-ერი“).

აღსანიშნავი ფაქტია ისიც, რომ 2014 წლის 19 ივნისს, კანადის პარლამენტმა ციფრული ვალუტის შესახებ მსოფლიოში პირველი ეროვნული კანონი მიიღო. 2018 წლის 25 იანვარს, კანადის ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელმა სტივენ პოლოსმა შემდეგი განცხადება გააკეთა, რომ კრიპტო ვალუტები არის კრიპტო/ციფრული, მაგრამ ვალუტა არ არის. მან განაცხადა, რომ ძირითად შემთხვევებში ისინი არ წარმოადგენენ აქტივებს და აღიქვამს როგორც ტექნიკურ ფასიან ქაღალდად. სტივენ პოლოსი აღნიშნავს, რომ „ეს არსებითად სპეკულაციური ან აზარტული თამაშია“. ჩრდილოეთ ამერიკის ფასიანი ქაღალდე-ბის ადმინისტრაციის ასოციაციის (NASAA) თანახმად, კანადა ასოციაციის მასშტაბურ „გამაფრთხი-ლებელ დირექტივას“ (“Cautionary Directive“) შეუერთდა კრიპტო ვალუტების რისკების თაობაზე. მის ყველა წარმომადგენელს მიაჩნია, რომ კრიპტო ვალუტები თაღლითობის მაღალი რისკის მატარებელია.

იაპონია. იაპონიაში მოხდა კრიპტოვალუტის ბიზნესის რეგულირება, 2016 წელს, გადახდის სერვისების კანონში შევიდა ცვლილებები და კრიპტოვალუტა განისაზღვრება შემდეგნაირად :

1. ქონების ღირებულება, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც დაუზუსტებელი პირების მიერ საქონლის შეძენის ან დაქირავებისთვის ან მომსახურების მიწოდებისთვის, რომელიც შეგიძლიათ შეიძინოთ ან გაიყიდოთ დაუზუსტებელ პირებზე, და ის გადაცემულია მონაცემთა დამუშავების ელექტრონული სისტემის საშუალებით ან

2. ქონებრივი ღირებულება, რომელიც შეიძლება გაიცვალოს ქონებრივი ღირებულების მიმართ დაუზუსტებელ პირებთან და მისი ტრანსფორმირება ხდება მონაცემთა ელექტრონული დამუშავების სისტემის საშუალებით.

ექვივალენტური რეგისტრაციის სისტემას, იაპონიის გადახდის მომსახურების შესახებ კანონის შესაბამისად. კრიპტოვალუტების გაცვლის ბიზნესის ჯგუფმა გამოაქვეყნა გადაწყვეტილება 2018 წლის 2 მარტს შექმნან ახალი თვითრეგულირების ორგანოს შექმნის შესახებ, რომლითაც რეგისტრირებულია ყველა რეგისტრირებული გაცვლითი ბიზნესი. ორგანო მიზნად ისახავს FSA– სგან ავტორიზაციის მოპოვებას საგადახდო მომსახურების შესახებ კანონის შესაბამისად. გარდა ამისა, სისხლის სამართლის კოდექსის გადაცემის პრევენციის შესახებ კანონის თანახმად, კრიპტოვალუტის გაცვლითი ბიზნესი ვალდებულია შეამოწმოს იმ მომხმარებლების პირადობა, რომლებიც იხსნება ანგარიშები, ინახავს გარიგების ჩანაწერს და აცნობებს ხელისუფლებას საეჭვო გარიგების აღიარების შესახებ.

ჩინეთი. ჩინეთი კრიპტო ვალუტების წინააღმდეგ ყველანაირ ზომებს იღებს. დაწყებული ICO-ების აკრძალვით, ჩინეთმა ბრძანება გასცა გაეყინათ ყველა საბანკო ანგარიში რაც დაკავშირებული იყო კრიპტო ვალუტის ბარტერთან, ბითკოინის მაინინგთან და ყველაფერს ბანი საერთაშორისოდ დაადო რაც კრიპტო ვალუტებს უკავშირდება. მათ შორის მობილურით თუ ინტერნეტით კრიპტო ვალუტებით როგორც ვაჭრობას ისე ხელმისაწვდომობას. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, გვევლინება როგორც ყველაზე მკაცრი მარეგულირებელი კრიპტო ვალუტის სამყაროში. უცნაურია ის ფაქტი, რომ 2017 წელს, სწორედ რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელი იყო მსოფლიო კრიპტო ვალუტების მომპოვებელთა 50%, და ისიც, რომ სხვა ქვეყნებთან შედარებით კრიპტო ვალუტების ათვისება ყველაზე მეტად ჩინეთმა შეძლო.

ისრაელი. ისრაელის საგადასახადო ორგანოს მიერ დადასტურდა, რომ როგორც საკუთრება კრიპტოვალუტა დაიბეგრება. საგადასახადო კანონმდებლობა მოიცავს კრიპტოვალუტების გაყიდვის კლასიფიცირებას, როგორც კაპიტალის შემოსავალი.

ისრაელის საინფოფორმაციო სააგენტოს "Haaretz" მიხედვით, ისრაელში, კრიპტო ვალუტა ხოლო ბიზნეს სექტორისგან 47%-ით, ხოლო კერძო ინვესტორებისგან 25%-ით იბეგრება.

ინდოეთი. ინდოეთის მთავრობამ ბიტკოინი, აღიარა, როგორც ლეგალური თანხის გადახდის საშუალება. ინდოეთის ერთ-ერთი უდიდესი საფონდო ბირჟის აღმასრულებელმა დირექტორმა მოჰიტ კალრამ პოზიტიურად შეაფასა მთავრობის მიერ ბიტკოინის მიღება და მისი ლეგალიზება.

შვეიცარია. შვეიცარია, სხვა ქვეყნებთან შედარებით, გამოირჩევა საბანკო სექტორში მისი პროგრესული ინდივიდუალური უფლებებისადმი პროგრესული დამოკიდებულებით და ზუსტად ამგვარი დამოკიდებულებით გამოირჩევა ის კრიპტო ვალუტების მიმართაც. დასავლეთ-ევროპული ქვეყანა კრიპტო ვალუტებისადმი გამოირჩევა ღია დამოკიდებულებით.

იოჰან შნაიდერ-ამმანმა, შვეიცარიის ეკონომიკის მინისტრმა, 2018 წლის 18 იანვარს ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მისი სურვილი არ არის შვეიცარია იყოს „კრიპტო-ერი". ფინანსთა მინისტრმა განაცხადა: „ჩვენ გვინდა ICO ბაზარი განვავითაროთ და ავაყვავოთ სტანდარტების კომპორმისის ან/და ფინანსური ბაზრების ჩარევის გარეშე".

2018 წლის 18 იანვარს შვეიცარიამ შეიმუშავა ICO-ს სამუშაო ჯგუფი, რომლის მთავარი მიზანი „ფინანსური ცენტრის მთლიანობის შენარჩუნება, სამართლებრივი სიმტკიცის გაზრდა და ტექნოლოგიურად ნეიტრალური რეგულაციის უზრუნველყოფა". სამუშაო ჯგუფი, ანგარიშს შვეიცარიის ფედერალურ საბჭოს, 2018 წლის ბოლოს წარადგინა.

დასკვნა

დღესდრეობით საქართველოს არ აქვს შემუშავებული არანაირი მარეგულირებელი საკანონ-

მდებლო ჩარჩო კრიპტოვალუტებთან მიმართებაში გარდა ერთი ოფიციალური ბრძანებულე-ბისა.რომელიც 2019 წლის 28 ივნისსს ძალაში შევიდა ფინანსთა მინისტრის ბრძანებით და რომლის მიხედვითაც კრიპტოაქტივის მოსაპოვებლად გამოთვლითი სიჩქარის (სიმძლავრის) მიწოდება დაექვემდებარა დღგ-თი დაბეგვრას. გამოთვლითი სიჩქარე (სიმძლავრე) არის იმ სიმძლავრის საზომი ერთეული, რომლის მეშვეობითაც კომპიუტერი ასრულებს ოპერაციას. დაბეგვრა იმ შემთხვევაში ხდება, თუკი ამ მომსახურების მიმღები წარმოადგენს საქართველოში რეგისტრირებულ პირს ან საქართველოში გააჩნია მართვის ადგილი ან მუდმივი დაწესებულება, რომელსაც უშუალოდ უკავშირდება მიღებული მომსახურება. ფინანსთა მინისტრის გადაწყვეტილებითვე, კრიპტოაქტივის გაცვლა ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაზე გათავისუფლებულია დღგ-სგან.ვფიქრობ უცხოურ გამოცდილებაზე დაყრდნობით შეიძლება შემუშავდეს ბევრად ოპტიმალური ვარიანტი რომლის ამოქმედების შემთხვევაშიც სახელმწიფო ბიუჯეტი მიიღებს დამატებით შემოსავლებს და ასევე სამართლიანად და ლეგალურად შეძლებენ მაინერები და კრიპტობირჟები ფუნქციონირებას, ხოლო ციფრული ოპერაციების მარჟის პროცენტის განსაზღვრა და ლეგალიზაცია დაიცავს როგორც მომხმარებელს დამატებითი ხარჯებისაგან ასევე შეამცირებს არალეგალური ოპერაციების ალბათობის რისკს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1.https://metronome.ge/story/119078
2.https://www.mondaq.com/china/fin-tech/944330/regulation-of-cryptocurrency-in-china
3.https://www.globallegalinsights.com/practice-areas/blockchain-laws-and-regulations/usa
4.https://advokatskafirmasajic.com/blog/cruptocurrency-ico-and-legal-dilemmas/
5. https://www.cjzfirm.com/crypto-reg/
6. https://thewire.in/tech/will-2021-be-the-year-when-india-fs-around-cryptocurrencies
7. https://www.careyolsen.com/sites/default/files/ckchain-and- tion-2020-2nd-Edition.pdf
8.https://www.nortonrosefulbright.com/en/knowledge/publications/5ee1e37e/new-regulatory-regime-for-crypto-assets-in-germany
9. https://www.dailysabah.com/business/finance/turkey-mulls-new-regulations-after-2-crypto-exchanges-go-dark
10. https://www.loc.gov/law/foreign-news/article/russian-federation-new-bill-defines-cryptocurrency-proposes-tax-regulations/
11. https://www.loc.gov/law/help/cryptocurrency/canada.php

World Regulations on Cryptocurrency

Nana Gulikashvili, PhD student of Georgian Technical University

Valeri Mosiashvili, Professor of Georgian Technical University

Summary

This topic aims to present and inform us about the regulation of cryptocurrencies based on the experience of different countries of the world and based on this experience to develop recommendations that are most adapted to the financial sector of Georgia and adapted to the legislation. Of course, taking into account the interests of the population and the private sector, which I think is important and necessary for any of us, so as not to harm the so-called miners and small businesses and the state to maintain the leading position of the money regulator in the country. The prerogative of all the functions of the National Bank. Also, to maximize the possible increase of criminal finances in the country with the participation of cryptocurrencies and to make all transactions carried out through this means subject to the relevant agencies. And for the introduction of an optimal variant of cryptocurrency regulation, approaches and attitudes**.**

Key Words: Electronic money. Cryptocurrency, non-cash payment. Decentralized. World experience, legal regulation.

შიდა აუდიტის როლი სამეწარმეო საქმიანობაში

კატუკია ვალერი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

აბსტრაქტი

აუდიტორიულმა კომპანიებმა 21-ე საუკუნეში მნიშვნელოვნად მოიპოვეს თავი ბაზარზე, თუმცა მაღალი კონკურენტუნარიანობის გამო ისევ ბევრი პრობლემა რჩება მოსაგვარებელი და ერთ-ერთი მათგანი აუდიტორული საქმიანობის სტანდარტიზაციაა. ამ ამოცანის გადაჭრისას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს. შიდა აუდიტის ფუნქცია ყოველთვის განიხილებოდა სახელმწიფო ფინანსური კონტროლის განუყოფელ შემადგენელ ნაწილად. შიდა აუდიტი ფარავს იმ არსებულ რისკებს და საშიშროებებს, რაც ახლავს ხოლმე საჯარო მმართველობას. შიდა აუდიტი შექმნილია ,,სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, რომელიც აფასებს ფინანსური მართვის და კონტროლის სისტემას , ასევე რისკების ეფექტიანობას და გასცემს რეკომენდაციებს მათ გასაუმჯობესებლად. თუმცა დროთა განმავლობაში შიდა აუდიტის არეალი გაფართოვდა, შეიძინა ახალი და დამატებითი ფუნქცია-დატვირთვა. დღეისათვის კი უკვე საჯარო სექტორის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტურობის შეფასებასაც მოიცავს. შიდა კონტროლისა და შიდა აუდიტის გაუმჯობესების მიზნით , წლებია იქმნება არა ერთი საერთაშორისო სტანდარტი , მათ შორისაა INTOSAI (შიდა კონტრილის სტანდარტების გზამკვლევი).

საკვანძო სიტყვები: აუდიტი; კონტროლი; რისკები; სტანდარტები.

ძირითადი ტექსტი

ვინაიდან შიდა აუდიტის როლი დღითიდღე იზრდება და მისი ცალკე სამსახურად ჩამოყალიბება აუცილებელ პირობას წარმოადგენს თითოეულ ორგანიზაციაში, სტატიაში გვსურს ყურადღება გავამახვილოთ არსებული კუთხით არსებულ პრობლემებზე და რეკომენდაციის სახით შემოგვეთავაზოთ პრობლემის გადაჭრის გზები.

საქართველოს კანონის „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ მიხედვით , შიდა აუდიტი არის დაწესებულების საქმიანობის სრულყოფისკენ, მისი მიზნების მიღწევის უზრუნველყოფისა და მისი ამოცანების უკეთესად შესრულებისკენ მიმართული ობიექტური, დამოუკიდებელი, საკონსულტაციო და მარწმუნებელი საქმიანობა, რომელიც დისციპლინირებული, სისტემატიზებული და ორგანიზებული მიდგომით აუმჯობესებს და აფასებს რისკების მართვის, კონტროლისა და მმართველობითი პროცესების ეფექტიანობას.

გლობალიზაციის პირობებში, სააღრიცხვო კონტროლის სფეროში, შიდა აუდიტი ერთ-ერთ ძირითად სახეობას წარმოადგენს, რომელიც ხორციელდება INTOSAI-ის მიერ შემუშავებულ ,,ლიმას დეკლარაციის“ პრინციპების საფუძველზე. INTOSAI საფინანსო კონტროლის უმაღლესი ორგანოების საერთაშორისო ორანიზაციაა და ის ვრცელდება როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის კონტროლის დონეზე, ასევე კერძო სამართლის იურიდიული პირების სააღრიცხვო საქმიანობაზე.

დღეისათვის საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის ყველაზე ეფექტიან და საერთაშორისო დონეზე აპრობირებულ ფორმად აუდიტი და მისი ცალკეული მიმართულებებია მიჩნეული. შიდა აუდიტი ერთ-ერთ ძირითად სახეობას წარმოადგენს, სახელმწიფო ბიუჯეტისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სააღრიცხვო საქმიანოაბში. მისი როლი დღითიდღე მნიშვნელოვანი ხდება და იზრდება სახელმწიფოს ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაციაში.

საბიუჯეტო ორგანიზაციებსა თუ იურიდიული სამართლის პირებს ხშირად აქვთ პრობლემა დასაბუთებული რწმუნების მოპოვების. არის პრობლემები ფინანსურ ანგარიშგებაში და ამდენად აუცილებელია პრობლემების აღმოფხვრის მიზნით აუდიტორული შემოწმების შედეგად დავადგინოთ უზუსტობა გამოწვეულია განზრახ თუ უნებლიე შეცდომით. ბევრ ორგანიოზაციას დღემდე გააჩნია პრობლემა ფინანსების არაეფექტიანი ხარჯვის, რომელიც ვფიქრობთ, რომ კვალიფიციური და

ობიექტური შიდა აუდიტის სამსახურის პირობებში იქნებოდა თავიდან აცილებული. ასევე ხშირად ვაწყდებით ორგანიზაციებში პრობლემას ორგანიზაციულ კულტურასთან დაკავშირებით, რაც ხელს უშლის ორგანიზაციის წარმატებასა და განვითარებას. ქმნის არაჯანსაღ გარემოს, სადაც არსებობს რისკების მაღალი დონე და სამუშაო პროცესში ნაკლოვანებების გამოვლენის მაღალი ალბათობა. აღნიშ-ნული პრობლემების გადაჭრის ერთადერთ გზად ძლიერი შიდა აუდიტის სამსახურს ჩამოყალიბებას მივიჩნევთ. ასევე მთავარ პრობლემად გვესახება ის , რომ ბევრ ორგანიზაციაში დღემდე შიდა აუდიტის სამსახურს მიიჩნევენ სადამსჯელო სუბიექტად და არა ორგანიზაციის წარმატების მთავარ მამოძ-რავებელ ძალად, რომელიც უზუნველყოფს მიმდინარე რისკების შეფასებას, მოსალოდნელი რისკების ანალიზს და კომპანიის სრულყოფისა და განვითარების მიზნით რეკომენდაციების მომზადებას.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დამოუკიდებელი სააქართველოს ისტორია მრავალ წარმატებულ თუ წარუმატებელ კომპანიებს მოიცავს. კვლევები გვიჩვენებს, რომ წარუმატებლობის მთვარ მიზეზად სახელდება შიდა აუდიტის სამსახურების არ არსებობა, რის გამოც პროფესიონალურ დონეზე ვერ ხდებოდა რისკების შეფასება და ნაკოლოვანებების გამოვლენა. როგორც უკვე ვახსენეთ აღნიშული სამსახურის არ არსებობის შემთხვევაში ისტორია ინახავს ბევრ ისეთ წარმატებულ კომპანიას, რომელმაც მიაღწია წარმატებას აღნიშნული სამსახურის გარეშე , მაგრამ ასევე კვლევები გვიჩვენებს რომ შიდა აუდიტის სამსახურის არსებობის შემთხვევაში, კომპანიების წარმატება უფრო მეტი იქნებოდა. შიდა აუდიტის ინსტიტუტის ჩამოყალიბებამ ხელი უნდა შეუწყოს კომპანიებს არებული კურსის გატარებაში. მიუხედავად იმისა რომ სამეწარმეო სექტორში აუდიტორულ საქმიანობას ხანმოკლე ისტორია აქვს ეკონომიკური გარდაქმნების პროცესში სულ უფრო ფართო გავრცელება ჰპოვა მან. შიდა აუდიტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს კომპანიის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში. იმისდა მიუხედავად, რომ აღნიშნული მიმართულებით უკვე არსებობს გარკვეული ნაბიჯები, აუცილებელია არსებული მეთოდების სრულყოფა.

ბაზარზე არსებული კონკურენციიდან გამომდინარე კომპანიის წარმატების მექანიზმად მივიჩ-ნევთ რესურსების ეფექურად და ეფექტიანად გამოყენებას, რისკების შეფასებას და ნაკლოვანებების გამოვლენას საწყის ეტაპზე. საქართველოში შიდა აუდიტის ისტორია ,,სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონით იწყება, რომელიც ფინანსური მართვის და კონტროლის სისტემას აფასებს, ასევე რისკების ეფექტიანობას და გასცემს რეკომენდაციებს მათ გასაუმჯობესებლად. შიდა აუდიტის მეშვეობით ხელმძღვანელისთვის ცნობილი ხდება დაწესებულების შიგნით არსებული კონტროლის მექნიზმები აღწევენ თუ არა მიზანს, რომელიც დაისახეს. გარდა ამისა შიდა აუდიტი ახორციელებს შეფასებას, რის საფუძველზეც მუშავდება რეკომენდაციები, რომელიც შემდეგ დაწესე-ბულების ხელმძღვანელს ეხმარება მართვის პროცესის მიზნების მიღწევაში. იმისთვის რომ მივიღოთ დაზუსტებული ინფორმაცია საჭიროა აუდიტი. ზუსტი და სწორი ინფორმაცია ხელს უწყობს საბაზრო ოპერაციების ეფექტურობას, ამაღლებს მიღებული გადაწყვეტილებების ხარისხს და აქტივების საუკეთესოდ განაწილებას. ყველა დარგი, მათ შორის აუდიტორული საქმიანობა საჭიროებს ისეთ კადრებს რომლებსაც გააჩნიათ მაღალი კვალიფიკაცია და არიან კომპეტენტურები თავიანთ საქმეში. აუდიტორი კი ამ კრიტერიუმებთან ერთად უნდა იყოს მაღალი ზნეობის, ერუდირებული და უაღრესად განათლებული, კეთილსინდისიერი და პატიოსანი ადამიანი, პასუხისმგებლობით აღსავსე საზოგადო-ების, კოლეგების და დამკვეთის მიმართ. აუდიტის ძირითად მიზანს წარმოადგენს ობიექტური ინფორმაციით უზრუნველყოფა საწარმოები და დაინტერესებული პირები. იმფორმაციის მიწოდება შეიძლება იყოს წერილობითი, ოფიციალური ფორმით, სადაც ჩამოყალიბებული იქნება მეცნიერულად დასაბუთებული დამოუკიდებელი მოსაზრება, სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის შესახებ. აზრის გამოხატვა აუდირებული პირის ფინანსური ანგარიშგების უტყუარობაში, მიუკერძოებლობაში და ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების წესის შესაბამისობაზე მოქმედ ნორმატიულ და საკანონმდებლო ბაზის მოთხოვნებთან. ასევე აუდიტის მიზანს წარმოადგენს ადეკვატური აზრის გამოთქმა და შეფასება ფინანსური მართვისა და კონტროლის მექანიზმებზე.

შიდა აუდიტის მთავარ პრინციპს რისკების პრევენცია წარმოადგენს, რაც ბიზნესის განვითარების აუცილებელ პირობად მიგვაჩნია. რისკი არის დაგეგმილი/მოსალოდნელი შედეგიდან გადახრის გამომ-

წვევი მოვლენების მოხდენის ალბათობა, რომელიც უარყოფითად აისახება დაწესებულების რეპუტა-ციაზე, აქტივებზე და სხვა სისტემის ნაწილებზე. რისკი უცხო სიტყვათა ლექსიკონში განიმარტება, როგორც მოსალოდნელი საფრთხე, რისკის გაწევა კი სახიფათო მდგომარეობაში ჩადგომა.

სამსახურეობრივი საქმიანობის პროცესში, აუდიტორმა აუცილებლად უდა შეაფასოს თავისი საქმიანობის რისკის ხარისხი და მიიღოს სწორი გადაწყვეტილება. რისკის პირობებში მირებული გადაწყვეტილება, არის ისეთი გადაწყვეტილება რომლის დროსაც არ ვიცით შედეგი, მაგრამ თითოეული შედეგის ალბათობა ცნობილია და განხილული. ალბათობა ეს არის მოცემული მოვლენის განხორციე-ლების ხარისხი, რომელიც 0-დან 1-მდე იცვლება. რისკი შეიძლება იყოს აუდიტორული, მემკვიდრე-ბითი, კონტროლის, დეტექციური, შეუმჩნეველი, თანდაყოლილი, და ბიზნესის ანუ სამეწარმეო სამიანობის რისკი.

შიდა აუდიტის მნიშვნელობა იქიდანაც ჩანს, რომ იგი არა მხოლოდ საწარმოს ფინანსურს, არამედ შესაბამისობის, სისტემურს, ეფექტიანობისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების კუთხით შემოწმებას და ადეკვატური რეკომენდაციების გაცემას გულისხმობს, რაც ხელს უწყობს საწარმოს ეფექტიანად მუშაობას და აძლევს საწარმოს საშუალებას მიაღწიოს დასახულ მიზანს.

დასკვნა

ბიზნესის განვითარების პერსპექტივები საქართველოში წარმოგვიდგენია შიდა აუდიტის ინსტიტუციური გაძლიერებით, ინტეგრაციული პროცესების გაღრმავებით, რითაც საწარმო გავა წარმატების სარტყელზე და მისი ბიზნესი შეიძენს მომგებიან ფუნქციებს. აუცილებლად მივიჩნევთ სწორი დამოკიდებულებებისა და შეხედულებების ქონას შიდა აუდიტის ყველა მიმართულების მიმართ, ასევე სიღრმისეულ ანალიზს მოსალოდნელი დადებითი, თუ უარყოფითი თანმხლები პროცესების შესახებ. სადაც დიდი მნიშვნელობა მიენიჭება ისეთ მიმართულებებს როგორიცაა:

1. რისკების მართვა;
2. რისკების იდენტიფიკაცია;
3. რისკების ანალიზი;
4. რისკებზე რეაგირება;
5. რისკების კონტროლი;

აღნიშნული ფაქტორების განხილვა უნდა განხორციელდეს სამართლებრივი, სოციალური, პლიტიკური და საერთო ეკონომიკური ინტერესების კუთხით. მიღებულ შედეგებზე მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული საწამოს მომგებიანობა.

ამდენად, გლობალიზაციის პროცესში ბიზნესის ადაპტაციის პროცესს თან ახლავს აუდიტორული სეგმენტის დატვირთვის შესაბამისი ზრდა და თავად აუდიტის სფეროსთვის დამატებითი მოთხოვნებისა და რეგულაციების წაყენების გარდაუვლობა. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ თავად აუდიტის სფეროსა და პროფესიაზე უმნიშვნელოვანესი მოთხოვნებია დღეს საქართველოში გლობალიზაციის პირობებიდან გამომდინარე, რამაც წარმოქმნა მთელი რიგი საკანონმდებლო და სტრუქტურული ცვლილებების აუცილერბლობა ქვეყანაში.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა

1. შიდა აუდიტის მეთოდოლოგია. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო შიდა კონტროლის დეპარტამენტი-ჰარმონიზაციის ცენტრი.
2. ნანა სრესელი - აუდიტი (თეორია). თბილისი 2013
3. ნაილი გაგნიძე, თეა ბიჭიკაშვილი - აუდიტის საფუძვლები. გამომცემლობა,,ფარნავაზი“, გორი 2007
4. ლევან საბაური - აუდიტორული საქმიანობის სტანდარტიზაცია. თბილისი, 2016 წელი
5. თენგიზ ვერულავა - რისკის მართვა. თბილისი, 2013 წელი.
6. https://matsne.gov.ge/ -

7. https://intimes.wordpress.com/2017/02/15/risk-management-%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%90/ -

The role of internal audit in entrepreneurial activities

Valeri katukia
Assistant Professor of Georgian Technical University

Summary

Audit companies development is significant in 21st century, but regardless high competitiveness in this sphere there are also many unsolved problems and one of them is auditing standards. International standards of auditing play an important role in solving this task. The internal audit function has always been considered an integral part of state financial part. Internal audit covers the risks and dangers of public governance. Internal audit system is based on "Law of Georgia on public internal financial control", which estimates the financial management and control system, as well as the effectiveness of risks and makes recommendations to improve them. Over the time area of internal audit has been expanded and there was added many other functions. Nowadays, it includes the assessment of the Socioeconomic efficiency of the public sector. In order to improve internal control and internal audit, not a single international standard has been developed over the years, including INTOSAI (Guide to Internal Control Standards.).

ეფექტიანი საგადასახადო სისტემის ფორმირება სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების გასაუმჯობესებლად საქართველოში

ლიპარტია ზურაბ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი

მირცხულავა ონისე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

სახელმწიფოს მიერ გატარებული სწორი საგადასახადო - საბიუჯეტო პოლიტიკა ქვეყნის არსებობისა და განვითარების მყარ საფუძველს წარმოადგენს. ბიუჯეტის ფორმირება დამოკიდებულია სახელმწიფოში მოქმედ საგადასახადო სისტემის თეორიულ-მეთოდოლოგიურ ბაზისზე, რომელიც იმავდროულად წარმოადგენს ბიზნესის საგადასახადო ადმინისტრირების პროცესის განხორციელების საფუძველს. ქვეყნის მასშტაბით ერთიანი საგადასახადო პოლიტიკის ფორმირებისა და რეგულირებისათვის, ბიზნესის საგადასახადო ადმინისტრირების პროცესში არსებული პრობლემების ანალიზი და სწორი ორიენტირების დასახვა განიხილება სახელმწიფოს ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების ძირითად მიმართულებად, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან ოპტიმალური საგადასახადო პოლიტიკისა და ბიზნესის ეფექტიანი საგადასახადო ადმინისტრირების პირობებში უზრუნველყოფს სახელმწიფო ბიუჯეტის გეგმური მაჩვენებლების შესრულებას, საბიუჯეტო დეფიციტის არსებობისას კი ხელს უწყობს მის დროულ დაძლევას.

შესაბამისად, ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებების პარალელურად, საგადასახადო სისტემა მუდმივად საჭიროებს სრულყოფას. აღნიშნული საკითხების კვლევა და მეცნიერული სიახლეების ძიება უწყვეტად უნდა მიმდინარეობდეს. ამასთან, ბიზნესის საგადასახადო ადმინისტრირების პროცესში მნიშვნელოვანია მეტი ყურადღება დაეთმოს გადასახადის გადამხდელსა და საგადასახადო ორგანოებს შორის არსებულ ურთიერთობებში ფსიქოლოგიური ასპექტებისა და საზოგადოების საგადასახადო ცნობიერების როლის ამაღლების საკითხებს. ყოველივე ეს კი უფრო საინტერესოს, მიმზიდველსა და აქტუალურს გახდის მთლიანად საგადასახადო სისტემის და, შესაბამისად, ბიზნესის საგადასახადო ადმინისტრირების პროცესთან დაკავშირებული პრობლემების მეცნიერულ შესწავლას და გადაჭრას შეუწყობს ხელს.

საკვანძო სიტყვები: საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკა; ეფექტიანი საგადასახადო ადმინისტრირება; ფისკალური ეფექტი; ლაფერის ეფექტის მრუდი.

ძირითადი ტექსტი

ქვეყანაში გადასახადებისა და საგადასახადო ურთიერთობათა ხასიათი, მათი დაწესებისა და საგადასახადო ტვირთის განაწილების პრობლემები ყოველთვის იყო ეკონომისტების, ფილოსოფოსების, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა ყურადღების ცენტრში. სახელმწიფოს განვითარების კვალდაკვალ ვითარდებოდა საგადასახადო სისტემაც. მკვლევართა დიდი ნაწილი ყველაზე ადრეული ტიპის საგადასახადო დაბეგვრის სახელმწიფო-ორგანიზაციულ ფორმად მიიჩნევს მსხვერპლშეწირვას, რომელიც ყოველთვის არ იყო ნებაყოფლობითი და წარმოადგენდა გარკვეულ დაუწერელ კანონს.

თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროში სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა რეგულირების ერთ-ერთ ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენს გადასახადები-საგადასახადო პოლიტიკა. გადასახადებით დაბეგვრის აუცილებლობა და ეფექტიანი საგადასახადო სისტემის არსებობა დაკავშირებულია სახელმწიფოს ფუნქციონირებასა და მის მიერ მასზე დაკისრებული ფუნქციების განხორციელებასთან. სახელმწიფო მასზე დაკისრებული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ფუნქციების განსახორციელებლად ობიექტურად საჭიროებს მნიშვნელოვანი ფულადი რესურსების მობილიზაციას. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეფექტური წარმართვა და რეგულირება დიდად არის დამოკიდებული ხელისუფლების უნარზე თუ რამდენად სწორად გაარკვევს, პროგნოზირებას გაუკე-

თებს და ოპტიმალურად გათვლის სახელმწიფოს აუცილებელ ხარჯებს და მისი დაფინანსების საჭირო მოცულობის შემოსავლებს.

კვლევები მოწმობს რომ ნებისმიერ ქვეყანაში, მიუხედავად ეკონომიკური განვითარების დონისა, ყოველთვის ჩნდება ფინანსური რესურსების მოზიდვის, დაფინანსებისა და მისი ეფექტიანად ხარჯვის პრობლემები, რომლის გადაჭრაში განსაკუთრებული როლი ენიჭება საგადასახადო სისტემას, ვინაიდან სწორი, არსებულ რეალობასთან შესატყვისი საგადასახადო პოლიტიკა არის ერთ-ერთი, თუ არა ერთადერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი სახელმწოფოს წინაშე არსებული პრობლემების დაძლევაში, ვინაიდან გადასახადები ეროვნული შემოსავლის განაწილების მთავარ მეთოდს წარმოადგენს, რომლის მეშვეობითაც ნებისმიერი ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტში თავს იყრის შემოსავლების დაახლოებით 90 პროცენტი.

გადასახადების ფორმირება ძირითადად წარმოებდა და წარმოებს ახლად შექმნილი ღირებულებით, რომელიც საზოგადოების მიერ არის წარმოებული და სახელმწოფოს მიერ მითვისებული. მთლიანი შიდა პროდუქტის ნაწილის გადასახადების სახით სახელმწოფო ბიუჯეტში აკუმულაცია და მისი გამოყენება წარმოებს უპირატესად ქვეყნის ხელისუფლების მიერ სახელწიფოს ფუნქციების შესასრულებლად და, რათქმაუნდა, სახელმწიფო მმართველობის სტრუქტურების შესანახად, თუმცა მთელი საზოგადოება სარგებლობს იმ სიკეთით, რომელიც გადასახადების საშუალებით მიიღწევა.

გადასახადებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს იმ ეკონომიკურ ბერკეტებს შორის, რომელთა საშუალებითაც სახელმწიფო ზემოქმედებს საბაზრო ურთიერთობებზე. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ქვეყნები ფართოდ იყენებენ საგადასახადო პოლიტიკას, როგორც ბაზრის ნეგატიურ მოვლენებზე რეაგირების განმსაზღვრელ რეგულატორს. საბაზრო ეკონომიკის პირობებში გადასახადები ორ ძირითად ფუნქციას ასრულებს- ფისკალურს და მარეგულირებელს, რომელთაგან თითოეული ასახავს შინაგანი არსს ცალკეულ მხარეებს, თავისებურებებსა და ნიშნებს.

ფისკალური ფუნქცია ვლინდება სახელმწიფოს ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფაში, რომელიც აუცილებელია საერთო სახელმწიფოებრივ მოთხოვნილებათა შესასრულებლად. ხელისუფლება გადასახადების ფისკალური ფუნქციის მეშვეობით უზრუნველყოფს:1) სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებსა და ხარჯებს შორის ბალანსის მიღწევას; 2) საბიუჯეტო სისტემის სხვადასხვა რგოლებს შორის საგადასახადო შემოსავლების თანაბარზომიერად განაწილებას;3) მაღალი დონის სოციალური ინფრასტრუქტურის შექმნას სახელმწიფოსა და ცალკეულ რეგიონებში;4) ყველა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ამოცანის შესრულებას.

გადასახადების მარეგულირებელი ფუნქციის არსი შემოსავლის გადანაწილებით პროცესში შემდეგი გადასახადების მარეგულირებელი ფუნქციების მეშვეობით წარმოებს, როგორიცაა:1) მოთხოვნა-მიწოდების რეგულირება;2) მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სტიმულირება;3) ცალკეული სოციალური ჯგუფების შემოსავლების გათანაბრება;4) მოსახლეობის დანაზოგების სტიმულირება;5) ბიზნესის განვითარება;6) ექსპორტ-იმპორტის საქმიანობის რეგულირება და სხვა.

ცნობილია, რომ გადასახადების ფისკალური და მარეგულირებელი ფუნქციების შინაგანი ერთიანობა არ გამორიცხავს თვით ფუნქციებში და ფუნქციებს შორის წინააღმდეგობებსაც, რაც უშუალოდ გადასახადების არსში, როგორც წარმოებით ურთიერთობათა სპეციფიკურ ფორმაში არის ჩადებული. ფისკალური ფუნქცია გამოხატავს გადასახადის გადამხდელის ურთიერთობას სახელმწიფოსთან, ხოლო მარეგულირებელი ფუნქცია - სახელმწიფოს ურთიერთობას გადასახადის გადამხდელთან.

განვითარების ნებისმიერ ეტაპზე მდგომი სახელმწიფოსათვის ოპტიმალური საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბება უდიდესი მნიშვნელობის პრობლემას წარმოადგენს. დღესდღეობით არ არსებობს მსოფლიოში სახელმწიფო, სადაც მუდმივად არ დაობდნენ გადასახადების სახეების, სტრუქტურის, განაკვეთების და მთლიანად საგადასახადო პოლიტიკის თაობაზე. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ საგადასახადო სისტემა უნდა ესადაგებოდეს ქვეყნის რეალურ ეკონომიკურ მდგომარეობას და ადეკვატურად უნდა შეესაბამებოდეს მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებს. შესაბამისად საგადასახადო სისტემა მუდმივ ცვალებადობასა და სრულყოფას უნდა განიცდიდეს შესაბამისად ეს ჰუმანური და პროგრესული საზოგადოების საგადასახადო სისტემის **ზოგადი პრინციპები,** გადასახა-

დით დაბეგვრის თვალსაზრისით უნდა აკმაყოფილებდეს ისეთ ძირითად მოთხოვნებს, როგორიცაა: გადასახადების დასაბუთება, პიროვნების პრიორიტეტულობა და გადასახადის არადისკრიმინაციულობა, გაუპიროვნებულობა, ნეიტრალურობა და ეფექტიანობა, "ლეგიტიმურობა", ორმაგი დაბეგვრის გამორიცხვა, გამჭვირვალობის დაცვა და თვითნებობის დაუშვებლობა. ასევე მნიშვნელოვანია შემდეგი პრინციპების დაცვა: გადასახადების სამართლიანი გადანაწილება, გადასახადების სიმარტივე, გარკვეულობა, გადასახადების აკრება ხელსაყრელ პერიოდში, გადასახადების ამოღების პროცედურა მინიმალური დანახარჯების პირობებში.

საგადასახადო პოლიტიკა წარმოადგენს გადასახადების ასაკრეფად სახელმწიფოს ღონისძიებათა ერთობლიობას, რომელიც ტარდება ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მხარდასაჭერად, წარმოების მოცულობასა და მოსახლეობის გადახდისუნარიან მოთხოვნას შორის დისპროპორციის აღმოფხვრის მიზნით. თეორიულად საგადასახადო დაბეგვრის დონე უნდა შეესაბამებოდეს იმ ფაზას, რომელშიც ქვეყნის ეკონომიკა იმყოფება. კერძოდ, წარმოების აღმავლობის პირობებში საჭიროა გადასახდების განაკვეთების გაზრდა, რაც არ გამორიცხავს პრიორიტეტული დაბეგვრისათვის მათი კლების ალბათობას, კრიზისის შემთხვევაში-კი გადასახადების განაკვეთების შემცირებასა დამწარმოებლისათვის საგადასახადო შეღავათების შემოღებას, რიგ შემთხვევაში კი რეგრესული განაკვეთის დადგენას გადასახადებზე.

მსოფლიო პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს **საგადასახადო შემოსავლებს** ქვეყნის განვითარებისთვის. გადასახადები წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების მთავარ შემავსებელ წყაროს, რაც დიდია ბიუჯეტის შემოსავლები მით უფრო მეტად შეუძლია სახელმწიფოს გადაჭრას სხვადასხვა ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემები. საგადასახადო შემოსავლები მთლიანად დამოკიდებულია საგადასახადო სიმძიმეზე. გადასახადების სიდიდის ზრდა იწვევს საგადასახადო შემოსავლების ზრდას მანამ სანამ ის არ მიაღწევს მაქსიმალურ ოპტიმალურ წერტილს და შემდეგ იწყებს კლებას. ეს დამოკიდებულება ნათლად არის ასახული გრაფიკულად ლაფერის მრუდზე.

ცნობილმა ამერიკელმა მეცნიერმა ლაფერმა აღნიშნული მრუდით ასახა გადასახადების სიდიდისა და საგადასახადო შემოსავლების დამოკიდებულება თავისი სახელმწიფოს მაგალითზე. აშშ წარმოადგენს კლასიკური საბაზრო ეკონომიკის მაგალითს, სადაც ქვეყნის გამოყენებითი ეკონომიკური პოტენციალი ათვისებულია ან თითქმის ათვისებულია. განვითარებული ქვეყნების (დანია, საფრანგეთი, ინგლისი,აშშ) საგადასახადო სისტემები გვიჩვენებს, რომ მათი საგადასახადო სიმძიმე უფრო მაღალია ვიდრე განვითარებადი ქვეყნების.მიმაჩნია რომ ოპტიმალური წერტილის მისაღწევად მოცემულ გრაფიკზე უნდა შემოვიტანოთ ეკონომიკური პოტენციალიდან გადახრის მაჩვენებელი, რომელსაც შემდეგი სახე უნდა ჰქონდეს (იხ.ნახაზი N1).



ნახაზი N1.ლაფერის ეფექტის მრუდი.

A წერტილი გვიჩვენებს განვითარებული ქვეყნის საგადასახადო შემოსავლების ოპტიმალურ წერტილს ანუ სახელმწიფოს უმაღლეს ფისკალურ მაჩვენებელს, როდესაც მისი ეკონომიკური

განვითარება ქვეყნის გამოყენებითი ეკონომიკური პოტენციალის ტოლია ან მიახლოებულია. **B წერტილი** განვითარებადი ქვეყნების საგადასახადო შემოსავლების ოპტიმალურ წერტილს; ხოლო a წრფე- ეკონომიკური პოტენციალიდან გადახრის მაჩვენებელს. იგი აჩერებს ოპტიმალური წერტილის B წერტილიდან A წერტილამდე მიღწევის საშუალებას ანუ იგი განვითარებადი ქვეყნების საგადასახადო შემოსავლების ოპტიმალური წერტილია. რაც უფრო ქვეყნის ეკონომიკური განვითარება დშორებულია მისი ეკონომიკური გამოყენებით პოტენციალიდან, მით უფრო მარცხნივ გადაიწევს და პირიქით, როცა ქვეყნის ეკონომიკური განვითარება ახლოს იქნება მის გამოყენებით ეკონომიკურ პოტენციალთან **a წრფე** მიახლოებული იქნება A წერტილთან.

ამრიგად, ლაფერის მრუდი რომელიც წარმოადგენს საგადასახადო შემოსავლების ოპტიმიზაციის მოდელს, ის მხოლოდ განვითარებული ქვეყნებისათვის შეიძლება იყოს გამართლებული, ხოლო ის წერტილი რომელიც განვითარებული სახელმწიფოსათვის წარმოადგენს ოპტიმალურს, ვერ იქნება ოპტიმალური განვითარებადი ქვეყნებისათვის. მისი უმაღლესი ფისკალური წერტილი იქნება ეკონომი-კური პოტენციალიდან გადახრის წრფისა და ლაფერის მრუდის გადაკვეთის წერტილი.

დასკვნა

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ეფექტიან საგადასახადო პოლიტიკას მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარების უზრუნ-ველყოფაში, ჯანსაღი ბიზნესგარემოს შექმნაში, საბაზრო ეკონომიკის თანმხლები ნაკლოვანებების აღმოფხვრასა და სოციალური პრობლემების მოგვარებაში.

საგადასახადო დაბეგვრის თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ საგადასახადო პოლიტიკის გატარებისას არ არსებობს რეცეპტი ყველა შემთხვევაზე. სახელმწიფოს საგადასახადო პოლიტიკა უნდა გამომდინარეობდეს კონკრეტული ეკონომიკური სიტუაციიდან და ქვეყნის სტრატეგიული გეგმიდან. გადასახადები არ შეიძლება განვიხილოთ როგორც პანაცეა, როგორც საზოგადოების წინაშე არსებული ყველა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის გადაწყვეტის გზა, თუმცა გამართულ საგადასახადო სისტემას შეუძლია სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნებისა და ანტიკრიზისული ღონისძიებების გატარება. ამასთანავე, ეროვნული და საზღვარგარეთის ქვეყნების დაბეგვრის სისტემის ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ არ არსებობს სრულფასოვანი და იდეალური საგადასახადო სისტემა და, რომ ქვეყანაში მიმდინარე სოციალური და ეკონომიკური განვითარების პარალელურად სახელმწიფოს ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს მის გაუმჯობესებაზე.

ამრიგად, ერთადერთი ქმედება, რაც საგადასახადო სისტემის სრულყოფის მიზნით შესაძ-ლებელია გაკეთდეს, არის არა ექსპერიმენტების ჩატარება, არამედ გადასახადებთან დაკავშირებით სხვადასხვა კვლევებისა და შეხედულებების ანალიზი, ქვეყნების გამოცდილებების შესწავლა და არა მათი პირდაპირი კოპირება ქვეყნის ეკონომიკაში, არამედ ლოგიკური დასკვნების გაკეთება, საგადასახადო სისტემის აგების ძირითადი პრინციპების დანახვა, ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობის შეფასება, არსებული სიტუაციის გათვალისწინება, მომავალი გეგმის დასახვა და ოპტიმალური საგადასახადო სისტემის შემუშავება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვ. მოსიაშვილი, მ. ჭელიძე, „ფინანსები“, - თბილისი, გამომცემლობა “დანი”, 2016.
2. ყამარაული ს., ჩიკოლაშვილი მ., ყამარაული ლ., გადასახადები და დაბეგვრა, თბ., 2010.
3. ცაავა გ. საჯარო ფინანსები. თბ., „დანი“. 2013
4. საქართველოს საგადასახადო კოდექსი 2018
5. ეკონომიკის პრინციპები გრეგორი მენქიუ 2008
6. ზ.ლიპარტია ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური აუდიტის ადმინისტრირება საქართველოში, თბ.2017
7. www.doingbusiness.org

Creating an effective tax system to improve socio-economic transformations in Georgia

Lipartia zurab
Invited professor at Georgian Technical University

Mirtskhulava Onise
PhD student of Georgian Technical University

Summary

Correct fiscal policy pursued by the state is a solid foundation for the existence and development of the country. The formation of the budget depends on the theoretical and methodological basis of the tax system operating in the state, which at the same time is the basis for the implementation of the process of tax administration of business. The formulation and regulation of a unified tax policy throughout the country, analysis of problems in the process of tax administration of business and determination of the correct orientation is considered the main direction of effective economic policy of the state timely.

Consequently, in parallel with the socio-economic and political changes taking place in the country, the tax system is constantly in need of improvement. Research on these issues and the search for scientific innovation must continue. However, in the process of business tax administration, it is important to pay more attention to the issues of the psychological aspect and to increase the role of tax awareness of the population in the relationship between the taxpayer and the tax authorities. All this will make it more interesting, attractive and relevant for scientific study and solution of problems related to the tax system as a whole and, as a result, to the process of tax administration of business.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ფინანსური სტაბილურობისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით გატარებული ღონისძიებები

ნოზაძე მზევინარ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

მუშკუდიანი ვალერი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

კუტუბიძე შალვა
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

აბსტრაქტი

მიკროსაფინანსო სექტორი სახელმწიფოს ეკონომიკური სისტემის ერთ-ერთი შემადგენელი სექტორია. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში მრავალ-მხრივია. მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, როგორც საკრედიტო დაწესებულებები, ქმნიან პირობებს, ახალი პროექტების დასაფინანსებლად. მათ მიერ საკრედიტო პორტფელის შექმნა ზრდის წარმოებას, ვაჭრობას, დასაქმებას და ყოველივე ეს ხელს უწყობს ეკონომიკის განვითარებას, მაგრამ ამავე დროს ძალზედ მნიშვნელოვანია საკრედიტო პორთფელის ფორმირება მოხდეს პასუხისმგებლიანი დაკრედიტების სტანდარტების გათვალისწინებით. ჩვენი კვლევის მიზანია შევისწავლოთ თუ რა ღონისძიებები და ცვლილებები იქნა გატარებული მარეგულირებელი ორგანოს მიერ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში ფინანსური სტაბილურობისა და მომხმარებელთა უფლებების უზრუნველყოფის დაცვის მიზნით.

საკვანძო სიტყვები: მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, საქართველოს ეროვნული ბანკი, პასუხის-მგებლიანი დაკრედიტების სტანდარტი, ფინანსური სტაბილურობა, მომხმარებელთა უფლებების დაცვა.

ძირითადი ტექსტი

ბოლო 4 წლის განმავლობაში არასაბანკო სექტორის რეგულირებისა და ზედამხედველობის კუთხით განხორციელდა ძირეული ცვლილებები, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა ამ სექტორის რისკები და სისტემა უფრო სტაბილური გახადა.

2018 წლის 1 სექტემბრიდან ძალაში შევიდა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება „მიკროსა-ფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“, აღნიშნული ბრძანების თანახმად მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საზედამხედველო კაპიტალი უნდა იყოს არანაკლებ 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარი[1]. გარდა ამისა მისო-ებს მიეცათ საშუალება მსესხებელზე ან მსესხებელთა ჯგუფზე გაცემული სესხების ჯამური ოდენობის ლიმიტი 50 000 ლარიდან გაეზარდათ 100 000 ლარამდე, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ თუ ადრე დოლარშიც შეეძლოთ სესხი გაცემა ახალი ცვლილებებით მათ შეუძლიათ სესხი გასცენ მხოლოდ ლარში. მიკროსაფინანსო ორგანიზაციას ეკრძალება 100 000 ლარამდე (უცხოური ვალუტით შესაბამისი ეკვივალენტის) ღირებულების თამასუქის ფიზიკურ პირზე გაცემა. ეს შეზღუდვა მიკროსაფინანსო ორგანიზაციაზე არ ვრცელდება, თუ იგი თამასუქს 20-ზე ნაკლებ ფიზიკურ პირზე გასცემს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შეტანილი შესაბამისი ცვლილებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მაქსიმალური ოდენობა თავდაპირველად განისაზღვარა 100%-ის ოდენობით, თუმცა მოგვიანებით კვლავ იქნა შემცირებული და საბოლოოდ დღეს მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ზედა ზღვარი შეადგენს 50%. ასევე დაწესდა ზღვარი, რომლითაც სესხის ხელშეკრულების

[1] საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №142/04 2018 წლის 5 ივლისი ქ. თბილისი, „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების ფორმირების წესის დამტკიცების თაობაზე“.

ნებისმიერი პირობის დარღვევის გამო მსესხებლისათვის ხელშეკრულებით პირგასამტეხლოს და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის ოდენობა ყოველი ვადაგადაცილებისას ჯამურად არ უნდა აღემატებოდეს სესხის მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას.

2020 წელის 1 თებერვლიდან, შესაბამის ნორმატიულ აქტებში შეტანილი ცვლილების თანახმად, მიკროსაფინანსო ორგანიზაციას ეკრძალება გაცემული სესხის უზრუნველსაყოფად მიღებული ქონების, მის მიერ აღებული ნებისმიერი სახის ვალდებულების უზრუნველყოფის საგნად გამოყენება[1].

2019 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა „ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულება“, რამაც ხელი შეუწყო ამ სექტორში პასუხისმგებლიანი დაკრედიტების სტანდარტის დამკვიდრებას. განისაზღვრა სესხის მომსახურების მაქსიმალური კოეფიციენტები, რომლის დაცვა სავალდებულო გახდა როგორც მსესხებლის ისე თავდების შემთხვევაში. აღნიშნულმა ცვლილებამ შიძლება ითქვას მნიშვნელოვნად გაურთულა საფინანსო ინსტიტუტებს სესხის გაცემის შესაძლებლობა. კოეფიციენტები განისაზღვრა შემდეგნაირად:

ყოველთვიური წმინდა შემოსავალი, ლარი	**არაჰეჯირებული მსესხებლებისთვის მაქსიმალურ / საკონტრაქტო ვადიანობაზე**	**ჰეჯირებული მსესხებლებისთვის მაქსიმალურ / საკონტრაქტო ვადიანობაზე**
<1,000	20% / 25%	25% / 35%
>=1,000-2,000<		35% / 45%
>=2,000-4,000<	25% / 30%	45% / 55%
>=4,000	30% / 35%	50% / 60%

2020 წლის 15 აპრილიდან „ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულება“-ში შევიდა ცვლილება, რომლითაც შედარებით გამარტივდა მოთხოვნები. კერძოდ სესხის მომსახურების მაქსიმალური კოეფიციენტები განისაზღვრა შემდეგნაირად[2]:

ყოველთვიური წმინდა შემოსავალი (ლარი ან მისი ეკვივალენტი უცხოური ვალუტით)	სესხი უცხოური ვალუტით (გარდა იმ შემთხვევისა, თუ შემოსავალიც იმავე ვალუტაშია)	სესხი ლარით (ან უცხოური ვალუტით თუ მსესხებლის შემოსავალი იმავე ვალუტაშია)
<1,000	20%	25%
>=1,000	30%	50%

ამავე დებულებით განისაზღვა სესხის ვადის მაქსიმალური ხანგრძლივობა რომელიც ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

- ლარით გაცემული იპოთეკური სესხის შემთხვევაში ან/და თუ მსესხებლის შემოსავალი და სესხი ერთსა და იმავე ვალუტაშია – არაუმეტეს 20 (ოცი) წელი, ხოლო უცხოურ ვალუტაში გაცემული იპოთეკური სესხის შემთხვევაში, თუ მსესხებლის შემოსავალი და სესხის ვალუტა ერთმანეთისგან განსხვავდება – არაუმეტეს, 15 (თხუთმეტი) წელი;
- უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხის შემთხვევაში – არაუმეტეს 10 (ათი) წელი;
- სატრანსპორტო სესხის შემთხვევაში, გარდა სამეწარმეო მიზნობრიობით გაცემული სესხებისა – არაუმეტეს 6 (ექვსი) წელი;
- სხვა დანარჩენი სამომხმარებლო სესხების შემთხვევაში – არაუმეტეს 4 (ოთხი) წელი.

2021 წლის 1 აპრილიდან ძალაში შევიდა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება

[1] საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №142/04 2018 წლის 5 ივლისი ქ. თბილისი, „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების ფორმირების წესის დამტკიცების თაობაზე“.

[2] საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №44/04 2020 წლის 13 მარტი ქ. თბილისი, „ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“.

„ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების თაობაზე“, რომლის მიზანია საფინანსო სექტორის ფინანსური მდგრადობისა და გამჭვირვალობის ხელშეწყობა, ასევე, საფინანსო სექტორისადმი საზოგადოების ნდობის ამაღლების, მომხმარებელთა ინტერესების მაქსიმალურად დაცვისა და ბაზარზე არსებული საფინანსო პროდუქტების შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს როგორც მომხმარებლის მიერ ახალი საფინანსო პროდუქტების აქტიურ გამოყენებას, ასევე მათთან დაკავშირებული სხვადასხვა რისკების შემცირებას.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის არის აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების ფორმირება. რასაც არეგულირებს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება ”მიკროსაფინანსო ორგანიზაციების აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების ფორმირების წესის დამტკიცების თაობაზე“.

ყველა მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ვალდებულია შექმნას აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვი. კატეგორიების მიხედვით აქტივების კლასიფიკაცია უნდა ეფუძნებოდეს თითოეულ კატეგორიასთან დაკავშირებულ სტანდარტებსა და კომპონენტებს.

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ვალდებულია ყოველთვიურად განახორციელოს ადეკვატური რეზერვების შექმნა დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვი იქმნება ეროვნულ ვალუტაში, ნებისმიერი ვალუტით ფორმირებული აქტივების დასაფარავად. დარეზერვებაზე გაწეული ყველა ახალი რეზერვი უნდა გატარდეს ხარჯებში და აისახოს მიმდინარე წლის მოგება-ზარალის უწყისში. უიმედოდ კლასიფიცირებული აქტივი ჩამოწერილი უნდა იქნეს ბალანსიდან, შესაძლო დანაკარგების რეზერვის დადებეტებით და შესაბამისი აქტივის ანგარიშის დაკრედიტებით.

კონკრეტულ შემთხვევებში ეროვნულ ბანკს უფლება აქვს მთლიანი პორტფელის ან მისი ნაწილის რისკების გათვალისწინებით მიკროსაფინანსო ორგანიზაციას მოსთხოვოს საერთო რეზერვის შექმნა. სწორედ აღნიშნული შემთხვევა გამოიყენა ეროვნულმა ბანკმა კოვიდ პანდემიის პირობებში, როდესაც მოხდა სესხების გადავადება, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს დაევალათ დაეზერვებინათ მთლიანი სესესხო პორთფელის 5%-ის ოდენობით.

აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვი

ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა	მყარად უზრუნველყოფილი	არამყარად უზრუნველყოფილი	საბლანკო
0-30	0%	0%	0%
30–60	10%	10%	30%
60–90	10%	30%	50%
90–120	30%	30%	50%
120-150	30%	50%	100%
150-180	50%	50%	100%
180-ზე მეტი	100%	100%	100%

შესაბამისად აქტივების კლასიფიკაცია წარმოებს ხუთი კატეგორიის მიხედვით[1]:

ა) სტანდარტული – 0% რეზერვის განაკვეთი;

ბ) საყურადღებო – 10% რეზერვის განაკვეთი;

გ) არასტანდარტული – 30% რეზერვის განაკვეთი;

დ) საეჭვო – 50% რეზერვის განაკვეთი;

ე) უიმედო –100% რეზერვის განაკვეთი.

[1] საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №142/04 2018 წლის 5 ივლისი ქ. თბილისი, „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების ფორმირების წესის დამტკიცების თაობაზე“.

დასკვნა

განხორციელებულმა ცვლილებებმა ხელი შეუწყო, როგორც ფინანსურ მდგრადობასა და გამჭვირვალობას, ისე მომხმარებელთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფას, შეთავაზებული მომსახურების ხელმისაწვდომობასა და უსაფრთხოებას.

თუმცა მეორეს მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ გატრებულმა ცვლილებებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ბაზარზე, მიუხედავად იმისა, რომ განხორციელებული ცვლილებები ითალისწინებდა გონივრულ ვადებს რათა საფინანსო ინსტიტუტები მორგებოდნენ ახალ რეალობას, ბევრმა მიკროსაფინანსო ორანიზაციამ ვერ მოახდინა მორგებოდა ცვლილებებს და იძულებული გახდა ლიკვიდაცია მოეხდინა, თუ 2018 წლის 31 დეკემბრის მგომარეობით ქვეყანაში ფუნქციონირებდა 67 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, 2019 წლის 31 დეკემბრის მგომარეობით მათი რიცხვი 48-მდე შემცირდა, დღეს კი ბაზარზე წარმოდგენილია 39 სუბიექტი, ლიკვიდაციის პროცესში არის 8 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია.

მიუხედავად მრავალი სირთულისა, რომლის გადალახვაც მოუხდათ და უხდებათ დღესაც მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მისო-ების ფინანსური სტაბილურობისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით გატარებული ღონისძიებები შეიძლება შევაფასოთ დადებითად, რადგან აღნიშნულ ცვლილებებამდე სექტორი შეიძლება ითქვას უკონტროლოდ იყო მიშვებული, ხშირად ირღვეოდა მომხმარებელების უფლებები, არ სრულდებოდა პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრინციპები, რასაც ადასტურებს: მოსახლეობის ჭარბვალიანობა და ეგრეთ წოდებულ „შავ სიაში“ მოხვედრილი უამრავი ადამიანი, განუსაზღვრელი პროცენტები სესხებზე რომელიც ხშირ შემთხვევაში სამნიშნა რიცხვსაც კი შეადგენდა, ასევე დაზარალებული უამრავი ადამიანი, რომელთა სამრთლებრივი დავები დღესაც გრძელდება.

სწორედ აღნიშნული ღონისძიებების განხორციელება წარმოადგენს ქვეყნის მიკროსაფინანსო სექტორის სტაბილური და მდგრადი ფუნქციონირებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის წინაპირობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №142/04 2018 წლის 5 ივლისი ქ. თბილისი, „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების ფორმირების წესის დამტკიცების თაობაზე“.
2. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №44/04 2020 წლის 13 მარტი ქ. თბილისი, „ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“.
3. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №143/04 2018 წლის 5 ივლისი ქ. თბილისი, „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“.
4. წლიური ანგარიში 2019 საქართველოს ეროვნული ბანკი.
5. www.nbg.gov.ge

Measures implemented for financial stability of microfinance organizations and for protection of customer rights

Mzevinar Nozadze
Associate professor of Georgian Technical University

Valeri Mushkudiani
PhD student of Georgian Technical University

Shalva Kutubidze
Doctor of Economics

Summary

Microfinance organizations are one of the sector of economic growth of state. Role of the microfinance organizations in the development of economy is multifaceted, they are creating credits, which are additional sources for development of new projects.

Changes in regulations and oversight in non-banking sector, assisted to ensure financial stability and transparency, as well as protection of customer rights, accessibility and security of presented services.

In spite of numerous difficulties, which microfinance organizations encountered and will encounter, measurements implemented by national bank of Georgia, to ensure financial stability of microfinance originations and protection of customer rights, can be evaluated positively

.

]

ოპტიმალური დივიდენდური პოლიტიკის შერჩევის შესაძლებლობები საქართველოს კომპანიებში

პაპასკირი რუსუდან
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

სტატიაში - „ოპტიმალური დივიდენდური პოლიტიკის შერჩევის შესაძლებლობები საქართველოს კომპანიებში“ - განხილულია დივიდენდური პოლიტიკის შემუშავების სამი ძირითადი და ერთი დამატებითი (ახალი) მიდგომა, აღწერილია მათი დადებითი მხარეები, ნაკლოვანებები და, აგრეთვე, ამ პოლიტიკის მოწინააღმდეგეთა არგუმენტები.

სტატიაში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი საქართველოს კომპანიებისთვის, კერძოდ, აქციონერული საზოგადოებებისთვის დივიდენდური პოლიტიკის შემუშავების საკითხს. რადგან საქართველოში დაბეგვრის ესტონურ მოდელზე გადასვლის შემდეგ რეინვესტირებული მოგება არ იბეგრება, სტატიის ავტორი კომპანიებს ურჩევს გადასახადის დიფერენციაციის მიდგომის გამოყენებას.

საკვანძო სიტყვები: დივიდენდური პოლიტიკა; ირელევანტობა; არსებითობა; გადასახადების დიფერენციაციის მიდგომა.

ძირითადი ტექსტი

ფინანსების თეორიაში ოპტიმალური დივიდენდური პოლიტიკის სამი თეორიაა ცნობილი [1, გვ. 880]:

- ირელევანტობის თეორია (Dividend Irrelevance Theory);
- არსებითობის თეორია („Bird-inthe“ Teory);
- გადასახადების დიფერენციაცია (Tax Differential Thery).

ირელევანტობის თეორია შემუშავებულია მეცნიერების ფ. მოდილიანის და მ. მილერის მიერ [2]. სათანადო არგუმენტებით მათ დაასაბუთეს, რომ დივიდენდების მოცულობა არ ახდენს აქციონერების ერთობლივი სიმდიდრის ცვლილებას, რომელიც უფრო მეტად დამოკიდებულია კომპანიის ინვესტიციურ პოლიტიკაზე და არა იმაზე, თუ როგორი პროპორციით გაანაწილა ფირმის ადმინისტრაციამ მოგება დივიდენდებსა და რეინვესტირებას შორის, და რომ პრინციპში არ არსებობს ოპტიმალური დივიდენდური პოლიტიკა, როგორც კომპანიის ღირებულების ამამაღლებელი ფაქტორი.

მოდილიანის და მილერის მსჯელობის ლოგიკა შემდეგნაირია: თუ კომპანიამ მიიღო დავუშვათ x სიდიდის მოგება და შეუძლია მოახდინოს მისი ინვესტირება ისეთ პროექტში, რომელიც ისეთივე შემოსავლების გენერირებას ახდენს, როგორსაც საერთოდ ეს კომპანია, მაშინ, მას შეუძლია მთელი მოგება დივიდენდებათ დახარჯოს, ხოლო რეინვესტირება დამატებით გამოშვებული და გაყიდული აქციებიდან მიღებული შემოსავლით განახორციელოს, ანდა დივიდენდებათ მოგების მხოლოდ ნაწილი გასცეს, ხოლო დარჩენილი მოგების ნაწილი და აქციების დამატებით გამოშვებიდან მიღებული შემოსავლის ერთი ნაწილი კვლავაც დივიდენდებისთვის გამოიყენოს, ხოლო მეორე წარმართოს რეინვესტირებისთვის. ასე რომ, ორივე ეს ვარიანტი აქციონერებისთვისაც მისაღებია და კომპანიისთვისაც.

მოდილიან-მილერის ეს შეხედულება გაკრიტიკებულია პრაქტიკის ეკონომისტების მიერ. მათი არგუმენტები ის არის, რომ ინვესტორისათვის სულ ერთი არ არის, რა ფორმით მიიღებს ის შემოსავალს - დივიდენდის ფორმით თუ აქციონერული კაპიტალის კაპიტალიზაციით. ამის გარდა, მათ სადავოდ მიაჩნიათ დივიდენდის სტაბილიზაციის საკითხი და თვლიან, რომ თუ კომპანიაში დივიდენდს ზრდის ტენდენცია არა აქვს, ეს კომპანიისთვის დამღუპველია, რადგან ასეთ შემთხვევაში მის აქციებზე ფასი შემცირდება [3].

დივიდენდების არსებითობის პოლიტიკის თეორია. ამ თეორიის ავტორები არიან მ. გორდონი და ჯ. ლიტნერი [4]. მათი არგუმენტი იმაში მდგომარეობს, რომ რისკის მინიმიზაციის თვალსაზრისით ინვესტორები დღეს თუნდაც უფრო ნაკლებ დივიდენდის მიღებას აძლევენ უპირატესობას, ვიდრე ხვალ,

უფრო მეტ შემოსავლის მიღებას. სიტყვებში „დღეს“ და „ხვალ“ წლები იგულისხმება. „დღეს“ ნიშნავს, მიმდინარე წელს, „ხვალ“ კი – მომავალ წლებს.

გადასახადების დიფერენციაციის თეორია ეს თეორია XX საუკუნის 80-იან წლებში შეიმუშავეს რ. ლიტცენბერგმა და კ. რამასვამ [5]. მათი შეხედულებით აქციონერების პოზიციიდან პრიორიტეტი ეძლევა არადივიდენდებს, არამედ, კაპიტალიზებულ შემოსავალს. ეს მაშინ ხდება როდესაც კაპიტალიზაციიდან მიღებული შემოსავალი უფრო ნაკლები გადასახადით იბეგრება, ვიდრე დივიდენდი. ეს გადასახადები სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირია. მაგალითად, საქართველოში დივიდენდი საერთოდ არ იბეგრება, აშშ-ში კი, მისი გადასახადი 31%-ია. კანადაში, ავსტრიაში და დიდ ბრიტანეთში საგადასახადო განაკვეთები ერთნაირია. გერმანიასა და იაპონიაში რეინვესტირებული მოგება უფრო მაღალი განაკვეთით იბეგრება, ვიდრე დივიდენდები. საქართველოში, მას შემდეგ, რაც ესტონური მოდელი დაინერგა რეინვესტირებულ მოგებაზე კომპანიები გადასახადს აღარ იხდიან. დივიდენდი აქციონერის შემოსავალია, რეინვესტირებული მოგება კი სააქციო საზოგადოების შემოსავალია. რადგან საქართველოში არცერთი არ იბეგრება, ორივე მხარე მოგებულია.

ამ ბოლო დროს, გამოჩნდა კიდევ ერთი ახალი თეორია, რომელსაც **კლიენტურის თეორია** ეწოდება [6, გვ. 132] და, რომლის შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ კომპანიამ დივიდენდური პოლიტიკის შემუშავებაში უნდა ჩართოს აქციონერთა ღირსეული წარმომადგენლები და მათ მოთხოვნებს დაემორჩილოს. ეს მიდგომა დასავლეთში პრაქტიკულად მაინც და მაინც არ გავრცელდა, რადგან კომპანიების მენეჯერები აქციონერებთან ვერ შეთანხმდნენ.

დივიდენდური პოლიტიკის არჩევაში დისკუსიები ამჟამადაც მიმდინარეობს. ამის მიუხედავად, დასავლეთის მსხვილი კომპანიების უმრავლესობა დივიდენდების ყოველწლიურ რეგულარულ გადახდას აძლევენ უპირატესობას. 2006 წელს ამერიკის მეცნიერების მიერ ჩტარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ გამოკვლეულ იმ კომპანიათა 76%, რომელთა ფასიანი ქაღალდები კოტირდება ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე, აქციონერებს სისტემატურად უხდიან დივიდენდებს [1, გვ. 884]. მათ შორის არიან ისეთებიც, მაგალითად, კორპორაცია „Chemical New-York“ და „American Telephone and Telegraph“ რომლებიც 100-150 წელია ფუნქციონირებენ, და, არა თუ არღვევენ დივიდენდის გადახდის გრაფიკს, არამედ, ზრდიან მის მოცულობასაც. ამ კომპანიების მენეჯმენტი მრავალჯერ დარწმუნდა იმაში, რომ როგორც კი გაჟღერდება ცნობა მათ აქციონრებისთვის დივიდენდების თანხის მომატების შესახებ, მაშინვე მაღლდება მათი აქციების ფასი საფონდო ბირჟაზე.

დივიდენდური პოლიტიკის არჩევის საკითხს პრაქტიკოსი ეკონომისტები მეტად აქტუალურ საკითხად თვლიან. ამის მიუხედავად, დღემდის მისი ერთიანი ფორმალიზებული ალგორითმი არ არსებობს. ადგილზე ამ საკითხს კომპანიების ფინანსური მენეჯერები წყვეტენ.

საბაზრო ეკონომიკაზე საქართველო დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ გადავიდა. მას შემდეგ შეიქმნენ სააქციო საზოგადოებები და გაიხსნა საქართველოს საფონდო ბირჟაც, რომელიც ძალიან სუსტია. ეს საქმე მათი მენეჯმენტისთვის ახალია, და, შეიძლება ითქვას, ეხლა თანდათან სწავლობენ მას. ბევრი მოვლენები მათთვის სრულიად გაურკვეველია და დასავლეთის პრაქტიკით და გამოცდილების გაზიარებით ცდილობენ მათში გარკვევას. ამ სტატიის მიზანიც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ საქართველოს სააქციო საზოგადოებებს მივაწოდოთ ცნობა იმის შესახებ, რომ საზღვარგარეთაც, ძირითადად, მხოლოდ სამ დივიდენდურ პოლიტიკას აღიარებენ და მათ შორის არჩევანს კომპანია თვითონ აკეთებს.

დასკვნა

ჩვენ ვურჩევთ საქართველოს კომპანიებს, რადგან საქართველოში რეინვესტირებაში მოხვედრილი მოგება განთავისუფლებულია გადასახადიდან, დივიდენდური პოლიტიკის შემუშავების დროს აქცენტი გადასახადის დიფერენციაციის თეორიაზე გააკეთონ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **Ковадев В. В.** Финансовой менеджмент, теория и практика. М., 2007.
2. **Madilian M., Miller M., Madilianni F.** Dividend Policy, Growth, and the Valuation of Shares//Journal of Business, October. 1961.
3. **Horrigan J. O.** A Short History of Financial Ratio Analisys/Accounting Review, April. 1968.

4. **Gordon M. J.** Dividends, Earnings and Stock Prices//Review of Economics and Statistics. 1959.
5. **Litzenberg R., Ramaswany K.** The Effects of dividends on Common Stock Pricess: Tax Effects of Information Effects//Journal Of finance, May. 1982.
6. **ღუდუშაური ზ.** ფინანსური მენეჯმენტი. თბ., 2015.

The opportunities for selecting the optimal dividend politics in Georgian companies

Rusudan Papaskiri
Associated professor of Sokhumi State University

Summary

In the article - "The opportunities for selecting the optimal dividend politics in Georgian companies" – it is discussed three main approaches and one additional (a new) one to the development of dividend politics, describes their advantages, disadvantages, as well as the arguments of opponents of this politics.

The article pays special attention to the issue of dividend policy development for Georgian companies, in particular, for joint stock companies. Since neither dividends are taxed in Georgia, nor, after the transition to the Estonian tax model, no reinvested earnings are taxed, the author of the article advises companies to use the approach of tax differentiation.

Key words: Dividend policy; Irrelevance; Essence; Tax differentiation approach.

სახელმწიფო შესყიდვები ეკონომიკაში და მისი ეფექტიანობა

ფაილოძე ნინო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

სულაშვილი გიორგი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ნადირაძე გოჩა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ნაშრომში ჩამოყალიბებულია პოზიცია საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების ბაზრის ეფექტიან ფუნქციონირებაზე. კონკრეტული შემსყიდველი ორგანიზაციის მაგალითზე, შემოთავაზებულია შესყიდვების რაციონალურად განხორციელების მიზნით ეფექტიანობის მაჩვენებლების გამოყენების შესაძლებლობა, რაც გულისხმობს იმას, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ამათუ იმ ობიექტის (საქონელი, მომსახურება, სამუშაო) შესყიდვის ინიცირება უნდა გაკეთდეს იმ შემთხვევაში, თუ მას საფუძვლად უდევს არგუმენტირებული ეკონომიკურ-ტექნიკური გათვლა, რომლის საფუძველიც უნდა იყოს ეფექტიანობის მაჩვენებლებზე დამყარებული შესყიდვის აუცილებლობა. ამ კუთხით განხილულია ბაზრის კვლევის გარკვეული მიმართულებები და წარმოდგენილია გარკვეული დასკვნები.

საკვანძო სიტყვები: სახელმწიფო შესყიდვები, ეფექტიანი ფუნქციონირება, კონკურენცია, კორუფცია, სახელმწიფო შესყიდვების მართვის სისტემა.

ძირითადი ტექსტი

სახელმწიფო შესყიდვები მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამართლიანი და ეფექტიანი მმართველობის სტრატეგიულ განვითარებაში. ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვები ფართოდ არის აღიარებული 21-ე საუკუნის განვითარების და კეთილდღეობის საშუალებად. მთელ მსოფლიოში მთავრობების მიერ ხდება ელექტრონული შესყიდვების ტექნოლოგიების იდენტიფიცირება და პოპულარიზაცია, როგორც მათი მართვის სტილის უკეთესობისაკენ შეცვლის ტენდენცია.

დიდი ხანია რაც სახელმწიფო შესყიდვების საკითხებით დაინტერესებულნი არიან პოლიტიკოსები, მკვლევარები და პრაქტიკოსები, თუმცა ბოლო ორი ათეული წელიწადი მიუთითებენ განსახილველი დარგის პროგრესულ ევოლუციაზე სახელმწიფო ფინანსების, როგორც სახელმწიფო ორგანიზაციების მართვის ეფექტიანობის ამაღლების სტრატეგიულ ინსტრუმენტზე, ბაზრის რეგულირებაზე და მის მდგრად განვითარებაზე. მთავარი მიზანია გაირკვეს თუ რამდენად ეფექტიანია ელექტრონული შესყიდვების სისტემის დანერგვა. შერჩეული სოციალური მიზნების თავსებადობის კონტექსტში აღსანიშნავია შესყიდვების ეფექტიანობის გაზომვა. სახელმწიფო შესყიდვებს უდიდესი გავლენა აქვს ეკონომიკაზე. ისინი არა მარტო საზოგადოების მოთხოვნილებას აკმაყოფილებენ, არამედ ფართოდ გამოიყენება, როგორც მაკროეკონომიკური ამოცანების განხორციელების იარაღი, ეკონომიკის რეგულირებისთვის, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით. დღეს, როდესაც გლობალურ რეცესიაში კოვიდ 19 პანდემიის გამო, კერძო ინვესტიციების წახალისება ძალიან სუსტია, მოთხოვნა სახელმწიფო მხარდაჭერაზე ძალიან დიდია. სახელმწიფი შესყიდვების როლი კრიზისიდან ეკონომიკის გამოყვანაში მნიშვნელოვნად არის გაზრდილი.

სახელმწიფო შესყიდვების ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირება ნიშნავს გამჭვირვალე შესყიდვებს და კორუფციული მექანიზმების უარყოფას. ეკონომიკური, სოციალური და სხვა ეროვნული პოლიტიკის ამოცანების წარმატებით გადაჭრას. კონკურენციის ამაღლებას, როგორც ფასების შემცირების წინაპირობას, შესყიდვების ხარისხის ამაღლებით საუკეთესო საქონლისა და მომსახურების შეძენას, პროფესიონალური კომპანიების გამოვლენას სახელმწიფო კონტრქტების შესრულების თვალსაზრისით,

საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის სრულყოფას.

ბაზრის მონაწილეები დაინტერესებული არიან არა მხოლოდ მთავრობის ინტერვენციისა და სახსრების განაწილების მიმართულებების სწორად განსაზღვრაში, არამედ საჯარო რესურსების ეკონომიკური მართვის ეფექტიანობის მაქსიმალურად გაზრდით. ელექტრონული კომუნიკაციების გავრცელების, აგრეთვე მცირე და საშალო საწარმოების სახელმწიფო შესყიდვების ბაზარზე შესასვლელი ბარიერების მოხსნის პოსტულატებმა ხელი უნდა შეუწყონ არა მხოლოდ შრომის ინტენსივობას, არამედ კონკურენციას, საქონლის, მომსახურების, ხარისხის ამაღლებას.

სახელმწიფო შესყიდვები სახელმწიფო ფინანსების ერთერთი ძირითადი სექტორია, რომლებიც ემსახურება სოციალური მიზნების მიღწევას. გამჭვირვალე, კონკურენტუნარიანი სახელმწიფო შესყიდვების სისტემა ხელს უწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, სტიმულირებას უკეთებს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას და მეწარმეობას, მათ შორის მცირე და საშუალო საწარმოებს. ამრიგად, სახელმწიფო შესყიდვების სისტემის ეფექტიანობის პრიზმაში განხილვა მოითხოვს ისეთი ელემენტების გათვალისწინებას, როგორიცაა: მიზნები, გადაწყვეტილების მიმღები პირები, მიზნის მიღწევის მეთოდები, პროცესში მონაწილე სუბიექტების მახასიათებლები.

სახელმწიფო შესყიდვების ბაზრის ეფექტიანობას დაეთმო ეუთო-ს და ევროპის საბჭოს SIGMA-ს ინიციატივა (ჩარჩო-ხელშეკრულება) სახელწოდებით "სახელმწიფო შესყიდვების ეფექტიანობის გაზომვა". მათ დაადგინეს ეფექტიანობის შეფასების სამი დონე: მეტა (სახელმწიფო შესყიდვების ეროვნული სისტემის ფუნქციონირების დონე), მაკრო (კონტრაქტორი ორგანიზაციების ფუნქციონირების დონე) და მიკრო (ინდივიდუალური კონქტრაქტორი ორგანიზაციების მენეჯმენტის დონე). მეტა დონის ანალიზის კონტექსტში, ყურადღება მიექცა საერთაშორისო შედარებითი კვლევის პრაქტიკას, რომელიც დაფუძნებულია ექსპერტთა ჯგუფების მიერ სისტემის კომპონენტებზე ჩატარებულ მიმოხილვებსა და შეფასებებზე, ისეთები როგორიცაა ინსტიტუციონალური, საკანონმდებლო ბაზის და ბაზრის სტრუქტურა. მაკრო დონის კონტექსტში აღინიშნა სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების მონიტორინგის აუცილებლობა კონკრეტული ინსტიტუციური და საკანონმდებლო გადაწყვეტილებების შედეგების გამოსავლენად, როგორც შედეგი საბიუჯეტო სახსრების დაზოგვის და საზოგადოებრივი მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. მიკრო დონეზე მითითებული იყო ანალიზისა და მიზნობრივი მაჩვენებლების შეგროვების მეთოდები, რომელიც მსგავსია მაკრო დონის, მაგრამ გამოიყენება ინდივიდუალური კონტრაქტის მენეჯმენტის სამ სფეროში: მიწოდების მენეჯმენტი, ურთიერთობების მენეჯმენტი და პროექტის ადმინისტრირება.

სახელმწიფო შესყიდვების მართვის სისტემა შედგება სხვადასხვა ერთმანეთთან დაკავშირებული სუბიექტებისაგან, რომლებიც ურთიერთქმედებენ და ერთმანეთზე ახდენენ ზეგავლენას, ჩვენი ქვეყნის შემთხვევაში ეს სუბიექტებია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, შესყიდვების კანონმდებლობით, ნორმატიული ბაზითა და შესყიდვების ელექტრონული სისტემით, შემდეგ სუბიექტს წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციები, ისინი თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე ინიცირებას უკეთებენ კონკრეტულ შესყიდვებს, რომელთა ასახვაც ხდება შესყიდვების გეგმაში, ხოლო შემდეგ დინამიკაში ახორციელებენ შესყიდვის პროცესებს/პროცედურებს შესყიდვების სააგენტოს მიერ დადგენილი წესების შესაბამისად, მათ წინაშე დასახული მიზნების მისაღწევად. შემდეგ შემადგენელ სუბიექტს განეკუთვნება მიმწოდებელი ორგანიზაციები, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ შესყიდვების პროცესებში/პროცედურებში შესყიდვების სააგენტოს მიერ დადგენილი და შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შერჩეული წესების შესაბამისად, წარმოებული საქონლის რეალიზაციის ხარჯზე მაქსიმალური მოგების მიღების მიზნით.

სახელმწიფო შესყიდვების მართვის სისტემის ეფექტიანობა ეს არის სისტემის თითოეული შემადგენელი სუბიექტის საქმიანობის/ქმედებების ეფეტიანი განხორციელება. კერძოდ, თითოეულმა სუბიექტმა, მასზე დაკისრებული მოვალეობებიდან და ფუნქციებიდან გამომდინარე, თავიანთი საქმიანობა უნდა წარმართოს ისე, რომ მათმა ქმედებებმა, განსახორციელებელმა ღონისძიებებმა, მიაღწიოს მაქსიმალურ შედეგს, მინიმალური დანახარჯებით ანუ მათ მიერ განხორციელებული საქმიანობა უნდა იყოს ეფექტიანი. ეფექტიანი საქმიანობა ნიშნავს დასახული მიზნის/მიზნების

მაქსიმალურ დაკმაყოფილებას მინიმალური დანახარჯებით. ჩვენს შემთხვევაში სახელმწიფო შესყიდ-ვების სააგენტოს ეფექტიანი მუშაობა მდგომარეობს მის მიერ განახორციელებულ/განსახორციელებელ საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზის სრულყოფაში, რაც აისახება შემსყიდველი და მიმწოდებელი ორგანიზაციებისთვის ისეთი შესყიდვის პროცესების/პროცედურების ინიცირებაში, რაც გაამარტივებს მათ საქმიანობას, ხელს შეუწყობს მათ წვდომას შესყიდვების ელექტრონულ სისტემაზე, შესყიდვის პროცესს/პროცედურებს გახდის გამჭვირვალეს, ხელს შეუწყობს კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნას, მცირე და საშუალო ბიზნესის უფრო მეტ ჩართულობას სახელმწიფო შესყიდვებში, დანერგავს შესყიდვების ისეთ წესებსა და პროცედურებს რომლებიც შემსყიდველ ორგანიზაცებს გაუმარტივებს რთული შესყიდვის ობიექტების შესყიდვას, საშუალებას მისცემს მათ განახორციელონ ინოვაციური პროექტები, უზრუნველყოფს ფერმერული მეურნეობების შესყიდვების პროცესებში ჩართვას და ამ მხრივ სასოფლო სამეურნეო ფერმერული მეურნეობების ხელის შეწყობას და ა.შ.

რაც შეეხება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შესყიდვების ეფექტიან განხორციელებას, იგი უპირველეს ყოვლისა ემყარება შემსყიდველი ორგანიზაციის, მისი შემადგენელი სამსახურების წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტას, სრულყოფილად ფუნქციონირების შენარჩუნების მიზნით. შემსყიდველი ორგანიზაციის (მისი შემადგენელი სამსახურის) მიერ ამათუ იმ შესასყიდი საგნის ინიცირება უნდა გაკეთდეს იმ შემთხვევაში, თუ მას საფუძვლად უდევს არგუმენტირებული ეკონომიკურ-ტექნიკური გათვლა, რომლის საფუძველიც უნდა იყოს ეფექტიანობის მაჩვენებლებზე დამყარებული შესყიდვის აუცილებლობა. შესასყიდი საგნის საჭიროების დასაბუთება შემსყიდველმა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ საექსპლოატაციო და სხვადასხვა ბუღალტრულ დოკუმენტებზე დაყრდნობით, ასევე ორგანიზაციაში არსებული მდგომარეობის დეტალური ანალიზის საფუძველზე. ყოველი ციფრი უნდა ეყრდნობოდეს საექსპლოატაციო და ტექნიკური მონაცემებით განსაზღვრულ ნორმებს, დამატებითი ერთეულის ზღვრულ სარგებლიანობას, რასაც საფუძვლად უნდა დაედოს ეფექტიანობაზე დაფუძნებული მიდგომები და ეფექტიანობის მაჩვენებლები. მაგალითად შპს „საქაერონავიგაციაში“ სამსახურებისთვის, რომლებიც უშუალოდ საჰაერო მოძრაობის მართვის მომსახურებაში არიან ჩართული, განსაზღვრულია ეფექტიანობის საკვანძო მაჩვენებელი (KPI). ეფექტი-ანობის შეფასების პროცესი შპს "საქაერონავიგაციაში“ მოკლედ შემდეგი სახით შეიძლება აღიწეროს:

- ფუნქციონალური სისტემის პოტენციური სუსტი მხარეების ან სრულყოფის შესაძლებლობების გამოვლენა;
- სუსტი მხარეების აღმოფხვრის ან სრულყოფისთვის საჭირო ღონისძიებების განსაზღვრა;
- განსაზღვრული ღონისძიებებისთვის ეფექტიანობის სტანდარტების დადგენა;
- ეფექტიანობის მონიტორინგი სტანდარტებთან შესაბამისობაზე;
- მაკორექტირებელი ზომების მიღება ეფექტიანობის გაზრდის მიზნით.

თითოეულ ეფექტიანობის საკვანძო მაჩვენებელს (KPI) გააჩნია მიზნობრივი დონე, სამსახურების ფუნქციონირების დროს თუ მოხდება დინამიკაში ამ დონის ცვლილება, სამსახურების მიერ ხდება მაჩვენებლის ცვლილების მიზეზ-შედეგობრივი გამოკვლევა, მიზეზების იდენტიფიცირების შემდეგ ხდება მათი აღმოფხვრის ღონისძიებებზე მუშაობა, რაც შემდგომში უკვე წარმოადგენს ამათუ იმ შესყიდვის ინიცირების საფუძველს. თუ ეფექტიანობის მაჩვენებლის მიზნობრივი დონე 100%-ია, მაშინ აუცილებელია ეფექტიანობის საკვანძო მაჩვენებლების გამოთვლაში ჩართული ქმედებებისთის საჭირო სხვადასხვა ნაწილების შესაბამისი რეზერვის არსებობა, რაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს წინასწარ.

დასკვნა

სახელმწიფო შესყიდვები საინტერესო სფეროა საკვლევად, როგორც იურიდიულად ისე ეკონომიკური თვალსაზრისით. მხედველობაშია მისაღები განსახილველი სფეროს სტრატეგიული მნიშვნელობა მნიშვნელოვანი სოციალური მიზნების მისაღწევად. აუცილებელია გვახსოვდეს, რომ ამ გზით ჩამოყალიბებული სისტემა სამთავრობო შემსყიდველი ორგანიზაციების მონაწილეობით უნდა აშენდეს მაქსიმალურად ეფექტიანად, გამჭვირვალედ და კონკურენტუნარიან გარემოში.

სახელმწიფო შესყიდვების პროცესების განზოგადება, საერთაშორისო დონეზე შედარებითი

ანალიზი, საშუალებას გვაძლევს ჩამოვაყალიბოთ რეკომენდაციები და შედეგად გავაუმჯობესოთ ის, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფო ორგანოების პასუხისმგებლობას სტრატეგიული მიზნების შესრულებისთვის, ასევე დანაზოგების გაუმჯობესებას სახელმწიფო სახსრების ხარჯვის მხრივ. ამან შეიძლება გამოიწვიოს მთელი ეკონომიკური სისტემის კონკურენტუნარიანობის ზრდა, რაც ირიბად აისახება ქვეყნის გრძელვადიანი ზრდისა და განვითარების პოტენციალის გარკვეულ კომპონენტებზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ 20.04.05 №1388-I
2. „სახელმწიფო შესყიდვების სფეროში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების გზამკვლევის“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის განკარგულება №536, 31.03.16
3. SIGMA, 2011, *Public Procurement. Performance Measurement,* Brief 21, http://www.sigmaweb.org/publications/Performance_Public_Procurement_2011.pdf.
4. World Economic Forum (WEF), 2016, *The Global Competitiveness Report 2016-2017,* Genewa, http://www3.weforum.org/docs/GCR2016-2017/05FullReport/TheGlobal Competitiveness Report2016-2017_FINAL.pdf
5. Edinburgh Group, 2015, *Growing the Global Economy through SMEs*; online: http://www.edinburgh-group.org/media/2776/edinburgh_group_research_-_growing_the_global_economy_through_smes.pdf.
6. ნ. ფაილოძე, ჯ. ალანია, გ. სულაშვილი. ბუღალტრული აღრიცხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებში. გამომცემლობა-ტექნიკური უნივერსიტეტი, სახელმძღვანელო. თბილისი 2014წ.
7. გ. ნადირაძე, საქართველოში განხორციელებული ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვები და შესყიდვების დაგეგმვის ეტაპამდე განხორციელებული ღონისძიებები. „გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები“ შრომების კრებული 4 , 2020. თბილისი.

State Procurements in the economy and its efficiency

Pailodze Nino
Professor of Georgian Technical University

Sulashvili Giorgi
Associate Professor of Georgian Technical University

Nadiradze Gocha
PhD student of Georgian Technical University

Summary: I have established a position on the effective functionallity of state procurement market in Georgia. On a specific procuring organization example, it is offered to use efficiency indicators for the sustainable implementation of procurement, which means that procuring organization must initiate the procurementn of such an object (goods, services, works) if it is based on a reasoned economic-technical calculation. The basis for mention should be the need for procurement, based on efficiency indicators. In this regard certain areas of market research and some conclusions are presented.

Keywords: state procurement, effective funcionality, competition, corruption, state procurement management system.

სამშენებლო პროექტების დაფინანსებისა და განხორციელების პრობლემები საქართველოში

ქვარაია ირაკლი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისპროფესორი

ქუთათელაძე ქეთევან
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისპროფესორი

მალანია ელისაბედ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

ყოფილ საბჭოთა კავშირში, საქართველო ერთ-ერთი გამორჩეული რესპუბლიკა იყო, რომელმაც ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერით მრავალი მნიშვნელოვანი სამშენებლო პროექტის დაფინანსება და განხორციელება შეძლო. მისი პრივლეგირებული მდგომარეობა გამოწვეული იყო საქართველოს განსაკუთრებული საკურორტო და გამაჯანსაღებელი მნიშვნელობით, სადაც ჩამოსვლა იმ დიდი ქვეყნის ყველა მოქალაქის ოცნებას წარმოადგენდა. სხვა რესპუბლიკებთან შედარებით იზრდებოდა საქართველოს სამშენებლო პოტენციალიც. ყოველგვარი დაბრკოლებების გარეშე ხორციელდებოდა ნებისმიერი, თუნდაც მოსახლეობისათვის სრულიად მიუღებელი პროექტები, ვიდრე სსრკ დაშლამდე ცოტა ხნით ადრე არ დაიწყო არსებული ტოტალიტარული რეჟიმის შერბილება. აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით მაშინვე მოხდა მთელი რიგი მშენებლობების გაჩერება, რომელთაც შეეძლოთ არსებული გარემოსათვის ეკოლოგიური ზიანის მიყენება. ამჟამად დემოკრატიული განვითარების გზაზე მდგომ დამოუკიდებლ საქართველოში, გარკვეულ სირთულეს წარმოადგენს ქვეყნისათვის საჭირო სამშენებლო პროექტების დაფინანსების უზრუნველყოფა, მაგრამ ხშირად უფრო პრობლემური ხდება მათი განხორციელება. ხელისშემშლელი მიზეზი შეიძლება გახდეს პოლიტიკური, ეკოლოგიური, პანდემიური და სხვა სახის გარემოებები, რომელთაც ადგილი აქვთ უკანასკნელ წლებში.

საკვანძო სიტყვები: პროექტი, დაფინანსება, განხორციელება, ბიუჯეტი, მშენებლობა, პროტესტი, პანდემია, ეკოლოგია

ძირითადი ტექსტი

საქართველოში გასული საუკუნის 70-80-იან წლებში მშენებლობის სფერომ დიდ განვითარებას მიაღწია. ამ პერიოდში აშენდა მრავალი უნიკალური ნაგებობა, მათ შორის თბილისში 1971 წელს გაიხსნა სახელმწიფო ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი, ხოლო 1976 წელს ბ.პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი, 1977 წელს ექსპლუატაციაში შევიდა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ენგურჰესის კაშხალი (271,5მ) და სხვა. წარმატებით ხორციელდებოდა ჰიდროსაინჟინრო, ენერგეტიკული, საგზაო, მძიმე და მსუბუქი მრეწველობის მსხვილი საწარმოების მშენებლობა და არსებული ფაბრიკა-ქარხნების რეკონსტრუქცია. განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცეოდა საბინაო და სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების მშენებლობას. ყოველწლიურად ექსპლუატაციაში ბარდებოდა 1 მლნ. კვმ-ზე მეტი საცხოვრებელი ფართი, ათეულობით ახალი სკოლა, საბავშვო ბაღი, საავადმყოფო და კლუბი. ჯანდაცვის ობიექტების მშენებლობამ სახუმარო ზღვარსაც კი მიაღწია და საქმეში ჩახედული ადამიანები ამბობდნენ, რომ არსებული ტემპებით საწოლ-ადგილების ჩაბარების გაგრძელების შემთხვევაში, 2000 წლისათვის საქართველოს თითოეულ მოქალაქეს ერთი პირადი საწოლი საავადმყოფოში ექნებოდა.

მშენებლობების დაფინანსების ერთად-ერთ წყაროს იმ დროს საქართველოს ბიუჯეტი წარმოადგენდა, მაგრამ ამისთვის აუცილებელი იყო საკავშირო მთავრობის თანხმობა და მათ მიერ შესაბამისი სახსრების გამოყოფა. ამას საქართველოს ხელისუფლება წარმატებით ახერხებდა. პროექტების განხორციელების პრობლემები 80-იანი წლების ბოლოს წარმოიშვა. ის არ იყო დაკავშირებული ფინანსებასთან.

პირიქით, ცენტრალური ხელისუფლება უამრავ თანხებს იმეტებდა ისეთი გრანდიოზული მშენებლობებისთვის, როგორიც ტრანსკავკასიის საუღელტეხილო რკინიგზა და ხუდონჰესი იყო. საზოგადოების პროტესტის შედეგად პირველად უარი ითქვა რკინიგზის მშენებლობაზე. მას შემდეგ გასულმა წლებმა დაადასტურა, რომ საქართველოს მხრიდან ნამდვილად სწორი გადაწყვეტილება იქნა მიღებული და გზის მშენებლობა რუსეთის შორსმიმავალ პოლიტიკურ ინტერესს წარმოადგენდა. სამწუხაროდ იგივეს თქმა არ შეიძლება ხუდონჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით, რომელიც 1979 წელს დაიწყო და 1989 წელს საქართველოს მწვანეთა მოძრაობის დიდი მონდომების შედეგად საერთოდ გაჩერდა. მის ამოქმედებას შეეძლო ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფა და მომდევნო წლებში განვითარებული მძიმე ენერგოკრიზისის თავიდან აცილება. ამ მოსაზრებას ისიც ადასტურებს, რომ ხუდონჰესის მშენებლობის გაგრძელების საკითხი ბოლო წლებში ისევ აქტიურად განიხილება. საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ განვითარებულმა ღრმა ეკონომიკურმა კრიზისმა საერთოდ ბოლო მოუღო სამშენებლო სფეროს. ახალ ხელისუფლებას სახსრები არ გააჩნდა სამშენებლო პროექტების განხორციელებისთვის, რის გამო ქვეყნის მასშტაბით მრავალი დაწყებული ობიექტი დაუმთავრებელი დარჩა. მათი დიდი უმრავლესობის დასრულება ან დემონტაჟი წლების შემდეგ მოხერხდა. ზოგიერთი დღესაც მიტოვებულია. დაიშალა ყველა ძველი სამშენებლო ორგანიზაცია, განადგურდა, გაიძარცვა ან გაიყიდა სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოები.

მხოლოდ XXI საუკუნის დასაწყისიდან გახდა ქვეყანაში შესაძლებელი კომერციული თვალსაზრისით მომგებიანი, საცხოვრებელი სახლების მშენებლობების წამოწყება ჯერ თბილისში, შემდეგ ბათუმში, ბაკურიანში, გუდაურში და ზოგიერთ სხვა ადგილებში. მათი დაფინანსება ძირითადად ქართველი თუ უცხოელი ინვესტორების პირადი ინტერესებიდან გამომდინარე ხორციელდებოდა. ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სოციალურ-კულტურული, საგზაო და სხვა ინფრასტრუქტურული სამშენებლო პროექტების ინვესტირებას ამ მეტად რთულ პერიოდში ძირითადად საერთაშორისო დონორები და პარტნიორები ახორციელებდნენ გრანტების სახით.

საქართველოს ხელისუფლების დიდ დამსახურება იყო 2002 წლის სექტემბერში დაწყებულ უმსხვილეს საერთაშორისო პროექტში, მსოფლიოში სიგრძით მეორე - ბაქო-თბილისი-ჯეიხანის ნავთობსადენის (1768 მ) მშენებლობაში მონაწილეობა. საქართველოს მონაკვეთზე ნავთობსადენის გაყვანა 2003-2005 წლებში ხორციელდებოდა, მომიჯნავე ტერიტორიების და უსაფრთხოების ზონების ინფრასტრუქტურის განვითარებით. ნავთობის ტრანსპორტირება ამ გზით 2006 წლის ივლისიდან დაიწყო. სამუშაოთა დაფინანსება და მშენებლობა უდიდესმა ტრანსნაციონალურმა ნავთობისა და გაზის კორპორაციამ - „ბრიტიშ პეტროლიუმა“ განახორციელა და მისმა ღირებულებამ 4 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. საქართველომ საკმაოდ სოლიდური მოგება მიიღო და რაც მთავარია, სამუშაოების წარმოების დროს ძალიან ბევრი ადგილობრივი მოქალაქე დასაქმდა. აშშ და სხვა პარტნიორების მხარდაჭერით და საზოგადოებისათვის სწორად მიწოდებული ინფორმაციის წყალობით, ბუნების დამცველთა მცირე ჯგუფის მიერ მშენებლობის საწინააღმდეგოდ წამოწყებულმა ლოკალურმა კომპანიებმა საუკუნის პროექტს ვერავითარი ზიანი ვერ მიაყენა.

2006 წელს წარმატებით დაიწყო საქართველოში აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული საავტომობილო მაგისტრალის მშენებლობა, რომელიც აბრეშუმის გზის იდეის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილია. ამ საერთაშორისო მნიშვნელობის მასშტაბური პროექტის დასაფინანსებლად, იმ პერიოდისათვის, მომძლავრებული საქართველოს ბიუჯეტიდან საკმაოდ დიდი თანხები იქნა მობილიზირებული. გარდა ამისა სხვადასხვა საერთაშორისო ფონდი და საზღვარგარეთის ბევრი ქვეყანა გამოყოფდა სათანადო სახსრებს. მის მშენებლობას იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და ანიჭებენ უცხოეთში, რომ შორაპანი-არგვეთის გზის მშენებლობის ინვესტირება 343 მილიონი აშშ დოლარით იაპონიის მთავრობამაც კი მოახდინა. თავიდან პროექტი სწრაფად ხორციელდებოდა, მაშინდელი ხელისუფლების არადემოკრატიული, ქვეყნის მართვის ძალიან ხისტი პოლიტიკის წყალობით. 2012 წელს ხელისუფლების სათავეში ახალი პოლიტიკური ძალების მოსვლის შემდეგ ინვესტიციების ათვისებასთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემები წარმოიშვა. პირველ რიგში ეს მოსახლეობის განსახლებას ეხებოდა, რაც განსაკუთრებით საჭირო გახდა რიკოთის უღელტეხილზე

მიმდინარე სამუშაოების გამო. წინა ხელისუფლება ასეთ პრობლემას ძალდატანებით და ყველანაირი სასამართლო დავის გარეშე წყვეტდა. გარდა ამისა საჭირო გახდა გზის განსაკუთრებით რთულ მონაკვეთზე, დამატებითი კვლევებისა და სამუშაოების ჩატარება, რაც ადრე ასევე ხელისუფლების დიქტატით ნაჩქარებად და ხშირ შემთხვევაში სამშენებლო ნორმების დარღვევით ხდებოდა. აქედან გამომდინარე იმ დროს დაგებული გზის ცალკეულ მონაკვეთებზე სამუშაოების ხელახლა ჩატარება არის ხოლმე საჭირო.

ძველი ხელისუფლების შეცვლას მოყვა ასევე 2012 წელს თბილისის შემოვლითი სარკინიგზო გზის პროექტის დაფინანსების შეჩერება. მშენებლობა ისე მყისიერად შეწყდა, რომ მინიმალური თანხების გამოყოფაც კი ვერ მოხერხდა ცალკეული ობიექტების კონსერვაციის ან მათი დაცვის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ქვეყნის ბიუჯეტიდან დაფინანსებული მრავალი ხიდი, ესტაკადა, საინჟინრო ნაგებობა თითქმის ათი წელია ბუნებრივი ნალექების ზემოქმედების შედეგად ისე არის დაზიანებული, რომ მათი რეკონსტრუქციისა და გამაგრების გარეშე შეუძლებელია სამუშაოების გაგრძელება. სამწუხაროდ არავითარი ძვრები არ ხდება მდგომარეობის გამოსასწორებლად. რაც დრო გადის პროექტის ბოლომდე განხორციელება ბიუჯეტს ბევრად მეტი დაუჯდება, ვიდრე ეს თავიდან იყო გათვალისწინებული და ეს აუცილებლად ახალ პრობლემებს წამოჭრის.

არსებული ხელისუფლების ლოიალობით და მათი მხრიდან არასათანადო საინფორმაციო აქტიურობით, ხშირად ბოროტად სარგებლობენ მოსახლეობის ცალკეული ფენები, რომლებიც სრულიად გაუმართლებელი მიზეზებით ხელს უშლიან მნიშვნელოვანი სამშენებლო პროექტების განხორციელებას. გასულ წელს მაგალითად მარნეულის მოსახლეობა აქტიურად აპროტესტებდა გამწმენდი ნაგებობის მშენებლობას, რომელიც ძალიან აუცილებელია ქალაქის კომუნალური სისტემის მოწესრიგებისათვის. თითქმის ერთი წელი დასჭირდა ადგილობრივ ხელისუფლებას მოქალაქეებ-სათვის მისი მნიშვნელობის დაგვიანებული ახსნა-განმარტებისათვის და მხოლოდ ამის შემდეგ გახდა შესაძლებელი სამუშაოების გაგრძელება. სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციები თავისი საქმიანობის გასამართლებლად ზედმეტ მონდომებას იჩენენ ხოლმე მწვანე ნარგავების დასაცავად, რომელთა გადარგვა ან სანაცვლო გამწვანების ზონების შექმნა, შესაბამისი სამსახურების მიერ გათვალისწინებულია მშენებლობის ნებართვის გაცემის დროს. რამდენიმე წლის წინ თბილისში, ყაზბეგის პროსპექტზე, მეტალურგიის ინსტიტუტის ყოფილ ტერიტორიაზე ხეების მოჭრას „მებაღე პარტიზანების“ ისეთი პროტესტი მოყვა, რომ ჩაშლის პირას მივიდა „საქართველოს ბანკის“ უცხოური გრანტით დაფინანსებული დიდი კომპლექსის მშენებლობა, რომელმაც დასრულების შემდეგ ძალიან სასიკეთოდ უცვალა სახე დედაქალაქის ამ უბანს. სულ ახლახანს, ნამახვანჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით, ბუნებისდამცველთა აგორებულმა საპროტესტო ტალღამ მთელი საქართველო მოიცვა და ამ მეტად საჭირო პროექტის ბოლომდე განხორციელება უკვე ძალიან საეჭვო გახდა. მისი დაფინანსება მთლიანად თურქული კომპანიის ინვესტიციებით ხორციელდება, მაგრამ პროექტის ჩაშლის შემთხვევაში საქართველოს ხელისუფლება, როგორც გარანტი, იძულებული გახდება დიდი ჯარიმები გადაიხადოს, რაც ქვეყნის ბიუჯეტს დააწვება ისევ ტვირთად.

ზემოთდასახელებულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ პრობლემებთან ერთად ძალიან გახშირდა არაკეთილსინდისიერი ინვესტორების, დეველოპერებისა და მენაშენების მიერ დაწყებული სამშენებლო პროექტებისათვის მობილიზებული თანხების მითვისებისა და მშენებლობების გაჩერების ფაქტები. მართალია, როგორც წესი ყველა დამნაშავე პასუხს აგებს კანონის წინაშე, მაგრამ მშენებლო-ბების გაგრძელებისათვის დაფინანსების წყაროების მოძიება ასეთ შემთხვევებში თითქმის წარმოუდ-გენელი ხდება. მაგალითად, კომპანია „ცენტრ-პოინტმა“ თაღლითური სქემის შმუშავებით მოახერხა მომავალი მობინადრეების დაინტერესება და მათი წინასწარ გადახდილი თანხებით იმაზე ბევრად მეტი სახლების მშენებლობა დაიწყო საქართველოს მასშტაბით, რასაც ეს თანხა ეყოფოდა. შედეგად, 6000 ოჯახზე მეტი დღესაც ელოდება ბინას. დაუმთავრებელი ობიექტების არსებობის გამო, განსაკუთრებით არასახარბიელო მდგომარეობაა შექმნილი თბილისში. იმის გარდა, რომ მათი უმრავლესობა არ არის მოქცეული სახურავის ქვეშ და საშიშია ავარიულობის თვალსაზრისით, ამახინჯებს ქალაქის იერ-სახეს და რაც მთავარია მოტყუებული მობინადრეების დიდ უკმაყოფილებას იწვევს. 2020 წლის მონაცემებით,

თბილისის მერიამ 180 საცხოვრებელ სახლს მიანიჭა დაუმთავრებელი ობიექტის სტატუსი. შექმნილი მდგომარეობის გამოსწორების მიზნით გამოაცხადა ტენდერი ისეთი შენობების დასრულებაზე, რომელთა მდგომარეობა სამუშაოთა უსაფრთხოდ გაგრძელების საშუალებას იძლეოდა. მსურველთა დასაინტერესებლად დაწესდა, გარკვეული შეღავათები და თანადაფინანსების გამოყოფაც დაანონსდა. საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული დეველოპერული კომპანია m2, პირველი გამოეხმაურა ამ ინიციატივას და მერიასთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად გააგრძელა „ცენტრ პოინტის“, ოლიმპიური ვარსკვლავის“ და „სვეტის“ დაუმთავრებელი რამდენიმე კორპუსის მშენებლობა. იმედია ეს წამოწყება სასურველ შედეგს გამოიღებს, მაგრამ გადაუჭრელ პრობლემას წარმოადგენს უმეთვალყურეოდ დარჩენილი და დაშლის პირას მისული მრავალი ობიექტი. მათ შორისაა „ცენტრ პოინტის“ კორპუსები სააკაძის მოედანზე, მარიჯანის ქუჩაზე და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ პანდემიის დროს საქართველოში სამშენებლო სამუშაოების წარმოება არ შეიზღუდა, აუცილებლად უნდა გამახვილდეს ყურადღება ტურისტული ობიექტების მშენებლობასთან დაკავშირებით წამოჭრილ ურთულეს პრობლემებზე. უკანასკნელ წლებში ქვეყანაში ტურისტული ნაკადების მზარდი ტენდენციის გამო, ადგილობრივი თუ უცხოელი ინვესტორები თანხებს არ იშურებდნენ სასტუმროების, რესტორნების, გასართობი და დასასვენებელი ცენტრების ასაგებად. ამ მიმართულებით ბიზნესის განვითარება ძალიან მომგებიანი გახდა. პანდემიის დროს, მრავალი ქვეყანა და მათ შორის საქართველო ტურისტებისთვის დაიხურა. აიკრძალა სასტუმროების, რესტორნების და სხვა ობიექტების მუშაობა. ფაქტიურად აზრი დაკარგა ახალი ტურისტული ობიექტების მშენებლობამ და მათი ინვესტორები წამოწყებული მშენებლობების პროფილის შეცვლას ან გაყიდვას ცდილობენ. აქედან გამომდინარე სრულიად მოულოდნელად პანდემია კიდევ ერთი ხელისშემშლელი მიზეზი გახადა სამშენებლო პროექტების დაფინანსებისა და განხორციელების მხრივ.

დასკვნა

1. საქართველოში მთელი რიგი ახალი სამშენებლო პროექტების დაფინანსების უზრუნველყოფის მიუხედავად, უკანასკნელ წლებში სულ უფრო რთული ხდება მათი განხორციელება. სხვადასხვა ხელისშემშლელ მიზეზებს შორის, ყველაზე მეტად გამოიკვეთა, პროექტებთან დაკავშირებით ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების აუცილებლობა, რაც დემოკრატიული განვითარების პრინციპებზე დაყრდნობით სრულიად ახლებურ მიდგომას მოითხოვს ქვეყანაში;
2. სერიოზულ პრობლემას წარმოადგენენ დაუმთავრებელი ობიექტები, რომელთა არსებობა არაკეთილსინდისიერი ინვესტორებისა და მენაშენეების მიზეზით არის გამოწვეული. განსაკუთრებით ქმედითი ზომებია მისაღები ასეთი ობიექტების სასწრაფოდ დასამთავრებლად ქ.თბილისში, რადგანაც ისინი იმის გარდა, რომ ამახინჯებენ ქალაქის იერ-სახეს, საშიში არიან თავისი ფიზიკური მდგომარეობით და მოტყუებულ მობინადრეთა სულ უფრო მზარდ პროტესტს იწვევენ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ი.ქვარაია. დაუმთავრებელი და მიტოვებული მშენებლობების პრობლემები. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“. №2(58), 2021.
2. ი.ქვარაია, ქ. ქუთათელაძე, ე.მალანია. საქართველოში სამშენებლო ინვესტიციების განხორციელების დროს გასათვალისწინებელი ზოგიერთი საკითხები. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული. №4, თბილისი, 2012 წელი.

Problems of financing and implementation of construction projects in Georgia

Irakli Kvaraia, professor of Georgian Technical University

Ketevan Kutateladze, professor of Georgian Technical University

Elisabed Malania, assoc.professor of Georgian Technical University

Summary

In the former Soviet Union, Georgia was one of the leading republics, which, thanks to the support of the central government, was able to provide funding and implementation of many interesting construction projects. The privileged position of Georgia was caused by its unique resort and health-improving features. It is no exaggeration to say that visiting Georgia was the dream of every Soviet citizen. Compared to other republics, the construction potential of Georgia also grew significantly. Due to the totalitarian regime existing in the USSR, without any obstacles, the construction of any objects, even unacceptable from the point of view of many people, was carried out, up to the beginning of the so-called perestroika. This was immediately followed by the halt of a number of very important construction projects, taking into account public opinion throughout the large country, including in Georgia. After the collapse of the USSR, the construction sector in Georgia suffered especially for many years. Currently, in Georgia, an independent country firmly on the democratic path of development, the biggest problem is securing financing for large-scale construction projects necessary for the country. But very often, their very implementation becomes more problematic, which can be caused by political, environmental, pandemic and other circumstances, the number of which has been growing in recent years.

გლობალიზაცია და საგადასახადო ადმინისტრირების თანამედროვე გამოწვევები

ქორიძე თამთა
ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი

აბსტრაქტი

ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს მდგენელს - საგადასახადო პოლიტიკა წარმოადგენს. თავის მხრივ საგადასახადო პოლიტიკის ეფექტური ფუნქციონირება კი დამოკიდებულია საგადასახადო სისტემის მართვისა და რეგულირების ხარისხზე.

ვიწრო გაგებით საგადასახადო ადმინისტრირებაში მოიაზრება საგადასახადო ორგანოების მხრიდან საგადასახადო კონტროლის განხორციელება სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების მიზნით, მაგრამ თანამედროვე ეპოქაში საბაზრო ეკონომიკა სამოქალაქო საზოგადოების უფლებებისა და ინტერესების დაცვას ეფუძნება, შესაბამისად საგადასახადო ადმინისტრირების ფუნქციად გვევლინება: იყოს მოქნილი, რათა უზრუნველყოს ქვეყნის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების სათანადო რაოდენობით შევსება და ამავდროულად არ დაკარგოს სამეწარმეო აქტივობის სტიმულირების უნარი.

კვლევის მიზანია საქართველოს საგადასახადო ადმინისტრირების თანამედროვე პრობლემების შესწავლა, განხილვა, თუ რამდენად უმკლავდება სისტემა ფისკალურ და მასტიმულირებელ ფუნქციებსა და თანამედროვე გამოწვევებს.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია, საგადასახადო პოლიტიკა, საგადასახადო ადმინისტრირება, ელექტრონული კომერცია, გადასახადები.

ძირითადი ტექსტი

საქართველომ ბოლო ათწლეულების განმავლობაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესების თვალსაზრისით. განვითარების საწყის ეტაპზე ნეგატიური საგადასახადო ქცევისა და საგადასახადო კულტურის არარსებობიდან გამომდინარე ჩრდილოვანი ეკონომიკა მაღალი მაჩვენებლით ხასიათდებოდა, რის საფუძველზეც ქვეყანაში იდგა საგადასახადო შემოსავლების მობილიზების მწვავე პრობლემა. გამომდინარე აქედან განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საგადასახადო ადმინისტრირების ფისკალური ფუნქციის გააქტიურებასა და განვითარებას. 2004 წლიდან მკვეთრად გამკაცრდა საგადასახადო ადმინისტრირების მექანიზმი, რამაც უზრუნველყო მზარდი საგადასახადო შემოსავლების მობილიზება ბიუჯეტში. გარდა ამისა, ამ მიმართულებით განხორციელდა მრავალი რეფორმა, რამაც მნიშვნელოვნად გაამარტივა საგადასახადო ადმინისტრირების პროცესი, შეამცირა ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბები და უზრუნველყო როგორც ფინანსური, ასევე დროის დანახარჯების შემცირება საგადასახადო ურთიერთობების მონაწილე მხარეებისთვის.

განსაკუთრებით ბოლო ათწლეულის განმავლობაში სახელმწიფოს მხრიდან იყო მცდელობები საგადასახადო ადმინისტრირების მასტიმულირებელი ფუნქციების განვითარების. ვინაიდან საქართველოში არა კანონმორჩილი გადასახადის გადამხდელის დასჯის მეთოდებს შორის ყველაზე მეტად საქართველოს საგადასახადო ადმინისტრირების პრაქტიკაში გავრცელებულია საურავი, ბოლო ათწლეულის განმავლობაში საგადასახადო პოლიტიკის ძირითად მიმართულებად სწორედ საგადასახადო სანქციების ლიბერალიზაცია და სამართლიანი ადმინისტრირების პროცესის უზრუნველყოფა გახდა. თუმცა, სანქციების ლიბერალიზაციისა და საგადასახადო ადმინისტრირების პროცედურების გამარტივების პარალელურად ყოველწლიურად მზარდი ტენდენციით ხასიათდება საგადასახადო კონტროლის პროცედურების რაოდენობა.

საგადასახადო კანონმდებლობაში არსებული ბუნდოვანი განმარტებები და ხშირი ცვლილებები, რომლებიც საკანონმდებლო ხარვეზების დახვეწას ისახავს მიზნად, გადასახადის გადამხდელისთვის ართულებს საგადასახადო ცვლილებების დროულად და გაცნობიერებულად აღქმის პროცესს, აიძულებს არასასურველი შეცდომებისა და შესაბამისი ფინანსური სანქციებისგან თავის დასაზღვევად

ისარგებლონ დამატებითი საგადასახადო მომსახურებით, რაც ეკონომიკური საქმიანობის წარმოების ფინანსურ ხარჯს ზრდის და მძიმე ტვირთად აწვება გადამხდელს. მცირე ბიზნეს მეწარმეების ის ნაწილი, რომელთაც არ აქვთ საშუალება ისარგებლონ მსგავსი მომსახურებით რჩებიან რისკის შემცველ საგადასახადო გარემოებებთან პირისპირ დაუცველნი. კანონის ხშირი ცვალებადობა და კანონმდებლობის ორაზროვნება ხშირად ხდება უსამართლო საგადასახადო დამსჯელობითი ღონისძიებების საფუძველი, რაც ბუნებრივად ზრდის საგადასახადო დავების რიცხვს, აფერხებს სამეწარმეო საქმიანობას, აფართოებს გაუთვითცნობიერებელი კანონდარღვევების მასშტაბებს და აყალიბებს გადასახადის გადამხდელის ნეგატიურ დამოკიდებულებას საგადასახადო სისტემისადმი, რის საფუძველზეც საგადასახადო დავების რიცხვი ქვეყანაში სტაბილურად მაღალია. გარდა ამისა საკმაოდ მცირეა სრულად დაკმაყოფილებული საგადასახადო დავების პროცენტული მაჩვენებელი, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს საგადასახადო ადმინისტრირების მკაცრი პოლიტიკის არსებობას ქვეყნის საგადასახადო სისტემაში.

სამწუხაროდ, საქართველოში საგადასახადო კონტროლის მექანიზმები ჯერ კიდევ რეპრესიული ხასიათის არის, ვინაიდან საგადასახადო კონტროლის ეფექტურობა იზომება შემოწმების დროს დარიცხული გადასახადებისა და სანქციების მოცულობით, ასევე დარღვეულია სამართლიანობის პრინციპი ვინაიდან სანქციების განაკვეთი არ არის დიფერენცირებული გადასახადის გადამხდელთა გადახდისუნარიანობის შესაბამისად. მაშინ, როცა საგადასახადო კონტროლის სფეროს განვითარებულ ქვეყნებში ორი ძირითადი ფუნქცია გააჩნია: პირველი ეს არის, უზრუნველყოს გადამხდელთა მიერ საგადასახადო ვალდებულებების დამოუკიდებლად განსაზღვრის მექანიზმის გამართული ფუნქციონირება. მეორე, გამოავლინოს საგადასახადო სამართალდარღვევის ყველა შემთხვევა და გამოიძიოს მათი საფუძველი.

შემოსავლების მობილიზების დონის ზრდა გარკვეულწილად მიუთითებს საგადასახადო ადმინისტრირების სისტემის ეფექტურ ფუნქციონირებაზე, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ სუსტი საგადასახადო ადმინისტრირების სისტემის პირობებში საგადასახადო შემოსავლების მობილიზება ხორციელდება ადვილად დასაბეგრი ობიექტიდან, მაგალითად როგორიც არის - ხელფასი, ხოლო დაბეგვრის მიღმა რჩება სამეწარმეო სფეროს მნიშვნელოვანი ნაწილი. საქართველოს შემთხვევაში საგადასახადო კანონმდებლობა არ მოიცავს სრულ საგადასახადო ბაზას, რის საფუძველზეც საგადასახადო კონტროლს მიღმა რჩება ეკონომიკური საქმიანობის ისეთი სფეროები როგორებიც არის: უძრავი ქონების იჯარით გაცემა, მგზავრთა გადაყვანის მომსახურება, სხვადასხვა ტიპის ბაზრის ტერიტორიაზე ვაჭრობა და ა.შ.

მიღწეული შედეგები არასდროს არის საკმარისი. გლობალიზაციის პროცესმა, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ფართო შეღწევამ ეკონომიკაში წარმოქმნა ახალი გამოწვევები, რომელთა გადასაწყვეტად საგადასახადო ადმინისტრირების დამკვიდრებული პრაქტიკა აღარ არის საკმარისი. ელექტრონული კომერციისა და ახალი ბიზნეს მოდელების განვითარებას თან სდევს საგადასახადო დაბეგვრის ადმინისტრირების სირთულეები. B2C(Business-to-consumer) - ახალი ბიზნეს მოდელი, რომლის საფუძველზეც მიღებული შემოსავალი ქვეყნის მთავარ საგადასახადო შემოსავლის წყაროდ უნდა იქცეს, ვერ დაიბეგრება თუ საგადასახადო ადმინისტრირების პრაქტიკა არ დაეფუძნება ,,ბლოკჩეინ'' სისტემისა და ციფრული პლატფორმების თანწყობილ მუშაობას, ვინაიდან აქ პრობლემას ქმნის არა მხოლოდ გარიგების ტიპთან დაკავშირებული დაბეგვრის სირთულეები, არამედ ცდომილების ალბათობა მისაღებ და პრაქტიკულად მიღებულ საგადასახადო შემოსავლებს შორის. შესაბამისად, მიმდინარე ეტაპზე საგადასახადო ადმინისტრირების მექანიზმის მოდიფიკაცია გულისხმობს როგორც, საგადასახადო ადმინისტრირების ციფრული პროგრამების აქტიურად დანერგვის პროცესს, ასევე მოსალოდნელი და ფაქტიურად გადახდილი საგადასახადო შემოსავლების ზუსტი მონიტორინგის მექანიზმის შემუშავებას, რაც გამორიცხავს ერთის მხრივ საგადასახადო ვალდებულებების თავიდან არიდების ფაქტებს და ამავდროულად დაგვეხმარება გადასახადების მობილიზების პრობლემის მოგვარებაში.

უნდა აღინიშნოს, რომ საგადასახადო ადმინისტრირების პროცესის უწყვეტი განვითარების

საფუძველზე საქართველო თავისუფლად პასუხობს საგადასახადო ადმინისტრირების თანამედროვე გამოწვევებს ტექნიკური და ტექნოლოგიური თვალსაზრისით. ამაზე მეტყველებს სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებთან წარმოშობის სერთიფიკატის ვერიფიკაციის პროცესის დახვეწის მიზნით ,,ბლოკჩეინ'' სისტემის გამოყენება. პროექტი ,,ბლოკჩეინ'' სისტემის დანერგვა გულისხმობს საშემოსავლო სამსახურის მიერ გაცემული წარმოშობის სერთიფიკატის ჰეშის (Digest Value) კალკულაციას და შემდეგ ტრანზაქციის სახით Ethereum Public BlockChain-ში შენახვას, თავად ტრანზაქციის ID-ის, QR კოდად გარდაქმნას და სერთიფიკატის ქაღალდურ ვერსიაზე დატანას.

დასკვნა

ჩამოყალიბებული ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს საგადასახადო ადმინისტრირების სისტემა ნაწილობრივ წარმატებით უმკლავდება ფისკალურ ფუნქციას, თუმცა იგი არ არის სრულყოფილად მორგებული ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. სახეზე გვაქვს არასრულყოფილი და ბუნდოვანი საგადასახადო კანონმდებლობა. კანონის განუწყვეტელი ცვლილებები ქმნის არასტაბილურ საგადასახადო გარემოს. რაც შეეხება საგადასახადო ადმინისტრირების მასტიმულირებელ ფუნქციას, ის განსაკუთრებით სუსტად არის წარმოდგენილი საქართველოს საგადასახადო სისტემაში.

საგადასახადო ადმინისტრირების პროცესში არსებული პრაქტიკული გამოწვევებისა და სხვადასხვა ეკონომიკური თეორიის განხილვის საფუძველზე მივდივართ დასკვნამდე, რომ საგადასახადო კანონმდებლობა და შესაბამისი აქტები უნდა ემყარებოდეს სამ ძირითად პრინციპს: ნეიტრალურობას, სტაბილურობასა და სიმარტივეს. კანონის საფუძველზე უნდა მოხდეს დაბეგვრის მარეგულირებელ ნორმებში შესატანი ცვლილებების რაოდენობის შეზღუდვა და ამავდროულად ცვლილების ძალაში შესვლის გონივრული ვადების განსაზღვრა, რასაც წინ უნდა უსწრებდეს საგადასახადო ნორმებში შესატანი ცვლილებებით გამოწვეული შედეგების განსაზღვრა.

აუცილებლად მივიჩნევთ საგადასახადო კონტროლის კურსის ცვლილებას რეპრესიული მიზნებიდან პრევენციული მიზნებისკენ. ეს საკითხი განსაკუთრებულ აქტუალურობას იძენს მიმდინარე პანდემიის ფონზე გამოწვეული მზარდი საბიუჯეტო ხარჯების გათვალისწინებით. გართულებული ეკონომიკური ვითარება არ უნდა გახდეს გადასახადის გადამხდელზე ზეწოლის საფუძველი. მნიშვნელოვანია საგადასახადო სანქციების დაკისრებისას ობიექტურად იქნას შეფასებული გადასახადის გადამხდელის გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი. ასევე საგადასახადო კონტროლის პროცედურებმა გონივრულობის ფარგლებში არ დაარღვიოს გადასახადის გადამხდელთა ეკონომიკური საქმიანობის ჩვეული რიტმი და არ შეაფერხოს მათი საქმიანობა. ამავდროულად საგადასახადო სანქციები შედარებით დიდი ოდენობით შესაძლოა დაწესდეს ეკონომიკური საქმიანობის ისეთ სექტორში სადაც უკონტროლო შემოსავლების წილი საკმაოდ მაღალია, მაგალითად, აზარტული თამაშების ბიზნესი.

მნიშნელოვანია გაგრძელდეს საგადასახადო ადმინისტრირების მექანიზმის მოდიფიკაცია, რაც გულისხმობს როგორც, საგადასახადო ადმინისტრირების ციფრული პროგრამების აქტიურად დანერგვის პროცესს, ასევე მოსალოდნელი და ფაქტიურად გადახდილი საგადასახადო შემოსავლების ზუსტი მონიტორინგის მექანიზმის შემუშავებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მიქელაშვილი მ. გადასხადების არსი და საგადასახადო დაბეგვრის პრინციპები, თბ.,2017;
3. ბარათაშვილი ე., აბრალავა ა., ბახტაძე ლ., კაკულია რ. ,,გადასახადები და საგადასახადო დაბეგვრა'', თბილისი, 2015;
4. გადასახადების ადმინისტრირების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება. № 996, 2010 წლის 31 დეკემბერი; 2020 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით;
5. https://www.rs.ge
6. https://www.geostat.ge

7. https://budgetmonitor.ge
8. https://forbes.ge/news
9. https://matsne.gov.ge

Globalization and the current challenges of tax administration

Koridze Tamta
Academic Doctor of Business Administration

Summary

The purpose of this paper is to study current problems of tax administration in Georgia, including the extent to which the system copes with fiscal, stimulating functions and present-day challenges, on the basis of which we reach the conclusion that the country's tax administration system partially successfully handles the fiscal function, jet the tax legislation is imperfect and vague. Additionally, continuous amendments of the law create an unstable tax environment. And in respect of the stimulating function of tax administration, it is exceptionally weakly represented in the tax system of Georgia.

We come to the conclusion that tax legislation and related acts should be based on three basic principles: neutrality, stability and simplicity. Limiting the number of amendments to the regulatory standards of taxation, as well as setting a reasonable timeframe for the amendments to enter into force, which should be preceded by identifying the consequences of the amendments to the tax regulations should be carried out in accordance with the law.

We consider it necessary to change the course of tax control from the repressive purposes to the preventive purposes. This issue is gaining special importance mainly during the current coronavirus pandemic, which leads to an increase in budget spending. However, complicated economic situation should not become basis for putting pressure on the taxpayers.

The process of globalization and widespread adoption of information and communication technologies have created new challenges in the economy, though the established practice of tax administration is no longer sufficient to solve them. B2C (Business-to-consumer) - a new business model, on the basis of which the income received should become the main source of tax revenue of the country, cannot be taxed if the practice of tax administration is not founded on the co-operation of the "blockchain" system and digital platforms. Modification of the tax administration mechanism also implies the development of the mechanism for accurate monitoring of expected and practically paid tax revenues, which on the one hand eliminates the facts of tax evasion and at the same time helps us to solve the problem of tax revenue mobilization.

ფულის გათეთრებისა და უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო გამოცდილება

ქუთათელაძე ალეკო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

კვიცარიძე ქეთევან
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

საერთაშორისო ვაჭრობის ზრდის, გლობალური ფინანსური სისტემის გაფართოების, ქვეყნებს შორის გადაადგილების გამარტივების და ორგანიზებული კრიმინალის ინტერნაციონალიზაციის პირობებში მეტად აქტუალურია ფულის გათეთრებისა და უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლა.

მსოფლიო მასშტაბით ყოველწლიურად თეთრდება 1,5-3 ტრილიონი აშშ დოლარი. მსოფლიოს მშპ-ს 2-5%, საქართველოს მშპ-ზე 25-ჯერ მეტი. ყოველწლიურად იზრდება ბანკების მიერ გადახდილი ჯარიმები ფულის გათეთრებასთან დაკავშირებით. AML/CFT სტანდარტებთან შესაბამისობის ხარისხი მოქმედებს როგორც ქვეყნის ასევე საფინანსო ინსტიტუტების რეპუტაციაზე. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციამ განსაკუთრებული საფრთხე შეუქმნა ცალკეული ქვეყნისა და მსოფლიოს ფინანსური სისტემის სტაბილობას. პრობლემის მნიშვნელოვნების მაღალ ხარისხს განაპირობებს არა მხოლოდ ბრუნვაში ჩართული ფინანსური რესურსების მოცულობა, არამედ მათი წარმოშობის და მიმოქცევის ფაქტობრივი და პოტენციური შედეგები. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია საფუძველს უყრის კრიმინალური ორგანიზაციების დანაშაულებრივ საქმიანობას და ხელს უწყობს კორუფციის ფართოდ გავრცელებას, განსაკუთრებით, ტრანზიტული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, მათ შორის, ისეთში, როგორიც საქართველოა.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, დასმულია შემდეგი ამოცანა:საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების ანალიზი და ფულის გათეთრების აღკვეთის საერთაშორისო სტანდარტების კვლევა.

საკვანძო სიტყვები:ფულის გათეთრება;უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია; FATF; Moneyval.

ძირათადი ტექსტი

ფულის გათეთრების საფრთხეები მეტად აქტუალურია განვითარებადი ქვეყნებისთვის. ფულის გამთეთრებლებისთვის სწორედ განვითარებადი ქვეყნები არის მიმზიდველი, ამას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს ესენია:

- სიღარიბე
- უთანასწორობა
- სუსტი სახელმწიფო ინსტიტუტები
- მარტივი შეღწევადობა
- ჩრდილოვანი ეკონომიკა
- კორუფცია
- არასტაბილური სოციალური და ეკონომიკური გარემო

XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს და 90-იანი წლების დასაწყისში საერთაშორისო დანაშაულის აღკვეთის მიზნით მიღებულ იქნა ზომები. 1989 წელს პარიზში "დიდი შვიდეულის" წარმომადგენელი ქვეყნების შეხვედრაზე შეიქმნა ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფი, Financial Action Task Force on Money Launderin (FATF), რომელიც მოიცავს 34 სახელმწიფოსა და ორ რეგიონულ ორგანიზაციას-ევროკომისიასა და სპარსეთის ყურის ქვეყნების თანამშრომლობის საბჭოს.

FATF-ის სტრუქტურის სამუშაო ჯგუფები დაკავებულნი არიან სტატისტიკის, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის იურიდიული საკითხებითა და რეკომენდაციების, წინადადებებისა თუ

სხვა ნორმის შემუშავებით. 1990 წლის თებერვალში FATF-მა შეიმუშავა 40 სპეციალური რეკომენდაცია, რომელიც მიზნად ისახავს ეროვნულ ფულის გათეთრების პროცესის აღკვეთის ხელშეწყობას. 1996 წელს რეკომენდაციები გადაიხედა. იმავე წელს ეს რეკომენდაციები მოიწონა 130-ზე მეტმა სახელმწიფომ.

- რეკომენდაცია 1-3 ეძღვნება ფულის გათეთრების კრიმინალიზაციას, რომელიც იხილავს ფულის გათეთრებას როგორც დანაშაულს, რომელიც აუცილებელია, გათვალიწინებულ იქნას ყველა ცივილიზებული ქვეყნის კანონმდებლობაში;
- რეკომენდაციებში 4-20 ასახულია ნორმები, რომლებიც ეხება ფინანსური ორგანიზაციების მეშვეობით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთას;
- რეკომენდაციები 21-22 განიხილავს ცალკეული ზომების მიღების საკითხს იმ ქვეყნებთან მიმართებაში, რომელთა საკანონმდებლო მექანიზმები არ შეესაბამება FATF-ის რეკომენდაციებს;
- რეკომენდაციები 23-25 ეხება რეგულირებისა და ზედამხედველობის საკითხებს;
- რეკომენდაციები 26-32 მოიცავს კომპეტენტური ორგანოების რესურსებსა და უფლება-მოსილებას;
- რეკომენდაციებში 33-34 მითითებულია იურიდიული პირების გამჭვირვალობის უზრუნველ-საყოფად მისაღები ზომები;
- რეკომენდაციებში 35-40 აღწერილია საერთაშორისო თანამშრომლობის წესები.

ფულის გათეთრების წინააღმდეგ ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფი თანამშრომლობს ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტთან (Moneyval), ფულის გათეთრებასთან და ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის ევრაზიის ჯგუფთან (EAG), შუა აზიისა და ჩრდილოეთ აფრიკის ფინანსურ ქმედებათა სპეციალურ ჯგუფთან (MENAFATF) და სხვ.

ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტი (Moneyval) 1997 წელს ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების ინიციატივით შეიქმნა. კომიტეტის მიზნად განისაზღვრა ფულის გათეთრების წინააღდეგ ბრძოლის საერთაშორისო მექანიზმებთან ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების ეროვნული სისტემების შესაბამისობის შეფასება. Moneyval ამოწმებს ქვეყნების თავსებადობას ფინანსურ ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) სტანდარტებთან, რომლის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასებაა.

1999 წლიდან საქართველო ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონის-ძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის წევრია. კომიტეტში საქართველოს წარმოადგენენ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს პროკურატურა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური, რომელიც, ასევე, ხელმძღვანელობს საქართველოს დელეგაციას. სადღეისოდ Moneyval-ის კომიტეტი 30 წევრს აერთიანებს.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას კომერციული ორგანიზაციებიც ებრძვიან. 2000 წლის 30 ოქტომბერს მსოფლიოს 11-მა წამყვანმა ბანკმა - Societe Generale, Deutsche Bank AG, ABN, AMRO Bank N.V., Banco Santander Central Hispano S.A., Credit Suisse Group, UBS AG, HSBC da Barclays Bank-ma ხელი მოაწერეს საბანკო სექტორში ფულის გათეთრების აღკვეთის შესახებ საყოველთაო დირექტივებს (Wolfsberg Anti-Money Laundering Principles-ვოლფსბერგის პრინციპები)[1].

საინტერესოა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მებრძოლი ევრაზიის ჯგუფი - The Eurasian Group on Combating Money Laundering and Financing of Terrorism, (EAG), რომელიც 2004 წელს შეიქმნა. მისი ძირითადი ამოცანები მოიცავს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში საერთაშორისო სტანდარტების გავრცელებას, ფინანსური დაზვერვის ფარგლებში ერთობლივი ღონისძიებების შემუშავებას, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობის

[1] The Wolfsberg Group, Nk, Wolfsberg Statement On The Suppression Of The Financing Of Terrorism, 2002, P.1

შეფასებას, ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის გამოცდილების გაზიარებასა და თანამშრომ-ლობის პროგრამის კოორდინაციას.

ეგმონტის ჯგუფი 1995 წელს 9 ივნისს შეიქმნა. მისი სახელწოდება მომდინარეობს ბრიუსელში ეგმონტის ჯგუფის პირველი შეკრების ადგილის - ეგმონტ-არენბერგის სასახლის სახელწოდებიდან. ეგმონტის ჯგუფის მიზანია სხვადასხვა ქვეყნების ფინანსური მონიტორინგის უწყებებს შორის თანამშრომლობის კოორდინაციისა და ინფორმაციის ურთიერთგაცვლის ხელშეწყობა. ეგმონტის ჯგუფში ამჟამად 164 ქვეყნის ფინანსური მონიტორინგის უწყებაა გაერთიანებული (2020 წლის 1 მარტის მდგომარეობით). საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური ეგმონტის ჯგუფის წევრია 2004 წლის 23 ივნისიდან და აქტიურად არის ჩართული ჯგუფის საქმიანობაში.

ეგმონტის ჯგუფის სტრუქტურა მოიცავს: უმაღლეს მმართველ ორგანოს მასში გაწევრიანებული სხვადასხვა ქვეყნების ფინანსური მონიტორინგის უწყებების უფროსების გენერალური ასამბლეის სახით, რომელიც სულ მცირე წელიწადში ერთხელ იკრიბება პლენარულ სხდომებზე; ეგმონტის ჯგუფის კომიტეტს, რომელიც გენერალური ასამბლეისა და სამუშაო ჯგუფების საკონსულტაციო-საკოორდინაციო ორგანოა და სამუშაო ჯგუფებს.

ეგმონტის ჯგუფის საქმიანობას საფუძვლად უდევს ქარტია, მისი ბიუჯეტის ფორმირება ხდება წევრი სახელმწიფოების ფინანსური მონიტორინგის უწყებების ყოველწლიური შენატანებითა და სხვადასხვა ნებაყოფლობითი შემოწირულობებით.

დასკვნა

საქართველოსთვის მნიშვნელოვანია საერთაშორისო გამოცდილებისა და რეკომენდაციების გამოყენება უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმებით, საქართველომ აიღო ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების ვალდებულება, მათ შორის ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის, გამოვლენის და აღკვეთის სფეროში. საქართველო ასევე მონაწილეობს ევროსაბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის (Moneyval) საქმიანობაში, რომლის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასებაა.

კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური აქტიურად თანამშრომლობს საზღვარგარეთის ქვეყნების ანალოგიურ სამსახურებთან. „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს მინიჭებული აქვს უფლებამოსილება სხვა სახელმწიფოთა შესაბამის ორგანოებთან დამოუკიდებლად დადოს ხელშეკრულებები (შეთანხმებები), რომლებითაც მოწესრიგდება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ინფორმაციის გაცვლა და სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებული სხვა საკითხები.

2018 წლის 1 მარტის მდგომარეობით, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს ინფორმაციის გაცვლისა და თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმები გაფორმებული აქვს უკრაინის, სერბეთის, ლიხტენშტეინის, ესტონეთის, ჩეხეთის, ისრაელის, სლოვენიის, რუმინეთის, პანამის, ტაილანდის, ბელგიის, ბულგარეთის, ჩინეთის, ხორვატიის, მოლდოვას, ლიბანის, ინდონეზიის, სომხეთის, თურქეთის, შვედეთის, პოლონეთის, მაკედონიის, ლატვიის, კვიპროსის, არუბას, ანდორას, სან–მარინოს, ინდოეთის, ბელორუსიის, ფინეთის, დანიის, ნიდერლანდების, საბერძნეთის, ლიტვის, არგენტინის, მალტის, პორტუგალიის, უნგრეთის, თურქმენეთის, ყაზახეთის, მონტენეგროსა და მონაკოს შესაბამის სამსახურებთან

გამოყენებული ლიტერატურა

1. www.fms.gov.ge
2. www.fatf-gafi.org
3. www.egmontgroup.org
4. www.coe.int/moneyval
5. The Wolfsberg Group, Nk, Wolfsberg Statement On The Suppression Of The Financing Of Terrorism, 2002, P.1

International experience in combating money laundering and illicit income legalization

Kutateladze Aleko
Professor of GTU

Kvitsaridze Qetavan
PhD student of GTU

Summary

On the lite of increasing international trade, expansion of the global financial systems, simplifying the transfer between the countries and the process of internationalization of the organized crime activities, it is important to have an action combating money laundering and illicit income legalization.

It is crucial for Georgia to use international experience and recommendations combating money laundering and facilitating the prevention of illicit income legalization cases. According to the association agreement signed between the EU and Georgia, Georgia bind itself to harmonize its legislation to the legislation of the EU, including the legislation on combating money laundering and the prevention of terrorism financing.

Georgia participates combating money laundering activities which is held by the Council of Europe and other international organizations, one of the main goals of this actions are to decrease the risk of combating money laundering and terrorism financing.

გლობალური საცალო საბანკო მომსახურების მიმდინარე ტენდენციები

ქუთათელაძე ალეკო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ნიკურაძე რუსუდან
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

თანამედროვე სამყარო საბანკო სექტორს ფუნქციური გარდაქმნის ახალ პირობებს კარნახობს. ეს სტატია ცხადყოფს გლობალურ ტენდენციებს, რომლებიც დაკავშირებულია ტრადიციული საბანკო სტრუქტურის რეორგანიზაციასთან, ახალი თაობის ბანკებისკენ მიმავალ გზაზე. მოცემულია მსხვილი დასავლური კომერციული ბანკების მაგალითები, გამოვლენილია მსოფლიოს წამყვანი კომერციული ბანკების საცალო მომსახურების ტენდენციები და ასახულია განვითარების გზები გრძელვადიან პერსპექტივაში.

საკვანძო სიტყვები: ბანკები, საცალო მომსახურება, გადახდის სისტემები, მომხმარებელზე ორიენტირებული სტრატეგია, ინოვაციები, საბანკო სექტორი, ფინანსური კრიზისი, დასავლეთის ბაზრები, მობილური ბანკინგი, ციფრული მომსახურება.

ძირითადი ტექსტი

2019 წლის კრიზისმა შეარყია ბანკებისადმი საზოგადოების ნდობა და კარი გაუხსნა რადიკალურ რეფორმებსა და ტრანსფორმაციას. მეტიც, ფინანსურმა კრიზისმა გამოავლინა ფარული სამთავრობო გარანტიებისა და სუბსიდიების რეალური ღირებულება. შედეგად, მივიღეთ მთელი რიგი ცვლილებები საბანკო სექტორის რეგულირებაში, რაც პირდაპირ გავლენას ახდენს საქმიანობის მოცულობაზე და მასშტაბზე და ძირს უთხრის ტრადიციულად რეგულირებული ინდუსტრიის ეკონომიკურ მოდელს.

საოპერაციო გარემოში ამგვარი ცვლილებები იწვევს ახალ მოთამაშეთა გაჩენას, რომლებიც მზად არიან, მონაწილეობა მიიღონ კონკურენციაში საბანკო სექტორის სხვადასხვა მიმართულებით. საგადახდო და საკრედიტო სისტემები ჩნდება ტრადიციული საბანკო სტრუქტურების ჩარჩოებში, აქტიურად ვითარდება მობილური ბანკინგი. მაღალხარისხიანი უკაბელო და ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის გავრცელება კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ფილიალზე დაფუძნებული მომხმარებელთა მომსახურების მოდელის ეფექტურობას და ახალ აბიტურიენტებს ეხმარება ბაზარზე ინტერნეტით პრობლემების გარეშე შესვლაში.

ფინანსური ასპარეზზე გამოდიან ტექნიკური კომპანიებიც: Facebook–მა ელექტრონული ფულის ინსტიტუტიდან ლიცენზიის მიღებაზე შეიტანა განაცხადი, ხოლო Google–მა შექმნა საკუთარი მობილური საფულე. გარდა ამისა, ინტერნეტი და მობილური კომუნიკაციები განაპირობებენ ინოვაციებს საბანკო სექტორში, ხოლო ტრადიციული ბაზრის მოთამაშეებს დაევალებათ მომხმარებლების ყურადღების მიპყრობა და ინვესტიციების შენარჩუნება. მენეჯმენტმა უფრო მეტი დრო უნდა დახარჯოს წარსულიდან მემკვიდრეობით მიღებული პრობლემებისა და მარეგულირებელ საკითხების გადასაჭრელად. [3, გვ. 6-14]

აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად დღევანდელ მკაცრ კონკურენციულ გარემოში კომერციული ბანკები იძულებულნი არიან შეცვალონ სტრატეგიები ტრადიციული, მომხმარებელზე ორიენტირებული პროდუქტებით. ბანკები, რომლებიც აგროვებენ ყველაზე დეტალურ ინფორმაციას საკუთარი მომხმარებლების შესახებ (ეკონომიკურ დემოგრაფია, მომხმარებელთა ქცევა), სარგებლობენ მომხმარებელთა უპირატესობით. შესაბამისად, ასეთი ბანკები ახორციელებენ სხვადასხვა სახის ინოვაციებს, გადადიან მომხმარებლებთან ინტერნეტ კომუნიკაციაზე, მათ შორის მობილური ბანკინგით, ამზადებენ და თავაზობენ მომხმარებელს ინდივიდუალურ პაკეტებს და, ამრიგად, ინარჩუნებენ საბაზრო პოზიციას ნებისმიერ პირობებში.

მაგალითად, ამერიკის შეერთებულმა შტატების ერთ-ერთმა უდიდესმა ბანკმა გადაწყვიტა

ყურადღების ფოკუსირება მოსახერხებელ, ინოვაციურ და მარტივ პროდუქტებზე. ამ მიზნით მან შეამცირა მომსახურების დრო სტანდარტიზებულ პლატფორმებსა და შიდა პროცესებზე; ხოლო ძალისხმევა მიმართა მრავალარხიანი მომსახურების მიწოდებაზე, რათა კლიენტებისთვის მიეცა ფართო შესაძლებლობები ანგარიშების მართვისა და უშუალო კომუნიკაციისთვის. ამ მიზნით ბანკმა ინვესტიცია ჩადო შემოსავლების გაზრდისა და ხარჯების შემცირების ტექნოლოგიაში.

აუდიტორული კომპანია Ernst&Young სტრატეგიაში „ბანკები შემდეგი თაობისთვის" ხაზს უსვამს ბანკების ტრანსფორმაციის ტენდენციას და აღნიშნავს, რომ ისინი, ვინც განაგრძობს კლიენტების „ძველი წესით" მომსახურებას, მნიშვნელოვნად წააგებს კონკურენტებთან. საბანკო მომსახურების შესახებ მომხმარებლების გლობალური გამოკითხვის შემდეგ, კომპანიამ დაადგინა, რომ საჭიროა გადასვლა omni-channel 1 მოდელზე (ინტეგრირებული გაყიდვის კონცეფცია), რომელიც წარმოადგენს არხის მასშტაბით სავაჭრო კონცეფციას და მიზნად ისახავს მომხმარებლებთან ურთიერთობას ყველა შესაძლო არხით. მომხმარებელთა სურვილები ვითარდება გარემოს ზეგავლენით და, ამდენად, მას არ სურს მხოლოდ ტრადიციული ოპერაციებით შემოიფარგლონ.

მაგალითად, ბრიტანული მეტრო ბანკი ემსახურება კლიენტებს შაბათ-კვირას საღამოს რვა საათამდე, ე. წ. „მაღაზიებში". ეს ფილიალები აღჭურვილია ბანკნოტების დათვლის აპარატებით, აგრეთვე ტაბლეტებით, რომელთა დახმარებით შესაძლებელია ოპერაციების განხორციელება მიმდინარე ანგარიშებზე და ახალი ანგარიშების გახსნა. ბანკის მენეჯმენტი მომხმარებლების შინაურ ცხოველებზეც კი ზრუნავს: ვიზიტორების ოთხფეხა მეგობრებისთვის შენობაში წყლისა და საკვების თასებია განლაგებული.

ბრიტანულ Virgin Money–ში კლიენტებს შეუძლიათ არა მხოლოდ ფინანსური ოპერაციების განხორციელება, არამედ საქმიანი შეხვედრებისა და მოლაპარაკებების მოწყობა. ტრადიციულ ფილიალებთან ერთად, ბანკი იხსნება არაჩვეულებრივი - Virgin Money Lounges. მათ არ აქვთ საბანკო მომსახურების გაყიდვის მრიცხველები და არავინ ცდილობს სხვა დეპოზიტის ან სესხის დაწესებას. გარდა ამისა, მომხმარებელს შეუძლია ისარგებლოს უფასო Wi-Fi-ით და გამაგრილებელი სასმელებით. ფულის ლაუნჯები არ შეცვლილა, მაგრამ შეავსეს ბანკის მიმდებარე რეგულარული ფილიალები, რომლებმაც გარეგნობისა და ინტერიერის შეცვლის შემდეგ აჩვენეს შემოსავლის 200 პროცენტიანი ზრდა [4].

საკონსულტაციო კომპანია Capgemini Consulting თავის მოხსენებაში „ბანკების ფილიალების მომავალი: ფიზიკური და ციფრული ურთიერთქმედების კოორდინაცია" სამეცნიერო თანამშრომლობის ცენტრში „ინტერაქტიული პლუსი" აღნიშნავს, რომ კომერციული ბანკები ერთგვარ რევოლუციას განიცდიან, ისევე როგორც 10 წლის წინ. მათ უნდა გამოიყენონ საცალო ვაჭრობის იმ სფეროთა გამოცდილება, რომლებმაც აითვისეს ციფრული ტექნოლოგიები და შეამცირეს უფსკრული მომხმარებელს, რეალობასა და ვირტუალურ სივრცეს შორის.

ამრიგად, ზემოთ დასახელებული მიზნების მისაღწევად დასავლური ბანკების საცალო საბანკო მომსახურებას აქვს შემდეგი ტენდენციები:

1. მომხმარებელთა ქცევის ანალიზი. 2021 წელს დასავლეთის ბანკები აპირებენ ფულის შთამბეჭდავი ნაკადის მიმართვას ანალიტიკური პროგრამების შემუშავებაში, რათა შექმნან მომხმარებლისადმი უფრო პერსონალური მიდგომა და ურთიერთობა. კლიენტის ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, შეთავაზებული მომსახურებიდან დაწყებული მომსახურების გაუმჯობესებით დასრულებული, საკრედიტო დაწესებულებები გამოიყენებენ საკომუნიკაციო არხებს ბანკის მომხმარებელთან მუშაობის გასამარტივებლად და უფრო პირადულს გახდიან მას.

2. კლიენტებთან ციფრული კომუნიკაციის დაჩქარებული განვითარება. ინოვაციების ხანაში მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მთელი ინდუსტრიის გადაყვანა ტექნოლოგიურ სერვისებზე, არამედ ამისათვის ბანკის პერსონალის მომზადებაც. დიდი კონკურენტული უპირატესობაა ციფრული ინოვაციები, რაც აუმჯობესებს მომხმარებლებსა და თანამშრომლებს შორის ურთიერთქმედების ხარისხს. საკონსულტაციო მომსახურების განვითარების მიზნით, ბანკები ისწრაფვიან ავტომატიზაციისკენ, მომსახურების გასაუმჯობესებლად მომავალში იგეგმება საკუთარი რობოტი-კონსულტანტების გამოყენება ეფექტური ჯვარედინი გაყიდვებისა და დაბალი დონის მომხმარებლების მომსახურების

ღირებულების შესამცირებლად.

3. ბანკების მობილური აპლიკაციების შემუშავება. მობილური აპლიკაციების შემუშავება მეტია, ვიდრე უბრალოდ არაეფექტური პლატფორმისათვის ახალი ფუნქციების დამატება. ეს ეხება მომხმარებლებისთვის კიდევ უფრო მარტივი და კომფორტული გარემოს შექმნას.

4. გაიზარდა ციფრული და სოციალური გაყიდვები. ტენდენცია იჩენს თავს 2021 წელს, მეტიც, ბევრი უცხოელი ექსპერტი გვირჩევს გაყიდვების უმეტესი ნაწილი სოციალურ ქსელებზე გადავიდეს, რადგან იქ პოტენციური მომხმარებლები ყველაზე გულუბრყვილოები არიან. ურთიერთქმედების ეს ახალი ფორმები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება თანამედროვე თაობისთვის, რომლისთვისაც მოიღებელია პროპაგანდა, უარყოფს მოძველებულ კლიშეებსა და ტრადიციულ რეკლამას.

5. მობილური გადახდების ფართო გამოყენება. Apple Pay 2, iPhone 6/6+ და უფრო ახალი მოდელების მეშვეობით, მომხმარებლებს შეუძლიათ გადაიხადონ NFS ტექნოლოგიის გამოყენებით Apple Passbook–სა და Touch ID–სთან ერთად. ის ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას ონლაინ გადახდებისათვის. Apple Pay თავსებადია არსებულთან უკონტაქტო მკითხველები Visa PayWave, MasterCard PayPass, American Express ExpressPay. ამჟამად ხელმისაწვდომია მხოლოდ აშშ-ში სისტემის მხარდაჭერა გამოცხადდა რამდენიმე ქსელის საშუალებით, მაგალითად, Apple Store, McDonald's, Wendy's; ასევე ასობით ბანკი.) გახდა გამაღვიძებელი დასავლეთის საბანკო სისტემისთვის. და სერიოზული ბიძგი ცვლილებებისთვის.

6. ფოკუსირება უსაფრთხოების და ინფორმაციის დაცვაზე. მობილური აუთენტიფიკაცია კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა სესხის გამცემი ინსტიტუტებისთვის, რადგან მომხმარებლები ონლაინ ბანკინგიდან სმარტფონებსა და ტაბლეტებზე გადადიან.

7. ინდუსტრიული კონსოლიდაცია. ამერიკელი ექსპერტების აზრით, კონსოლიდაცია გავლენას მოახდენს ყველა ზომის დასავლურ ბანკზე. რა თქმა უნდა, ძირითადად მსხვილი კორპორაციები შთანთქავენ საშუალო ზომის ორგანიზაციებს, რადგან ეს უკანასკნელნი ვერ შეძლებენ ზრდის გაგრძელებას და თანამედროვე პირობებში შემდგომ განვითარება. მრავალი საკრედიტო ინსტიტუტი თანახმაა გაერთიანდეს ან მიიღოს ბანკი სხვა ბანკებში, რათა გაზარდოს მათი კაპიტალი, რესურსები და ცოდნა მარეგულირებელი პრობლემების, გაფართოების, რეკონსტრუქციის, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების, ონლაინ ბანკინგისა და მობილური სერვისების შესახებ.

8. მეტი ინფორმაციის მიღება კლიენტების შესახებ. 2021 წელს საკრედიტო ინსტიტუტები დაიწყებენ ფასწარმოქმნის სხვადასხვა სქემების აქტიურად გამოყენებას, რათა მომსახურების ფასები ბანკსა და კლიენტს შორის ურთიერთობის სამართავ ბერკეტად გადააქციონ. საკონსულტაციო ფირმა Accenture აღნიშნავს, რომ ბევრი ბანკი უკვე იწყებს ინოვაციური პროდუქტების დანერგვას, რათა განსაზღვროს, თუ როგორ იმოქმედოს მომხმარებლებთან ტრადიციული ფინანსური პროდუქტების მიღმა და შეისწავლოს საკუთარი კლიენტების ფინანსური ცხოვრება.

9. ინვესტიცია ინოვაციებსა და უჩვეულო კავშირებში. არსებულ გარემოში ბანკებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ახალ პარადიგმასთან ადაპტაციას და გაიზარდონ მზარდი შესაძლებლობების ფართო სპექტრისთვის. 2021 წელს გამსესხებელი ინსტიტუტები ინვესტიციას განახორციელებენ არასაბანკო ინოვაციურ ტექნოლოგიებში, რათა მოახდინონ რადიკალური ცვლილებები, რასაც თანამედროვე საზოგადოება მოითხოვს. პროგნოზირებულია მეტი საბანკო მობილური აპლიკაცია, ბანკის მიერ დაფინანსებული სტარტაპერები.

10. ტექნიკური ხარვეზის მზარდი გავლენა საბანკო კონკურენტუნარიანობაზე. ბანკები უფრო ინტენსიურად იბრძვიან კლიენტისთვის, მეტი ახალი ტექნოლოგიის დანერგვისათის, ამიტომ წამყვანმა ბანკებმა უნდა მოძებნონ ახალი, არატრადიციული მოკავშირეები, პარტნიორები და მომწოდებლები კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად.

დასკვნა

ამრიგად, კომერციული ბანკების საცალო მომსახურების დასავლური ბაზრები 2021 წელს ისწრაფვიან ელექტრონული ტექნოლოგიების მასიური დანერგვისკენ, გადადიან კლიენტებზე

ორიენტირებულ სტრატეგიებზე. ბევრი ბანკი თანდათან ათავისუფლებს ბანკის ტრადიციულ კონცეფციას, უფრო ღრმად ეცნობა ელექტრონული ინტერნეტ სამყაროს თანამედროვე შესაძლებლობებს (კონფერენციები მომხმარებლებთან სკაიპში, კამტაზიაში, ზუმში და ა. შ.).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Ashish Jain, Sukeert Shanker – 2020 Retail Banking Trends [ელ. რესურსი]: http://www.strategyand.pwc.com/perspectives/2020-retailbanking-trends
2. Jim Marous – Top 10 Retail Banking Trends and Predictions for 2020 - December: http://thefinancialbrand.com/46189/2020-top-banking-trends-predictions-forecast-digital-disruption/
3. კომპანიის **PwC** კონსალტინგური კვლევა „საბანკო სექტორის მომავალი სახე. რეფორმირების დროა: ბანკი თუ საბანკო სექტორი?“/კოლინ ბრერეტონი, მაილზ კენნედი, პიტერ სპრატტი, ჯეიმს ჰიუერი – 2018. – C.6–14.

New Trends in Global Retail Banking Services

Kutateladze Aleko
Professor of GTU

Nikuradze Rusudan
PhD student of GTU

Summary

The modern world dictates new conditions for the functional transformation of the banking sector. This article describes the global trends related to the reorganization of the traditional banking structure on the way to a new generation of banks. Examples of major Western commercial banks, retail services identified trends in the world's leading commercial banks, and the ways of development in the long term

The Relevance of Sustainability Analysis and Financial Reporting in the Attraction of Investment

Shengelia Natia
Associate Professor of Georgian Tehcnical University

Tsiklauri-Shengelia Zhuzhuna
Professor of Georgian Tehcnical University

Shengelia Revaz
Professor of Georgian Tehcnical University

Abstract

Investors and other stakeholders mainly make their economic decisions based on the financial Report. The fairly and truly represented Financial Reports play a key role in getting the important financial information about the companies to assess their performance. However, for obtaining the financing resources, in the modern world, when the economic situation is changing rapidly, due the Covid-19 or different globalization processes, the company's social corporate responsibility and creating long-term values become more attractive especially for Investors. Generally, ESG investments funds as a resource of financing are only available for those companies that value and implement the environmental, corporate governance, social (ESG) and ethical values, strategies in parallel with financial commercial goals. That is why the Sustainability Accounting Standards Board (SASB) have created standards for 79 industries requiring from companies to disclose and to consider in their *business models* the sustainability issues.

Keywords: Sustainability Business Model, ESG, SASB standards, Investment, Accounting metrics, Financial reporting.

Main Text

Sustainability. Sustainability accounting is defined "as the measurement, management, and reporting of corporate activities that maintain or enhance the ability of the company to create value over the long term". The objective of SASB standards is to help standardize disclosure and accounting metrics on the most crucial sustainability issues in a given industry. The disclosures are related to those **environmental, social, and governance (ESG)** topics that are likely to have *material impacts on the financial condition or operating performance* of companies. F.ex. JSC Coca-Cola Bottlers Georgia, Procter & Gamble Co., Avon Products, so we can identify the following sustainability disclosure topics and accounting metrics for this group: 1) Packaging management 2) Water management 3) Products' environmental health and 4) Environmental and social impacts of each company's palm oil supply chain"1.

"Under the topic of packaging life-cycle management, the SASB accounting disclosure metric includes (1) total weight of packaging, (2) percentage made from recycled and/or ***renewable materials***, and (3) percentage***(%) that's recyclable, reusable***, and/or compostable"[2].

SASB and Financial Metrics

SASB standards also focus on financially material issues. Generally, sustainability topics can influence the company's ***revenue(1), cost(2), or the value of assets and liabilities(3)***,***cost of capital(4).***

1) **Revenue** - affecting the demand for the company's products/services, or long-term development, expansion. For example, SASB standards require a disclosure note for nonalcoholic beverage companies is the "revenue from (a) zero- and low-calorie, (b) no added sugar. Low dependence on revenues from these types of beverages may put future revenue at risk ***as consumers move to healthier choices***[3]. We have checked JSC *Coca-Cola Bottlers Georgia's 2019 Group Financial report* where *environmental matters* were mentioned in the contingencies and commitment note N30, however there were not found the detailed description of revenues as was above mentioned: zero_ or without sugar_coca cola sales revenue, that would be recommendable for sustainability purposes.

2) **Cost** - related with operational activities. SASB standards in the energy consumption area generally require disclosure of "operational energy consumed the percentage (%) of grid electricity, and the **percentage (%) of renewable energy**." These metrics describe how the company is positioned to *manage future energy costs.*

3) **Assets or liabilities** –impairment or contingent liabilities. SASB standards have a disclosure topic

[1] https://sfmagazine.com/post-entry/april-2020-sasb-metrics-risk-and-sustainability/
[2] https://sfmagazine.com/post-entry/april-2020-sasb-metrics-risk-and-sustainability/
[3] https://sfmagazine.com/post-entry/april-2020-sasb-metrics-risk-and-sustainability/

related to ecological impacts (gas, oil industry) that includes disclosure of the "number of aggregate volume of hydrocarbon spills volume in Arctic.. and volume recovered." Risks related to this topic generally involve potential contingent liabilities related to sanctions, clean-up activities. **4) Cost of capital**- generally related with corporate governance, operating licenses. SASB requires to disclosure a "description of processes to manage ***business ethics*** risks throughout the value chain."

In the solar energy industry, a disclosure topic includes a "***description of efforts*** in solar energy system project development to address community and ecological impacts." Ineffective efforts in this area can impact the value of acquired land rights[1].

Merck Co Sustainability (ESG) Triad

For more detailed analysis, we have discussed the Merck Co example for Sustainability accounting; **Merck Co,** known as MSD outside of the United States and Canada, is an American Company involved in bringing forward medicines and ***vaccines*** to save and improve lives. The investment business has been altered to generate profit not only in the **financial sector,** but also in **social and environmental** matters. In order to invest in a company, several factors are analyzed, such as profitability, production sectors, and competitiveness. In view of the *updates needed* to achieve sustainability (**economic, social and environmental**), ESG funds have been hosting companies that are committed to the ideals of a set of values and ethical criteria that guide the production of a company in order to value the environmental, social and corporate governance issues:

1) **Environment----**Merck Co as the world packaging and medicine producing company, faces many challenges, however it managed that the effect of packaging are being leveraged **by moving to friendly planet package** that cannot harm the planet or nature after use. 2) **Social Aspects--** Employees are given work arrangements options to serve their family matters and they *offer different program outside work to retain workforce*. 3) **Corporate Governance--**Merck Co is committed to the development of ***innovative products*** to *achieve good health*, being the research areas based on cancer, diabetes, now ***also against COVID-19***. Additionally, Merck Co develops projects for the maintenance of ***ecosystems***. These projects allows the reduction of polluting gases, saving water, recycling materials, educating society about good sustainability practices, and also for the preservation of animal and plant species. Finally, having a **complete sustainability triad**, the corporation is able to maintain an ethical environment, with values that are unattainable.

Compliance Analysis With SASB standards Accounting

Merck Co has a great reputation around the world. So, its important to satisfy all quality standards requirements. I**t** uses GRI and SASB standards to disclose all its financial or non-financial metrics. The objective of this research is to assess and to analyze Merck Co's performance globally, its *compliance with SASB standards.* That is why we established below the SASB modified Table[2] specific to Merck Co; As the research company is from the **Healthcare** industry, **pharmaceuticals**, we have analyzed from the corresponding SASB Sector Map, the ***highly material*** and ***less material influencing Factors*** , and then have *compared* to the Company's metrics by discussing **its ESG Progress Report 2019/2020[3].**

Below the Table 1 and 2 shows from SASB 79 standards 5 main criteria only towards the Healthcare industry. As Merck (MSD) ESG progress report shows the company discusses and considers all SASB standards requirements and criteria, such as:

A. <u>Environmental Criteria</u>

As shown in the Table 1, For **Environmental**(A) sector, by discussing **A1** Factor **-Waste and Hazard material Management**(1), Merck Co has adopted "**Design for Environment**" guidelines, considering the minimizing package sizes and **using more environmentally friendly materials,** fewer solvents and other hazardous materials. Regarding **climate change**, they have established internal policies and practices focused on reducing energy(A3,Table 1),minimizing GHG(A2) generation throughout the company. **For 2020**, they had over 60 projects in progress, that when completed would reduce carbon dioxide emissions from their facilities by over 36,000 metric tons.

B. **<u>Social Capital Criteria</u>**

Moreover, as mentioned by SASB standards, Merck discloses proper information regarding its personnel by year, global rate, region, gender; per **SASB 330a.2** even the voluntary and involuntary turnover rate for: executives and senior managers, midlevel managers, professionals.

---

[1] https://sfmagazine.com/post-entry/april-2020-sasb-metrics-risk-and-sustainability/

[2] https://materiality.sasb.org/

[3] MSD_ESG_Progress_Report_2019.2020.pdf (merck.com) https://www.merck.com/wp-content/uploads/sites/5/2020/11/MSD_ESG_Progress_Report_2019.2020.pdf



C. <u>Innovations and Business Model</u>

The company is committed to invent more innovative medicines and vaccines, especially focused on the cancer, Ebola and other diseases.

D. <u>Governance and leadership Criteria</u>

The **SASB 270a.2** refers the Code of ethics governing promotion of off-label use of products. Business Ethic is the critical and material sectorial factor especially for a Pharmaceutical company. The company has improved its internal policy so efficiently that the number of breaches of privacy and losses of personal data were decreased by 90 % in 2019 [2018-315 units, 2019-29units-p.85, ESG Progress Report 2019/2020]. Regarding **Governance**, the **board** of Merck Co also has the ***high-level accountability for sustainability topics***, such as identification of ESG impacts, risks, and opportunities;

In Summary, all these factors allow the company to have less risk in its production, less administrative processes, less problems with governance and, consequently, less problems with environmental norms. On the other hand, the company benefits from being of the strict confidence to receive ESG funds as the financing resources. The population receive a greater number of benefits when their rights are respected, all that finally create a **socially responsible environment.**

Conclusions

Managerial recommendations

In Summary, Sustainability reporting plays a crucial role in the modern world, globalization processes. The "**SEC" (Securities and Exchange Commission)** has even issued the interpretative guidance for companies related to KPIs and metrics, paying attention to **sustainability accounting along with financial reporting.**[1] There can be discussed the following recommendations for implementing Sustainability Accounting into practice:

- Review the SASB metrics in the specific industry.
- Review other companies' integrated SASB metrics in disclosures;
- Establish an action plan to publish disclosures per industry-specific SASB guides.
- Consider how and what sustainability metrics can be developed at the company in terms of driving sustainability strategies and long-term value creation.
- Consider how sustainability metrics can be integrated into Risk Management, Financial reporting by involving CFO,CEO, chief Accountants and other professionals.

To sum up the practical example of Merck Co, it considers many Sustainability requirements. Its **synergy** with the environment is guaranteed through ***compliance with environmental standards***. Therefore, it is quite logical to understand that the **Merck Company** (MSD) occupies the 78th position in the rank of companies committed to social responsibility, being highly reliable for ESG fund investments.

Finally, the Sustainability strategies are top key priorities for many ***investors*** around the world as a

[1] See Regulation G [17 CFR 244.100-244.102]. See also Item 10(e) of Regulation S-K. [17 CFR 229.10(e)]. Release No. 33-8176 (Jan. 22, 2003) [68 FR 4819 (Jan. 30, 2003)].

pathway for creating greater long-term value. It's a challenge for Directors and boards to identify sustainability issues with financial reporting that impact the value of the company and to develop metrics that will lead to better risk management. So all companies in future should be moved to **Sustainable Business Model** that considers social, environmental performance, accountability and transparency to succeed.

References:

1. https://materiality.sasb.org/
2. MSD_ESG_Progress_Report_2019.2020.pdf (www.merck.com)
3. Why is Sustainability and the ESGs a significant opportunity for accountants? https://www.morisonksi.com/news/why-is-sustainability-and-the-esgs-a-significant-opportunity-for-accountants-4.05.2021.
4. MARK L. FRIGO, R. WHITTINGTON-SASB METRICS, RISK, AND SUSTAINABILITY-1.04.2020;
5. https://sfmagazine.com/post-entry/april-2020-sasb-metrics-risk-and-sustainability/
6. See Regulation G [17 CFR 244.100-244.102]. See also Item 10(e) of Regulation S-K. [17 CFR 229.10(e)].

მდგრადი განვითარების ანალიზისა და ფინანსური ანგარიშგების მნიშვნელობა ინვესტიციების მოზიდვისათვის

ნათია შენგელია,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ეკატერინა წიკლაური-შენგელია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

რევაზ შენგელია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

რეზიუმე

გლობალური ეკონომიკური სიტუაციის სწრაფი ცვალებადობის გამო კომპანიები მრავალი ეკონომიკური და ფინანსური სირთულეების წინაშე აღმოჩნდნენ, განსაკუთრებით დაფინანსების წყაროების მოძიების მხრივ. აქამდე *ინვესტორები* გადაწყვეტილების მიღებისას ძირითადად ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციას იყენებდნენ. მაგრამ დღეს უკვე ისინი კომპანიებისგან მოითხოვენ *მდგრადი განვითარების* საკითხებისადმი ყურადღების დათმობას და მეტიც მათ გაშუქებას, გასაჯაროებას. რადგან მდგრადი განვითარების აღრიცხვას მართლაც რომ დიდი ზეგავლენა აქვს *შემოსავლებზე, ხარჯებზე, კაპიტალის ღირებულებაზე, აქტივებისა და ვალდებულებების შეფასებაზე.*

სტატიაში განხილულია ასევე ამერიკული ფარმაცევტული კომპანია Merck Co-ს მაგალითზე *მენეჯმენტის სტრატეგიები მდგრადობის სტანდარტების ჯანდაცვის* სფეროსადმი წაყენებული მოთხოვნების (SASB) გათვალისწინებით -ე.წ. „ESG"-ანუ კომპანიის მენეჯერული სტრატეგიები გარემოზე ზემოქმედების შემცირების შესახებ (დაბინძურებული გაზების ემისიის შემცირების, წყლის დაზოგვის, განახლებადი ენერგიის გამოყენების),სოციალური ეფექტი, ინოვაციური ბიზნეს მოდელების დანერგვის ჩათვლით. ამიტომ, საკმაოდ ლოგიკურია იმის გაგება, რომ მომავალში კომპანიების სოციალურ პასუხისმგებლობას კიდევ უფრო მეტი ყურადღება დაეთმობა ESG ფონდის ინვესტიციების მოპოვებისთვის.

ამრიგად, მომავალში კომპანიები წარმატების მისაღწევად უნდა გადავიდნენ ისეთი მდგრადი ბიზნესის მოდელზე, რომელიც ითვალისწინებს სოციალურ, გარემოსდაცვით საქმიანობას, ანგარიშვალდებულებას, სწორ და გამჭვირვალე ფინანსურ და მმართველობით აღრიცხვას. სტატიაში ასევე მოცემულია კომპანიის *მენეჯერებისთვის რეკომენდაციები მდგრადობის* სტრატეგიების შემუშავებისა და ფინანსებთან ინტეგრირებისათვის.

საკვანძო სიტყვები: მდგრადი ბიზნესის მოდელი, ESG, SASB სტანდარტები, ინვესტიციები, აღრიცხვის ინდიკატორები, ფინანსური ანგარიშგება.

ინოვაციები საბანკო მენეჯმენტში და პროცესების მართვის სრულყოფა

ცაავა გიორგი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ბურდიაშვილი რატი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

მოსიაშვილი ვალერი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი

განხილულია საბანკო სფეროში ტერმინი „ინოვაცია“ განსაზღვრა, მოყვანილია ინოვაციის კლასიფიკაცია. განხილულია ბანკებში ინოვაციური საქმიანობის ორგანიზაციის თანამედროვე მეთოდები და აღწერილია კომერციულ ბანკებში ინოვაციების გამოვლენისა და დანერგვის ხერხები. **მითითებულია,** რომ ბანკებისათვის არსებული კლიენტების შეკავებისა და მოზიდვის ხერხის მოძიება ძალიან მნიშვნელოვანია და მკაცრი კონკურენციის პირობებში აღნიშნულის გაკეთება ორმაგად უფრო ძნელია. ამასთან შიდა პროცესების ოპტიმიზაცია არც ისე უმნიშვნელო როლს ასრულებს, რომელიც დანახარჯების შემცირებაზეა მიმართული და ყველა მოცემულ სფეროებში ინოვაციების დანერგვის პრიცესი უმნიშვნელოვანესი როლის შესრულების საწინდარი ხდება. **განსაზღვრულია,** რომ საბანკო ინოვაცია - არის ბანკის საქმიანობის მოდერნიზაციის პროცესი, რომელებიც მიწოდებადი პროდუქტე-ბის, ოპერაციების, მომსახურეობების, ბიზნეს-პროცესების სრულყოფაში ან ახლების შექმნაში მდგომარეობს.

საკვანძო სიტყვები: ინოვაციები, ინოვაციური ინვესტიციები, საბანკო საქმე.

ძირითადი ტექსტი

ეკონომიკური არასტაბილურობის თანამედროვე პირობებში **ბანკებისათვის არსებული კლიენტების შეკავებისა და მოზიდვის ხერხის მოძიება ძალიან მნიშვნელოვანია.** მკაცრი კონკურენციის პირობებში აღნიშნულის გაკეთება ორმაგად უფრო ძნელია. შიდა პროცესების ოპტიმიზაცია არც ისე უმნიშვნელო როლს ასრულებს, რომელიც დანახარჯების შემცირებაზეა მიმართული. **ყველა მოცემულ სფეროებში ინოვაციების დანერგვის პრიცესი უმნიშვნელოვანესი როლის შესრულებას იწყებს.**

ინოვაცია თანამედროვე პირობებში არა უბრალოდ ერთადერთია მოვლენებიდან, რომლებიც **ეკონომიკურ ზრდას, განვითარებას და სტრუქტურულ ძვრებს განსაზღვრავენ.** ინოვაციები ეკონომიკის ყველა სფეროებში, მათ შორის საბანკო საქმეშიც თანამედროვე განვითარების დამახასიათებელ განსაკუთრებულობად და არსად გადაიქცა.

1.ინოვაციური საქმიანობის მიზნები და ამოცანები. ინოვაციების კლასიფიკაცია: ინოვაციების კვლევის საკითხები ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებულ აქტუალუ-რობას იძენს. ისეთი ინოვაციების აპრობაცია და დანერგვა, რომლებიც ან სხვა ქვეყნებშია აღიარებული, ან დამოუკიდებლად საკუთრივ არიან შემუშავებულები, სამამულო ბანკების პოტენციალს არსებითად აამაღლებს (1. გვ. 4).

კლასიკურებს წარმოადგენენ ინოვაციის განმარტებები , რომელებიც პ. დრუკერის და ბ. სანტოს მიერ არის მოცემული. ასე, მაგალითად, პ.დრუკერის მოსაზრების მიხედვით, **„ინოვაცია - არის მეწარ-მეების განსაკუთრებული ინსტრუმენტი, საშუალება, რომლის მეშვეობით ისინი ცვლილებებს როგორც ახალი სახეობის ბიზნესის ან მომსახურების განხორციელების შანსს იყენებენ“** (2. გვ. 33). ბ. სანტო ინოვაციას განსაზღვრავს როგორც **„საზოგადოებრივ, ტექნიკურ, ეკონომიკურ პროცესს, რომელსაც იდეების და გამოგონებების პრაქტიკული გამოყენების მეშვეობით ნაკეთობების, ტექნოლოგიების თავიანთი თვისებების მიხედვით საუკეთესოების შექმნისაკენ მივყავართ,** და იმ შემთხვევაში, თუ ინოვაცია ეკონომიკურ სარგებელზე, მოგებაზე ორიენტირდება, მისმა გამოჩენამ ბაზარზე შეიძლება

დამატებიშ შემოსავალი მოიტანოს“ (3, გვ. 54).

ინოვაციის ჩასახვა და შემდგომი განვითარება ნოვატორული იდეისა და მისი ცხოვრებაში დანერგვის პროცესის შეთავსებას ითვალისწინებს, ამასთან ორივე ასპექტი ტოლი ხარისხით მნიშვნელოვანებია. ამრიგად, მიზანშეწონილია ინოვაცია განსაზღვრული იქნას როგორც სამეცნიერო-ტექნიკური საქმიანობის საბოლოო შედეგი, რომელმაც ახალი ან სრულყოფილი პროდუქციის სახით (ან ახალი ტექნოლოგიური პროცესის სახით) მიიღო განხორციელება, და რომელიც არსებული მოთხოვნილებების უკეთესად დაკმაყოფილებაზე ან ახლების ფორმირებაზე არის მიმართული.

საბანკო ინოვაცია - არის ბანკის საქმიანობის მოდერნიზაციის პროცესი, რომელებიც მიწოდებადი პროდუქტების, ოპერაციების, მომსახურეობების, ბიზნეს-პროცესების სრულყოფაში ან ახლების შექმნაში მდგომარეობს, და რომლიც, ერთის მხრივ, კლიენტების არსებული მოთხოვნილებების უკეთესად დაკმაყოფილებაზე ან ახლების შექმნაში, ფორმირებაზე, მეორეს მხრივ, მიწოდებადი პროდუქტებისა და მომსახურეობების სპემკვლევარებიქტრის გაფართოებაზე და დამათებითი მოგების მიღებაზე მდგომარეობს (1, გვ. 19).

მკვლევარები საბანკო ინოვაციების რამდენიმე საკვანძო ტიპებს განახვავებენ, რომლებსაც შეიძლება ეწოდოს უნივერსალურები უმეტესი დარგებისათვის (4, გვ. 2) (ცხრილი 1.).

ინოვაციური საქმიანობის ეფექტი წარმოადგენს მრავალასპექტურს (ცხრილი 2). ეფექტის სიდიდე ინოვაციის რეალიზაციიდან უშუალოდ განისაზღვრება მათი მოსალოდნელი ეფექტიანობით, რომელიც ვლინდება: ა) პროდუქტიულ მოსაზრებაში (ხარისხის გაუმჯობესება და სასაქონლო ასორტიმენტების ზრდა);

ცხრილი 1. ინოვაციების ტიპები

ინოვაციების ტიპი	აღწერილობა, მაგალითი
პროდუქტიული	ახალი პროდუქტის რეალიზაცია უკვე არსებულ ბაზარზე
ტექნოლოგიურო (პროცესული)	წარმოების, ტექნოლოგიის, ოპერაციის ან პროცესის ახალი მეთოდის დანერგვა დანახარჯების შეკვეცის ან თვითღირე-ბულების შემცირების მიზნით
საბაზრო	სქონელისა და მომსახურების პრინციპულად ახალი ბაზრის შექმნა
მარკეტინგული	ბაზარზე ახალი რესურსების, მეთოდების, სამუშაებოს, ბიზნესის ახალი ფორმების ათვისება
მმართველობითი	ორგანიზაციის ან პროცესის მართვის პროცესის ცვლილება ბიზნესის მეტი ეფექტიანობის მიღწევისათვის

ცხრილი 2. ინოვაციის რეალიაციიდან ეფექტის სახეობები

ეფექტის სახეობები	ფაქტორები, მაჩვენებლები
ეკონომიკური	მაჩვენებლები ითვალისწინებენ ღირებულებიტ გამოსახულებაში შდეგებისა და დანახარჯების ყველა სახეობებს, რომლებიც ინოვაციის რეალიზაციით არის განპირობებული
სამეცნიერო-ტექნიკური	სიახლე, სიმარტივე, სარგებლიანობა, ელასტიურობა, კომპეტენტურობა
ფინანსური	მაჩვენებლების გაანგარიშება ფინანსურ მაჩვენებლებზეა დაფუძნებული
სარესურსო	მაჩვენებლები გამოხატავენ ინოვაციის ზეგავლებას ამა თუ იმ რესურსის წარმოებისა და მოხმარების მოცულობაზე
სოციალური	მაჩვენებლები ითვალისწინებენ ინოვაციის რეალიზაციის სოციალურისდეგები
ეკოლოგიური	ხმაური, ელექტრომაგნიტური ველი, განათებულობა (თვალხედვითი კომფორტი), ვიბრაცია. მაჩვენებლები ითვალისწინებენ ინოვაციის გარემომცველ გარემოზე ზეგავლენას

ბ) ტექნოლოგიურ მოსაზრებაში (შრომის მწარმოებლურობის ზრდა და მისი პირობის გაუმჯობესება); გ) ფუნქციონალურ მოსაზრებაში (მართვის ეფექტიანობის ზრდა); დ) სოციალურ თვალსაზრისში (ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება).

გამოყენებადია ინოვაციების და მათი დანერგვიდან ეფექტის უფრო დეტალური კლასიფიკაცია, მაგრამ ისინი მრავალი კლასიფიკაციური ნიშანთვისებების გამოყოფას მოითხოვს.

2.ინოვაციური საქმიანობის ორგანიზაციის თანამედროვე მეთოდები: დღევანდელ მომენტში ქვეყნის წამყვანი ბანკები ზოგიერთ თანამედროვე მეთოდებს იყენებენ, რომლებიც **ინოვაციური წინადადებების გამოვლენას და დანერგვას ეხმარებიან.**

იდეების ინფორმაციული ველი - არის ყველა თანამშრომლებისათვის წამოყენებადი ინოვაციების რეგისტრაციისა და შენახვის საეთთო ადგილი, რომელშიც თითოეულ თანამშრომელს შეუძლია თავისი წინადადება დაარეგისტრიროს და არსებულებს გადახედოს.

კაიძენ-მიდგომა - არის გაუმჯობესების მუდმივა მოძიებისა და დანერგვის პროცესი კომპანიის შიდა რესურსების ხარჯზე. იგი ტექიკური პროცესებისა და მზა პროდუქტების მუდმივად სრულყოფის გზით ხორციელდება.

კრაუდსორსინგი - არის განუსაზღვრელი სიმრავლის მოხალისეებისაგან ძალებით ამოცანების გადაწყვეტის მოძიების მოდელი. ამოცანას შეუზღუდავი წრის ადამიანებს შესთავაზებენ მათი პროფესიონალურ, ხნოვანებით და სტატუსურ კუთვნილებაზე დამოუკიდებლად. კრაუდსორსინგ-პროგრამის მონაწილეები ქმნიან თანამეგობრობას, რომელიც განხილვის გზით ყველაზე წარმატებულ გადაწყვეტილებას გამოარჩევს. აღნიშნული მეთოდი მძლავრ ინსტრუმენტს წარმოადგენს, რომელიც მინიმალური დანახარჯებით ბიზნესის განვითარების კორექტირების შესაძლებლობას იძლევა. დანარჩენების რიცხვში იგი კლიენტებზე მაქსიმალურად ორიენტირებული პროდუქტების შემუშავების შესაძლებლობას იძლევა.

ბეტა-თანამეგობრებები - არის აქტიური მომხმარებლების (ჩვეულებრივად საუბარი მიდის ონლაინსერვისების შესახებ), რომლებიც პროდუქტების ტესტირების შესაძლებლობაში გვეხმარება (წინასწარი ვერსიების), წამოაყენებენ რა თავიანთ წინადადებებს ოფიციალური რეალიზაციის მომენტამდე შემმუშავებლებს უკუ კავშირის სახით საბოლოოდ დამუშავების შესახებ.

ხაკატონი - არის ღონისძიება, რომლის დროსაც პროგრამული უზრუნველყოფის შმუშავების სხვადასხვა სფეროებიდან სპეციალისტები (პროგრამისტები, დიზაინერები, მენეჯერები) ვებ-სერვისის ან მობილური წინადადების შექმნაზე ერთობლივად მუშაობენ. მოცემული ღონისძიების ფორმატი შეიძლება მზა სტარტ-პროექტების მონაწილეობას ითვალისწინებდეს. ხაკატონები ხორციელდება ახალი გადაწყვეტილებების გამოვლენისა და შემუშავების მიზნით, რომლებიც, შესაძლოა, ბანკის მიერ შემმუშავებლებთან ურთიერთსარგებლიანობის პირობებზე იქნას გამოყენებული.

3.ინობაციური საქმიანობის რეალიზაცია კომერციულ ბანკში: კომერციულ ბანკებში ინოვაციების გამოვლენისა და დანერგვის მიმართებაში სპეციალური ინსტრუმენტები იქმნება და ინოვაციური საქმიანობის ორგანიზაციის კონცეფცია შემუშავდება. **ბანკის მიზანი ინოვაციის სფეროში** ჩამოყალიბებულია როგორც ნოვატორული ტექნოლოგიებისა და მმართველობითი გადაწყვეტილებების დანერგვისა და აქტიური გამოყენების ხარჯზე საბანკო მომსახურების ბაზარზე სტაბილური ზრდისა და მდგრადი უპირატესობის უზრუნველყოფა, ხოლო ბანკში ინოვაციური საქმიანობის განვითარების **ძირითადი პრინციპებია:**

- კოლექტივის მთლიანობაში იტელექტუალური პოტენციალის გამოყენება;
- სტრუქტურული და ტექნოლოგიური შესაძლებლობების რეალიზაცია, რომლების ბანკის უნივერსალური მახასიათებლებიტ არის განპირობებული;
- აქტიური გამოყენება მოწინავე მსოფლიო გამოცდილების.

ბანკის სისტემაში შეიძლება გამოიყოს ინოვაციების შემდეგი სამი ტიპი:

1. **გამღვრევი ინოვაციები** - არის დარგისათვის ან ბაზრისათვის ახალი პროდუქტების, მომსახურეობების, პროცესების ან ტექნოლოგიების შექმნა და დანერგვა.
2. **სტრატეგიული ინოვაციები** - არის ცვლილებები, რომლებიც ითვალისწინებენ მიმდინარე ბიზნეს-მოდელის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, არსებული პროცესების, პროდუქტების, მომსახურეობების ან ტექნოლოგიების მნიშვნელოვან მოდიფიკაციას.
3. **მიმდინარე ინოვაციები (კაიძენი)** - არის არსებული პროდუქტების, მომსახურეობების, პროცესების ან მიდგომების მოდიფიკაციები, რომლებიც ბრუნვის გადიდების ან წკონომიის მიღწევის შესაძლებლობებს იძლევა.

მიმდინარე ინოვაციების შემადგენლობაში გამოიყოფა წინადადებების შემდეგი სახეობები:

- **საწარმოო ინიციატივა** - არის ნებისმიერი წინადადება საქმიანობის ცვლილებასთან ან გაუმჯობესებასთან მიმართებაში, მიმართული თანამშრომლის სამუშაო აგილზე ან უშუალოდ დანერგვისათვის მნიშვნელოვანი რესურსების არ საჭიროების ქვედანაყოფებში მიმდინარე ამოცანების / პრობლემების გადაწრვეტაზე.
- **რაციონალიზატორული წინადადება** - არის წინადადება, რომელიც დანერგვიდან გარკვეულ ეფექს ფლობს და მიმართულია უშუალოდ პროცესში ამოქმედებული ქვედანაყოფის და მომიჯნავე ქვედანაყოფების, ასევე ანალოგიური პროფილის ქვედანაყოფების საქმიანობაში კონკრეტული ამოცანების სისტემუს გადაწყვეტაზე.
- **სიახლე** - არის ეკონომიკურად დასაბუთებული წინადადება ტექნოლოგიების, პროცესების, პროდუქტების ან მომსახურეობის სფეროში, რომლებიც ბანკისათვის სიახლეს და მნიშვნელობადობას ფლობენ, პროცესის, პროდუქტის, მომსახურეობის ან ტექნოლოგიების მახასიათებლების არსებით გაუჯობესებას ან ახალი პროცესის, პროდუქტის, მომსახურეობის ან ტექნოლოგიის შექმნას უზრუნველყოფენ.

ინოვაციური საქმიანობის ჩარჩოებში შესაძლებელია რეალიზებული იქნას:

- რისკი ინოვაციური წინდადების დანერგვისაგან დაგეგმილი ეფექტის მიუღწევლობასთან მიმართებაში;
- ოპერაციული რისკები ინოვაციური წინადადებების დანერგვისას, რომლებიც ბანკის არსებული ბიზნეს-მოდელის და/ან ორგანიზაციულ-ფუნქციონალური სტრუქტურის პროცესების ცვლილებასთან არიან დაკავშირებულები.

ინოვაციებთან მუშაობის კორპორატიული სისტემის ჩარჩოებში რეალიზებადი რისკების შემცირებასთან მიმართებაში ღონისძიებებია:

- ბანკის პროფილური ქვედანაყოფების წინადადებების ყოველმხრივი ობიექტური ექსპერტიზა;
- კოლეგიალური გადაწყვეტილება წინადადების დანერგვიშათვის მიზანშეწონილობის აღიარების შესახებ;
- რისკების დამატებითი შეფასება ინოვაციების დანერგვასთან მიმართებაში პროექტების გახსნისას, რომლებიც ბანკის საქმიანობას მნიშვნელოვნად ცვლიან და/ან რეალიზაციაზე მნიშვნელოვან დანახარჯებს მოითხოვენ;
- დანერგვისათვის დაგეგმილი ინოვაციური წინადადებების წინასწარი ტესტირება;
- დანერგვის შედეგების მიხედვით მიღწეული ეფექტის დანერგვისა და შეფასების მონიტორინგი.

ბანკში გამოყოფილი უნდა იქნას ინოვაციური საქმიანობის ორგანიზაციის **საკვანძო პრინციპები,** როგორებიცაა:

1) **თავისუფალი მიღწევადობა** - სამუშაოები ინოვაციებთან მიმართებაში ბანკის ყველა თანამშრომლებს მიეცემათ მიუხედავად სამუშაოს ადგილისა და დაკავებული თანამდებობისა, თავისუფალი მიღწევადობა და მონაწილეობის თანაბარი პირობები.
2) **გამჭვირვალობა** - კორპორატიული სისტემის მონაწილეები პუბლიკაციებისათვის, წინადადებების შერჩევისა და ექსოერტიზისათვის ერთიან ინფორმაციულ სივრცეს იყენებენ.
3) **დამოუკიდებლობა და მსჯელობის ღიადობა** - თითოეულ მონაწილეს ბანკის საქმიანობის ნებისმიერი საკითხის მიმართებაში თავისი პროფესიონალური მსჯელობის ღიად გამოთქმის უფლება გააჩნია.
4) **შერჩევის თავისუფლება** - ნებისმიერ მონაწილეს შეუძლია განზრახვის ნებაყოფლობით გამოთქმა და ნებისმიერი წინადადების ექსპერტიზაში და დანერგვაში მონაწილეობა.
5) **ბუნებრივი ზრდა** - ნებისმიერი წინადადება შეიძლება მისი ხარისხის ამაღლების მიზნით ბოლომდე შემუშავებული და შევსებული იქნას.

6) **ობიექტურობა** - თითოეული წინადადება განიხილება ყველა დანარჩენებთან თანატოლად ერთიანი წესების მიხედვით.
7) **შედეგზე ორიენტირებულობა** - ინოვაციური პროცესი რასურსების გამოყენების მაქსიმალურ ეფექტიანობაზე და ინოვაციური პროექტების უკუგებადობაზე არის ორიენტირებული.
8) **პრიორიტეზაცია** - ბანკს შეუძლია დააწესოს პრიორიტეტები წინადადების შერჩევისას, ასევე წინადადებების მიწოდებისათვის პრიორიტეტული მიმართულებები დასახოს.
9) **დანერგვაზე პასუხისმგებლობა** - მიზანშეწონილად აღიარებული ნებისმიერი წინადადებისათვის, დანიშნული უნდა იქნას თანამშრომელი/ქვედანაყოფი, რომელიც დანერგვაზე იქნება პასუხისმგებელი, და რეალიზაციის გზები იქნას მოზიებული.
10) **რეალიზაციაზე უარის თქმის შესაძლებლობა** - წინადადების დანერგვის დაგეგმილი შედეგების მიღწევის შეუძლებლობის შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია დანერგვასთან მიმართებაში პროექტის შეწყვეტის შესახებ მიიღოს გადაწყვეტილება.
11) **წახალისება** - ინოვაციური საქმიანობის ყველა მონაწილისათვის მატერიალური და არამატერიალური წახალისების მექანიზმები გამოიყენება.

პრაქტიკული ნაბიჯები კონცეფციის რეალიზაციასთან მიმართებაში უნდა დაიწყოს **შიდა ინფორმაციული პორტალის „არის იდეა!"** ფორმირებიდან, რომლის მეშვეობით ნებისმიერ თანამშრომელს შეეძლება თავისი იდეა ან ნებისმიერი საბანკო პროცესის გაუმჯობესების შესახებ წინადადება განხილვაზე შეიტანოს. მოცემული ინფორმაციული რესურსის შესაძლებლობები ბანკის პროფესიონალ წარმომადგენლებს მოცემული წინადადების განსჯის მოწყობისა და ექსპერტული შეფასების მიღების შესაძლებლობას მისცემს. საექსპერტო საბჭოს მხრიდან წინადადების/ინიციატივის მიმართებაში თანხმობის მიღების შემთხვევაში შეიძლება იგი სხვა ტერიტორიალურ ქვედანაყოფებშიც იქნას ტირაჟირებული (წინადადების წარმოდგენის მომენტისათვის წარმატებული რალიზაციის შემთხვევაში) ან ბანკის აპარატის მიერ ცენტრალიზებულ რეალიზაციაზე იქნას გადაცემული (იმ შემთხვევაში, თუ ბოლომდე შემუშავებისა და დანერგვისათვის დამატებითი რესურსი არის საჭირო). აღნიშნული საფუძველზე შესამჩნევად გაიზრდება მომხმარებლებისა და სისტემაში შემოტანილი წინადადებების რაოდენობის, რაც საბოლოო ჯამში დადებითად შეფასებული წინადადებების დანერგვისაგან ყოველწლიური ეკონომიკური ეფექტი მილიონობით ლარს გაუტოლდება.

ბანკების მართვის ასეთ „სტრატეგიაში" დავინახავთ ძლიერ აქცენტებს ინოვაციების დანერგვაზე, როგორიცაა:

- „ტექნოლოგიური გარღვევა", რომელიც ბანკში ყველაზე უფრო თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციეის ტექნოლოგიურ მოდერნიზაციასა და აქტიურ ინტერვენციას ითვალისწინებს;
- ამოცანების დასახვა, რომლებიც მართვის ყველა დონეზე ინოვაციების და კრაუდსორსინგის მუშაობას ბუნებრივ ნაწილად გარდაქმნის საფუძველი გახდება.
- ყველა დანარჩენ პრიორიტეტებში ასევე მოდერნიზაციაზე და უწყვეტ გაუმჯობესებაზე, მრავალ სფეროებში სტანდარტების ახლებურად შექმნაზე და ახალ დონეზე აყვანაზე მიმართულობა გახდება აშკარა და შესამჩნევი.

ამრიგად, ბანკების მართვასთან მიმართებაში შეიძლება დავინახით, რომ ბანკის ან ნებისმიერი სხვა ოპგანიზაციის ინოვაციების გამოვლენაზე და დანერგვაზე სტრატეგიის - ეგრეთ წოდებული ინოვაციური მიდგომის - ყოველმხრივი რეალიზაცია, მომსახურების ბაზარზე ბანკის პოზიციების გაუმჯობესებისა და ახლებზე გასვლის ხელშეწყობის საწინდარი გახდება.

ზემოთაღნიშნულის საფუძველზე შემდეგი სახის მოკლე დასკვნის გაკეთება არის შესაძლებელი:

1. **განხილულია** საბანკო სფეროში ტერმინი „ინოვაცია" განსაზღვრა, მოყვანილია ინოვაციის კლასიფიკაცია. განხილულია ბანკებში ინოვაციური საქმიანობის ორგანიზაციის თანამედროვე მეთოდები და აღწერილია კომერციულ ბანკებში ინოვაციების გამოვლენისა და დანერგვის ხერხები.
2. **მითითებულია,** რომ ბანკებისათვის არსებული კლიენტების შეკავებისა და მოზიდვის ხერხის

მოძიება ძალიან მნიშვნელოვანია და მკაცრი კონკურენციის პირობებში აღნიშნულის გაკეთება ორმაგად უფრო ძნელია. ამასთან შიდა პროცესების ოპტიმიზაცია არც ისე უმნიშვნელო როლს ასრულებს, რომელიც დანახარჯების შემცირებაზეა მიმართული და ყველა მოცემულ სფეროებში ინოვაციების დანერგვის პრიცესი უმნიშვნელოვანესი როლის შესრულების საწინდარი ხდება.

3. **განსაზღვრულია,** რომ საბანკო ინოვაცია - არის ბანკის საქმიანობის მოდერნიზაციის პროცესი, რომელებიც მიწოდებადი პროდუქტების, ოპერაციების, მომსახურეობების, ბიზნეს-პროცესების სრულყოფაში ან ახლების შექმნაში მდგომარეობს. პრაქტიკული ნაბიჯები ინოვაციური კონცეფციების რეალიზაციასთან მიმართებაში შიდა ინფორმაციული პორტალის „არის იდეა!“ ფორმირებიდან უნდა დაიწყოს, რომლის მეშვეობით ნებისმიერ თანამშრომელს შეეძლება თავისი იდეა ან ნებისმიერი საბანკო პროცესის გაუმჯობესების შესახებ წინადადება განხილვაზე შეიტანოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Охлопков А.В. – Инновации в сфере предоставления банковских услуг: дис. кан. экон наук. – М.: 2011.
2. Друкер П. – Бизнес и инновации / пер. С англ. – М.: И.Д. «Вилямс», 2009. – 432 с.
3. Санто Б. – Инновация как средство экономического развития. – М.: Прогресс, 1990.
4. Жданова О.Р., Карминский А.М. – Современные тенденции банковских инноваций // XXII Всероссийское совещание по проблемам управления ВСПУ – 2014. – М.: 16 – 19 июня 2014 г.
5. Зварыкина Е.Б. – Инновационные технологии в сфере банковских услуг: дис. канд. экон. наук. – М.: 2010.

Innovations in banking management and improvement of management processes

Giorgi Tsaava, professor of Georgian Tehcnical University

Rati Burdiashvili, professor of Georgian Tehcnical University

Mosiashvili Valeri, professor of Georgian National University

Summary

1. The definition of the term "innovation" in relation to the banking sector is considered, the classification of investments is given. The modern methods of organizing investment activities are considered and methods of identifying and introducing innovations into commercial banks are described.

2. It is indicated that in the modern period of economic instability, it is very important for banks to find a way to retain existing customers and attract new ones, and in conditions of fierce competition, this is doubly difficult to do. An important role is played by the optimization of internal processes aimed at reducing costs, and in all these areas, the process of introducing innovations begins to play an important role.

3. It has been determined that banking innovation is the process of modernizing the bank's activities, which consists in improving the provided products, operations, services, business processes or creating new ones. Practical steps for the implementation of the concept should begin with the formation of an internal information portal "There is an idea!", Through which an employee can direct his innovation or a proposal to improve any banking process for consideration.

Keywords: innovations, innovation investment, banking.

ბანკების ძირითადი ოპერაციები, საბანკო რესურსების მულტიპლიცირებისა და კრედიტის მონიტორინგის პრაქტიკუმი

ცაავა გიორგი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ტატიშვილი ანა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ნაშრომში მითითებულია, რომ ბანკი, პასიური ოპერაციების საფუძველ-ზე, მათი აკუმულირებადი ფუნქციისა და ნაწილობრივ განაწილებითი ფუნქციის რეალიზაციას ახორციელებს. ჩამოყალიბებულია ბანკის პასივების სქემატიური სტრუქტურა. მიზანშეწონილად არის მიჩნეული ბანკების პასიური ოპერაციების სტრუქტურაში, როგორც პერსპექტიული ელემენტი - სუბორდინირებული ვალი იქნას ჩართული. აღნიშნულია, რომ პროპორცია, რომლის ჯერადობით შეიძლება მიმოქცევაში ფულადი მასა (საკრედიტო ფული) მთლიანობაში საბანკო სფეროში გაიზარდოს, ეკონომიკურ ლიტერატურაში „საბანკო მულტიპლიკატორის“ სახელით არის ცნობილი; ჩამოყალიბებულია საბანკო სისტემაში საბანკო რესურსის მულტიპ-ლიცირების (ჯერადად გაზრდის) პრაქტიკული მაგალითის ცხრილობრივი სქემა. ჩამოყალიბებულია ბანკის აქტივების სქემატიური სტრუქტურა.

საკვანძო სიტყვები: ინოვაციური ინვესტიციები, საბანკო საქმე, საკრედიტო ორგანიზაციები, საბანკო პროდუქტი, საბანკო ინოვაცია, კონკურენტუნარიანობა და საქმიანობის ეფექტიანობა.

ძირითადი ტექსტი

ბანკების პასიური ოპერაციები, როგორც მართვის ობიექტი: ბანკ-ები პასიური ოპერაციებით, მათი აკუმულირებადი ფუნქციისა და ნაწილობრივ გადანაწილებითი ფუნქციის რეალიზაციას ახორციელებენ. მათში ბანკები საკრედიტო მოთხოვნისა, ხოლო მათი კონტრაჰენტები კი - საკრედიტო მიწოდების განმახორცი-ელებლებად გამოდიან. პასიური ოპერაციები საკმაოდ მრავალფეროვნად და ტრადიციულად სტრუქტურირდებიან შემდეგ ჯგუფებად: ფორმირება და დაგეგმვა საკუთარი სახსრების (საწესდებო კაპიტალი, რეზერვები, ფონდები და სხვ.); აკუმული-რება მოზიდული სახსრების, რომლებიც ბანკების აქტიურობით ხასიათდებიან (დეპოზიტები, საანგარიშსწორებო, მიმდინარე და საკორესპონდენტო ანგარიშები); კონცენტრირება ნასესხები სახსრების (მიღებული კრედიტები, ემიტირებული სავალო ვალდებულებები). მიზანშეწონილად გვესახება ბანკების პასიური ოპერაციების სტრუქტურაში უცხოური გამოცდილების ადაპტაციის გათვალისწინებით, როგორც პერსპექტიული ელემენტი - სუბორდინირებული ვალი იქნას ჩართული. აღნიშნული ოპერაციები ბანკების ემიტირებული ობლიგაციების მის აქციონერებს შორის განთავ-სებაში მდგომარეობს. აღნიშნული შეთავაზება, საჭიროებისას, მათი პარამეტრების შეცვლის, ანუ მათი ჩვეულებრივ ან პრივილეგირებულ აქციებში კონვერტირების შესაძლებლობას იძლევა. გარდა ამისა, სასურველია ჩვენს მიერ შეთავაზებული საბან-კო პასივები კლასიფიცირებული იქნას მათი აქტივიზაციის ხასიათის მიხედვით, რაც სწორედ აქტივებისა და პასივების კომპლექსური მართვის სქემებისათვის (ჩვენი ძირითადი ამოცანისათვის) მნიშვნელოვანია. აქ უნდა გამოვყოთ „ეტაპობრივად აქტივიზირებადი პასივები“. ასე, მაგალითად, სახსრების ყოველდღიური ნაშთები კლიენტების ანგარიშსწორების ანგარიშებზე, კლიენტებისათვის საანგარიშსწორებო მომსახურების განხორციელებიდან შემოსავლის მიღების, ფასიანი ქაღალდები სპეკულაციური ოპერაციებიდან, კრედიტები - სეკიურიტიზაციისას შემოსავლების მიღების შესაძლებლობას იძლევა. პოზიტიურმა ტენდენციებმა, რომლებიც ეკონომი-კის რეალურ სექტორში ჩამოყალიბდა, მოსახლეობის რეალური შემოსავლების გადიდებამ, ნდობის აღდგენამ საბანკო სექტორისადმი ხელი შეუწყო საკრედიტო ორგანიზაციების სარესურსო ბაზის გადიდებას. განვიხილოთ უფრო დეტალურად პასივების სტრუქტურა, რომლებიც სახსრების წყაროების

მიხედვით არის სტრუქტურირებული (იხ. სქემა 1.1.).

საკუთარი კაპიტალის ფორმირება: საკუთარი კაპიტალის არსებობა ნებისმიერი კომერციული საწარმოს, მათ შორის ბანკის შექმნისა და ფუნქციონირების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ბანკები საკუთარი კაპიტალის ხარჯზე საშუალოდ ქვეყანის მიხედვით თავისი საქმიანობის უზრუნველყოფისათვის, რესურსებში საერთო მოთ-ხოვნილების მხოლოდ 12-დან - 20% ფორმირებას ახდენენ (დანარჩენი 80–88% მოზი-დული სახსრებია), მაშინ, როდესაც სამრეწველო საწარმოებს საკუთარი სახსრებისათ-ვის 40–45% უნდა გააჩნდეთ. ბანკების ასეთი სპეციფიკა თეორიულად აიხსნება ორი გარემოებით: ბანკები მუშაობენ როგორც შუამავლები და ძირითადი სახით თავიანთი ოპერაციებისათვის მოიზიდავენ მათი კუთვნილების გარეთ არსებულ რესურსებს;

სქემა 1.1. პასივების სტრუქტურა

კრედიტები, მიღებული ბანკების მიერ ცენტ. ბანკიდან		ფონდები და მოგება ბანკების		სახსრები მოზოდული საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან
ბანკების კლიენტების ანგარიშებზე ნაშთები		პასივები:		გამოშვებული სავალო ვალდებულებეი
ბანკთაშორისო კრედიტები		მოსახლეობის ანაბრები		სხვა დანარჩენი პასივები

დეპოზიტები და ანაბრები, როგორც საბანკო რესურსების წყაროები. ეკონომი-კურ ლიტერატურაში მიღებულია დეპოზიტებისადმი მიკუთვნებული იქნას ყველა ის სახსრები, რაც განთავსებულია ბანკში იურიდიული და ფიზიკური პირების სახელზე გახსნილ სხვადასხვა ტიპის ანგარიშებზე.

საბანკო მომსახურეობების ახალი გზების განხორციელების განვითარების ყველაზე პერსპექტიულ მიმართულებას ვირტუალური ტექნოლოგიები წარმოადგე-ნენ. ასეთი ტექნოლოგიების განვითარებით, ბანკები მისდევენ სამ მიზანს: შეინარჩუნონ და გააფართოვონ მომსახურების ბაზარზე თავისი წილი დამატებითი რესურსების მოზიდვის მიზნით; შეამცირონ საოპერაციო ხარჯები და მიიღონ შემოსავლების ახალი წყაროები.

პასივების ფორმირება სავალო ფასიანი ქაღალდების ემისიის გზით: რესურ-სების აკუმულაციის მიზნით, ბანკებს მინიჭებული აქვთ ფასიანი ქაღალდების ემიტირებაზე უფლება, რომელიც მათ სავალო ვალდებულებას წარმოადგენს. ასეთი ვალდებულებები ფორმდება შემდეგი ფასიანი ქაღალდების სახით: სადეპოზიტო სერტიფიკატები; სახელობითი (საშემნახველო) სერტიფიკატები; ობლიგაციები; საბანკო თამასუქები. აღნიშნული დოკუმენტები მესაკუთრეს უფლებას აძლევენ ბანკისაგან მიიღოს თანხა, რომელსაც იგი ბანკს გარკვეული ვადით გადასცემს. ასეთი თანხა უნდა იქნას ბანკის მიერ დადგენილ პროცენტთან ერთად დაბრუნებული.

აქვე, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, ჩამოგვეყალიბებინა საბანკო სისტემაში **საბანკო მულტიპლიკატორის საფუძველზე,** თითოეული კომერციული ბანკის რესურსების მრავალჯერადად გამოყენების შესაძლებლობის პრაქტიკული მაგალითი. უნდა აღინიშნოს, რომ პროპორცია, რომლის ჯერადობით შესაძლებელია მიმოქცევაში ფულადი მასა (საკრედიტო ფული) მთლიანობაში საბანკო სფეროში განსაზღვრული „პროპორციით“ გაიზარდოს, ეკონომიკურ ლიტერატურაში **საბანკო**

მულტიპლიკა-ტორის სახით არის ცნობილი. მისი არსი იმაში გამოიხატება, რომ ფულადი მასის კუმულაციური გადიდება იმის ძალისხმევის ხარჯზე ხორციელდება, რომ რეზერვები (ჭარბი რესურსები) ერთი ეკონომიკური სუბიექტიდან სხვა სუბიექტებისაკენ (მოცე-მულ შემთხვევაში ბანკებიდან არასაფინანსო სექტორის ეკონომიკური აგენტებისაკენ და უკუ) მოძრაობენ. ფორმალურად, საერთო სახით, საბანკო მულტიპლიკატორი განისაზღვრება, როგორც ქვეყნის ეკონომიკაში მთლიანი ფულადი მასის (მფმ) შეფარდება მაღალი ეფექტიანობის ფულის (მეფ) მოცულობასთან, ანუ ერთი შეფა-რდებული სავალდებულო რეზერვების ნორმატივთან (სრნ), რაც შემდეგი სახით გამო-იხატება: ბმ = მფმ / მეფ ანუ ბმ = 1 / სრნ. აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკებისათვის სავალდებულო რეზერვების ნორმატივი:

- 10%-ის ტოლია, მაშინ საბანკო მულტიპლიკატორი ბმ = 1 / 0,10 = 10-ის ჯერადია
- 20%-ის შემთხვევაში საბანკო მულტიპლიკატორი ბმ = 1 / 0,20 = 5-ის ჯერადია
- 5%-ის შემთხვევაში საბანკო მულტიპლიკატორი ბმ = 1 / 0,05 = 20-ის ჯერადია

ბანკის მიერ მიღებული 1 000 ლარიანი დეპოზიტი (რესურსი), საბანკო მულტიპლიცირების საფუძველზე, საკრედიტო რესურსად, 10%-იანი სავალდებულო სარეზერვო ნორმატის პირობებში შეიძლება 1 / 0,10 = 10-ჯერადად, ანუ 10 000 ლარის ოდენობით იქნას გამოყენებული (იხ. ცხრ. 1.4).

ცხრილი 1.4. ბანკებში საბანკო მულტიპლიცირების შედეგად რესურსების მრავალჯერადად გამოყენების პრაქტიკული მაგალითი

ბანკები და ოპერაციები	ბანკის დეპოზიტები, ანუ რესურსები ლარებში	კრედიტებზე შესაძლო გასაცემი თანხა ლარებში	კომერციული ბანკის მიერ ცენტრალურ ბანკში სავალდებულო რეზერვების თანხა ლარებში
1	2	3	4
1	1 000	900	100
2	900	810	90
3	810	729	81
4	729	656	73
5	656	590	66
6	590	531	59
7	531	478	53
8	478	430	48
9	430	387	43
10	387	349	39
10 ბანკის ან ოპერაციის ჯამი	6 513	5 862	651
სხვა ბანკების ან ოპერაციების ჯამი	3 487	3 138	349
ყველა ბანკების ან ოპერაციების ჯამი	10 000	9000	1000

ბანკების აქტიური ოპერაციები და ეკონომიკური პოტენციალის ფორმირება. ბანკების აქტიური ოპერაციები შეიძლება დაიყოს ოთხ ჯგუფად: საკრედიტო ოპერაციები, რომელთა შესაბამისად ბანკის საკრედიტო პორტფელის ფორმირება ხორციელდება; საინვესტიციო ოპერაციები, რომლებიც ფასინი ქაღალდების საინვესტიციო პორტფელის ფორმირებისათვის საფუძველს ქმნიან; სალაროს და საანგარიშსწორებო ოპერაციები, რომლებიც ბანკის მიერ თავიანთი კლიენტების მომსახურეობის ერთ-ერთ ძირითად სახეობებს წარმოადგენენ; დანარჩენი ოპერაციები, რომლებიც ყველა საბანკო ოპერაციების წარმატებული შესრულების უზრუნველმყოფელი შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნასთან არის დაკავშირებული .

სქემა 1.5. აქტივების სტრუქტურა

ფულადი სახსრები, ძვირფასი ლითონები და ქვები		ანგარიშები საქართველოს ეროვნულ ბანკში		ფასიანი ქაღალდები, შეძენილი ბანკების მიერ
საკორესპონდენტო ანგარიშები ბანკში		აქტივები:		კრედიტები (ვადაგადაც. დავ. გათვალისწინებით)
ძირითადი საშ. სამეურნ. დანახ. და არამატერ. აქტ		დანარჩენი აქტივები		დანარჩენი განთავსებული სახსრები

გასული 2020 წლის განმავლობაში საბანკო სექტორის ერთობლივი აქტივები გაიზარდა **31,2% და 01.01.2021-სათვის შეადგინა 4 145,3 მლრდ ლარი.**

მიწოდებადი სესხების სახეობები - კლიენტებზე სესხების მიწოდების პრაქტი-კაში გამოიყენება მათი სხვადასხვა სახეობები, მათ შორის: 1) საკრედიტო ხაზის გახსნა; 2) საბლანკო კრედიტი; 3) კრედიტი კონტოკორენტული ანგარიშის ბაზაზე; 5) თამასუქ-გამცემითი კრედიტი; 6) კრედიტი საბანკო გარანტიის ქვეშ; 7) კრედიტი ფასიანი ქაღალდების გირაოს ქვეშ; 8) იპოთეკური დაკრედიტება; 9) ბიზნეს დაკრედიტება .

განხილული საკითხების საფუძველზე, შესაძლებელია მოკლე დასკვნის გაკეთება: ბანკი პასიური ოპერაციების საფუძველზე, მათი აკუმულირებადი (კონცენტრირებადი) ფუნქციისა და ნაწილობრივ განაწილებითი ფუნქციის რეალიზა-ციას ახორციელებს. სადაც ბანკები - საკრედიტო მოთხოვნის, ხოლო მათი კონტრაჰენტები - საკრედიტო მიწოდების განმახორციელებლად გამოდიან. მიზანშეწონილად არის მიჩნეული ბანკების პასიური ოპერაციების სტრუქტურაში, უცხოური გამოცდილების ადაპტაციის გათვალისწინებით როგორც პერსპექტიული ელემენტი - სუბორდინირებული ვალი იქნას ჩართული. ასევე, საბანკო პასივებში კლასიფიცირებული იქნას მათი აქციები ხარისხის მიხედვით, რაც სწორედ აქტივებისა და პასივების კომპლექსური მართვის სქემებისათვის არის მნიშვნელოვანი. ჩამოყალიბებულია საბანკო სისტემაში საბანკო რესურსის მულტიპლიცირების (ჯერადად გაზრდის) პრაქტიკული მაგალითის ცხრილობრივი სქემა, რომლის თანახმად, 1000 ლარის ოდენობის საწყისი რესურსებისა და სავალდებულო რეზერვების ნორმატივის 10% პირობებში, ბანკს შეუძლია სწორი მენეჯმენტის პირობებში არა 1 000 ლარი, არანედ 10-ის ჯერადობით 10 000 ლარის ოდენობის სესხები გასცეს. ბანკის აქტიური ოპერაციები დაყოფილია ოთხ ძირითად ჯგუფად. ჩამოყალიბებულია ბანკის აქტივების სქემატიური სტრუქტურა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Арутюнов У.Э. – Методы комплексного управления активами и пассивами коммерческого банка. – Дисс ... кан. экон наук. – Москва, Российская экономическая академия им. Г.В. Плеханова, 2003. – 160 с.
2. Российская банковская энциклопедия. – М.: «ЭТА», 1995. – С. 101б 137.
3. Лаврушин О.И. -Банковское дело: Учебник. -М.: Финансы и статистика, 1998. С 193
4. Буянов В. – Банковские расчеты: анализ нормативного обеспечения. – М.: Экзамен, 2002. – С. 152.
5. Михайлов Д.М. – Мировой финансовый рынок: тенденции и инструменты. – М.: экзамен, 2000. – с. 421.
6. Самойлов Г. – Банковская конкуренция. – М.: Экзамен, 2002. – с. 163.
7. Сибиряков А. – Коммерческий банк сегодня. – М.: Консалтбанкир, 2002. – С. 76.

Basic bank operations, bank resources multiplication and credit monitoring practicum

Giorgi Tsaava, Professor of Georgian Technical University

Ana Tatishvili, PhD student of Georgian Technical University

Summary

it is mentioned that the bank, on the basis of passive operations realizes their accumulating function and partially distributional function. There is formed a scheme structure of bank passives. It is considered as purposeful to include subordinated loan in passive operations structure of banks – as perspective element. It is noted that proportion, by multiplicity of which the money mass in the turnover (credit money) can be increased into bank sphere as a whole, is known in economical literature as "bank multiplicator"; there is formed table scheme of practical example of multiplication (multiple increasing) of bank resources in the bank system. There is indicated that active operations of the bank can be divided into four groups: credit operations; investment operations; cash and settlement operations; other operations. There is formed a schematic structure of bank assets.

Keywords: innovation investment, banking, credit organizations, banking product, bank innovation, competitiveness and performance efficiency.

კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკების მართვის მნიშვნელობა ფინანსური ინსტიტუტების საქმიანობისა და მდგრადობისთვის

ჭელიძე მედეა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ხიდირბეგიშვილი ნინო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

აბუთიძე გოჩა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

თანამედროვე პირობებში გლობალურ დონეზე ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას „მწვანე“ ეკონომიკაზე გადასვლის დაფინანსება და ეკოლოგიურად მდგრადი ზრდის ხელშეწყობა წარმოადგენს. კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულმა რისკებმა გრძელვადიან პერსპექტივაში შეიძლება გავლენა მოახდინონ ქვეყნის ფინანსურ სისტემაზე. ეკოლოგიურ საფრთხეებზე და კლიმატის ცვლილებებზე რეაგირებისას, ფინანსური ინსტიტუტები და მთლიანად ფინანსური სისტემა დგანან როგორც შესაძლებლობების, ისე რისკების და გამოწვევების წინაშე.

დღეს მსოფლიოს მასშტაბით მარეგულირებელი ორგანოები კონცენტრირებული არიან ფინანსურ ინსტიტუტებსა და ბაზრებზე კლიმატის ცვლილების რისკის სისტემური ზემოქმედების საკითხებზე.

სტატიაში შესწავლილი და გაანალიზებულია კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკების მნიშვნელობა და მათი გავლენა ფინანსური ინსტიტუტების ფუნქციონირებასა და მდგრადობაზე, ზედამხედველი ორგანოების როლი ფინანსური ინსტიტუტების მიერ კლიმატთან დაკავშირებული ინფორმაციის სრულყოფილად გამჟღავნების საქმეში და ჩამოყალიბებულია მოკლე დასკვნა და რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკი, ფინანსური ინსტიტუტი, მწვანე ფინანსები, ფინანსური ინფორმაცია, ზედამხედველი ორგანო.

ძირითადი ნაწილი

მსოფლიოს მასშტაბით მარეგულირებელი ორგანოები კონცენტრირებული არიან კლიმატის ცვლილების რისკის სისტემურ ზემოქმედებაზე ფინანსურ ინსტიტუტებსა და ბაზრებზე. მარეგულირებლები შეიმუშავებენ ახალ ჩარჩო-დოკუმენტებს მოლოდინების უფრო ფართო ჩამონათვალით. ეჭვგარეშეა, რომ ფინანსური ინსტიტუტები ადრე თუ გვიან აღმოჩნდებიან კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან ფინანსურ რისკებთან, ხოლო მათი შემცირება შესაძლებელია მხოლოდ ადრეული, შეთანხმებული და ერთობლივი რეაგირებით.

2017 წელს პარიზის სამიტზე, რვა ცენტრალურმა ბანკმა და ზედამხედველმა დააფუძნეს „ცენტრალური ბანკების და ზედამხედველთა ქსელი ფინანსური სისტემის გამწვანებისათვის“ (NGFS[1]). 2021 წლისთვის ქსელის წევრთა რაოდენობამ მსოფლიოს მასშტაბით 83 ძირითად (მათ შორის 69 ცენტრალურ ბანკს და ზედამხედველ ორგანოს) და 13 დამკვირვებელ წევრს შეადგინა. გლობალურ დონეზე ისინი ერთობლიობაში ახორციელებენ სისტემურად მნიშვნელოვანი ბანკების 3/4-ის და სადაზღვევო კომპანიების 2/3-ის ზედამხედველობას [1].

NGFS-ს მიზანს წარმოადგენს გლობალური რეაგირების განმტკიცებაში დახმარება და ფინანსური სისტემის როლის ამაღლება რისკების მართვისა და მწვანე ინვესტიციებისთვის ფინანსური რესურსების მობილიზებაში. NGFS მოუწოდებს ცენტრალურ ბანკებს, ზედამხედველ ორგანოებს, ფინანსურ ორგანიზაციებს მათი როლის ამაღლებისკენ ფინანსური სისტემის გამწვანებაში და კლიმატთან და გარემოსთან დაკავშირებული რისკების მართვაში. გრძელვადიან პერსპექტივაში. კლიმატის ცვლილება

[1] The Central Banks and Supervisors Network for Greening the Financial System (NGFS)

და მასთან დაკავშირებული რისკები საფრთხეს უქმნის ფინანსურ სტაბილურობას, შესაბამისად NGFS ქსელი ახორციელებს გამოცდილების გაცვლას და მოწინავე პრაქტიკის გაზიარებას, ფინანსურ სფეროში კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკების მართვის ხელშეწყობას, ისწრაფვის კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ფინანსური რისკების უკეთ აღქმისა და მართვისაკენ [2].

G20–ის გარემოსდაცვითი ფინანსების შემსწავლელი ჯგუფი (GFSG[1]) და ფინანსური სტაბილურობის საბჭოს (FSB[2]) სამუშაო ჯგუფი რეკომენდაციას იძლევიან მოხდეს ფინანსური ინსტიტუტების წახალისება კლიმატთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციის გამჟღავნების, გარემოსდაცვითი რისკის ანალიზის, კლიმატთან დაკავშირებული ინფორმაციის მეტი გასაჯაროების მიზნით.

კლიმატის ცვლილება და მასთან დაკავშირებული რისკები ფინანსურ ინსტიტუტებს არაერთ პრობლემას უქმნის. მარეგულირებლები ყურადღებით აკვირდებიან და აფასებენ ფინანსური ბაზრების კლიმატთან დაკავშირებულ პოტენციურ რისკებს. მათი სპეციფიკის მიუხედავად, ეს რისკები გავლენას ახდენს ყველა ტრადიციულ რისკზე. შესაბამისად, ხორციელდება ანალიზი, სად ექვემდებარებიან ფინანსური ინსტიტუტები კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ მომატებულ ფინანსურ რისკებს, განსაკუთრებით - ყველაზე უფრო სუსტი ინსტიტუტები.

მდგრადი დაფინანსება, რომელიც მოიცავს გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხების ფართო სპექტრს, სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება გლობალურ დონეზე. შვეიცარიის ფინანსური ბაზრის ზედამხედველი FINMA, რომლის ფუნქციას წარმოადგენს კრედიტორების, ინვესტორებისა და დაზღვეული პირების დაცვა და ფინანსური ბაზრების გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა, საზედამხედველო ფუნქციის ფარგლებში განიხილავს კლიმატთან დაკავშირებული ფინანსური რისკების (მ. შ. პოტენციური რისკების) საკითხს, ასევე მარეგულირებელ მიდგომებს მსხვილი ფინანსური ინსტიტუტების მხრიდან კლიმატთან დაკავშირებული ფინანსური რისკების გამჭვირვალობის ასამაღლებლად [3].

მარეგულირებელი თავისი კომპეტენციის ფარგლებში მისი ზედამხედველობის ქვეშ მყოფ დაწესებულებებში აკვირდება კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ რისკებს. ფინანსური ინსტიტუტები ვალდებული არიან გამოავლინონ, შეაფასონ და სათანადოდ მართონ კლიმატთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ფინანსური რისკები და, საჭიროების შემთხვევაში, შეიმუშაონ საკუთარი ინსტრუმენტები და პროცედურები; მარეგულირებელ დონეზე, FINMA განიხილავს მიდგომებს მსხვილი ფინანსური ინსტიტუტების მიერ კლიმატთან დაკავშირებული ფინანსური რისკების შესახებ ინფორმაციის უფრო სრულად გამჟღავნებისათვის, გამჭვირვალობისა და საბაზრო დისციპლინის გაუმჯობესების მიზნით [4].

საქართველოს ეროვნული ბანკი 2020 წლის თებერვალში გაწევრიანდა „ფინანსური სისტემის გამწვანებისთვის ცენტრალური ბანკების და ზედამხედველი ორგანოების ქსელში“. სებ-ის მიერ NGFS-ში გაწევრიანება მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს განვითარების მიმართულებით კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია. ქსელში გაწევრიანება სებ-ს ეხმარება გაეცნოს მდგრადი დაფინანსების მიმართულებით სხვადასხვა ქვეყნის ცენტრალური ბანკების და ფინანსური სექტორის ზედამხედველების გამოცდილებას, შეიტანოს საკუთარი წვლილი ამ კუთხით მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკის ჩამოყალიბებაში, გაუზიაროს საკუთარი გამოცდილება მდგრადი დაფინანსების განვითარების მიმართულებით საწყის ეტაპზე მყოფ ცენტრალურ ბანკებს.

ფინანსურმა სექტორმა უნდა შეასრულოს თავისი მნიშვნელოვანი როლი უფრო მდგრად ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში. ერთი მხრივ, ეს იძლევა შესაძლებლობებს, მაგრამ მეორეს მხრივ, კლიმატის ცვლილებები და მისი შედეგები საფინანსო ინსტიტუტებისთვის წარმოადგენს პოტენციურ ფინანსურ რისკებს [5].

---

[1] გარემოსდაცვითი ფინანსების შემსწავლელი ჯგუფი GFSG 2018 წელს ჩანაცვლდა მდგრადი დაფინანსების შემსწავლელი ჯგუფით (SFSG), რომელიც აგრძელებს თავისი წინამორბედის საქმიანობას უფრო ფართო უფლებამოსილების ფარგლებში.

[2] Financial Stability Board (FSB) - ფინანსური სტაბილურობის საბჭო

კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ რისკებს აქვთ სპეციფიკური მახასიათებლები, მათ შორის ხანგრძლივი დროითი ჰორიზონტები და ზემოქმედების არამკაფიო გზები. ამიტომ, ფინანსური ინსტიტუტები და ზედამხედველები ასევე მუშაობენ კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებული რისკების უფრო სიღრმისეულ ინტეგრაციაზე რისკების მართვის პროცესში, რისკების გაზომვისა და შემცირებისათვის შესაბამისი მიდგომებისა და ინსტრუმენტების განვითარებასა და დანერგვაზე, რისკების შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალედ გამჟღავნების უზრუნველყოფაზე.

ეჭვგარეშეა, რომ კლიმატთან დაკავშირებული საიმედო ფინანსური ინფორმაციის გარეშე, ფინანსურ ბაზრებს არ შეუძლიათ სწორად შეაფასონ კლიმატთან დაკავშირებული რისკები და შესაძლებლობები.

შესაბამისად, 2015 წელს ფინანსური სტაბილურობის საბჭომ (FSB[1]) დააფუძნა კლიმატთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციის გამჟღავნების სპეციალური ჯგუფი (Task Force on Climate-Related Financial Disclosures - TCFD), დაინტერესებული მხარეების მიერ უფრო დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღების ხელშესაწყობად.

TCFD ისწრაფვის ბაზრის გამჭვირვალობისა და სტაბილურობისკენ. უფრო ხარისხიანი ინფორმაცია საშუალებას მისცემს კომპანიებს კლიმატთან დაკავშირებული რისკები და შესაძლებლობები ჩართონ მათი რისკების მართვისა და სტრატეგიული დაგეგმვის პროცესებში, რაც საშუალებას მისცემს ფინანსურ ბაზრებს ინვესტიციები მიმართონ მდგრად განვითარებასა და შესაძლებლობებში.

კლიმატთან დაკავშირებული ფინანსური რისკების უფრო სრული და თანმიმდევრული გამჟღავნება ხელს უწყობს არა მხოლოდ მათ ადეკვატურ ანალიზს, არამედ შედარებას და საბაზრო დისციპლინას. თანამედროვე ეტაპზე სისტემურად მნიშვნელოვანი ბანკები და მსხვილი სადაზღვევო კომპანიები ვალდებულნი არიან კლიმატთან დაკავშირებული ფინანსური რისკები გამჭვირვალე გახადონ. შინაარსობრივი თვალსაზრისით, მარეგულირებელი მიდგომა ემყარება კლიმატთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციის გამჟღავნების სპეციალური ჯგუფის საერთაშორისოდ აღიარებულ რეკომენდაციებს. უკვე დღეს არაერთმა ბანკმა და სადაზღვევო კომპანიამ აიღო ვალდებულება TCFD-ის პრინციპების შესაბამისად კლიმატთან დაკავშირებული ფინანსური რისკების გამჟღავნებასთან დაკავშირებით.

მდგრადი საბანკო ქსელი (SBN[2]) წარმოადგენს განვითარებადი ბაზრების ფინანსური სექტორის მარეგულირებელი ორგანოების და საბანკო ასოციაციების ნებაყოფლობით გაერთიანებას, რომლებიც მხარს უჭერენ მდგრადი დაფინანსების განვითარებას მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად. ქსელი ხელს უწყობს წევრებს შორის კოლექტიურ სწავლებას და მათ მონაწილეობას პოლიტიკისა და მასთან დაკავშირებული ინიციატივების შემუშავებაში, რომლებიც მიზნად ისახავს მდგრადი დაფინანსების მამოძრავებელი ძალების შექმნას მათ ქვეყნებში [6].

SBN-ს წევრი ქვეყნები მხარს უჭერენ ფინანსური სექტორების მდგრად განვითარებას. ამჟამად მისი წევრია 42 ქვეყანა, რაც განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების საბანკო აქტივების 86%-ს მოიცავს (43 ტრლნ აშშ დოლარი). საქართველოს ეროვნული ბანკის IFC/SBN-თან თანამშრომლობა მოიცავს შემდეგ საკითხებს: ცნობიერების და კვალიფიკაციის ამაღლება; გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) საკითხების ფინანსური ინსტიტუტების რისკის შეფასების ჩარჩოსა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ინტეგრირება; ბაზრის გამჭვირვალობის ხელშეწყობა; SBN–ის სხვა წევრი ქვეყნებისთვის გამოცდილების გაზიარება.

როგორც კაპიტალის მიმწოდებლებს, ბანკებს სავსებით შეუძლიათ დაეხმარონ კერძო სექტორს ახალ ეკონომიკურ რეალობასთან ადაპტაციაში, რაც დაკავშირებულია ეკოლოგიურ და სოციალურ მდგრადობასთან (მაგ. კლიმატის ცვლილება, რესურსების სიმწირე) და ასევე ხელი შეუწყონ მდგრადი

[1] FSB სხვა საკითხებთან ერთად მუშაობს ფინანსურ სტაბილურობაზე კლიმატთან დაკავშირებული რისკების შედეგების შეფასებაზე.
[2] Sustainable Banking Network

განვითარების ეროვნულ პროგრამებს. მაგრამ იმისათვის, რომ ბანკებმა შეძლონ რისკების მართვისა და მწვანე და ინკლუზიური დაკრედიტების ახალი მეთოდების ეფექტურად ინტეგრირება, მათ სჭირდებათ შესაბამისი მარეგულირებელი გარემო, რომელიც უზრუნველყოფს თანაბარ პირობებს და შესაბამის ეკონომიკურ სტიმულებს.

დასკვნა

მარეგულირებელი ორგანოები შეიმუშავებენ შესაბამის რეკომენდაციებს და სახელმძღვანელო პრინციპებს, რაც ფინანსურ ინსტიტუტებს უბიძგებს მათ მიერ დაფინანსებულ პროექტებში კლიმატის ცვლილების რისკების უკეთ მართვისა და უფრო ეკოლოგიური და სოციალურად ინკლუზიური საწარმოების მხარდაჭერისკენ.

ფინანსურმა ინსტიტუტებმა და ზედამხედველებმა უნდა გააფართოვონ მუშაობა კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული და გარემოსდაცვითი რისკების უფრო სიღრმისეულ ინტეგრაციაზე მთლიანად რისკების მართვის პროცესებში, თავიანთ ბიზნეს-სტრატეგიაში, კორპორაციულ მართვაში და რისკების მართვის სისტემაში; რისკების გაზომვისა და შემცირებისათვის შესაბამისი მიდგომებისა და ინსტრუმენტების განვითარებასა და დანერგვაზე; რისკების შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალედ გამჟღავნების უზრუნველყოფაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. One Planet Summit. https://www.oneplanetsummit.fr/en, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 24.01.2021.
2. The Central Banks and Supervisors Network for Greening the Financial System. Annual Report 2020. March, 2021. https://www.ngfs.net/sites/default/files/medias/documents/ngfs_annual_report_2020.pdf, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 2.04.2021.
3. Swiss Financial Markets Supervisory Authority (FINMA). https://www.finma.ch/en/finma/finma-an-overview/, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 3.03.2021.
4. Swiss Financial Markets Supervisory Authority (FINMA), strategic goals for the period from 2021 to 2024. https://www.finma.ch/en/news/2020/11/20201118-mm-strategische-ziele-2021-2024/, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 20.03.2021.
5. United Nations Climate Change. The Paris Agreement. https://unfccc.int/process-and-meetings/the-paris-agreement/the-paris-agreement, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 27.01.2021.
6. Sustainable Banking Network (SBN). https://www.ifc.org/wps/wcm/connect/topics_ext_content/ifc_external_corporate_site/sustainability-at-ifc/company-resources/sustainable-finance/sbn, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 6.02.2021.
7. TCFD Task Force on Climate-related Financial Disclosures, Status Report, September, 2020. https://assets.bbhub.io/company/sites/60/2020/09/2020-TCFD_Status-Report.pdf, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 22.02.2021

The Importance of Climate-related Risk Management for the Operation and Sustainability of Financial Institutions

Medea Chelidze, Associate professor of Georgian Tehcnical University

Nino Khidirbegishvili, Assistant professor of Georgian Tehcnical University

Gocha Abutidze, PhD student of Georgian Tehcnical University

Summary

One of the main challenges in the global context today is financing the transition to a green economy and promoting environmentally sustainable growth. Climate-related risks can affect a country's financial system in the long term. In responding to environmental threats and climate change, financial institutions and the financial system as a whole face both opportunities and risks and challenges.

Regulators around the world are concentrating on systemic impacts of climate change risk on financial institutions and markets.

The article examines and analyzes the importance and impact of climate change risks on the functioning and sustainability of financial institutions, the role of supervisors in the full disclosure of climate-related information by financial institutions, and provides conclusions and recommendations.

Key Words: Climate-related risk, financial institution, green finance, financial information, supervisor.

მოგების გადასახადის რეფორმის შედეგები საქართველოში

ხარხელაური ხათუნა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

საგადასახადო სისტემის ძირითადი დანიშნულებაა, სახელმწიფო უზრუნველყოს ფინანსური რესურსებით. როგორც გასულ წლებში, ისე 2021 წლისათვისაც საქართველოს დაგეგმილი საბიუჯეტო შემოსავლების უმეტესი ნაწილი (დაახლოებით 62%) საგადასახადო შემოსავლებზე მოდის. ამიტომ, საგადასახადო პოლიტიკის სწორად განსაზღვრას და გადასახადების კარგ ადმინისტრირებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბიუჯეტო პროცესსა და ქვეყნის განვითარებაში.

ზოგადად, ქვეყანაში ეკონომიკური წინსვლის ყველაზე სანდო და პოპულარულ ინდიკატორად მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდის ტემპმი განიხილება. ბოლო წლებში მის დასაჩქარებლად საქართველოში მთავრობის გადაწყვეტილებით, არაერთი საგადასახადო რეფორმა განხორციელდა.

მსგავს ცვლილებებს, ყოველთვის თან სდევს რამდენიმე მნიშვნელოვანი კითხვა, მათ შორის, ახდენენ თუ არა ისინი ადექვატურ გავლენას ქვეყნის მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ზრდაზე და რა გამოწვევების წინაშე შეიძლება დადგეს ქვეყანა ამ რეფორმების შედეგად.

საკვანძო სიტყვები: მოგების გადასახადი, განაწილებული მოგება, დაბეგვრა, ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

მოგების გადასახადის „ესტონური მოდელი“

დღეისათვის იგი სამ ქვეყანაში მოქმედებს: ესტონეთი, ლატვია და საქართველო. ესტონეთში იგი 2000 წელს შემოიღეს და აკადემიურ წრეებში ცნობილია, როგორც „Cash flow taxation model“ ანუ „ფულადი ნაკადების დაბეგვრის მოდელი“.

ესტონეთში საგადასახადო რეგულაციებით 2000-2004 წლებში განაწილებული მოგება 26%-ით იბეგრებოდა, შემდეგ 2018 წლამდე – 20%-იანი განაკვეთით, ხოლო 2018 წლის 1 იანვრიდან – 14%-იანი განაკვეთით. ამასთან, დივიდენდზე გადასახადის განაკვეთი შეადგენს 7%-ს. აღსანიშნავია, რომ 14%-იანი განაკვეთით იბეგრება ე.წ. „რეგულარული განაწილებული მოგება“. რეგულარულ განაწილებულ მოგებაში იგულისხმება საწარმოს მიერ ბოლო (წინა) სამი წლის განმავლობაში განაწილებული მოგებების საშუალო არითმეტიკული. იმ შემთხვევაში, თუ მიმდინარე წელს მოგების გადასახადის ბაზა გადააჭარბებს ზემოაღნიშნულ საშუალო არითმეტიკულის სიდიდეს, მაშინ განაწილებული მოგება დაიბეგრება არა 14%-ით, არამედ – 20%-ით.

მოგების გადასახადის ესტონური მოდელი 2018 წლის 1 იანვრიდან შემოიღო ლატვიამაც. გადასახადის განაკვეთი შეადგენს 20%-ს, ხოლო საგადასახადო ბაზა იყოფა 0,8-ზე და მრავლდება 20%-ზე. რეალურად მიიღება 25%-იანი განაკვეთი (შედარებისთვის: საქართველოში არის 15%-იანი განაკვეთი, ხოლო საგადასახადო ბაზა იყოფა 0,85-ზე და მრავლდება 15%-ზე. რეალურად მიიღება 17,65%-იანი განაკვეთი).

უნდა აღინიშნოს, რომ თავად ტერმინი „მოგება“ აკადემიური და პრაქტიკული თვალსაზრისით მრავალი ასპექტით განიხილება. ჩვენ გვაინტერესებს საწარმოს მოგება დაბეგვრის თვალსაზრისით. ამდენად, საინტერესოა მოგების განაწილებისა და გადანაწილების მექანიზმები. საწარმო, როდესაც ახდენს საქონლის ან/და მომსახურების რეალიზებას, იგი ახორციელებს მიღებული შემოსავლის პირველად განაწილებას. კერძოდ, დაქირავებულ პირებს უხდის ხელფასს, დამფუძნებლებს დივიდენდს, კრედიტორებს პროცენტს და ა.შ. ამით, ხდება შემოსავლის და მათ შორის მოგების პირველადი განაწილება. შესაბამისად, ხელფასის გაცემას, დივიდენდის გაცემას და ა.შ. მოსდევს (ზოგჯერ უსწრებს) საშემოსავლო და მოგების გადასახადების სახით საწარმოს შემოსავლების შემდგომი განაწილება ანუ გადანაწილება. მაგალითად, თუ საწარმო, რომელიც ესტონური მოდელით მუშაობს, გაანაწილებს მოგებას ფიზიკურ პირ დამფუძნებლებზე (პირველადი განაწილება), იგი ვალდებულია

ერთდროულად გადაიხადოს მოგების გადასახადი და ამ პირების საშემოსავლო გადასახადი. ამით საწარმო ახორციელებს უკვე განაწილებული მოგების გადანაწილებას ბიუჯეტში. საწარმო, რომელიც მუშაობს არაესტონური მოდელით და იღებს მოგებას, მას დამფუძნებელ ფიზიკურ პირებზე ანაწილებს და გადაანაწილებს ორი შესაძლო წესით:

ა)წლის ბოლოს იღებს წმინდა მოგებას და ანაწილებს მას დივიდენდების სახით. ამ შემთხვევაში, საწარმო ჯერ იხდის მოგების გადასახადს, ხოლო დივიდენდის გაცემის დროს აკავებს საშემოსავლო გადასახადს;

ბ) საწარმო არ ელოდება წლის ბოლოს წმინდა მოგების მიღებას და ამ საანგარიშო წლის ფარგლებში რეგულარულად გასცემს დივიდენდებს (ე.წ. შუალედურ დივიდენდებს). ამ შემთხვევაში, დივიდენდის გაცემისას იგი აკავებს მხოლოდ საშემოსავლო გადასახადს, ხოლო წლის ბოლოს დადგენილი წესით იხდის მოგების გადასახადს. ორივე შემთხვევაში, ხდება მოგების განაწილება და გადანაწილება.

ესტონური მოდელის თავისებურებაა, რომ თვალისწინებს არა „შემოსავლის“, არამედ „ხარჯების“ დაბეგვრას. ამ ტერმინებზე აქცენტირება ხდება, რადგან „შემოსავლებში იგულისხმება მოგებას, ხოლო ხარჯებში – არა ყველა ხარჯს, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობას უკავშირდება, არამედ, ჩვეულებრივი დაბეგვრის დროს არაგამოსაქვით და ზოგიერთ სხვა ხარჯს“. [1]

მოგების გადასახადით დაბეგვრის ჩვეულებრივ პირობებში დასაბეგრი მოგება შეიძლება არ დაემთხვეს ფინანსურ მოგებას (ბუღალტრულ მოგებას, სააღრიცხვო მოგებას). ცნობილია, რომ ეს გამოწვეულია ბუღალტრული (ფინანსური) აღრიცხვისა და საგადასახადო აღრიცხვის პრინციპების განსხვავებით. უნდა აღინიშნოს, რომ ის ხარჯები, რაც არ გამოიქვითება ჩვეულებრივი დაბეგვრის დროს – როგორც წესი, იბეგრება ესტონური მოდელის პირობებში. თუმცა საინტერესო ის არის, რომ ჩვეულებრივი დაბეგვრის დროს არაგამოსაქვითი თანხა იბეგრება 15 პროცენტით, ხოლო ესტონური მოდელის დროს – არაგამოსაქვითი თანხის „აგროსილი“ თანხა. მაგალითად, ხარჯი, რომელიც დოკუმენტურად დადასტურებული არ არის, ჩვეულებრივ პირობებში არ გამოიქვითება და მაშასადამე არ ამცირებს ერთობლივ შემოსავალს, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი შედის დასაბეგრ მოგებაში. ესტონურ მოდელში დოკუმენტურად დაუდასტურებელი ხარჯი უნდა „აიგროსოს“ (გაიყოს 0,85-ზე) და დაიბეგროს, რაც შედეგად სხვადასხვა საგადასახადო ტვირთს იძლევა.[2]

ესტონური მოდელი „ხარჯების“ მოდელია. დივიდენდებს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, ასეთი ხარჯები ზოგადად კლასიფიცირებულია სამ ჯგუფად: არაეკონომიკური ხარჯები; უსასყიდლო ხარჯები; წარმომადგენლობითი ხარჯები. ესტონური მოდელით მოგების გადასახადით იბეგრება: რეზიდენტი საწარმო; არარეზიდენტი საწარმოს მუდმივი დაწესებულება; ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას – 2019 წლის 1 იანვრიდან; კომერციული ბანკი, საკრედიტო კავშირი, სადაზღვევო ორგანიზაცია, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია და ლომბარდი – 2023 წლის 1 იანვრიდან.

რეზიდენტი საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; არაეკონომიკური ხარჯები; უსასყიდლო ხარჯები; წარმომადგენლობითი ხარჯები.

საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაწილებული მოგება არის მოგება, რომელიც საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით, ფულადი ან არაფულადი ფორმით ნაწილდება. ამ ნორმის მიხედვით, განაწილებული მოგება მხოლოდ დივიდენდი შეიძლება იყოს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მოგება დივიდენდის გარდა სხვა ფორმით არ შეიძლება განაწილდეს, თუმცა ტერმინი „განაწილებული მოგება“, როგორც მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი მხოლოდ დივიდენდს ნიშნავს. ამასთან, სსკ უშვებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც რაიმე სხვა მოვლენა, რომელიც პირდაპირ მოგების განაწილება არ არის, მაინც ითვლება მოგების განაწილებად. ამ შემთხვევაში, მოგების ასეთი განაწილება არ წარმოადგენს დივიდენდს (მაგალითად, ურთიერთდამოკიდებულ პირებს შორის ჩამოყალიბებული საბაზრო ფასისაგან განსხვავებული ფასები, კონტროლირებადი ოპერაციის ფასები და სხვა).

„ესტონური მოდელის“ ეფექტი -

თავად ესტონეთის ეკონომიკაზე ცალსახად დადებითად შეგვიძლია მივიჩნიოთ, რადგან

დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან ძალიან მალე იგი სწრაფად განვითარებადი ქვეყანა გახდა. მსოფლიო ბანკის მიერ ესტონეთი დღეს შეფასებულია, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მაღალშემოსავლიანი ქვეყანა მშპ-ს წილით მოსახლეობის ერთ სულზე.

საქართველოში ესტონური მოდელის მოგების გადასახადის რეჟიმის წინასწარი შედეგების პროგნოზირება გაკეთდა USAID– ის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში „მმართველობა განვითარებისთვის“ (G4G). აღნიშნულით, შეფასდა ესტონური მოდელის საგადასახადო რეჟიმის შესაძლო მაკროეკონომიკური შედეგები. ეკონომისტების მიერ შემუშავებულ იქნა ნეოკლასიკური ეკონომიკური ზრდის ზოგადი წონასწორობის მოდელი (neo-classical general equilibrium growth model). აღნიშნული კვლევის მიხედვით რეფორმა იქონიებს ინვესტიციების წამახალისებელი ეფექტს: „საფონდო კაპიტალი 1,5 წელიწადში 3,23 %-ით გაიზრდება. რეფორმა გამოიწვევს წმინდა ინვესტიციების ზრდას. დაახლოებით 1,5 წელიწადში, რეალური მშპ გაიზრდება 1,44%-ით; საერთო კერძო მოხმარება გაიზრდება დაახლოებით 0,85 %-ით 1,5 წელიწადში; რეფორმა გაზრდის სამთავრობო ბიუჯეტის წლიურ დეფიციტს მაქსიმუმ 3%-ით. ამასთან, საშემოსავლო გადასახადის 1 %- ით ზრდა და 1,25 %-ით დამატებული ღირებულების გადასახადის გაზრდა აღმოფხვრის აღნიშნულ დეფიციტს. ახალი საბიუჯეტო წონასწორობის მისაღწევად მთავრობამ უნდა იფიქროს ხარჯების არ გაზრდაზე რეფორმიდან 2 – 3 წლის განმავლობაში; მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი მცირედით შემცირდება, კომპანიების მიერ დივიდენდების საქართველოში დატოვებით, გამომდინარე რეფორმის საინვესტიციო ეფექტისა; რეფორმის შედეგი, დაახლოებით 1,5 წელიწადში გახდება ხელშესახები.“[3]

აღნიშნულმა რეფორმამ იქონია თუ არა მოსალოდნელი დადებითი გავლენა ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდაზე, შეგვიძლია შევაფასოთ სტატისტიკური მონაცემების ანალიზის საუძველზე.

პირველ რიგში განვიხილოთ ბიუჯეტში შესული მოგების გადასახადისა და მთლიანად გადასახადების დინამიკა 2010-2020 წლებში:

ცხრილი 1 გადასახადების დინამიკა 2010-2020წწ (მლნ.ლარი)



წყარო: https://www.mof.ge/finansebis_statistika_naerti_biujeti [4]

როგორც ცხრილიდან ჩანს მოგების გადასახადის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2016 წელს, 1055,9 მლნ.ლარი. მთლიანად ბიუჯეტში შესულ გადასახადებს რაც შეეხება, აქ 2013 წლიდან უწყვეტად ზრდის ტენდენცია ფიქსირდება და ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2019 წელს, 11417,8 მლნ. ლარი. თუ არ ჩავთვლით 2010 წლის მაჩვენებელს, ბიუჯეტში შემოსული მოგების გადასახადის ყველაზე დაბალი ბაჩვენებელი 2018 წელს დაფიქსირდა 736,6 მლნ. ლარი.

ცხრილი 2 მოგების გადასახადის ტენდენციის ანალიზი (%) (ჯაჭვური)



წყარო: https://www.mof.ge/finansebis_statistika_naerti_biujeti

იმის გასაანალიზებლად თუ როგორ შეიცვალა ბიუჯეტში შესულ გადასახადებში მოგების გადასახადის ხვედრით წილი რეფორმის განხორციელების შედეგად, ჩვენ ავიღეთ 2016 და 2018 წლების მონაცემები, როდესაც შესაბამისად მოგების გადასახადის ყველაზე მაღალი და ყველაზე დაბალი მაჩვენებლებია დაფიქსირებული:

ცხრილი 3. ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურა



როგორც დიაგრამებიდან ჩანს მთლიან გადასახადებში მოგების გადასახადის ხვედრითი წილი მნიშვნელოვნად არის შემცირებული, მიუხედავად იმისა რომ, მთლიანად გადასახადები 2018 წელს თითქმის 65%-ით გაიზარდა 2016 წელთან შედარებით.

რაც შეეხება სხვა ეკონომიკური მაჩვენებლების ცვლილებას, რომელის საანალიზო წლების სტატისტიკური მაჩვენებლებით ფიქსირდება, რამდნადაა გამოწვეული „მოგების გადასახადის ესტონური მოდელის“ ამოქმედებით, ამის დადგენა გაცილებით დეტალურ და სიღრმისეულ კვლევას, მოითხოვს, რადგან მათ ცვლილებაზე სხავა გარემო ფაქრორებიც ახდენს გავლენას. როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, ესტონეთში ეკონომიკურად გამართლებული „ესტონური მოდელი“ ვერ მიაღწევდა მსგავს შედეგებს სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს გარეშე [5].

დასკვნა

საქართველოში მხოლოდ შემცირებული მოგების გადასახადი ვერ განაპირობებს უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, ვერ მისცემს ბიზნეს სუბიექტებს რეინვესტირების ძლიერ სიგნალს, თუ ადგილობრივი ბიზნესსექტორის წარმომადგენლები, ან უცხოელი ინვესტორები დაფრთხებიან ეროვნული ვალუტის კურსის არასტაბილურობით, „ყოვლისმომცველი“ პოლიტიკური რყევებითა, თუ პროტექციონისტული ტენდენციებით. ამიტომაც, ნუ გვექნება ილუზია იმისა, რომ ესტონური მოდელი დამოუკიდებლად შეძლებს ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვნად წახალისებას. ამ საგადასახადო

მოდელის წარმატება დამოკიდებულია იმ გარემო პირობების შექმნაზე, რომლებიც, თავისთავად, აუცილებელია ეკონომიკური განვითარების მისაღწევად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გ. ურიდია „მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სამართლებრივი საფუძვლები და სრულყოფის გზები“ I ნაწილი -აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები (ააფ) #9(225), 2018
2. გ. ურიდია „მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სამართლებრივი საფუძვლები და სრულყოფის გზები“ I ნაწილი -აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები (ააფ) #10(225), 2018
3. გ. ბერიძე „სტონური მოდელის დეტალები და მისი გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე“ http://eugeorgia.info/ka/article/541/estonuri-modelis-qartuli-perspeqtivebi/
4. https://www.mof.ge/finansebis_statistika_naerti_biujeti
5. მ. ეჯიბია „ესტონური მოდელის“ ქართული პერსპექტივები http://eugeorgia.info/ka/article/541/estonuri-modelis-qartuli-perspeqtivebi/

კოვიდ 19-ით გამოწვეული კრიზისის ანალიზი ფინანსურ სისტემაში და მისი დაძლევის გზები ლოქდაუნის პირობებში

ჯაფარიძე ირინე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

ჯინჭარაძე ტრისტან
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

კორონავირუსული პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური და ფინანსური კრიზისი სულ უფრო მწვავდება. ქვეყნებისთვის და ადამიანთა კეთილდღეობისთვის მიყენებული ზიანი ჯერ კიდევ მზარდი და არაპროგნოზირებადია. მთავრობის მიერ განხორციელებული შეღავათები ბიზნესს ეხმარება, თუმცა ეს არ არის საკმარისი მისი გამართულად ფუნქციენირებისთვის. სულ უფრო მეტი გამოწვევების წინაშე დგება საქართველოში ფინანსური სექტორი, რომელსაც კოვიდ-19-ის გარდა, რომელმაც საქართველოში ყველაზე მეტად ვაჭრობას, პირდაპირი უცხოური ინვესტიციას და სასტუმრო-სარესტორნე ბიზნესს დაარტყა, არამდგრადი ლარის კურსი აყენებს დიდ ზიანს. შესაბამისად საჭიროა შემუშავდეს კრიზისის დაძლევის სტატეგია, რათა დასტაბილუდეს ფინანსური სექტორი.

საკვანძო სიტყვები: ფინანსური კრიზისი, კოვიდ -19, გადასახადები, შეღავათები, ლოქდაუნი.

21-ე საუკუნეში მაღალგანვითარებული ტექნოლო-გიების პირობებში არავინ იფიქრბდა, რომ მთელი მსოფლიოს მაშტაბით ვირუსული ინფექციის გავრცელება ქვეყნების ჩაკეტვას და ცხოვრების რიტმის სრულად შეცვლას გამოიწვევდა. აზიის განვითარების ბანკის მიხედვით, პანდემია 77$ მილიარდიდან 347$ მილიარდამდე ზიანს მიაყენებს მსოფლიო ეკონომიკას. გაეროს მიერ შემოთავაზებული უკანასკნელი ანალიზით, COVID-19-ის შემდგომ გლობალური ეკონომიკის ზრდა მინიმუმ 2.5%-მდე შემცირდება, მიყენებული ზარალი კი დაახლოებით ტრილიონ დოლარს მიაღწევს. უფრო ცუდ შემთხვევაში ეს რიცხვი შეიძლება გაორმაგდეს. ეუთოს ანგარიშის მიხედვით, მსოფლიო ეკონომიკის ზრდა 2.4%-მდე შემცირდება წინასწარ ნავარაუდევი 2.9%-დან, რაც ძირითადად, მსოფლიო ვაჭრობის შემცირებით იქნება განპირობებული.

შედეგად ბიზნესისთვის მოთხვონის შემცირება არის პანდემიით გამოწვეული ყველაზე გამოკვეთილი გვერდითი მოვლენა. სასტუმროებისა და რესტორნების ბიზნესები 50% - დან 75%-მდე მოთხოვნის შემცირებას განიცდიდა გასულ წელს, რამაც გამოიწვია თანამშრომელთა შტატის შემცირება. შემოსავლის გარეშე დარჩენილი მოსახლეობა კი სახელმწიფო დახმარების იმედად დარჩა. ფუნქციონირებადი სასტუმროები და მშენებარე პროექტები უძრავი ქონების ბაზარზე გამოიტანეს გასაყიდად, რადგან ვეღარ ახერხებდნენ ვალდებულებების დაფარვას. 2020 წლის გაზაფხულზე გამოცხადდა, რომ შეღავათს საშემოსავლო და ქონების გადასახადზე 6 თვით მიიღებენ კომანიები რომლებიც ახორციელებენ:

1. განთავსების მომსახურებას (სასტუმრო, ჰოსტელი, გესტჰაუსი და განთავსების სხვა ადგილები)
2. კვები მომსახურებას (რესტორნები, კაფეები, ბარები და სხვა კვების ობიექტები)
3. სატრანსპორტო მომსახურებას
4. საექსუკურსიო მომსახურებას
5. საკონფერენციო მომსახურებას
6. გასართობ მომსახურებას
7. ტურისტული სააგენტოები
8. სხვა ტურისტულ სფეროსთან დაკავშირებულ მომსახურებას.

თუმცა ეს შეღავათები ამ სფეროს გადარჩენის მხოლოდ მწვერვალია. საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან უფრო მეტი მოქმდებები. პანდემიის დასრულების შემდგომ მსოფლიო ძველებურად ვეღარ იცხოვრებს, ადამიანები დაიწყებენ ისეთი ადგილების მოძიებას, სადაც თავს იგრძნობენ უსაფრთხოდ და გადატვირთული ადგილების ნაცვლად უპირატესობას მიანიჭებენ ისეთი ადგილების მონახულებას

და დასვენებას, სადაც სოციალური დისტანცირების დაცვის საშუალება ექნებათ, თავს იგრძნობენ უსაფრთხოდ და დაცულად. ვაქცინაციის პროცესის დაჩქარება გამოიწვევს უცხოელი ტურისტებისთვის საქართველოს უსაფთხო დასასვენებელ ადგილად მიჩნევას. თავის მხრივ საჭიროა მწვანე ქვეყნების სიის შედგენა, რომლის მოქალაქეებიც ზეედმეტი ბიუროკრატიის გარეშე შემოვიდნენ ქვეყანაში დასასვენებლად. ეს თავს აგვარიდებს ზედმეტი რიგებს საზღვრებზე, სადაც მოხდება სხვა ქვეყნებიდან შემოსული მოქალაქეების გადამოწმება შესაბამისი პროცედურებით.

ტურისტული სფეროს გარდა როგორც ავღნიშნეთ დაზიანდა ვაჭრობის სფერო. ონლაინ პლატფორმებზე ბევრი ვერ გადავადა, რამაც გაყიდვების დაცემა გამოიწვია. შესაბამისად შემოსულობა სახელწიფო ხაზინაში შემცირდა. მოსახლეობას შემოსავალი ან შეუმცირდა ან გაუნულდა, რამაც ჯაჭვური რეაქციით სხვა სამომხმარებო სფეროზე იქონია გავლენა. ერთადერთი სავაჭრო სფერო რომელმაც ზრდა განიცადა, სურსათის მაღაზიებია, ლოკდაუნის მოლოდინში მოსახლეობა უზომოდ ყიდულობდა ყველაფერს. 2020 წელს როცა ჯერ კიდევ ახალი დაწყებული იყო პანდემია მყიდველები შედარებით ხელგაშლილად ყიდულობდნენ პროდუქტს. 2021 წელს კი როცა პანდემიის დასასრული ჯერ კიდევ არ ჩანს და ხალხმა ყველანაირი რეზერვი ამოწურა, რომელიც შავი დღისთვის ქონდა, დაიწყო ვაჭრობის ამ სფეროს ვარდნაც. საჭიროების გარდა ზედმეტს აღარ ყიდულობს მომხმარებელი და შედარებით იაფიან პროდუქტსაც ეძებს. შესაბამისად ვაჭრობის ამ სფეროსაც ნელ-ნელა პანდემიის კვალი ეტყობა.

ბოლო წლების განმავლობაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (2017 წლის გარდა, როცა მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა) სტაბილური კლებით ხასიათდება. მაგალითად, 2018 და 2019 წლებში დაახლოებით 1/3-ით ნაკლები ინვესტიცია შემოვიდა 2014 წელთან შედარებით. ცხადია, მსოფლიოში შექმნილი ვითარება ზოგად საინვესტიციო კლიმატზე აისახება. საქსტატის უკანასკნელი მონაცემების მიხედვით (2019 წელი) საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უმნიშვნელოვანესი ნაწილი ევროკავშირზე მოდის. ევროკავშირიდან შემოსული ინვესტიციები სრული ინვისტეციების 47.2%-ს უტოლდებოდა. ამერიკიდან შემოსული ინვესტიციები სრული ინვესტიციების 7.8%-ია, ხოლო ჩინეთიდან შემოსული ინვესტიციები - 3.2%. 2019 წლის მონაცემებით 15 ყველაზე მნიშვნელოვან ინვესტორებს შორის არიან აშშ, ჩინეთი და იაპონია. არსებულ ქვეყნებში ვირუსული აფეთქების ეკონომიკური ეფექტი შეიძლება პირდაპირ გავრცელდეს საქართველოზეც. ინვესტიციების შემცირების ტენდენცია უკანასკნელი წლების მანძილზე ისედაც მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენდა საქართველოს ეკონომიკისათვის. ახლა ეს რისკები კიდევ უფრო აქტუალურია, რადგან 2020 წელს მნიშვნელოვნად დაეცა, სულ რაღაც 616,9 მლნ. აშშ დოლარი იყო.



დღეს, როცა საქართველოში COVID-19-ის გავრცელების პიკი არ არის მიღწეული, და მისი დასასრულიც საკმაოდ შორია, ცხადია, საკმაოდ რთულია ზუსტი პროგნოზების გაკეთება იმ ფინანსური გავლენის შესახებ, რომელსაც მსოფლიოში პანდემიური პროცესი და ქვეყანაში არსებული ეპიდემიური

სურათი მოახდენს გავლენას ქვეყნის ეკონომიკაზე. კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება ელექტრონული მმართველობის მიმართულებით რეფორმების დაჩქარებას და არსებული პლატფორმების განვითარებას და მათი ხელმისაწვდომობის ზრდას. საჭიროა მთავრობის სწორი გადაწყვეტილებები და დროული სტიმულირება ეკონომიკის სფეროს. მთავრობის მიერ არსებული ეკონომიკური გამოწვევების სწორად გააზრება. ამ ეტაპისთვის მთავრობა მიმდინარე გამოწვევებს პასუხობს, მართავს სამედიცინო საფრთხეებს და ჰუმანიტარულ ამოცანებს, და გრძელვადიანი ეკონომიკური ეფექტის შეფასებისთვის საკმაოდ შეზღული რესურსი რჩება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. https://socialjustice.org.ge/ka/products/ekonomikuri-politika-krizisis-dros-interviuebi-ekonomikis-mkvlevrebtan
2. https://eprc.ge/uploads/brosh/COVID__fin-geo.pdf
3. http://geoeconomics.ge/?p=13256
4. http://gov.ge/files/76338_76338_444796_COVID-19angarishi...pdf
5. https://www.gfsis.org/ge/blog/view/1091
6. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi
7. http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/2020/saqartvelo_2020.pdf

Analysis of the Covid 19 Crisis in the Financial System and Ways to Overcome It in Lockdown

Irine Japaridze, PhD student of Georgian Tehcnical University

Tristan Jincharadze, professor of Georgian Tehcnical University

Summary

The economic and financial crisis caused by the coronavirus pandemic is getting worse. The damage to countries and human well-being is still growing and unpredictable. The financial sector in Georgia is facing more and more challenges, which, apart from Covid-19, which has hit the most trade, foreign direct investment and hotel-restaurant business in Georgia, the unsustainable Georgian Lari exchange rate is causing great damage. Accordingly, it is necessary to develop a crisis management strategy to stabilize the financial sector. Today, when the peak of COVID-19 spread in Georgia has not been reached, and its end is quite far away, it is clear that it is quite difficult to make accurate predictions about the financial impact that the global pandemic process and the epidemic picture will have on the country's economy. Even greater importance is attached to accelerating government reforms and developing existing platforms and increasing their accessibility.

საჯარო ფინანსების მენეჯმენტი კორონა კრიზისის დროს

ჯინჭარაძე თორნიკე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

ჯინჭარაძე ტრისტან
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი

ქვეყნის საჯარო სექტორის წარმატებულად ფუნქციონირებისთვის და ფინანსური რესურსები ეფექტიანი მართვისთვის საჯარო ფინანსების მენეჯმენტს გადამწყვეტი როლი ეკისრება. კორონა კრიზის დროს წარმოქმნილი გამოწვევების დასაძლევად საჯარო ფინანსების სწორი მენეჯმენტი კიდევ უფრო მნიშვნელოვანია. კრიზისის პირობებში უნდა მოხერხდეს სხვადასხვა ინსიტუტების ეფექტური კოლაბორაცია, მოქნილობის და ანგარიშვალდებულების სინქრონი. უნდა განხორციელდეს მაკროეკონომიკური ანალიზი და სხვადასხვა სცენარების დაგეგმვა. დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს ინვესტიციების მართვას ეკონომიკის დარესტარტებისთვის. მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ განვითარებული ევროპული ქვეყნების გამოცდილება.

საკვანძო სიტყვები: საჯრო ფინანსები, ფინანსური მენეჯმენტი, ბიუჯეტი, ანგარიშვალდებულება, საჯარო ფინანსების აუდიტი, ინვესტიციები.

ძირითადი ტექსტი

საჯარო ფინანსების მენეჯმენტი მოიცავს: წესების, კანონების, სისტემების და პროცესების ერთობლიობას, რომლებსაც იყენებენ სუვერენული სახელმწიფოები, საჯარო ფინანსების მოზიდვის, ამ ფულადი რესურსების განაწილების და დახარჯული თანხების აუდიტის დროს. ამ სისტემას გააჩნია 6 მთავარი კომპონენტი: ზოგადი პოლიტიკის განსაზღვრა, ბიუჯეტის შემუშავება, ბიუჯეტის დამტკიცება, ბიუჯეტის აღსრულება, მისი აღრიცხვა და გარე აუდიტი. ამ კომპლექსურ პროცეში ჩართულია, როგორც საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოები ისე სამოქალაქო საზოგადოება. შესაძლოა ითქვას, რომ ქვეყნის საჯარო სექტორის წარმატებულად ფუნქციონირებისთვის და ფინანსური რესურსები ეფექტიანი მართვისთვის საჯარო ფინანსების მენეჯმენტს გადამწყვეტი როლი ეკისრება.

საჯარო ფინასების მართვა კორონა კრიზის დროს მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რომელიც საჯარო ფინანსების სწორ მენეჯმენტს კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის [3]. პანდემიამ საჯარო ფინასურ მენეჯმენტში მრავალი ახალი გამოწვევა გააჩინა, რომელთა შორისაა: დამატებითი ფინანსური რესურსის მობილიზება ვირუსთან ბრძოლის ეფექტურობისთვის (სამედიცინო აღჭურვილობის შესაძენად, საწოლფონდის გაზრდისთვის, ტესტირებისა და ვაქცინაციის ეფექტური წარმართვისთვის და სხვა); ექსტრემალურ ვითარებაში ამ რესურსების სწორი განაწილება; ყველა საჭირო ოპერაციის დროული შესრულება; რესურსების ხარჯვის მონიტორინგი. ამ გამოწვევებთან გამკლავებას ართულებს ის, რომ საჯარო მოხელეთამნიშვნელოვაი ნაწილი სახლიდან მუშაობს.

სახელმწიფოები ამ გამოწვევების საპასუხოდ ცდილობენ ხარჯების სტრუქტურის შეცვლას, ახალი ფინანსური წყაროების მოძიებას, სხვადასხვა ოპერაციების დაჩქარებული აღსრულების მექანიზმების შემუშავებას. იმის გამო, რომ ვირუსთან ბრძოლის დროს სიჩქარე და გადაწყვეტილების მიღების დროულობა ფუნდამენტალურად მნიშვნელოვანია, დღესდღეობით საჯარო მენეჯმენტი უფრო მოქნილია და ცდილობს სწრაფად ადაპტირდეს მიმდინარე გამომწვევებთან. ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა, ფინანსური რესურსის ამ დაჩქარებული ალოკაციის ფონზე, არის ფისკალური პოლიტიკის სწორად დაგეგმვა, რათა თავიდან ავიცილოთ ფულადი რესურსების არასწორი გამოყენება და მომავალში მაკროეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნება შევძლოთ.

ზემოჩამოთვლილი გამოწვევების ფონზე შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე ძირითადი ასპექტი, რომელსაც ყურადღება უნდა მიექცეს სწორი ფინანსური პოლიტიკის გასატარებლად:

- **მოქნილობის და ანგარიშვალდებულების სინქრონი.** როგორც უკვე აღვნიშნეთ, საჯარო სექტორი ცდილობს იყოს უფრო მოქნილი და ბევრი ოპერაცია შესრულდეს ავტორიზაციის დაჩქარებული ტემპით, თუმცა ამ ფონზე მნიშვნელოვანია ანგარიშვალდებულების მექანიზმების შენარჩუნება და დახარჯული ფინანსური რესურსების ანალიზი.
- **მაკროეკონომიკური ანალიზი და სცენარების დაგეგმვა.** სახელმწიფო დონეზე უნდა მოხდეს სხვადასხვა სცენარების შემუშავება მოვლენების განვითარების სხვადასხვა ვარაუდების მიხედვით, რომლებიც მოიცავს ძირითად მაკროეკონიმიკურ პროგნოზებს, სადაც ასახული იქნება კორონავირუსის ზეგავლენის ეფექტები ადგილობრივ ეკონომიკაზე.
- **ინვესტიციების მართვა ეკონომიკის დარესტარტებისთვის.** მართალია კრიზისის პერიოდში ინვესტიციების მოცულობა შემცირებულია, ხოლო ინვესტიციების ნაწილი დროში იწელება, მაგრამ ინვესტიცები მაინც ეკონომიკის გაჯანსაღების ქვაკუთხედს წარმოადგენს. ამიტომ საჭიროა ამ კუთხით აქტიური მუშაობა, რათა გადასახადების დაწევის ან სხვა სარგებლის შეთავაზების გზით შევძლოთ პოტენციური ინვესტორების მოზიდვა, რათა ეკონომიკის აღდგენა უფრო დავაჩქაროთ.
- **სხვადასხვა ინსიტუტების ეფექტური კოლაბორაცია.** რესურსების დაჩქარებული მობილიზება და განაწილება პანდემიის პირობებში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ამისთვის საჭიროა აღმასრულებელ და საკანონმდებლო რგოლებს შორის ეფექტური თანამშრომლობა. ქვეყნებმა შიდა და გარე რესურსის მობილიზება უნდა მოახდინონ და ჩამოაყალიბონ სრულყოფილი სოციოეკონომიკური აღდგენის გეგმა. თავის მხრივ, აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა ამ პროცესში.
- **საჯარო ფინასების დიჯიტალიზაცია ეგზოგენური შოკების შესამცირებლად.** ინტეგრირებული და ტრანსფარენტული საჯარო საინფორმაციო სისტემები ოპერაციების დაჩქარებულად განსახორციელებლად მთავარი იარაღია. გამართული საინფორმაციო სისტემები აჩქარებს პროცესებს და უფრო გამჭვირვალეს ხდის მათ. თუმცა, აქ ჩნდება კიბერთავდასხმების შედეგად დიდი ზიანის მიღების რისკი, რასაც ასევე უნდა მიექცეს მნიშვნელოვანი ყურადღება.

კრიზისები სხვა მრავალ გამოწვევასთან ერთად დღის წესრიგში აყენებს ფინანსური ნაკადების წინასწარ დაუგეგმავად გამოყენების აუცილებლობას. შესაძლებელია შემუშავდეს დამხმარე ბიუჯეტები, თუ მიმდინარე ბიუჯეტით დელეგირებული უფლებებამოსილებებით ვერ ხდება საკმარისი რესურსების მობილიზება. გარდა ამისა, შესაძლებელია გადაუდებელ შემთხვევებისთვის ბიუჯეტში დამატებითი ხარჯვის პუნქტის ჩადება, რაც უფლებას მისცემს აღმასრულებელ ორგანოებს ბიუჯეტით გაწერილ გეგმაზე მეტის დახარჯვის, თუ გამოუვალი მდგომარეობის წინაშე იდგება. ზოგჯერ ფულადი რესურსების მოსაზიდად საჭიროა დამატებითი საგარეო ვალის აღება ან გრანტების მოპოვება. ამ მხრივ, სარიკსო, მაგრამ აუცილებელია ზემოჩამოთვლილ პროცესებთან დაკავშირებული სამართლებრივი ჩარჩოები უფრო მეტად მოქნილი გახდეს, რათა ფინანსური რესურსების მობილიზების შეფერხება არ მოხდეს. ფულადი რესურსების გაფლანგვის რისკის შესამცირებლად კი საჭიროა ხარჯვის მიზანშეწონილობის მუდმივი ანალიზი და მონიტორინგი.

პანდემიის პირობებში სარაჯო ფინანსების მენეჯმენტისთვის კიდევ უფრო აქტუალური ხდება ლიკვიდურობის მართვა, ვალის ზომის სწორად განსაზღვრა და ფულადი რესურსების ეფექტიანი გამოყენება [5]. ვალის აღების დროს ზუსტად უნდა იყოს გაანალიზებული მისი ზომა და სხვადასხვა მიმართულებით განაწილების სტრუქტურა. ფულადი რესურსების სარეზერვო მარაგის გადახედვა ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია, რადგან მუდმივი გაურკვევლობა და მოულოდნელი საჭიროებები კრიზისული პერიოდისთვის ჩვეულებრივი მოვლენა ხდება. ფულის მოძრაობის მონიტორნგი კი უმჯობესია ყოველდღიურად მოხდეს. ალტერნატიული რესურსების მოზიდვის მხრივ, შესაძლებელია დალაპარაკება უშუალოდ ბანკებთან საკრედიტო ხაზის გაფართოების კუთხით, ასევე სხვადასხვა

სახელწიფო ობიექტების პრივატიზაცია ერთ-ერთი გამოსავალია დამატებითი ფინანსური რესურსის მოსაზიდად.

საჯარო ფინანსური მენეჯმენტის ერთ-ერთი მთავარი ფუქნციაა მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების ჩამოყალიბება. გრძელვადიანი პერიოდისთვის საჯარო სექტორმა უნდა შეძლოს: ბიზნესის უწყვეტობის და აღდგენის გეგმების შემუშავება, სახელმწიფო დონეზე კი უნდა იქნეს შემუშავებული რისკების მართვის და ფინანსების მოზიდვის სტრატეგიები.

ავსტრიის მაგალითი კარგად გვიჩვენებს თუ რა დამატებითი გამოწვევების წინაშე შეიძლება დადგეს საჯარო ფინანსური მენეჯმენტი კრიზისულ პერიოდში[3]. კორონა კირიზის დროს სახელმწიფომ გამოყო 28 მილიარდის სტიმულირების პაკეტი, რომელიც იყო დაახლოებით მთლიანი ფედერალური ბიუჯეტის მესამედი. ამ თანხის ხარჯვაზე ავტორიზაცია მიეცა ფინანსთა მინისტრს. ამაზე პარლამენტმა გამოთქვა პრეტენზიები და მიიჩნია, რომ იყო არაკონსტიტუციური და ბიუჯეტის ავტორიზაციის მინიჭების ყველა ეტაპი არ იყო გავლილი. არასაკმარისი გამჭვირვალობის გამო, ასეთი დიდი თანხის ხარჯვაზე უფლებამოსილების მიცემა ფინანსთა მინისტრისთვის არ მოხერხდა. უფრო მეტიც, პარლამენტმა მოითხოვა კოვიდთან დაკავირებული თანხების ხარჯვის ყოველთვიური ანგარიშის გამოქვეყნება, სადაც ასახული იქნებოდა დახარჯული ფულადი რესურსების მიზანშეწონილობის ანალიზი. ავსტრიის სახელმწიფო ცდილობს ფისკალური რისკების მენეჯმენტი უფრო აქტიური ნაწილი გახდის საჯარო ფინანსური მენეჯმენტის, რადგან კრიზისმა მისი მნიშვნელობა კიდევ უფრო გაზარდა და საჭირო გახდა რისკის მართვის სხვადასხვა ტექნიკების ჩართვა ფისკალურ პოლიტიკის განსაზღვრისა და ბიუჯეტირების პროცესში. პანდემიის პირობებში, ბიუჯეტირების პროცესზე გამახვილებული ყურადღების ფონზე თითქოს სწორი სააღრიცხვო პოლიტიკა უკანა პლანზა გადაიწია. ამიტომ საჯარო აუდიტი გეგმავს ფინანსური ანგარიშგებების შემოწმების დროს დამატებით კრიზისული ხარჯვის აუდიტის ანგარიში გამუშვას, სადაც ყურადღება იქნება გამახვილებული რამდენად სწორად ხდება კრიზისთან დაკავშირებული ტრანზაქციების აღრიცხვა, სარეზერვო თანხების მობილიზება და მისი სწორი განწილება. ვფიქრობ საქართველოსთვისაც საყურადღებოა ავსტრიული და სხვა ქვეყნების ანალოგიური გამოცდილება.

დასკვნა

კრიზისის პირობებში კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს საჯარო ფინანსების ეფექტური მენეჯმენტი. დამატებითი ფინანსური საშუალებების მოზიდვისა და საბიუჯეტო თანხების სწორი მიმართულებებით გადანაწილებასთან ერთად, ყურადღება უნდა გამახვილდეს ხარჯვის კანონიერებასა და ეფექტურობაზე. ფორსმაჟორული სიტუაციებთან გამკლავება სწრაფი და მიზნობრივი გადაწყვეტილებების მიღებას მოითხოვს. თუმცა, ეს არ უნდა მოხდეს კონტროლის შესუსტების ხარჯზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კაკულია რ., ბახტაძე ლ., ჯიბუტი ა., საჯარო ფინანსები, თბილისი 2010;
2. Kristensen, Jens Kromann; Bowen, Martin; Long, Cathal; Mustapha, Shakira; Zrinski, Urška. Public Financial Management, and Good Governance, Washington, 2019
3. https://dai-global-developments.com/articles/covid-19-public-financial-management-solutions-for-the-immediate-and-longer-term?fbclid=IwAR3lnlzKsNUJajqcfY3pS8bnbEXUIXaa8rUtVVSV8akK165wFU9QmeeAFa0
4. https://www.imf.org/~/media/Files/Publications/covid19-special-notes/special-series-on-covid19-preparing-public-financial-management-systems-for-emergency-response.ashx
5. https://blog-pfm.imf.org/pfmblog/2020/10/-the-impact-of-covid-19-on-the-austrian-pfm-system-.html?utm_source=feedburner&utm_medium=email&utm_campaign=Feed%3A%20pfmblog%20(PFM%20blog)&fbclid=IwAR2qeMpFAqEWLzoTT4Yl6c8qKCWv3zlkjVO7pBXuL4OILMgf-EZ9Zxh47g0

Public Finance Management during the Corona Crisis

Tornike Jincharadze, PhD student of Georgian Tehcnical University

Tristan Jincharadze, Professor of Georgian Tehcnical University

Summary

Public finance management plays crucial role in the successful functioning of the country's public sector and the effective management of financial resources. Proper management of public finances has become even more important currently to overcome the challenges posed by the Corona Crisis. In times of crisis, effective cooperation, flexibility and accountability of different institutions must be achieved. Macroeconomic analysis and planning of different scenarios should be carried out. Great attention should be paid to investment management for restarting the economy. It is important to take into account the experience of developed European countries.

Along with attracting additional funds and redistributing budget funds in the right directions, the focus should be on the legality and efficiency of spending. Dealing with force majeure situations requires quick and targeted decisions. However, this should not be done at the expense of weakening control and analysis of expenses incurred.

სექცია 4
საჯარო და ელექტრონული მმართველობის თანამედროვე გამოწვევები

ადმინისტრაციული რეფორმები გერმანიაში - გაკვეთილები საქართველოსთვის

ბაღათური აგიორგი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ლორთქიფანიძე ნინო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია გერმანიაში განხორციელებული ადმინისტრაციული რეფორმების ძირითადი მიმართულებები, რომლებიც ჩატარდა საჯარო მმართველობის ახალი კონცეფციის გამოყენებით. ყურადღება გამახვილებულია ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებზე. გერმანიის სახელმწიფო მართვის ურთიერთდაკავშირებულ სისტემაში, რომელიც მოიცავს ფედერალურ, რეგიონალურ და ადგილობრივ დონეებს, საჯარო პოლიტიკის განხორციელებაში გადამწყვეტ როლს ადგილობრივი თვითმმართველობა ასრულებს. შესაბამისად, სწორედ ადგილობრივი თვითმმართველობის მოდერნიზაცია გახდა სხვა ძირითადი რეფორმების საფუძველი, რაც განაპირობებს გერმანიის წარმატებული პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების ფუნდამენტს. გაანალიზებულია ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციები და შემოსავლების წყაროები. გერმანული გამოცდილება სასარგებლო იქნება საქართველოს საჯარო მმართველობის შემდგომი დახვეწის პროცესში.

საკვანძო სიტყვები: ადმინისტრაციული რეფორმა, ადგილობრივი თვითმმართველობა, ახალი საჯარო მმმართველობა, ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციები და შემოსავლების წყაროები.

ძირითადი ტექსტი

ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები წარმოადგენენ ნებისმიერი დემოკრატიული რეჟიმის ერთ-ერთ ძირითად საფუძველს. ამ დებულებას უშუალოდ ადასტურებს ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ [1], რომელსაც საქართველოც არის შეერთებული. ქარტიის მიხედვით „მოქალაქეთა უფლება მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო საქმეების წარმართვაში წარმოადგენს ერთ-ერთ დემოკრატიულ პრინციპს, რომელიც საერთოა ევროპის საბჭოს ყველა წევრი სახელმწიფოსათვის“, ვინაიდან სწორედ ადგილობრივ დონეზე შეიძლება ყველაზე ეფექტურად ამ უფლების პირდაპირი რეალიზაცია. ადგილობრივ თვითმმართველობას, რომელსაც გააჩნია რეალური პასუხისმგებლობა, შეუძლია უზრუნველყოს ეფექტური და ამასთან, მოქალაქესთან დაახლოებული მმართველობა; ამდენად ადგილობრივი თვითმმართველობის დაცვა და გაძლიერება წარმოადგენს მნიშვნელოვან წვლილს დემოკრატიისა და ხელისუფლების დეცენტრალიზაციის პრინციპებზე დაფუძნებული ევროპის მშენებლობისათვის. საქართველოში მოქმედი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი [2] ითვალისწინებს ევროპული ქარტიის დებულებებს და განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივ საფუძვლებს, უფლებამოსილებებს, ფუნქციონირების წესებს და სხვ. საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ეფექტიანი საქმიანობისთვის ფრიად სასარგებლოა გერმანიაში განხორციელებული ადმინისტრაციული მმართველობის რეფორმების მიმდინარეობისა და შედეგების გათვალისწინება.

ადმინისტრაციული რეფორმის ძირითადი მიმართულებები გერმანიაში

სხვადასხვა ისტორიულ-პოლიტიკური პროცესების შედეგად გერმანიამ შედარებით გვიან დაიწყო საჯარო მმართველობის ახალი იდეების განხორციელება. ეს განპირობებულია გერმანიის სახელმწიფოს თავისებურებებით. როგორც ცნობილია რაციონალური ბიუროკრატია ძალიან მკაცრად არის დამკვიდრებული გერმანიაში. მრავალი მკვლევარი აღნიშნავს "გერმანიის ოფიციალური წარმომადგენლების საერთაშორისო რეპუტაციას - ზუსტი და წესების შესაბამისად მუშაობის შესაძლებლობას". მიუხედავად იმისა, რომ გერმანია მე -20 საუკუნის მეორე ნახევარში ძალიან განვითარებული დემოკრატიული რესპუბლიკა გახდა, მაინც იერარქიული სიმტკიცე შენარჩუნებული იყო. რა თქმა უნდა, ზუსტად წესების შესაბამისად მუშაობის უნარი გერმანული მოდელის დადებითი მახასიათებელია. მაგრამ თანამედროვე პირობებში, როდესაც უკვე დადასტურდა „ახალი საჯარო მენეჯმენტის" (New Public Management – NPL) უპირატესობები, ასეთი წესებით მუშაობა ერთგვარ დაბრკოლებებს ქმნის [3].

მმართველობის ახალი სტილის მიხედვით მუნიციპალური მენეჯმენტის პრაქტიკაში ხორციელდება ბიზნესის მართვის ორგანიზების მეთოდების ეტაპობრივი დანერგვა. ადგილობრივი თვითმმართველობის დარგში ცნება „ახალი საჯარო მენეჯმენტი" ნიშნავს სახელმწიფო ბიუროკრატიის შემცირებას და მოქალაქეთა უფრო მეტ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში, პირველ რიგში, საზოგადოებრივი მუშაობის ფორმით. მენეჯმენტის სტრატეგია ითვალისწინებს ფართო მონაწილეობას სხვადასხვა რეგიონული ასოციაციების და ქსელების თვითმმართველობის ორგანიზებაში, ასევე მკაფიოდ ხაზს უსვამს ეტაპობრივობას და შედეგების მუდმივ მონიტორინგს. ეს იდეები, გერმანელი ექსპერტების აზრით, წინასწარ განსაზღვრავდა გერმანიის რეფორმების კონსენსუსსა და ევოლუციურ ხასიათს.

გერმანიაში მმართველობის ორი ძირითადი დონეა: ფედერაცია და რეგიონები (მიწები). ადგილობრივი თემები მიეკუთვნება მიწის დონეს, მაგრამ მათი თვითგამორკვევის უფლება გარანტირებულია კონსტიტუციით. კონსტიტუცია აძლევს თემებს უფლებას „კანონის ფარგლებში მოაწესრიგონ ადგილობრივი თემის ყველა საქმე" [4]. ამრიგად, ფედერალურ და მიწის/რეგიონის დონეებთან ერთად, რეალურად არსებობს მესამე დონე - თემის დონე, ხოლო თემის ცნება მოიცავს როგორც მცირე მიწის თემებს, ისე დიდ ქალაქებს.

გერმანიის ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის თავისებურება განისაზღვრება იმით, რომ გერმანიაში მუნიციპალიტეტებს აქვთ ფართო ავტონომია, ხოლო ადმინისტრაციების ადგილობრივ ხელმძღვანელებს აქვთ მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული უფლებამოსილება. გერმანიაში ადგილობრივი ხელისუფლების ავტონომია არ განვითარდა მათი სტატუსის ფორმალიზაციის შედეგად, არამედ, როგორც ფედერალურ და ადგილობრივ მთავრობას შორის ურთიერთობების ისტორიულად ჩამოყალიბებული სისტემის პროდუქტი, რომელიც ჰანზას კავშირის თავისუფალი ქალაქების თვითმმართველობის ტრადიციების გავლენით განვითარდა.

ძირითადი ცვლილებები მუნიციპალური რეფორმის ფარგლებში გახლდათ მმართველი ორგანოების ბაზრის სუბიექტებად წარმოდგენა. გაიმიჯნა პოლიტიკისა (რა უნდა გაკეთდეს) და მმართველობის/მენეჯმენტის (როგორ უნდა გაკეთდეს) საკითხები პასუხისმგებლობის მკაფიოდ დაყოფის გზით, ჩამოყალიბდა სახელშეკრულებო ურთიერთობა პოლიტიკასა და მენეჯმენტს შორის, მმართველობის თვალსაზრისით საჭირო გახდა ბიუროკრატიზმის აღმოფხვრა შედეგებზე ორიენტირებული მენეჯმენტისა და დეცენტრალიზაციის გზით და წინა პლანზე გამოვიდა ისეთი ცნებები, როგორიცაა კონკურენცია, აუთსორსინგი, მომხმარებელზე ორიენტირება, პროდუქციის დიფერენცირება, ხარჯების გაანგარიშების სისტემა და შედეგების ანალიზი (cost-profit analysis), პროექტის მენეჯმენტი, პასუხისმგებლობის დეცენტრალიზაცია ამოცანების შესრულებაზე და რესურსების გამოყენებაზე, ბიუჯეტის სისტემის დეცენტრალიზაცია ინდივიდუალური მართვის ერთეულებისთვის უფრო მეტი უფლებამოსილების მინიჭების მიმართულებით და სხვ. პოლიტიკის მხარეს დარჩა მაკონტროლებელი ფუნქციები.

1990-იანი წლების განმავლობაში განხორციელდა ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული და სტრუქტურული რეფორმები, მიღებულ იქნა ე.წ. კომუნალური კონსტიტუციები, რითაც პრაქტიკულად გათანაბრდა დასავლეთ და აღმოსავლეთ მიწების ადგილობრივი

თვითმმართველობის ფუნქციონირების სამართლებრივი წესები და დამკვიდრდა თვითმმართველობის ახალი, ნაკლებად ბიუროკრატიული იაფი ფორმები. გერმანიაში, ისევე როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, სულ უფრო მკაფიოდ აცნობიერებენ, რომ სახელმწიფო სექტორი ძალიან დიდი და ძვირია პერსონალის მაღალი ხარჯების გამო. ამავე დროს უმუშევრობის გაზრდის თავიდან ასაცილებლად ტარდება სპეციალური ღონისძიებები დათხოვნილი მოხელეების სხვაგან დასასაქმებლად.

გაერთიანებულ გერმანიაში მუნიციპალური რეფორმების განხორციელებისას ორი ძირითადი სტრატეგია იქნა გამოყენებული: ახალი მენეჯმენტი, რომელიც მიზნად ისახავს ადგილობრივი სოციალური მომსახურების მიწოდების ოპტიმიზაციას და მონაწილეობით დემოკრატიას მოსახლეობის სამოქალაქო ჩართულობის განვითარებას. გერმანიის ადგილობრივი თვითმმართველობის ასოციაციამ წამოაყენა ლოზუნგი: "ბიუროკრატიული რეგულაციიდან სერვისების ორგანიზაციამდე ახალი მარეგულირებელი მოდელის საშუალებით". ახალი მარეგულირებელი მოდელის გერმანული ვერსია მიზნად ისახავს ადგილობრივი თვითმმართველობების რეორგანიზაციას, რათა გაუმჯობესდეს მათ მიერ მოსახლეობის მომსახურების გაწევა. მთავარი იდეაა ადმინისტრაციული სტრუქტურების დეცენტრალიზაცია, მომხმარებლის წინაშე ანგარიშვალდებულების გაძლიერება და მომსახურების ხარისხის მონიტორინგის ორგანიზება. ამავე დროს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადგილობრივი ადმინისტრაციის მუშაობის სტილისა და მეთოდების შეცვლას; მის საქმიანობაში ცენტრალური ხდება მომხმარებლის უფლებების უზრუნველყოფის ლოზუნგი. ეს ითვალისწინებს სპეციალური რეგულაციების მიღებას, რომლებიც იცავს მომხმარებლებს და ითვალისწინებს სპეციალური პროცედურებს კონფლიქტური სიტუაციების გადასაჭრელად, აგრეთვე მომხმარებელთა რეგულარული გამოკითხვების ჩატარებას მომსახურების გაწევის შესახებ.

მმართველობის ახალი პრაქტიკის პარალელურად, ვითარდებოდა ინსტიტუციური რეფორმების მეორე მიმართულება რომელიც მიზნად ისახავდა გერმანიაში ადგილობრივი დემოკრატიის განვითარებას. აქ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა გერმანიის ყველა რეგიონში მოსახლეობის მიერ მერის პირდაპირი არჩევის შესახებ კანონის მიღებამ, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა პარტიების გავლენა არჩევნებში კანდიდატების მხარდაჭერით. ამავე დროს დაინერგა ადგილობრივი რეფერენდუმის ინსტიტუტი, რისთვისაც საჭიროა ადგილობრივი მაცხოვრებლების 10-15% -ის ხელმოწერა. თანდათანობით, ადგილობრივი რეფერენდუმები იქცა ეფექტურ მექანიზმად რიგითი მოქალაქეების ადგილობრივი გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვისთვის. ორივე ამ ინოვაციამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ადგილობრივი ადმინისტრაციის საქმიანობა.

თემის თვითმმართველობის ფარგლებში განვითარდა მრავალი სამოქალაქო ინიციატივა, რომლებიც ცდილობენ გადაჭრას გარემოს დაცვის პრობლემები, საბავშვო ბაღებისა და სათამაშო მოედნების, ტრანსპორტის, სკოლებისა და ურბანული ინფრასტრუქტურის საკითხები. ინტერესთა კონფლიქტი ყველაზე ხშირად წარმოიქმნება და წყდება ადგილობრივ დონეზე. გერმანელი ექსპერტები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზების დარგში ხაზს უსვამენ იმას, რომ ადგილობრივი სამოქალაქო ინიციატივები დიდი ხანია გერმანიის პოლიტიკური ლანდშაფტის განუყოფელი ნაწილია: ბიზნეს გადაწყვეტილებებში ბოლო სიტყვა სათემო საბჭოს ან მის წარმომადგენლებს ეკისრებათ.

თემის საბჭოებსა და საკრებულოებს არ აქვთ საკანონმდებლო კომპეტენცია, მაგრამ თემების წარმომადგენლები - საკრებულო და ქალაქის დეპუტატთა ასამბლეა გარკვეულწილად ასრულებენ საპარლამენტო ფუნქციებს: განსაზღვრავენ ბიუჯეტს, გამოსცემენ ქალაქის განკარგულებებს, იღებენ ადგილობრივ საკანონმდებლო აქტებს, მაგალითად ნაგვის შეგროვების საფასურის გადახდის წესს და სხვ. თუმცა ქალაქის საბჭოს მუშაობის მთავარი მიმართულება ასეთი ფუნდამენტური საკანონმდებლო აქტების მიღება არ არის (ეს ეხება მთელი რეგიონის პარლამენტს); იგი არც მხოლოდ ადმინისტრაციის მითითებებით და მისი საქმიანობის კონტროლით არ შემოიფარგლება. პრაქტიკულად, საკრებულო იღებს ადგილობრივი საჭიროებებისთვის მნიშვნელოვან სპეციფიკურ გადაწყვეტილებებს. ადგილობრივი თემები, ზოგადად, პასუხისმგებელნი არიან ყველა იმ საზოგადოებრივ საქმეზე, რომლებსაც სხვა ორგანოების იურიდიული უზრუნველყოფა არ ესაჭიროება

თემების ფინანსური რესურსი, რომელიც მათ საშუალებას აძლევს განახორციელონ დამოუკი-

დებელი საქმიანობა საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, შედგება მრავლფეროვანი შემოსავლებისგან. ეს არის საგადასახადო შემოსავლები: სავაჭრო გადასახადი ადგილობრივი ბიზნესისგან, ”მცირე სათემო გადასახადები” (მაგ. ძაღლების ყოლისა და ლუდის გადასახადი), გადასახადები გასართობ და სამეწარმეო საქმიანობაზე, თევზაობაზე, საშემოსავლო გადასახადის წილი. იზრდება კომუნალური გადასახადებიც, მოსახლეობის შენატანები სხვადასხვა სახის კომერციული საქმიანობისთვის. შემოსავლის სხვა წყაროა - პრივატიზაცია. აგრეთვე მოსაკრებლები, ჯარიმები, მოქალაქეთა შენატანები სხვადასხვა კომერციული საქმიანობისთვის. მთავარი შემოსავალია სამრეწველო და სავაჭრო გადასახადი, რაც ბევრ თემს უბიძგებს იმუშაონ წარმოების მოსაზიდად დაბალი გადასახადის მეშვეობით.

დასკვნა

თანამედროვე გერმანიის თვალსაჩინო პოლიტიკური და ეკონომიკური წარმატებების მნიშვნელოვანი საფიძველია გაერთიანებულ გერმანიაში ჩატარებული მმართველობითი რეფორმები, რომლებიც განხორციელდა ე.წ. „ახალი საჯარო მენეჯმენტის“ პრინციპების გამოყენებით. ძირითადი ცვლილებები მუნიციპალური რეფორმის ფარგლებში გახლდათ მმართველი ორგანოების ბაზრის სუბიექტებად წარმოდგენა. გაიმიჯნა პოლიტიკისა (რა უნდა გაკეთდეს) და მმართველობის/მენეჯმენტის (როგორ უნდა გაკეთდეს) საკითხები პასუხისმგებლობის მკაფიოდ დაყოფის გზით. ამასთან, მუნიციპალური რეფორმების განხორციელებისას ორი ძირითადი სტრატეგია იქნა გამოყენებული: ახალი მენეჯმენტი, რომელიც მიზნად ისახავს ადგილობრივი სოციალური მომსახურების მიწოდების ოპტიმიზაციას და მონაწილეობით დემოკრატიას, რაც მოსახლეობის სამოქალაქო ჩართულობის განვითარებას ითვალისწინებს. გერმანული გამოცდილება და რეფორმების რეტროსპექტული ანალიზი სასარგებლო იქნება საქართველოს საჯარო მმართველობის შემდგომი დახვეწის პროცესში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ სტრასბურგი, 15.X.1985. https://smr.gov.ge/uploads/prev/evropuli_q_354b65fe.pdf
2. საქართველოს ორგანული კანონი. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი. კონსოლიდირებული ვერსია (საბოლოო) https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=55
3. Andrews, Rhys and Steven Van de Walle (2013). "New Public Management and Citizens' Perceptions of Local Service Efficiency, Responsiveness, Equity and Effectiveness." Public Management Review.
4. Kitchen, Martin. A History of Modern Germany, 1800-2000. — Malden, 2006.

Administrative Reforms in Germany - Lessons for Georgia

Giorgi Baghaturia, Professor at the Georgian Technical University

Nino Lortkipanidze, PhD student at the Georgian Technical University

Summary

The article discusses the main directions of the administrative reforms in Germany, which were implemented using the concept of New Public Management (NPM). The focus is on local self-government issues. In the interconnected system of government in Germany, which includes the federal, regional and local levels, local self-government plays a crucial role in the implementation of public policy. Consequently, the modernization of local self-government became the basis for other major reforms that laid the foundation for Germany's successful political and economic development. The functions of local self-government and sources of income are analyzed. German experience and retrospective analysis of reforms will be useful in the process of further refinement of public administration in Georgia.

Keywords: Administrative Reform, Local Self-Government, New Public Management (NPM), Local Self-Government Functions and Sources of Income.

უკრაინა-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობები

გლუნჩაძე გრიგოლ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

სტატია „უკრაინა-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობები“ გვაწოდებს ინფორმაციას ქართული დიპლომატიის როლზე საქართველო-უკრაინის ორმხრივად სასარგებლო პოლიტიკური ურთიერთობების ჩამოყალიბებაში.

სტატიის შინაარსიდან ირკვევა, რომ უკრაინაში საქართველოს დიპლომატების ძირითადი მისია - დაამყარონ უკრაინელ ხალხთან თანამშრომლობა და ურთიერთგაგება - წარმატებით სრულდება.

საკვანძო სიტყვები: უკრაინა; საქართველო; პოლიტიკური ურთიერთობები; დიპლომატია.

ძირითადი ტექსტი

ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობის განვითარება და მისი მართვა დიდწილად დამოკიდენულია დილომატიურ და პოლიტიკურ ურთიერთობებზე, ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოდგენს უკრაინა-საქრთველოს დიპლომატიური ურთიერთობებიც. აქედან გამომდინარე საჭიროდ ჩავთვალეთ, მოცემულ ნაშრომში განგვეხილა საქართველო-უკრაინას შორის არსებული პოლიტიკური ურთიერთობები, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა მათ სავაჭრო-ეკონომიკურ განვითარებას.

ძალზე მნიშვნელოვანია უკრაინის პოლიტიკური მხარდაჭერა, საქართველოსთვის მისთვის მეტად მნიშვნელოვან სტრატეგიულ საკითხებში, რომლებზედაც ქვემოთ მოყვანილი მაგალითები მიგვანიშნებს [1, გვ. 72-77]:

1991 წლის 12 დეკემბერს საქართველომ ერთ-ერთმა პირველმა აღიარა უკრაინის დამოუკიდებლობა. დიპლომატიური ურთიერთობები მათ შორის დამყარდა 1992 წლის 22 ივლისს.

საქართველოში უკრაინის საელჩოს საქმიანობა დაიწყო 1994 წლის 5 აპრილს. 2017 წლის 3 თებერვლიდან საქართველოში უკრაინის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი არის იგორ დოლგოვი. უკრაინაში საქართველოს საელჩოს საქმიანობა დაიწყო 1994 წლის 19 აგვისტოს. საქართველოს საკონსულო მოქმედებს ოდესაში, საპატიო საკონსულოები - ხარკოვსა და ლვოვში. ქვეყნებს შორის ორმხრივი ურთიერთობების მარეგულირებელი მთავარი დოკუმენტია 1993 წლის 13 აპრილის ხელშეკრულება „უკრაინასა და საქართველოს შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ“.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური დოკუმენტია უკრაინასა და საქართველოს შორის სტრატეგიული ხასიათის ურთიერთობების განვითარების შესახებ 2005 წლის 25 მარტის დეკლარაცია, სადაც ნათქვამია, რომ ”ორ ქვეყანას შორის ვითარდება სტრატეგიული ურთიერთობები”.

უკრაინა თანმიმდევრულად უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. ასე, უკრაინის ინიციატივით, 2001 წლის 15-16 მარტს იალტაში გაიმართა ქართული და აფხაზური მხარეების მესამე შეხვედრა ნდობის განმტკიცების ღონისძიებების განსახორციელებლად, რის შედეგადაც გაიმართა გაეროს უსაფრთხოების საბჭოს დახურული სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა უკრაინის წარმომადგენელი (2001 წლის მარტი).

2008 წლის 7 მარტს უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრომ სპეციალური განცხადებით, აფხაზეთის არაღიარებული რესპუბლიკის მიმართებაში სანქციების მოხსნის რუსეთის განზრახვის შესახებ, საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა გამოთქვა.

2008 წლის 12 მაისს უკრაინისა და ლიტვის პრეზიდენტებმა ვილნიუსში ხელი მოაწერეს ერთობლივ დეკლარაციას, რომელშიც მოსკოვს მოუწოდეს უარი ეთქვა სოხუმთან და ცხინვალთან ოფიციალურ ურთიერთობებზე.

2008 წლის 15 მაისს უკრაინის დელეგაციამ მხარი დაუჭირა ქართული მხარის მიერ გამოტანილ

რეზოლუციას - „აფხაზეთიდან დევნილთა და ლტოლვილთა მდგომარეობა“, რომელიც იმავე დღეს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო.

2008 წლის 12 აგვისტოს უკრაინის პრეზიდენტმა, ესტონეთის, ლიტვისა და პოლონეთის პრეზიდენტებთან და ლატვიის პრემიერ მინისტრთან ერთად, გამოთქვა ქართული მხარის მხარდაჭერა რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის დროს.

უკრაინულ-ქართული ურთიერთობების მნიშვნელოვანი მომენტი იყო ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე უკრაინის პრეზიდენტის განცხადება (2010 წლის აპრილი), სადაც მან მოითხოვა კრიტერიუმების განსაზღვრა, რაც კონფლიქტის ტერიტორიებს შესაბამისი სტატუსის მინიჭების საშუალებას მისცემს. მას შემდეგ, რაც უკრაინის სახელმწიფოს მეთაურმა ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, რომ უკრაინა არ ცნობს საქართველოს ყოფილი ავტონომიების დამოუკიდებლობას, უკრაინულ-ქართულმა ურთიერთობებმა დამატებითი იმპულსი მიიღო და გახდა უფრო კონკრეტული და პრაგმატული. უკრაინისა და საქართველოს პოზიციების სიახლოვე, მათ შორის ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციასთან დაკავშირებით, განსაზღვრავს მათ მჭიდრო თანამშრომლობას საერთაშორისო ევროპულ და რეგიონალურ ორგანიზაციებში: გაეროში, ევროპის საბჭოში, ეუთოში, BSEC, სუამში.

საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში, უკრაინა აქტიურად უჭერს მხარს საქართველოს იმ საკითხების განხილვის, რომლებიც დაკავშირებულია მის ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების მოგვარებასთან. ორმხრივი ურთიერთობების სტრატეგიული დონის მაგალითი იყო 2005 წლის 20 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული განცხადება 1932-1933 წლებში უკრაინაში უკრაინელი ხალხის ჰოლოდომორის ფაქტის გენოციდის აქტად აღიარების შესახებ. 2008 წლის 16 მაისს, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პოლიტიკური კომიტეტის სხდომაზე, ქართველმა სპიკერმა დაიცვა უკრაინის რეზოლუციის პროექტი 1932-1933 წლებში უკრაინაში ჰოლოდომორის საერთაშორისო გმობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ ქართული მხარე ყველა საერთაშორისო ფორუმზე მუდმივად უჭერდა მხარს უკრაინის ქმედებებს, რომ გაავრცელოს ჭეშმარიტება ჰოლოდომორის შესახებ და უზრუნველყოს ამ ტრაგედიის აღიარება, როგორც უკრაინელი ხალხის გენოციდი. ორმხრივი ურთიერთობების განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის უკრაინაში ვიზიტებმა (2010 წლის 9-11 ივნისი და 2012 წლის 14-15 ივნისი).

2011 წელს უკრაინისა და საქართველოს ურთიერთობების აქტივიზაციის მნიშვნელოვანი სტიმული იყო უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის ოფიციალური ვიზიტი საქართველოში (14-15 ივლისი), აგრეთვე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ვიზიტი უკრაინაში კიევის ნათლობის 1023-ე წლისთავის აღსანიშნავად (25-30 ივლისი).

ორმხრივი პოლიტიკური ურთიერთობების განვითარების მაღალი დონე ასევე დასტურდება უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის, ეუთოს მოქმედი თავმჯდომარის ლ. კოჟარას ოფიციალური ვიზიტით საქართველოში (2013 წლის 18-19 ივნისი). უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის, საქართველოში ეუთო-ს მოქმედი თავმჯდომარის ყოფნის პერიოდში, მან მოლაპარაკებები გამართა საქართველოს პრეზიდენტთან და საქართველოს პრემიერ მინისტრთან, რომლის დროსაც განიხილეს ორმხრივი სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები და რეგიონული დღის წესრიგის საკითხების ფართო სპექტრი. გარდა ამისა, ვიზიტის დროს გაიმართა საზეიმო პოლიტიკური ღონისძიება - საქართველოში უკრაინის ახალი საელჩოს კომპლექსის გახსნა, რომელსაც ესწრებოდნენ ორივე ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრები.

უკრაინასა და საქართველოს შორის აქტიური თანამშრომლობა ხორციელდებოდა 2014-2017 წლებშიც. 2014 წელს საქართველომ დაგმო რუსეთის აგრესია უკრაინის წინააღმდეგ, არ ცნო „ყირიმის რეფერენდუმის“ შედეგები და რუსეთის მიერ ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის და ქალაქ სევასტოპოლის ტერიტორიის დროებითი ოკუპაცია და თანმიმდევრულად დაუჭირა მხარი უკრაინის სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას. 2014-2015 წლებში საქართველოს პარლამენტმა სამჯერ მიიღო რეზოლუციები უკრაინის მხარდასაჭერად. საქართველო თანაავტორობდა და მხარს უჭერდა გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციებს - „უკრაინის ტერიტორიული მთლიანობა“ (2014 წლის

27 მარტი), „სიტუაცია ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით ყირიმის ავტონომიურ რესპუბლიკაში და ქალაქ სევასტოპოლში (უკრაინა)“ (2016 წლის 19 დეკემბერი), „კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვა ტერაქტებისგან“ (13.02.2017) და სხვები.

ამის შემდეგ კიდევ გააქტიურდა პოლიტიკური დიალოგი და საპარლამენტთაშორისო თანამშრომლობა. 2017 წლის ივლისში უკრაინის პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა, რომლის დროსაც ხელი მოეწერა დეკლარაციას უკრაინასა და საქართველოს შორის სტრატეგიული პარტნიორობის დამყარების შესახებ (2017 წლის 18 ივლისი), რომელშიც დასახული იყო შემდეგი ძირითადი მიზნები:

1. უკრაინისა და საქართველოს ტერიტორიების დეოკუპაცია და მათი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში;
2. უკრაინისა და საქართველოს მდგრადი დემოკრატიული განვითარება და ეკონომიკური ზრდა;
3. უკრაინისა და საქართველოს სრული ინტეგრაცია ევროკავშირსა და ნატოში;
4. ამ სტრატეგიული მიზნების შესაბამისად, დოკუმენტში ასახულია მხარეების კოორდინირებული პოლიტიკის ათი მიმართულება. 2017 წლის ნოემბერში საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა უკრაინის პრემიერ მინისტრი ვ. გროისმანი.

2018 წელს უმაღლეს და მაღალ დონეზე კონტაქტების მაღალი დინამიკა შენარჩუნებული იყო როგორც ორმხრივ დონეზე, ასევე მრავალმხრივი საერთაშორისო ფორუმების ფარგლებში. გაიმართა ორმხრივი შეხვედრები უკრაინის პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს, უკრაინის პრემიერ მინისტრ ვ. გროისმანს და საქართველოს პარლამენტის სპიკერს ი. კობახიძეს შორის (კიევი, 18 იანვარი), უკრაინის პრემიერ მინისტრებს ვ. გროისმანს და საქართველოს პრემიერ-მინისტრს მ.ბახტაძეს შორის (ქ. კიშინიოვი, 05.10), უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრს პ. კლიმკინს და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს დ. ზალკალიანს შორის (ბრიუსელი, 04.12; მილანი, 05.12), ვიზიტები საქართველოში პირველი ვიცე პრემიერ მინისტრის - უკრაინის ეკონომიკური განვითარების და ვაჭრობის მინისტრის ს. კუბივის (თბილისი, თელავი, 16. 12), უკრაინის ვიცე პრემიერ მინისტრის პ. როზენკოს (06-07.08), უკრაინის მინისტრთა კაბინეტის მინისტრის ო. საენკოსა (17-19.07) და სხვა მინისტრებისა და ორივე ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ხელმძღვანელების სხვა ვიზიტები. განსაკუთრებით ინტენ-სიურად განვითარდა საპარლამენტთაშორისი თანამშრომლობა - შედგა უკრაინის უმაღლესი რადას თავმჯდომარის ა. პარუბიის 7 შეხვედრა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან ი. კობახიძესთან.

2019 წელს უკრაინასა და საქართველოს შორის პოლიტიკური დიალოგი გაგრძელდა სტრატეგიული პარტნიორობის ფარგლებში, პირველ რიგში მაღალ და უმაღლეს დონეზე კონტაქტების დამყარების გზით და დაცული იქნა საპარლამენტო თანამშრომლობის დინამიკა. უკრაინის პრეზიდენტი ვ. ზელენსკი შეხვდა საქართველოს პრეზიდენტს ს. ზურაბიშვილს უკრაინის პრეზიდენტის ინაუგურაციის დროს (20.05, კიევი), II მსოფლიო ომის დაწყებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებზე (01.09, ვარშავა) და გაეროს გენერალური ასამბლეის 74-ე სესიის ფარგლებში (26.09, ნიუ-იორკი); უკრაინის უმაღლესი რადას თავმჯდომარე დ. რაზუმკოვი შეხვდა საქართველოს პარლამენტის სპიკერს ა. თალაკვაძეს პარლამენტების თავმჯდომარეების ევროპულ კონფერენციაზე (23-25.10, სტრასბურგი), უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. პრისტაიკო და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი დ. ზალკალიანი შეხვდნენ გაეროს გენერალური ასამბლეის 74-ე სესიის ფარგლებში (2019 წლის 25 სექტემბერი, ნიუ-იორკი), და აღმოსავლეთის პარტნიორობის 10 წლის იუბილესთან დაკავშირებით (5 ნოემბერი, სტოკჰოლმი).

2019 წლის 13 დეკემბერს მოეწყო საქართველოს პრემიერ-მინისტრის გიორგი გახარიას ოფიციალური ვიზიტი უკრაინაში, რომლის დროსაც იგი შეხვდა უკრაინის პრეზიდენტს ვ. ზელენსკის, უკრაინის პრემიერ მინისტრს ო. გონჩარუკს, რაც მნიშვნელოვანი გახდა უკრაინასა და საქართველოს შორის სტრატეგიული პარტნიორობის გაღრმავებისათვის. ვიზიტის ძირითადი შედეგი იყო უკრაინის პრეზიდენტ ვ. ზელენსკისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრ გ. გახარიას შორის მაღალი დონის

უკრაინულ-ქართული სტრატეგიული საბჭოს დებულების ხელმოწერა, რომელიც საშუალებას მისცემს უკრაინასა და საქართველოს შორის დაიწყოს ყოვლისმომცველი სტრატეგიული დიალოგი პოლიტიკურ, სავაჭრო, ეკონომიკურ, თავდაცვისა და უსაფრთხოების, კულტურულ-საგანმანათლებლო და ინტერპერსონალური კონტაქტების განვითარების სფეროებში.

უკრაინასა და საქართველოს შორის პოლიტიკური დიალოგის ძირითადი მიღწევებია პოზიციების უცვლელობა უკრაინისა და საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ორმხრივი დადასტურების შესახებ, სტრატეგიული პარტნიორობის ძირითადი მიზნების ერთობლივი განხორციელება უკრაინის და საქართველოს ტერიტორიების დეოკუპაციის, საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში უკრაინისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, ორი ქვეყნის მდგრადი დემოკრატიული განვითარების და ეკონომიკური ზრდის და ევროკავშირსა და ნატოში მათი ინტეგრაციის თვალსაზრისით.

2020 წელს უკრაინის პრიორიტეტულ საკითხებთან დაკავშირებით საქართველოს პოზიცია გამოიკვეთა შემდეგ ღონისძიებებში: საქართველოს პრეზიდენტმა ს. ზურაბიშვილმა (09.01), პრემიერ მინისტრმა გ. გახარიამ და საგარეო საქმეთა მინისტრმა დ. ზალკალიანმა (10.01) სატელეფონო საუბრებისა და ოფიციალური მიმოწერის დროს გამოუხატეს სამძიმარი და მხარდაჭერა უკრაინელ ხალხს და დაღუპულთა ოჯახებს 2020 წლის 8 იანვარს თეირანის მახლობლად UIA-ს სამგზავრო თვითმფრინავის ბოინგ-737-ის ჩამოვარდნის გამო, და, გამოთქვეს მზადყოფნა მიაწოდონ უკრაინას ყველა საჭირო დახმარება; საქართველოს პრეზიდენტმა ს. ზურაბიშვილმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა დ. ზალკალიანმა კომენტარი გააკეთეს Twitter -ის გვერდებზე, სადაც დაგმეს პრორუსული მებრძოლების თავდასხმები გაერთიანებული ძალების პოზიციაზე ზოლოტოის ოლქში და შემდეგშიც, უცვლელად უჭერდნენ მხარს უკრაინის სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას (18.02); უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. ბოდნარმა გამართა ორმხრივი შეხვედრა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილესთან ვ. მახარაბიშვილთან ეროვნული კოორდინატორების საბჭოს ODER-GUAM შეხვედრის ფარგლებში, რომლის დროსაც განიხილეს უკრაინისა და საქართველოს მაღალი დონის სტრატეგიული საბჭოს დებულების შესრულება (27-28.02); იუსტიციის მინისტრის მოადგილე ვ. ვასილიკი სამუშაო ვიზიტით ეწვია თბილისს (18-19 თებერვალი), სადაც ორმხრივი შეხვედრა გამართა იუსტიციის მინისტრის პირველ მოადგილესთან, მ. სარჯველაძესთან და განიხილა უკრაინასა და საქართველოს შორის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის არსებული მდგომარეობა და პერსპექტივები; ყირიმის ავტონომიურ რესპუბლიკაში უკრაინის პრეზიდენტის მუდმივი წარმომადგენელი ა. კორინევიჩი და კრემლის ყოფილი პოლიტპატიმარი ო. სენცოვი სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ საქართველოში (18-21 თებერვალი) და მონაწილეობა მიიღეს საელჩოს მიერ ორგანიზებულ მრგვალ მაგიდაში - „დეოკუპაცია: უკრაინისა და საქართველოს ერთობლივი ძალისხმევა“, რომელიც ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის დროებითი ოკუპაციის მე-6 წლისთავს მიეძღვნა; უკრაინის თავდაცვის მინისტრი ა. ტარანი ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა საქართველოში (19-21.08), რის შედეგადაც მიღწეულ იქნა მრავალი შეთანხმება უკრაინასა და საქართველოს შორის სტრატეგიული პარტნიორობის, თავდაცვისა და უსაფრთხოების მექანიზმის პრაქტიკული იმპლემენტაციის შესახებ; უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. ბოდნარი სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა საქართველოში (15.09), რომლის ძირითადი შედეგი იყო ქართული მხარის მზადყოფნა მხარი დაუჭიროს უკრაინის კანდიდატურას BSEC-ის მუდმივი საერთაშორისო სამდივნოს გენერალური მდივნის თანამდებობაზე, აგრეთვე ხელი შეუწყოს ონლაინ რეჟიმში ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის დეპარტამენტების დონეზე კონსულტაციების გამართვას .

თავის მხრივ, უკრაინამ მხარი დაუჭირა რეზოლუციის მიღებას, რომლის ინიცირება საქართველომ წამოიწყო გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს 43-ე სესიის დროს (27 თებერვალი); მხარი დაუჭირა და გახდა თანაავტორი საქართველოს მიერ ინიცირებული გაეროს გენერალური ასამბლეის 74-ე სესიის რეზოლუციის - „აფხაზეთიდან, საქართველოდან და ცხინვალიდან (სამხრეთ ოსეთი, საქართველო), იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ (03. 09).

უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა განცხადებები, რომლებიც გმობს რუსეთის

ფედერაციის მიერ ინტერნეტ რესურსებზე, საჯარო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობების, კომერციული კომპანიებისა და ქართულ მედიასაშუალებებზე განხორციელებულ კიბერ შეტევას (20 თებერვალი); გმობს ე. წ. „საპრეზიდენტო არჩევნებს“ აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე (22 მარტი); ასევე განცხადებები საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე „ბორდერიზაციის“ განახლებასთან დაკავშირებით (18.04); ცხინვალის რეგიონთან (სამხრეთ ოსეთი) საოკუპაციო ხაზზე საქართველოს მოქალაქის დაკავებასთან დაკავშირებით (15.07) და საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის შეიარაღებული აგრესიის 12 წლისთავთან დაკავშირებით (07.08).

უკრაინა გახდა ეუთოს მონაწილე 15 ქვეყნის სახელით გამოცხადებული ერთობლივი განცხადების თანაავტორი, რომელშიც გმობენ ე.წ. "საპრეზიდენტო არჩევნებს" აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე (22.03); ეუთოში 15 ქვეყნის- საქართველოს მეგობრების ჯგუფის სახელით გამოქვეყნებული ერთობლივი განცხადების თანაავტორი (03.09) რომელიც ეხებოდა რუსეთ-საქართველოს ომის 12 წლისთავის საკითხს; უკრაინის საელჩომ საქართველოში კომენტარი გააკეთა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ე.წ. ბორდერიზაციის პროცესის გაგრძელების დაუშვებლობის თაობაზე (25.05).

დასკვნა

ამრიგად, ჩვენს მიერ სტატიაში წარმოდგენილი უკრიანა-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობების ამსახველი მასალები, რომლებიც ურთიერთმხარდაჭერის ნათელი მაგალითებია არა მხოლოდ მიმდინარე, არამედ სტრატეგიულ საკითხებშიც, ნათლაც გვიჩვენებს, რომ უკრაინა საქართველოსთვის და საქართველო უკრაინისთვის ღირსეული პარტნიორები არიან, და, ასე გაგრძელდება მომავალშიც.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გლუნჩაძე გ. დიპლომატიური საქმიანობის როლი და მნიშვნელობა საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სახელმწიფო რეგულირების სრულყოფისთვის (უკრაინა-საქართველოს დიპლომატიური სამსახურის მაგალითზე). დისერტაცია. თბ., 2021).

Political relations between Ukraine and Georgia

Grigol Glunchadze, Doctoral of Georgian Technical University

Summary

The article " Political relations between Ukraine and Georgia” provides information on the role of Georgian diplomacy in the establishment of mutually beneficial political relations between Georgia and Ukraine.

It is clear from the content of the article that the main mission of Georgian diplomats in Ukraine - to establish cooperation and mutual understanding with the Ukrainian people - is being successfully completed.

Key words: Ukraine; Georgia; Political relations; Diplomacy.

მცირე და საშუალო ბიზნესის მართვა კრიზისულ პერიოდში

დურგლიშვილი ლალი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი

შერაზადიშვილი ბესიკ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

აბსტრაქტი

XXI საუკუნე მთელი კაცობრიობისათვის საკმაოდ რთული პერიოდი აღმოჩნდა. ადამიანებს უწევთ ბრძოლა თვითგადარჩენისათვის, საკუთარი თავის დამკვიდრები-სათვის, მსოფლიო მასობრივი და შეუქცევადი გლობალიზაციის პირობებში საკუთარი ეროვნულობისა და კულტურის დასაცავად, საკუთარი და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გასაუმჯობესებლად, რაც დიდწილად დამოკიდებულია ქვეყანაში ბიზნეს გარემოს მდგომარეობაზე.

მცირე და საშუალო ბიზნესი ჩვენს ქვეყანაში სათანადოდ არ არის განვითარებული. სახელმწიფომ უნდა შეიმუშავოს ეფექტური ბიზნეს პოლიტიკა საშუალო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობისათვის და კრიზისულ სიტუაციაში მისი მართვისათვის.

საკვანძო სიტყვები: მცირე და საშუალო ბიზნესი, სახელმწიფო, კრიზისების მართვა.

ძირითადი ტექსტი

გლობალიზაცია მნიშვნელოვანწილად ანვითარებს ქვეყანას, მის ეკონომიკას, მასში არსებულ სოციალურ ფონს და ა.შ. ეს განპირობებულია იმით, რომ საერთაშორისო ინტეგრირების პროცესში მონაწილე ქვეყანა მსოფლიოს მრავალ სხვადასხვა ქვეყანასთან სავაჭრო თუ სხვა სახის ურთიერთობებისას უამრავ სარგებელს ღებულობს, ან შეიძლება მიიღოს. ეს არის: სხვადასხვა სახის საქონელი და მომსახურეობა, წარმოების ფაქტორები, ინვესტიციები, უახლესი ტექნოლოგიები, ინფორმაცია, ცოდნა და გამოცდილება. ეს ყოველივე კი თავის მხრივ ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს, ანვითარებს ბაზრებს, მათში მონაწილეთა კონკურენტუნარიანობასა და საქმიანობის ხარისხს, ზრდის ქვეყნის სოციალურ ფონის დონეს.

თანამედროვე საზოგადოებაში, საერთაშორისო გამოცდილებით, მცირე და საშუალო სიდიდის საწარმოები ასრულებენ უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ და სოციალურ როლს ქვეყნის განვითარებაში.

მაღალგანვითარებული ქვეყნების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მცირე და საშუალო ბიზნესი ხელს უწყობს საშუალო კლასის განვითარებას, ეს კი მთლიან ჯამში მოქალაქეთა ცხოვრების დონეს ზრდის. დღეს დსთ-ს ქვეყნები აქტიურად მუშაობენ იმაზე, რომ გააუმჯობესონ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პირობები თავიანთ ქვეყნებში, ითვალისწინებენ რა ძლიერი ეკონომიკის მქონე ქვეყნების გამოცდილებას.[1]

განვითარებულ ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება მაღალი ტემპებით მიმდინარეობს, რადგან ეროვნული მთავრობები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ასეთ საწარმოებს და მნიშვნელოვან დახმარებას უწევენ.

ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესი მოსახლეობაში საშუალო კლასის ფორმირების საფუძველია, რომელიც ეკონომიკის სტაბილური განვითარების ბაზას წარმოადგენს და მოსახლეობის დიდ ნაწილს ასაქმებს.

დღეს საქართველოში ეკონომიკური ზრდა ძირითადად მსხვილი საწარმოების წილად მოდის და მზარდი ტენდენციაც აქვს. რაც შეეხება მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობასა და ეფექტიანობას, იგი შედარებით დაბალია და მცირდება კიდეც. საქართველოში მთელი ეკონომიკური აქტიურობის 80-85% მსხვილ ბიზნესზე მოდის, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში მცირე ბიზნესი კარგად განვითარებული არ არის.

მცირე და საშუალო საწარმოები მოქნილად და სწრაფად რეაგირებენ ბაზრის ცვლილებებზე, ადვილად ითვისებენ ახალ პროდუქციას და ძირითადად ორიენტირებული არიან ადგილობრივ

ბაზრებზე. თუმცა, ასევე სწრაფად არის შესაძლებელი კრიზისული სიტუაციების პერიოდში ქვეყანაში მიმდინარე ნეგატიურმა ეკონომიკურმა ფაქტორებმა სერიოზული გავლენა იქონიონ მათზე, რასაც, არც თუ ისე იშვიათად, მათი საქმიანობის შეჩერება ან გაკოტრება მოსდევს .

ბოლო პერიოდში საქართველოში მომხდარმა ნეგატიურმა ეკონომიკურმა

მოვლენებმა, როგორიცაა მაგალითად ლარის კურსის ვარდნა და მერყეობა, გაზარდა ბაზარზე საფინანსო რისკები. იქმნება არაპროგნოზირებადი გარემო ბიზნესისთვის, რომელიც პირველ რიგში დარტყმას აყენებს მცირე და საშუალო ბიზნესს. ეკონომიკაში კრიზისის საფრთხე მუდმივად არსებობს, რის გამოც შეუძლებელია მისი თავიდან არიდება, თუმცა აუცილებელია მათი წინასწარი პროგნოზირება და პრევენციული მოქმედებები, რაც შეამცირებს კრიზისით გამოწვეულ ზარალს და თავიდან აგვარიდებს საწარმოთა გაკოტრებას. საწარმოთა ანტიკრიზისული მართვის ძირითადი პრინციპები და აქედან გამომდინარე მცირე საწარმოთა მართვის ძირითადი პრობლემებია:

- საწარმოს საქმიანობაში კრიზისული მოვლენების განვითარების ადრეული დიაგნოსტიკა, რაც გულისხმობს დაგეგმილი განვითარების გეგმიდან მცირე გადახრის დაფიქსირებას და მის დეტალურ ანალიზს. მცირე და საშუალო ბიზნესის უდიდესი ნაწილი ამ ნაბიჯს ვერ ახორციელებს თუნდაც იმ მიზეზით, რომ არ გააჩნიათ მკვეთრად განსაზღვრული და ნათლად ჩამოყალიბებული ბიზნესგეგმები, რის გამოც შეუძლებელი ხდება რისკების ადრეული დიაგნოსტიკა.

- ბიუჯეტირება, გულისხმობს საწარმოს საქმიანობის ფინანსური დაგეგმვის აუცილებლობას, რათა ზუსტად მოხდეს საწარმოში გადახრის იდენტიფიცირება და შეფასება. მცირე ბიზნესის უმრავლესობას ეს დოკუმენტი საერთოდ არ გააჩნია, ამიტომ შეუძლებელია გადახრის ფინანსური სიმძიმის დადგენა და ეს გარემოება შესაძლოა მძიმე დარტყმა აღმოჩნდეს საწარმოსთვის.

- საწარმოს ფინანსური მაჩვენებლების მუდმივი მონიტორინგი და ანალიზი, რაც გულისხმობს საწარმოს ბალანსის, მოგება-ზარალის უწყისის და სხვა ფინანსური დოკუმენტების ყველა მაჩვენებლის სისტემატიურ შედარებას წინა საანგარიშგებო პერიოდის მაჩვენებლებთან, მათ ანალიზს და დასკვნების გამოტანას. [2]

მცირე და საშუალო საწარმოთა დიდი ნაწილი, განსაკუთრებით მცირე საწარმოები, ზემოხსენებულ დოკუმენტაციას ადგენენ მხოლოდ საგადასახადო ანგარიშგების პერიოდში, მასაც აქვს მხოლოდ სავალდებულო ხასიათი და ბიზნესის მფლობელთა უმრავლესობისთვის მათი ანალიზი არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენს, რასაც საწარმო სავალალო შედეგებამდე მიჰყავს.

გადახრათა დიფერენცირება მათი საფრთხის ხარისხის მიხედვით ანუ კრიზისული მოვლენების განვითარების ინდიკატორების დაფიქსირება და დაჯგუფება მათი საფრთხის ხარისხის მიხედვით.

ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო ამ საფრთხეების დიფერენცირება თითქმის შეუძლებელი ხდება მცირე ბიზნესისათვის.

მცირე და საშუალო ბიზნესში მნიშვნელოვანია კრიზისულ მოვლენებზე რეაგირების სისწრაფე, იგი გულისხმობს კრიზისული მოვლენების ნეიტრალიზაციის მექანიზმების დროულად ამოქმედებას, თუმცა, მცირე და საშუალო ბიზნესში, როგორც სხვა ტიპის საწარმოებში, თითოეულ გამოვლენილ კრიზისულ მოვლენას გააჩნია როგორც გაფართოების ტენდენცია, ასევე წარმოშობს ახალ, თანამდევ კრიზისულ მოვლენებს, რის გამოც დაგვიანებული ნეიტრალიზაციის მექანიზმები კიდევ უფრო ურღვევს წონასწორობას საწარმოს. - საწარმოს რეაგირების ადეკვატურობა ფინანსურ დანახარჯებთან. ზოგჯერ, კრიზისული მოვლენის ნეიტრალიზაციის მექანიზმი ოპერაციული საქმიანობის მოცულობის შემცირებასთან და დამატებით ფინანსურ დანახარჯებთანაა დაკავშირებული, რაც მსხვილი ბიზნესის შემთხვევაში შესაძლებელი და გამართლებულია, ხოლო მცირე და საშუალო ბიზნესის საქმიანობაში ისედაც მცირე მოცულობის წარმოებით და მცირე ფინანსური დანახარჯებით, შეუძლებელი ხდება საჭირო ეფექტის მიღება.[3].

- ეკონომიკური კრიზისების პერიოდში მიზანშეწონილი და აუცილებელია ექსპორტის გაფართოება საწარმოს მიერ, რაც პროდუქციის რეალიზაციის ზრდას უწყობს ხელს, თუმცა მცირე საწარმოები ვერ ახერხებენ ექსპორტს, განსაკუთრებით ევროკავშირის ქვეყნებში, პროდუქციის დაბალი ხარისხის და უსაფრთხოების სტანდარტების უქონლობის გამო, ასევე მარკეტინგული უნარების

ნაკლებობის გამოც.

- კრიზისების პერიოდში აუცილებელია სახელმწიფოს მიერ საგადასახადო კანონმდებლობის გადახედვა და ცვლილებები, თუმცა, მცირე და საშუალო ბიზნესისთვის კიდევ ერთი პრობლემა ხდება თანაბარი მიდგომა მსხვილ და წვრილი მეწარმეობის მიმართ. მცირე და საშუალო ბიზნესზე არ ვრცელდება საგადასახადო შეღავათები, განსხვავებით განვითარებული ქვეყნებისგან, სადაც მცირე და განსაკუთრებით დამწყებ ბიზნესებს სერიოზული შეღავათები აქვთ დაწესებული, რაც მათ განვითარებაში ეხმარება. ეკონომიკური კრიზისის პერიოდში ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორები და მიზეზები უარყოფით გავლენს ახდენს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე.

ამის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ საქართველოში 2020 წლის I კვარტალში მთლიანი ბრუნვის 60.0 % მოდის მსხვილ ბიზნესზე, 16.6 % - საშუალოზე, ხოლო 23.4 % - მცირე ბიზნესზე ნაწილდება.

მცირედით განსხვავებული მდგომარეობაა პროდუქციის მთლიანი გამოშვების შემთხვევაში: მსხვილ ბიზნესზე მოდის პროდუქციის გამოშვების 44.3 %, საშუალოზე - 24.4 %, ხოლო მცირე % - 31.3 %. [3]

ჩვენი აზრით, კრიზისულ პერიოდში მაქსიმალურად რომ მოხდეს მცირე და საშუალო ბიზნესის სტაბილურობის შენარჩუნება, საჭიროა შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

1. სავალდებულო გახდეს ბიზნესის რეგისტრაციის მომენტისათვის მცირე და საშუალო ბიზნესში ბიზნეს გეგმის არსებობა და მისი განხილვა.

2. დაწესდეს მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები მცირე მეწარმეებისთვის, რაც გამოიხატება მისი ბიზნესის შესაბამისი უმარტივესი ფინანსური დოკუმენტაციის შედგენაში.

3. კრიზისულ პერიოდში უნდა გაიმიჯნოს საშუალო და მსხვილი ბიზნესის გადასახადები.

4. აუცილებელია კრიზისულ პერიოდში სახელმწიფოს მიერ მცირე საწარმოთა მაქსიმალური ხელშეწყობა ექსპორტის განვითარებაში.

5. პრაქტიკაში უნდა დაინერგოს კრიზისულ პერიოდში შეღავათიანი კრედიტების გაცემა მცირე და საშუალო ბიზნესზე. საბაზრო ეკონომიკის პირობებში როდესაც ყველა სხვა კრიტერიუმით თანაბარი მიდგომა ხდება მცირე და მსხვილი ბიზნესის მიმართ, სწორედ საბანკო სფერო ახორციელებს დიფერენცირებას და მცირე ბიზნესი და მცირე ზომის სესხები ყველაზე მაღალი საპროცენტო განაკვეთით ფინანსდება, რაც კიდევ უფრო მძიმე გავლენას ახდენს მცირე ბიზნესის განვითარებაზე.

6. მცირე ბიზნესისთვის უფრო მეტად ხელმისაწვდომი უნდა იყოს სესხების სახელმწიფო პროგრამები. მცირე და საშუალო საწარმოებისთვის უნდა არსებობდეს პროგრამები, სადაც ისინი შეძლებენ დაბალ პროცენტიანი სესხის მიღებას. დღეს ასეთ პროგრამებზე ხელმისაწვდომობა ძალიან დაბალია, რაც ვერ უწყობს ხელს მცირე და თუნდაც საშუალო ბიზნესის განვითარებას.

დღეს მცირე და საშუალო საწამოთა საწარმოო სიმძლავრეები და ტექნოლოგიები არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, ხოლო ინვესტიციების დაბალი დაბალი დონე და საბანკო კრედიტის მაღალი საპროცენტი განაკვეთები კი მნიშვნელოვნად ამცირებენ ამ სფეროს განვითარების შესაძლებლობებს.[4]

ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელება დაეხმარება მცირე და საშუალო ბიზნესს კრიზისული პერიოდის განმავლობაში შეძლონ სტაბილურობის შენარჩუნება და არ დაუშვან გაკოტრება, რომელიც ნეგატიურ გავლენას მოახდენს ქართული ეკონომიკის განვითარებაზე, რადგან მცირე და საშუალო ბიზნესი უნდა იყოს ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერის ქვაკუთხედი.

დასკვნა

ამრიგად, საკითხი ,,მცირე და საშუალო ბიზნესის მართვა კრიზისულ პერიოდში“ ჩვენს მიერ განხილულია, როგორც ქვეყნის ეკონომიკური მდგრადობის განვითარებისა და შენარჩუნების მთავარი ფაქტორი. რაც უფრო ეფექტური გეგმა ექნება შემუშავებული სახელმწიფოს მცირე და საშუალო ბიზნესის სამართავად და კრიზისული სიტუაციებიდან ბიზნესის სწრაფად გამოსვლისა, მით უფრო სტაბილური და მდგრადი ბიზნესგარემო შეიქმნება ქვეყანაში ბიზნესის განვითარებისთვისაც და

ინვესტიციების მოსაზიდად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მცირე ბიზნესი - მაია ლომსაძე-კუჭავა,ხათუნა გიორგაძე. თბილისი 2016 წ.
2. მაია ალადაშვილი ,,მცირე და საშუალო ბიზნესის მართვა".თბილისი 2018 წ.
3. https://www.geostat.ge/ka - უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 07.05.2021 წ.
4. მცირე და საშუალო ბიზნესის ინსტიტუციური მიმართულებები საქართველოში და ევროკავშირთან ინტერნაციონალიზაციის წინააღმდგეგობები თბილისი 2015 წ. გვ. 22.

SME Management in Crisis Period

Lali Durglishvili, Student of Georgian Technical University

Besik Sherazadishvili, Assistant-professor of Georgian Technical University

Summary

The XXI century turned out to be quite a difficult period for all mankind. People have to fight for self-preservation, self-establishment, for protection of their nationality and culture in the condition sconditions, which largely depends on the business environment in the country.

80% of small and medium businesses in Georgia come from large businesses, which means that small and medium businesses are not developed in our country. To do this, the state must develop an effective business policy to promote small and medium-sized businesses and to manage them during crisis situations.

Keywords: small and medium businesses; state; crisis management..

ელექტრონული მმართველობა განვითარების თანამედროვე ეტაპზე

კახიძე ნათია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი:

სტატიაში წარმოდგენილია ავტორის მოსაზრება, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების როლი ელექტრონული მმართველობის დასანერგად, რა ფაქტორები უნდა გაითვალისწინონ ამ მიმართულებით დაინტერესებულმა მხარეებმა, როგორია აღნიშული ფაქტორების მიხედვით დღეს არსებული მდგომარეობა საქართველოში, ვინ მოისაზრება დაინტერესებულ მხარეებში, როგორი იქნება COVID-19 პანდემიის პირობებში ელექტრონული მმართველობის დანერგვით გამოწვეული საზოგადოებრივი სარგებელი.

ავტორი ყურადღებას ამახვილებს სერვისების ეკოსისტემაზე, თუ რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას ელექტრონული საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად, ციფრული საქართველოს სტატუსის მოსაპოვებლად, რაც ქვეყნის იმიჯისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. სტატიაში ხაზგასმულია სტრატეგიის მნიშვნელოვნება - შეიქმნას კავკასიის რეგიონში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში კონკურენტული და ინოვაციური ბიზნეს გარემო, რაც მოითხოვს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მაღალ დონეზე განვითარებას, რომლისთვისაც უნდა არსებობდეს სამოქმედო გეგმა და გონივრული თანმიმდევრობით დაგეგმილი აქტივობა.

ტექსტში ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმ ძირითად გამოწვევებზე, რომლის წინაშეც დგანან მხარეები, სახელმწიფო, კერძო კომპანიები, სამოქალაქო საზოგადოება, რომელთა სინერგიული მუშაობით მიღწევადი გახდება ციფრული ქვეყნის სტატუსის მოპოვება და ციფრული ინტერაქციისთვის საჭირო ყველა პროცესის და პროცედურის მოდერნიზაცია.

საკვანძო სიტყვები: ელექტრონული მმართველობა, სერვისების ეკოსისტემა, ციფრული საზოგადოება, ციფრული ქვეყანა.

თანამედროვე სწრაფად ცვალებად გარემოში, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება და მისი დანერგვით გამოწვეული საზოგადოებრივი სარგებელი სულ უფრო აქტუალურია, რაც კიდევ უფრო ცხადი გახდა Covid-19 (Coronavirus Disease - კორონავირუსი) პანდემიის პირობებში. Covid-19-ის გავრცელებით გამოწვეულმა შედეგებმა მნიშვნელოვნად შეცვალა მსოფლიო, ცხოვრების სტილი, მათ შორის სახელმწიფო მმართველობა, ბიზნეს გარემო და ბიზნესის მართვის მოდელები. შეზღუდული გადაადგილების პირობებში, სასწავლო და სამუშაო პროცესი საზოგადოების დიდი ნაწილისთვის დისტანციურ რეჟიმში, ინტერნეტის მეშვეობით მიმდინარეობს, გაზრდილია ონლაინ სერვისებზე წვდომის მოთხოვნა. პანდემიის პირობებში სასიცოცხლო მნიშვნელობა მიენიჭა რეკომენდაციების სახით მოსახლეობისთვის სწრაფად განახლებული ინფორმაციის მიწოდებას.

კრიზისების მართვის თეორიული ცოდნა რადიკალურად განსხვავებულია არსებული რეალობისგან. ცოდნა ზოგადად მაშინ ხდება ფასეული, როდესაც თეორიული ცოდნის პრაქტიკული გამოყენებით, გარკვეული შენეული ცვლილებები შეგაქვს და გარკვეულ გამოცდილებას აგროვებ, რომელსაც შემდგომში სხვებსაც უზიარებ. თუმცა არსებული კრიზისული სიტუაციის მსგავსი შემთხვევები ჩვენს თაობას ნამდვილად არ ახსოვს. შესაბამისად კრიზისის მართვის პროცესებიც ყოველგვარი გაწერილი პროცედურების გარეშე მიმდინარეობს.

ყველაფერმა ამან ხელი შეუწყო და წინა პლანზე წამოწია ციფრული ეკონომიკის და მმართველობის საფუძვლების აუცილებელი საჭიროება და გარკვეული პლატფორმების შექმნა. პანდემიის გაგრძელების შემთხვევაში, განვითარებადი ქვეყნებისთვის გარდაუვალი ხდება ელექტრონული მმართველობის სწრაფი ტემპით დანერგვა და ინოვაციური ტექნოლოგიების სახელმწიფო მხარდაჭერის ინსტიტუციონალიზაცია.

რა იქნება მომავალში? - ეს კითხვა აქტუალურია თითქმის ყველა დარგისთვის. როგორადაც არ უნდა განვითარდეს მოვლენები, ფაქტია რომ პროცესების და სერვისების ელექტრონულ ფორმატში დისტანციურად მიწოდება ერთერთი აუცილებელი პირობა გახდება, მათ შორის ლოკალურ ბაზარზე

ნაკლები დანახარჯებით და სხვებისგან დამოუკიდებლად.

არსებული პანდემიის პირობებში, **ელექტრონული მმართველობის** აქტუალურობა და საჭიროება კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა, კიდევ უფრო გაფართოვდა მისი შინაარსი და ფორმა, საჭიროება რომ შეიქმნას მიმზიდველი გარემო ინოვაციური ტექნოლოგიებით დაინტერესებული ბიზნეს-სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოებისთვის, კიდევ უფრო გაიზარდა მთავრობის როლი, რათა სტიმულირება მოახდინოს, რომ საჯარო და კერძო სექტორში დაინერგოს სანდო, უწყვეტი, ურთიერთოპერირებადი, ინსტიტუციონალურად მართული მდგრადი სისტემა.

კონკრეტულად რა მოისაზრება ელექტრონულ (ციფრული) მმართველობაში? - იგულისხმება საჯარო მმართველობის განხორციელება ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, რაც შედეგობრივად უამრავ დადებით ეფექტს იძლევა, მათ შორის ბიზნეს-პროცესების გამარტივებას, ციფრული ტრანზაქციების ეფექტურად მართვას, ციფრული საზოგადოების და ციფრული ქვეყნის ჩამოყალიბებას. ციფრული ტექნოლოგიების ყველა მიმართულებით დანერგვა გარკვეულწილად წინა პირობაა ციფრული დემოკრატიის ფორმულირებისთვის, რომელიც თავისი შინაარსით გაზრდილი პოტენციალით დემოკრატიის გამოხატულებაა. ციფრული დემოკრატიის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია ელექტრონული მმართველობა - E-goverment[1] - ანუ ქვეყნის მართვა ინფორმაციულ საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით, რომელიც შედეგობრივად ახდენს დანახარჯების მნიშვნელოვნად შემცირებას, ზრდის ეფექტურობას და ეფექტიანობას მართვის სტრუქტურაში, ერთ სივრცეში ათავსებს გეოგრაფიულად გაბნეულ უწყებებს როგორც ლოკალურ ასევე გლობალურ დონეზე, აახლოვებს საზოგადოებას და ამარტივებს უკუკავშირს მათთან, აჩქარებს საქმის წარმოებას.

სახელმწიფომ სტიმულირება უნდა მოახდინოს, რომ ინოვაციებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით ქვეყანაში შეიქმნას **სერვისების ეკოსისტემა** ყველა დარგისთვის. ბაზარზე არსებული წარმოებისა და სერვისის ურთიერთოპერირებადი ეკოსისტემების ინტეგრაცია ქმნის ფასეულობას, სადაც მონაწილე მხარეები ერთმანეთის გავლენის ქვეშ ექცევიან, ერთმანეთზე დამოკიდებული ხდებიან და გავლენას ახდენენ ერთმანეთის განვითარება/რეფორმირება/ტრანსფორმაციაზე. სხვადასხვა მხარეებს შორის დინამიურ ურთიერთ-თანამშრომლობას მივყავართ განახლებულ ინოვაციურ ინსტიტუციონალიზაციამდე - დაამსხვრიო არსებული პროცესები და ააგო ეფექტური მდგრადი უწყვეტი ჯაჭვი. ინსტიტუციონალიზაციის ინოვაციური ხედვა - ისტორიულად განსხვავდება დროსთან მიმართებაში. პროცესი მუდმივ მონიტორინგს და ტრანსფორმაციას საჭიროებს. ნებისმიერი ტექნოლოგიური თუ სხვა ტიპის ინოვაცია საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს ადამიანების რაიმე ტიპის არსებულ და/ან სამომავლო მოთხოვნის მიწოდებას.

ელექტრონული სერვისების გამოყენებადობა - დამოკიდებულია ქვეყანაში **ელექტრონული საზოგადოების** არსებობაზე და მის მასშტაბზე, საზოგადოების ცოდნის დონეზე, მოსახლეობაში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო უნარჩევევების განვითარებაზე. საჭიროა საგანმანათლებლო სისტემის რეფორმირებისას გათვალისწინებული იყოს მომავალი თაობის მიერ ახალი ტექნოლოგიების მართვის უნარ-ჩვევების შეძენა, ასევე საყურადღებოა ყველა ასაკობრივი სეგმენტისთვის, სპეციალური მიზნობრივი ჯგუფების დადგენა, როგორიცაა ასაკოვანი და სოციალურად დაუცველი, სოფლად მცხოვრები და დაბალი შემოსავლის მქონე მოსახლეობისთვის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სასწავლო პროგრამების შემუშავება და ტრენინგების ორგანიზება. უმნიშვნელოვანესია სასწავლო პროგრამების ეფექტურობა იმ მიზნით, რომ რომ ის რაც ისწავლება თანხვედრაში იყოს მოთხოვნებთან.

ციფრული საქართველოს სტატუსის მოსაპოვებლად, რაც ქვეყნის იმიჯისთვის მნიშვნელოვანია, ერთერთ საყრდენს წარმოადგენს კავკასიის რეგიონში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში კონკურენტული და ინოვაციური ბიზნეს გარემოს შექმნა, რაც მოითხოვს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მაღალ დონეზე განვითარებას, რომლისთვისაც ქმედებები

[1] E-goverment - ელექტრონული მმართველობა

გონივრული თანმიმდევრობით უნდა დაიგეგმოს. პრიორიტეტული თანმიმდევრობაში კონცენტრაცია უნდა მოხდეს კონკრეტულ სფეროებზე და ეტაპობრივად განხორციელებული პროექტები მიგვიყვანს წარმატებამდე. მხარეებმა ერთობლივად უნდა გადაწყვიტონ თუ რომელი სფეროები უნდა იყოს შერჩეული და რომელი პრიორიტეტის გამოყენებით დაიწყება პროცესის განხორციელება ეტაპობრივი სამოქმედო გეგმით. სამოქმედო გეგმის გადაწყვეტილების შემდეგ უნდა შეიქმნას პროფესიონალური კადრებით დაკომპლექტებული კვლევისა და დანერგვის ცენტრი, რომლებიც მოიცავენ საჯარო, კერძო და სამოქალაქო უწყებებს და მოერგებიან საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს.

ციფრული საქართველოს სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განსახორციელებლად აუცილებელია ურთიერთთანამშრომლობის პრინციპზე დაფუძნებული **საკოორდინაციო სტრუქტურის ჩამოყალიბება.** სხვა ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე კრიტიკულად მნიშვნელოვანია რომ აღნიშნულ ჯგუფს გააჩნდეს ფართო ძალაუფლება, რომელიც სამთავრობო ორგანიზაციის სტატუსით იმოქმედებს და კოორდინაციაში იქნება სხვა მთავარ უწყებებთან. ამავე დროს პასუხისმგებლობა უნდა აიღოს დასახული გეგმის შესრულებაზე. თავის მხრივ მონაწილე მხარეებისთვის პროექტში მონაწილეობა და გეგმის შესრულება გარკვეული ვალდებულება უნდა იყოს და არა კეთილი ნება. მონაწილე მხარეები უნდა იყვნენ სხვადასხვა ორგანის წარმომადგენლები, რომლებიც ჩართული იქნებიან პროცესში, თუმცა კონკრეტული პროექტებზე პასუხისმგებლობის დელეგირება უნდა მოხდეს კონკრეტულ სააგენტოებზე, რომლის შესრულების მონიტორინგს განახორციელებს საკოორდინაციო სტრუქტურული ერთეული. დელეგირებული საქმიანობის შესრულებისთვის უნდა არსებობდეს შესაბამისი სამართლებრივი უზრუნველყოფა.

საკოორდინაციო საბჭოს მიერ მომზადებული სტრატეგია უნდა მოიცავდეს საჭირო საინვესტიციო შეფასებას, მათ შორის პრიორიტეტულ თანმიმდევრობას და გამიჯვნას, რა ტიპის ინვესტიციის მოზიდვაა შესაძლებელი კერძო სექტორიდან და რა ნაწილია საჯარო სექტორისთვის. ბუნებრივია კერძო სექტორისთვის უნდა გაიწეროს ინვესტიციისთვის შესაბამისი სარგებელი, შეღავათები რომ დაინტერესება გაჩნდეს. წინასწარ უნდა გაიწეროს ეფექტურობის და ეფექტიანობის შესაფასებელი პარამეტრებიც, რომლითაც გამარტივდება მონიტორინგი და პროექტების წარმატებულობის შეფასება. ყველა მონაწილე მხარე, საჯარო და კერძო ვალდებულია წარადგინოს პროექტის დანერგვის პროცესში უკუკავშირი წინასწარ გაწერილი წესების შესაბამისად.

დასკვნა

ელექტრონული მმართველობის ინსტიტუციონალური მოდელი უნდა ეფუძნებოდეს სათანადო საფუძვლებს, რომლებიც მოიცავს და არ შემოიფარგლება: საკანონმდებლო ცვლილებებით - თავის მხრივ უზრუნველყოფს ციფრულ ინტერაქციას და ციფრული სერვისების მიწოდებას, ისე რომ ციფრული ტრანზაქციები ტრადიციულ ტრანზაქციებთან თანაბარი იურიდიული ძალის მქონე იყოს. ელექტრონულ მმართველობაში მონაწილე სუბიექტები ურთიერთთავსებადი და ურთიერთოპერირებადი უნდა იყვნენ ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სრული პოტენციალის გამოყენებით. ინოვაციური ტექნოლოგიების პოტენციალის სრულ ასათავისებლად და ინსტიტუციონალურად ჩამოსაყალიბებლად აუცილებელია სხვადასხვა მხარეების, უწყებების მიერ გენერირებული სერვისების ურთიერთთავსებადობა, მათ შორის შეუზღუდავი ინტერაქცია და მონაცემთა უსაფრთხოდ გაცვლა ციფრული ქსელების საშუალებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. DIGITAL ANALYSIS.
2. http://ec.europa.eu/digital-agenda/ https://www.iiea.com/digital/ (28,12,20)
3. https://www.visualcapitalist.com/IOT-building-smarter-cities/ How the Internet of Things is Building Smarter Cities. Published February 25, 2020. By Katie Jones
4. ლ. ჩიქავა ინოვაციური ეკონომიკა. „სიახლე“, თბ.2006წ.
5. ა.აბრალავა, ლ.გვაჯაია, რ.ქუთათელაძე. საინოვაციო მენეჯმენტი, თბ.2015 წ.
6. https://www.newgenapps.com/blog/top-industries-leveraging-IOT/ Ranked: The Most

Innovative Economies in the World. A country's ability to innovate helps it stay competitive on the global stage. Where are the most innovative economies, and how has the list changed?. Published, February 28, 2020 By Iman Ghosh

7. https://www.mckinsey.com/business-functions/mckinsey-digital/our-insights/an-executives-guide-to-the-internet-of-things?cid=eml-web An executive's guide to the Internet of Things. By Jacques Bughin, Michael Chui, and James Manyika

E-government at the Modern Stage of Development

Natia Kakhidze, PhD student of Georgian Technical University

Summary

The article presents the author's opinion on the importance of the role of information and communication technologies in the implementation of E-government, what factors should be taken into account by stakeholders, what is the current situation in Georgia, who is considered by stakeholders, what kind of public benefits will be caused by developing E-government in the country, espacially during the COVID-19 pandemic period.

The author focuses on the ecosystem of services, what steps should be taken to establish an electronic society, to gain the status of digital Georgia, which is vital for the image of the country. The article emphasizes the importance of the strategy - to create a competitive and innovative business environment in the field of information and communication technologies in the Caucasus region, which requires a high level of development of information and communication technologies, for which there must be an action plan and in a reasonable sequence planned activities.

In the text, the author focuses on the main challenges facing the parties, state, private companies, civil society, whose synergistic work will achieve the achievement of digital country status and modernization of all processes and procedures required for digital interaction.

Key words: E-goverment, Services Ecosystem, Digital Sociatey, Digital Country

ცირკულარული მიგრაცია და სახელმწიფოს პოლიტიკა
(უცხოეთში პროფესული განათლებით დასაქმება)

მამულაშვილი გიორგი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრანტი

იაშვილი გენადი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი

კაცობრიობის განვითარების ყველა ეტაპზე, ადამიანი მუდმივად სიახლის ძიებაშია. სწორედ ახლის შეძენის დიდი სურვილითა და მუდმივი ცვლილებებით არის განპირობებული XXI საუკუნეში ცხოვრების ასეთი ჩქარი ტემპი და ტექნოლოგიების უმაღლეს ნიშნულამდე მისვლა. თუმცა, განვითარების სწრაფი ტეპმის მიუხედავად, მსოფლიოში არათანაბრად გადანაწილებული რესურსები სხვადსხვა რეალობაში ამყოფებს მოსახლეობას. მაღალ განვითარებულ ქვეყნებში ცხოვრების დონე მრვალი წელია მაღალ ნიშნულზეა. აქ ადამიანი თავისუფლად აკეთებს არჩევანს თუ როგორ გარემოში იცხოვროს, როგორი განათლება მიიღოს და საერთოდ, როგორი იყოს მისი სამომავლო პირადი თუ კარიერული ცხოვრების ტემპი. დაბალგანვითარებულ და განვითარებად ქვეყნებშიკი ადამიანების უმეტესობას რადიკალურად განსხვავებულ რეალობაში უწევთ ცხოვრობა. სწორედ ეს განაპირობებს განვითარებადი ქვეყნებიდან სამუშაო ძალის გადინებას. ადამიანები ცხოვრების უკეთესი პირობების შესაქმნელად განვითარებულ ქვეყნებში მიემგზავრებიან.

ძირითადი ტექსტი

აღნიშნულ სტატიში, მოკლედ შევეხებით მიგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებს, სადაც არალეგალური მიგრაციით გამოწვეულ პრობლემებსა და ლეგალურური მიგრაციის მაგალითებს განვიხილავთ. აქვე აუცილებლად უნდა ავღნიშნოთ, რომ მიგრაციის დადებითი პოტენციალის გამოყენება მნიშვნელოვანია როგორც ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისთვის, საინვესტიციო რესურსების მოზიდვისთვის, ახალი სამუშაო ადგილების შექმნისთვის, ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის, ისე სოციალური პრობლემების შერბილების მიზნით. მთავარია, რომ მიგრაციის პროცესი სრულად იყოს მოქცეული კანიონიერ ჩარჩოებში და მინიმუმამდე იყოს დაყვანილი შესაძლო რისკები თუ საფრთხეები. საერთაშორისო მიგრაციისა და განვითარების საკითხებზე 2006 წლის 14-15 სექტემბერს ნიუ-იორკში გაეროს წევრ-სახელმწიფოებს შორის უმაღლეს დონეზე შემდგარი დიალოგი გადამწყვეტი მომენტი გახდა გაეროს წევრი-სახელმწიფოების მიერ იმ გზებისა და საშუალებების განსახილველად, რომლებიც უზრუნველყოფენ საერთაშორისო მიგრაციის განვითარებისთვის გამოყენებას და მიგრაციის თანმდევი რისკებისა და ნეგატიური შედეგების მინიმუმამდე შემცირებას. იგივე მიდგომებია ასახული გაერო-ს "მდგრადი განვითარების დღის წესრიგი - 2030"-ის მიზნებში. უცხოეთში ლეგალური დასქმების გარანტიებს ვხვდებით ასაევე საქართველოს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის 2019-2023 წლების ეროვნულ სტრატეგიაში, სადაც ცირკულარული მიგრაციის ხელშეწყობა დოკუმენტის ერთ-ერთი მთავარი მიზანია.

არსებული მდგომარეობის მიმოხილვა

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მომენტიდან, კვლევების წარმოებისა და დოკუმენტური დასაბუთების გარეშეც თვალსაჩინოა როგორი ტემპით გაედინება მუშახელი სხვა ქვეყნებში სამუშაოს საძიებლად. მიზეზი, თუ რატომ ტოვებენ ადამიანები საკუთარ თემსა თუ ქვეყანას, მუდმივად განსსვავებულია, თუმცა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა ეკონომიკური სიდუხჭირე და სამუშაო ადგილების არარსებობაა. მიგრაცია გულისხმობს ცალკეული პირის ან ჯგუფის მიერ საცხოვრებელი ადგილის შეცვლას გადასახლების მიზეზებისა და მიზნების მიუხედავად. მიგრაციის გამომწვევი მიზეზები შეიძლება იყოს როგორც ეკოლოგიური კატასტროფები თუ

პოლიტიკური მოტივები, ისე უკეთესი ეკონომიკური პერსპექტივები, ან პოლიტიკური დაცულობა გადასახლების ადგილას. წინამდებარე გრაფიკაზე, [საქ.სტატი1] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მომზადებული კვლევის მიხედვით, ნათლად შეიმჩნევა წლების განმავლობაში მოქალაქეების სხვა ქყეყნებში გადინების დინამიკა და თვალსაჩინოა, რომ ბოლო 20-25 წელის განმავლობაში მოქალაქეები მუდმივად ტოვებენ ქვეყანას.



[საქ.სტატი1]

ობიექტურობისთვის უნდა ავღნიშნოთ, რომ გლობალიზაციის პირობებში, ქვეყნებს შორის მუშახელის მსგავსი ცვლა უკვე ფართოდ გავრცელებული პროცესია. ამრიგად დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით პრობლემა არა დიდი რაოდენობით ადამიანების გადინება ან შემოდინებაა, არამედ უმეტეს შემთხვევაში, არალეგალური მიგრაცია და არასათანადო შრომის პირობებია. მეტწილად მოქალაქეები ინფორმაციის მოძიების გარეშე, საშუამავლო კომპანიების დახმარებით ეძებენ საზღვარგარეთ სამუშაო ადგილებს და ყოველგვარი კონტრაქტისა და იურიდიული შეთანხმების გარეშე თანხმდებიან ნებისმიერ სამუშაოს.

ზემოთ აღნიშნული რისკების გათვალისწინებით, ბოლო წლების განმალობაში, ცირკულარული დასაქმების კუთხით საქართველომ არაერთი პოზიტიური ნაბიჯი გადადგა და მეგობარ სახელმწიფოებთან საქართველოს მოქალაქეების ლეგალურად დასაქმების შესახებ შეთანხმებები გააფორმა. ქვემოთ დეტალურად განვიხილავთ ახლანდელი მდგომარეობით არსებულ შესაძლებლობებს, რომელიც საქართველოს მოქალაქეებს უცხოეთში დროებით ლეგალური დასაქმების უფლებას აძლევს.

საფრანგეთში დროებითი ლეგალური დასაქმების შესაძლებლობები საქართველოს მოქალაქეებისთვის („შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის კვალიფიციური სპეციალისტების ბინადრობისა და ცირკულარული მიგრაციის შესახებ“)

დავიწყოთ საფრანგეთით, სადაც საქართველოს მოქალაქეებს დროებით, ლეგალურად დასაქმების შესაძლებლობა უკვე 2013 წლიდან შეუძლიათ. ორ ქვეყანას შორის შეთანხმება სწორედ 2013 წლის 12 ნოემბერს პარიზში გაფორმდა და დაადგინა, რომ საზღვარგარეთ სამუშაოს მაძიებელი საქართველოს მოქალქეები დამატებითი ბარიერების გარეშე შეძლებენ საფრანგეთის სამუშაო ბაზარზე დასაქმებას. „საქართველოს მთავრობასა და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის კვალიფიციური სპეციალისტების ბინადრობისა და ცირკულარული მიგრაციის შესახებ“ შეთანხმების მიხედვით, განსაზღვრულია პროფესიათა და ხელობათა კონკრეტული ჩამონათვალი, რომლის მიხედვითაც სამუშაოს მაძიებელი სააფრანგეთში დასაქმდება. ადმინისტრირების თვალსაზრისით, შეთანხმების შესრულებაზე პასუხისმგებელ კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოებად განისაზღვრა საფრანგეთში ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტრო, ხოლო საქრთველოში ოკუპირებული ტერიტორიებიდან

დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და მის მმართველობის სფეროში მოქმედი „დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო“. შეთანხმების მიზანია მობილურობაზე დაფუძნებული დროებითი შრომითი მიგრაციის ხელშეწყობა და კომპეტენტური სპეციალისტების საქართველოში დაბრუნების წახალისება.

კატეგორიები, ვისზეც ვრცელდება შეთანხმება

1. სტუდენტები (კურსდამთავრებულები), რომლებმაც განათლება მიიღეს საფრანგეთის საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ან საფრანგეთის საგანმანათლებლო დაწესებულების პარტნიორ საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
2. პროფესიონალები;
3. ახალგაზრდა სპეციალისტები.

შეთანხმების თანახმად, სტუდენტების კატეგორიას მიეკუთვნებიან ის პირები, ვინც სახელმწიფო დონეზე უფლებამოსილ საფრანგეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლობნდენ ან/და საქართველოს საგანამანათლებლო დაწესებულებაში, რომელიც საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში საფრანგეთის უმაღლეს დაწესებულებასთან შეთანხმებულია ერთობლივი დიპლომის გაცემის თაობაზე. შეთანხმების საფუძველზე, კურსდამთავრებულები შემდეგი შეღავათებითა და უპირატესობით სარგებლობენ: სამუშაოს ძიების მიზნით 12-თვიანი ბინადრობის ნებართვის მიღების უფლება, გამარტივებული სავიზო პირობები და სხვა. აღსანიშნავია, რომ სტუდენტს აღნიშნული 12 თვის განმავლობაში სამუშოას დაწყების შემთხვევაში დამატებით აღარ სჭირდება სამუშაო უფლების მიღება და დამატებითი სავიზო პროცედურების გავლა. საფრანგეთში გამგზავრებამდე სტუდენტს შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს ორი, მისთვის სასურველი ტიპის ნებართვით. ერთი ეს არის სამსახურის ძიებისა ან/და საწარმოს შექმნის ნებართვა, ხოლო მეორე საფრანგეთში საკუთარი განათლებით შესაბამისი სამუშაოს ძიების პროცესს გულისხმობს. რაც შეეხება პროფესიონალების კატეგორიას. შეთანხმების ეს პუნქტი ფარავს ისეთ პრფესიათა მიმართულებებს, რომელიც დაკავშირებულია სახელობო საქმიანობასთან და მოითხოვს პრაქტიკულ ცოდნასა და გამოცდილებას. პროფესიათა არასრული ჩამონათვალიკი შემდეგია:

- მხურავი
- სადურგლო საკეტების დამმონტაჟებელი (დურგალი, ზეინკალი)
- სამშენებლო კომპლექსის მხაზველი
- ტოპოგრაფი
- სამშენებლო კომპლექსის ტექნიკურ შესწავლაზე პასუხისმგებელი პირი /მასწავლებელი/• მზარეული
- რესტორნის მრავალპროფილიანი თანამშრომელი
- რესტორნის ოფიციანტი
- ხორცის პროდუქტების დამამზადებელი (ყასაბი)

აღსანიშნავია, აღნიშნული შეთანხმების ეს პუნქტი პროფესიული განათლების პირებს აძლევთ უნიკალურ შესაძლებლობას შეიძინონ ახლალი პრაქტიკული უნარჩვევეი, რაც სამშობლოში დაბრუნების შემდგომ მათ სამუშაო პროცესში სასიკეთოდ გამოადგებათ.

რაც შეეხება შეთანხმებით გათვალისწინებულ კიდევ ერთ კატეგორიას - ახალგაზრდა სპეციალისტებს, რომელთა ასაკი 18-დან 35-წლამდე არიან შესაძლებლობა ეძლევათ საფრანგეთში კარიერული განვითარეის ეტაპი სწორედ საფრანგეთში გაიარონ. „ახალგაზრდა სპეციალისტებს“ უნდა ჰქონდეთ შეთავაზებული სამსახურისთვის საჭირო კვალიფიკაციის შესაბამისი დიპლომი და/ან პროფესიული გამოცდილება.

დროებითი ლეგალური დასაქმება სეზონურ სამუშაოზე გერმანიაში

(შეთანხმება „გერმანიიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სეზონურ სამუშაოზე ქართული სამუშაო ძალის დასაქმების შესახებ“)

2020 წლის 17 იანვარს, საქართველოს დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოსა და

გერმანიისფედერალური დასაქმების სააგენტოს - Bundesagentur für Arbeit (BA) შორის დაიდო შეთანხმება „გერმანიიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სეზონურ სამუშაოზე ქართული სამუშაო ძალის დასაქმების შესახებ“, რითაც შეიქმნა სამართლებრივი საფუძველი გერმანიაში საქართველოს მოქალაქეების ლეგალური დასაქმებისთვის.შეთანხმების მიზანია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სეზონურ სამუშაოზე ქართული სამუშაო ძალის დასაქმების ხელშეწყობა და ითვალისწინებს ადმინისტრაციული პროცესის გამარტივებას. კერძოდ, შეთანხმების თანახმად, სეზონურ სამუშაოებზე საქართველოს მოქალაქეების დასაქმებისათვის არ არის აუცილებელი იმის შემოწმება, არიან თუ არა სხვა ადგილობრივი თუ მათთან გათანაბრებული საერთაშორისო განმცხადებლები, რომელთაც შეუძლიათ და სურთ ამ სამუშაოს შესრულება, ანუ დასაქმება ხდება შრომის ბაზრის ტესტის გარეშე. შეთანხმება ითვალისწინებს საქართველოს მოქალაქეების დროებით ლეგალურ დასაქმებას სოფლის მეურნეობის დარგში. შეთანხმების თანახმად, საქართველოს მოქალქეები მაქსიმუმ 90 დღის ვადით შეძლებენ გერმანიის ფედერაცილ რესპუბლიკაში გამგზავრებასა და მუშაობას. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული შესაძლებლობით სარგებლობისთვის პირს არ მოეთხოება რაიმე სპეციფიური და ან დარგობრივი განათლება.

ერთ-ერთი ბოლო შეთანხმებაკი ისრაელის სახელმწიფოს მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის, ისრაელის სახელმწიფოში, შრომის ბაზრის კონკრეტულ სექტორებში საქართველოს მოქალაქეების დროებითი დასაქმებას ეხება. შეთანხმების თანახმად, საქართველოს მოქალქეებს 18-დან 45 წლამდე, ვისაც მინიმალური სამედიცინო განათლება ან შინ მოვლის გადამზადების კურსი აქვთ გავლილი, შანსი ეძლევათ პირველჯერზე ერთი წლით, ხოლო სამომავლოდ მაქსიმუმ ხუთი წლით დასაქმნდენ მოხუცებულთა მოვლის ცენტრებში.

გამოყენებული რესურსი

1. IOM საქართველო -შრომის მობილურობა და ადამიანის განვითარება https://georgia.iom.int/ge/%E1%83%A8%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90
2. მიგრაციული სალდო - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური https://www.geostat.ge/ka/modules/categories/322/migratsia
3. დასაქმება საფრანგეთში - IOM საქართველოს საინფორმაციო მასალა
4. საქართველოს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის 2019-2023 წლების ეროვნული სტრატეგი https://matsne.gov.ge/ka/document/view/4761408?publication=0
5. დროებითი ლეგალური დასაქმება სეზონურ სამუშაოზე გერმანიაში (შეთანხმება „გერმანიიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სეზონურ სამუშაოზე ქართული სამუშაო ძალის დასაქმების შესახებ“) – IOM საქართველოს საინფორმაციო მასალა

საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენცია
კონსტიტუციური ნორმის ზოგიერთი საკითხის განმარტებისათვის

ნიშნიანიძე ნინო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი

მიმოხილვითი ანალიზით დგინდება, რომ საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც საკონსტიტუციო კონტროლისა და ზედამხედველობის ორგანო, ძირითადი უფლებამოსილების – კანონის კონსტიტუციურობის შემოწმების პარალელურად, სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა დამატებით ფუნქციებსაც ახორციელებს. აღნიშნულ კომპეტენციათა კვლევა და მის საფუძველზე საქართველოს საკონსტიტუციო სივრცისათვის პრიორიტეტების გამოკვეთა, საქართველოს კონსტიტუციური სასამართლოს კომპეტენციის ოპტიმიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა და არსებითი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია.

საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციათა მოცემული ჩამონათვალი საერთო წარმოდგენას იძლევა ამ ინსტიტუტის არეალზე, მაგრამ ცალკეული ქვეყნების მაგალითზე იგი არა მარტო ინვარიანტულია, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოები თავად ახდენენ საკუთარ უფლებამოსილებათა დაკონკრეტებას, ვინაიდან კონსტიტუციასა და შესაბამის კანონში მათი კომპეტენცია მკაფიოდ არაა ჩამოყალიბებული.

საკონსტიტუციო სასამართლოების მიერ საკუთარი კომპეტენციის განვრცობითმა განმარტებამ, დადებითთან ერთად შესაძლოა გამოიწვიოს უარყოფითი შედეგებიც, რაც გამოიხატება თავად საკონსტიტუციო სასამართლოების მიერ კონსტიტუციური კანონიერების დარღვევაში. ეს განსაკუთრებით იმ სახელმწიფოებში ვლინდება, რომლების ე.წ. გარდამავალ პერიოდში ეკონომიკური და პოლიტიკური არასტაბილურობის პირობებში იმყოფებიან, რომელთა რიგებსაც სამწუხაროდ საქართველოც მიეკუთვნება. ამდენად, კომპეტენციათა მკაფიო დიფერენციაციას და პრობლებათა სწორ დიაგნოსტიკას ჩვენს შემთხვევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დატვირთვა ენიჭება.

ძირითადი ტექსტი

საკონსტიტუციო სასამართლოს თავისი გადაწყვეტილებით გააჩნია კონსტიტუციის განმარტების უფლებამოსილება, რაც უშუალო გამოხატულებას ჰპოვებს კონკრეტულ საქმეებზე მიღებულ გადაწყვეტილებებში. ამ გადაწყვეტილებებს სავალდებულო ძალა აქვს, როგორც მოსარჩელე, ასევე მოპასუხე სუბიექტისათვის, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმის კონკრეტულ გარემოებებთან მიმართებაში კონსტიტუციის დებულებების მნიშვნელობის ახსნა-განმარტება სავალდებულოა საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში მონაწილე ყველა სუბიექტისათვის.

საკონსტიტუციო სასამართლოს სპეციალურ უფლებამოსილებას მიეკუთვნება კონსტიტუციის ოფიციალური განმარტება.

კონსტიტუციის განმარტება შეუძლია ნებისმიერ ორგანოსა და ნებისმიერ პირს, მაგრამ კონსტიტუციის ასეთი განმარტება სავალდებულო ხასიათს არ ატარებს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც კანონს განმარტავს მისი მიმღები საკანონმდებლო ორგანო. უდავოა, ასეთი განმარტება, ზუსტად ასახავს კანონის მნიშვნელობას, მაგრამ საქმე გვაქვს აუთენტურ განმარტებასთან, რომელიც არაპოზიტიურია.

კონსტიტუცია არის კანონის განსაკუთრებული სახე, ის სახელმწიფოს ძირითადი (მთავარი) კანონია. სხვადასხვა სახელმწიფოში მისი მიღების განსხვავებული წესი არსებობს. კონსტიტუციის მიღება პარლამენტის გარდა შეუძლია სადამფუძნებლო ორგანოებს, საერთო – სახალხო რეფერენდუმს. ასეთ შემთხვევაში კი საკანონმდებლო ორგანოს მიერ კონსტიტუციურ დებულებათა განმარტება შეიძლება საეჭვო გახდეს.

კონსტიტუციურ თეორიაში რეგლამენტირებულია კონსტიტუციის განმარტების იურიდიული ხერხი - კონსტიტუციის განმარტება კომპეტენტური და ობიექტური არბიტრის მეშვეობით, მსოფლიო

პრაქტიკის მიხედვით, ასეთი არბიტრის როლს ასრულებს საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი სასამართლო მექანიზმი, საკონსტიტუციო სასამართლო, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა იერარქიაში და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით, სამართლებრივი სახელმწიფოს რეალიზაციის გზაზე.

ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონში ხაზგასმულია, რომ ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლო არის კონსტიტუციის უზენაესი განმმარტებელი. კონსტიტუციის განმარტებას ახორციელებენ ალბანეთის, ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის, მოლდავეთის, სლოვაკეთის, ირანის, ყირგიზეთის, უზბეკეთის, აგრეთვე, აფრო-აზიური ქვეყნების (ტაივანი, შრილანკა, მადაგასკარი, ნამიბია, სუდანი, ეთიოპია და სხვა) საკონსტიტუციო სასამართლოები.

რუსეთის ფედერაციის კონსტიტუცია და ფედერალური კონსტიტუციური კანონი "რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ითვალისწინებს რფ-ს საკონსტიტუციო სასამრთლოს მიერ კონსტიტუციის განმარტებას. ასეთ უფლებამოსილებას საკონსტიტუციო სასამართლო ახორციელებს პრეზიდენტის, ფედერაციის საბჭოს, სახელმწიფო დუმის, რუსეთის ფედერაციის მთავრობის, რუსეთის ფედერაციის სუბიექტთა საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოების თხოვნის საფუძველზე (კონსტიტუციის 125-ე მუხლის მე-5 ნაწილი, "რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ფედერალური კონსტიტუციური კანონის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის მე-4 პუნქტი).

საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენცია კონსტიტუციის განმარტებაზე შეიძლება შემოფარგლული იქნეს საკითხთა გარკვეული წრით. მაგალითად, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს საქმეებს ძირითადი კანონის განმარტების თაობაზე, რომელიმე უმაღლესი ფედერალური ორგანოს უფლებამოსილების დავასთან დაკავშირებით. კონსტიტუციის განმარტების მიმართვის განმცხადებელი და მხარე, რომლის წინააღმდეგაც არის მიმართული განმარტება, შეიძლება იყოს: ფედერალური პრეზიდენტი, ბუნდესტაგი, ბუნდესრატი, ფედერალური მთავრობა და სახელმწიფო ორგანოების ქვედანაყოფები.

გერმანიის კანონმდებლობით განსაზღვრულია კონსტიტუციის განმარტების თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვის ექვსთვიანი ვადა, იმ მომენტიდან როცა განმცხადებლითვის ცნობილი გახდა მისი კონსტიტუციური უფლების დარღვევის შესახებ. იმ შემთხვევაში, როდესაც კონსტიტუციის განმარტებისას, მიწის საკონსტიტუციო სასამართლოს მასაზრება არ დაემთხვევა ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს ან მიწის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, ასეთ შემთხვევაში(მეორდება და არ უნდა) კონსტიტუციის განმარტების უფლებამოსილება გააჩნია გერმანიის ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს.

რაც შეეხება სლოვაკეთის საკონსტიტუციო სასამრთლოს, სადავო შემთხვევაში გააჩნია კონსტიტუციისა და კანონების განმარტების უფლებამოსილება.

რიგ სახელმწიფოებში საკონსტიტუციო სასამართლოებს მინიჭებული აქვთ სხვა უფლებამოსილებებიც:

1. ავტონომიური წარმონაქმნების, თვითმართვადი ტერიტორიული გაერთიანებების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, კონფესიული საზოგადოებების საქმიანობაში სახელმწიფოს უკანონო ჩარევის თაობაზე კონსტიტუციური საჩივრების განხილვის უფლებამოსილება (ჩეხეთი, გფრ, შვეიცარია).
2. ინდივიდის ცალკეული საქმიანობის უკანონოდ ჩამორთმევის კონსტიტუციურობის თაობაზე საჩივრის განხილვის უფლებამოსილება.
3. სახელმწიფოს მეთაურისა და სახელმწიფოს სხვა უმაღლესი თანამდებობის პირების, უფლებამოსილებების ვადამდე შეწყვეტის კონსტიტუციური საფუძვლების დადგენის უფლებამოსილება..
4. უფლებამოსილებები სამხედრო, საგანგებო მდგომარეობის შემოღების ან ქვეყანაში კონსტიტუციური წესწყობილებილების საფრთხის დაკავშირებული ღონისძიებების

შესახებ დასკვნების მიცემის უფლებამოსილება.

5. საკანონმდებლო ინიციატივის უფლება.
6. კონსტიტუციური იურისდიქციის განხორციელების შესახებ მოხსენებების ყოველწლიური გზავნილების უფლება.

ჩვეულებრივ, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება, მაგრამ არსებობს გამონაკლისი: არაკონსტიტუციურად ცნობილი კანონი ხელახალი განხილვის მიზნით, უკან უბრუნდება პარლამენტს, თუ კანონმდებელს დადგენილ ვადაში არ ძალუძს გააუქმოს არაკონსტიტუციური დებულებები, გარკვეული პერიოდის შემდეგ მათ ბათილად ცნობს საკონსტიტუციო სასამართლო (პოლონეთი, გერმანია).

კონსტიტუციურ თეორიაში არანაკლებ მნიშვნელოვანია საკითხი კონსტიტუციური კანონებისა და სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების ან მათი ცალკეული დებულებების მოქმედების შეწყვეტისა და იურიდიული ძალის არმქონედ გამოცხადების შესახებ, რომლიდანაც წყდება მათი ან ცალკეული დებულებების მოქმედება. როგორც სხვადასვა ქვეყნების პრაქტიკა გვიჩვენებს, ნორმატიული აქტის ბათილად ცნობის შესახებ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება მოქმედებას იწყებს გამოქვეყნების მომენტიდან; გამოქვეყნების შემდგომი დღიდან; ოფიციალურად გამოქვეყნების შემდეგ; ოფიციალურად გამოქვეყნების დღიდან გარკვეული ვადის გასვლისთანავე; დაინტერესებული ორგანოებისა და პირებისთვის ოფიციალურად გადაცემის მომენტიდან.

არსებობს შემთხვევები, როდესაც კანონი ცხადდება არაკონსტიტუციურად, მაგრამ არა ბათილად. საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია დაადგინოს თარიღი, რომლის შემდეგ კანონის გაუქმება შედის ძალაში (საქართველო, სლოვაკეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის თანახმად, თუ თავის გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლო დაადგენს, რომ კონსტიტუციაში მითითებულ სამართლებრივ აქტებს შორის ადგილი აქვს შეუსაბამობას, მაშინ ის ორგანოები, რომლებმაც ეს აქტები გამოსცეს, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნების დღიდან ექვს თვემდე ვადაში, ვალდებულნი არიან ისინი მოიყვანონ კონსტიტუციასთან, სხვა კანონებთან და ზოგადსავალდებულო სამართლებრივ აქტებთან, საერთაშორისო ხელშეკრულებებთან ესაბამისობაში. თუ დადგენილ ვადაში არ შესრულდება კონსტიტუციური სასამართლოს გადაწყვეტილება, ამ ვადის გასვლის შემდეგ, ასეთი ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები, ან მათი ცალკეული დებულებები კარგავენ ძალას.

პრაქტიკულ ინტერესს იწვევს საკითხი კანონის საფუძველზე მიღებული სასამართლო, ადმინისტრაციული და სხვა სამართალგამომყენებითი აქტების მოქმედების შესახებ, რომლებიც შემდგომში ცნობილ იქნა არაკონსტიტუციურად. ერთის მხრივ, აუცილებელია ყოველგვარი სამართალგამოყენებითი გადაწყვეტილების სტაბილურობა, ხოლო, მეორეს მხრივ, ის არ უნდა იყოს არამართლზომიერი და ანტიკონსტიტუციურ ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებზე დაფუძნებული. ცხადია, რომ სასამართლოთა განაჩენები სისხლის სამართლის საქმეზე, ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევების საქმეზე გადაწყვეტილებები, რომლებიც გამოტანილია არაკონსტიტუციურ კანონებზე დაყრდნობით, ექვემდებარებიან გადახედვას, რადგან ადგილი არ შეიძლება ჰქონდეს არაკონსტიტუციური კანონების საფუძველზე გამოტანილ სასამართლო, ადმინისტრაციულ და სხვა სამართალგამოყენებითი გადაწყვეტილებების აღსრულებას. ყველა შემთხვევაში, არაკონსტიტუციურად კანონის ან კანონქვემდებარე ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების აღიარების შედეგები უნდა იყოს რაციონალური, კონსტიტუციის უზენაესობის პრინციპის დაცვის, პიროვნების კანონიერი ინტერესების, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით.

კომპეტენციის შესახებ საკონსტიტუციო დავების გადაჭრისას ჩნდება პრაქტიკული ინტერესის მქონე რიგი საკითხები. უპირველეს ყოვლისა, პრაქტიკაში უნდა გადაიჭრას საკითხი საკმარისია თუ არა მხარის შუამდგომლობა აბსტრაქტული სახით კომპეტენციის შესახებ დავის გადაჭრის თაობაზე. მაგალითად, მხარის კონსტიტუციური უფლების კონკრეტულ დარღვევაზე მითითების გარეშე უფლების ან ვალდებულების არსებობის შესახებ, ანდა რამდენად საჭიროა დავის საგნის მქონე ასეთი დარღვევის კონკრეტული აქტის ან გარემოების მითითება, ე.ი. საქმის ყველა ფაქტიური გარემოების

გადმოცემა. საკითხის აბსტრაქტული დაყენება, როგორც ჩანს, მეტყველებს კონსტიტუციის დებულებათა განმარტების აუცილებლობის შესახებ, (მაგრამ ამ შემთხვევაშიც საჭიროა კონკრეტულ გარემოებათა მითითება, რომლებიც იძლევიან საფუძველს ესა თუ ის დებულება განსაღრულობისას, რომელსაც სჭირდება სპეციალური განმარტება). ამიტომ კომპეტენციის შესახებ საკონსტიტუციო დავაში აუცილებელია საკითხის კონკრეტული დაყენება.

რიგ ქვეყნებში დგინდება დროებითი ზღვარი კომპეტენციის შესახებ დავის ინიცირებისთვის (ავსტრიაში – ოთხი კვირა, გფრ-ში ექვსი თვე მას შემდეგ, რაც მხარემ გაიგო მისი კონსტიტუციური უფლების დარღვევის შესახებ). ამ პროცედურის მიხედვით საკონსტიტუციო სასამართლოში მიმართვის ვადების დადგენის სასარგებლოდ მეტყველებს ის, რომ მსგავსი შეზღუდვა საკონსტიტუციო სასამართლოს ანთავისუფლებს მოძველებული, აქტუალობა დაკარგული საქმეების განხილვისაგან.

საკონსტიტუციო სასამართლოში პროცესის აღძვრისათვის წინაპირობა შეიძლება იყოს წინასწარი წესით შემთანხმებლური პროცედურების გამოყენების აუცილებელი მოთხოვნის შესრულება, რამაც შეიძლება მოხსნას არა მარტო დავის სიმწვავე, არამედ თვით დავაც.

სუბიექტთა წრე, რომლებსაც აქვთ საკონსტიტუციო სასამართლოში პროცედურის ინიცირების უფლება, უპირველეს ყოვლისა, მოიცავს მოდავე მხარეებს. თუმცა არ არის გამორიცხული კონსტიტუციურ სასამართლო წარმოებაში კომპეტენციის შესახებ დავის თაობაზე სახელმწიფო მეთაურის, როგორც კონსტიტუციის გარანტის, პარლამენტის, მთავრობის სხვა დაინტერესებული წარმომადგენლების მონაწილეობა და სხვა კომპეტენციის შესახებ დავის თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ატარებს კონსტიტუციის ხასიათს. საკონსტიტუციო სასამართლოს ავტორიტეტი არის იმის გარანტი, რომ მოდავე მხარეები შემდგომში თავიანთ მოქმედებებში მკაცრად გაიზიარებენ საკონსტიტუციო სასამართლოს აზრს.

რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაჭრილი თითქმის ყველა საქმე, ასე თუ ისე, ეხება მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის საკითხებს. რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლომ 1995 წლის 31 ივლისის დადგენილებაში ე.წ. "ჩეჩნეთის საქმეზე" რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის სამი ბრძანებულებისა და რუსეთის ფედერაციის მთავრობის დადგენილების კონსტიტუციურობის შემოწმების თაობაზე, მოახდინა კონსტატირება იმისა, რომ 1991-1994 წლებში ჩეჩნეთის რესპუბლიკის - რუსეთის ფედერაციის სუბიექტის ტერიტორიაზე ადგილი ჰქონდა ადამიანის უფლებების მასობრივ დარღვევებს; რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტისა და მთავრობის მიერ მიღებული ზომები, მათ შორის შეიარაღებული ძალების (ჯარის) გამოყენება მიმართული იყო რუსეთის სახელმწიფოს მთლიანობის შენარჩუნებისკენ, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფისკენ; მითითებული ზომების რეალიზაციის მსვლელობაში ადგილი ჰქონდა 1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის კონვენციების დამატებითი ოქმის წესების დაუცველობის ფაქტებს, რომლებიც ეხებოდა არა საერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვას (ოქმი II). საკონსტიტუციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ "მთავრობის დადგენილებით დარღვეულია მოქალაქეთა რიგი კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები", ხაზგასმით აღნიშნა, რომ "რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის 52 და 53 მუხლებსა და '"სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ" საერთაშორისო პაქტის (მე-2 მუხლის 3 პუნქტი) შესაბამისად, ნებისმიერი დარღვევებისაგან, დანაშაულებისაგან და ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისაგან დაზარალებულებისთვის უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებები და მიყენებული ზარალის კომპენსაცია", შიდა, "ჩეჩნური" პრობლემის გადაჭრაში შეიარაღებული ძალების (ჯარის) გამოყენებასთან დაკავშირებით, რამაც მოგვიყვანა ადამიანის უფლებათა მნიშვნელოვან დარღვევამდე, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტისა და მთავრობის შესაბამისი მოქმედებებისა და დადენილი ფაქტების უფრო მკაცრი კონსტიტუციურ-სამართლებრივი შეფასებები გადმოცემული იქნა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის განსაკუთრებულ აზრში.

მოქალაქეთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მიზნით, რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს საკანონმდებლო ინიციატივის

უფლება თავისი გამგებლობის საკითხებში და რუსეთის ფედერაციის ფედერალური სათათბიროსადმი წინადადებების უფლება.

გერმანიაში თემებს ან მათ ასოციაციებს უფლება აქვთ შეიტანონ საჩივრები აქტის არაკონსტიტუციურობაზე, ე.ი. უფლება აქვთ მოახდინონ საკანონმდებლო აქტების სპეციალური ინდივიდუალური კონტროლის პროცედურის იმიტირება. სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფის ცნობისა და კონფესიური საზოგადოებების ავტონომიური სფეროს ცნობის გამო, შესაძლებელია მათთვის საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლების მინიჭება იმის საფუძველზე, რომ მათი ავტონომიისა და თვითმმართველობის კონსტიტუციურად ცნობილი სფერო დარღვეულ იქნა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ. გერმანიაში რელიგიურ საზოგადოებებს შეუძლიათ მიმართონ კონსტიტუციური საჩივრებით, თუ მათი ფუნდამენტური უფლება აღმსარებლობის თავისუფლებაზე დარღვეულ იქნა მათი ავტონომიურ სფეროში შემოჭრით.

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქციას მიეკუთვნება იმ საქმეების გადაჭრა, რომლებიც დაკავშირებული არიან ზოგიერთი კონსტიტუციური უფლების ჩამორთმევასა და მათი ჩამორთმევის მოცულობის განსაზღვრასთან, - იმ კონსტიტუციური უფლებებისა, რომლებიც შეეხებიან აზრთა გამოხატვის თავისუფლებას იმ შემთხვევაში, თუ ეს უფლებები გამოიყენება თავისუფალი დემოკრატიული წესწყობილების საფუძვლების წინააღმდეგ ბრძოლისთვის. ძირითადი კანონის თანახმად, ეს პრესის, სწავლების, შეკრებების, კავშირებისა და საზოგადოებების შექმნის თავისუფლებებია, მიმოწერის, საფოსტო, სატელეგრაფო, სატელეფონო და სხვა კავშირი საიდუმლოა, საკუთრების უფლება და თავშესაფრის უფლება. საკონსტიტუციო სასამარ-თლოს უფლებამოსილებათა მოცემული სახე განიხილება როგორც "დაცვადი დემოკრატიის" გარანტია. გფრ-ს ძირითადი კანონის ავტორთა განზრახვა მდგომარეობდა ცალკეული ინდივიდების მხირდან უფლებებისა და თავისუფლებების ბოროტად გამოყენების შემთხვევათა თავიდან აცილებაში, მათი თვითდაშლის საწინააღმდეგოდ. საკონსტიტუციო სასამართლოსთვის ასეთი უფლების მინიჭება ითვლება უფრო გამართლებულად, ვიდრე ანალოგიური უფლების მინიჭება სხვა ორგანოებისთვის, რომლებსაც შეეძლოთ მისი გამოყენება ოპოზიციასთან ბრძოლაში. გერმანიის ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს ჰქონდა ასეთი სახის საქმეების განხილვის ორი შემთხვევა (1970 და 1974 წლებში). მაგრამ ორივე შემთხვევაში ინდივიდებს არ ჩამოერთვათ კონკრეტული კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები.

მსოფლიო პრაქტიკაში კონსტიტუციები, ჩვეულებრივ შემოიფარგლებიან ზოგადი მითითებებით იმაზე, რომ უფლებები და თავისუფლებები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა პირების საზიანოდ. მოქალაქეთა უფლებების შეზღუდვის, ჩამორთმევის საფუძვლებსა და წესს, მათ შორის უფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევაშიც, ადგენენ კონსტიტუციები და კანონები. ამ დროს წარმოქმნილი დავა შეიძლება გადაჭრილ იქნეს კანონით დადგენილი წესით, მათ შორის, მოქალაქის მიერ კონსტიტუციური საჩივრის ან საკონსტიტუციო სასამართლოში სახალხო საჩივრის წარდგენის გზით;

კონსტიტუციები ითვალისწინებენ პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტის, სახელმწიფოს სხვა უმაღლესი თანამდებობის პირების უფლებამოსილებათა ვადამდელი შეწყვეტის შესაძლებლობას, ჯამრთელობის მდგომარეობის გამო მათთვის მინიჭებული უფლებამოსილებების განხორციელების ხანგრძლივი უუნარობის შემთხვევაში. მათი უფლებამოსილებები შეიძლება ვადამდე იქნეს შეწყვეტილი გადადგომის შემთხვევაში, ასევე სხვა საფუძვლებით. ამ პროცედურის განხორციელებაში, აგრეთვე, პრეზიდენტისა და სახელმწიფოს სხვა უმაღლესი თანამდებობის პირების უფლებამოსი-ლებათა ვადამდელი შეწყვეტის საფუძვლების კონსტიტუციურობის შემოწმებაში, შეიძლება მონაწილეობდნენ საკონსტიტუციო სასამართლოები. ასეთი უფლებამოსილებები გააჩნიათ ანდორის, სომხეთის, ბულგარეთის, ლატვიის, მოლდავეთის, პორტუგალიის, რუმინეთის, ხორვატიის, კვიპროსის, ალჟირისა და სხვა საკონსტიტუციო სასამართლოებს.

პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის უფლებამოსილებათა განხორციელების მუდმივი შეუძლებლობის ფაქტს ადგენს ბულგარეთის საკონსტიტუციო სასამართლო. საკონსტიტუციო სასამართლო ადგენს, აგრეთვე, საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილ პრეზიდენტის ან ვიცე-

პრეზიდენტის გადადგომის განცხადებაში ჩამოყალიბებულ გარემოებებს. ასეთ შემთხვევაში ვადამდე წყდება მათი უფლებამოსილებები.

სომხეთის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლო იძლევა დასკვნას რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ თავისი უფლებამოსილებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ, მძიმე ავადმყოფობის ან სხვა დაუძლეველი დაბრკოლებების არსებობის შემთხვევაში. საბოლოო გადაწყვეტილებას რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ თავისი უფლებამოსილებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ ღებულობს ეროვნული კრება, დეპუტატთა საერთო რაოდენობიდან არანაკლებ ხმათა ორი მესამედით მთავრობის წინადადებით და საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნის საფუძველზე.

რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოს, წინანდელი კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 165-ე მუხლის შესაბამისად, გააჩნდაG ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, Yხანგრძლივი უუნარობის არსებობის შემთხვევაში, სახელმწიფო სამედიცინო კომისიის წარდგინების საფუძველზე, შესაბამისი ფედერალური თანამდებობის პირის, აგრეთვე, რესპუბლიკის, მხარის, ოლქის, ავტონომიური ოლქის, ფედერალური მნიშვნელობის ქალაქის თანამდებობის პირის თანამდებობიდან გადაყენების უფლებამოსილება.

ამჟამად საკონსტიტუციო სასამართლოს არ გააჩნია უფლებამოსილება შეამოწმოს სახელმწიფოს მეთაურისა და სახელმწიფოს სხვა უმაღლესი თანამდებობის პირების ქმედითუნარიანობა, ან დაადგინოს მათი უფლებამოსილებების ვადამდელი შეწყვეტის სხვა საფუძვლები. საკონსტიტუციო სასამართლოს ასეთი სახის უფლებამოსილებები შეიძლება გათვალისწინებული იქნეს მხოლოდ ფედერალური კონსტიტუციური კანონით (მაგრამ არა ფედერალური კანონით);

კონსტიტუციები და კანონები არეგულირებენ სამართლებრივ დებულებებს ექსტრაორდინალური, ფორსმაჟორული სიტუაციების შემთხვევისთვის (საგანგებო, სამხედრო, მდგომარეობის, ბუნებრივი უბედურებებისა და კატასტროფების, ფედერალური "ინტერვენციის" და ა.შ. შემთხვევისთვის), რაც ზოგჯერ დაკავშირებულია ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფ-ლებების მნიშვნელოვან შეზღუდვასთან.

რიგ სახელმწიფოებში საკონსტიტუციო სასამართლოებს ენიჭებათ უფლებამოსილებები ასეთი სახის განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმის შემოღების საფუძველზე და წესის კონსტიტუციურობის შემოწმებაზე.

უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარესთან და პრემიერ-მინისტრთან ერთად ადგენს საომარი მდგომარეობის, სტიქიური უბედურების, საგანგებო მდგომარეობის, და ა.შ. გამოცხადების დასაბუთებულობას.

სომხეთის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლო იძლევა დასკვნას სომხეთის კონსტიტუციის 55-ე მუხლის 13 და 14 პუნქტებით გათვალისწინებულ ღონისძიებებზე, რომელთა შესაბამისად, რესპუბლიკის პრეზიდენტი იღებს გადაწყვეტილებას შეიარაღებული ძალების გამო-ყენების შესახებ რესპუბლიკაზე შეიარაღებული თავდასხმის, უშუალო საფრთხის არსებობის, ან ეროვნული კრების მიერ ომის გამოცხადების შემთხვევაში. საკონსტიტუციო სასამართლოს გააჩნია საომარი მდგომარეობის შემოღების უფლებამოსილება, მის კომპეტენციაში შედის აგრეთვე, საყოველთაო ან ნაწილობრივი მობილიზაციის გამოცხადება, ხოლო, როდესაც უშუალო საფრთხე ემუქ-რება კონსტიტუციურ წესწყობილებას, ეროვნული კრების თავმჯდომარესთან და პრემიერ-მინისტრთან კონსულტაციების შემდეგ, ახორციელებს სიტუაციით ნაკარნახევ ღონისძიებებს და გზავნილით მიმართავს ხალხს.

რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციაში განმტიცება ჰპოვეს საგანგებო და სამხედრო მდგომარეობის სამართლებრივმა რეჟიმებმა. რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოს არ აქვს მინიჭე-ბული რაიმე უფლებამოსილება საზოგადოებრივი ურთიერთიბების მოცემულ სფეროში.

რიგ სახელმწიფოებში საკონსტიტუციო სასამართლოებს გააჩნიათ საკანონმდებლო ინიციატივის უფლება. ასეთი უფლების არსებობის წინააღმდეგ საკონსტიტუციო სასამართლო რეზონულად აყენებს არგუმენტს იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შემოთავაზებული კანონპროექტი

შეიძლება გახდეს მისი განხილვის საგანი, რაც აისახება მის ობიექტურობაზე. არ არის ნათელი, თუ ვინ განახორციელებს წინასწარ კონსტიტუციურ კონტროლს (იქ, სადაც ის არსებობს) საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წამოყენებული კანონპროექტების მიმართ. ამიტომ მრავალ ქვეყანაში კონსტიტუციურ სასამართლოებს არ აქვთ ასეთი უფლება.

რფ-ს კონსტიტუციას შეჰყავს საკონსტიტუციო სასამართლო იმ სუბიექტების რიცხვში, რომლებსაც გააჩნიათ საკანონმდებლო ინიციატივის უფლებამოსილება. თუმცა შენიშნავს, რომ ეს უფლება განხორციელებადია "მისი გამგებლობის საკითხებში" (104-ე მუხლის I ნაწ.). ეს ფორმულა გამეორებულია "რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ფედერალური კონსტიტუციური კანონის 3 მუხლის პირველი ნაწილის 6 პუნქტში. ფორმულა არასაკმარისად ნათელია. ამიტომ მისი შინაარსის მოცულობას საზღვრავს თვით საკონსტიტუციო სასამართლო. რფ-ს საკონ-სტიტუციო სასამართლომ გამოიყენა საკანონმდებლო ინიციატივის უფლება და 1994 წელს სახელმწიფო დუმაში წარმოადგინა "რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ფედერალური კონსტიტუციური კანონის პროექტი.

წინადადება საკანონმდებლო ინიციატივით გამოსვლის შესახებ საკითხზე, რომელიც მიეკუთვნება საკონსტიტუციო სასამართლოს წარმოებას, შეიძლება შეტანილ იქნეს საკონსტიტუციო სასამართლოს ნებისმიერი მოსამართლის მიერ. ამ დროს მოსამართლეს შეუძლია წარმოადგინოს კანონპროექტის ტექსტი, ან კანონპროექტის შესწორების ტექსტი, ან ახალი ფედერალური კანონის შემუშავებისა და მიღების შესახებ საკანონმდებლო წინადადების ტექსტი. კანონპროექტზე ან საკანონმდებლო წინადადებაზე მუშაობისათვის საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა რიცხვიდან შეუძლია შექმნას მოსამზადებელი კომისია. კანონპროექტის ან საკანონმდებლო წინადადების ტექსტის შესადგენად და საჭირო მასალების მოსამზადებლად შეიძლება შეიქმნას აგრეთვე მუშა ჯგუფი საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის თავმჯდომარეობით. საკონსტიტუციო სასამართლო საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს ან ერთ-ერთ მოსამართლეს ავალებს მონაწილეობა მიიღოს ფედერალური კრების პალატების სხდომებში, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შეტანილი კანონპროექტის ან საკანონმდებლო წინადადების გასვლასთან დაკავშირებით;

საკონსტიტუციო სასამართლოების საკანონმდებლო უფლებამოსილებებს გააჩნია, როგორც ნეგატიური ასევე პოზიტიური მხარე. საკონსტიტუციო სასამართლოს ნეგატიური საკანონმდებლო უფლებამოსილებები, გამოიხატება - კანონის ან მისი ცალკეული დებულებების გაუქმების თაობაზე გადაწყვეტილებების მიღებაში თუმცა ამავდროულად საკონსტიტუციო სასამართლოები შებოჭილნი არიან გარკვეული შეზღუდვებით (მაგალითად, პოლიტიკურ პროცესებშიGჩარევა, კანონის დისკვალიფიკაცია მხოლოდ კონსტიტუციისადმი მისი შეუსაბამობისას და არა კანონის რეალიზაციის პროცესში მცირე ეფექტურობის გამოვლენისას, მისი მიზანშეწონილობის შესახებ).

ზოგადად, კანონს ღებულობს პარლამენტი, ამაში მდგომარეობს მისი პოზიტიური საკანომდებლო უფლებამოსილებების შინაარსი. საკონსტიტუციო სასამართლო კი ხელს უწყობს პარლამენტს თავიანთი პრიორიტეტული საკანონმდებლო უფლებამოსილებების უფრო აქტიურ და მიზანმიმართულ განხორციელებაში. ამჟამად შეინიშნება საკონსტიტუციო სასამართლოების მოძრაობა მათ მიერ პოზიტიური საკანონმდებლო უფლებამოსილებების ცალკეულ ელემენტთა განხორციელების მიმარ-თულებით. გარკვეულ ფარგლებში ასეთი უფლებამოსილებები მინიჭებული აქვთ საკონსტიტუციო სასამართლოებს ავსტრიაში, ბრაზილიაში, უნგრეთში, გემანიაში, იტალიაში, პორტუგალიაში, პოლონეთსა და სხვა სახელმწიფოებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წ.
2. "საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი, 1996 წ.
3. ჯ. ხეცურანი, „საქართელოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფებამოსილება", თბილისი,

2020წ. გამომც.„ფავორიტი სტილი“/
4. ო. მელქაძე, კ. ყურაშვილი. რუსეთის სახელმწიფო სისტემა. გამომცემლობა “უფლება”, თბილისი, 1997 წ.
5. Garlicki, leszek. “The influence of American Ideas on the Development of Constitutionalism in Poland and Eastern Europe”. In Constitutionalism and Human Rights: America, Poland and France, editied by Kenneth Thompson and J.R.Ludwikowski, University Press of America, 1991.
6. Gionea, V. “Decisions of the Constitutional court and Theier Effects”. In the role of the Constitutional Court in the Constitutional of the rule of law. Strasbourg: Council of Europe Press, 1994
7. Сафонов В.Е. Зарубежные системы конституционного контроля: проблемы теории и практика // Российский судья. 2002. № 4.
8. Конституция Российской Федерации. - М.: Юридическая литература. 1993.
9. Muller Z.F. Lerbuch der Verfassungsgerichtsbarkeit – Verfassungsprozebrecht. Heiden berg. 1991; Государственное право Германии. М. т. 1-2, 1994 г.
10. გერმანიის კონსტიტუცია, 1949 წ.
11. Gross I. Gruzinska. Constitutionalism in East Central Europe:Discussions in Warsaw. December 14-15, 1992; Budapest, December 17-18, 2992;prague, January 28-29, 1993; Bratislava: Czecho-Slovak Committee of the European Cultural Foundation, 1994.
12. Давудов С.К., Шапиева О.Г. Проблемы становления и развития органов конституционного контроля в субъектах Российской Федерации // Вестник Конституционного Суда Российской Федерации. 1997. № 3.
13. Демин В. Судебный контроль за законностью актов органов местного самоуправления // Российская юстиция. 2001. № 6.

ადამიანური რესურსების მართვა საჯარო სექტორში

სამადაშვილი მანანა
პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბებიაშვილი ნატო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

საჯარო სექტორში, ისევე როგორც კერძო სექტორში ორგანიზაციების უმთავრესი მიზანია უმაღლესი ხარისხის შესაბამისი ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფა და მათი ეფექტიანი გამოყენება ორგანიზაციის საკეთილდღეოდ, რათა ორგანიზაციის მისია, სტრატეგიული მიზნები და კონკრეტული ამოცანები შესრულდეს სრული შესაბამისობით და ეფექტურად.

ორგანიზაციის სტრუქტურული ქვედანაყოფები, პერსონალის მუშაობის პროცესი, მისი მუშაობის მონიტორინგი, სამუშაოს შესრულების შეფასება წარმოადგენს პერსონალის რეალურად ეფექტური მუშაობის პროცესს საჯარო სექტორში.

ამგვარად, საჯარო სექტორის თანამშრომლებისა და დამსაქმებლების მიერ შესრულებულმა სამუშაომ უნდა უზრუნველვყოს ძლიერი საჯარო სექტორი, რომელსაც შეუძლია ამ როლებისა და პასუხისმგებლობების მაღალ დონეზე შესრულება. სააგენტოს ადამიანური რესურსების მართვის წესმა შეიძლება ხელი შეუშალოს ან გაზარდოს ეს შესაძლებლობები.

მნიშვნელოვანია, რომ მეტი კვლევა განხორციელდეს საჯარო სექტორის სააგენტოების კონკრეტულ საჭიროებებზე და ასევე ძირითადი დაინტერესებული მხარეების (მათ შორის, პრაქტიკოსი და მკვლევარები) მუდმივად აფასებდნენ ადამიანური რესურსების პოლიტიკისა და პრაქტიკის გავლენას საჯარო სექტორში.

საკვანძო სიტყვები: ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, ადამიანური რესურსების მართვის კონცეფციები, საჯარო სექტორი, ციფრული ტექნოლოგია

ძირითადი ტექსტი

საჯარო სექტორში ახალი ტექნოლოგიების გამოყენება ითხოვს ადამიანური რესურსების გამოყენებისათვის სპეციალიზებულ ფუნქციებს და ახალ საჭიროებებს.

ახალი ტექნოლოგიების დანერგვის შედეგად გამოყენებული მეთოდები იძლევა სამუშაო პროცესების გამარტივების საშუალებას. კერძოდ, ციფრული ტექნოლოგია მოითხოვს სამუშაო სტილისა და პროცედურების შეცვლას, ხოლო კონკურენტუნარიანმა პროფესიონალებმა წვლილი უნდა შეიტანონ ადამიანების სამუშაო გამოცდილების გაუმჯობესებაში. ადამიანური რესურების მართვამ ხელს უნდა შეუწყოს მიზნებისა და ამოცანების წარმატებით შესრულებას.

აუცილებელია თანამედროვე პერსონალის დაქირავება და მათი მომზადება ციფრული ტექნოლოგიის ათვისების და გამოყენების თვალსაზრისით. ტექნოლოგია ხელს უწყობს ჩვენი ცხოვრების გარდაქმნას უკეთესობისკენ.

ადამიანური რესურსების მართვა ეხება ისეთი საკითხების განხილვასაც, როგორიცაა სამუშაო სტრესი, თანამშრომელთა მოტივაცია, ხელმძღვანელობა, ორგანიზაციული ცვლილებები და მენეჯმენტის განათლება.

საჯარო სექტორში ადამიანური რესურსების მართვა ეხება სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სააგენტოების მიერ მიწოდებული საქონლისა და მომსახურების მნიშვნელობას და მათ გავლენას საზოგადოებრივ უსაფრთხოებაზე, სოციალურ საკითხებზე.

ერთიანობა და ეროვნული კეთილდღეობა - ეს სერვისები მოიცავს მომხმარებლებთან ურთიერთობის ისეთ სფეროებს როგორიცაა ჯანმრთელობის დაცვა, განათლება, პოლიცია და ოჯახის დამხმარე მომსახურება, დაწყებული საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის ოპერაციებით, რომლებიც

დაკავშირებულია გზების მოვლასთან, საზოგადოებრივ ტრანსპორტთან, წყალთან და კანალიზაციასთან და კომუნალური მომსახურება. ასევე არსებობს ცენტრალიზებულად ადმინისტრირებული სერვისები, რომლებიც მოიცავს, მაგალითად, კეთილდღეობის ანაზღაურებისა და ჯანმრთელობის შეღავათების დარიგებას, შრომის ბაზრის შესაძლებლობების გამოვლენას, პასპორტების გაცემას, საგადასახადო დეკლარაციების შემოწმებას და მიგრაციის საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებას.

საჯარო მოხელეების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებსა და მათ მიერ განხორციელებული ქმედებები მნიშვნელოვნად უნდა აისახოს დაინტერესებული მოქალაქეების უსაფრთხოებაზე, მათ კეთილდღეობასა და ცხოვრების სტანდარტებზე.

ხარჯების შემცირების სერიოზული სტრატეგიები, როგორიცაა თანამშრომლების გათავისუფლება და ხელფასების გაყინვა ყველაზე მწვავე პრობლემაა, რომელიც ამჟამად საზოგადოებრივი სექტორის ორგანიზაციებს აქვთ, მთავრობის ხარჯების დიდი შემცირებაა.

გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა გავლენა მოახდინა მთავრობის შემოსავლების ყველა დონეზე. რეაგირება მნიშვნელოვნად მოიცავდა სამუშაო ადგილების მნიშვნელოვან დანაკარგს. მკაცრი ზომები (მაგალითად, ხელფასების გაყინვა, საპენსიო შეზღუდვები) წარმოადგენს მნიშვნელოვან პრობლემებს HR– სთვის, არა მხოლოდ აყვანის, კომპენსაციისა და მომსახურების გაწევის თვალსაზრისით, არამედ სამუშაოებისა და სამუშაო ძალის მორალის მხრივაც, ასევე მიმდინარე რეფორმები ორგანიზაციული ეფექტურობის ამაღლება, არაეფექტურობის შემცირება და ანგარიშვალდებულების გაზრდა მთავრობებისა და მომხმარებელთა ჯგუფების წინაშე. ბოლო პერიოდში შემცირდა სახელმწიფო სექტორის ბიუჯეტები რეფორმების ხანგრძლივ სერიაზე, რაც მიზნად ისახავდა ეფექტურობის მაღალი დონის მიღწევას საჯარო სექტორის ორგანიზაციებში. ამ სტრატეგიებში ახალი საჯარო მენეჯმენტი (NPM), ხშირად მოიცავდა ორგანიზაციის მაღალი დონის რესტრუქტურიზაციას (მაგალითად, უწყებების შერწყმა, პრივატიზაცია), მენეჯმენტის უფრო მკაცრი და ანგარიშვალდებულების მექანიზმების და უფრო მეტი ბაზრის შექმნას.

ძირითადი გამოწვევა, რომლის წინაშეც დგას მრავალი საჯარო სექტორი, არის ის, თუ როგორ შეუძლიათ დაგეგმონ და განახორციელონ NPM– ზე ორიენტირებული ცვლილების პროგრამები ისე, რომ გააძლიერონ ორგანიზაციული ეფექტურობა, მაგრამ ამავე დროს დაიცვან თანამშრომლების ჯანმრთელობა და კეთილდღეობა. საჭირო მომსახურების მოცულობისა და სირთულის დიდი ზრდა საზოგადოების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად იმ დროს, როდესაც მთავრობები ცდილობენ შეამცირონ და რაციონალიზაცია მოახდინონ საჯარო სექტორის პროგრამების, ხოლო მოთხოვნილება სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ მომსახურებაზე სტაბილურად იზრდება. ამ გაზრდილი მოთხოვნის დიდი ნაწილი განპირობებულია მოსახლეობის ფართო ტენდენციებით.

მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც მრავალი საჯარო სექტორის წინაშე დგას, არის ის, თუ როგორ შეუძლიათ მათ ეფექტურად გაუმკლავდნენ საზოგადოების გაძლიერებულ მოთხოვნებს, თუ ამავე დროს ამცირებენ პერსონალის ხარჯებს. ეს გამოწვევა განსაკუთრებით მწვავე იქნება ადამიანთა მომსახურებებში (ჯანდაცვა, სამართალდამცავი ორგანოები, განათლება, სოციალური კეთილდღეობა), სადაც საზოგადოების საჭიროებები განსაკუთრებით რთულია, ასევე ამ საჭიროებებზე რეაგირებაც.

ადამიანური რესურსების ეფექტურად მართვისათვის აუცილებელია:

- ეთიკის კოდექსის შემუშავება და დაცვა;
- დისციპლინის და პასუხისმგებლობის განვითარება;
- საჯარო სექტორში საჭირო და აუცილებელი ტრენინგების სისტემების შემუშავება;
- ციფრული ტექნოლოგიის ათვისება;
- კანონებისა და ნორმატიულ აქტების სრულყოფა და მისი დაცვა;

ტექნოლოგიური განვითარების ხელშეწყობით, მართვის ახალ სისტემაზე გადასვლამ მნიშვნელოვანი როლი დააკისრა ადამიანურ რესურსების მართვის ფუნქციებს, კონცეფციებს და მიდგომებს.

პერსონალის მართვის კონცეფციებია:

- გუნდური მენეჯმენტის (მე-20 საუკუნის 80-90-იანი წლების პერსონალის მენეჯმენტის

საფუძველია.

- შრომის მეცნიერული მართვის
- ინდივიდუალური პასუხისმგებლობის კონტრაქტაციის
- ადამიანურ ურთიერთობათა

გუნდური მენეჯმენტის ძირითადი პრინციპებია:

- საერთო მიზნების გათავისება;
- პერსონალის შემოქმედებითობა;
- პერსონალის საქმიანობის თვითორგანიზება და თვითმენეჯმენტი;
- ურთიერთდახმარება;
- ურთიერთკონტროლი;
- მუშაობის შედეგებზე კოლექტიური პასუხისმგებლობა;
- გუნდის წევრების შესაძლებლობების გამოყენება.

ადამიანური რესურსების სწორად და ეფექტურად მართვისათვის ძალიან მნიშვნელოვანია შესაფერისი კადრების შერჩევა. ამასთან ერთად გასათვალისწინებელია მოხელეთა პროფესიულ - კვალიფიციური, ფსიქოლოგიური, ფიზიოლოგიური და სხვა მოთხოვნები.

მოტივირება წარმოადგენს საჯარო მოხელეთა ეფექტიანი მუშაობისა და მართვის ერთ-ერთი მნიშვნელოვან საფუძველს და საკმაოდ რთული იერარქიით ხასიათდება (ფიზიოლოგიური, უსაფრთხოების, სოციალური, თვითდამკვიდრების მოტივები და სხვ.);

საჯარო სტრუქტურაში პერსონალის მუშაობის დაგეგმვის, მონიტორინგის, ანგარიშგებისა და შესრულების შეფასების რეალურად მოქმედი სისტემა წარმოადგენს საჯარო მოხელეთა მართვის და მათი ეფექტიანი საქმიანობის მნიშვნელოვან საფუძველს.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც ეკონომიკურ კრიზისს განიცდიან, ყველაზე ხშირად რეაგირებენ შემცირების ზომით და შრომითი ხარჯების შემცირების მცდელობებით, ორგანიზაციული გადარჩენის უშუალო საფრთხეზე დაყრდნობით. ამასთან, შემცირების უარყოფითი მოკლე და გრძელვადიანი შედეგები შორსმიმავალია და ეკონომიკურ გაურკვევლობაში HRM– ს პროაქტიულ, მოქნილ მიდგომას შეუძლია შექმნას უფრო მდგრადი ორგანიზაცია, რომელიც ინარჩუნებს მაღალი ღირებულების მიდგომას საზოგადოებისთვის მომსახურების მიწოდებაზე. თანამშრომლების დამოკიდებულება და ქცევა ყოველთვის კრიტიკულია სახელმწიფო სექტორის სააგენტოების საქმიანობისთვის, თუმცა კრიტიკულ კითხვად იქცევა გარემოში, რომელიც ხასიათდება გაზრდილი მოთხოვნებით და რესურსების შემცირებით.

დასკვნა

მომავალში, საჯარო სექტორის HRM ლიდერებს მოეთხოვებათ უფრო მოქნილი მიდგომები გამოიყენონ დასაქმებულთა მენეჯმენტში, რაც ასახავს სექტორის ცვალებად ბუნებას. უფრო მოქნილი შრომითი კონტრაქტებისა და კომპენსაციის სტრატეგიების გამოყენება, დაკომპლექტების მეთოდები, რომლებიც მიზნად ისახავს უფრო ახალგაზრდა და დროებით სამუშაო ძალას, ასევე უფრო მეტი დამოკიდებულება ტექნოლოგიაზე, რაც წარმოადგენს ახალი განათლების მნიშვნელოვან კომპონენტებს HR პრაქტიკოსი სპეციალისტებისთვის.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში HRM– ში შეინიშნებოდა გარკვეული პოზიტიური ცვლილებები. ადგილი ჰქონდა გადაადგილებას "მყარი "დან" რბილ "HRM- მდე, თუმცა, პროფესიონალთა მენეჯმენტთან მიმართებაში ეს ნაბიჯი ნელა მიმდინარეობდა.

ახალი ფაქტორი, რამაც შეიძლება გაუმჯობესოს სახელმწიფო სექტორის თანამშრომლების კეთილდღეობა და უსაფრთხოება არის ფსიქოლოგიური კაპიტალი, თუმცა თავისთავად არ წარმოადგენს ახალ კონსტრუქციას, ის არის პოზიტიური ორგანიზაციულ ქცევაში გამოვლენილი ახალი ცვლადი, რომელიც პროფესიონალებისთვის ბუფერებს ქმნის სტრესის უარყოფით შედეგებთან გამკლავებაში. ორი ათწლეულის რეფორმის შემდეგ, მტკიცებულებები იმატებს, რომ როდესაც სიმკაცრე ქმნიდა NPM ცვლილებებს, შედეგი იყო პროფესიონალების ორგანიზაციული მხარდაჭერა და სამუშაოების ინტენსივობის ქრონიკული დონის მზარდი მიღება, რომლებიც უბრალოდ არამდგრადია

გრძელვადიან პერიოდში. მეორეს მხრივ, HRM- ის როლი შეიძლება იყოს ტრენინგის გაზრდა პერსონალურ რესურსებში, როგორიცაა ფსიქოლოგიური კაპიტალი, რათა თანამშრომლებმა შეძლონ გაუმკლავდნენ სტრესს მათი კეთილდღეობის, ჩართულობისა და უსაფრთხოების შელახვის გარეშე და შეავსონ ახალი მმართველობის განვითარება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. პაიჭაძე ნ."ადამიანური რესურსების მართვა", თბილისი: თსუ. 2019, გვ. 374
2. https://www.researchgate.net/publication/289632992_The_importance_of_human_resource_management_in_the_public_sector_future_challenges_and_the_relevance_of_the_current_collection
3. https://www.tandfonline.com/doi/full/10.1080/14719037.2019.1645876

Human resource management in the public sector

Manana Samadashvili, PhD in Pedagogy
Georgian Technical University

Nato Bebiashvili, Associate Professor of Georgian Technical University

Summary

In the public sector as well as in the private sector, the main goal of organizations is to provide the highest quality relevant human resources and their effective use for the benefit of the organization to fulfill the mission, strategic goals and specific objectives of the organization in full compliance and efficiency.

The structural subdivisions of the organization, the process of staff work, monitoring of its work, performance appraisal are the process of actually effective work of staff in the public sector.

Thus, the work done by public sector employees and employers should provide a strong public sector that can perform these roles and responsibilities at a high level. The agency's human resource management rules may hinder or enhance these capabilities.

It is important that more research is conducted on the specific needs of public sector agencies and also that key stakeholders (including practitioners and researchers) continually assess the impact of human resource policies and practices in the public sector.

Keywords: Human Resource Management, Human Resource Management Concepts, Public Sector, Digital Technology.

ეკო-ინოვაციური საქმიანობის ორგანიზაციული მხარდაჭერა "ECOMODE" პროექტის ანალიზის საფუძველზე

სულაშვილი მალხაზ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მოწვეული ასოცირებული პროფესორი

ჩაჩავა ნინო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ფეჰერვოლგი ბიატა
პანონიის უნივერსიტეტის პროფესორი, უნგრეთი

ცუპონი ვიქტორია
პანონიის უნივერსიტეტის პროფესორი, უნგრეთი

კუცია ირმა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

გიორგაძე ბიჭიკო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრანტი

აბსტრაქტი

ნაშრომის მიზანია ეკო-ინოვაციური პრაქტიკების დასანერგად ტურისტულ ინდუსტრიაში ორგანიზაციული მხარდაჭერის გამოყენების შესაძლებლობის ანალიზი; ეკო-ინოვაციური საქმიანობისთვის ორგანიზაციული მხარდაჭერის ამოქმედება მცირე და საშუალო საწარმოებში ტურიზმის ინდუსტრიაში.

საკვანძო სიტყვები: ეკო-ინოვაცია, ტურიზმის ინდუსტრია, ორგანიზაციული მხარდაჭერა.

ძირითადი ტექსტი

მცირე და საშუალო საწარმოებში ეკო-ინოვაცია ინერგება ორგანიზაციული მხარდაჭერის საშუალებით. არამდგრადი განვითარების საწარმოს ნაცვლად გვინდა რომ გვქონდეს ეკო - ინოვაციური იდეების მქონე მდგრადი განვითარების საწარმო.



ნახ. 1. ორგანიზაციული მხარდაჭერის შიდა და გარე საშუალებები

მნიშვნელოვანია ეკო-ინოვაციის დასანერგად მიმართული ორგანიზაციული მხარდაჭერის შიდა და გარე პრაქტიკების გაანალიზება. სტრატეგია, კულტურა და მარკეტინგი საწარმოს ეკო-ინოვაციისთვის დამოკიდებულია და ინერგება ორგანიზაციული მხარდაჭერის გარე და შიდა ფაქტორებზე დაყრდნობით.

მცირე და საშუალო საწარმოებში ორგანიზაციული მხარდაჭერის ძირითადი გარე და შიდა რესურსების დახმარებით შესაძლებელია მცირე და საშუალო საწარმოების ეკო-ინოვაციისკენ მიმართვა მიზნობრივი ჯგუფებისა და ბუნებრივი გარემოს რეალური პრობლემების გათვალისწინებით. ორგანიზაციული მხარდაჭერის შიდა და გარე საშუალებები წარმოდგენილია ნახაზ 1-ზე.

ორგანიზაციული მხარდაჭერის გარე საშუალებები საწარმოს ეკო-ინოვაციისთვის არის ხედვა, ცოდნა, დიზაინი, გავრცელება. თითოეული შეიძლება შემდეგი სახით გავაანალიზოთ. კერძოდ,

ა. ხედვა

- *ადგილობრივი, ეროვნული და საერთაშორისო პოლიტიკის შეხედულებები სტუმართმასპინძლობის ინდუსტრიაში ეკო-ინოვაციების შესახებ;*
- *შეხედულება სტუმართმასპინძლობის ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობის ბაზარზე;*
- *ტურიზმის უპირატესობა;*
- *მოგზაურობის მდგრადობა;*
- *მონაწილეობრივი მიდგომა ყველა დაინტერესებული პირის მობილიზაციისთვის.*

ბ. რეგულაციებისა და გარემო პირობების ცოდნა

- *ბაზრის მოთხოვნები;*
- *კონკურენტების მოქმედება;*
- *ჩამდინარე წყლების გაწმენდა;*
- *ბაზარზე არსებული ეკო-ინოაციური ტექნოლოგიები;*
- *საკომუნიკაციო საშუალებები.*

გ. დაგეგმარება - ღია ინოვაციური საშუალება

- *საზოგადოებრივი აზრი და საზოგადოებრივი მოლოდინები;*
- *საბოლოო მიზნობრივი ჯგუფის მოლოდინი მცირე და საშუალო წარმოების ეკო-ინოვაციისგან.*

დ. მცირე და საშუალო საწარმოებში შეფასება და პროპაგანდა ბუნებრივი რესურსებისა და ეკო-ინოვაციური პრაქტიკების ოპტიმიზაციის შესაძლებლობების

- *გარე ექსპერტების შეფასება და ბაზარზე ეკო-ინოვაციური პრაქტიკების მიღება და აღიარება;*
- *სიახლის ხარისხი, ეკო-ინოვაცია ორგანიზაციაში;*
- *მცირე და საშუალო ბიზნესის ეკო-ინოვაციის პოპულარიზაცია და ფასების პოლიტიკა.*

მცირე და საშუალო საწარმოებში ორგანიზაციული მხარდაჭერის ძირითადი შიდა რესურსებია: ლიდერობა, ადმინისტრირება, ფინანსები, მასალები, ადამიანური რესურსი. ანალიზის შედეგად თითოეული მათგანი შემდეგი სახით გვაქვს ჩამოყალიბებული:

ა. ლიდერობა

- სტრატეგია ეკო-ინოვაციისთავის;
- ეკო-ინოვაციური პრაქტიკები პროფესიული უნარების განვითრებისთვის და ეკო-მზაობა (ვორქშოპი, სემინარები, ტრეინინგები, კურსები);
- ეკო-ინოვაციური სტრატეგიები უნარშეზღუდული ადამიანებისათვის;
- მონიტორინგის დაჩქარება– იყო პირველი ბაზარზე, იყო პიონერი, უფრო სწრაფი ვიდრე კონკურენტები არიან.

ბ. ადმინისტრირება

- სტრუქტურული რეორგანიზაციები;
- ეკო-ინოვაციისთვის წამყვან და სამუშაო ჯგუფებს (საკადრო დეპარტამენტი, ფინასური დეპარტამენტი, ადმინისტრაცია, ღონიძიებები, შეხვედრები, ვებინარები, ბაზრობები, ვებგვერდები, ა.შ.) შორის ურთიერთობები და კომუნიკაცია;
- პუნქტუალობა – დედლაინები და ანგარიშვალდებულება თარიღების დედლაინების მიხედვით.

გ. ფინანსები

- ხელფასების პოლიტიკა;
- საბონუსე პოლიტიკა;
- დამატებითი ხელფასების პოლიტიკა;
- ფინანსების შედარებითი ანალიზი ეკო-ინოვაციისთვის.

დ. მასალები

- ტექნიკური უზრუნველყოფა ეკო-ინოვაციისათვის;
- ახალი ტექნოლოგიების დანერგვა ეკო-ინოვაციისათვის.

ე. ადამიანური რესურსი

- სოციალური გაცვლები;
- თანამშრომლების მოტივაცია;
- შეგნება;
- კომუნიკაცია.

მცირე და საშუალო საწარმოების ეკო-ინოვაციისთვის ლიდერთა პოლიტიკის გატარებისას მნიშვნელოვანია განსაკუთრებით ნიჭიერი, შრომისმოყვარე ადამიანების სტიმულირება. მცირე და საშუალო საწარმოების ეკო-ინოვაციისთვის ძალიან მნიშვნელოვანია სოციალური გაცვლის, შეფასებისა და მოტივაციის საშუალების პერსონალზე, თანამშრომლებზე, მომხმარებელზე, სამეზობლოსა და შემსყიდველებზე ზრუნვა, რათა ადამიანებმა იგრძნონ რომ მათი ამაგი და კეთილდღეობა არ რჩება შეუმჩნეველი და მნიშვნელოვანია კომპანიისთვის. ორგანიზაციული მხარდაჭერის შიდა ეკო-ინოვაციური გადაწყვეტილებები ეფუძნება მისიის პროკლამაციას, ორგანიზაციულ კულტურას და მოწინავე გუნდის სტრატეგიას. ლიდერობის როლი მდგომარეობს წამყვანი გუნდის ჩამოყალიბებაში, რომელიც გაუწევს კოორდინირებას და ხელს შეუწყობს მცირე დასაშუალო საწარმოების ეკო-ინოვაციას. ადმინისტრირება მცირე დასაშუალო საწარმოების ეკო-ინოვაციისას მოიცავს შემდეგ პრაქტიკებს: ვალდებულებების განსაზღვრა, ჩამოყალიბება, შეგნება და კომუნიკაცია წამყვან და სხვა სამუშაო ჯგუფებს შორის მცირე და საშუალო საწარმოების ეკო-ინოვაციისთვის; რეორგანიზაცია მცირე და საშუალო საწარმოების ეკო-ინოვაციისთვის; ეფექტურობისა და ანგარიშვალდებულობის გაზრდა ანგარიშსწორებისა და დედლაინების საშუალებით; საუკეთესო კადრების თავმოყრა მცირე და საშუალო საწარმოების ეკო-ინოვაციისთვის; სამუშაოთა განრიგის მომზადება მცირე და საშუალო საწარმოების ეკო-ინოვაციისთვის - დაწყებული მიმდინარე პოზიციიდან დამთავრებული ფინალური მდგომარეობით: სად ვართ ახლა? სად გვინდა ვიყოთ მომავალში? მცირე დასაშუალო საწარმოების ეკო-ინოვაციისთვის გამიზნული ქმედებების განხორციელების სისწრაფის გაზრდა.

დასკვნა

ნაშრომში მოცემული არის "ECOMODE" პროექტის ანალიზის საფუძველზე ეკო-ინოვაციური საქმიანობის ორგანიზაციული მხარდაჭერა მცირე და საშუალო საწარმოებში. ამ მიმართულებით გაანალიზებულია და დამუშავებულია ისეთი საკითხები, როგორიცაა მცირე და საშუალო საწარმოებში ეკო-ინოვაციის დანერგვა ორგანიზაციული მხარდაჭერის საშუალებით; ეკო-ინოვაციის დასანერგად მიმართული ორგანიზაციული მხარდაჭერის შიდა და გარე პრაქტიკები; ორგანიზაციული მხარდაჭრის ფინანსური, ადამიანური ურთიერთობების საშუალებები; ადმინისტრირება მცირე დასაშუალო საწარმოების ეკო-ინოვაციისას.

მიღებულია შესაბამისი რეკომენდაციები, თუ როგორ არის შესაძლებელი ეკო-ინოვაციური საქმიანობისთვის ორგანიზაციული მხარდაჭერის ამოქმედება მცირე და საშუალო საწარმოებში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Konstantine Abuladze, “The basements of Hotel Industry” (In Georgian Language). Tbilisi 2015.
2. Marina Metreveli, “Environment and Ecotourism Management”. Tbilisi 2012. UDC 338.48+502/m 596 (In Georgian Language).
3. Evgeni Baratashvili, Giorgi Sulashvili, Malkhaz Sulashvili, Bela Khotenashvili, and Irma Makharashvili, “The Investment Decision-Making Principles in Regional Tourism,” 18th International Conference on Economics, Management of Business, Innovation and Technology. International Science Index Vol. 3, No:18(5), pp. 2872-2875, May 2016.
4. https://www.bluebeyondconsulting.com/2016/04/what-is-organizational-culture/
5. https://www.integrify.com/internal-controls-better-compliance/
6. https://www.ere.net/developing-a-culture-of-speed-hrs-role-in-increasing-organizational-speed/

Organisational Support of Eco-innovative Practices based on ecomode project analyze

Malkhaz Sulashvili, Associate Professor of Georgian Technical University

Nino Chachava, Associate Professor of Georgian Technical University

Beáta Fehérvölgyi, Professor, University of Pannonia, Faculty of Business Economics, Hungary

Viktória, Csizmadiáné Czuppon, Professor, University of Pannonia, Faculty of Business Economics, Hungary

Irma Kutsia, Associate Professor of Georgian Technical University

Bitchiko Giorgadze, student of Georgian Technical University

Summary

The purpose of the article is to analyze the possibility of using organizational support in the tourism industry for the implementation of eco-innovative practices; To establish organizational support for eco-innovation activities of small and medium-sized enterprises in the field of tourism.

Key words: eco-innovation, tourism industry, organizational support.

საქართველოს სახელმწიფო მართვის ანტიეპიდემიური პოლიტიკის ასპექტები

უგულავა მაია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

ბაღათურია ოთარ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია კოვიდ პანდემიით გამოწვეული მოვლენები, რომლებმაც როგორც მსოფლიოში, ისე საქართველოში უაღრესად რთული ამოცანების გადაწყვეტის აუცილებლობა წარმოქმნა. გაანალიზებულია საქართველოს ეპიდემიასთან ბრძოლის სტრატეგია და ანტიკრიზისული გეგმა, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი გახდა ეპიდვითარების ოპტიმალური მართვა შედარებით ნაკლები დანაკარგებით. ეპიდმაჩვენებლების მონაცემებზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოს სახელმწიფო მართვის პოლიტიკის სტრატეგია ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში.

საკვანძო სიტყვები: პანდემიის მართვა, სახელმწიფო პოლიტიკა, ეპიდემიასთან ბრძოლის სტრატეგია, ანტიკრიზისული გეგმა.

შესავალი

2020 წლის 30 იანვარს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ კორონა ვირუსი Covid-19 გლობალურ საფრთხედ გამოაცხადა. რამდენიმე თვეში ვირუსი მსოფლიოს მასშტაბით სწრაფად გავრცელდა და მსოფლიო პანდემიად იქცა, რამაც კაცობრიობა ძალიან დიდი გამოწვევების წინაშე დააყენა. განვითარებულმა ქვეყნებმა მიიღეს ერთმანეთის მსგავსი სახელმწიფოებრივი ზომები, რაც გულისხმობდა პანდემიის მართვას შეზღუდვების გარეშე. მთავარი მიზანი ამ შემთხვევაში იყო ეკონომიკური სტაბილურობისა და ზრდის ტემპის შენარჩუნება. როგორც შემდეგ გაირკვა, ასეთი პოლიტიკით სათანადოდ ვერ იქნა შეფასებული ის რისკი, რამაც პანდემიის მძიმე შედეგები კიდევ უფრო გააძლიერა. გამოუვალი მდგომარეობის გამო ევროპის წამყვანი ქვეყნები იძულებულნი გახდნენ უფრო მკაცრი ზომები შემოეღოთ, რაც გარკვეულწილად დაგვიანებული აღმოჩნდა და დღეს მრავალი ქვეყანა უკვე პანდემიის მესამე ტალღას ებრძვის. პანდემიამ დამანგრეველი ზეგავლენა იქონა, როგორც მსოფლიო ეკონომიკის მდგომარეობაზე, ისე კაცობრიობის არსებობისა და საქმიანობის უმეტეს სფეროებზე [1].

საქართველოში პანდემიასთან ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკის სტრატეგია სხვანაირად იქნა შემუშავებული, რამაც მნიშვნელოვნად შეასუსტა ეპიდემიის მომაკვდინებელი დარტყმა ქვეყანაზე.

ეპიდემიასთან ბრძოლის სტრატეგია საქართველოში

საქართველო ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გამოცხადებული კორონავირუსის პანდემიის მზაობის რეკომენდაციებს საწყისი პერიოდიდანვე აქტიურად მიჰყვება. პანდემიის დაწყებითანავე საქართველომ მალე დაიწყო სახელმწიფო მართვის ეკონომიკური საკითხებისა და სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება ჯანდაცვის სფეროსთან კოორდინაციით. მნიშვნელოვანი იყო ბალანსის შენარჩუნება ეკონომიკური სტაბილურობისა და ეფექტურ საჯარო პოლიტიკას შორის რაც საბოლოო ჯამში კორონა ვირუსით ინფიცირებულთა რიცხვის მინიმუმამდე დაყვანას გულისხმობს. ჯანდაცვის სამინისტრო მუდმივ კოორდინაციაში იყო ყველა სახელმწიფო სტრუქტურასთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. საქართველო დაემორჩილა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მნიშვნელოვან რეკომენდაციას, რომელიც თავშეყრის ადგილების შეზღუდვას გულისხმობს. მთავრობის ამ გადაწყვეტილებამ საზოგადოების ერთი ნაწილის მძაფრი უკმაყოფილება გამოიწვია, მრავალი ადამიანი დარჩა სტაბილური შემოსავლის გარეშე. თუმცა მოსახლეობის უმეტესი ნაწილი გაგებით

მოეკიდა ხელისუფლების სტრატეგიას და ძირითადად იცავდა დაწესებულ შეზღუდვებს.

სახელმწიფომ პანდემიასთან ბრძოლა რამდენიმე ფაზად დაყო, რომელიც გულისხმობს ვირუსის შეკავების, შენელების, მართვისა და ადაპტაციის ფაზებს. უნდა აღინიშნოს ის, რომ სახელმწიფო სტრუქტურების სწრაფმა რეაგირებამ შეძლო ამ ფაზების მეტწილად ეფექტურად გავლა, საქართველო მოწინავეთა რიგებში აღმოჩნდა ეპიდ სიტუაციის კონტროლის თვალსაზრისით.

GHS (Global Health Security) ინდექსის მიხედვით საქართველო მსოფლიოში 42-ე ადგილას არის საერთაშორისო მზაობის მიხედვით ბიოლოგიური საფრთხეების წინაშე [2]. რაც ძალიან კარგი მაჩვენებელია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე. ეს ყოველივე კი განაპირობა პანდემიასთან ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკამ, რომელიც შესაბამისობაში იყო ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციებთან. აღნიშნულ პოლიტიკაში მოიაზრება საჰაერო და სახმელეთო მიმოსვლის შეზღუდვა, კერძო და სახელმწიფო სტრუქტურების მაქსიმალურად დისტანციურ რეჟიმზე ადაპტირება, მკაცრი საკარანტინო რეჟიმის შემუშავება ცალკეულ მუნიციპალიტეტებში, ადამიანთა თავშეყრის შეზღუდვა და ა. შ. ამასთან უნდა აღინიშნოს ის, რომ საჯარო მმართველობის როლი ვირუსთან ბრძოლაში განსაკუთრებულად აქტიურ ფაზაში გადავიდა მაშინ, როდესაც ჯანდაცვის სამინისტრომ სხვა სტრუქტურებთან ერთად საქართველოს მასშტაბით გახსნა არაერთი საკარანტინე სივრცე, შეიქმნა კონკრეტული სამსახურები, რომლებიც უზრუნველყოფდა სასურსათო მარაგების მართვას, ფასების მონიტორინგს, ლოჯისტიკას, ასევე გააქტიურდა მთავრობის ცხელი ხაზი რომელიც 24 საათის განმავლობაში ემსახურებოდა საქართველოს მოქალაქეებს. ეფექტურ პოლიტიკად მიიჩნევა ის პრეცედენტი, რომლის მიხედვითაც მოხდა საზღვარგარეთ მყოფი მოქალაქეების დახმარება და სამშობლოში დაბრუნება, ისევე როგორც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა დახმარება. ასევე ვირუსის მსვლელობის დროს აქტიურ ფაზაში გადავიდა ჯანდაცვის სისტემის კონტროლი და მართვა. სახელმწიფოს ხელშეწყობით დაემატა არაერთი კერძო ლაბორატორია, რომლებიც აქტიურ რეჟიმში ახორციელებენ მოქალაქეთა გატესტვას სხვადასხვა რისკ ჯგუფისა თუ რისკ სიტუაციის გამო. სახელმწიფო მართვის წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ყველა სტრუქტურა მუშაობდა კოორდინირებულად დაწყებული ჯანდაცვის და დამთავრებული შინაგან საქმეთა სამინისტროთი. ვირუსთან ბრძოლის ყველა ეტაპზე მთავრობის პრიორიტეტად განისაზღვრა პირველ რიგში მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდაციები და რეალობის სწორედ მათ მიერ განსაზღვრულ პრინციპებზე მორგება. ვირუსთან ბრძოლის პირობებში გატარდა ისეთი საჯარო პოლიტიკა, რომელიც გულისხმობდა მოქალაქეების მაქსიმალურ მხარდაჭერას არსებული სახელმწიფო ეკონომიკის პირობებში. ამ მიზნით მოქალაქეებს დაუფინანსდათ კომუნალური გადასახადი, ამასთან, სახელმწიფოს დახმარებით მოქალაქეებს მიეცათ სესხის გადავადების შესაძლებლობა [3].

ანტიკრიზისული გეგმა

ეპიდემიასთან ბრძოლის მიზნით საქართველოში თავდაპირველად გამოცხადდა მკაცრი ზომები (2020 წ. გაზაფხული) და საქართველომ ფაქტობრივად აიცილა პანდემიის პირველი ტალღის მომაკვდინებელი გავლენა, გარკვეულწილად საქართველო სანიმუშო ქვეყანაც კი გახდა პანდემიასთან წარმატებული ბრძოლის თვალსაზრისით. მომდევნო პერიოდში საქართველოს ხელისუფლებამ გაითვალისწინა დაპაუზებული, ფაქტობრივად შეჩერებული ეკონომიკური საქმიანობით გამოწვეული მოსახლეობის დამძიმებული სოციალური მდგომარეობა, აგრეთვე ბიზნესწრეების მოთხოვნები და მრავალი შეზღუდვა გაუქმდა ან შემსუბუქდა. მკაცრი აკრძალვის სტრატეგია შეიცვალა კოვიდვითარების მართვის სტრატეგიით, როდესაც ნებადართულია ეკონომიკური საქმიანობის მრავალი სახეობა გარკვეული ანტიეპიდემიური მოთხოვნების განუხრელი დაცვის აუცილებლობით. მიუხედავად გაფრთხილებისა მოსახლეობის დიდმა ნაწილმაც დაივიწყა მოსალოდნელი საფრთხეები და ეპიდემიური ვითარება სწრაფად დამძიმდა (2020 წ. შემოდგომა-ზამთარი) და ფაქტობრივად გაუთანაბრდა სხვა, მანამდეც მძიმე მდგომარეობაში მყოფ ქვეყნებს. დაავადებულთა გარდაცვლილთა ზრდასთან ერთად შემცირდა ქვეყნის ეკონომიკაც (2020 წელს საქართველოს ეკონომიკა 6,1%-თ შემცირდა), არასახარბიელო იყო შემდგომი განვითარების პროგნოზიც [4]. შეიქმნა ეპიდემიის გავრცელების მესამე ტალღის წარმოქმნის საშიშროება, რაც, მიუხედავად მთელი ქვეყნის

ანტიეპიდემიური სისტემის ძალისხმევისა ახალ საშიშროებას ქმნის საქართველოში (2021 წ. აპრილ-მაისი). მაგრამ საქართველოს ეპიდემიოლოგიური და ჯანდაცის სისტემა უკვე ეპიდემიასთან ბრძოლის სერიოზულ გამოცდილებას ეყრდნობა, რაც მიუხედავად მსოფლიოში არსებული საშიში მდგომარეობისა და ქვეყნის შიდა მტრული ძალების მოქმედების მიუხედავად ეპიდემიასთან ბრძოლის ოპტიმისტური შედეგების მიღების საფუძველს ქმნის. საქართველოს ეპიდემიოლოგიური და ჯანდაცის სისტემის რეკომენდაციების გათვალისწინებით ხელისუფლებამ ეპიდვითარებასთან ბრძოლის ახალი სტრატეგია შეიმუშავა, რაც გამოიხატა შეზღუდვების შედარებითი გამკაცრებით და პროფილაქტიკური ზომების აუცილებელი განხორციელების მოთხოვნით, რაც ძირითადად მასობრივი თავშეყრის დაუშვებლობაში გამოიხატა და სათანადო კანონმდებლობითაც იქნა გამყარებული. მოსახლეობაც უკვე შედარებით მომზადებული და გათვითცნობიერებული შეხვდა ახალ ვითარებას. ასეთმა სტრატეგიამ გამოიღო გარკვეული დამაიმედებელი შედეგები და მიუხედავად ფეთქებად საშიში ვითარებისა ქვეყანამ მაინც შეძლო ეპიდვითარების მართვა და გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევა. შეიმჩნევა ქვეყნის ეკონომიკის ზრდის ტენდენციაც [5]. ამავე დროს მსოფლიოში უკვე შეიქმნა ანტივირუსული ვაქცინები და საქართველოშიც დაიწყო მოსახლეობის ეტაპობრივი აცრა, თუმცა არასაკმარისი ტემპებით, რაც მნიშვნელოვან წილად გამოწვეულია ე.წ. „ანტივაქსერების“ მავნე პროპაგანდის შედეგად [6]. სავარაუდოდ, ხელისუფლების მოქნილი ანტიეპიდემიური სტრატეგიისა და მასობრივი ვაქცინაციით წლის ბოლოსთვის შესაძლებელი უნდა გახდეს ეპიდვითარების დამარცხება. მიუხედავად აღნიშნული დადებითი ძვრებისა მაინც, განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს აგრეთვე საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი დარგების განვითარება.

განათლების პრობლემატიკის ნაწილობრივი მოგვარების ერთ-ერთი შესაძლებლობა გახდა დისტანციური სწავლება, რაც, რა თქმა უნდა, არ იძლევა სრულყოფილ განათლებას, მაგრამ საბაზისო დონე მაინც უზრუნველყოფილი გახდა, რაც ქმნის იმის წინაპირობას, რომ პანდემიის დასრულებისა და შეზღუდვების მოხსნის შემდეგ შესაძლებელი გახდება სწავლ-სწავლების პროცესის სრულყოფილი აღდგენა. ისიც აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო მმართველობის აღნიშნულმა პოლიტიკამ დააჩქარა განათლების სფეროს ციფრულ სამყაროსთან და ელექტრონული სწავლების მეთოდებთან ადაპტაცია, როგორც ეს უკვე დიდი ხანია (ათეულობით წლები) არსებობს. საერთაშორისო ორგანიზაციებმა საქართველოში დისტანციურ სწავლებას მაღალი შეფასება მისცეს. პანდემიის კრიზისის პირობებში დისტანციური სწავლების წარმატებით დანერგვის თვალსაზრისით, საქართველო და ფინეთი ლიდერ ქვეყნებად დასახელდა [7].

ამრიგად, შესაძლებელია ითქვას, რომ სახელმწიფომ შეძლო სწრაფი ადაპტირება პანდემიის საგანგებო მდგომარეობით გამოწვეული პროცესებისადმი გონივრული ბალანსით ბიზნესისა და საგანმანათლებლო პროცესების წარმართვისა და მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფას შორის.

ტურიზმის სექტორი საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ღერძია. საქართველო სწორედ იმ ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება, რომლის ეკონომიკაც მნიშვნელოვან წილადაა დამოკიდებული ტურიზმის სექტორზე. სავარაუდოდ, ტურიზმის ინდუსტრიის სრულფასოვნად აღდგენას რამდენიმე წელი დასჭირდება. ტურიზმის განახლება დიდ წილად იქნება დამოკიდებული სახელმწიფოთა მზაობაზე და საჯარო პოლიტიკის ეფექტურობაზე. ქვეყნები, რომლებიც სწრაფად და ეფექტიანად მოახერხებენ პანდემიასთან გამკლავებას, უფრო ადრე შეძლებენ როგორც ტურისტების მიღებას. ამისთვის საჭიროა საზოგადოებრივი ადგილების, ტრანსპორტის და ტურისტული ინფრა-სტრუქტურის უსაფრთხოება, სოციალური დისტანცირებისა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციების დაცვის უზრუნველყოფა. სახელმწიფო აქტიურ რეჟიმში ცდილობს დანერგოს ინოვაციური მეთოდები ტურიზმის სფეროში და განახორციელოს ტექნოლოგიური ადაპტაცია, რაც სრულიად გარდაქმნის აღნიშნულ დარგს, მოხდება გარკვეული ტრანსფორმაცია, ტურისტულ სექტორს მოუწევს ამ ახალ ტრენდებსა და პრაქტიკებზე გადაწყობა და სხვ.

ანტიკრიზისული გეგმის მნიშვნელოვანი მდგენელი გახლდათ **სოციალური მხარდაჭერა,** რისთვისაც გამოყოფილი იქნა სერიოზული ფინანსური სახსრები: მოქალაქეებზე ზრუნვასა და მათ

სოციალურ მხარდაჭერა - 1.04 მლრდ; ეკონომიკაზე ზრუნვა და მეწარმეთა მხარდაჭერა 1.76 მლრდ, ჯანდაცვის სისტემის გაძლიერება და პანდემიასთან ბრძოლა 350 მლნ. ლარი [3]

კოვიდ პანდემიის ფარგლებში სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი ბიუჯეტის მეშვეობით სრულიად ახლებურად ამოქმედდა საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრო. გაძლიერდა მკურნალობისა და კონტროლის სამსახური [8].

დასკვნა

საბოლოო წარმატებისთვის აუცილებელია სახელმწიფოში ერთდროულად სხვადასხვა ინსტიტუტების შეთანხმებული ფუნქციონირება, პირველ რიგში ჯანდაცვის სექტორისა და ეკონომიკურ საკითხთა სამსახურის კოორდინირებული მუშაობა. ზემოთ განხილული ანტიკრიზისული სტრატეგია ვერ იქნებოდა ეფექტიანი, რომ არა სახელმწიფოს მიერ გონივრულად მართული ბიუჯეტი და სწორი ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც იძლეოდა საშუალებას უზრუნველეყო მუდმივ რეჟიმში მოქალაქეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. საქართველოს ანტიკრიზისული პოლიტიკა შეიძლება შეფასდეს წარმატებულად. სახელმწიფო მაქსიმალურად ცდილობს ოქროს შუალედის დაჭერას პანდემიის სტაბილურ შეჩერებასა და ეკონომიკური საკითხების გაუმჯობესებას შორის. საბოლოო ანგარიშით, ეპიდმაჩვენებლების მონაცემებზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ ეპიდპანდემიის წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოს ეპიდსაწინააღმდეგო პოლიტიკის სტრატეგია ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Hugo Erken et al. “Global Economic Outlook: COVID-19 has taken a hold of the global economy“. https://economics.rabobank.com/publications /2020/march/global-economic-outlook/
2. Global Health Security Index. https://www.ghsindex.org/country/georgia/)
3. კოვიდ 19-ის წინააღმდეგ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების ანგარიში. http://gov.ge/files/76338_76338_444796_COVID-19angarishi...pdf
4. საქართველო ეკონომიკური ზრდის რეიტინგში. https://forbes.ge/blogs/saqarthvelo-ekonomikuri-zrdis-reitingshi/
5. საქართველო მშპ ზრდის პროგნოზი. https://www.adb.org/ka/news/georgias-economy-recover-covid-19-impact-2021-45-growth-adb
6. სტივენ ჰოტსის დეზინფორმაციას ქართველი ანტივაქსერები ავრცელებენ. http://www.mythdetector.ge/ka/myth/stiven-hotsis-dezinpormatsias-kartveli-antivakserebi-avrtseleben
7. მთავრობის ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში მიხეილ ჩხენკელმა საზოგადოებას ანგარიში წარუდგინა. http://mes.gov.ge/content.php?lang=geo&id=10333
8. ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამები. https://www.moh.gov.ge/

The Aspects of Anti-Epidemic Policy of Public Governance of Georgia

Maia Ugulava, PhD student at Georgian Technical University

Otar Baghaturia, Associate Professor of Georgian Technical University

Summary

The paper discusses the challenges caused by the Covid pandemic, which have created the need to solve extremely difficult tasks both in the world and in Georgia. The Georgian epidemic control strategy and anti-crisis plan have been analyzed, according to which it has become possible to optimally manage the epidemic with relatively few losses. Based on the data of epidemiological indicators in the world and in Georgia, it can be said that the strategy of Georgian government policy in the fight against pandemic is one of the best in the world.

Keywords: Pandemic Management, State Policy, Pandemic Control Strategy, Anti-Crisis Plan.

საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების წესი

ფიფია ნიკოლოზ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი

საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების წესი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საარჩევნო გარემოს, საარჩევნო პროცესს და არჩევნების საბოლოო შედეგს. საარჩევნო კომისიების შემადგენლობის ნახევარზე მეტის დაკომპლექტებაში ხელისუფლების (პრეზიდენტი, მმართველი პოლიტიკური პარტია) მონაწილეობა, საარჩევნო კომისიების შემადგენლობას ცალსახად უთანასწოროდ აქცევს და ეს არათანაბარი მდგომარეობა მუდამ ქმნის არჩევნების შედეგების მიმართ უნდობლობის და ნიჰილიზმის საფუძველს. ამიტომ საარჩევნო კომისიების დაკომპლექტებისას უპრიანი იქნება პარტიულ დონეზე, პარიტეტულად მთლიანად პოლიტიკურ გაერთიანებებს გააჩნდეთ საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების უფლება. კერძოდ პარლამენტს დასამტკიცებლად საარჩევნო კომისიის წევრთაგან ნახევარს, მათ შორის თავმჯდომარის კანდიდატურას წარუდგენს უმრავლესობა (საპარლამენტო არჩევნებში უკეთესი შედეგის მქონე პოლიტიკური პარტია), ხოლო დანარჩენ მეორე ნახევარს, მათ შორის მოადგილის კანდიდატურას - უმცირესობა (საპარლამენტო არჩევნებში მეორე და შემდგომ ადგილებზე გასული ის პოლიტიკური პარტიები ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, რომლებმაც გადალახეს 5%-იანი ბარიერი).

ასეთი დაკომპლექტების წესი ხელს შეუწყობს უმრავლესობის და უმცირესობის წარმომადგენლების პოზიციების დაახლოებას და კომპრომისული გადაწყვეტილების მიღებას. აღნიშნული კი იქნება ნდობაზე დაფუძნებული და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობა.

საკვანძო სიტყვები: საარჩევნო კომისია, საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების წესი, ცენტრალური საარჩევნო კომისია, საოლქო საარჩევნო კომისია, საუბნო საარჩევნო კომისია.

ძირითადი ტექსტი

საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების წესი არის ის მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც დიდწილად განსაზღვრავს საარჩევნო გარემოს, საარჩევნო პროცესს და არჩევნების საბოლოო შედეგს. ამიტომ კენჭისყრის შედეგების რეალური, უტყუარი, და სანდო ასახვა საარჩევნო ადმინისტრაციის სტრუქტურის და კომისიის დაკომპლექტების წესის პირდაპირპროპორციულია.

მრავალ ქვეყანაში, საარჩევნო სამართლის პრაქტიკაში დანერგილია მოსამართლეების ჩართვა საარჩევნო პროცესში, მათ შორის საარჩევნო ორგანოების შემადგენლობაში. მაგ. პოლონეთში ცენტრალური საარჩევნო კომისია შედგება საკონსტიტუციო ტრიბუნალის და უზენაესი სასამართლოს სამ-სამი მოსამართლისაგან. საოლქო კომისიის შემადგენლობას სააპელაციო საოლქო და რაიონის მოსამართლისაგან განსაზღვრავს პოლონეთის პრეზიდენტი, ხოლო საუბნო კომისია შედგება ადგილობრივი საბჭოს წევრებისა და ამომრჩევლებისაგან. ზოგიერთ სახელმწიფოში კი თანამდებობის პირებს, თავიანთ ძირითად სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებასთან შეთავსებით, ადგილებზე არჩევნების ორგანიზაცია ეკისრებათ. მაგალითად, ბელგიაში საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე არსებული პირველი ინსტანციის სასამართლოს თავმჯდომარე და მომრიგებელი მოსამართლეები, დიდ ბრიტანეთში და კანადაში შერიფები და მერები.[1]

სტრუქტურულად საარჩევნო ადმინისტრაციის ყველაზე სტაბილური და მზარდი ტრენდის სახეს წარმოადგენს დამოუკიდებელი, მუდმივმოქმედი და მულტიპარტიული საარჩევნო კომისია.[2] საქართველოს გარდა ბევრ ახალ და განვითარებად დემოკრატიულ ქვეყნებში მოქმედებს ეს მოდელი. დამოუკიდებელი საარჩევნო ადმინისტრაციაა შემდეგ ქვექნებში: სომხეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა,

---

[1] **მელქაძე ოთარ** საარჩევნო სამართალი, თბ., 2005, გვ. 107.

[2] http://www.eods.eu/library/UNDP.Electoral%20Management%20Bodies%20as%20Institutions%20of%20Governance.pdf
გვ.21

კანადა, კოსტა რიკა, ესტონეთი, ინდოეთი, ინდონეზია, ლიბერია, ნიგერია, პოლონეთი, სამხრეთ აფრიკა, ტაილანდი და ურუგვაი.[1]

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მიხედვით საარჩევნო ადმინისტრაცია არის „დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში დამოუკიდებელია სხვა სახელმწიფო ორგანოებისაგან." საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია შედგება: ა) ცესკოსგან (ცენტრალური საარჩევნო კომისიისგან) და მისი აპარატისგან, უმაღლესი საარჩევნო კომიისგან და მისი აპარატისგან, საოლქო საარჩევნო კომისიებისგან და საუბნო საარჩევნო კომისიებისგან.[2] მოქმედი საარჩევნო კოდექსის მიხეევით თითოეული საარჩევნო კომისია შედგება 12 წევრისაგან. მუდმივმოქმედი საარჩევნო კომისიების უფლებამოსილების ვადა არის 5 წელი.

მნიშვნელვანი ფუნქცია, რომელიც გააჩნია საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის უმაღლეს ორგანოს ცესკოს არის ის, რომ იგი უფლებამოსილების ფარგლებში ხელმძღვანელობს და აკონტროლებს ყველა დონის საარჩევნო კომისიებს და უზრუნველყოფს საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის ერთგვაროვან გამოყენებას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.[3]

საქართველოში დღეს მოქმედი საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების წესი ვერ უზრუნველყოფს საარჩევნო კომისიების შემადგენლობის სამართლიან (თანასწორ, დაბალანსებულ, მრავალპარტიულ) წარმომადგენლობას, ვინაიდან საარჩევნო კომისიის შემადგენლობის ნახევარზე მეტის დაკომპლექტება ხდება ხელისუფლების მიერ. აღნიშნული გამოიხატება შემდეგში, ცესკოს თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელების დისკრეციული უფლებამოსილება გააჩნია მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტს (ადგილობრივ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებთან კონსულტაციების შემდეგ, პრეზიდენტი ცესკოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ცესკოს წარუდგინოს 3 კანდიდატურას).[4] საქართველოს პრეზიდენტს ასევე გააჩნია დისკრეციული უფლებამოსილება ცესკოს 5 წევრის კანდიდატურა წარუდგენოს პარლამენტს, რომლებიც შეირჩეევიან ღია კონკურსის წესით.[5] ცესკოს 6 წევრის დანიშვნის უფლება წარმოეშობა საპალამენტო არჩევნებში მონაწილე იმ საარჩევნო სუბიექტებს, რომლებსაც 5%-იანი საარჩევნო ბარიერის გადალახვის შედეგად მიეკუთვნათ საქართველოს პარლამენტის წევრთა მანდატები და შექმნეს საპარლამენტო ფრაქცია (საარჩევნო სუბიექტების მიერ ცესკოს წევრების დანიშვნის წესი განსაზღვრულია საქართველოს საარჩევნო კოდეექსის მე-13 მუხლში•). მოქმედი კანონმდებლობით პარტიული ნიშნით საარჩევნო კომისიის დაკომპლექტებაში 6 წევრიდან 3 წევრის დანიშვნის უფლება (ბოლო საპარლამენტო არჩევნებში საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული ხმების შედეგების გათვალისწინებით) შესაძლოა მიიღოს მმართველმა პარტიამ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლოა საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში ვიხილოთ მმართველი სახელისუფლებო

---

[1] https://www.idea.int/sites/default/files/publications/electoral-management-design-2014.pdf გვ.7

[2] https://matsne.gov.ge/ka/document/view/1557168?publication=65 საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 7 პუნქტი 1,2

[3] https://matsne.gov.ge/ka/document/view/1557168?publication=65 საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 7 პუნქტი 3

[4] https://matsne.gov.ge/ka/document/view/1557168?publication=65 საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 10 პუნქტი 1, 3

[5] https://matsne.gov.ge/ka/document/view/1557168?publication=65 საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 12 პუნქტი 1,2,3

• საარჩევნო სუბიექტების მიერ ცესკოს წევრის (წევრების) დანიშვნისას პარტიული სიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა მრავლდება 6-ზე და იყოფა ამ მუხლით განსაზღვრული პარტიების მიერ მიღებული ხმების რაოდენობათა ჯამზე. მიღებული რიცხვის მთელი ნაწილი არის ცესკოს იმ წევრთა რაოდენობა, რომელთა დანიშვნის უფლებაც აქვს საარჩევნო სუბიექტს. საარჩევნო სუბიექტს არა აქვს უფლება, დანიშნოს ცესკოს 3 წევრზე მეტი. თუ დადგენილი წესის შესაბამისად ცესკოს წევრთა რაოდენობა 6-მდე ვერ შეივსო, ცესკოს წევრის დანიშვნის უფლებას მის წევრთა რაოდენობის 6-მდე შესავსებად, საუკეთესო შედეგების თანამიმდევრობის გათვალისწინებით მოიპოვებენ ის საარჩევნო სუბიექტები, რომელთაც ვერ დანიშნეს ცესკოს წევრი. თუ საარჩევნო სუბიექტი არ დანიშნავს ცესკოს წევრს (წევრებს) შესაბამისი უფლების წარმოშობიდან 7 დღის ვადაში, აღნიშნულ უფლებას თანამიმდევრობით მოიპოვებენ საუკეთესო შედეგის მქონე საარჩევნო სუბიექტები. თუ კანონით განსაზღვრული პარტიების რაოდენობა 6-ზე მეტია, ცესკოს წევრის დანიშვნისას უპირატესობა ენიჭება იმ პარტიას, რომელმაც არჩევნებში მეტი ხმა მიიღო.

პოლიტიკური ძალის მიერ (პრეზიდენტი, სახელისუფლებო პოლიტიკური პარტია) არჩეული და დანიშნული 9 წევრი, რაც ცალსახად არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს სხვა პარტიებს და ვერ უზრუნველყოფს მრავალპარტიულ წარმომადგენლობას საარჩევნო კომისიებში.[1]

ცესკოს როლი დიდია ქვემდგომი - საოლქო საარჩევნო კომისიის დაკომპლექტებაში. თავის მხრივ საოლქო საარჩევნო კომისია უმეტესწილად განსაზღვრავს საუბნო საარჩევნო კომისიის შემადგელობას, რომელიც საარჩევნო ადმინსტრაციის ყველაზე დაბალი რგოლია. საუბნო საარჩევნო კომისია უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს კენჭისყრის დროს საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი პროცედურის დაცვას, ადგენს კენჭისყრის შედეგებს საარჩევნო უბანში, რის თაობაზეც დგება საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი;[2] ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ საუბნო საარჩევნო კომისიაში ისევე, როგორც ცესკოსა და საოლქო საარჩევნო კომისიებში რაოდენობრივად მეტნაკლებად დაცული იყოს ბალანსი სახელისუფლებო და ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიების მიერ მხარდაჭერილ კომისიის წევრთა შორის.

როგორც ვხედავთ საარჩევნო კომისიების, პირველ რიგში ცესკოს შემადგენლობის ნახევარზე მეტის დაკომპლექტებაში ხელისუფლების (პრეზიდენტი, მმართველი პოლიტიკური პარტია) მონაწილეობა, საარჩევნო კომისიების შემადგენლობას ცალსახად უთანასწოროდ აქცევს და ეს არათანაბარი მდგომარეობა მუდამ ქმნის არჩევნების შედეგების მიმართ უნდობლობის და ნიჰილიზმის საფუძველს. ამიტომ საარჩევნო კომისიების დაკომპლექტებისას უპრიანი იქნება პარტიულ დონეზე მთლიანად პოლიტიკურ გაერთიანებებს გააჩნდეთ საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების უფლება.[3]

უფრო დეტალურად კი გაცილებით სამართლიანი იქნება თუ პარლამენტს დასამტკიცებლად ცესკოს წევრთაგან ნახევარს, მათ შორის თავმჯდომარის კანდიდატურას წარუდგენს უმრავლესობა (საპარლამენტო არჩევნებში უკეთესი შედეგის მქონე პოლიტიკური პარტია), ხოლო ცესკოს წევრთაგან დანარჩენ მეორე ნახევარს, მათ შორის მოადგილის კანდიდატურას - უმცირესობა (საპარლამენტო არჩევნებში მეორე და შემდგომ ადგილებზე გასული ის პოლიტიკური პარტიები ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, რომლებმაც გადალახეს 5%-იანი ბარიერი). ანალოგიური პრინციპით უნდა განხორციელდეს საოლქო და სუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტება. ამ შემთხვევაშიც კანდიდატები უნდა წარადგინონ პოლიტიკურმა პარტიებმა, ხოლო მათი დამტკიცება უნდა მოხდეს ზემდგომი საარჩევნო კომისიის მიერ. მინიმალური პასუხისმგებლობის გაზიარების კუთხით მიზანშეწონილია პარტიებს გააჩნდეთ ვალდებულება ცესკოს და საოლქო საარჩევნო კომისიის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე წარმოადგინონ არანაკლებ 2 კანდიდატი, რომელთაგან ის იქნება გამარჯვებული , რომელსაც უფრო მეტი მხარდაჭერა ექნება.

საარჩევნო კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლეობით, ან კვალიფიციური უმრავლესობით ცალკეულ შემთხვევებში, როცა ეს პირდაპირ გათვალისწინებულია კანონით. ორივე შემთხვევაში აუცილებელი იქნება უმრავლესობის და უმცირესობის წარმომადგენლების პოზიციების დაახლოება და კომპრომისული გადაწყვეტილების მიღება. აღნიშნული კი იქნება ნდობაზე დაფუძნებული და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობა.

გამოთქმული წინადადებები და რეკომენდაციების გაზიარება ერთის მხრივ გულისხმობს საარჩევნო ადმინისტრაციის ძირეული რეფორმას, არც-ერთ პოლიტიკურ პარტიას არ აძლევს ცალსახა უპირატესობს და ძალაუფლებას, ხელს უწყობს მათ შორის კომპრომისს და ურთიერთგაზიარებული გადაწყვეტილებების მიღებას, რაც საბოლოო ჯამში უფრო სამართლიანს გახდის საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესს და მეორეს მხრივ - ეფექტურს საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობას. საბოლოო ჯამში მივიღებთ დემოკრატიულ, კონკურენტუნარიან და ნდობაზე დაფუძნებულ სამართლიან საარჩევნო გარემოს არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებისთვის.

---

[1]https://www.transparency.ge/sites/default/files/arasamtavrobo_organizaciebis_mosazrebebi_sakartvelos_organul_kanonshi_sakartvelos_saarchevno_kodeksi_shesatan_cvlilebebze.pdf

[2] https://matsne.gov.ge/ka/document/view/1557168?publication=65 საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 26 პუნქტი 2

[3] **ფიფია ნიკოლოზ** არჩევნები და პოლიტიკური სოციალიზაცია თბ. 2013 , გვ. 134.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ფიფია ნიკოლოზ არჩევნები და პოლიტიკური სოციალიზაცია თბ. 2013
2. მელქაძე ოთარ საარჩევნო სამართალი, თბ., 2005
3. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1557168?publication=65
4. https://www.transparency.ge/sites/default/files/arasamtavrobo_organizaciebis_mosazrebebi_sakartvelos_organul_kanonshi_sakartvelos_saarchevno_kodeksi_shesatan_cvlilebebze.pdf
5. http://www.eods.eu/library/UNDP.Electoral%20Management%20Bodies%20as%20Institutions%20of%20Governance.pdf
6. https://www.idea.int/sites/default/files/publications/electoral-management-design-2014.pdf

composition of the electioral commission

Nikoloz Pipia, Professor of Georgian Technical University

Summary

composition of the election commission significantly determine the election environment, the election process and the final result of the elections. The participation of the government (president, ruling political party) in the composition of more than half of the election commissions makes this process unequal, and this unequal situation always creates grounds for distrust and nihilism towards the election results. Therefore, when staffing election commissions, it will be preferable for all political unions at the parity level to have the right to staff election commissions. In particular, half of the members of the election commission, including the candidate for the chairman, will be nominated by the majority (the party with the best results in the parliamentary elections) for approval, and the other half, including the deputy candidate, will be nominated by the minority. Crossed the 5% threshold in the parliamentary elections). All candidates should be submitted to parliament for approval.

The rule of such staffing will help to bring the positions of the majority and minority representatives closer and to make a compromise decision. This will be a precondition for making a trust-based and fair decision.

Election Commission, composition of the election commission, Central Election Commission, District Election Commission, Precinct Election Commission, Political parties

სახელმწიფო ანტიკრიზისული მართვის არსებითი მახასიათებლები

ქოქრაშვილი ქეთევან
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ამაშუკელი მამუკა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

სტატია ეძღვნება სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ანტიკრიზისული მართვის თავისებურებებს ეკონომიკური კრიზისის პირობებში. ნაშრომში წარმოდგენილია ის მნიშვნელოვანი ღონისძიებები, რომელთა მიზანია ქვეყნის ეკონომიკური მექანიზმის გაუმჯობესება, კრიზისის შედეგების მაქსიმალურად უმტკივნეულოდ აღმოფხვრა და მართვის მეთოდოლოგიური მხარდაჭერა. შედარებითი ანალიზის საფუძველზე წარმოდგენილია საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ანტიკრიზისული ღონისძიებები და მოსალოდნელი შედეგების ეფექტიანობა.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური კრიზისი, ანტიკრიზისული მართვა, ანტიკრიზისული ღონისძიებები.

შესავალი

კრიზისულ საკითხებზე თეორიული წყაროების ანალიზი მოიცავს სხვადასხვა მიდგომას კრიზისის არსის განსაზღვრისა და მისი წარმოშობის შესაძლო მიზეზების შესახებ. ზოგადად კრიზისის სტრატეგიული მენეჯმენტი პირველ რიგში მიზნად ისახავს კრიზისის ნიშნების იდენტიფიცირებას და საჭირო წინაპირობების შექმნას მათი დროული პრევენციის, შესუსტებისა და საბოლოოდ დაძლევის მიზნით.

სოციალურ-ეკონომიკური სისტემების არსებობა ციკლური პროცესია, რომელსაც ახასიათებს კრიზისების დაწყებისა და დასრულების კანონზომიერება. სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას ორი ძირითადი ტენდენცია აქვს: ფუნქციონირება და განვითარება. ეკონომიკა მოდმივად „მოქმედებაშია“, შესაბამისად მისი განვითარება ერთგვარ დიაგრამას ჰგავს, სხვა სიტყვებით, ეს არის ლოგიკურად მიმდინარე პროცესი, რა დროსაც პერიოდულად ხდება მისი „დაცემა“ და კვლავ აღორძინება.

კრიზისი სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაში არსებული წინააღმდეგობების უკიდურესი გამწვავება, რაც საფრთხეს უქმნის მის სიცოცხლისუნარიანობას. კრიზისი ასევე შესაძლებელია ერთგვარად დადებით კონტექსტშიც განვიხილოთ, ანუ როგორც სოციალურ-ეკონომიკური სისტემის განვითარების ეტაპი, რომელიც აუცილებელია მასში დაძაბულობისა და დისბალანსის აღმოსაფხვრელად.[1]

მსოფლიო პრაქტიკის გათვალისწინებით, ბოლო ათწლეულების მანძილზე სულ უფრო ხშირია სხვადასხვა ტიპის კრიზისები და შესაბამისად სახელმწიფოებიც ყოველ ჯერზე სხვადასხვა ტიპის გამოწვევების წინაშე დგანან. ასეთ პირობებში, განვითარებადი ქვეყნები ყველაზე დაუცველები არიან, რადგან კრიზისი მოიცავს მეტად მნიშვნელოვან რესურსებს: ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ, ფინანსურ, შრომით და ა.შ. ამ გარემოებების გათვალისწინებით, კერძო ბიზნესი და თავად სახელმწიფო უნდა ადაპტირდნენ და მზად იყვნენ ეფექტური ანტიკრიზისული მართვისთვის. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - „საქართველო 2020“-ში აღნიშნულია, „ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს მთავრობა აამოქმედებს ეკონომიკის მარეგულირებელ მექანიზმებს, კრიზისულ შემთხვევაში კი ხელს შეუწყობს ბაზარზე მოთხოვნის სტიმულირებას“.[2]

როგორც აღვნიშნეთ, ნებისმიერ საზოგადოებაში, ისევე როგორც ინტეგრალურ სოციალურ-

[1] https://www.cfin.ru/management/antirecessionary_managment.shtml
[2] http://gov.ge/files/382_42949_233871_400-1.pdf. გვ.5

ეკონომიკურ სისტემაში, დროდადრო მიმდინარეობს კრიზისული პროცესები, რომლებიც საფრთხეს უქმნის თავად სისტემის არსებობას. ამ სიტუაციაში ყველაზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს კრიზისული მდგომარეობის დაძლევა იმ სფეროებში, რომლებიც წარმოადგენენ ეროვნული ეკონომიკის მთავარ რგოლს.[1]

გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისების და მისი დაძლევის ღონისძიებების შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო არა მხოლოდ წამყვან როლს ასრულებს კრიზისის შედეგებისგან ეკონომიკის გადარჩენის პროცესში, არამედ აქტიურად მონაწილეობს პოსტკრიზისული ეკონომის განვითარებაში, ანუ ე.წ. "Bridge managment"-ში.[2]

სახელმწიფო ანტიკრიზისული სტრატეგიული მართვა გულისხმობს სახელმწიფო მართვის ზოგადი სისტემის ნაწილს, რომელიც თავის მხრივ მოიცავს კრიზისული სიტუაციების პროგნოზირებასა და მყისიერ დიაგნოსტირებას, მათი წარმოშობის მიზეზების დადგენასა და გონივრულ ანალიზს, კრიზისიდან გამოსვლის საუკეთესო გზების მოძიებასა და განხორციელებას. დიაგნოსტირების დროს კრიზისული მოვლენების დროულად შეცნობის შესაძლებლობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ამისათვის აუცილებელია კრიზისული სიტუაციების ამოცნობის საშუალებების ფლობა, კრიზისული ფაქტორების და სიმპტომების ცოდნა, ამ საფუძველზე კრიზისების მიზეზების დადგენა და მათი იდენტიფიცირება.

ძირითადი ტექსტი

კრიზისების ციკლურობა ლიტერატურაში განხილულია ე.წ. გარე და შიგა თეორიებზე დაყრდნობით. გარე თეორიები კრიზისების ციკლს ხსნიან გარე ფაქტორების ზემოქმედებით (საერთაშორისო კონფლიქტები, მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენები, დემოგრაფიული მდგომარეობა, სამეცნიერო და ტექნიკური მიღწევები, ინოვაციები, პანდემიები); შიგა თეორიები მიუთითებენ თვით ეკონომიკური სისტემის მექანიზმზე, რომელიც სტიმულს აძლევს კვლავწარმოების ეკონომიკურ ციკლს. თანამედროვე ეკონომისტების უმრავლესობა თვლის, რომ კრიზისები უმეტესწილად ორივე სახის თეორიას ერთდროულად ეფუძნებიან, კერძოდ, ციკლის არასტაბილური რყევების საწყისი მიზეზი გარე ფაქტორებია, როგორიცაა ტექნიკური ინოვაციები, დემოგრაფიული მდგომარეობა და სხვა, თუმცა, ციკლის სიხშირე და რეგულარულობა დამოკიდებულია ისეთ შიდა ფაქტორებზე, როგორიცაა მთლიანი და წმინდა ინვესტიციები, ბიზნესის განვითარება, წარმოების ზრდა და სხვა. [3]

კრიზისების მართვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკა მოიცავს სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარების სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებას, რომელიც მიზნად ისახავს კრიზისული სიტუაციების დაძლევას, ეკონომიკურ და სახელმწიფო სისტემათა ინსტიტუტების წონასწორობის მაქსიმალურად შენარჩუნების გათვალისწინებით. ეროვნული ეკონომიკის ფუნქციონირების ეფექტურობა განისაზღვრება მისი განვითარების ნებისმიერ ეტაპზე წარმოქმნილ პრობლემებზე ადეკვატური და მოქნილი რეაგირების შესაძლებლობით. თანამედროვე პირობებში ეროვნული ეკონომიკა სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას, რაც პირველ რიგში განპირობებულია გლობალიზაციის პროცესის დაჩქარებით, ინოვაციური საქმიანობისა და ტექნოლოგიური განვითარების დინამიკით, მსოფლიო ბაზრებზე კონკურენციის ზრდით, მუდმივად ცვალებადი და მზარდი საზოგადოებრივი მოთხოვნების დაკმაყოფილების აუცილებლობით, მდგრადი განვითარების კომპონენტების ეფექტური კომპლემენტაციის უზრუნველსაყოფად ახალი მიდგომების ძიებით, დღეს

[1] V. Franchuk, O. Sylkin. Implementation of Anti-Crisis Management in the Context of Ensuring Sustainable Development of the Enterprise. 2021. Advances in Economics, Business and Management Research, volume 170Proceedings of the International Conference on Economics, Law and Education Research (ELER 2021).

[2] https://www.eugb.ge/view_content.php?content=content&id=279&THE%20ANTI-CRISIS%20ROLE%20OF%20THE%20STATE%20(BASED%20ON%20THE%20EXPERIENCE%20OFTHE%20GLOBAL%20FINANCIAL%20AND%20THE%20CORONOMIC%20CRISIS)

[3] https://www.cfin.ru/management/antirecessionary_managment.shtml

კი დამატებით, პანდემიით გამოწვეული მსოფლიო ეკონომიკური კრიზისით.[1]

ზოგადად ეკონომიკური კრიზისები მათი მასშტაბურობიდან გამომდინარე იყოფა: ლოკალურ კრიზისებად, რომლებიც მოიცავენ ეკონომიკის სისტემის მხოლოდ გარკვეულ ნაწილს და საერთო კრიზისებად, რომლებიც ვრცელდება ეკონომიკის ყველა დარგზე.[2] ასევე ცნობილია დიფერენციაცია კრიზისით წარმოქმნილი პრობლემების მიხედვით, ამ თვალსაზრისით ეკონომიკური კრიზისები შეიძლება დავყოთ მიკროკრიზისებად და მაკროკრიზისებად, რაც განპირობებულია ქვეყნის ეკონომიკურ სისტემაში არსებული პრობლემების მასშტაბურობით.

XX საუკუნემდე კრიზისები შედარებით ლოკალურ ხასიათს ატარებდა, რაც გამოწვეული იყო გლობალიზაციის დაბალი დონით. პირველი გლობალური კრიზისის წინაშე მსოფლიო 1929-1933 წლებში აღმოჩნდა, რაც „დიდი დეპრესიის" სახელითაა ცნონილი და რომლის შედეგებს მსოფლიო მეორე მსოფლიო ომამდე ებრძოდა. 1973 და 1979 წლები ცნობილია როგორც ნავთობის მსოფლიო კრიზისის პერიოდები. „დიდი დეპრესიის" შემდეგ 2008-2009 წლების ფინანსურ კრიზისს ყველაზე მძიმე შედეგები მოჰყვა. ის შეეხო მსოფლიოს ყველა ქვეყანას, რადგან ამ დროისთვის ეკონომიკური გლობალიზაციისა და ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულების დონე ძალიან მაღალი იყო. მთავრობებმა ძირითადად საბიუჯეტო დახმარების პროგრამებს მიმართეს. მოთხოვნის წასახალისებლად განვითარებული ქვეყნების ბანკებმა რეფინანსირების განაკვეთები მნიშვნელოვნად შეამცირეს და ამავე დროს საბანკო რეგულაციები გაამკაცრეს. [3]

მსოფლიო გამოცდილება და პრაქტიკა ცხადჰყოფს, რომ სხვადასხვა სახელმწიფოს მიერ შემუშავებულ და გატარებულ ანტიკრიზისულ ღონისძიებებში ნიშანდობლივია შემდეგი მიმართულებები: ანტიციკლური, ანტიმონოპოლური, ფისკალური, დეფლაციური, ფულად-საკრედიტო, საინვესტიციო, სტრუქტურული, სოციალური, გარემოსდაცვითი პოლიტიკა, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება, კერძო სექტორის მხარდაჭერა (განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესის) და ა.შ. აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ანტიკრიზისული საქმიანობის განსაკუთრებული როლი იმაში მდგომარეობს, რომ იგი პასუხისმგებელია არა მხოლოდ სახელმწიფო სექტორზე, არამედ მთლიანად ეკონომიკის ფუნქციონირებაზე.

ბოლო დაახლოებით ოცდაათი წლის განმავლობაში ეკონომიკურმა გლობალიზაციამ, სავაჭრო და ეკონომიკური კავშირების გართულებამ, „სპეკულაციური კაპიტალის" მსოფლიო ბაზრის გაჩენამ და მისი როლის განმტკიცებამ ხელი შეუწყო ეკონომიკური რეალობის გართულებას და ეკონომიკური კრიზისების სიხშირეს. კრიზისების შედარებით მსუბუქად გადატანის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა, ყოვლისმომცველი სტრატეგიის შემუშავების საფუძველზე. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია სახელმწიფოს სოციალურად ეფექტური სტრატეგიის საშუალებით, რომელიც ხორციელდება სოციალური წარმოების სისტემის პირდაპირი კონტროლის გზით. სტრატეგიული დაგეგმვა ეროვნული ეკონომიკის სისტემის მართვის ძირითადი ელემენტია, რომელიც თავის მხრივ მოიცავს ეკონომიკის რეგულირების მექანიზმებს.[4]

მსოფლიო გამოცდილების მიხედვით სახელმწიფოს მიერ კრიზისების მართვა სამ ფაზას მოიცავს, ესენია:

- კრიზისამდე მართვა;
- უშუალოდ კრიზისის პირობებში მართვა;
- კრიზისის შემდგომი პერიოდის მართვა.

ამ თვალსაზრისით სახელმწიფო ანტიკრიზისული რეგულირების ნებისმიერ ეტაპზე არაერთი სახის რეგულირებას იყენებს, მათ შორის მნიშვნელოვანია:

---

[1] ქ.ქოქრაშვილი, ლ.გორგაძე. სამეწარმეო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირებისა და მხარდაჭერის მნიშვნელოვანი მიმართულებები. მონოგრაფია. 2021.გვ.5.

[2] https://openscience.ge/bitstream/1/2000/1/Samagistro%20Bitsadze.pdf

[3] https://forbes.ge/ekonomikuri-krizisebis-m/

[4] https://lomonosov-msu.ru/file/event/3986/eid3986_attach_12c2dfec8c5a400a0f0f8bb2cc396c6c9ef4aa69.pdf. გვ.73

- საკანონმდებლო რეგულირება - რაც გულისხმობს სახელმწიფო ანტიკრიზისული მართვის სამართლებრივი საფუძვლების შექმნას;
- ფინანსური რეგულირება - ფინანსური ბერკეტებისა და სახელმწიფო რესურსების გამოყენება ანტიკრიზისული ღონისძიებების განსახორციელებლად. ეს რეგულირება ეფუძნება სახელმწიფო საბიუჯეტო სისტემის გამოყენებასა და საბიუჯეტო პოლიტიკის განხორციელებას, რომელიც თავის მხრივ მიზნად ისახავს კრიზისულ ვითარებაში ფინანსური მხარდამჭერი ღონისძიებების გატარებასა და კრიზისების უარყოფითი შედეგების მაქსიმალურად შესაძლო შემსუბუქებას.

აღნიშნული თვალსაზრისით, ქვეყნის განვითარებისთვის აუცილებელი მინიმალური მახასიათებლებია კანონის უზენაესობა, სასამართლოს დამოუკიდებლობა, მარტივი საგადასახადო სისტემა და მცირე საგადასახადო წნეხი, ბიზნესის, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა (და არა მხოლოდ ფინანსური), ჯანსაღი კონკურენციის უზრუნველყოფა, გამართული ინფრასტრუქტურა, თანამედროვე და მოქნილი სახელმწიფო ინსტიტუტები და რა თქმა უნდა კორუფციის დაბალი დონე. მოცემულ პერიოდში, განსაკუთრებით ჩვენი ქვეყნისთვის მეტად პრიორიტეტულია ასევე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, გლობალურ ღირებულებათა ჯაჭვში მონაწილეობა, არსებული კონკურენტული უპირატესობის განვითარება და სხვა. ამ მოქმედებათა ძირითადი მიზანია ქვეყანაში ცხოვრების დონის გაუმჯობესება, ან მინიმუმ გაუარესების აღკვეთა მაინც. როგორც ემპირიული მაგალითები ცხადყოფს, სწრაფი ეკონომიკური ზრდა დაკავშირებულია ობიექტურ სირთულეებთან და რისკებთან. საკითხი - აქვს თუ არა სახელმწიფოს რისკების ხანგრძლივი ვადით მართვის შესაძლებლობები (მათ შორის, ფინანსური) და კრიზისების შთანთქმის ბუფერები, დიდწილად, განაპირობებს კიდეც ეკონომიკური ზრდის ტემპის მისაღებ დონეს.[1]

ბოლო 20 წლის განმავლობაში მსოფლიო არაერთხელ აღმოჩნდა ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის პირობებში. სახელმწიფოთა მიერ განხორციელებული კრიზის მენეჯმენტის გამოცდილების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ანტიკრიზისული ღონისძიებების ძირითადი მიმართულებები სხვა და სხვა ქვეყნებში მეტ ნაკლებად მსგავსია, ესენია:

- საგადასახადო და საბაჟო რეჟიმების ოპტიმიზაცია, ბიზნესზე ფისკალური წნეხის შემსუბუქება და მაქსიმალური მხარდაჭერა, მთავრობის პრიორიტეტული პროექტების გათვალისწინება სახელმწიფო ბიუჯეტში, ადექვატური ბიუჯეტის შედგენა;
- ბაზარზე კეთილსინდისიერი კონკურენციის მხარდაჭერა, ანტიმონოპოლიური საქმიანობის კონტროლი;
- ეკონომიკის დივერსიფიცირება, სტრატეგიული პროგრამის მიზნობრივი დაგეგმვა, ინოვაციური განვითარების სტიმულირება, კორპორაციულ ურთიერთობათა მოდერნიზაცია, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა;
- ქვეყნის ფინანსური ბაზრის ოპტიმიზაცია;
- საბიუჯეტო ხარჯების შემცირება;
- ეკონომიკის დეოფშორიზაცია;
- კორუფციასთან ბრძოლის ეფექტური ღონისძიებების გატარება;
- სახელმწიფო მმართველობის მექანიზმის განახლება, "ახალი სახელმწიფო მმართველობის" სისტემის სტანდარტებთან მიახლოება, ეკონომიკური ზრდისა და სოციალური სახელმწიფოებრიობის მიზნებზე ორიენტირება.

მკვლევართა აზრით, დღეს არსებული გლობალური ეკონომიკური კრიზისის გამომწვევი მიზეზები არახალია, COVID-19 პანდემია არ იყო კრიზისის ერთადერთი მიზეზი, წინაპირობათა დიდი ნაწილი რამოდენიმე წლის წინ ჩამოყალიბდა. რა თქმა უნდა, გლობალურმა პანდემიამ უდიდესი დარტყმა მიაყენა მსოფლიოს ეკონომიკას, მაგრამ პრაქტიკულად ყველა თანმხლები ფაქტორი

[1] https://www.geocase.ge/ka/publications/188/tanamedrove-industriuli-politika-da-saqartvelos-ganvitarebis-miznobrivi-tempi

მსოფლიოს მასშტაბით ამა თუ იმ ფორმით უკვე არსებობდა. მაგალითად, ევროკავშირი გარკვეული პერიოდის განმავლობაში ეკონომიკური ზრდის ფაქტობრივად გახანგრძლივებული კრიზისის ეტაპზე იმყოფებოდა, რაც გამოწვეული იყო მთელი რიგი ფაქტორებით, მათ შორის, მთლიანი კაპიტალის ფორმირების დაბალი მაჩვენებლითა და მთლიანი დანაზოგის მაღალი მაჩვენებლით, მშპ-ს შედარებით დაბალი ინტენსივობით, დემოგრაფიული პრობლემებითა და გადაუჭრელი სოციალური საკითხებით. ასევე სპეციალისტთა მიერ სერიოზულ მიზეზად სახელდება ევროკავშირის წევრი ქვეყნების არათანაბარი კონკურენტუნარიანობა. ამ უთანასწორობის გამო, სიმეტრიული ეკონომიკური შოკები თითოეულ ქვეყანაზე თავისებურად ახდენს გავლენას და წარსული კრიზისების პერიოდში შექმნილი ინსტიტუტები პრობლემებს აგვარებენ იმ მასშტაბით, რაც საკმარისია მხოლოდ ევროკავშირის დაშლის თავიდან ასაცილებლად.[1]

ლოგიკურია, რომ COVID-19 პანდემიით გამოწვეული კრიზისი, ეკონომიკური თვალსაზრისით, ევროკავშირისთვის აღმოჩნდა ასიმეტრიული შოკი, რადგან ყველა წევრ სახელმწიფოზე გავლენა ერთნაირად არ მოუხდენია. მეტიც, ყველა წევრ სახელმწიფოს არ შეეძლო თანაბრად მოეხდინა რეაგირება საკუთარი საშუალებებით, თუნდაც ეროვნული ბიუჯეტის ფარგლებში.[2] მსოფლიო პანდემიის პერიოდში ევროკომისიამ დაამტკიცა დროებითი ჩარჩო, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია რიგ ქვეყნებში პანდემიის პირობებში ბიზნესის ფინანსური დახმარება.[3] ევროკავშირის მასშტაბით არაერთი დოკუმენტი იქნა მიღებული კორონავირუსით გამოწვეული ანტიკრიზისულ მართვასთან დაკავშირებით,[4] თუმცა არსებობს სერიოზული პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებს შორის ხარჯების გადანაწილებასთან დაკავშირებით, რაც მეტად დელიკატური საკითხია.

2020 წელს აშშ-ს კონგრესმა დაამტკიცა ანტიკრიზისულ გეგმათა პაკეტი ,,COVID-19 Stimulus", რომელიც მოიცავს ფისკალურ და ფინანსურ საკითხებს და ითვალისწინებს ბიზნესის, ოჯახებისა და ინდივიდების ფინანსური დახმარების სხვადასხვა სახის ღონისძიებებს. ამავე მიზნით აშშ-ში 2020 წლის 27 მარტს მიღებული იქნა ფედერალური კანონი „კორონავირუსის შემსუბუქების, შერბილებისა და ეკონომიკური უსაფრთხოების შესახებ" („Coronavirus Aid, Relief, and Economic Security Act» - „CARES Act").[5] ამერიკა დღეს ხელმძღვანელობს ბაიდენის მიერ წარდგენილი და სენატის მიერ დამტკიცებული ე.წ. „ამერიკული სამაშველო გეგმით" (American Rescue Plan Act of 2021[6]), რაც ძირითადად მიმართულია მოსახლეობის დახმარებისაკენ. 2021 წლის მარტში აშშ-ის კონგრესმა მიიღო ეკონომიკის მხარდაჭერის ღონისძიებების ანტიკრიზისული პაკეტი, 1,9 ტრილიონი აშშ დოლარის მოცულობით, რაც ძირითადად ხმარდება ამერიკის ეკონომიკის გაჯანსაღებას.

რაც შეეხება საქართველოს, შეიძლება ითქვას, რომ პანდემიას უკვე კრიზისულ მდგომარეობაში შეხვდა, კერძოდ, 2014-2016 წლებში ჩვენი ქვეყანა აღმოჩნდა სერიოზული ეკონომიკური კრიზისის წინაშე, რაც ძირითადად გამოწვეული იყო რეგიონალური სავალუტო კრიზისით, აღნიშნულს მოჰყვა მთავრობის მიერ ე.წ. „დედოლარიზაციის" კურსის შემოღება და საზოგადოებისთვის „გალარების" პროგრამის შეთავაზება. ეს პოლიტიკა საბოლოო ჯამში წარუმატებელი აღმოჩნდა, დროულად ვერ მოხერხდა შესაბამისი რისკების გონივრული და ოპერატიული მართვა, რისი შედეგებიც დღემდე სახეზეა. ამას დაემატა მსოფლიო პანდემია და მისი სავალალო ეკონომიკური შედეგები. კორონარული კრიზისის გამოცდილებიდან გამომდინარე, საქართველოს ეკონომიკის განვითარებისა და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, საჭიროა ანტიკრიზისული მართვის მეთოდოლოგიის რეფორმირება და ამ მიმართულებით ადეკვატური, გონივრული და მყისიერი ნაბიჯების გადადგმა.

---

[1] https://valdaiclub.com/a/highlights/new-and-old-in-the-eu-anti-crisis-policy/

[2] Emanuel Castellarin. The European Union's Financial Contribution to the Response to the Covid-19 Crisis: An Overview of Existing Mechanisms, Proposals Under Discussion and Open Issues. A journal on Low and Integration. 27 June 2020.

[3] https://ec.europa.eu/info/live-work-travel-eu/coronavirus-response/jobs-and-economy-during-coronavirus-pandemic/state-aid-cases_en

[4] https://www.esm.europa.eu/content/all-relevant-documents-related-european-union-response-coronavirus-crisis

[5] https://www.eg-online.ru/news/419705/

[6] https://www.congress.gov/bill/117th-congress/house-bill/1319

2020 წლის 27 ნოემბერს გამოქვეყნდა საქართველოს მთავრობის ანტიკრიზისული გეგმის მეოთხე ეტაპი, რაც მოიცავს მოქალაქეებზე ზრუნვას (ბიუჯეტით **545 მლნ ლარი) და ბიზნესის მხარდამჭერ პაკეტს** (ბიუჯეტით **515 მლნ ლარი), პაკეტის ჯანური თანხა 1,1 მილიარდი ლარია. მიუხედავად აღნიშნულისა,** დახმარების პროგრამების მცირე მოცულობის გამო და შესაბამისი ანტიკრიზისული მართვის გეგმისა და პროგრამის სათანადადოდ ვერ შემუშავების გამო, ფაქტობრივი შედეგი ჯერ კიდევ არ ჩანს. „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის განმარტებითი ბარათის თანახმად, ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტი ანტიკრიზისული გეგმის შესაბამისად ჯამურად ითვალისწინებს 1 420 მლნ ლარს, მათ შორის 2020 წელს 280 მლნ ლარი, ხოლო 2021 წელს 1 140 მლნ ლარს (ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით გათვალისწინებული თანხა შეადგენს 430,0 მლნ ლარს).

დასკვნა

პანდემიით გამოწვეული მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დასრულების ეტაპი ჯერ კიდევ უცნობია, შესაბამისად დღეს მისი უარყოფითი შედეგების გათვლა რეალობას მოკლებულია. ექსპერტების მიერ გაკეთებული პროგნოზები ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულია, თუმცა ერთი რამ რაც ცალსახაა, ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფოს მიერ დაგეგმილი და განხორციელებულ ანტიკრიზისულ ღონისძიებებსა და პროგრამებს აკლია სიზუსტე, რიგ შემთხვევებში ანტიკრიზისული ღონისძიებათა ბიუჯეტი არასაკმარისია, მთავრობა სრულად ვერ პასუხობს პანდემიით გამოწვეული კრიზისის გამოწვევებს, ვერ ხერხდება არსებული რესურსების ეფექტურად გადანაწილება/გამოყენება. მართვის პროცესში არ გამოიყენება საერთაშორისო დონეზე აპრობირებული მეთოდოლოგიები და რეალობის გათვალისწინებით ანტიკრიზისულ მართვას ახორციელებენ არასაკმარისი პროფესიონალური უნარ-ჩვევენისა და გამოცდილების მქონე ადამიანები. პრაქტიკამ გვაჩვენა, რომ გადაწყვეტილებების მიღება ხშირ შემთხვევაში ხდება ნაჩქარევად და არ ეფუძნება შესაბამის ანალიზს. ასევე მნიშვნელოვანია მუდმივად მზარდი სახელმწიფო ვალის საკითხი. დღეის მდგომარეობით კანონით დადგენილი ლიმიტი გადაჭარბებულია – 2021 წლის ბიუჯეტის განმარტებითი ბარათის მიხედვით, წელს სახელმწიფო ვალი მთლიანი შიდა პროდუქტის 60.1%-ს მიაღწევს, რაც ეწინააღმდეგება „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ ლიმიტს („არაუმეტეს 60%-ისა“).

სახელმწიფოს როლი განსაკუთრებული სიძლიერით ვლინდება გლობალური ფინანსურ–ეკონომიკური კრიზისისა და პოსტკრიზისული განვითარების პერიოდში. სახელმწიფომ კრიზისული სიტუაციის დაძლევის პირობებში უნდა შეასრულოს ე.წ. „Bridge– manager“-ის როლი და საკუთარ თავზე აიღო კრიზისის ძირითადი სიმძიმე. ამ პერიოდში სახელმწიფოს აქტიური ჩარევა ეკონომიკურ პროცესებში ობიექტური აუცილებლობაა. ამასთან, სახელმწიფოს ეკონომიკური როლის გაძლიერება აღქმული უნდა იქნეს არა როგორც ეკონომიკურ პროცესებში მისი პირდაპირი ჩარევა, კერძო ბიზნესისა და კერძო ინიციატიცის შეზღუდვა, არამედ როგორც მათი დახმარება, სტიმულირება და ხელსაყრელი მაკროეკონომკური გარემოს ფორმირება, შესაბამისი ფინანსურ–ეკონომიკური, ინსტიტუციური, ორგანიზაციული, ადმინისტრაციულ–სამართლებრივი მექანიზმების გამოყენების საშუალებით[1].

ბოლოს, მნიშვნელოვანია კრიზისი პერიოდში სტრატეგიული მენეჯმენტის პროცესების რეფორმირება და საერთო ტენდენციების ანალიზი, რისი საშუალებითაც გაიზრდება კრიზისით გამოწვეული უარყოფითი შედეგების დაძლევის რეალური შანსები.

[1]მიმინოშვილი თ. სახელმწიფოსა და ბიზნესის ურთიერთობის მექანიზმი და მისი განვითარების პერსპექტივები. სადისერტაციო ნაშრომი. თბ., 2014. გვ.151.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1405264?publication=3
2. თ.მიმინოშვილი სახელმწიფოსა და ბიზნესის ურთიერთობის მექანიზმი და მისი განვითარების პერსპექტივები. სადისერტაციო ნაშრომი. თბ., 2014.
3. ქ.ქოქრაშვილი, ლ.გორგაძე. სამეწარმეო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირებისა და მხარდაჭერის მნიშვნელოვანი მიმართულებები. მონოგრაფია. თბ., 2021.
4. V. Franchuk, O. Sylkin. Implementation of Anti-Crisis Management in the Context of Ensuring Sustainable Development of the Enterprise. 2021. Advances in Economics, Business and Management Research, volume 170Proceedings of the International Conference on Economics, Law and Education Research (ELER 2021)
5. Emanuel Castellarin. The European Union's Financial Contribution to the Response to the Covid-19 Crisis: An Overview of Existing Mechanisms, Proposals Under Discussion and Open Issues. A journal on Low and Integration. 27 June 2020
6. https://www.eugb.ge/view_content.php?content=content&id=279&THE%20ANTI-CRISIS%20ROLE%20OF%20THE%20STATE%20(BASED%20ON%20THE%20EXPERIENCE%20OFTHE%20GLOBAL%20FINANCIAL%20AND%20THE%20CORONOMIC%20CRISIS)
7. https://www.cfin.ru/management/antirecessionary_managment.shtml
8. https://openscience.ge/bitstream/1/2000/1/Samagistro%20Bitsadze.pdf
9. http://gov.ge/files/382_42949_233871_400-1.pdf.
10. https://lomonosov-msu.ru/file/event/3986/eid3986_attach_12c2dfec8c5a400a0f0f8bb2cc396c6c9ef4aa69.pdf.
11. https://www.geocase.ge/ka/publications/188/tanamedrove-industriuli-politika-da-saqartvelos-ganvitarebis-miznobrivi-tempi
12. https://valdaiclub.com/a/highlights/new-and-old-in-the-eu-anti-crisis-policy/
13. https://ec.europa.eu/info/live-work-travel-eu/coronavirus-response/jobs-and-economy-during-coronavirus-pandemic/state-aid-cases_en
14. https://www.esm.europa.eu/content/all-relevant-documents-related-european-union-response-coronavirus-crisis
15. https://www.eg-online.ru/news/419705/
16. https://www.congress.gov/bill/117th-congress/house-bill/1319
17. https://forbes.ge/ekonomikuri-krizisebis-m/

Essential characteristics of state anti-crisis management

Ketevan Kokrashvili
Professor of Georgian Technical University.

Mamuka Amashukeli
PhD student of Georgian Technical University

Summary

The article is dedicated to the peculiarities of state anti-crisis management in the conditions of economic crisis. The paper presents important measures aimed at improving the economic mechanism of the country, painless elimination of the consequences of the crisis and methodological support for management. However, based on the comparative analysis, the anti-crisis measures taken by the Government of Georgia and the effectiveness of the expected results are presented.

Keywords: economic crisis, anti-crisis management, anti-crisis measures.

დუალური განათლება-სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება საქართველოში

ქათამაძე ნატო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

აბსტრაქტი

განათლების გარეშე განვითარება წარმოუდგენელია. იგი, ქვეყანაში მიმდინარე პროცესების დარეგულირების და პრობლემების გადაჭრის ერთერთი აუცილებელი კომპონენტია. ბოლო რამდენიმე წელია, საქართველოს მთავრობის, უმთავრეს პრიორიტეტს ძლიერი განათლების სისტემის ჩამოყალიბება წარმოადგენს. მართალია, განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ, განხორციელდა მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო ცვლილებები, რომელიც მოიცავს მთელ რიგ რეფორმებს, თუმცა, მიუხედავად ამისა, პრობლემები მაინც მრავლადაა. სწორედ ამიტომ, ხშირია საუბარი სხვადასხვა ევროპული ქვეყნების გამოცდილების გაზიარებასთან დაკავშირებით. პრობლემები განათლების ყველა საფეხურზე შეინიშნება, მაგრამ პროფესიული განათლების მიმართულებით ეს მკაფიოდ ჩანს. საქართველოში, ჯერ კიდევ მზარდია მოთხოვნა საუნივერსიტეტო სწავლებასთან დაკავშირებით. „უმაღლესი განათლება“, საზოგადოების მიერ, დასაქმების უალტერნატივო მექანიზმადაა აღქმული. რასაც ხელს უწყობს თავად დამსაქმებელიც, რადგან, ხშირ შემთხვევაში, ვაკანსიების გამოცხადების დროს ისეთ მოთხოვნებს უთითებენ რაც „აიძულებს“ ახალგაზრდებს „უმაღლესი განათლების“ მიღების აუცილებლობაზე იფიქრონ. მდგომარეობა შეიცვლება თუ დამსაქმებელი თავად იქნება ჩართული მომავალი მუშახელის სწავლების პროცესში. რასაც სრულად უწყობს ხელს დუალური- სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მოდელი. თუმცა, როგორც ყველა სიახლეს ამ მოდელსაც ჰყავს სკეპტიკოსი ადამიანები რომლებიც არ/ვერ ცვლიან ძველ საბჭოური განათლების მოდელს ამ ინოვაციურ სიახლეზე. სწორედ ამიტომ გახდა აუცილებელი დუალური განათლების მიმართულებით არსებული გამოწვევების შესწავლა და საზოგადოებისთვის მისი სწორი ინტერპრეტაციით მიწოდება.

საკვანძო სიტყვები: განათლების სისტემა; დუალური განათლება; პროფესიული სწავლება; პრიორიტეტები; გამოწვევები; პრობლემები;

ძირითადი ტექსტი

განათლება რომ უალტენატივოა ამაზე აღარავინ აღარ დაობს. იმისათვის, რომ სისტემაში არსებული ხარვეზები აღმოიფხვრას, აუცილებელია განათლების ინტერნაციონალიზაცია, საერთაშორისო პოლიტიკის და მექანიზმების შემუშავება და შრომის ბაზრის გაფართოება. **დუალური განათლება-სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება**- სტუდენტებს აძლევს კვალიფიციური ცოდნის მიღების და დასაქმების შესაძლებლობას. ესაა გერმანული მოდელი სადაც სწავლების პროცესი თანაბრად მიმდინარეობს პროფესიულ სასწავლებელსა და საწარმოში. მოდელის მიხედვით, სწავლების პროცესი უმეტესწილად მიმდინარეობს საწარმოში. 60-70% სამუშაო გარემოში; 30-40%კი პროფესიულ სასწავლებლებში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ არის ხელოვნური გარემო, რისი პრაქტიკაც მრავლად იყო სხვადასხვა დროს. მათ, რეალურად უწევთ საწარმოებთან თანამშრომლობა და ისინი ფაქტიურად თავიანთ მომავალ პოტენციურ სამსახურებში სწავლობენ და პრაქტიკასაც ეუფლებიან. სწორედ ეს არის დუალური განათლების უმთავრესი ღირსება და უპირატესობა. თუმცა ჯერჯერობით ჩვენს ქვეყანაში პოპულარობა ვერ მოიპოვა და კვლავ სჭარბობს ძველი „ტრადიციული“ მეთოდით სწავლება.

გერმანიაში, დუალურ განათლებას მრავალწლიანი ტრადიცია გააჩნია, ქვეყნის მზარდი და დინამიური ეკონომიკის განმაპირობებელ ფაქტორად სწორედ ეს მიაჩნიათ და არცთუ ტყუილად. ვინაიდან ყველა მხარის (სახელმწიფო; სასწავლებელი; სტუდენტი; დამსაქმებელი) ჩართულობით ყალიბდება მაღალკვალიფიციური მუშახელი რაც ქმნის დოვლათს და აღორძინებს ეკონომიკას. საქართველოში, გერმანიის საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით დუალური განთლების ჩანასახები 2016 წლიდან არსებობს, საპილოტედ არჩეული იქნა მეღვინეობა-მევენახეობის

მიმართულება. პრაქტიკამ აჩვენა, რომ ამ მოდელმა ნამდვილად დაახლოვა ერთმანეთთან პროფესიული სასწავლებლები და საწარმოები. მართალია გერმანიაში, საუნივერსიტეტო განათლებას, კი უსწრებს წინ პროფესიული განათლება, მაგრამ საქართველოში ამ მხრივ ჯერჯერობით არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა გვაქვს. ახალგაზრდები, არათუ პროფესიული განათლების შემდეგ ავითარებენ განათლების დონეს უნივერსიტეტებში, არამედ საერთოდ არ ფიქრობენ პროფესიული განათლების მიღებაზე და მათთვის ხიბლის მატარებელი კვლავ უმაღლესი განათლების მიღების გაუთვითცნობიერებელი სურვილები სჭარბობენ. არადა პროფესიული სასწავლებლების მიმზიდველობის საიდუმლო სწორედ მათი სწრაფი დასაქმების წინაპირობაა.

საქართველოში, პროფესიული განათლების სისტემა სწრაფად და ეფექტიანად ვერ პასუხობს შრომის ბაზარი მოთხოვნებს. ხშირად გვესმის, რომ დამსაქმებლები ვერ ახერხებენ საჭირო კვალიფიკაციის მქონე კადრების მოძიებას, (არადა თითქოს კადრების სიმცირე არ უნდა იყოს) ან პროფესიული სასწავლებლები ვერ უზრუნველყოფენ დეფიციტური კადრების დროულ შევსებას, მაშინ როდესაც დეფიციტური სპეციალობები თითქოსდა არ არსებობენ. მაშ რაშია საქმე? პასუხი მარტივია, ან შესაბამისი სპეციალობები არ არსებობენ ან დარგი არ არსებობს. დარგი რომ გაჩნდეს საჭიროა მაღალკვალიფიციური სპეციელისტები და სპეციალისტები რომ გაჩნდნენ ამისათვის საჭიროა სახელმწიფო პოლიტიკის სწორი წარმართვა. სახელმწიფოს პრიორიტეტი უნდა იყოს განათლება რადგან მაღალკვალიფიციური მუშახელის გარეშე არ ვითარდება ეკონომიკის სექტორი და თავად ეკონომიკა არ იქმნება. თუ სტატისტიკას გადავხედავთ პროფესიულ სასწავლებლებში მართლაც შეინიშნება რიგი სპეციალობების ნაკლებობა. ძალიან დაბალი პროცენტია მრეწველობის თითქმის ყველა სფეროში. დეფიციტია, სამთო მოპოვებაში, მშენებლობაში, მაშინ როდესაც ბაზარი ტურიზმის მიმართულებით და საბანკო საქმეში გადავსებულა. სწორედ ამიტომ შრომის ბაზარი გაუჯერებელია. რაც იწვევს სამუშაო ძალაზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის აშკარა დისბალანსს.

სამწუხაროდ, დღემდე ვერ მოხდა „**სახელმწიფო-პროფესიული სასწავლებელი-სტუდენტი-საწარმო**“,-ს ერთიან რგოლად ჩამოყალიბება.

დამსაქმებელმა ორგანიზაციებმა, ჯერ კიდევ ვერ გაათვითცნობიერეს ის სარგებელი რასაც ამ პროცესში ჩართვით მიიღებენ. რომ შეუმცირდებათ, არაკვალიფიციური კადრების მიერ არა ჯეროვნად გაკეთებული საქმით გამოწვეული ორგანიზაციული ხარჯები. მინიმუმადე ექნებათ დაყვანილი შრომითი უსაფრთხოების ნორმების უხეში დარღვევები და საწარმოო ტრავმების რაოდენობა. და რაც ყველაზე მთავარია, კარგი იმიჯისა და რეპუტაციის გამო გაეზრდებათ ცნობადობა როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო ბაზარზე. რითაც პირდაპირპროპორციულად გაიზრდება მათი მარკეტინგულ ქსელიც. ამიტომ აუცილებელია დამსაქმებელმა დროულად გაათვითცნობიეროს ის უპირატესობები და დროულად ჩაერთონ დუალური განათლების მათსავე წარმოებაში დანერგვის პროცესში.

არც **პროფესიული სასწავლებლები** ცდილობენ გამოვიდნენ საბჭოური სწავლების მეთოდიდან და გადავიდნენ ახალ- მოდერნიზებულ სასწავლო კურსებზე. განვითარების ტემპების გათვალისწინებით აუცილებელია ფეხი აუწყონ თანამედროვეობას და პირველ რიგში დაიწყონ შრომის ბაზრის შესწავლა და იმ „პოპულარული“ და მოთხოვნადი პროფესიების გამოვლენა რომელთა კვალიფიციური კადრების დეფიციტია ბაზარზე. მუდმივ კომუნიკაციაში იყვნენ დამსაქმებლებთან, მათთან ერთად შეიმუშაონ სასწავლო მოდულები და მიიღონ სტუდენტთა მომავალი დასაქმების გარანტიები. და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია მუდმივ კომუნიკაციაში იყვნენ თავიან პოტენციურ სტუდენტებთან.

რაც შეეხება **სტუდენტებს**-თუ ისინი დაინახავენ რომ ექნებათ, გარანტირებულ სამუშაო ადგილები, მაღალანაზღაურებადი ხელფასი მათი კვალიფიკაციის მიხედვით, იქნებიან შრომის ბაზარზე (როგორც ადგილობრივი ისე საერთაშორისო) კონკურენტუნარიანები და პროფესიულ სასწავლებელში მიღებული ცოდნით დააკმაყოფილებენ სწრაფად და მუდმივად ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნებს მაშინ მათი ლტოლვა უმაღლესი სასწავლებლების მიმართ შემცირდება და დაიწყებენ ფიქრს პროფესიული განათლების მიღებაზე.

სახელმწიფოს დუალურ საგანმანათლებლო სისტემაში მარეგულირებლის როლი უნდა ჰქონდეს.

მათი თანამონაწილეობით გაიზრდება კვალიფიციური კადრები რაც შეამცირებს უმუშევრობის დონეს, რომელიც მწვავედ დგას დღევანდელ რეალობაში. გაიზრდება კვალიფიციური კადრების მიერ წარმოებული პროდუქციის ხარისხი რასაც წლების მანძილზე სავალალო შედეგებამდე მივყავდით და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე გაიზრდება ქვეყნის ეკონომიკური პარამეტრები. სწორედ ამიტომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს კიდევ უფრო მეტი ფინანსების ჩადება პროფესიულ სწავლების მიმართულებით და ეცადოს პროფესიულ სასწავლებლებთან ერთად მოახდინოს პროფესიული დარგების პოპულარიზაცია და პიარის გაზრდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში.

დასკვნა

დასკვნის სახით შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ დუალური განთლება ერთერთი გამორჩეული მოდელია შედეგების კუთხით. ერთდროულად

- დამსაქმებელი- იღებს ნაკლებ ხარჯს, ყავს კვალიფიციური კადრი მისი საქმის პროფესიულ დონეზე შესასრულებლად.
- სტუდენტი- იღებს ზუსტ ცოდნას იმ სპეციალობაში, რა სფეროშიც სურს მუშაობა.
- სახელმწიფო- კვალიფიციური კადრებით მიღებული დოვლათით იღებს გაუმჯობესებულ ეკონომიკას.
- პროფესიული სასწავლებელი - იღებს მუდმივ, გარანტირებულ სტუდენტების ნაკადს.

შრომის ბაზრის შესწავლა, მიღებული ცოდნის საფუძველზე რეაგირება, სასწავლო მოდულების ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან ინტეგრაცია, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება და რაც მთავარია დასაქმების დიდი შანსის გაჩენა დუალური განათლების დიდ უპირატესობას წარმოადგენს. ამასთან, ის ტანდემი რომელიც შეიკვრება „სახელმწიფო-პროფესიული სასწავლებელი-სტუდენტი-ბიზნესი“ - ერთიანობაში გახდება გარანტი იმისა რომ გაჩნდება:

- გარანტირებული, სტაბილური, სამუშაო ადგილები;
- კონკურენტუნარიანი და მაღალანაზღაურებადი სამსახურები;
- უსაფრთხო შრომის ბაზარი;
- პროდუქციის/მომსახურების მაღალი ხარისხი;
- ადგილობრივი კადრების უცხო ბაზარზე დასაქმების ალტერნატივა;
- ქვეყნის ეკონომიკის სტაბილური განვითარების შესაძლებლობა

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კანონო „პროფესიული განათლების შესახებ“ 2018 წ.
2. 2017 წლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიში (Tracer Study) http://mes.gov.ge/uploads/files/2017-kvleva.pdf
3. დუალური განათლების ისტორიული წინაპირობები http://mastsavlebeli.ge/?p=13284
4. ე. ნარეშელაშვილი, პროფესიული განათლების სისტემის მართვის ოპტიმიზაციის ზოგიერთი ასპექტი თანამედროვე საქართველოში,2017წ.
5. განათლების და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია, 2017-2021 წ.
6. ქ. ციხისელი, მოდულური/დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დანერგვა.
7. ათასწლეულის გამოწვევის ფონდი-საქართველო „სიტუაციური ანალიზი და საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის მოთხოვნების ანგარიში “2015.

Dual education-work-based learning in Georgia

Nato Katamadze, Assistant Professor of Georgian Technical University

Summary

Development without education is inconceivable. It is one of the essential components of regulating the ongoing processes and solving problems in the country. In the last few years, the main priority of the Georgian government has been to establish a strong education system. It is visible that the Ministry of Education and Science has inevitably made significant educational changes that include a number of reforms; however, the problems are still numerous. That is why it is very important to share the experience of different European countries. There are some challenges that we face at all levels of education, but in the field of vocational education it is clearly noticeable. In Georgia, there is still a growing demand for university education. "Higher education" is perceived by the society as an alternative mechanism of employment that is fostered by the employer himself, because, in many cases, when announcing vacancies, they indicate requirements that "force" young people to think about the need for "higher education". The situation will change if the employer himself is involved in the training of future employees, which is fully facilitated by the dual-work-based learning model. However, like all innovations, this model has skeptics who do not / can not turn the old Soviet education model into this innovation. That is why it has become necessary to study the challenges in the field of dual leaning and provide it to the public with its correct interpretation.

Keywords: education system; dual leaning; vocational training; priorities; challenges; problems;

სოციალური უზრუნველყოფა და დაცვა საქართველოში COVID-19-ის პანდემიის პირობებში

შერაზადიშვილი ბესიკ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

ჯანჯღავა კესო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი

აბსტრაქტი

მსოფლიოს მასშტაბით მიმდინარე პანდემიამ კრიზისული ვითარება გამოიწვია თითქმის ყველა საზოგადოებრივ სფეროში. შექმნილმა ვითარებამ მნიშვნელოვნად დააზარალა როგორც სახელმწიფო და ბიზნესი, ასევე რიგითი მოქალაქე, განსაკუთ-რებით კი სოციალურად დაუცველი თუ სხვა მოწყვლადი ჯგუფები. არსებული სიტუაცია მოითხოვს შესაბამის რეაგირებას სახელმწიფოს მხრიდან, გარკვეული საშეღავათო, მხარდამჭერი და წამახალისებელი პოლიტიკის გატარებას, რაც გარკვეულწილად მაინც შეუმსუბუქებს მდგომარეობას დაზარალებულ ადამიანებს. უკვე განხორციელდა ცალკეული სოცია-ლური პროგრამები, რაც მათი ერთჯერადი და არასისტემური ხასიათის გამო, პრაქტიკული თვალსაზ-რისით ფაქტობრივად უშედეგო გამოდგა. საჭიროა სახელმწიფომ დროულად იზრუნოს სოციალური ფონის გაუმჯობესებაზე. ამასთან, შესაბამისი აქცენტი უნდა გადავიდეს კრიზისის პრევენციაზე.

საკვანძო სიტყვები: COVID-19; პანდემია; სოციალური დაცვა; სახელმწიფო; ბიზნესი.

ძირითადი ნაწილი

მსოფლიო დგას გამოწვევის წინაშე - როდესაც პანდემიის პერიოდი გადაივლის, სახელმწიფოებმა უნდა შეძლონ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. ეს გამოწვევა კიდევ უფრო საყურადღებოა განვითარებადი ქვეყნებისთვის, რომელთა რიცხვს მიეკუთვნება საქართველოც. ძვრები, რომლებიც პანდემიამ მოახდინა მთელს მსოფლიოში, ყველაზე მეტად აისახა მოწყვლად და მაღალი რისკის ქვეშ მყოფ ჯგუფებზე, როგორიცაა: სოციალურად დაუცველი ოჯახები, ხანდაზმული მოქალაქეები, ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტები, ბავშვები, იძულებით გადაადგილებული პირები - ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ჯგუფი დაზარალდა გაუარესებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო. მდგომაროებას კიდევ უფრო ამძაფრებს ის გარემოება, რომ ჩვენს ქვეყანაში სათანადოდ არ არის გამართული სოციალური დაცვის სისტემები, პანდემიის პერიოდში კი ბევრი ადამიანი აღმოჩნდა სოციალური უზრუნველყოფის გარეშე.

2020 წლის მეორე კვარტალში ეკონომიკის ზრდის მაჩვენებელი შეადგენდა - 13,2 %-ს. ეპიდე-მიოლოგიური სიტუაციის გაუარესების შედეგად, შემოდგომის პერიოდისთვის შეგვიძლია ვივარაუ-დოთ სიტუაციის გაუარესება და სოციალური ფონის დამძიმება. [1]

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით, თითოეული ,,ლოქდაუნი" გვაძლევს დროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის გასაძლიერებლად, თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს იმ ოჯახების გაზრდილი რაოდენობა, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ მათი ოჯახის ეკონომიკური მდგომა-რეობა დღითიდღე უარესდება, გასათვალისწინებელია, თუ როგორ აისახება ისედაც მძიმე რეალობაში მყოფ ოჯახებზე მრავალი ბიზნესის ფუნქციონირების შეჩერება და სამუშაო ადგილების დაკარგვა.

სხვადასხვა სოციალური ჯგუფების დასახმარებლად გამოიყო სახსრები, თუმცა ეს შეადგენდა საერთო თანხის მხოლოდ 11%-ს. ფულადი სოციალური დახმარება გაიცემა მხოლოდ მიზნობრივი სოციალური დახმარების სიაში მყოფ ადამიანებზე. გატარებული ღონისძიებები ვერ უზრუნველყოფს მოწყვლადი ნაწილის სრულად დაფარვას და მხარდაჭერას. ოჯახები, რომლებიც კერძო სექტორში იყვნენ დასაქმებული და დარჩნენ სამსახურის გარეშე, შესაბამისად, სოციალური მდგომარეობა დაუმძიმდათ, აღმოჩნდნენ შემწეობის გარეშე . [2]

სახელმწიფოს მთავარი მიზანი კრიზისში მყოფი ადამიანების პრობლემის

სწრაფი გადაჭრა უნდა იყოს. როცა ადამიანს კიდევ უფრო უმძიმდება სოციალური ფონი და

იმყოფება შიმშილის ზღვარზე, მისთვის სოციალური პასუხისმგებლობა უკანა ფლანგზე იწევს და, შესაბამისად, ნაკლებად ემორჩილება რეგულაციებს. აღნიშნული ფაქტი ფსიქოლოგიის თეორიაში საყოველთაოდ აღიარებულია და მისი ერთ-ერთი თვალსაჩინო გამოხატულება მასლოუს ცნობილი მოთხოვნილებათა პირამიდაა, რომელშიც ადამიანურ მოთხოვნილებათა 5 კლასს შორის ფიზიო-ლოგიური მოთხოვნი-ლებები საწყის საფეხურზეა და უფრო მაღალ მოთხოვნილებათა, მათ შორის, სოციალურ მოთხოვნილებათა საფუძველს ადამიანისთვის სწორედ ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება წარმოადგენს.

პრობლემის გადასაჭრელად ერთ-ერთ გამოსავლად შეიძლება ჩაითვალოს დახმარების გარეშე დარჩენილი ოჯახების გამოვლენა და მათი ფინანსური დახმარება, ოჯახების გაძლიერება. ასევე, აღსა-ნიშნავია ის ფაქტიც, რომ აუცილებლად უნდა მოხდეს სოციალური დაცვის პროგრამების პრიორიტე-ტიზაცია.

აუცილებლად უნდა შევეხოთ მიკრო, მცირე, საშუალო და მსხვილ საწარმოებს, მათი როლი დიდ გავლენას ახდენს საერთო სოციალურ ფონზე. ბიზნესის მხარდაჭერა აუცილებელი პირობაა სოციალური ფონის გასაუმჯობესებლად. შპს ,,ფრაისუოთერ-ჰაუსკუპერს საქართველომ“ ინვესტორთა საბჭოსთან ერთად შეიმუშავა კითხვარი COVID-19-ის საქართველოს ეკონომიკასა და ბიზნესზე ზეგავლენის კვლე-ვის მიზნით. კვლევა ჩატარდა ონლაინ გამოკითხვის მეთოდით. მონაწილება მიიღო 1938-მა კომპანიამ. გამოიკვეთა სხვადასხვა პრობლემები, პირველ რიგში, მოთხოვნის შემცირება, კლიენტების მხრიდან დაგვიანებული გადახდები, თანამშრომლების შემცირება, დამატებითი დაფინანსების მოძიება. [3]

ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია კადრების შემცირება, როდესაც დასაქმებული ადამიანი მძიმე პერიოდში რჩება სამსახურის გარეშე და, მითუმეტეს, საყურადღებოა გაურკვეველი მოლოდინი, რომელზეც კომპანიას უჭირს პასუხის გაცემა. რაც შეეხება განთავისუფლებულ თანამშრომლებს, კვლევამ აჩვენა, რომ მეტი წილი გაყიდვებისა და მომსახურეობის სფეროს შეადგენდა, სადაც ძირითადად სტატიის დასაწყისში ჩამოთვლილი ბენეფიციარები მუშაობენ. გამოკითხული კომპანიების მეოთხედი დგას ლიკვიდაციის საფრთხის წინაშე, რაც მეტად ართულებს მდგომარეობას.

ბიზნესის სფეროსთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ფეხი აუწყოს სიახლეებს და

დროულად მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები.

გლობალური ბიზნესის თვალსაზრისით თითოეული კომპანია უნდა იღებდეს თავის კადრზე პასუხისმგებლობას, როდესაც გლობალური ეკონომიკა კორონავირუსის სტრესის ქვეშ იმყოფება, ბიზნესი ორმხრივი გამოწვევის წინაშეა - მან უნდა გადაირჩინოს თავი და იპოვოს გამოსავალი საკუთარი კადრებისთვის. მათი ძალისხმევა და მოტივაცია კი მათი მოლოდინების პირდაპირპროპორციულია, შესაბამისად, მიუხედავად შექმნილი კრიზისული ვითარებისა, აუცილებელია, რომ ჰქონდეთ მომავლის პოზიტიური მოლოდინი, ,,გვირაბის ბოლოს ხედავდნენ სინათლეს“, ჩვენი აზრით სწორედ ეს მიდგომა გადაარჩენს როგორც კომპანიებს ასევე ადამიანებს.

COVID-19-ის პანდემიამ უპრეცედენტო ზეგავლენა მოახდინა როგორც ბიზნეს სფეროზე, ასევე ცალკეულ ოჯახებზე. ოჯახებს, რომლებსაც საბანკო ვალდებულებები ჰქონდათ, გადავადების პირობე-ბის გათვალისწინებით, სამი თვის განმავლობაში არ გადაუხდიათ გადასახადი, თუმცა, თუკი მხედვე-ლობაში მივიღებთ მათ ეკონომიკურ მდგომარეობას, აშკარაა, რომ ეს შეღავათი მხოლოდ დროებითი შემსუბუქება გამოდგა და მსგავსი პრეცედენტები არ წარმოადგენს გამოსავალს - ამოიწურა გადავადების პერიოდი და მათ უწევთ დაკისრებული საგადახდო ვალდებულების შესრულება უმუშევრობის პირობებში.

მთავრობის ანტიკრიზისულ გეგმაში ამოსავალ წყაროდ არის მოხსენიებული, რაც შეიძლება მეტი ადამიანის და ბიზნესის მაქსიმალური მოცვა არსებული შეზღუდული რესურსებით. სახელმწიფოს მხრიდან სწორად გატარებული პოლიტიკის საშუალებით შესაძლებელია გაუმჯობესდეს თითოეული ადამიანის სოციალური პირობები.

დასკვნა

წარმოდგენილ სტატიაში სოციალური უზრუნველყოფა განხილულია, როგორც სახელმწიფოსთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საკითხი. არასწორად განაწილებული რესურსი გამოიწვევს სოციალური მდგომარეობის გაუარესებას. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების სათანადო მხარდაჭერა. პანდემიის პერიოდში ნათლად გამოიკვეთა სახელმწიფოსა და ბიზნესის როლი სოციალურ მდგომარეობაზე და ამ მხრივ არსებული პრობლემები თუ გამოწვევები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ურუშაძე ა. - ,,კოვიდ-19 ის გამოწვევები და სოციალური პოლიტიკის ვარიანტები საქართველოს მთავრობისთვის''. თბილისი, 2021
2. შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო (PWC საქართველო) - ,,ქართული კომპა-ნიები COVID-19-ის პანდემიის გამოწვევის წინაშე''. მაისი 2020
3. საქართველოს მთავრობა - ,,COVID-19 -ის წინააღმდეგ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების ანგარიში''. 2020.
4. https://www.geostat.ge/ka - უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 07.05.2021

Social Security and Protection in Georgia within the Conditions of COVID-19 Pandemic

Keso Janjgava, student of Georgian Technical University

Besik Sherazadishvili, Assistant-professor of Georgian Technical University

Summary

The ongoing pandemic has caused world-wide crisis in almost every social Field. Current situation has considerably damaged the state and the business, as well as an ordinary citizen, especially, vulnerable or other groups at risk. The existing situation requires appropriate response from the state, enforcement of certain mitigating, supportive and encouraging policy, which will relieve the situation for injured humans to a certain extent. Some social programs have already been implemented, but due to their one-off and non-systematic nature, they have been practically ineffective. As it is less expectable for the situation to improve in the near future, the state must work on the improvement of the social environment in a timely manner. Herewith, the accent must be shifted to the crisis prevention, instead of the response measures.

Keywords: COVID-19; pandemic; social protection; state; business.

სექცია 5
ტურიზმის თანამედროვე გამოწვევები და პერსპექტივები

სასტუმრო ინდუსტრიის სტანდარტიზაციის ფორმირების პროცესის ასპექტები

აქიმიშვილი ნინო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია სასტუმრო ინდუსტრიის სფეროში სახელმწიფო სტანდარტიზაციის აუცილებლობის შემოღების შესახებ. მოქმედების ფართო სპექტრიდან გამომდინარე, მისი კავშირი პროდუქციის, სამუშაოებისა და მომსახურების უსაფრთხო გარემოსთვის, მომხმარებლის სიცოცხლისთვის, ჯანმრთელობისა და საკუთრებისათვის. ასევე, საერთაშორისო დონეზე, სტანდარტიზაციის შესახებ მარეგულირებელი დოკუმენტების მიღების შესახებ. მისი მიზნებიდან გამომდინარე, მოცემულია აუცილებელი მოთხოვნები ნებისმიერი კატეგორიის სასტუმროებისათვის.

საკვანძო სიტყვები

სასტუმრო. ინდუსტრია. სფერო. სახელმწიფო. სტანდარტიზაცია. სტანდარტი. მოქმედება. კავშირი. პროდუქცია. მომსახურება. უსაფრთხო. გარემო. მომხმარებელი. საერთაშორისო. დონე. მარეგულირებელი. დოკუმენტები. მიზნები. მოთხოვნები. კატეგორია. წესები. ნორმები.რეკომენდაციები. ტექნიკური. ეკონომიკური. ინფორმაცია. კლასიფიკატორები. საწარმოები.

ძირითადი ტექსტი

სტანდარტიზაცია წარმოადგენს საქმიანობას დაკავშირებულს ნორმების, წესებისა და მახასიათებლების (მოთხოვნების) დასადგენად რათა, უზრუნველყოფილ იქნას პროდუქციის, სამუშაოებისა და მომსახურების უსაფრთხო გარემო, მომხმარებლის სიცოცხლე, ჯანმრთელობა და საკუთრება. მისი მოქმედების ფართო სპექტრიდან გამომდინარე იგი კავშირშია:

- ტექნიკურ და ინფორმაციულ თავსებადობასთან;
- პროდუქციის, სამუშაოებისა და მომსახურების ხარისხის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების დონის შესაბამისობასთან;
- გაზომვების ერთგვაროვნებასთან;
- ყველა სახის რესურსების დაზოგვასთან;
- ეკონომიკური ობიექტების უსაფრთხოებასთან;
- ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფებისა და სხვა საგანგებო სიტუაციების რისკების თავისებურებებთან;
- ქვეყნის თავდაცვისუნარიანობასა და სამობილიზაციო მზადყოფნასთან.

საერთაშორისო დონეზე, სტანდარტიზაციის შესახებ მარეგულირებელი დოკუმენტები მოიცავს:

- სტანდარტიზაციის წესებს, ნორმებსა და რეკომენდაციებს;
- ეკონომიკური ინფორმაციის კლასიფიკატორებს;
- ინდუსტრიის საწარმოების სტანდარტებს;
- სამეცნიერო და ტექნიკურ ასევე, საზოგადოებრივი ორგანიზაციების სტანდარტებს.

სასტუმრო ინდუსტრიის სტანდარტები სხვადასხვა ქვეყნებში სტანდარტიზაციის სისტემის ნაწილია, რომელიც განსაზღვრავს სტანდარტიზაციის მიზნებს სასტუმრო მენეჯმენტის სფეროში. იგი მოიცავს:

- მუშაობის ძირითად პრინციპებსა და ორგანიზაციას;
- მარეგულირებელი დოკუმენტების კატეგორიებს;
- სტანდარტების ტიპებსა და საერთაშორისო თანამშრომლობის ძირითად დებულებებს;

სასტუმრო მომსახურების სფეროში სტანდარტიზაციის მიზნებია სასტუმრო პროდუქტის მომსახურების ხარისხისა და უსაფრთხოების დეკლარირებული დონის უზრუნველყოფა. სასტუმრო მომსახურების მომხმარებელთა ინტერესების დაცვა.

საერთაშორისო და შიდა სახელმწიფოებრივ პრაქტიკაში, სტანდარტი გაგებულია, როგორც სტანდარტიზაციის ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც შემუშავებულია თანხმობის საფუძველზე, რომელსაც ახასიათებს აღიარებული ორგანოს მიერ დამტკიცებული და სავალდებულო გამოყენების გამო, მნიშვნელოვან საკითხებზე წინააღმდეგობების არარსებობა. საერთაშორისო დონეზე, სასტუმროს მომსახურების სტანდარტებს ამტკიცებს საერთაშორისო ორგანიზაციები. ხოლო, სახელმწიფოებრივ დონეზე - სახელმწიფო ორგანო.

სტანდარტი, როგორც მარეგულირებელი დოკუმენტი უფრო ფართო გაგებით, არის დოკუმენტი, რომელიც შეიცავს წესებს, ზოგად პრინციპებს, მახასიათებლებს, რომლებიც დაკავშირებულია გარკვეულ ტიპის საქმიანობასთან და ხელმისაწვდომია ფართო სპექტრის მომხმარებლებისთვის.

სტანდარტი არის ერთ – ერთი ყველაზე ეფექტური ინსტრუმენტი სასტუმრო სერვისების ბაზრის რეგულირებისთვის, რაც საშუალებას იძლევა გავლენა მოახდინოს არაკეთილსინდისიერ მწარმოებლებზე, გამყიდველებზე და სასტუმროს მომსახურების მომხმარებლებზე. სტანდარტი, თავისი ბუნებით, მიზნად ისახავს მინიმალური მოთხოვნების დადგენას, რაც ნებისმიერ პროდუქტს ან მომსახურებას შეესაბამება და კავშირშია საიმედობასთან, უსაფრთხოებასთან, ხარისხისთან და ა.შ. გარკვეული კრიტერიუმების შესაბამისად.

სასტუმრო ინდუსტრიაში, სტანდარტიზაციის ობიექტი არის მომსახურება, მისი მიწოდების წარმოების პროცესი ან მისი შედეგი. მომსახურება გაგებულია, როგორც პირდაპირი ურთიერთქმედების შედეგი მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის, აგრეთვე მწარმოებლის საქმიანობა მომხმარებლის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

სასტუმრო ინდუსტრიაში სტანდარტი განსაზღვრავს შემდეგ მოთხოვნებს ნებისმიერი კატეგორიის სასტუმროების მიმართ:

1. სასტუმროს უნდა ჰქონდეს მოსახერხებელი მისასვლელი გზები, აუცილებელი საგზაო ნიშნებით, კეთილმოწყობილი და განათებული მიმდებარე ტერიტორიით, ასფალტირებული ადგილი მოკლევადიანი პარკირებისთვის და მანქანების (მათ შორის ავტობუსების) მანევრირებისთვის;
2. სასტუმროს სახელწოდების ნიშანი და მისი კატეგორიის მითითება, ხოლო რესტორნის ცალკე შესასვლელის არსებობის შემთხვევაში - ნიშანი თავისი სახელით;
3. სასტუმროს, რომელიც შენობის ნაწილს იკავებს, უნდა ჰქონდეს ცალკე შესასვლელი;
4. სასტუმროს არქიტექტურული დაგეგმვისა და მშენებლობის ელემენტები და გამოყენებული ტექნიკური აღჭურვილობა უნდა იყოს საერთაშორისო სტანდარტის ISO -ს მატარებელი;
5. სასტუმრო უნდა განთავსდეს ხელსაყრელ გარემოში;
6. სასტუმროში ყოფნისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს სტუმრის (სტუმრების) სიცოცხლის უსაფრთხოება, მათი ჯანმრთელობა და ქონების უსაფრთხოება;
7. სასტუმროს უნდა ჰქონდეს საგანგებო გასასვლელი, კიბე, მკაფიოდ ხილული ინფორმაციის ნიშნებით, რაც უზრუნველყოფს სტუმრების უსაფრთხო ორიენტაციას როგორც ჩვეულებრივ, ასევე საგანგებო სიტუაციებში;
8. სასტუმრო აღჭურვილი უნდა იყოს სახანძრო დაცვისა და გამაფრთხილებელი სისტემებით, ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობებით რომლებიც გათვალისწინებულია სახანძრო უსაფრთხოების წესებით;
9. სასტუმრო უნდა შეესაბამებოდეს სანიტარულ - ჰიგიენურ ნორმებსა და წესებს, სანიტარული და ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის ორგანოების მიერ დადგენილი წესით.

სისუფთავის, სანტექნიკის მოწყობილობის მდგომარეობის, ნარჩენების განადგურების, მწერებისგან და მღრღნელებისგან ეფექტური დაცვის თვალსაზრისით.

10. ელექტრო, გაზის, წყალმომარაგებისა და კანალიზაციის ყველა მოწყობილობა უნდა დამონტაჟდეს და მუშაობდეს „სასტუმროებისა და მათი აღჭურვილობის ტექნიკური მუშაობის წესების“ შესაბამისად;

სასტუმრო აღჭურვილი უნდა იყოს საინჟინრო სისტემებით რომლებიც უზრუნველყოფენ:

- ცხელი - ცივი წყლით მომარაგებით და წყალმომარაგების შეფერხების ადგილებში სარეზერვო კონტეინერის ქონით მინიმუმ ერთი დღის განმავლობაში წყლის შესანახად;
- კანალიზაციის შეუფერხებელ ფუნქციონირებას;
- გათბობას, რომელიც ინარჩუნებს ტემპერატურას არანაკლებ 18,5°C საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ხოლო ნომრებში ინდივიდუალური რეჟიმით;
- ვენტილაციას (ბუნებრივი ან ტექნიკური), რომელიც უზრუნველყოფს ჰაერის ნორმალურ მიმოქცევას და გამორიცხავს უცხო სუნის შეღწევას ნომრებსა თუ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში;
- ინტერნეტით, ტელევიზიითა და სატელეფონო კომუნიკაციას;
- ოთახების განათებით: ბუნებრივი (მინიმუმ ერთი ფანჯარა), ხელოვნური, ინკანდესენტური ნათურებით - 100 lx, ფლუორესცენტური ნათურებით - 200 lx. დერეფნებში - 24 საათიანი ბუნებრივი ან ხელოვნური განათებით;

1. აუცილებელია დაცული იქნას ინვალიდის ეტლის გამოყენებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიღების და მომსახურების პირობები.

სტანდარტების შემუშავებისას მხედველობაში მიიღება სტანდარტების საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO) მიერ შემუშავებული და რეგიონული სტანდარტები, გაეროს ევროპული საკანონმდებლო კომისიისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წესები, ასევე, დასაშვებია სხვა ქვეყნების ეროვნული სტანდარტები. სტანდარტიზაციის საფუძველი, რომელიც არსებობს ტურიზმისა და სასტუმრო ინდუსტრიის სფეროში.

სამწუხაროთ, საქართველოში სასტუმრო ინდუსტრიის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით, სახელმწიფოს მიერ არ არის დაწყებული სტანდარტიზაციის პროცესი რაც კავშირში იქნებოდა ქვეყანაში არსებულ არაბრენდირებულ სასტუმროებთან და მნიშვნელოვნად გააუმჯობესებდა მომსახურების ხარისხს. გამონაკლისია ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული ტრანსნაციონალური კომპანიების სასტუმრო ბრენდები, რომლებიც ფუნქციონირებენ საერთაშორისო სტანდარტებით, რაც დაკავშირებულია მაღალ ხარისხთან და შესაბამისად, უფრო აძვირებს სასტუმრო მომსახურების ფასს.

დასკვნა

სტატიაში წარმოდგენილი სტანდარტიზაციის პროცესი ნორმების, წესებისა და მახასიათებლების (მოთხოვნების) დასადგენად დაკავშირებული პროდუქციის, სამუშაოებისა და მომსახურების უსაფრთხო გარემოსთან, მომხმარებლის სიცოცხლესთან, ჯანმრთელობასა და საკუთრებასთან, მნიშვნელოვანია და პირდაპირ კავშირშია სახელმწიფოში მიმდინარე ან მოსალოდნელ პროცესებთან. ამასთან ერთად, აუცილებლობას წარმოადგენს საერთაშორისო დონეზე, სტანდარტიზაციის შესახებ მარეგულირებელი დოკუმენტების არსებობა. სასტუმრო მომსახურების სფეროში სტანდარტიზაციის მიზნებია სასტუმრო პროდუქტის მომსახურების ხარისხისა და უსაფრთხოების დეკლარირებული დონის უზრუნველყოფა. სასტუმრო მომსახურების მომხმარებელთა ინტერესების დაცვა. ჩამოყალიბებულია სასტუმრო ინდუსტრიაში სტანდარტის განსაზღვრის მოთხოვნები ნებისმიერი კატეგორიის სასტუმროების მიმართ. ასევე, საქართველოში სასტუმრო ინდუსტრიის სახელმწიფო სტანდარტიზაციის არ ქონის შესახებ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Michael C. Sturman , Jack B. Corgel, Rohit Verma. The Cornell School of Hotel Administration on Hospitality: Cutting Edge Thinking and Practice. Published 2011. 512p.
2. Alisha D Anderson. The lost Art of Hospitality: Making People Feel Welcome in Your Home. Published 2019. 82p
3. Adrian Martin. The Practical Guide to Understanding and Raising Hotel Profitability. Published 2019. 190p.
4. Susan Sully. Southern Hospitality at Home: The Art of Gracious Living. Published 2019. 208p.

Aspects of the Hotel Industry Standardization Process

Nino Akimishvili, PhD student of Georgian Technical University

Summary

The article discusses the need to introduce state standardization in the hotel industry. Given the wide range of actions, the relationship between the safe environment for the production of a product, works and services, and the impact on the life, health, and property of the consumer. Also, the existing international regulatory documents of the standardization process are reviewed and the necessary standardization requirements for any category of hotels are given.

კურორტ ლებარდეს რენესანსი, ტურიზმის მდგრადი განვითარებისათვის

ახალაია ნანა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი

კურორტი ლებარდე, რომელიც მდებარეობს სამეგრელოს რეგიონში ულამაზესი ბუნებით გამოირჩევა, მთები, მინდვრები და გასაოცარი ხედები დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. თუ მთაში, ბუნების სიმშვიდეში დასვენების მოყვარული ხართ, მაშინ ეს კურორტი ნამდვილად მოგეწონებათ. აქ კეთილმოწყობილი თანამედროვე ინფრასტრუქტურა არ დაგხვდებათ, თუმცა ტყისპირა პატარა კოტეჯები ძალიან მყუდრო გარემოს ქმნის. თუ ხეტიალი გიყვართ აქ ლაშქრობების მოწყობაც შეგიძლიათ, განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ლებარდეს დიდი და პატარა ტბები. ალპური ტბები და უმშვენიერესი პანორამები წარუშლელი შთაბეჭდილებებს შეგიქმნით. ველური ბუნება, ზღაპრული ბილიკები, კლდეები და მოლივლივე ტბები ნამდვილად ჯადოსნურია და მრავალ თავგადასავლების მოყვარულს იზიდავს.

ლებარდეს ხეობა, შესაძლოა, კვლავ ადგილობრივი და უცხოელი ტურისტების საყვარელ ადგილად მალე იქცეს. როგორც ცნობილია, კურორტის განვითარება-განაშენიანების გეგმა უკვე დამტკიცებულია. გეგმის მიხედვით, ამ ულამაზეს ადგილზე მოეწყობა სასტუმროები, გასართობი კომპლექსი და განვითარდება სხვადასხვა ტურისტული ინფრასტრუქტურა. ლებარდეს თავისი მდებარეობითი და კლიმატური პირობებით აქვს შანსი, რომ ოთხ სეზონიანი კურორტი გახდეს.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმი, კურორტი, მდგრადი განვითარება, ეკოსისტემა.

ძირითადი ტექსტი:

ტურიზმი 21-ე საუკუნის დასაწყისისათვის მსოფლიო კულტურასა და ეკონომიკაში მდგრადი განვითარების დარგად ჩამოყალიბდა, რომელმაც განსაკუთრებული ადგილი დაიკავა გლობალურ ეკონომიკურ სტრუქტურაში. ტურიზმმა რომ ეკონომიკური მოგება მოუტანოს ქვეყანას, მისი განვითარება უნდა ატარებდეს მდგრად ხასიათს. საქართველოს მთავრობის მიერ ტურიზმი ჩვენს ქვეყანაში აღიარებულია ეროვნული ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგად, რომელმაც დიდი როლი უნდა შეასრულოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური წინსვლის უმნიშვნელოვანესი ამოცანების განხორციელებაში. ამ დარგს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია - ტურისტებს ეკოლოგიურად სუფთა, გადაუტვირთავი და ბუნებრივი ადგილები შესთავაზონ. ტურისტული საქმიანობა დაკავშირებულია ბუნების, ისტორიული მემკვიდრეობის და შესაბამისი ტერიტორიის კულტურული თვითმყოფადობის დაცვასთან. საქართველოს კურორტებმა და ტურისტულმა ბაზებმა დიდი ხანია ფართო აღიარება მოიპოვეს. საქართველოში ათეული წლების წინ მილიონობით ადამიანი ისვენებდა, რასაც 500-ზე მეტი საკურორტო-ტურისტული დაწესებულება ემსახურებოდა. აღსანიშნავია, რომ ჩვენს სანატორიუმებში, პანსიონატებში, დასასვენებელ სახლებში, ტურისტულ ბანაკებსა და სხვა რეკრეაციული მნიშვნელობის დაწესებულებებში ერთდროულად 120 ათასზე მეტ კაცს შეეძლო დაესვენა. ამჟამად ტურიზმის ინდუსტრია ხელახლა ვითარდება. ჩვენს ქვეყანაში მსოფლიო მნიშვნელობის კურორტები არის როგორც ბარში, ისე მთაში. საქართველოში ცნობილია 100-ზე მეტი კურორტი, რომელთაგან ზოგიერთი საერთაშორისო მნიშვნელობისაა. აღსანიშნავია ჩვენი კურორტების მაღალი ესთეტიკური გარემო და კომფორტული კლიმატი. საქართველოში განსაკუთრებით ბევრია ბალნეოლოგიური კურორტი. ეს გასაგებიცაა, რადგან ჩვენში მოედინება ყველა ტიპის წყალი. მათი რიცხვი ორი ათასს აღემატება.

საქართველოს დასავლეთით მდებარეობს უმშვენიერესი რეგიონი სამეგრელო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ზომიერი კლიმატი, ბუნებრივი სილამაზე და დაცული ფაუნა ზამთრისა და ზაფხულის ტურიზმის განვითარების საშუალებას იძლევა. სამეგრელო ნამდვილი ოაზისია უალამაზესი ხეობებით, ჩანჩქერებით, დაბლობის თუ ალპური ტბებით და ბევრი მომაჯადოებელი

მღვიმით. ამ მხარეში სხვადასხვა გემოვნების ადამიანმა შეიძლება იპოვნოს თავისი პატარა სამოთხე. ლებარდე კურორტი სამეგრელოში, ულამაზესი ბუნებით გამოირჩევა, მთები, მინდვრები და გასაოცარი ხედები დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. თუკი მთაში, ბუნების სიმშვიდეში დასვენების მოყვარული ხართ, ეს კურორტი ნამდვილად მოგეწონებათ. აქ კეთილმოწყობილი თანამედროვე ინფრასტრუქტურა არ დაგხვდებათ, თუმცა ტყისპირა პატარა კოტეჯები ძალიან მყუდრო გარემოს ქმნის. თუ ხეტიალი გიყვართ აქ ლაშქრობების მოწყობაც შეგიძლიათ, განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ლებარდეს დიდი და პატარა ტბები. ალპური ტბები და უმშვენიერესი პანორამები წარუშლელი შთაბეჭდილებებით აგავსებთ. ველური ბუნება, ზღაპრული ბილიკები, კლდეები და მოლივლივე ტბები ნამდვილად ჯადოსნურია და მრავალ თავგადასავლების მოყვარულს იზიდავს.

კურორტ ლებარდეს ისტორიიდან

სამეგრელო მდიდარია სხვადასხვა ეპოქის კულტურის ძეგლებითა და შთამბეჭდავი ბუნებით, მოლივლივე ლურჯი ტბებითა თუ ულამაზესი კანიონებით. ლებარდე დასავლეთ საქართველოს შუაგულში, მარტვილის მუნიციპალიტეტში მდებარე კლიმატურ - ბალნეოლოგიური კურორტია. აქ მიწის ზედაპირზე თვითდინებით ამოდის ნარზანის ტიპის რამდენიმე მინერალური წყარო, რომელიც მწყემსებს აღმოუჩინიათ. ლებარდეში პირველი საკურორტო სეზონი დაფიქსირდა 1922 წელს. უგზოობისა და კეთილმოუწყობლობის გამო მიმოსვლა გაძნელებული იყო და კურორტით მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობა სარგებლობდა. XX ს-ის 40-იანი წლებში, მიუხედავად იმისა, რომ კურორტზე მისასვლელი გზა ტეხურის ციცაბო ხეობას მიუყვებოდა და საშიში იყო, სეზონზე დამსვენებელთა რიცხვი რამდენიმე ათასს აღწევდა. თავდაპირველად სამკურნალოდ და გასაჯანსაღებლად ჩასული მოაგარაკენი პატარა თავშესაფრებში - კარვებსა და მოწნულ სახლებში ცხოვრობდნენ. 1948-50 წლებში, საავტომობილო გზის გაყვანის შემდეგ აქ სამკურნალო დაწესებულებები და დასასვენებელი სახლები აშენდა. კურორტი საბჭოთა პერიოდში ძალზედ დიდი პოპულარობით სარგებლობდა და სეზონზე მას საკმაო რაოდენობის დამსვენებელი სტუმრობდა. 1980-იან წლებში მინერალური წყლის მინის ბოთლებში ჩამოსხმაც დაიწყო, თუმცა 90-იან წლებში განვითარებული პოლიტიკური მოვლენების გამო აქ საკურორტო ინფრასტრუქტურა მოიშალა.

კურორტ ლებარდეს გამოწვევები და პერსპექტივები

კურორტი მდებარეობს მდინარე ლებარდეს ორივე ნაპირზე, შედარებით ვაკე ადგილზე, რომელიც თვალსაჩინოდ არის დაქანებული სამხრეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. მანძილი, დაშორება კურორტ ლებარდემდე: თბილისიდან (თბილისი–ხონი–მარტვილის გავლით) – 335 კმ; სენაკის რკინიგზის სადგურიდან 75კმ; მარტვილის მუნიციპალიტეტის ცენტრიდან 50 კმ. კურორტ ლებარდედან 200 კმ-ს რადიუსში მდებარეობს სამი აეროპორტი (მათ შორის ქუთაისის საერთაშორისო) - ამბროლაურის (170 კმ), ქუთაისის (95 კმ) და მესტიის (191 კმ). – 340 კმ. სიმაღლე ზღვის დონიდან: 1600 მ. კლიმატი: საშუალო მთის (ზედა სარტყელი). ზამთარი ცივი. იანვრის საშუალო ტემპერატურა -40C. მდგრადი თოვლის საფარი ნოემბრიდან მაისამდე. ზაფხული ზომიერად თბილი და მშრალი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურა 15,40C. ასწლოვან წიწვოვან ტყეში ჩაფლული რკინით მდიდარი მინერალური წყაროების სამკურნალო თვისებები სასარგებლოა სუნთქვისა და საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებების სამკურნალოდ. მისი კალაპოტი ულამაზესი კლდოვანი კანიონებითა და ქვაბულების სიუხვით გამოირჩევა, რაც იდეალურ პირობებს უქმნის ჯომარდობის მოყვარულთ. აღსანიშნავია ტეხურის მდიდარი იხტიოფაუნაც, რაც ხელს შუწყობს ტურიზმის ისეთი სახეობის განვითარებას, როგორიცაა სამოყვარულო თევზჭერა. ამჟამად, ლებარდე მხოლოდ საკურორტე ადგილს წარმოადგენს, რადგან აქ აღარ არსებობს კურორტის ფუნქციონირებისთვის საჭირო ელემენტარული ინფრასტურქტურა. ლებარდეს აქვს ოთხსეზონიანი კურორტის განვითარების პოტენციალი. კურორტის განვითარებისათის საჭიროა ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების საჭიროებების შესწავლა და კურორტის განხილვა როგორც სამედიცინო-სამკურნალო ასევე დასასვენებელი რესურსების პოტენციალის შესაძლებლობების მიმართულებით. სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიის (2014-2021) მიხედვით, გეგმა უკვე დაამტკიცებულია აღნიშნული

განვითარების სტრატეგიის ერთ-ერთ მიზანს კურორტ ლებარდეს ხელახალი განვითარება - რენესანსი წარმოადგენს. გეგმის მიხედვით, ამ ულამაზეს ადგილზე მოეწყობა სასტუმროები, გასართობი კომპლექსი და სხვადასხვა ტურისტული ინფრასტრუქტურა, საბაგირო ხაზი კურორტის ტერიტორიიდან მიმდებარე ქედებზე. კურორტ ლებარდეს მთელი ტერიტორია იქნება წარმოდგენილი, როგორც ერთიანი დაცული ეკოსისტემა, გარემოს თვისებების უმაღლესი ხარისხით, ამოქმედდება ეკოლოგიური წონასწორობის დაცვის და მონიტორინგის ერთიანი სისტემა. კურორტის მშენებლობისა და განვითარების ეტაპზე მარტვილის მუნიციპალიტეტის თემებზე ექნება დადებითი სოციალურ-ეკონომიკური გავლენა. კერძოდ:

- ადგილობრივი მოსახლეობა დასაქმდება ტურისტულ სექტორში
- ადგილობრივი მცირე ბიზნესები მიიღებენ სარგებელს თანმხლები სერვისების (საკვებით მომარაგების სერვისი, მცირე ტექნიკური სამუშაოების შესრულება და სხვ.) უზრუნველყოფით.
- კურორტის განვითარება გამოიწვევს ტურ ოპერატორებსა და მარშრუტზე გამყოლებზე მოთხოვნას
- მისასვლელი გზის მშენებლობა-რეაბილიტაციის შედეგად ამაღლდება სატრანსპორტო მოძრაობის უსაფრთხოება
- ინვესტიციების განხორციელების შემთხვევაში, კურორტი ლებარდეს აქვს მდგრადი წინაპირობა ჩამოყალიბდეს თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების მქონე ბალნეოლოგიურ კურორტად
- შეიქმნება მწვანე ეკონომიკისა და მწვანე ლანდშაფტური დიზაინის მქონე გარემო

დასკვნა

კურორტ ლებარდეს განვითარებას დადებითი ზემოქმედება ექნება საქართველოს ეკონომიკაზე. კურორტის რევიტალიზაცია დაიწყო მას შემდეგ რაც საქართველოს მთავრობამ ინიცირება მოახდინა და დაიწყო კურორტისთვის ქალაქგეგმარებითი დოკუმენტების შემუშავების პროცესი, რაც დიდ როლს შეასრულებს კურორტის მომავალი განვითარებისთვის და დაიკავებს მნიშვნელოვან და მიმზიდველ ადგილს ქვეყნის ტურისტულ საკურორტო ადგილთა შორის. დოკუმენტაციის თანმიმდევრული შემუშავება უზრუნველყოფს ჯანსაღ, უსაფრთხო და მოხერხებულ ტურისტულ-სარეკრეაციო გარემოსა და პირობების შექმნას. არსებობს ყველა პირობა იმისა, რომ, უწყეტი ინვესტიციების შემთხვევაში, გრძელვადიან პერსპექტივაში ლებარდემ დაიბრუნოს უნიკალური ბალნეოლოგიური კურორტის პოპულარობა. ლებარდე შეინარჩუნებს სამკურნალო ფუნქციებზე აგებულ სივრცითგეგმარებით ორგანიზებას და უპასუხებს ბალნეოლოგიური კურორტისათვის მიღებულ ყველა საერთაშორისო სტანდარტს.

.

გამოყენებული ლიტერატურა

1. „კურორტ ლებარდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიში“ შპს გის და დისტანციური ზონდირების საკონსულტაციო ცენტრი „გეოგრაფიკი“ თბილისი, 2020
2. „მარტვილის რაონში, კურორტ ლებარდეს განაშენიანების რეგულირების გეგმა (გრგ) საბაზისო ინფორმაცია“ თბილისი, 2020
3. „კურორტ ლებარდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის დასკვნა“ , თბილისი 2019
4. მირანდა გავაშელი „ტურიზმის დარგი და მისი გავლენა რეგიონული ეკონომიკის განვითარებაზე“ (დისერტაცია) საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, თბილისი 2018
5. https://sites.google.com/a/iliauni.edu.ge/sakartvelo-da-turizmis-ganvitareba/kurortebi-da-turizmi

6. http://www.economy.ge/
7. https://mepa.gov.ge/
8. https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/25632

Resort Lebarde Renaissance, for the Sustainable Development of Tourism

Akhalaia Nana, Professor of Georgian Technical University

Summary

Lebarde resort, located in the Samegrelo region, is distinguished by beautiful nature, mountains, meadows and stunning views make a great impression on the visitor. If you are a fan of relaxing in the mountains, in the tranquility of nature, then you will really like this resort. You will not find modern infrastructure here, however the wooded small cottages create a very cozy atmosphere. If you love wandering, you can also arrange hikes here, especially popular are the large and small lakes of Lebarde. Alpine lakes and beautiful panoramas will create indelible impressions on you. Wildlife, fabulous trails, cliffs and rolling lakes are truly magical and attracts many adventure lovers. Lebarde Valley may soon again become a favorite spot for local and foreign tourists soon. As it is known, the development plan of the resort has already been approved. According to the plan, hotels, entertainment complex and various tourist infrastructure will be arranged in this beautiful place. Lebarde has a chance to become a four-season resort due to its location and climatic conditions.

Keywords: Tourism, Resort, Sustainable Development, Ecosystem

საერთაშორისო ტურიზმის გავლენა ქვეყნის ეკონომიკის ზრდაზე

ბალახაშვილი ჟანა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მოწვეული
ასოცირებული პროფესორი

ქაჯაია თამარ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი

აბსტრაქტი

სტატიაში - „საერთაშორისო ტურიზმის გავლენა ქვეყნის ეკონომიკის ზრდაზე“ განხილულია თუ როგორ ვითარდება ეს დარგი და განვითარების რა პერსპექტივები აქვს მომავალში. სტატიაში ახსნილია მისი განვითარების საფუძველიც, კერძოდ ის, რომ ტურისტული პროდუქტი, განსხვავებით სხვა ინდუსტრიების პროდუქტისგან არ ძველდება.

სტატიაში ჩამოთვლილია საერთაშორისო ტურიზმის ნიშნები და დახასიათებული ქვეყნების ორი ჯგუფი - ტურისტების მიმწოდებელთა და ტურისტების მიმღებთა ჯგუფები.

სათანადო ინფორმაციის მოხმობით სტატიაში ნაჩვენებია საერთაშორისო ტურიზმის მულტიპლიკატური ეფექტი ქვეყნის ეკონომიკაზე. ჩამოთვლილია მისი სფეროებიც.

ამის გარდა, რადგან საქართველოსთვის ეს დარგი ახალია, დაყენებულია მისი ხარჯების და შემოსავლების აღრიცხვის მეთოდოლოგიის სრულყოფის საკითხი.

საკვანძო სიტყვები: საერთაშორისო ტურიზმი; ვიზიტორები; ეკონომიკური სარგებელი; მულტიპლიკატური სარგებელი.

ძირითადი ტექსტი

საერთაშორისო ტურიზმი არის დასვენების, გართობის, სულიერი და ფიზიკური გაჯანსაღების, უცხოეთის ქვეყნების ღირსშესანიშნაობების დათვალიერების, მათი გაცნობის, სამეცნიერო ბიზნეს-ფორუმების, კონფერენციების და სხვა შეხვედრების ორგანიზების მიზნით ადამიანების ერთი ქვეყნიდან სხვა ქვეყნებში დროებით გამგზავრება [1, გვ. 29].

საერთაშორისო ტურიზმი მსოფლიოში ყველაზე სწრაფად მზარდი ეკონომიკური სექტორია. „იგი უმსხვილესი ეკონომიკური სექტორია მთელ მსოფლიოში, სტაბილური ზრდის მაჩვენებლით, რომელიც არ შეიცვლება ისე სწრაფად, როგორც ეს ხდება სხვა ინდუსტრიებში“ [2, გვ. 250]. ამას საფუძვლად უდევს ის გარემოება, რომ ყველა სხვა საქონელი ძველდება, ტურისტული პროდუქტი კი არ ძველდება და ამასთან მსოფლიო მოსახლეობის „მდიდარ ფენას სიამოვნებით ცხოვრება სურს, რომელსაც ტურისტული მოგზაურობა იძლევა“ [2, გვ. 251].

საერთაშორისო ტურიზმს ახასიათებს შემდეგი ნიშნები [1, გვ. 33]:

1. საერთაშორისო ტურიზმის მასშტაბურობა.
2. საერთაშორისო ტურიზმში მონაწილეთა დიდი სიმრავლე.
3. ტურისტულ პროდუქტის მყიდველთა და გამყიდველთა დიდი დაშორება.
4. კონკურენციის სიმძაფრე.
5. ქვეყნებს შორის მიგრაციის ნაკლებმობილურობა.
6. ტურპროდუქციის საერთაშორისო სტანდარტიზაცია.

საერთაშორისო ტურიზმის პრაქტიკაში განსაზღვრულია ქვეყნების ორი ჯგუფი. პირველ ჯგუფში შედიან ის ქვეყნები, რომლებიც უფრო მეტი ოდენობით ტურისტს გზავნიან უცხო ქვეყნებში, ვიდრე მათგან იღებენ, მეორეში კი ის ქვეყნები, რომლებიც უფრო მეტს იღებენ. პირველთ ეწოდებათ მომწოდებელი ქვეყნები, მეორეთ - მიმღები ქვეყნები. პირველთა რიცხვში ძირითადად არიან აშშ, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, ბელგია, დანია და სხვა, მეორეთა რიცხვში კი - იტალია, ესპანეთი, საფრანგეთი და სხვა.

საერთაშორისო ტურისტული ბაზარი უთანაბროდ ვითარდება. ჩვეულებრივ გამოყოფენ შემდეგ

ტურისტულ რეგიონებს [3, გვ. 160]:

- ❖ ამერიკა;
- ❖ ევროპა;
- ❖ აღმოსავლეთ აზია;
- ❖ წყნარი ოკეანე;
- ❖ აფრიკა;
- ❖ ახალო აღმოსავლეთი;
- ❖ სამხრეთ აზია.

ჩამოთვლილთაგან ტურისტთა მიღების მაჩვენებლით გამოირჩევა სამხრეთ აფრიკა [3, გვ. 163], თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ უკანასკნელ პერიოდში, წინა პლანზე წამოიწიეს სხვა რეგიონებმაც, განსაკუთრებით ევროპამ (ცხადია, ვგულისხმობ კორონა-19-ის პანდემიის დაწყებამდე).

დადგენილია, რომ საერთაშორისო ტურიზმი დადებითად მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე. მისი წილი მთლიან შიდა პროდუქტში 5%-ია [3, გვ. 163]. ტურისტული მოგზაურობის დინამიკა მეტად მგრძნობიარეა ეკონომიკის აღმავლობასა და დაცემასთან. ჩვეულებრივ, თუ სხვა ფაქტორები, მაგალითად, ფასები უცვლელია, მაშინ, საერთო მოხმარების 1%-ით ზრდის პირობებში ტურისტული მოგზაურობა უცვლელია, 2,5%-ით ზრდის შემთხვევაში მოგზაურობა 4%-ით მატულობს, ხოლო 5%-ით ზრდის შემთხვევაში 10%-ით იზრდება [3, გვ. 165].

ტურიზმი სტაბილური ზრდის ტენდენციას ინარჩუნებს. 2017 წელს დარგის პირდაპირმა კონსტრიბუციამ მთლიან შიდა პროდუქტში 2,6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა [4, გვ. 127]. ამ წელს ტურიზმის წვლილი მთლიან შიდა პროდუქტში 10,4%-ს შეადგენდა, ინვესტიციების 4,5%, ხოლო ექსპორტის 6,5% ტურიმზე მოდიოდა [5]. ქვეყანაში ტურიზმის განვითარებას ძირითადად ვიზიტორთა ზრდა ადასტურებს. კორონა-ვირუსის პანდემიის დაწყებამდე, კერძოდ, 2017 წელს საქართველოში საერთაშორისო ტურისტების რაოდენობამ რეკორდულ მაჩვენებელს - 7902509-ს მიაღწია, ანუ წინა წელთან შედარებით გაიზარდა 17,6%-ით [4, გვ. 129]; ამასთან, ამ წელს, ტურიზმიდან შემოსავლების მოცულობამ 2,75 მლრდ აშშ დოლარს გადააჭარბა [4, გვ. 130].

ტურიზმი როგორც ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვანი დარგი უზრუნველყოფს მოსახლეობის დასაქმებას. ამის გარდა უცხოელი ტურისტი ფულს უხდის მასპინძელ ქვეყანას ტურისტულ მომსახურების გაწევაში. ამ დანახარჯების შედეგად ქვეყანაში იქმნება დამატებითი შემოსავალი.

ტურისტები ანაზღაურებენ შემდეგი სახის ხარჯებს: კომპლექსური მოგზაურობის, მომსახურების პაკეტის, განთავსების, კვების, ტრანსპორტის, სპორტული და რეკრეაციული მომსახურების და სხვა.

ტურიზმს ქვეყნის ეკონომიკისთვის მოაქვს შემდეგი სარგებელი [1, გვ. 59]:

1. მასპინძელი ქვეყანა ტურისტებისგან იღებს უცხოურ ვალუტას, როგორც მათთვის გაწეული მომსახურების ანაზღაურება.
2. ტურიზმი ასაქმებს ადგილობრივ მოსახლეობას და მათ ეძლევათ ხელფასი.
3. ტურისტებს სჭირდებათ სხვადასხვა ადგილობრივი წარმოების საქონელი (სუვენირები) და ქვეყანაში ვითარდება მათი წარმოება.
4. ტურისტებს სჭირდებათ განთავსება და ქვეყანაში იწყება სასტუმროების მასიური მშენებლობა.
5. ტურისტებს ესაჭიროებათ კვება და, ასევე, ქვეყანაში იწყება რესტორნების, კაფე-ბარების და სხვათა მშენებლობა.

პირდაპირი ეკონომიკური ეფექტის გარდა, ტურიზმი აგრეთვე ახდენს მეორად ეფექტს - ის ფულს ხარჯავს სასტუმროებში, რესტორნებში, ტრანსპორტში და ა. შ. ეს ციკლი მეორდება უწყვეტად და მისი ეს მეორადი მოთხოვნა გენერირდება. რაც უფრო მაღალია ქვეყნის შიგნით დახარჯული ფულის ხვედრითი წილი ხარჯების საერთო მოცულობაში, მით უფრო მაღალია ტურისტულ დანახარჯთა მულტიპლიკაციური ეფექტი. ტურიზმის მულტიპლიკაციური გავლენა ვლინდება იმაში, რომ ჯაჭვური რეაქციის შედეგად, ერთი ტურისტიდან მიღებული შემოსავლები აღემატება იმ ფულად თანხას, რომელიც მის მიერ დაიხარჯა ჩასვლის ადგილას.

ტურიზმის სწრაფმა ზრდამ და დივერსიფიკაციამ საჭირო გახადა ამ ფენომენის სიღრმისეული შესწავლა და ეროვნულ ეკონომიკაზე ტურიზმის რეალური ეფექტის გაზომვის აუცილებელობის საკითხი დააყენა [6, გვ. 197]. საქმე ის არის, რომ მთელი რიგი სპორტული ტურები, რომლებიც საქართველოში ეწყობა, უმრავლეს შემთხვევაში სახელმწიფო სუბსიდირებით ხორციელდება. ეს ეხება ფესტივალებსაც. ამ ღონისძიებების ეკონომიკური სარგებელია დამატებითი ფულის შემოტანა ეკონომიკაში. როცა ეს ფული გარედან, ე, ი. ვიზიტორებიდან კი არ შემოდის, არამედ, ბიუჯეტის ფული ბრუნავს, მაშინ, ეს ქვეყნისთვის შემოსავალი არ არის, თუცმა, ის შემოსავალია ამ ღონისძიების (ფესტივალი, სპორტული შეჯიბრი) ორგანიზატორი ორგანიზაციისთვის. ასეთ დროს საერთაშორისო ტურიზმის ეფექტი როგორც სპეციალისტები წერენ ნულის ტოლია [6, გვ. 198] და ჩვენ მთლიანად ვეთანხმებით ამ მოსაზრებას.

დასკვნა

შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი იმაში მდგომარეობს, რომ დაიხვეწოს საერთაშორისო ტურიზმზე გაწეული დანახარჯების და მათგან მიღებული შემოსავლების ანგარიშის მეთოდოლოგია. შეჯერდეს ისინი ერთმანეთთან, გამოითვალოს სალდო (+, -) და მხოლოდ ამის შემდეგ გაჟღერდეს, რას იძლევა საერთაშორისო ტურიზმი - სარგებელს (+), თუ ზარალს (-). ამის გარეშე არ გვაქვს უფლება ვასკვნიდეთ, რომ საერთაშორისო ტურიზმი უდავოდ დადებით გავლენას ახდენს საქართველოს ეკონომიკაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქათამაძე დ., ქათამაძე გ. საერთაშორისო ტურიზმი. ბათუმი. 2013.
2. ფალტინი გ. გონება ამარცხებს კაპიტალს. თბ., 2013.
3. ნადირაშვილი გ., ჯანგულაშვილი დ. ტურიზმის საფუძვლები. თბ., 2014.
4. კაციტაძე ნ. სახელმწიფო პოლიტიკა ტურიზმში - საქმიანი ტურიზმი საქართველოში. ჟ. „ეკონომიკა და ბიზნესი“. #4. 2018.
5. http://gnta.ge
6. ბრეგვაძე გ. ტურიზმის ღონისძიებების პირდაპირი ეკონომიკური სარგებლიანობის გამოთვლის მეთოდოლოგიური საკითხები. ჟ. „ეკონომიკა და ბიზნესი“. #4. 2016.

The influence of international tourism on the growth of the country's economic

Jana Balakhashvili, Invited Professor of Georgian Technical University

Tamar Kajaia, Assistant Professor of Georgian Technical University

Summary

In the article "The Influence of International Tourism on the Growth of the Country's Economic" it is discussed how this field is developing and what development prospects it has in the future. The article also explains the old age of its development, for example that the tourism product, unlike the product of other industries, does not become obsolete.

The article lists the signs of international tourism and describes two groups of countries - groups of tourist suppliers and groups of tourist recipients.

The relevant information shows the Multiplicative effect of international tourism on the country's economy. Its fields are also listed.

Besides, as this field is new to Georgia, the issue of improving its cost and revenue accounting methodology has been raised.

Key words: International Tourism, Vizitors, Economocal Benefit, Multiplicative Benefit

ლიცენზირება და სერტიფიცირება როგორც სასტუმრო საქმიანობის ფუნქციონირების აუცილებელი ფაქტორი

ბარკალაია ბესიკ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

აქიმიშვილი ნინო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია სასტუმრო ინდუსტრიაში ლიცენზირებისა და სერტიფიცირების ფაქტორების დანერგვის აუცილებლობა. სასტუმროს საქმიანობის ლიცენზირებისა და სერტიფიცირების არსი და მიზნები. სერტიფიკატის ფორმები და მისი მიღების თავისებურებები. სასტუმროს მომსახურების საერთაშორისო სერტიფიცირების თავისებურებები და ფორმები. საქართველოს სასტუმრო ინდუსტრიაში არსებული მდგომარეობის მოკლე ანალიზი.

საკვანძო სიტყვები: სასტუმრო. ინდუსტრია. ლიცენზირება. სერტიფიცირება. საქმიანობა. სერტიფიკატი. მომხმარებელი. ფორმები. თავისებურებები. მომსახურება. უფლებები. ინტერესები. დაცვა. მიწოდება. დონე. სტანდარტი. შეფასება. უზრუნველყოფა. საერთაშორისო. თავისებურებები. სქემა. საქართველო. არსებული. მდგომარეობა. ანალიზი. ნორმატული. აქტები.

ძირითადი ტექსტი

ლიცენზირება და სერტიფიცირება არის პროცესი, სასტუმრო ინდუსტრიის საქმიანობაში სახელმწიფო რეგულირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმი. ლიცენზია და სერტიფიკატი წარმოადგენს სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემულ ნებართვას იურიდიულ ან ფიზიკურ პირებზე გარკვეული დროის განმავლობაში სასტუმროს საქმიანობის განსახორციელებლად, რიგი პირობების დაცვით.

საქართველოში, სასტუმრო ინდუსტრია (მათ შორის ტუროპერატორული და სხვ. საწარმოები) არ ექვემდებარება ლიცენზირებას და არც სერტიფიცირებას.

სასტუმროს საქმიანობის ლიცენზირებისა და სერტიფიცირების მიზანია:

- მომხმარებელთა უფლებების ინტერესების დაცვა;
- მომსახურების მიწოდების დონისა და სტანდარტების შეფასების ერთიანი მიდგომის უზრუნველყოფა;
- კანონისა და წესრიგის განმტკიცება და სასტუმროში განსახლების უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ასევე, აუცილებელია ნორმატული აქტები ,,სასტუმროს მომსახურების მიწოდების წესების დამტკიცების შესახებ" და "სასტუმროებისა და სხვა განთავსების ობიექტების კლასიფიკაციისა და ლიცენზირების სისტემა". ამ დოკუმენტების მოთხოვნებიდან გამომდინარე, სასტუმრო ინდუსტრიის სუბიექტებმა უნდა უზრუნველყონ და ორგანიზება გაუწიონ სასტუმროს მომსახურების პროცესს.

ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ ყველა სასტუმრო დაყოფილია კატეგორიებად მომხმარებლისთვის კომფორტის დონის მიხედვით. სასტუმროების კატეგორიებად დაყოფა ითვალისწინებს სხვადასხვა სახის მომსახურებას. ბუნებრივია, უმაღლესი კატეგორიის სასტუმროები სტუმრებს უფრო კომფორტულ ნომრებსა და შესაბამისად, უფრო ფართო მომსახურებას სთავაზობს, რომელთა შორის შეიძლება არსებობდეს სერვისები, რომელთათვისაც საჭიროა ლიცენზია, მაგალითად, სამედიცინო ან სატრანსპორტო მომსახურება და სხვ.

თუ სასტუმრო თავის კლიენტებს სთავაზობს მომსახურებას, რისთვისაც საჭიროა ლიცენზია და სერტიფიკატი, მაშინ მან უნდა მიიღოს იგი ასეთი საქმიანობისთვის. მიზანშეწონილი იქნება ლიცენზიისა და სერტიფიკატის მოქმედების ვადა განისაზღვროს არანაკლებ ხუთი წლით ხოლო, ლიცენზიის მოქმედების ვადის ამოწურვის შემდგომ იგი გაგრძელდეს ლიცენზიატის განცხადების საფუძველზე.

სერთიფიკატი არის შესაბამისობის დადასტურების დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც ოფიციალურად დასტურდება, რომ ობიექტი (მომსახურების ადგილი) აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს. სასტუმრო მომსახურების სერტიფიკაცია წარმოადგენს მომსახურების ხარისხის მართვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან დოკუმენტს, რაც საშუალებას იძლევა ობიექტურად შეფასდეს მომსახურების დონე და მომხმარებლისთვის მათი უსაფრთხოების გარანტიები. სასტუმრო ინდუსტრიაში მომსახურების სტანდარტების დანერგვით და მათი შემდგომ, მომხმარებელზე მიწოდებით განისაზღვრება ხარისხის დონე, რაც დასტურდება შესაბამისი სერტიფიკატის მინიჭებით. ასეთი მიდგომა საშუალებას იძლევა მომხმარებელს შეექმნას დადებითი განწყობის ნდობა.

სასტუმროს სერთიფიკატი მიზნად ისახავს სასტუმროს ადგილის განსაზღვრას სასტუმროს მომსახურების ბაზარზე, პოტენციურ კლიენტებს გაუადვილონ ინფორმაციის მიღება იმის შესახებ, რომ უზრუნველყოფილია გარანტირებული მომსახურება გარკვეული კლასის სასტუმროს მიერ.

სასტუმროს სერტიფიცირება უნდა განხორციელდეს როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. სასტუმროებისათვის გარკვეული კატეგორიის მინიჭება უნდა ხდებოდეს "სასტუმროებისა და სხვა განთავსების ობიექტების კლასიფიკაციის სისტემის" შესაბამისობიდან გამომდინარე.

მსოფლიო პრაქტიკაში არსებობს კატეგორიების მინიჭების სხვადასხვა სქემები. მაგალითად, გერმანიასა და შვეიცარიაში ამას აკეთებს პროფესიული ასოციაციები და სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი პროფკავშირები. გერმანიაში - სასტუმროებისა და რესტორნების ინდუსტრიის ასოციაცია (DEHOGA), შვეიცარიაში - სასტუმროების მფლობელთა კავშირი. ასევე, არის ქვეყნები სადაც პარალელურად არსებობს რამდენიმე კლასიფიკაციის სისტემა.

სიტყვა სერთიფიკატი - ლათინურად ნიშნავს "სწორად გაკეთებას". სერთიფიკატს შესაძლოა ჰქონდეს სამი ფორმა, კერძოდ,

1. მათ შორის ერთ-ერთი უძველესი და მარტივი არის გამყიდველის მიერ მყიდველისთვის მიცემული გარანტია ნაყიდ პროდუქტზე რაც არის ,,თვითდამოწმება", ან ე.წ. პირველი მხარის სერთიფიკატი;
2. სერტიფიკაციის მეორე ფორმა არის მყიდველის მიერ გამყიდველისადმი დეკლარირებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურება.
3. სერტიფიკაციის მესამე ფორმა არის დამოუკიდებელი პირის ან ორგანიზაციის მიერ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისობის დადასტურება.

სერტიფიკაციის მესამე ფორმა, ყველაზე სასურველია სასტუმროს მომსახურების ხარისხის შეფასებისას, ხოლო პირველი ფორმა უფრო არის ტურისტული მომსახურების უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისობის დამოწმება.

სერტიფიცირება შესაძლოა იყოს სავალდებულო და ნებაყოფლობითი. სასტუმრო მომსახურების სავალდებულო სერტიფიცირება გაგებულ არის როგორც სერტიფიკატის მიმნიჭებელი ორგანოს მიერ შესაბამისობის დადასტურება სასტუმროს მიერ გაყიდულ პროდუქტთან, მომსახურების უსაფრთხოების, სტუმართა ჯანმრთელობის, მათი ქონების უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მოთხოვნებთან დაკავშირებით.

ნებაყოფლობითი სერტიფიცირება ხორციელდება ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის დროსაც, სასტუმრო ნებაყოფლობით მიმართავს სასერტიფიკაციო ორგანოს კატეგორიის მიხედვით სერტიფიკაციის მინიჭებასთან დაკავშირებით. ოფიციალური მიმართვის შემდეგ იწყება სერტიფიცირებით განსაზღვრული პროცედურების ჩატარება.

ყველა დონის სასტუმრომ უნდა იფიქროს იმაზე, თუ როგორ გაზარდოს თავისი საქმიანობის ეფექტიანობა. საბაზრო ეკონომიკის პირობებში რომ არ "გაჩერდე" და ხელი შეუწყო მომხმარებელთა ნაკადების გაზრდას, საჭიროა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება და ჩამონათვალის მუდმივი გაფართოება სასტუმროს მრავალფეროვან პროდუქტთან დაკავშირებით. მხოლოდ ამ პირობებში შეძლებს სასტუმრო მიაღწიოს უმაღლესი კატეგორიის მინიჭებას სერტიფიცირების შედეგების საფუძველზე.

გარდა ამისა, სასტუმროს ნომრების სერტიფიცირების დროს ასევე დგინდება მათი პირობითი

კატეგორიები: უმაღლესი, პირველი, მეორე და მესამე. მეტიც, უმაღლესი კატეგორიის ნომრები, თავის მხრივ, შესაძლოა დაიყოს პირობით ტიპებად: ,,ლუქსი", ,,სემი ლუქსი“, ,,აპარტამენტი“ და ა.შ.

საერთაშორისო ქსელების კომპანიების სასტუმროთა სერტიფიცირება ხდება საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შესაბამისი სარეკომენდაციო პროცედურების გავლის შემდეგ. მას ახორციელებენ სხვადასხვა საერთაშორისო ასოციაციები ასევე, სპეციალური საერთაშორისო ორგანიზაციები დაკავშირებული მომსახურების ხარისხის სისტემების სერტიფიცირებასთან.

სასტუმრო მომსახურების საერთაშორისო სერტიფიცირებამ შესაძლოა მნიშვნელოვნად გაზარდოს მისი კონკურენტუნარიანობა. აღსანიშნავია ისიც, რომ მსოფლიო ბაზარზე სტაბილურად ადგილის დაკავება საკმაოდ რთულია. საერთოდ, პრაქტიკა აჩვენებს, რომ ქვეყანაში სტუმრად ჩამოსული უცხოელი მოქალაქეების უმრავლესობა, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას აქცევს სასტუმროში მომსახურების ხარისხს რის შესაბამისობასაც ასახავს მინიჭებული, ხარისხის განმსაზღვრელი სერტიფიკატი.

არსებობს საერთაშორისო ,,ატესტაციასთან“ დაკავშირებული სასტუმროს სერტიფიცირების სქემა. სასტუმრო, რომელსაც სურს გაიაროს ასეთი პროცედურა, თხოვნით მიმართავს ერთ-ერთ საერთაშორისო, შესაბამის ორგანიზაციას კატეგორიის მინიჭებისა და ხარისხის განსაზღვრასთან დაკავშირებით. ექსპერტი მიდის სასტუმროში და გარკვეული დროით იქ ინკოგნიტოდ ცხოვრობს. შემდეგ, აღნიშნული პირი ადგენს დასკვნას, რომლის საფუძველზეც სასერტიფიკაციო ორგანო იღებს გადაწყვეტილებას სასტუმროსთვის გარკვეული კატეგორიის მინიჭებისა და მასზე საერთაშორისო ხარისხის სერტიფიკატის გაცემის შესახებ. თუ სასტუმრო არ აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს, სააგენტო მიუთითებს სასტუმროს ფუნქციონირების ყველა ნაკლოვანებაზე, რომელიც მან უნდა აღმოფხვრას. სამუშაოების დეფექტების აღმოფხვრის შემდეგ, გამოკვლევა კვლავ ტარდება.

სამწუხაროდ, საქართველოს სასტუმრო ინდუსტრიაში, ტრანსნაციონალური საერთაშორისო კომპანიებისა და ზოგიერთი ადგილობრივი სასტუმრობის გარდა, სასერტიფიკაციო ორგანიზაციებისა და სახელმწოფოს კონტროლის არ არსებობამ მასიურად და თვითნებურად მოახდინა ხარისხის განმსაზღვრელი ,,ვარსკვლავთა“ კატეგორიების მინიჭება. ამას დამატებული, მოუმზადებელი მომსახურე პერსონალისა და ობიექტების მართვის არცოდნამ, განთავსების საშუალებებმა ქაოსური განვითარების ფორმები შეიძინა.

დასკვნა

სასტუმრო საქმიანობისათვის ლიცენზირებასა და სერტიფიცირებას აქვს დიდი მნიშვნელობა ინდუსტრიის შემდგომი მოწესრიგებული განვითარებისათვის. საქართველოს სასტუმრო ინდუსტრიაში ლიცენზირებისა და სერტიფიცირების აუცილებლობა განაპირობებს - მომხმარებელთა უფლებების ინტერესების დაცვას; მომსახურების მიწოდების დონისა და სტანდარტების შეფასების ერთიანი მიდგომის უზრუნველყოფას; კანონისა და წესრიგის განმტკიცებასა და სასტუმროში უსაფრთხოების უზრუნველყოფას. ამ მიზნით კი, აუცილებელია ნორმატული აქტები ,,სასტუმროს მომსახურების მიწოდების წესების დამტკიცების შესახებ" და "სასტუმროებისა და სხვა განთავსების ობიექტების კლასიფიკაციისა და ლიცენზირების სისტემა". ამ დოკუმენტების მოთხოვნებიდან გამომდინარე, განხილულია თუ როგორ უნდა უზრუნველყონ სასტუმრო ინდუსტრიის სუბიექტებმა და ორგანიზება გაუწიონ სასტუმროს მომსახურების პროცესს. მასთან კავშირში კი, სასტუმროს სერტიფიცირება უნდა განხორციელდეს როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. სასტუმროებისათვის გარკვეული კატეგორიის მინიჭება უნდა ხდებოდეს "სასტუმროებისა და სხვა განთავსების ობიექტების კლასიფიკაციის სისტემის" შესაბამისობიდან გამომდინარე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Adrian Martin. The Practical Guide to Understanding and Raising Hotel Profitability. Published 2019. 190p.
2. Alisha D Anderson. The lost Art of Hospitality: Making People Feel Welcome in Your Home. Published 2019. 82p.
3. Susan Sully. Southern Hospitality at Home: The Art of Gracious Living. Published 2019. 208p.
4. Michael C. Sturman , Jack B. Corgel, Rohit Verma. The Cornell School of Hotel Administration on Hospitality: Cutting Edge Thinking and Practice. Published 2011. 512p.

Licensing and Certification as an Essential Factor in Hotel Operation

Besik Barkalaia, Professor of Georgian Technical University

Nino Akimishvili, PhD student of Georgian Technical University

Summary

The article discusses the need to introduce licensing and certification factors in the hotel industry. The essence and goals of hotel licensing and certification. Forms of the certificate and peculiarities of its receipt. Peculiarities of international certification of hotel services. Hotel Certificate and forms to International Certification and Brief Information on the Situation in the Georgian Hotel Industry

სოფლის ტურიზმის განვითარების პერსპექტივები

ვასაძე მანანა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ბორცვაძე ნინო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ტურიზმი ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვანი ბერკეტია. ტურიზმის განვითარებას შეუძლია ხელი შეუწყოს ქვეყნის განვითარებას შემოსავლების ზრდით,საღარიბის დაძლვის, სამუშაო ადგილების შექმნის, გარემოს დაცვისა და კულტურათა დაახლოების გზით. ნაშრომში წარმოდგენილ- სოფლის ტურიზმის კონცეფციაში სწორედ ეს საკითხებია გაშუქებული. კერძოდ, ნაშრომში განხილულია, თუ რა სარგებლის მოტანა შეუძლია ან რა პრობლემების გამოწვევა შეუძლია რეგიონში სოფლის ტურიზმის განვითარებას

სოფლის ტურიზმი ჩვენი ქვეყნისთვის შედარებით ახალი მიმართულებაა, რაც მოითხოვს, პირველ რიგში, მომსახურების მაღალი სტანდარტების დადგენას და ამ დარგის საფუძვლიან ცოდნას. ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი რესურსების,ისტორიისა და კულტურის, ფლორის, ფაუნის, სამზარეულოს მრავალფეროვნების გათვლისწინებით საქართველოში სოფლის ტურიზმის განვითარებას დიდი პოტენციალი აქვს. თუმცა. მისი წარმატებით განვითარების მიზნით, პირველ რიგში, აუცილებელია გადაიდგას კონკრეტული ქმედითი ნაბიჯები: საჭიროა ადგილობრივი/რეგიონული ბიზნესის ხელშეწყობის სწორი პოლიტიკის წარმოება, რაც, პირველ რიგში, გულისხმობს კავშირის გაძლიერებას ქვეყნის სოფლის მეურნეობასა და ტურიზმს შორის.

საკვანძო სიტყვები: სოფლის ტურიზმი, კონსერვაცია, ურბანული კონცეფცია, კონტინიუმი

ძირითადი ტექსტი

სოფლის ტურიზმის კონცეფცის: განვითარება და კონსერვაცია

ექსპერტები რომლებიც ცდილობენ სასოფლოს ზუსტი მნიშვნელობის განსაზღვრას, ფართოდ იყენებენ სასოფლო/ურბანული კონტინიუმის კონცეფციას, რათა განსაზღვრონ სხვადასხვა ტიპის ტერიტორიები,გამოავლინონ სხვადასხვა მახასიათებლები და ადგილები რომლებიც განიცდიან აქტიურ ცვლილებებს. მსგავსი კონტინიუმის კონცეფცია შეიძლება სასარგებლო იყოს მათთვის ვინც ცდილობს სოფლის ტურიზმის განსაზღვრას. რამოდენიმე რეგიონი ასახავს ზემოთ განხილულ სასოფლო ტურიზმის ყველა მახასიათებელს,ზოგიც გამოსახავს ურბანულ თავისებურებებს,ზოგიც განვითარებისა და ცვლილებების პროცესშია რათა გადაიქცნენ დიდ ურბანულ კურორტებად. კონტინიუმის კონცეფციის გამოყენება საშუალებას აძლევს მგეგმავებს მიხვდნენ ამ ტენდენციას და გადადგან საჭირო ნაბიჭები მის დასარეგულირებად ან ინფრასტრუქტურული განვითარებისთვის. სოფლის ტურიზმის მენეჯმენტის სტრატეგიები მიზნად უნდა ისახავდეს სასოფლო რეგიონების კონსერვაციას, როგორც მნიშვნელოვან რესურსს, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში რაიმე ცვლილებების დაშვება ან თუნდაც წახალისება შესაძლოა ღირებული იყოს.

სოფლის ტურიზმი არ შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ დასვენების ტიპის მიხედვით: გამოყენების ინტენსივობა, ადგილმდებარეობა, მართვის სტილი,საზოგადოებასთან ინტეგრაცია და სხვა რიგი ფაქტორები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სოფლის ტურიზმის განსაზღვრებაში. ისევ და ისევ მივდივართ იქ, რომ კონტინიუმის კონცეფცია ძალიან სასარგებლოა. დასვენების მრავალი სახეობა შეიძლება განვითარებული იყოს, როგორც ქალაქში ასევე სოფლის მხარეში. დამსვენებლებს ერთსადა იმავე დღეს შეუძლიათ ჩაერთონ როგორც ურაბნულ ასევე სასოფლო აქტიობებში.

ქვემოთ ჩამოთვლილია აქტიობის ტიპები კონტინიუმის კონცეფციის შესაბამისად. მოცემულია კონკრეტულად სოფლის აქტიობები და ურაბნული აქტიობები, ასევე შუალედური აქტიობები, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს როგორც სოფელში ასევე ქალაქში.

აქტიობა რომელიც ითვლება კონკრეტულად სასოფლოდ	**აქტივობა რომელიც შეიძლება იყოს სასოფლო საქალაქო/საკურორტო**	**აქტივობა რომელიც ითვლებაკონკრეტულად საქალაქო/საკურორტო**
სეირნობა	ცურვა	ქალაქის დათვალიერება
კლდეზე ცოცვა	დაბალი/საშუალო ინტენსივობის სანაპიროზე დასვენება	შოპინგი
სათავგადასავლო აქტივობა	საშუალო ინტენსივობის სათხილამურო აქტივობა	მაღალი ინტენსივობის სანაპიროზე დასვენება
კანოინგი	სპორტული აქივობები, რომლებიც მოითხოვს ადამიანის მიერ შექმნილ ნახევრად ბუნებრივ ინფრასტრუქტურას. მ.გ გოლფი	მაღალი ინტენსივობის სათხილამურო აქტივობა
რაფტინგი	სამზარეულოზე დაფუძნებული აქტივობები	ურბანული მემკვიდრეობა/კულტურული აქტივობები
თოვლის ფეხსაცმლის ტურები	კონსერვაციის მიზნით დასვენება	ზოოლოგიური ბაღები
ნადირობა	კემპინგი	გართობის მიზნით დასვენება
ცხენით ჯირითი	ღირსშესანიშნაობების დათვალიერება	საკურორტო ზონებზე დასვენება
ველოტურები	ნაოსნობა/კრუიზი	ინდუსტრიული ტურიზმი

სოფლის ტურიზმი: დადებითი და უარყოფითი მხარეები

სოფლის ტურიზმი არ არის შემთხვევითი ან დროებითი ზრდის ფენომენი. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულწილად სამოგზაურო ვაჭრობა მოდის ინდუსტრიაა, მოკლევადიანი ტენდენციების შესაბამისად სოფლის ტურიზმის ზრდის უკან მდებარე ძალები გრძელვადიანი ხასიათისაა. ეს ძალები ნაწილობრივ დაკავშირებულია მოგზაურობის ბაზარზე გრძელვადიან ცვლილებებთან, ნაწილობრივ ტრანსპორტისა და კომუნიკაციის გაუმჯობესებასა და სახელმწიფო უწყებების ძალისხმევასთან, რომელებიც პასუხისმგებელნი არიან სოფელში მიმდინარე ცვლილებებთან მიმართებით. მთლიანობაში შეგვიძლია გამოვყოთ 14 მთავარი ფაქტორი, რომელებიც პასუხისმგებელი იყო წარსულში აგროტურიზმის ზრდაზე და პასუხისმგებელი იქნება მის ზრდაზე მომავალში. ესენია: განათლების დონის ზრდა, კულტურული მემკვიდრეობის მიმართ გაზრდილი ინტერესი, დასვენების დროის ზრდა და ა.შ.

სოფლის ტურიზმს მიუხედავად იმისა, რომ უმცირესობაშია ტურიზმის ბაზარზე მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს სოფლის ეკონომიკის განვითარებაში. მისი წვლილი შეიძლება გამოსახულ იქნას არა მხოლოდ ფინანსური კუთხით, აგრეთვე სამუშაო ადგილების, ახალი სამუშაო პრაქტიკის დანერგვის და დასუსტებული ეკონომიკის ახალი სასიცოცხლო ძალითა და ენერგით შევსების თვალსაზრისით. მთლიანობაში ტურიზმს მოაქვს 17 პოტენციური სარგებელი სოფლის განვითარებაში. განვიხილოთ ზოგირთი მათგანი: სამუშაო ადგილების შექმნა , სამუშაოს შენარჩუნება, ბუნებს დაცვა, გარემოს გაუმჯობესება და სხვ.

მიუხედავად იმისა რომ სოფლის ტურიზმის განვითარებიდან შეგვიძლია მივიღოთ ბევრი სარგებელი, ასევე შეიძლება წავაწყდეთ ბევრ პრობლემას. ეკონომიკურმა სტრუქტურულმა გაერთიანებებმა შესაძლოა საგრძნობლად შეცვალოს გარემო. სასოფლო სააგენტოების მიერ ჩატარებული კვლევების შედეგები მოწმობს, რომ სოფლის საზოგადოება შესაძლოა იყოს განსაკუთრებულად ჩაკეტილი ახალი იდეების მიმართ. სოფლის ტურიზმის განვითარებისა და მართვის პრობლემები ძირითადად მოიცავს: გარემო ფაქტორებს, სოციოკულტურული ფაქტორებს, საცხოვრებელთან დაკავშირებულ ფაქტორებს, არაადგილობრივ მოსახლეობას, დაგეგმვის,ადგილობრივი კონტროლის, საზოგადოების მონაწილეობისა და პარტნიორობის პრობლემებს, გადატვირთულ სატრანსპრტო მოძრაობას და ა.შ.

შეუძლია თუ არა ყველა სოფელს წარმატებულად განავითაროს სოფლის ტურიზმი ? გამოცდილებიდან ჩანს, რომ ტურისტული ინდუსტრია დინამიურია, დამოკიდებულია მოდის ცვლილებაზე, ეს ფაქტორები შესაძლოა არ დარჩეს მუდმივი მომავალში, გარდა ამისა თუ ტერიტორია ფლობს ქვემოთ ჩამოთვლილი ფაქტორებიდან ერთ-ერთს ან ყველა მათგანს, არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ ვიფიქ-

როთ გარანტირებულ წარმატებაზე. ეს ფაქტორებია:

ლანდშაფტის მრავალფეროვნება , ველური ბუნება, კულტურული მემკვიდრეობა, სპორტია განვითარების შესაძლებლობა, დესტინაციის მისაწვდომობის სიმარტივე და ეფექტური სარეკლამო და მენეჯერული უნარები

კვლევა. საქართველოში სოფლის ტურიზმის განვითარების პერსპექტივების გაანალიზების მიზნით ჩატარებულია კვლევა, რომელშიც ჩართული იყო 20 საოჯახო ტიპის სასტუმრო, მათ შორის ინტერვიუში მონაწილეობა მიიღეს მცირე საოჯახო სასტუმროების მფლობელებმა. ინტერვიუ წარიმართა წინასწარ შედგენილი კითხვარის მიხედვით , რომელიც მოიცავდა შემდეგ საკითხებს: სეზონურ აქტიურობას, შეთავაზებულ სერვისებსა აქტივობებს, მოხალისებრივ სამუშაოებში სტუმართა მონაწილეობას, მარკეტინგულ აქტივობებს ცნობადობის გაზრდის მიზნით, აგრეთვე სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური მხარდაჭერის საკითხებს.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, სახელმწიფო მხარდაჭერა მიიღო კვლევაში მონაწილე მცირე ბიზნესიდან, მხოლოდ 35 პროცენტმა.

დასკვნა

ტურიზმს შეუძლია ითამაშოს გადამწყვეტი როლი ამა თუ იმ რეგიონის, თუ კონრეტული ადგილის, ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაში. ძალზე მნიშვნელოვანის სახელმწიფოს ჩართულობა და დაინტერესება მცირე ბიზნესის ხელშწეყობის საქმეში, კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ გარკვეული რაოდენობის სასტუმრომ მიიღო დაფინანსება „პროექტ აწარმოე საქართველოს ფარგლებში“ თუმცა, უმრავლეს შემთხვევში, ბიზნესს არ გააჩნია შესაბამისი ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრიდან. გარდა ფინანსური დახმარებისა, სახელმწიფო უფრო აქტიურად უნდა უწყობდეს ხელს ადგილობრივ მცირე მეწარმეებს, რათა უფასოდ მიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა სახის ტრენინგებში, განსაკუთრებით - მომსახურების სფეროს კუთხით. უნდა შეიქმნას სოფლის ტურიზმის განვითარების სტრატეგიები კონკრეტული რეგიონისათვის. რაც ხელს შეუწყობს საჯახო სასტუმროებისა და აგროფერმერული მეურნეობების განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. AMOS, C.J., and POTTS T.D., (1993), Home Town Discovery: A Development Process for Tourism ,
2. ALLEN, L.R., LONG, P.T., PERDUE, R.R., and KIESELBACH, S.R. (1988), "The impact of tourism development on residents' perceptions of community life", Journal of Travel Research pp 16-21
3. ENGLISH TOURIST BOARD (1988), Visitors in the Countryside: Rural Tourism - A Development Strategy
4. GILBERT, D. (1989), "Rural Tourism and Marketing", Tourism Management , Vol. 10 (1), pp. 39-50
5. GOODMAN, N. and JONES, L. (eds) (1991), A training guide for rural tourismdevelopment
6. JANSEN-VERBEKE, Myriam (1990), The Potentials of Rural Tourism and Agritourismin EEC
7. KEANE, M.J and QUINN, J. (1990), Rural Development and Rural Tourism , Social Sciences Research Centre
8. LANE, B. (1988), "What is Rural Tourism ?" in Changing Land Use and Recreation , Proceedings of the 1988 CRAAG conference
9. SZABO, G. (1993), "Rural tourism as one of the chances of the development of small enterprises in the countryside", in JUSS , Hungarian periodical (in Hungarian).
10. SANDOR, Dr. J. (1989), "Rural tourism as a special form of tourism" in The Development of Settlements
11. WATSON, A. and WATSON, R.D. (1983), Tourism, land use and rural communities in mountaining areas
12. https://agrokavkaz.ge/

13. www.Booking.com
14. https://www.facebook.com/biobarbale/?ref=br_rs
15. http://www.iccn.ge/files/agri_tourism_strategy_2016_geo.pdf
16. https://www.tbcbusiness.ge/ka/business/biznes-siaxleebi/agrotourism

Prospects for the Development of Rural Tourism

Manana Vasadze, Associate Professor of Georgian Tehcnial University

Nino Bortsvadze PhD student of Georgian Tehcnial University

,

Summary

Tourism is an important lever of the country's economy. The development of tourism can contribute to the development of the country by increasing incomes, overcoming poverty, creating jobs, protecting the environment and bringing cultures closer together. These issues are covered in the concept of rural tourism presented in the paper. In particular, the paper discusses what benefits or what problems can be caused by the development of rural tourism in the region. Rural tourism is a relatively new direction for our country, which requires, first of all, high standards of service and thorough knowledge in this field. Taking into account the diversity of the country's natural resources, history and culture, flora, fauna, cuisine, the development of rural tourism in Georgia has great potential. However. In order to develop it successfully, first of all, it is necessary to take concrete effective steps: it is necessary to develop the right local / regional business promotion policy, which, first of all, means strengthening the connection between the country's agriculture with tourism.

საქართველოს რეგიონული ტურისტული კლასტერის განვითარების და ფორმირების მეთოდოლოგიური საფუძვლები

ზეიკიძე ვაჟა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

მაისურაძე გიორგი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

რუხაძე თამარ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ქამხაძე თამარ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

საბაზრო ეკონომიკის პირობებში საკმარისი არ არის მხოლოდ კლასტერების შექმნა, აუცილებელია მისი განვითარების სტრატეგიის შემუშავება და რეგიონის სოციალურ-პოლიტიკური გარემოსთან მისი ადაპტირება. ტურისტული კლასტერების სახელმწიფო დონეზე რეგულირების უმნიშვნელოვანესი მიდგომაა მისი ვერტიკალური მართვა, რომელიც მოიცავს შესაბამისი მიზნობრივი პროგრამების შემუშავებას და განხორციელებას. საქართველოს რეგიონებში ტურისტული კლასტერის ფორმირების მიზნით მეტად მნიშვნელოვანია ისტორიულ ღირსშესანიშნაობათა, ეკოტურიზმის ობიექტების, რეგიონის სასტუმროების მომსახურების, საზოგადოებრივი კვების ობიექტების, ტურისტების უსაფრთხოების, სამედიცინო და სადაზღვევო, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტების განვითარებით. კახეთის რეგიონში ტურისტული კლასების ფორმირებაზე დიდ გავლენას ახდენს გარემო ფაქტორები, რომელთა ანალიზის ძირითად ინსტრუმენტად ჩვენს მიერ გამოყენებული იქნა ეკონომიკაში ფართოდ ცნობილი PEST-ს ანალიზი. იგი საშუალებას იძლევა გაფართოვდეს მიწოდებული სერვისების სპექტრი, რათა მაქსიმალურად გაიზარდოს მომხმარებელთა კმაყოფილება და ტურისტული ბაზრის მონაწილე ერთეულთა რაოდენობა, რომელბიც ჩართულნი არიან კლასტერის მშენებლობაში.

საკვანძო სიტყვები: კლასტერი, ტურიზმი, ბიზნესი, ტრანსპორტი, კონკურენცია.

ძირითადი ტექსტი:

კლასტერი თავისი არსით წარმოადგენს ტურიზმის სფეროში ურთიერთდაკავშირებული ბიზნესის, კომპანიებსა და მაში შემავალი ინსტიტუტების გეოგრაფიულ არეალს, რომელბიც აღიარებენ საერთო ბაზრებს, ცოდნას, სამუშაო ძალას და სადისტრიბუციო არხებს. დღეისათვის კლასტერის ცნებაში მოაიაზრება ძირითადად ისეთი ეკონომიკური სუბიექტების ურთიერთქმედება, როგორიცაა სახელმწიფო და კერძო სექტორის საწარმოები. სიტყვა ,,Claster" ინგლისური წარმოშობისაა და ითარგმნება როგორც ლოკალური საწარმოების დამაკავშირებელი რგოლი. კლასტერების ჩამოყალიბების იდეა ეკუთვნის ცნობილ მეცნიერი ეკონომისტს ა. მარშალს, ხოლო თანამედროვე კლასტერის ფორმირებების თეორიული საფუძვლები ჩამოყალიბებული იქნა ამერიკელი მეცნიერის მაიკლ პორტერის მიერ, მისი სამეცნიერო ნაშრომი ,,Competitive Aolvantage of Nations" შესაძლებელია გამოვყოთ, როგორც კლასტერების ფორმირების თეორიული საფუძველი. მაიკლ პორტერმა მოგვცა ცალკეული მსხვილი საწარმოების განვითარების ანალიზი, მსოფლიო ბაზარზე, კონკურენციის პირობებში. სწორედ წარმოდგენილი კონკურენტული უპირატესობანი ბიზნეს - სუბიექტებს უქმნის სინერგიულ ეფექტს და სწორედ ამ სისტემას ფორმირებას ეკონომიკის ისტორიაში ეწოდა ,,კლასტერი". ის მიიჩნევდა, რომ კლასტერში სუბიექტებს შორის ურთიერთობის ხარისხს და ხასიათს მივყავართ სწორედ კონკურენტუნარიან ურთიერთობებემდე და მთლიანობაში ეფექტური კლასტერის

ფორმირებამდე. იგი კლასტერს ახასიათებდა, როგორც გეოგრაფიულ ლოკალიზაციას ურთიერთ-დაკავშირებული საწარმოებისა, რომლებიც ფუნქციონირებენ მონათესავე სფეროებში, რომლებიც ერთმანეთთან მიდიან კონკურენციაში.

ჩვენს მიერ შემუშავებული რეგიონული ტურისტული კლასტერი ეფუძნება: - ტურისტული კლასტერების ვერტიკალური მართვის მოდელის კონკურენტულ უპირატესობას; - ტურისტული კლასების მცირე და საშუალო ბიზნესის ეფექტური მართვის უზრუნველყოფის მოდელს; - ტურისტული კლასების ფორმიების და განვითარების მოდელს; - ტურისტული კლასების სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაზე ორიენტირებულ მოდელს.

დღეისათვის საკმაოდ მრავალფეროვანია მოდელები, რომლებიც დაკავშირებულია ტურისტული კლასტერების კონკურენტუნარიანობის განვითარებასთან, მაგრამ აქვე უნდა დავძინოთ, რომ არ არსებობს უნივერსალური მოდელი რომელიც გამოყენებაც შესაძლებელი იქნება ყველა კლასტერში.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეროვნული ადმინისტრა-ციის მიერ მომზადებული ,,საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025", ჩვენი აზრით ვერ პასუხობს ქვეყნის რეგიონების ტურისტული პოტენციალის შეფასებას. აღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია წარმოვაჩინოთ ის ფაქტორები, რომლებიც ხელსშეუწყობს საქართველოს რეგიონებში ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებას და ტურისტული კლასტერების ფორმირებას.

პირველ რიგში აუცილებელია რეგიონებში სათანადო უნარ-ჩვევების მქონე კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება და ამ სფეროში დასაქმება.

მეორე ეტაპზე აუცილებელია დახვეწილი და მომთხოვნი მომხმარებლების ინტერესების დასაკმა-ყოფილებლად რეგიონებში ქმედითუნარიანი ურთიერთდაკავშირებული საწარმოების არსებობა, რომ-ლებსაც შესწევთ უნარი გაზარდონ, ეკონომიკური აქტივობა, დანერგონ ინოვაციური ტექნოლოგიები და შესაძლებელი გახადონ სტრატეგიული ალიანსების ფორმირება ტურიზმის მომსახურების სფეროში.

მესამე ეტაპზე გასათვალისწინებელია რეგიონების ტურისტული კლასტერის ზრდის პოტენცი-ალი, რომელშიც ყურადღება გამახვილდება კლასტერის ინსტიტუციურ ინფრასტრუქტურაზე, როგორიცაა სახელმწიფო მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმატიული აქტების სიძლიერე, საჯარო და კერძო პარტნიორული ურთიერთობები დაწესებულებებს შორის. აქ ძირითადად განიხილება სახელმწიფო მხარდაჭერის პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს რეგიონში კონკურენტული ტურისტული ბაზრის ფორმირებას და ტურისტული კლასტერის შემდგომ განვითარებას, ხოლო ტექნიკურ ინფრასტრუქტურაში მხედველობაში მიიღება ტურისტული ბიზნესის განვითარებისათვის საჭირო სატრანსპორტო, საკომუნიკაციო და ურბნული ინფრასტრუქტურის არსებობა.

მეოთხე ეტაპზე რეგიონული ტურისტული კლასტერის ფორმირებისას მხედველობაშია მისაღები - რეგიონის ეთნიკური, კულტურული და ისტორიული ფაქტორები, ასევე რეგიონის გამოცდილება ამ სფეროში.

მეხუთე ეტაპზე აუცილებელია რეგიონული კლასტერის სხვადასხვა ელემენტების შეფასება და მათი ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენა. რა ეტაპზეა საჭირო სახელმწიფოს თუ ხელისუფლების ადგილობრივი მუნიციპალური ორგანოების ჩარევა.

კახეთის რეგიონში ტურისტული კლასების ფორმირებაზე დიდ გავლენას ახდენს გარემო ფაქტორები, რომლებიც საშუალებას იძლევა გაფართოვდეს მიწოდებული სერვისების სპექტრი, რათა მაქსიმალურად გაიზარდოს მომხმარებელთა კმაყოფილება და ტურისტული ბაზრის მონაწილე ერთეულთა რაოდენობა, რომელბიც ჩართულნი არიან კლასტერის მშენებლობაში.

საქართველოს რეგიონის ტურისტული - კლასტერის ფუნქციონირებაზე, მის შემადგენლობაზე და სტრუქტურაზე დიდ გავლენას ახდენს გარე ფაქტორები, რომელთა ანალიზის ძირითად ინსტრუმენტად ჩვენს მიერ გამოყენებული იქნა ეკონომიკაში ფართოდ ცნობილი PEST-ს ანალიზი. ამ მეთოდის დახმარებით დგინდება ფაქტორების ოთხი ჯგუფი რომლებიც გავლენას ახდენენ, ჩვენს შემთხვევაში, რეგიონის ტურისტული კლასტერის ფორმირებაზე: P - პოლიტიკური გარემო ანუ სახელმწიფო ხელისუფლების სისტემის გავლენა და ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური ფენომენი; E - ეკონონომიკური გარემო ანუ მოცემულ კლასტერებზე ეკონომიკური სისტერმის გავლენა და მისი

მახასიათებლები (მაგალითად, ეკონომიკური ზრდა, ფასები, განვითარების ინდექსი და ა.შ.); S - სოციალურ - კულტურული გარემო, რომელიც ახასიათებს კლასტერის კულტურულ და სოციალურ სხვადასხვა მახასიათებლებს; T - ტექნოლოგიური გარემო ანუ კლასტერებზე ნებისმიერი ტექნოლოგიური ფაქტორების ზემოქმედების შესწავლა (კვლევა).

რეგიონის ტურისტული კლასტერის ეფექტური მართვის მიზნით, მეტად მნიშვნელოვანია სახელმწიფო და კერძო სექტორის პარტნიორობა. პარტნიორობის ქვეშ მოიაზრება, ინსტიტუციური და ორგანიზებული თანამშრომლობა სახელმწიფოსა და ბიზნეს შორის, კახეთის რეგიონისათვის მნიშვნელოვანი პროექტების რეალიზაციის მიზნით, ტურისტულ ინდუსტრიაში.

რეგიონებში ტურიზმის მართვა სახელმწიფო, მუნიციპალურმა და კერძო სუბიექტებმა პარტნიორობის სფეროში საკუთარ თავზე უნდა აიღონ, აგრეთვე მარკეტინგული ღონისძიებების ჩატარებისათვის მეთოდური რეკომენდაციების შემუშავება, მისი კერძო სტრუქტურებთან შეთანხმება და მათი რეალიზაციისათვის მონიტორინგის განხორციელება. პარტნიორობის ფარგლებში უნდა განხორციელდეს სარეკლამო გაცნობადი ხასიათის ტურების ორგანიზება, რომლებიც შემდგომ გაშუქდება პრესისა და ტელევიზიით. სახელმწიფო მხრიდან უნდა განხორციელდეს კერძო ორგანიზაციების წახალისება (აგროტურიზმი, ღვინის ტურიზმი) საერთაშორისო ბაზრებზე გასასვლელად. ტურიზმის ინდუსტრიაში სახელმწიფო და კერძო სექტორის პარტნიორობის პროცესში უნდა განხორციელდეს ინტერესების დაბალანსება, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ტურისტული პრობლემის რეალიზაცის მეთოდებს სრულყოფას და მასში თანამედროვე ინტერნეტ - ტექნოლოგიების გამოყენებას.

დასკვნა

ტურისტული კლასტერების სახელმწიფო დონეზე რეგულირების უმნიშვნელოვანესი მიდგომაა მისი ვერტიკალური მართვა, რომელიც მოიცავს შესაბამისი მიზნობრივი პროგრამების შემუშავებას და განხორციელებას. რეგიონებში ტურიზმის მართვა სახელმწიფო, მუნიციპალურმა და კერძო სუბიექტებმა პარტნიორობის სფეროში საკუთარ თავზე უნდა აიღონ, აგრეთვე მარკეტინგული ღონისძიებების ჩატარებისათვის მეთოდური რეკომენდაციების შემუშავება, მისი კერძო სტრუქტურებთან შეთანხმება და მათი რეალიზაციისათვის მონიტორინგის დაწესება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი თავისუფალი ტურისტული ზონების განვითარების ხელშეწყობის შესახებ. საპარლამენტო მაცნე. 2თბ. 2010წ.
2. საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025. თბ. 2015წ.
3. ტურიზმის განვითარების გამოცდილება საქარტველოში და მსოფლიში, საქართველოს ტურიზმის ადმინისტრაცია, თბ. 2016წ.
4. ნ. გრძელიშვილი, ე. გიგოლაშვილი რეგიონული კლასტერის ფორმირების ევროპული გამოცდილება. ჟ. „გლობალიზაცია და ბიზნესი“ #5, 2018წ.
5. საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა 2018-2021 წლები. თბ. 2017წ.
6. მ. უკლება, დესტინაციის მენეჯმენტი. თბ. 2016წ.

Methodological bases of the development and formation of the regional tourism cluster of Georgia

Vazha Zeikidze, associated professor of Georgian Technical University

Giorgi Maisuradze, associated professor of Georgian Technical University

Tamar Rukhadze, associated professor of Georgian Technical University

Tamar Kamkhadze, Georgian Technical University

Summary

In a market economy, it is not enough to just create clusters, it is necessary to develop a strategy for its development and adapt it to the socio-political environment of the region. The most important approach to the regulation of tourism clusters at the state level is its vertical management, which includes the development and implementation of relevant targeted programs. In order to form a tourist cluster in the regions of Georgia, it is very important to develop historical sights, ecotourism facilities, hotel services in the region, public catering facilities, tourist safety, medical and insurance, transport infrastructure facilities. The formation of tourist classes in the Kakheti region is greatly influenced by environmental factors, the main tool of which is the analysis of PEST, widely known in the economy. It allows to expand the range of services provided in order to maximize customer satisfaction and the number of units participating in the tourism market that are involved in the construction of the cluster.

Covid-19 პანდემიით გამოწვეული მომხმარებლის ქცევის ცვლილებები ტურისტულ ბაზარზე

კაციტაძე ნანა
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

კოჭლამაზაშვილი ლელა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

თუშიშვილი ნათელა
სდასუ-ს ეკონომიკისა და ტექნოლოგიების
სკოლის დოქტორანტი

აბსტრაქტი

სტატიაში საქართველოს ტურისტული ბაზრის მომხმარებელთა ქცევის შესაძლო ცვლილებების იდენტიფიცირებისათვის ქვეყნის შიდა და გასვლითი ტურიზმის ბაზარზე ჩატარებული სოციალური კვლევისა და შემომყვანი ტურიზმის ბაზრის (რუსეთის მაგალითზე) არსებული მეორეული წყაროს ანალიზის საფუძველზე მიღებული შედეგებია წარმოდგენილი. აღნიშნული კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა „ახალი მომხმარებლის პორტრეტის“ ძირითადი მოტივაციები - საკუთარ კეთილდრობაზე და ჯამრთელობაზე ზრუნვა და მასთან დაკავშირებული ძირითადი მიდრეკილებები.

ხახლმრავალ დესტინაციებიდან თავის არიდება და ახალი, უფრო უსაფრთხო და ეკოლოგიურად სუფთა ალტერნატივების ძიება ახლო მომავალში შეიძლება ტრენდად იქცეს და ამასთან მასობრივი ტურიზმის დასასრულად ჩაითვალოს. ხოლო, მომხმარებლის მიერ გამოვლენილი მძაფრი სურვილი კვლავ იმოგზაურონ, მიუხედავად დაინფიცირების შიშებისა და შემცირებული ეკონომკური შემოსავლებისა ტურიზმის სწრაფი აღდგენის დამაიმედებელ პროგნოზად.

საკვანძო სიტყვები: მომხმარებლის ქცევა, კრიზისი, პანდემია, ტურიზმი

ძირითადი ტექსტი

კრიზისი ნაკლებად პროგნოზირებადი, მაღალი სიხშირის მოვლენაა, რომელიც ვითარდება ძალიან სწრაფად, სხვადასხვა მიზეზებითთ და გაურკვეველი შედეგებით[9]. 2019 წლის მსოფლიო კრიზისი უპრეცედენტო აღმოჩნდა თავისი მაშტაბით. საერთაშორისო ტურიზმიდან მსოფლიო ექსპორტში შემოსავლების დანაკარგმა 1.3 ტრლნ. აშშ. დოლარი შეადგენა. ამ დრიოსთვის პანდემიით გამოწვეული ზარალი 11-ჯერ აღემატება 2009 წლის გლობალური ეკონომიკური კრიზისით მიყენებულ ზარალს[14].

კრიზისების შედეგად სხვა გამოწვევებთან ერთად, რომელის წინაშე ტურიზმის ინდუსტრია დგება არის მომხმარებლის ქცევა, რომელიც რთულად პროგნოზირებადია [9]. კრიზისი მომხმარებლებში აყალიბებს ახალ შეხედულებებს და მოთხოვნებს, რომელთაც შეუძლიათ გამოიწვიოს დარგის ტრანსფორმაცია.მომხმარებლის პოსტკრიზისული ქცევითი მოდელის პროგნოზირბისათვის კი ტურიზმის დამგეგმავებისთვის აუცილებლობას წარმოადგენს გააჩნდეთ ინფორმაცია მომხმარებლის შეცვლილი მოტივაციებისა და ქცევის შესახებ, რათა შეძლონ ტურისტთა პოსტკრიზისული ქცევითი მოდელის პროგნოზირება.

გლობალურ ბაზარზე კრიზისით გამოწვეული მომხმარებლის ქცევის ცვლილებების პრაქტიკა. ტურისტები მგრძნობიარენი არიან კრიზისების მიმართ. ყოველი გლობალური კრიზისი მომხმარებელში იწვევდა შფოთვას, დაბნეულობას და სხვადასხვა სახის შიშებს. ტურისტული ქცევა ყალიბდება შიდა ფაქტორების (მოტივაცია, დამოკიდებულება, რწმენა და ა.შ.) და გარე ფაქტორების (ეკონომიკური გარემო, უსაფრთხოება, სოციალ-კულტურული გარემო და ა.შ.) ერთობლივი ზემოქმედების შედეგად[1], რომელთა შორის მოგზაურთათვის უსაფრთხოება წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ფაქტორს[7]. მრავალი მეცნიერის აზრით, ტურისტული პროდუქტის ყიდვისას, სიცოცხლესა და ჯამრთელობასთან დაკავშირებული რისკების აღქმა მოგზაურთა გადაწყვეტილებებში

იქნება გადამწყვეტი[10].

დღევანდელი კრიზისი მისი მაშტაბურობით, ხანგრძლივობით და შედეგებით კიდევ უფრო განსხვავებული აღმოჩნდა წინა კრიზისებთნა შედარებით. ეპიდემიასთან ბრძოლით გამოწვეულმა იძულებითმა მკაცრმა შეზღუდვებმა მსოფლიო გლობალურ ეკონომიკურ კრიზისშიც ჩააყენა. ჯერ კიდევ გადაუჭრელი პანდემია და მასთან ერთად ეკონომიკური კრიზისი მომხმარებლის ქცევაში იწვევს მნიშვნელოვან ცვლილებებს, რომელთა დიდი ნაწილის შენარჩუნდების ალბათობა პოსტპანდემიურ პერიოდშიც ძალიან მაღალია.

მომხმარებლის ქცევის ცვლილების საქართველოს ტურისტულ ბაზარზე. საქართველოს ტურისტული ბაზრის მომხმარებელთა ქცევის შესაძლო ცვლილებების იდენტიფიცირებისათვის ჩვენს მიერ ჩატარებული იქნა სიციალური კვლევა თვისობრივი მეთოდის გამოყენებით საქართველოს შიდა და გასვლითი ტურიზმის ბაზარზე. გამოკითხვის ინსტრუმენტად გამოვიყენეთ კითხვარი (ღია და დახურული კითხვებით), რომლის გავრცელება მოხდა ინტერნეტით სოციალურ ქსელებში. გამოკითხული იქნა 372 რესპოდენტი, ღია კითხვებს უპასუხა 215 რესპოდენტმა.

კითხვაზე აირჩევენ თუ არა მომავალში ტურისტები თავიანთ რეგიონთან/ საცხოვრებელ ადგილთან ახლოს მდებარე მიმართულებას საერთო გამოკითხულთა 65%-ის პასუხი უარყოფითია. ხოლო რესპოდენტთა იმ სეგმენტში, რომელიც საზღვარგარეთ პანდემიამდეც მოგზაურობდა, რესპოდენტთა 82% შეზღუდვების მოხსნისთანავე კვლავაც გეგმავს წასვლას საზღვარგარეთ. ტურისტების სურვილი გააგრძელონ მოგზაურობა, საერთაშორისო ტურიზმის სწრაფი აღდგენის თვალსაზრისით დამაიმედებელ ინფორმაციას იზლევა.

გამოკითხულთა დიდმა უმრავლესობამ დააფიქსირა განსაკუთრებული სიფრთხილე ვირუსის გადადების საფრთხეებთან და მასთან დაკავშირებული ქცევის ცვლილება მოგზაურობასა და დესტინაციის შერჩევის გადაწყვეტილებებში.

გამოკითხულთა 82% თანახმაა დასასვენებლად აირჩიოს ნაკლებად ხალხმრავალი და ნაკლებ პოპულარული ადგილები. ეს არის ადამიანებში დაავადების შიშით შინაგანი შფოთვა უცხო ადამიანებთან კონტაქტებით. მზგავსი შედეგები გვაფიქრებინებს, რომ მომავალში, ნაკლებად ხალხმრავალ ადგილებში დასვენება იქცეს ტრენდულად. ტურისტის ქცევაში ამ მიმართულებით ცვლილებები ბიძგის მიმცემია ახალი ტურისტული დესტინაციების და მიმართულებების გამოჩენის. შეფასდეს, როგორც მასობრივი ტურიზმის პრაქტიკის დასასრული.

გამოკითხულთა დიდმა ნაწილმადააფიქსირა ინტერესი ისეთი ინფორმაციისადმი, როგორიცაა აეროპორტების, საზოგადოებრივი სივრცეების, სასტუმროების, რესტორნების, ტურისტული ატრაქციონის სანიტარულ მდგომარეობისა და მთლიანობაში მასპინძელი ქვეყნის ჯანმრთელობის სისტემის მდგომარეობის შესახებ. მაშასადამე, მოგზაურთა არჩევანისას უპირატესობით ისარგებლებს უსაფრთხო სტატუსის მქონე ტურისტული დესტინაციები.

მოგზაურთა მსყიდველობითუნარიანობისკენ მიმართულ კითხვებზე პასუხებში გამომჟღავნდა გლობალური პანდემის კრიზისთან მიბმული ეკონომიკური კრიზისით გამოწვეული მომხმარებელთა შეცვლილი შემდეგი გადაწყვეტილებები: დაზოგონ ფული, გამოიყენონ ფულის ხარჯვის და მოგზაურობის დაგეგმვის ახალი სტრატეგიები, შეცვალონ სამომხმარებლო პრაქტიკა, მაგალითად როგორიცაა: ხელმისაწვდომი მიმართულებების და სპეციალური შეთავაზებების ძიება, მოგზაურობის ხანგრძლივობის შემცირება. ამგვარი ქცევა გამოვლენილი იქნა წინა ეკონომიკური კრიზისების დროსაც [2].

საერთაშორისო საჰარეო ტრანსპორტის ასოციაციის (IATA) პროგნოზით მგზავრთა საჰაერო გადაყვანის ფასები შესაძლებელია გაიზარდოს 50%-ით [20], რაც აძვირებს შორ მანძილზე მგზავრობას. აღნიშნული გარემოება გვაფიქრებინებს, რომ სტიმული მიეცემა შიდა ტურიზმის განვითარებას.

ღია კითხვებში რესპოდენტები გამოთქვავდნენ სურვილს შემდგომში დაისვენონ ეკოლოგიურად სუფთა ადგილებში. კრიზისმა საზოგადოებას დაანახა ტურიზმის ხელაღებით განვითარების უარყოფითი შედეგების არაერთი საოცარი მაგალითი, როგორიც იყო მასმედიით ფართოდ ტირაჟირებული სანახაობა, დელფინები ვენეციის არხებში. გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება გვაფიქრებინებს, რომ მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება ეკოტურიზმზე მოთხოვნას, რაც მომგებიანი ტენდენციაა

საქარტველოს ტურიზმისთვის რომ ამ მზარდ საბაზრო სეგმენტში საქართველოს ეკოტურისტულ მიმართულებებზე საჭიროა კიუდევ უფრო გაძლიერდეს მთავრობის მხარდაჭერა.

ამავე კვლევის ფარგლებში შესწავლილი იქნა კომპანია Action Trevel და ტუროპერატორთა ასოციაციის (ATOP) მიერ განხორციელებული კვლევა [14], რომლის მიზანი იყო რუსეთის გამყვანი ტურიზმის მოგზაურთა ქცევაში გამოწვეული ცვლილებების დადგენა პანდემიის ფონზე და შემდგომ პერიოდში ტრადიციულ საზღვარგარეთულ მიმართულებებზე ინტერესის აღდგენის პროგნოზირება. რუსეთის ბაზარისადმი ჩვენი ინტერესი გამოწვეულია საქართველოს ტურისტულ ბაზარზე მისი მაღალი წილით (20%) და პანდემიამდელ პერიოდში ზრდის მაღალი ტემპით 22-23% [11].

რუსი ტურისტების ქცევებში ჩვენთვის, როგორც ტრადიციული მასპინძელი ქვეყნისათვის საყურადღებოა შემდეგი ტენდენციები:

- წინასწარი დაჯავშნების პერიოდის საშუალო მაჩვენებელი 60 დღიდან 21 დღემდე შემცირება„ აქტუალური გახდა ბოლო წუთის“ ჯავშნები [3]. ექსპერტების აზრით ტურისტულ ბაზარზე ეს ტენდენცია დიდი ხნით შენარჩუნდება, რამდენადაც ადამიანთა მეხსიერებაში მძიმე მოგონებად დარჩა ტურების გაუქმება და თანხის დაბრუნებასთან დაკავშირებული გაურკვევლობები. აღნიშნული გარემოება გვაფიქრებინებს, რომ, ამ ბაზარის სტიმულირებაზე ეფექტურად იმუშავებს საქართველოს მხრიდან „ცხელი შეთავაზებები“. მით უფრო, რომ სამუშაოს დაგაკარგვის და შემოსავლების შემცირების შედეგად გაზრდილია მომხმარებლის ფასზე მგრძნობელობა. რუსეთის ბაზარზე მომხმარებლების მიერ ყველაზე პოპულარული საზაფხულო მიმართულებად დასახელებულია თურქეთი, სადაც ფასები მხოლოდ 10 %-ით არის გაზრდილი. სხვა, მათთვის ტრადიციულ ტურისტულ ბაზრებზე ფასები მნიშვნელოვნადაა გაზრდილი[14].

- რუსი მოგზაურებისათვის ნაკლებ წინააღმდეგობას წარმოადგენს მასპინძელ ქვეყანაში აუცი-ლებელი ტესტირება, მაგრამ მიუღებელია სავალდებულო კარანტინის გავლა მასპინძელ ქვეყანაში.

- გაზრდილია სანიტარიისა და უსაფრთხოების მიმართულებით მოთხოვნილება. მოთხოვნის გამძაფრებამ სისუფთავესთან დაკავშირებით გაზარდა მოთხოვნა 4 და 5 ვარსკვლავიან სასტუმროებზე [14].

- შემცირებულია მაღალშემოსავლიანი სეგმენტის მოთხოვნა რუსეთის ტრადიციულ ეგზოტიკურ ტურებზე[14].

- გაზრდილია ტუროპერატორების გვერდის ავლით ტურების დამოუკიდებლად დაგეგმვა და ონლაინ დაჯავშნები. აღნიშნული გარემოება მასპინძელი ქვეყნების მარკეტინგულ სტრატეგიებში აქტიურ რეკლამირებას და საინფორმაციო საშუალებებში, მათ შორის მედიაში გააქტიურებას ითხოვს.

- შეცვლილია მოგზაურთა ასაკობრივი კატეგორიაც. ტურისთთა კატეგორია 55+ შემცირდა 60%-ით, 2021 წლისათვის გამყვან ტურიზმში საშუალო ასაკი შეადგენს 30-50 წელს, გაზარდილია მოგზურობის მსურველი ბავშვიანი ოჯახების რაოდენობა.

- გაზრდილია სურვილი არასეზონურ პერიოდში მოგზაურობაზე [14].

შეზღუდვები მასობრივ აქტიურობაზე, სასტუმროებში შვედური მაგიდის დახურვა, ან საკვების მიღების ახალი წესები, რუსი ტურისტებისათვის არ წარმოადგენს მოგზაურობაზე უარის თქმის საფუძველს.

რუსი ტურისტებისა და ტუროპერატორების მიერ საქართველოში გამომგზავრებაზე ძირითად ხელშემშლელ ფაქტორად დასახელებულია პირდაპირი ავიარეისების არ არსებობა. აღნიშნული გარემოება და ზემოთ აღნიშნული სხვა ნიშანდობლივი ტენდენციები მომხმარებელთა ქცევებში ითხოვს დროულ რეაგირებას საქართველოს ტურიზმის პოლიტიკის გამტარებლებისგან.

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომის კვლევის ფარგლებში გამოვლენილი იქნა საქართველოს ძირითადი ტურისტული სეგმენტებში პანდემიით გამოწვეული მომხმარებლის ქცევის ზოგადი ტენდენციები როგორიცაა:

- მომხმარებლის ახალი პორტრეტის მიერ ხალმრავალ დესტინაციებიდან თავის არიდება და

ახალი, უფრო უსაფრთხო და ეკოლოგიურად სუფთა ალტერნატივების ძიება, რაც მასობრივი ტურიზმის დასასრულად შეიძლება მივიჩნიოთ.

- ფასების მიმართ მგრძნობელობის მომატება, ფულის ხარჯვის და მოგზაურობის დაგეგმვის ახალი სტრატეგიები;

- დიდი სურვილი და მზაობა შემზღუდავი მკაცრი რეგულაციების მოხსნისთანავე კვლავ იმოგზაურონ, რაც ტურიზმის სწრაფი აღდგენის დამაიმედებელი პროგნოზის საშუალებას იძლევა.

გამძაფრებული ყურადღება სანიტარიისა და ჯანდაცვის საკითხებისადმი ტურისტულ ორგანიზაციებს ავალდებულებს გააუმჯობესონ სანიტარული პირობები, ხოლო ტურიზმის სახელმწიფო პოლიტიკის მმართველებს იზრუნონ უსაფრთხო ქვეყნის იმიჯის შექმნასა და მის პოპულარიზაციაზე.

გამოკვეთილი ცვლილებები შეიძლება განხილული იქნეს, ტურიზმში მომხმარებელთა ქცევის პრაქტიკის ცვლილებად, რომელიც თავის შედეგებით ბევრ ახალ ტურისტულ მიმართულებას მისცემს განვითარების საშუალებას. აღნიშნული ცვლილება შეიძლება ეფექტურად იქნეს გამოყენებული მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყნების მიერ, სადაც ხშირ შემთხვევაში არის პოტენციალი უპასუხოს მზარდ მოთხოვნებს ეკოტურისტულ მიმართულებებზე [5]. ამასთან, საყურადღებოა ის პრაქტიკა, რაც არაერთ ქვეყანაში გამოავლინდა, რომ წარმატების საფუძველი მაინც არის არა იმდენად რესურსების არსებობა, რამდენად მისი ოპტიმალური გამოყენება ინოვაციური მართვის მეთოდების გამოყენებით[6].

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Andrades, L., Dimanche, F., & Ilkevich, S. (2015). Chapter 4: Tourist behaviour and trends In book: Tourism in Russia: A management handbook: Emerald Editors.
2. Bronner, F., & De Hoog, R. (2016). Crisis resistance of tourist demand: The importance of quality of life. Journal of TravelResearch, 55(2), 190–204.
3. Hystad, P. W., & Keller, P. C. (2008). Towards a destination tourism disaster management framework: Long-term lessons from aforest fire disaster. Tourism Management, 29(1),151–162.
4. Katsitadze N. (2018) State Policy in Tourism – Business (MICE) Tourism in Georgia, "Economics and Business," vol. XI, #4, pp.127-145,
5. Katsitadze N. I.Natsvlishvili (2020). The Role of State Regulatios and Policy in Tourizm Development: The Case of Georgia Part of the Eurasian Studies in Business and Economics book series (EBES, volume 13/1
6. Mair, J., Ritchie, B. W., & Walters, G. (2016). Towards a research agenda for post-disaster and post-crisis recovery strategies for tourist destinations: A narrative review. Current Issues in Tourism, 19(1), 1–26.
7. Maslow, A. H. (1943). A theory of human motivation. Psychological Review, 50(4), 370
8. Nonprobability Sampling. (2008). In L. Given, The SAGE encyclopedia of qualitative research methods: SAGE Publications, Inc.Pegg, S., Patterson, I., & Gariddo, P. V. (2012).
9. Roberts, K. H., Madsen, P., & Desai, V. (2007). Organizational Sensemaking during Crisis. In: Pearson, C.M., Roux-Dufort, C.and Clair, J.A., Eds., International Handbook of Organizational Crisis Management (pp. 109-122).
10. Sönmez, S. F., & Graefe, A. R. (1998). Determining future travel behavior from past travel experience and perceptions of risk and safety. . Journal of Travel Research, 37(2), 171–177.
11. https://www.gnta.ge/ge ,საქართველოს ტურიზმის სტატისტიკური მიმოხილვა 2019
12. https://www.atorus.ru/ratings/analitic_mrch/new/55033.html
13. https://www.unwto.org/tourism-covid-19
14. https://www.oecd.org/coronavirus/en/

Changes in Consumer Behavior in the Tourism Market Caused by the Covid-19 Pandemic

Nana Katsitadze, Associate Professor of the TSU

Lela Kochlamazashvili, Professor of Technical University of Georgia

NatelaTushishvili, PhD student School of business and technology, DAUG.

Summary

Crisis leads to the creation of new views and demands in consumers. For the sustainable development of destinations, it is important to respond to changes in a timely manner. Therefore, tourism planners need to have predictive information about a new model of consumer behavior formed due to the Covid-19 crisis.

Because of the urgency of the issue, the paper studies and analyzes the researches conducted by scholars as well as national and international tourism organizations regarding consumer sentiments and forecast on changes in tourist behavior as a result of Covid-19. A sociological study conducted, conducted, using a sampling survey method, to study the tourism market in Georgia.

The study confirmed changes in consumer behavior in the following areas:

- As a result of pandemic-induced fears, consumers pay more attention to the level of the healthcare system and the quality of sanitation in destinations and hosting facilities;

- Due to the economic crisis they have become more price-sensitive, but not at the expense of comfort and sanitation.

- Refusal of mass tourism and travel to crowded destinations. An increased demand for a more Ecofriendly and Sustainable tourism is observed.

In addition, a desire of traveling to destinations far from one's home has revealed, which indicates rapid recovery of international tourism as soon as travel restrictions are lifted.

Keywords: Pandemic crisis, customer behavior, tourism

ტურიზმის ინდუსტრიის სისტემური მახასიათებლების მარკეტინგული ანალიზი

ლაზვიაშვილი ნინო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ოთხმეზური არჩილ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

თანამედროვე ეტაპზე ტურიზმი ეროვნული ეკონომიკის გაძლიერების მნიშვნელოვანი ფაქტორია, ამიტომ დღეს ყველა წამყვანი ქვეყანა აქტიურად ცდილობს მის განვითარებას. სტატისტიკური მონაცემებით, მსოფლიო ეკონომიკაში ტურიზმი ლიდერ პოზიციებზე დგას, რომელიც თავისი მასშტაბით, მხოლოდ ნავთობის მოპოვებასთან არის კონკურენციაში. აქედან გამომდინარე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ტურიზმი ეკონომიკის მსხვილი საექსპორტო დარგია. ამასთან, მისი განვითარებისთვის აუცილებელია მთელი რიგი კომპლექსური საკითხების გადაჭრა, როგორც ეკონომიკის დარგის სპეციალისტების, ასევე მენეჯმენტისა და მარკეტინგის სფეროს წარმომადგენელთა მიერ.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმი, ეკონომიკური კლასტერი, მენეჯმენტი, მარკეტინგული კავშირები, ინოვაციური პროცესები, ინტეგრაცია, იერარქია.

ძირითადი ტექსტი

ტურიზმი ერთგვარი ეკონომიკური კლასტერია, რაც თავის მხრივ, წარმოადგენს ეკონომიკურ სისტემათა ურთიერთდაკავშირებულ კომპლექსს, რომელიც მოიცავს საბაზო (რეგიონზე ორიენტირებულ) დარგს, მიმწოდებლის სფეროსა და პროდუქტის მომხმარებლის სფეროს. ამასთანავე, შესაბამისი აღჭურვილობისა და მომსახურების მწარმოებლებს, პირველ რიგში სამეცნიერო-საგანმანათლებლო და მაღალ ტექნოლოგიურ დარგებს.

კლასტერის საბაზო დარგის გამოყოფის კრიტერიუმს წარმოადგენს მისი

პროდუქციის წარმოების შესაძლებლობა, რომელიც კონკურენტუნარიანია მსოფლიო ბაზარზე. მთლიანობაში კლასტერი უნდა ფლობდეს შემდეგ განმასხვავებელ მახასიათებლებს:

- მისი წილი ბაზრის შესაბამის პროდუქციაში (ნაციონალური და
- მსოფლიო) აჭარბებს რეგიონის ეკონომიკური მაჩვენებლის (მრპ)
- საშუალო წილს ამ ბაზარზე. აქვე მოიაზრება მეცნიერება, პროფესიული განათლება, ტრანსპორტი, ლოგისტიკა და სხვა სახის მომსახურებები;
- კლასტერის პროდუქციის ზრდის ტემპი აჭარბებს მთლიანი
- რეგიონული პროდუქტის (მრპ) საშუალო ზრდის ტემპს;
- კლასტერის კონკურენტუნარიანობა დანახარჯების გათვალისწინებითა და პროდუქციის ხარისხით არ ჩამოუვარდება შესაბამის სექტორებს სხვა ქვეყნებსა თუ რეგიონებში;
- კლასტერში შემავალი დარგების მყარი თანამშრომლობა, აღნიშნულის საფუძველზე აგლომერაციული პროცესების ფორმულირება; კლასტერში შემავალ საწარმოთა შორის თანამედროვე ტექნოლოგიების საფუძველზე ინფორმაციული და მარკეტინგული კავშირების განვითარება; რეგიონთაშორისი ეკონომიკური ინტეგრაციის ჩარჩოებში ფასწარმოქმნისთვის საჭირო რგოლების ფორმირება; წარმოების საერთო სტანდარტების, მოწოდების და მართვის, კლასტერული ბრენდების აქტიური განვითარება.

კლასტერი, როგორც დარგთაშორისი საწარმოო კომპლექსი წარმოადგენს ეკონომიკის საშუალო რგოლს. უახლოეს წარსულში ეკონომისტთა უმრავლესობას ეროვნულ ეკონომიკაზე ორ-რგოლიანი წარმოდგენა ჰქონდა.[1] მიკროეკონომიკა შეისწავლის ფირმათა და შიდა-საწარმოო ურთიერთქმედებას,

[1] Gunn, C.A. *Vacationscape, Developing Tourist Areas*, Washington: Taylor & Francis. 1997

მოთხოვნისა და მიწოდების მექანიზმის ურთიერთქმედებას, რომელიც განსაზღვრავს საბაზრო თანასწორობას და ეკონომიკურ სუბიექტთა ქცევას. მაკროეკონომიკა აანალიზებს ეკონომიკური სისტემების ფუნქციონირებას მთლიანობაში, ეკონომიკური ზრდისა და ფინანსური სისტემის სტრუქტურას. ამასთანავე, შრომის ბაზარს, ურთიერთობას სახელწიფოსა და ბიზნეს-სუბიექტებს შორის. თუმცა, ეს დანაწევრება ბევრ საკითხში პირობითია, რადგან მაკროეკონომიკური ანალიზი შეუძლებელია კერძო სუბიექტების ქმედებისა და მოტივის შესწავლის გარეშე, ეს ქმედება კი შეუძლებელია აიხსნას მაკროეკონომიკური ინფლაციის პროცესისა და ინვესტიციათა აქტივობის ანალიზის გარეშე. ზოგიერთი ეკონომისტის აზრით, ამგვარი განაწილება მოძველებულია.

ეკონომიკური კლასტერის სისტემური თავისებურებების ანალიზისას, საჭიროა ასევე შევაფასოთ საერთო კანონების მოქმედების ხარისხი. უ.რ. ეშბის აზრით, კანონების მოქმედების ხარისხი პირდაპირ ვლინდება კლასტერის თვით

განვითარებისკენ სწრაფვაში.[1] კანონის არსი მდგომარეობს შემდეგში: ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც თავს გაართმევს პრობლემებს, გარკვეული ნაირსახეობის პირობებში. საერთო ეკონომიკური ფაქტორები, რომელიც ზეგავლენას ახდენს მიზანზე კლასტერის სფეროში, დაკავშირებულია ბაზრის კონიუნქტურასთან, გარკვეულ დარგებში მოგების დონესთან, ადგილობრივი საწარმოების ფინანსურ სტრუქტურებთან ინტეგრაციის ტენდენციებთან. შიდა ფაქტორები, როგორც წესი, ინიცირებულია გარკვეული საწარმოებისთვის.



ნახ. 1. მარკეტინგული მიდგომის კუთხით, ეკონომიკური კლასტერის სისტემური თვისებების დაჯგუფება

[1] Эшби У.Р. Введение в кибернетику. М.: Иностранная литература, 2006. ст. 254

იერარქიული მიზნების სტრუქტურაში, ზედონეზე მიზნის მიღწევა შეუძლებელია მთლიანად განპირობებული იყოს ქვემიზნების მიღწევით, მიუხედაცად იმისა, რომ მათზეა დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, გარე და შიდა ფაქტორები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ მიზნის ფორმირებაზე, საჭიროა გაანალიზდეს განხილული იერარქიის ყოველ დონეზე. ეკონომიკური კლასტერის ყველა სისტემური თვისება ბაზრის ზემოქმედებას არ განიცდის. მარკეტინგული მიდგომის კუთხით, მიზანშეწონილია ეკონომიკური კლასტერის სისტემური თვისებების შემდეგი დაჯგუფება (ნახ. 1).

ამრიგად, მაგალითად, ინტეგრაციულობის თვისება, რომელიც წარმოადგენს ეკონომიკური კლასტერის ერთ-ერთ ძირითად მახასიათებელს, შესამჩნევი ხარისხითაა დამოკიდებული მარკეტინგული ზემოქმედების ძალაზე. ცნობილია, რომ განვითარებად ეკონომიკურ კლასტერში კონცენტრირებულია საკმაოდ დიდი რაოდენობით საწარმოები, რაც განხილული კლასტერის კონკურენციულობის გაძლიერებას იწვევს. კონკურენტული ბრძოლა შეუძლებელია მიმდინარეობდეს გარკვეული მარკეტინგული სტრატეგიისა (მარკეტინგ-მიქსი) თუ ტაქტიკის (კლასტერის განვითარების ტაქტიკა) გამოყენების გარეშე.

დასკვნა

ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებისათვის ინოვაციური პროცესების მართვა, პრაქტიკაში დანერგვა წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ საკითხს ტურიზმის ეკონომიკაში. ინოვაცია კლასიფიცირდება ისეთი მაჩვენებლებით, როგორიცაა: პირველმომწოდებელი (ტურისტული მომსახურების მომხმარებელთა საჭიროებები, ინოვაციური იდეები), ინოვაციის გამოყენების სფერო (ტურისტული პროდუქტი, ტურისტული ინფრასტრუქტურა, პროცესების მართვა ტურიზმში, ტურიზმის რეკლამით მხარდაჭერა), ინოვაციის რევოლუციური ხარისხი (სრულყოფილება ანდა ისეთის შექმნა, რაც პრინციპულად ახალია), გამოყენების მასშტაბები (საერთაშორისო, ადგილობრივი, რეგიონული), სიძვირის ხარისხი (მაღალი დანახარჯით, დაბალბიუჯეტიანი). ინოვაციები ტურიზმის დარგში შეიძლება გავიგოთ, როგორც დადებითი ცვლილებებისკენ მიმართული ღონისძიებები. ტურიზმში ისე, როგორც არსად, მნიშვნელოვანია სხვადასხვა სტრუქტურათა სინერგიული ურთიერთკავშირი - ადგილობრივ სამთავრობო ორგანოებს, ქვეყნის ხელმძღვანელობას, ტურისტულ კომპანიებს, ტურისტულ ოპერატორებს, სასტუმროსა და კურორტთა მეპატრონეებს შორის. მხოლოდ კომპლექსური კოორდინირებული მოქმედებით არის შესაძლებელი დადებითი ეფექტის მიღწევა.

Marketing of systemic features of the tourism industry Analysis

Nino Lazviashvili, professor of Georgian Technical University

Archil Otkhmezuri, PhD student of Georgian Technical University

Summary

Managing innovative processes for the development of the tourism industry, putting them into practice is one of the main questions in the tourism economy. Innovation is classified by such indicators as the first provider (needs of tourism service users, innovative ideas), scope of application of innovation (tourism product, tourism infrastructure, process management in tourism, support for tourism advertising), revolutionary quality of innovation (perfection or creation of something fundamentally new), scale of application (international, local, regional), expensive quality (high cost, low budget). Innovations in the field of tourism can be understood as measures aimed at positive change. In tourism, as nowhere else, the synergistic relationship of different structures is important - Among local government bodies, country leadership, travel companies, tour operators, hotel and resort owners. Only complex coordinated actions can achieve a positive effect.

სასტუმროების დაპროექტებისას გასათვალისწინებელი ძირითადი საკითხები

მალანია ელისაბედ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ქვარაია ირაკლი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ქუთათელაძე ქეთევან
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი

თანამედროვე სასტუმროს მიზანია შექმნას კომფორტული გარემო ტურისტის განთავსებისა და ღამის გასათევად, ასევე უზრუნველყოს დამატებითი მომსახურება. ასეთი მოთხოვნების სრული გათვალისწინება შეუძლია სასტუმროს შენობას, რომელიც იქმნება იმ პირობით, რომ შესაძლებელი იქნება მისი სტუმრებისათვის მნიშვნელოვანი მომსახურების უზრუნველყოფა. სასტუმროს შენობა წარმოადგენს მრავალფუნქციურ ნაგებობას, რომელიც წარმოადგებს ტექნოლოგიურად აღჭურვილ ნაგებობას.

საკვანძო სიტყვები: დაპროექტება, დაფინანსება, ინვესტიცია, სასტუმრო. ტურისტი, მშენებლობა.

ძირითადი ტექსტი

სასტუმროს შენობის აგება ან რეკონსტრუქცია დიდ ინვესტიციებს მოითხოვს. სასტუმროს მშენებლობის საინვესტიციო ციკლი შეიძლება შემდგნაირად ჩამოყალიბდეს:

- საინვესტიციო პორტფელის ფორმირება;
- სასტუმროს შექმნის აუცილებლობის დასაბუთება;
- სამშენებლო ობიექტის საინჟინრო მომზადება;
- სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესრულება და ექსპლუატაციაში შეყვანა;
- ობიექტის განვითარება და ექსპლუატაციაში მიღება.
- საინვესტიციო პროექტები ხორციელდება ორ ეტაპად.

1. პირველი და ყველაზე რთული - ინვესტორების მოზიდვაა, რომლებსაც შეუძლიათ ინვესტიცია ჩადონ სასტუმროს შენობის მშენებლობაში. ამას მოსდევს სასტუმრო საწარმოს განთავსების კონცეფციის შემუშავება, სასტუმროს მშენებლობის ზონების და მონაწილეების განსაზღვრა. შესაძლო ქონებრივი პრობლემების დადგენა (საცხოვრებელი კორპუსების არსებობა, რომლებიც დანგრევას ექვემდებარება და საკუთარი მიწა). სამომავლოდ სასტუმრო კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიაზე ბიზნესის და კულტურული ცენტრების განვითარების შესაძლებლობა. მიწათსარგებლობის შესახებ ყველა დოკუმენტაციის მომზადება, მიწის გაყიდვის ან იჯარის შეზღუდვის დოკუმენტები (მესაკუთრეთა, მუნიციპალური დაწესებულებების არსებობა).

2. მეორე ეტაპი მოიცავს სასტუმროს წინა საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებას (სართულების რაოდენობა, ტევადობა, კონკურენტუნარიანობა, მოთხოვნები ინვესტორის მიმართ). ამის განსახორციელებლად აუცილებელია ურბანული დაგეგმარების კვლევების მომზადება:

- სასტუმროს სართულების რაოდენობისა და ტევადობის დაგეგმვა;
- სასტუმროს ეკონომიკური ეფექტურობის ანალიზი, ბიზნეს გეგმის შემუშავება
- სასტუმროს ანაზღაურების პერიოდის წინასწარი შეფასებით 7 წლამდე.
- დაინტერესებული ინვესტორი ყიდულობს მიწის იჯარის უფლებას ოფციონის ერთჯერადი გადახდის გზით. თუ შეუძლებელია მთლიანი თანხის გადახდა, იქმნება ერთობლივი საწარმო, ხოლო ქალაქის წილი შეესაბამება მიწის ნაკვეთის გარკვეული დროით იჯარით გაცემის უფლების გამოსყიდვის ღირებულებას.

სასტუმროების ქსელები არ რისკავენ ფინანსურ პროექტებში ინვესტიციების ჩადებას, მაგრამ

ყოველთვის ეძებენ პარტნიორების დაფინანსებას. სამწუხაროდ, სასტუმროების მშენებლობისთვის მომზადების პროცესში ჩნდება პრობლემები, რომლებიც სწრაფად და ეფექტურად უნდა გადაწყდეს.

სასტუმროები განსხვავდება არქიტექტურული თვალსაზრისით. თავდაპირველად სასტუმროს შენობა აშენებულ იქნა ცალკე განლაგებულად ან ასოცირებული იყო მიმდებარე საზოგადოებრივ და საცხოვრებელ შენობებთან. საუკეთესო დაგეგმვის გადაწყვეტილებების ხანგრძლივმა ძიებამ გამოიწვია სივრცული კომპოზიციის შექმნა, რომელიც სპეციალურად შექმნილია სასტუმროებში განხორციელებული საქმიანობისთვის.

ტურისტებისთვის ღამის გასათევი ადგილები განცალკევებულია იმ შენობებისგან, რომლებიც დაკავშირებულია ტურისტებისთვის სხვა სერვისების მიწოდებასთან. შესაბამისი ოთახები გამოყოფილია სხვადასხვა ფუნქციონალურ (არქიტექტურულ) ბლოკად.

მოთხოვნები სასტუმროების შენობებისა და ნაგებობების მიმართ:

სასტუმროს უნდა ჰქონდეს ნიშანი, რომლის დანახვა შესაძლებელია საკმაოდ შორი მანძილიდან (ემბლემით განათებული). მაგალითად, ჰელსინკის გარეუბანში მდებარე HAAGA სასტუმროს აქვს განათებული ნიშანი, რომლის დანახვა შესაძლებელია 2000 მ მანძილზე. სასტუმროს უნდა ჰქონდეს შესასვლელი სტუმრებისათვის, ცალკე შესასვლელი სადარბაზოდან კანოპით, რომელიც საშუალებას მისცემს მანქანიდან ან ავტობუსიდან ჩამოსულ სტუმრებს მივიდნენ ქარისა და წვიმისგან დაცულ ადგილას სასტუმროს წინ. რესტორანში შესასვლელი უნდა იყოს როგორც სასტუმროდან, ასევე ქუჩიდან. სავალდებულოა დაცული ავტოსადგომი (ან ავტოფარეხი). ადგილების რაოდენობა პროპორციულია სასტუმროს ოთახების რაოდენობისა - 10%, 20%, 30%, მოტელებისთვის - 80%. სასტუმროს დიზაინი მუშავდება მარეგულირებელი და საკონსულტაციო დოკუმენტების საფუძველზე. ამ დოკუმენტების შინაარსი იცვლება ქვეყნების და სასტუმროების ქსელის მიხედვით. სასტუმროს პროექტი არეგულირებს შენობის მოცულობის, მშენებლობის არეალის, მშენებლობის ღირებულების, მასალების, კონსტრუქციების, საინჟინრო აღჭურვილობის, კვების ობიექტების, ტურისტების დამატებითი მომსახურების მაჩვენებლებს. მითითებულია საწოლებისა და ოთახების რაოდენობა, აგრეთვე სხვადასხვა სიდიდის ოთახებში განთავსებული ადგილების თანაფარდობა. სასტუმროში საცხოვრებლის საჭიროებების დადგენა რთული პრობლემაა. მის გადასაჭრელად, საჭიროა შესაბამისი მეთოდების და იმ ფაქტორების ცოდნა, რომლებიც გავლენას ახდენენ სასტუმროს ადგილების მოთხოვნაზე, გასათვალისწინებელია აგრეთვე მოსალოდნელი მიწოდებისა და მოთხოვნის სამომავლო ცვლილებები. სასტუმრო ადგილების საჭიროება დამოკიდებულია ოთახების რაოდენობასა და ტევადობაზე, ტურისტების მიმზიდველობაზე, რეგიონში არსებული სასტუმროებით უზრუნველყოფასა და მათი დატვირთვის ხარისხზე, სასტუმროებში სტუმრების რაოდენობის ცვლილების არსებულ ტენდენციებზე. სასტუმროების ერთჯერადი შესაძლებლობების გაანგარიშების მნიშვნელოვანი ნიშნებია მოსახლეობის შემოსავლების დინამიკა, რეგიონის მნიშვნელობა, რეგიონული განვითარების თავისებურებები, ბიზნეს საქმიანობა, გასართობი და დასვენების ინდუსტრია და სატრანსპორტო სისტემა.

სასტუმროს ინტერიერს უნდა ჰქონდეს ესთეტიკური და მხატვრული ექსპრესიულობა და უნდა აკმაყოფილებდეს შენობის ფუნქციურ დანიშნულებას. ოთახების შიდა სივრცის აღჭურვის ექსპრესიულობის ამაღლების საშუალებას წარმოადგენს გამოყენებული მასალების მახასიათებლები - ფერადი და მსუბუქი გადაწყვეტილებები. სასტუმროების მშენებლობის დროს გამოიყენება 200 – ზე მეტი დასახელების მასალა. ბუნებრივი განათების სისტემებთან ერთად (ზედა, გვერდითი, შერეული), არსებობს ხელოვნური განათების სისტემა. სასტუმროს შენობის ტექნიკური მუშაობის დროს ტარდება პერიოდულად მისი ელემენტების შემოწმება (სარდაფები, კედლები, სახურავი და ა.შ.). აუცილებელია მომზადდეს შენობა სეზონური მუშაობისთვის, ასევე დროულად განხორციელდეს შენობის მიმდინარე და ძირითადი რემონტი, საინჟინრო მოწყობილობა. სტუმრების წარმატებით მოსაზიდად, ნებისმიერ დონეზე სასტუმროს უნდა ჰქონდეს საკუთარი კორპორატიული იდენტურობა.

კორპორატიული იდენტურობა განასხვავებს სასტუმროს მრავალი მსგავსი საწარმოსგან. მისი შექმნისას არ არსებობს წვრილმანები, ის ფაქტიურად გამოიხატება ყველაფერში: ბიზნესის მართვის სტილი; სასტუმროში და მის გარეთ თანამშრომელთა კომუნიკაციის სტილი; თანამშრომლების გარეგ-

ნობა; სასტუმროს წარდგენის ხერხი და მისი იერსახე; ინტერიერი, ფერები, განათება, ანუ ყველაფერი, რაც ქმნის სასტუმროს ინტერიერს და ანიჭებს მას უნიკალურ სახეს; მიმდინარე სარეკლამო კამპანია.

სასტუმროს შესასვლელთან უნდა განთავსდეს ნიშანი - სასტუმროს სახელწოდება. ასევე განათებული რეკლამა. ბეჭდურ რეკლამებს უნდა ჰქონდეს მხატვრული და ტექსტობრივი ექსპრესიულობა და განთავსდეს იმ ადგილებში, სადაც სტუმრები ყველაზე ხშირად იმყოფებიან: მისაღებში, სასტუმროს ფოიეში, დარბაზებში, ოთახებში. რეკლამის ეფექტური საშუალებაა: სასტუმროს ფერადი ბროშურები, ხელბარგის სტიკერები, რომლებიც ერთგვარი სუვენირებიც კი არის. თითოეულ ნომერში უნდა იყოს ბრენდის კონვერტი და ამ სასტუმროს ლოგოთი გამოსახული წერილების ქაღალდი. ბროშურები და სხვა ცნობები ყოველთვის უნდა იყოს ოთახში ცალკე შეფუთვაში. სასტუმროს კორპორატიული ლოგო შეესაბამება პირსახოცს, სააბაზანოს, ტუალეტის საპონს, შამპუნს და კრემს. სასტუმროებში, რომლებიც თავიანთ იმიჯზე ზრუნავენ, ზემოთქმულის გარდა, აქვთ ასევე სატელევიზიო რეკლამაც. მაგალითად, HAAGA სასტუმროში (ჰელსინკი), ოთახის კარის გაღებისთანავე ირთვება ტელევიზორის ეკრანი სასტუმროს მომსახურების რეკლამით, მათი მდებარეობით, საჭირო საკონტაქტო ნომრებით, ასევე ინფორმაციით ქალაქის შესახებ, ღირშესანიშნაობებით, რომელთა დათვალიერებაც არის შესაძლებელი. მთელი ეს ინფორმაცია მოცემულია ინგლისურ და სტუმრის მშობლიურ ენაზე, რაც საშუალებას აძლევს სტუმარს ნამდვილად იგრძნოს მაღალი ხარისხის მომსახურება ოთახში ყოფნის პირველი წუთიდან.

საოფისე და საყოფაცხოვრებო შენობა: ტექნიკური ოთახები (სასტუმროს ფუნქციონირების უზრუნველყოფის სისტემები). ლობის ჯგუფი სასტუმროს ერთ-ერთი კრიტიკული ნაწილია. იგი ორიენტირებულია სტუმრების შეხვედრასა და სასტუმროდან გასვლაზე, ის ახორციელებს ზოგიერთი სამუშაოს განაწილებისა და გადანაწილების ფუნქციას. შესასვლელი სივრცე დაყოფილია ზონებად შემდეგნაირად: კიბის და ლიფტის არეალი, სასტუმროს მთავარი შესასვლელი ტერიტორია, სტუმრების მისაღები, სტუმრების დასასვენებლი, მაცხოვრებლების დამატებითი მომსახურებით უზრუნველყოფის სივრცე. ზონების წარმატებული ადგილმდებარეობა ხელს უწყობს კლიენტთა ნაკადების კომფორტულ გადაადგილებას. თითოეულ ზონაში განთავსებული მოწყობილობა უნდა იყოს საჭირო რაოდენობით. შესასვლელის ინტერიერი სასტუმროს მთავარი ნიშანია.

სასტუმროს საცხოვრებელი ნაწილი მოიცავს სტუმრების (ოთახების) განსახლებას და ოთახებში ნორმალური ფუნქციონირებისა და სისუფთავის შენარჩუნებას. რესტორნებში, ბარებში, კაფეებსა და საზოგადოებრივი კვების სხვა დაწესებულებებში სტუმრებს საკვების მიღებასთან ერთად, გართობა და ურთიერთობა შეუძლიათ. გასართობი მიზნებისათვის შენობებში განთავსებულია: საკონცერტო, საბანკეტო და საცეკვაო დარბაზები. სპორტული ობიექტები წარმოდგენილია: საცურაო აუზით, სპორტული (ფიტნეს) დარბაზებით, ბოულინგის დარბაზით და ა.შ. შეხვედრების ადგილი მოიცავს სხვადასხვა საკონფერენციო დარბაზებს, ბიზნეს და საბანკო ოპერაციების ოთახებს, საგამოფენო დარბაზებს. კომერციული და სამომხმარებლო მომსახურების ჯგუფში მომხმარებლებს მომსახურებას უწევენ კომერციული საწარმოები, სილამაზის სალონები, ქიმწმენდა, ფოტოგრაფია, ატელიეები და ა.შ. სასტუმროს მომსახურებისა და კომუნალური ოთახები უზრუნველყოფს სამუშაო პირობებს: ყოველდღიური ცხოვრება, პერსონალის საკვები, საყოფაცხოვრებო და დამხმარე საჭიროებების ჩათვლით. ტექნიკურ ოთახებში არის პერსონალი, რომელიც აკონტროლებს კონდიცირებისა და ტექნიკის მუშაობას, ნაგვის ცენტრალიზებულ განკარგვას, ტელეფონის, სიგნალიზაციის და სასტუმროს სხვა სიცოცხლის შემანარჩუნებელ სისტემებს. ცალკეული ჯგუფების შემადგენლობა და ფართობი განსხვავებულია და დამოკიდებულია სასტუმროს ტიპზე, საექსპლუატაციო პირობებსა და მის სიმძლავრეზე. სასტუმროს ფუნქციონალური არე ასევე არის სასტუმროს შენობის მიმდებარე ტერიტორია. ის უზრუნველყოფს კლიენტებისა და სასტუმროს პერსონალის იზოლირებას გარე ფაქტორებიდან (ხმაური, ჰაერის დაბინძურება, ჭუჭყი და ა.შ.). ამ თვალსაზრისით, სასტუმროს ადგილმდებარეობა სატრანსპორტო კვანძებთან მიმართებაში, მნიშვნელოვანია შენობის შესაბამისი სარეკლამო დიზაინი. სასტუმროს მახლობლად არის დასასვენებელი ადგილები, მანქანების პარკინგი და გაჩერება. პერსპექტიულია სასტუმროს ტერიტორიის მიწისქვეშა სივრცის გამოყენება. სასტუმროს ოთახებს შორის კავშირების ფუნქციური დიაგრამების

შემუშავება ხელს უწყობს ტექნოლოგიური კავშირებისა და მასალების ნაკადის რაციონალიზაციას. სასტუმრო სსაცხოვრებელი ნაწილი მოიცავს: ნომრებს; ჰორიზონტალურ კომუნიკაციებს (დერეფნები); მისაღებ ოთახებს; კიბის და ლიფტის სივრცეებს; მორიგე პერსონალის შენობას.

მრავალსართულიანი სასტუმროს საცხოვრებელ სართულზე შეიძლება იყოს ერთი ან რამდენიმე დერეფანი. საცხოვრებელი ფართის განაწილება ოთახებსა და სხვა შენობებს შორის ძალიან განსხვავდება სასტუმროებისთვის: ოთახების წილი 54-70% -ს შეადგენს. დერეფნებზე - საცხოვრებელი ფართის 13-დან 22% -ზემეტი. სასტუმრო ოთახს მრავალფუნქციური დანიშნულება აქვს. ის უზრუნველყოფს ღამისთევას, არის დასვენების, კვებისა და პირადი ჰიგიენის ადგილი.

დასკვნა

სასტუმროს შენობების დაპროექტების და მშენებლობისას გასათვალისწინებელი ძირითადი პრინციპებია: შენობა (ან შენობების კომპლექსი) ორგანულად უნდა ერწყმოდეს გარემოს; გათვალისწნებული უნდა იყოს ურბანული ან სოფლის ლანდშაფტის მახასიათებლები; აუცილებელია ბუნებრივი და კლიმატური ფაქტორების გათვალისწინება (ტემპერატურა და ტენიანობა, ნალექები, ინსოლაცია, ქარის სიჩქარე და მიმართულება და ა.შ.); შენობის საინჟინრო, არქიტექტურული, კონსტრუქციული და გეგმარებითი გადაწყვეტილებები არ უნდა იყოს ზედმეტად ძვირი; შენობის განლაგებამ უნდა უზრუნველყოს მისი მუშაობის მოხერხებულობა; შენობის დაპროექტებისას სარეკლამო მოსაზრებები გარკვეულ როლს ასრულებს: ფასადის დიზაინის უზრუნველყოფა, რომელიც ხაზს უსვამს სასტუმროს პრესტიჟულობას; სასტუმროს ადგილმდებარეობა; შენობის დაგეგმვამ უნდა უზრუნველყოს მომსახურების რაციონალური ორგანიზება და მოსახლეობისთვის შესაბამისი კომფორტი, ფუნქციური მოთხოვნების შესაბამისად. შენობა უნდა იყოს ესთეტიკური და ტექნიკურად გამართული; დაცული უნდა იყოს სანიტარული, ჰიგიენური და გარემოსდაცვითი სტანდარტები; გათვალისწინებული უნდა იყოს შენობის რეკონსტრუქციის შესაძლებლობა.

აუცილებელია შენობის პროექტირების და მშენებლობის პროცესის ეკონომიური პირობების დაცვა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Chechelashvili M, Rostiashvili T, Soselia M, Berikashvili L, Malania E, “Regional Innovative Investment System Structural Qualities”, American Scientific Journal N 31, 90 st. – Elmhurst AV, Queens, NY, United States; November 2019
2. ი.ქვარაია, ქ.ქუთათელაძე, ე.მალანია. საქართველოში სამშენებლო ინვესტიციების განხორციელების დროს გასათვალისწინებელი ზოგიერთი საკითხები. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული. #4, Tbilisi, 2012

Key Issues for Hotel Designing

Elisabed Malania, Associate Professor of Georgian Technical University

Irakli Kvaraia, Professor of Georgian Technical University

Ketevan Kutateladze, Professor of Georgian Technical University

Summary

The basic principles to be considered in the design and construction of hotel buildings are: the building (or complex of buildings) must organically merged with environment; Urban or rural landscape features should be considered; It is necessary to take into account natural and climatic factors (temperature and humidity, precipitation, insolation, wind speed and direction, etc.); The engineering, architectural, construction and planning solutions of the building should not be too expensive; The layout of the building should ensure the convenience of its operation; Advertising considerations play a role in the design of the building: ensuring the design of the facade, which emphasize the prestige of the hotel, hotel location, planning of the building should ensure the rational organization of services and appropriate comfort for the population, in accordance with the functional requirements. The building must be aesthetically and technically sound; sanitary, hygienic and environmental standards must be observed; The possibility of reconstruction of the building should be considered.

კოვიდ-19-ის გავლენა ტურიზმზე

მამფორია ნანი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ლეთანძე ნინო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მოწვეული ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

პანდემიამ მთელი მსოფლიოს პარალიზება მოახდინა. იგი ეკონომიკის ყველა დარგს შეეხო. მაგრამ ყველაზე დიდი დარტყმა მან ტურიზმს მიაყენა თავისი გამოჩენის პირველივე დღიდან. შექმნილია ეკონომიკური კოლაფსი, რაც ნიშნავს, რომ დარგის აღდგენას ჩვეულებრივზე შედარებით მეტი დრო დასჭირდება.

COVID-19- ის გავრცელება მნიშვნელოვანი გამოწვევაა არა მარტო ჯანდაცვის მიმართულებით, არამედ მან მოიცვა ჩვენი ცხოვრების ყველა სოციალური და ეკონომიკური ასპექტი. ვირუსი, რომელიც თავდაპირველად ჩინეთის ქალაქ უხანში, 2019 წლის დეკემბერში დაფიქსირდა, სწრაფად გავრცელდა მსოფლიოს მასშტაბით. 2020 წლის 30 იანვარს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ კორონავირუსის 2019-2020 წლის ეპიდემია საზოგადოებრივი ჯანდაცვის საერთაშორისო საფრთხედ გამოაცხადა, 11 მარტს კი პანდემიად. პანდემიის შედეგად მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა ეკონომიკის თითქმის ყველა სექტორს, მათ შორის ყველაზე მძიმედ ტურიზმის სექტორი დაზიანდა, ყველა იმ სფეროს ჩათვლით, რომელიც ერთიანობაში ამ ინდუსტრიას ქმნის.

საკვანძო სიტყვები: ექსპორტი, ტურიზმის სექტორი, პანდემია, შემოსავლები, კრიზისი, კორონავირუსი.

ძირითადი ტექსტი

კორონავირუსის აფეთქებამ და მსოფლიო პანდემიამ წარმოუდგენელი ზარალი მიაყენა გლობალურ ეკონომიკას და არც საქართველოა გამონაკლისი. ტურიზმი – ეს იმ თითზე ჩამოსათვლელი მიმართულებებიდან ერთ-ერთი მოწინავე დარგია, რომელზეც იდგა ქვეყნის ეკონომიკა. როდესაც ვირუსმა გადადგა გავრცელების პირველი ნაბიჯები ჩინეთში, ვერავინ წარმოიდგენდა თუ მიაღწევდა ამხელა მასშტაბებს.

მსოფლიო ეკონომიკამ რამდენიმე წლით უკან დაიწია და არავინ იცის, ხვალ რა იქნება, თუმცა პანდემიის გადავლის შემდეგ, შესაძლოა მოგზაურობას მოწყურებულმა ხალხმა, სწორედ ევროპისკენ და საქართველოსკენ აიღოს გეზი. თუმცაღა, ვიდრე აღნიშნული ვირუსის რისკი გლობალური ხედვიდან არ გაქრება, რაც უნდა ვთქვათ, რომ საქართველოში უსაფრთხოა, ტურისტები მაინც თავს შეიკავებენ მოგზაურობისგან.

აღსანიშნავია ის გარემობა, საქართველოში იგეგმებოდა არაერთი საერთაშორისო ბრენდის სასტუმროს გახსნა, რაც შეჩერებულია. დაიკეტა სასტუმროები, კაფეები, ბარები და რესტორნები. ბიზნესისთვის ყველაზე მტკივნეულია თანამშრომლების დაკარგვა და მათი შინ გაშვება.

საქართველოში ტურიზმის სექტორი აკეთებდა გარკვეულ გათვლებს ჩინეთიდან ტურისტების მოზიდვასთან დაკავშირებით და სასტუმროების ბიუჯეტის ნაწილი იყო დაფუძნებული ამ მიმართულების გააქტიურებაზე. ჩინელი ტურისტები საკმაოდ სასურველი და კომფორტულია ჩვენი ქვეყნისთვის, რადგან მათ არა აქვთ რაიმე სახის სპეციფიკური მოთხოვნები კვებასთან მიმართებაში, როგორიცაა ქოშერული და ჰალალის ტიპი. ამასთან, უყვართ ჯგუფურად მოგზაურობა და არიან მაღალმხარჯველუნარიანი ტურისტები.

ჩინეთში კორონავირუსის გავრცელებიდან მოკლე პერიოდში გაგვიუქმდა ჩინეთიდან რეზერვაციების ჯერ 20%, შემდეგ 30% და ასე მოხდა სრულად ყველა ჯავშნის მოხსნა თებერვლის, მარტისა და აპრილის თვეებზე. არავინ ელოდა მსგავს გავრცელებას და იმ იმედით, რომ ჩინეთში სიტუაცია გამოსწორდებოდა და ჯავშნები აღდგებოდა, შევეჯახეთ უკიდურესად მძიმე ფაქტს, რასაც

მსოფლიო პანდემია ეწოდა. როგორც კი საქართველოში დაფიქსირდა კორონავირუსით ინფიცირების პირველი შემთხვევა, (2019 წლის 26 თებერვალი) მაშინვე დაიწყო ყველა ქვეყნიდან რეზერვაციების ისტერიული გაუქმებები. ამ ეტაპზე გაუქმებულია აბსოლუტურად ყველა ჯავშანი. თავდაპირველად, დიდი დარტყმა მიიღეს მცირე და საშუალო სასტუმროებმა, შემდეგ კი განურჩევლად ყველა ერთ დღეში ჩავარდა. თანხობრივი ზარალი ექვსციფრიან ნიშნულზე ტრიალებს. ოთახების აქციები სულ რომ უფასო გამოცხადდეს, მაინც ვერავინ ჩამოვა ქვეყანაში, რადგან დაბალი ტარიფი ვერასდროს გადაწონის ჯანმრთელობის რისკს და უარყოფითად აისახება სამომავლო პერსპექტივებზე.

უბრალოდ, რომ წარმოვიდგინოთ, საქართველოში წლის განმავლობაში ჩინელი ტურისტების 0.5%-ის მასპინძლობა 3 წლის ჭრილში, დაახლოებით 750 000 ტურისტს მოუმატებდა ქვეყნის ტრაფიკს, ხოლო თითოეულ მათგანს საშუალოდ $1000 რომ დაეხარჯა, ეს იქნებოდა სერიოზული ნაბიჯი საქართველოს ეკონომიკისთვის.

ეპიდაფეთქების შემდეგ პირველი დარტყმა ავიაციის სექტორის წარმომადგენლებმა მიიღეს. ეს ეხება როგორც ავიაკომპანიებს, ასევე თვითმფრინავების მწარმოებლებს. მიზეზი, რაღა თქმა უნდა, შეჩერებული ფრენები გახდა. საავიაციო კომპანიების უმეტესობამ ფრენები თითქმის შეაჩერა. მათ შორის არიან Wizz air, Ryanair, Lufthansa, Airbaltic, და სხვა. შეჩერებული ფრენები, რა თქმა უნდა, აისახა მათი ფასიანი ქაღალდების ღირებულებაზე. მაგალითად, ავიაკომპანია Ryinair-ისა და Lufthansa-ს აქციების ფასი ბოლო ერთი თვის განმავლობაში 56%-ით შემცირდა; საერთაშორისო საჰაერო სატრანსპორტო ორგანიზაციის მიხედვით, ავიაციის სექტორში მოსალოდნელი ზარალი 63-დან 113 მილიარდ დოლარამდეა მოსალოდნელი. გააჩნია ვითარება რამდენად მალე დასტაბილურდება.

ეპიდემიის გავრცელებამ მძიმე ხელშესახები შედეგები მოუტანა დასაქმების სფეროს. მსოფლიოში, ყოველი მე-10 ადამიანი ტურიზმის სექტორშია დასაქმებული, რომელთაც არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით მოუწიათ სამსახურებიდან წამოსვლა, ან დროებით უმუშევრად დარჩენა; ადამიანებს მოუწევთ საკმაოდ მძიმე მენტალური ბარიერების გადალახვა, რომ კვლავ იმოგზაურონ იმ ქვეყნებში, რომლებშიც სულ ცოტა ხნის წინ ეპიდაფეთქება მძლავრობდა.

კორონავირუსმა გავლენა იქონია სპორტზეც. ბევრმა პროფესიონალურმა და სამოყვარულო ლიგამ, ყველა კონტინენტსა და სპორტში, გადაიდო ან შეაჩერა სეზონები, რათა თავიდან აეცილებინა დიდი რაოდენობით ხალხის შეკრება.

არსებულმა მძიმე მოცემულობამ მნიშვნელოვნად იმოქმედა მცირე და საშუალო საწარმოებზე, რომლებიც ტურიზმის სექტორის 80%-ზე მეტს შეადგენენ; ეს შეეხო მილიონობით ადამიანს მსოფლიოში, მათ შორის მოწყვლად ჯგუფებს, რომლებიც დამოკიდებულები არიან უცხოელ ვიზიტორებზე, საკუთარ რეგიონში ქმნიან განვითარებად და ინკლუზიურ ეკონომიკას; მნიშვნელოვანი ზარალი განიცადეს ტურ- ოპერატორებმა, სასტუმროებმა, რესტორნებმა და კაფე-ბარებმა, სატრანსპორტო და საექსკურსიო კომპანიებმა, ასევე სხვადასხვა სახის მომსახურების ცენტრებმა და სავაჭრო ობიექტებმა; სამართლიანობისათვის უნდა აღინიშნოს, რომ ერთი შეხედვით არატურისტულმა ობიექტებმაც საკმაოდ მძიმე დარტყმა მიიღეს, როგორებიცაა: საცურაო აუზები, სილამაზის სალონები, სპორტული დარბაზები და სხვა.

რეგიონებში ზოგიერთი სასტუმრო გადავიდა საკარანტინო რეჟიმზე, რაც მათ ბიზნესს დროებით მაინც შეუნარჩუნებს სიცოცხლეს. სწორედ ეს არის ერთ-ერთი სწრაფი, მაგრამ დროებითი გამოსავალი. თუ ვირუსის გავრცელება არ შეჩერდა და კიდევ გაგრძელდა, ეს ბოლომდე გაანადგურებს მსოფლიო ტურიზმს. უშუალოდ რაიმე გეგმა, რომელიც სწრაფ რეჟიმში გამოგიყვანს ამ კრიზისიდან, ფაქტობრივად არ არსებობს. ერთადერთი გამოსავალი ვირუსის ძალების შესუსტება და ეტაპობრივად ტურისტების მიმოსვლის დაწყებაა. პანდემია, გარდა ქვეყნების საზღვრების ჩაკეტვისა, ასევე გახდა ინფლაციური პროცესების ზრდის და ფინანსური დანაზოგების მნიშვნელოვნად შემცირების მიზეზი. ეს ნიშნავს, რომ საზღვრების გახსნის შემთხვევაშიც კი ადამიანებს არ ექნებათ მოგზაურობისათვის საჭირო ფინანსური შესაძლებლობა. როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, არსებობს იმის საშიშროება, რომ ტურიზმი მხოლოდ მდიდრებისათვის გახდეს ხელმისაწვდომი. საშუალო ფენა კი იაფი ტურების მოძებნას დაიწყებს, რითაც იხსნება ტურიზმის ახალი შესაძლებლობები.

ტურიზმის ამოქმედებაში საქართველოს მთავრობას არაერთი საერთაშორისო ორგანიზაცია უწევს დახმარებას. მათ შორის დიდი წილი USAID ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამაზე მოდის, რომელიც არაერთ ფართომასშტაბიან დახმარებას სთავაზობს ტურიზმის სექტორს, განსაკუთრებით გასტრონომიული, კულტურული, სამთო/სათავგადასავლო ტურიზმის მიმართულებით. ეს დახმარება რამდენიმე მიმართულებას მოიცავს.

USAID სახელმწიფო და კერძო სექტორს, ასევე ბიზნეს ასოციაციებს, ტურიზმის სფეროს გაძლიერებისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით ეხმარება სტრატეგიის შემუშავებაში, იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს ტურიზმის 2025 წლის განახლებული სამოქმედო გეგმის განხორციელება.

ინვესტირება და საგრანტო პროგრამები, მარკეტინგი, საერთაშორისო აუდიტორიისთვის მიმ-ზიდველი მესიჯების შემუშავებაში მხარდაჭერა, ტურიზმის სფეროში დასაქმებულების უნარჩვევე-ბის ამაღლება, ტურისტული

პროდუქტის ხარისხის გაუმჯობესება. ყველა ეს მიმართულება ერთი მხრივ COVID-19-ის შედეგად დაზარალებული ტურიზმის სექტორის აღდგენას, დამატებითი სამუშაო ადგილების და შემოსავლის შექმნას, ასევე, საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე ქვეყნის სწორად პოზიციონირებას შეუწყობს ხელს.

კორონავირუსის პანდემია მთლიანად შეცვლის ტურისტულ სექტორს. ხალხი უცებ არ დაიწყებს მასიურად მოგზაურობას უცხოეთში, ექსპერტების აზრით, კრიზისიდან გამოსვლას ქვეყნები ეტაპობრივად დაიწყებენ (სრულ აღდგენას კი შეიძლება წლები დასჭირდეს). საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ პანდემიის შემდგომ მსოფლიოში ტურისტების გადაადგილების რაოდენობრივი ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად ჩამორჩება სექტორის ფინანსური მაჩვენებლების ზრდის ტემპს. გამოცოცხლება შიდა ტურიზმით დაიწყება, ე.ი. ტურისტები იმოგზაურებენ ქვეყნის საზღვრებს შიგნით.

ძნელი გამოსათვლელი არ არის ისიც, რომ უფრო წინ წამოიწევა ტურიზმის ეკოლოგიური სახეობები - არა დახურულ სივრცეში (მუზეუმები, გამოფენები, მჭიდროდ დასახლებული ქალაქები), არამედ სუფთა ჰაერზე, ღია ცის ქვეშ. ამასთან დაკავშირებით კიდევ უფრო პოპულარული გახდება ადრე აქტიური ისეთი ტურიზმის ფორმები, როგორიცაა - კემპინგები, კარვები, „ველური“ დასვენება პლაჟზე და ზღვის სანაპიროებზე, აგროტურიზმი, ეკოტურიზმი და ა.შ.

უდავოდ გაიზრდება ტურისტების მოთხოვნა უსაფრთხოებაზე, სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ მდგომარეობაზე. პრიორიტეტი იქნება სისუფთავე, მოგზაურისთვის საჭირო იქნება პირბადე, ხელების ხშირი დაბანა, ანტიბაქტერიული ხელსახოცების და ხსნარების შეძენა-მომარაგება მოგზაურობის მთელ მარშრუტზე.

დასკვნა

ფაქტია, რომ კორონავირუსის პანდემია მსოფლიო ეკონომიკაზე დიდ გავლენას იქონიებს. თუმცა, იქედან გამომდინარე, რომ მსოფლიოში არსებული მდგომარეობა ყოველდღიურად იცვლება, ამ ეტაპისთვის რთული განსასაზღვრია აღნიშნული გავლენის მასშტაბები. კორონავირუსის პანდემიის ეფექტს, ხშირად მესამე მსოფლიო ომსაც კი ადარებენ და ვირუსის აღმოფხვრისთანავე, მსოფლიოს ნომერ პირველ გამოწვევად არსებული ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება გახდება. როგორც ეკონომისტები პროგნოზირებენ, დიდია ალბათობა იმისა, რომ კორონავირუსი მსოფლიოს ეკონომიკას რეცესიამდე მიიყვანს.

რაც შეეხება ეკონომიკის დარგებს, ანალიტიკოსების ვარაუდით, კორონავირუსის პანდემია გავლენას იქონიებს ეკონომიკის ყველა სექტორზე. თუმცა, ზოგ მათგანზე ექნება მეტი უარყოფითი გავლენა, ზოგზე კი ნაკლები. მონაცემთა პლატფორმის statista.com-ის თანახმად, ორი სექტორი, რომელიც ყველაზე მეტად დაზარალდება კორონავირუსისგან არის ტურიზმისა და ტრანსპორტირების სექტორი და გადამამუშავებელი მრეწველობის სექტორი. გარდა აღნიშნული სექტორებისა, ვირუსის გავლენა თვალშისაცემია ისეთ სექტორებზეც, როგორიცაა: საფინანსო სექტორი, საცალო ვაჭრობა, გართობა და დასვენება.

იმედი ვიქონიოთ, რომ ვირუსის დამარცხების შემდეგ, მსოფლიო სწრაფად მოახერხებს ჩვეულ რეჟიმში დაბრუნებას. სწორედ ამიტომ, ვითარების განმუხტვის შემდეგ, ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაცია იმ ქვეყნებს, რომლებმაც ყველაზე დიდი დარტყმა მიიღეს, სთავაზობს ფინანსურ და პოლიტიკურ მხარდაჭერას იმ ღონისძიებებისათვის, რაც სტაბილურობის განმტკიცებას შეუწყობს ხელს. ამასთან ერთად, დაეხმარება საერთაშორისო განვითარებისა და დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობასა და კოორდინაციაში, ასევე ეკონომიკის აღდგენის გეგმის შემუშავებასა და განხორციელებაში. ერთობლივი ძალისხმევით კი აუცილებლად მოხდება არსებული ფონის დასტაბილურება და მსოფლიო ეკონომიკის საკუთარ რელსებზე დაბრუნება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კორონავირუსის გავლენა მსოფლიო და ქართულ ტურიზმზე. https://sector3.ge/Libraries/Download/381
2. https://www.throughthenews.com/ka/stories/turizmi-koronavirusis-dros
3. http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/136006/კორონავირუსის შესაძლო გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე
4. https://www.entrepreneur.com/article/348642
5. https://www.geostat.ge/

The Impact of Covid-19 on Tourism

Nani Mamporia, Associate Professor Georgian Technical University

Nino Letandze, Invited Associate Professor Georgian Technical University

Summary

The pandemic has, of course, paralyzed the entire world. It covered all sectors of the economy. But the biggest blow he has dealt to tourism since the very first day of his visit. An economic collapse has been created, which means that the recovery of the sector will take relatively longer than usual.

The spread of COVID-19 a significant challenge not only in the field of health, but it has covered all social and economic aspects of our lives. The virus, which was originally detected in the Chinese city of Wuhan in December 2019, has spread rapidly around the world. On January 30, 2020, the World Health Organization declared the 2019-2020 coronavirus epidemic an international public health threat, and on March 11, a pandemic. The pandemic has caused significant damage to almost all sectors of the economy, including the most severely the tourism sector, including all the areas that make up this industry.

Keywords: Export, Tourism sector, Pandemic, Revenues, Crisis, Coronavirus.

ტურიზმის ინდუსტრიის აღდგენის პერსპექტივები პანდემიის შემდგომ პერიოდში

მეიშვილი სოფიკო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ნაშრომი ეძღვნება ეკონომიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დარგს - ტურიზმს და მასზე, დღეისთვის მეტად აქტუალური გლობალური პრობლემის, პანდემიის გავლენას. ნაშრომში განხილულია ტურიზმის მდგომარეობა პანდემიის დროს დარგის აღდგენის შესაძლებლობები პოსტპანდემიურ პირობებში. ის გამოწვევები, რაც კორონავირუსს ახლავს თან - კარანტინი, ქვეყნების ჩაკეტვა, სამუშაო ადგილების შმცირება, ვალუტების გაუფასურება და სხვა. განხილულია ფისკალური და სხვა ტიპის ღონისძიებების მაგალითები სხვადასხვა ტურისტულ ქვეყნებში და საქართველოს შესაძლებლობები ამ მიმართულებით.

გაანალიზებულია, რა შეცვალა კორონავირუსმა ამ დარგში მომუშავე კომპანიების ქცევაში, რა გახდა ტენდენცია ტურიზმის სექტორში და რამ დაკარგა აქტუალობა. როგორ მოერგნენ კომპანიები ახალ რეალობას. რა ახალი საჭიროებები გაუჩნდა მომხმარებელს, როგორ შეიცვლება მისი ქცევა მომალაში და რა გზებით შეეცდება ბიზნესი ამ ახალი საჭიროებების დაკმაყოფილებას.

საკვანძო სიტყვები: პანდემია, რეცესია, ტურიზმი, ტურისტული უსაფრთხოება, პოსტკრიზისი, ეკონომიკური აქტივობა, ეკოლოგიური მიმართულება, ახალი გამოწვევები, ციფრული მარკეტინგი.

ძირითადი ტექსტი

კორონავირუსი, რომელმაც უკვე წელიწადზე მეტია მოიცვა და თავდაყირა დააყენა მთელი სამყარო, მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე აყენებს საქმიანობის პრაქტიკულად ყველა სფეროს.

სხვადასხვა პროფესიის ადამიანები უკვე ალაპარაკდნენ იმაზე, რომ პანდემიამ შეცვალა გარემო და თამაშის წესები არა მხოლოდ მიმდინარე პერიოდში. ელიან, რომ ჯერ კიდევ ბოლომდე ამოუცნობმა ვი-რუსმა შეიძლება სამუდამოდ შეცვალოს ადამიანების ზოგიერთი ქცევა და ყოველდღიური ცხოვრების წესი.

პანდემიამ მთელი მსოფლიოს პარალიზება მოახდინა, იგი ეკონომიკის ყველა დარგს შეეხო, მაგრამ ყველაზე დიდი დარტყმა მან ტურიზმს მიაყენა თავისი გამოჩენის პირველივე დღიდან. ეკონომიკური კოლაფსი ნიშნავს, რომ დარგის აღდგენას ჩვეულებრივზე მეტი დრო დასჭირდება. დღეს სიტუაცია შოკის მომგვრელია: 3 მილიარდი ადამიანი მთელ მსოფლიოში ვირუსის შიშით სახლში ზის, უმუშევრობა კატასტროფულად იზრდება, ჩაკეტილია საზღვრები, მოიშალა ბაზრები, გაუფასურდა ვალუტები. შეიძლება ითქვას საერთაშორისო ტურიზმი ფაქტიურად გაჩერდა და ახლო პერსპექტივაში ასეც დარჩება. ერთი რამ ნამდვილად ნათელია, რომ შექმნილი სიტუაციის და დანაკარგების შეფასება ჯერ შეუძლებელია, მით უფრო რომ ჯერ კიდევ არ ჩანს გვირაბის ბოლოს სინათლე.

მიუხედავად იმისა, რომ მოლოდინები განსხვავებულია, ექსპერტების აზრით ეკონომიკური ზეგავლენა ქვეყნებზე ძირითადად შემდეგი ლოგიკით განვითარდება: მთავარ ეკონომიკურ დარტყმას მიიღებენ ის ქვეყნები , რომლებშიც კორონა ვირუსის გავრცელების ყველა მაღალი მაჩვენებელი იქნება. შემდეგ ის ქვეყნები, რომელთა ეკონომიკებიც ყველაზე მეტად არის დამოკიდებული ტურიზმზე, ნავთობის და სხვა საქონლის ექსპორტზე, ამის შემდგომ კი ნეგატიური ზეგავლენა მათი პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკებზეც გავრცელდება.

კორონავირუსის პანდემია მთლიანად შეცვლის ტურისტურ სექტორს. ხალხი უცებ არ დაიწყებს მასიურად მოგზაურობას უცხოეთში. ექსპერტების აზრით, კრიზისიდან გამოსვლას ქვეყნები ეტაპობრივად დაიწყებენ, სრულ აღდგენას კი წლები დასჭირდება. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ პანდემიის შემდგომ მსოფლიოში ტურისტების გადაადგილების ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად ჩამორჩება სექტორის ფინანსური მაჩვენებლების ზრდის ტემპებს. გამოცოცხლება შიდა ტურიზმით დაიწყება. ექსპერტების აზრით პირველები ამ სიტუაციიდან ჩინელები გამოვლენ. ზაფხულისთვის სიტუაცია ევროპაშიც დასტაბილურდება, ნელ-ნელა ეკონომიკური ატივობებიც დაიწყება და შიდა

ტურიზმი გამოცოცხლდება. ამ ბაზრის წარმომადგენლებმა ახლავე უნდა დაიწყონ ბიზნესის ახალ მიმართულებებზე გადაწყობა. ახალი მოთხოვნების გათვალისწინებით მოამზადონ ახალი მარშრუტები, ახალი ტურისტული პროდუქტი. საკუთარი ტურისტების იმედი აქვთ სხვადასხვა ქვეყნებს, მაგ. იტალიის, ესპანეთის, საფრანგეთის, ტაილანდის მთავრობებს. რომლებიც იმედოვნებენ, რომ კარანტინის დამთავრებისთანავე კურორტებს, სასტუმროებს და რესტორნებს საკუთარი მოქალაქეებით შეავსებენ და ამისთვის სხვადასხვა ღონისძიებებს გეგმავენ. პანდემია, გარდა ქვეყნების საზღვრების ჩაკეტვისა, ასევე გახდა ინფლაციური პროცესების ზრდის და ფინანსური დანაზოგების შემცირების მიზეზი. ეს ნიშნავს, რომ საზღვრების გახსნის შემთხვევაშიც კი, ადამიანებს არ ექნებათ მოგზაურობისთვის საჭირო ფინანსური სახსრები. როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, არის იმის საშიშროება, რომ ტრადიციული ტურიზმი მხოლოდ მდიდრებისთვის გახდეს ხელმისაწვდომი. საშუალო ფენა კი ახალი, იაფი ტურების და ტურიზმის ისეთი ახალი სახეობების ძებნას დაიწყებს, როგორიცაა მაგალითად ონლაინ ტურები. რითაც იხსნება ტურიზმის ახალი შესაძლებლობები. ძნელი გამოსაცნობი არ არის, რომ უფრო წინ წამოიწევს ტურიზმის ეკოლოგიური სახეობები - არა დახურულ სივრცეში (მუზეუმები, გამოფენები) არამედ სუფთა ჰაერზე, ღია სივრცეში. ამიტომ, კიდევ უფრო პოპულარული გახდება ადრე აქტიური ტურიზმის ისეთი ფორმები, როგორიცაა კემპინგები, კარვები, აგროტურიზმი, ეკოტურიზმი და ა.შ.

მიუხედავად მოსალოდნელი ცვლილებებისა, ქვეყნები ცდილობენ საკუთარი სახელწიფოების ფარგლებში გაუმკლავდნენ პანდემიის გამოწვევებს. მაგალითად, პანდემიის შედეგად ექსპერტები ტურისტული სექტორის 30%-იან შემცირებას ელიან ესპანეთში. ამ ფონზე ესპანეთის მთავრობამ 400 მილიონი ევრო გამოყო ტურიზმის და ტრანსპორტირების სექტორში მოქმედი კომპანიების შეღავათიანი დაკრედიტებისთვის. ტურიზმის სექტორს ეხმარება იტალია, იაპონია და სხვა ქვეყნები.

პანდემიის შემდგომი პერიოდის ეკონომიკური პრობლემების დასაძლევად გადამწყვეტი როლი გლობალურად სახელმწიფოს ეკისრება, რომელიც უნდა დაეხმაროს პირველ რიგში მცირე და საშუალო მეწარმეებს რომლებიც სხვა შემთხვევაში უბრალოდ ვერ გააგრძელებენ არსებობას. ასევე უნდა მოხდეს შიდა ტურიზმის განვითარების სტიმულირება სავალდებულო უსაფრთხოების ნორმების დაცვის უზრუნველყოფით. ამ მიზნების გადასაჭრელად მიზანშეწონილია საგადასახადო პოლიტიკის ლიბერალიზაცია იქნება ეს თუ გადასახადების გადავადება, ზოგიერთ შემთხვევაში მოხსნაც კი. ასევე საბანკო სესხებზე ხელმისაწვდომობა.

საქართველოს მთავრობაც, სხვა ქვეყნების მსგავსად, ცდილობს შეუმსუბუქოს ტურიზმის სექტორს კრიზისით გამოწვეული შოკი. ამ მრივ ძალიან საინტერესო იქნება სხვა ქვეყნების გამოცდილების გაზიარება.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ფისკალური და სხვა ტიპის ღონისძიებების მაგალითები სხვადასხვა ტურისტულ ქვეყნებში

	ფისკალური/მონეტარული და სხვა სახის ღონისძიებები სექტორის მხარდასაჭერად	ღონისძიებები ტურისტების მოსაზიდად
ხორვატია - ტურიზმის შემოსავლების წილი მშპ-სთან დაახლოებით 20%	სესხების 3 თვით გადავადება, ESIF* მიკრო და მცირე სესხებზე 2020 წლის ბოლომდე; სესხები მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის, სესხებზე სახელმწიფო გარანტიები; გრანტები თანამშრომლებისთვის, მარტში - 350 ევრო, აპრილსა და მაისში - 430 ევრო უმუშევრად დარჩენილებისთვის 3 თვე ხელფასის 60%-ის, მომდევნო პერიოდში 30%-ის ანაზღაურება; დაზარალებულ ბიზნესს მთავრობის დახმარებით შეუძლია მოითხოვოს ახალი სესხის აღება, არსებულის რესტრუქტურიზება ან გადავადება; გადასახადების 6 თვით გადავადება (დღგ-ს გარდა), გრანტების გადასახადებისგან გათავისუფლება, ქირის გადავადება	Cro-card* შიდა ტურიზმის წასახალისებლად ვაუჩერები დაჯავშნილ პაკეტებზე, რომლის საშუალებითაც 2020 წლის 1 მარტის შემდეგ დაგეგმილი ტურების გადავადება ან ანაზღაურებაა შესაძლებელი Cro-Card პანდემიამდე შეიქმნა, დაახლოებით $350 დეპოზიტიან ბარათს დამსაქმებელი; სთავაზობს დასაქმებულს, ბარათის გამოყენება ზღვისპირა კურორტების რესტორნებში, სასტუმროებსა და სხვა დაწესებულებებში იყო შესაძლებელი. პანდემიის შემდეგ ხორვატია გეგმავს ამ ბარათს დანიშნულება შეუცვალოს და მისი გამოყენება მთელი ქვეყნის მასშტაბით იყოს შესაძლებელი. ბარათზე დადებული დეპოზიტი სახელმწიფოს მხრიდან არ იბეგრება

პორტუგალია - ტურიზმის შემოსავლების წილი მშპ-სთან დაახლოებით 10%	900 მლნ ევრო განთავსების საშუალებების მხარდასაჭერად (აქედან 300 მლნ ევრო მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის) 200 მლნ ევრო ტურისტული სააგენტოებისთვის,სარეკრეაციო სერვისების ორგანიზატორებისთვის (აქედან 75 მლნ ევრო მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის)	„არ გააუქმო, გადადე"კამპანია - პორტუგალია ტურისტებს ჯავშნების არ გაუქმების სანაცვლოდ ჯავშნის ღირებულების ვაუჩერებს სთავაზობს,რომლის გამოყენება 2022 წლამდეა შესაძლებელი, გამოუყენებლობის შემთხვევაში მომხმარებელს თანხა
	600 მლნ ევრო რესტორნებისთვის (აქედან 270 მლნ ევრო მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის) ფინანსური მხარდაჭერა სტარტაპებისთვის, ვაუჩერებით, მეზანინით და ა.შ; სამომხმარებლო და ბიზნეს სესხებზე 6 თვიანიშეღავათი, იგეგმება გახანგრძლივება კომპანიების მხარდაჭერა თანამშრომლების შესანარჩუნებლად ანაზღაურების 2/3-ის თანადაფინანსებით ტურიზმის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებული ონლაინ ტრენინგ- კურსები პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებლად 2020 წელს დაგეგმილი და გაუქმებული ღონისძიებებისთვის ხარჯების დაფინანსება	უნაზღაურდება
თურქეთი - ტურიზმის შემოსავლების წილი მშპ-სთან დაახლოებით 5%	15.4 მლრდ აშშ დოლარის ეკონომიკის სტიმულირების პაკეტი კომპანიების დღგ-ს გადასახადისგან 6 თვით გათავისუფლება დაზარალებული კომპანიებისთვის საკრედიტო შენატანების 3 თვით გადავადება,სესხებზე ხელმისაწვდომობა; ქვეყნის შიდა ფრენებზე დღგ-ს 18%-დან 1%-მდე შემცირება; The Credit Guarantee Fund ლიმიტის გაორმაგება (7 მლრდ-მდე აშშ დოლარი), საშუალო და მცირე ზომის კომპანიებისა და მოსახლეობის ხელსაყრელ პირობებში დაკრედიტებისთვის წამყვან ავიაკომპანიებთან (THY, Pegasus, AnadoluJet) ტურისტულ კომპანიებს კვოტების ვერ შესრულების ან ავიაბილეთების გამოუყენებლობის (no- show) გამო ჯარიმები არ დაეკისრებათ ბინადრობის გადასახადის (accommodation tax) 2020 წლის ნოემბრამდე გადავადება	'Coronavirus-free' სერტიფიკატები ტურისტული მიმართულებებისთვის, სადაც ვირუსი არ დაფიქსირებულა და უსაფრთხოების ნორმები დაცულია სასტუმროების, რესტორნების, აეროპორტებისა და სხვა ტურისტული მიმართულებების ინტერიერის შეცვლა ისე, რომ სოციალური დისტანცირებისა და უსაფრთხოების ნორმები დაცული იყოს პრეზიდენტ ერდოღანის განცხადებით, თურქეთისთვის სამედიცინო ტურიზმის განვითარება ერთ-ერთი პრიორიტეტი იქნება, რისი პოტენციალიც Covid-19-მა კიდევ უფრო განამტკიცა
დაახლოებით 3%	და მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის Covid II პროგრამა (180 მლნ ევრო) - ინდ. მეწარმეებისა და მცირე და საშუალო ზომის კომპანიების სესხებზე 80%-მდე გარანტიები; Covid III პროგრამა (5 მლრდ ევრო) - ყველა ზომის კომპანიებისთვის სესხებზე 80%-90%-იანი გარანტიები; 22 მლნ ევრო პრაღის მცირე და საშუალო ზომის კომპანიების დასაფინანსებლად. საგადასახადო შეღავათები (ჯარიმების გაუქმება, ადმინისტრაციული გადასახადების გაუქმება, საგადასახადო დეკლარაციის გადავადება და ა.შ) დაზარალებული კომპანიებისთვის თანამშრომლების ხელფასის 60%-დან 100%-მდე სუბსიდირება, სტარტაპებისთვის თანამშრომლების ხელფასის 30%-80% სუბსიდირება; თვითდასაქმებულებს კარანტინში გატარებული ყოველი დღის 17 ევროთი ანაზღაურება. ერთჯერადი დახმარება 1,000 ევროს ოდენობით	ტურიზმის წასახალისებლად, ხორვატიის მსგავსი მოდელით

- იტალიაში, Bonus Vacanze ინიციატივა ოჯახებს, რომლებსაც აქვთ 40,000 ევრომდე შემოსავალი, სთავაზობდა 500 ევრომდე ვაუჩერს შიდა ტურიზმზე დახარჯვისთვის.
- მალაიზიამ გამოყო 113 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების სამოგზაურო ფასდაკლების ვაუჩერები, ასევე პირადი გადასახადის შემცირება 227 აშშ დოლარამდე შიდა ტურიზმთან დაკავშირებული ხარჯებისთვის.
- კოსტა რიკამ 2020 და 2021 წლების ყველა დღესასწაული ორშაბათს გადაიტანა, რომ კოსტა-რიკელებმა გახანგრძლივებულ შაბათ-კვირას ისარგებლონ ქვეყნის შიგნით მოგზაურობისთვის გახანგრძლივებაზე.
- საფრანგეთმა წამოიწყო კამპანია #CetÉtéJeVisiteLaFrance ("ამ ზაფხულს, საფრანგეთს ვესტუმრები"), რომელიც ხაზს უსვამს ქვეყნის მასშტაბით მიმართულებების მრავალფეროვნებას.
- ტაილანდი სუბსიდირებას გაუწევს სასტუმრო ნომრის სტანდარტული ფასის 40%-ს განთავსების 5 ღამის განმავლობაში. ეს გავრცელდება საშუალოდ 5 მილიონი კაც/დღე.

გარდა სახელმწიფოს დახმარებისა, ახალმა რეალობამ ტურიზმისგან, და საერთოდ ყველა ბიზნესისგან მოითხოვა სრულიად განსხვავებული პასუხები თითქოს უკვე კარგად ნაცნობ, არაერთხელ პასუხგაცემულ კითხვებზე და ამ მხრივ ,,ფრონტის წინა ხაზზე" ერთ-ერთი პირველი ინსტრუმენტი აღმოჩნდა მარკეტინგი, როგორ მედიატორი ბიზნესსა და მომხმარებელს შორის. სავარაუდოა, რომ პანდემია შექმნის მარკეტინგის და განსაკუთრებით ციფრული მარკეტინგის როლის და მიდგომების განახლების საჭიროებას რათა ფორსმაჟორულ რეჟიმში კომპანიებმა უკთ იგრძნონ მომხმარებლის სურვილები და საჭიროებები და არა მხოლოდ უპასუხონ მათ, არამედ თავად შექმნან ეს მოთხოვნა და მართონ ის.

პანდემიამ შეცვალა მთლიანად მსოფლიო და ეს ცვლილებები კიდევ დიდხანს გასტანს. შეიცვალა ბიზნეს გარემო და ბიზნეს პროცესებიც. ამ მდგომარეობაში გადარჩენის შანსი აქვთ მხოლოდ იმ კომპანიებს, რომლებიც საკუთარ ბიზნეს პროცესებს მოარგებენ არსებულ სიტუაციას, ხელს შეუწყობენ დისტანციური მომსახურების განვითარებას, ხოლო მარკეტინგულ სტრატეგიაში ძირითად აქცენტს გააკეთებენ ციფრულ აქტივობებზე.

ადრე თუ გვიან პანდემია დასრულდება და რა თქმა უნდა ეკონომიკა ისევ წინ წავა. როგორც სხვა შემთხვევებში ტურიზმი ახლა გამოვა იძულებითი ,,ძილიდან". ოპტიმისტები ვარაოდებენ რომ ეს 2020 წლის ბოლოსთვის მოხდება. პესიმისტების ვარაუდით კი ამ პროცესს რამდენიმე წელი დასჭირდება. თუმცა სრულიად აშკარაა, რომ კრიზისიდან გამოსასვლელად ყველა ქვეყანამ საკუთარი გზა უნდა მოიძიოს. პანდემიის დასრულების შემდეგ, ტურიზმის ბაზარი იმათ ხელში დარჩება, ვისაც ეყოფა ძალა, ფეხი აუწყოს ახალ რეალობას, მოძებნოს ახალ გამოწვევებთან გამკლავების ინოვაციური მეთოდები და ამით არა მხოლოდ გადაარჩინოს ეკონომიკა, არამედ გაძლიერდეს კიდეც და ეს ყველაფერი მოახერხოს უსაფრთხოების გაძლიერებული დაცვით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. https://eap-csf.ge/wp-content/uploads/2021/03.
2. https://www.dsnews.ua/society/turizm-posle-pandemii-kakim-on-budet--30032020220000
3. კორონავირუსის შესაძლო გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე ... www.parliament.ge › downloadFile
4. ტურიზმის ამოქმედების ანტიკრიზისული გეგმა www.economy.ge › files › news › fi...
5. Эксперт рассказал, когда туризм восстановится после... ria.ru›20200320/1568874625.html
6. COVID-19 ეკონომიკური შედეგები მსოფლიოსა და ... - EPRC
7. eprc.ge › brosh › COVID__fin-geo

Prospects for the recover of the tourism industry in the post-pandemic period

Sophiko Meishvili, Phd student of Georgian Technical University

Summary

The paper is dedicated to one of the most important sectors of the economy - tourism and the impact of the pandemic, a very topical global problem today. The paper discusses the state of tourism during a pandemic and recovery opportunities of tuorism in post-pandemic conditions. The challenges that come with coronavirus - quarantines, lockdowns, reduction of jobs, inflation and more. Discussed examples of fiscal and other types of measures in different tourist countries and Georgia 's possibilities in this direction.Analyzed, what has the coronavirus changed in the behavior of companies operating in this field. What has become a trend in the tourism sector and things have lost their relevance. How companies have adapted to the new reality. What a new needs appeared for the customer, how will his behavior change in the future and in what ways will the business try to meet these new needs.

ტურიზმის განვითარების შესაძლებლობები სამცხე-ჯავახეთის რეგიონში

მესხიშვილი ლელა
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფოს უნივერსიტეტის დოქტორანტი.

აბსტრაქტი

სტატია ეძღვნება ტურიზმის განვითარების მეშვეობით ნაკლებგანვითარებული სამცხე-ჯავახეთის რეგიონის აღორძინების საკითხს.

სტატიაში უპირველესად ნაჩვენებია თუ რამდენად ჩამორჩება მეწარმეობის განვითარებით სამცხე-ჯავახეთის რეგიონი საქართველოს, ხოლო შემდეგ დახასიათებულია მისი ტურისტული პოტენციალი. აღნიშნული პოტენციალი რეგიონისძლიერ მხარეებშია ჩათვლილი, ხოლო ამ პოტენციალის რეალიზაცია -შესაძლებლობებში.

სტატიის ავტორს მიაჩნია, რომ რეგიონის ტურისტული პოტენციალის „ამუშავებაში“ უნდა ჩაირთოს ადგილობრივი შრომისუნარიანი დაუსაქმებელი მოსახლეობა, მაგრამ საამისოდ მათ უნდა ვასწავლოთ ტურისტული ბიზნესი. ავტორს მიაჩნია, რომ ამის ინიციატივა რეგიონის ხელმძღვანელობამ უნდა აიღოს თავის თავზე და თვითონვე უნდა დააფინანსოს იგი რეგიონის ბიუჯეტიდან.

საკვანძო სიტყვები:ტურიზმის პოტენციალი; ტურისტული ბიზნესი; ნაკლებგანვითარებული რეგიონი.

ძირითადი ტექსტი

საქართველოში 11 რეგიონია. დღეის მდგომარეობით მათი ეკონომიკური განვითარების დონე სხვადასხვანაირია. არიან შედარებით განვითარებული რეგიონები, საშუალოდ განვითარებული და ნაკლებგანვითარებული რეგიონები. ამ უკანასკნელთა რიცხვშია სამცხე-ჯავახეთის რეგიონი.

საქართველოში რეგიონების ეკონომიკური განვითარების დონეს ათას მცხოვრებზე და ტერიტორიის ერთ ერთეულზე მოსული სამეწარმეო ბრუნვის მოცულობით აფასებენ. სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ამ მაჩვენებლების სიდიდე და მისი შედარება საქართველოს სხვა რეგიონების ანალოგიურ მაჩვენებლებთან წარმოდგენილი გვაქვს ცხრილში 1.

ცხრილი 1

სამეწარმეო ბრუნვის საშუალო მაჩვენებლები საქართველოს რეგიონებში 2019 წელს

რეგიონის დასახელება	მოსახლეობა (ათასი კაცი)	ტერიტორია (კვ. კმ.)	ბრუნვა		
			სულ (მლნ ლარი)	მათ შორის	
				ათას მცხოვ-რებზე (ლარი)	ერთ კვ. კმ-ზე (ლარი)
1. თბილისი	1184,8	504,2	81837,4	69072501	162311389
2. აჭარის ავტონო-მიური რესპუბლიკა	351,9	2900	7399,4	21026996	2590448
3. გურია	108,1	2033,8	558,7	5168363	274774
4. იმერეთი	487,0	6414,7	4285,1	8798973	668012
5. კახეთი	310,1	11337,5	1871,8	6036117	165098
6. მცხეთა-მთიანეთი	93,3	5606	1204,9	12914255	214930
7. რაჭა-ლეჩხუმი	29,1	4600	110,7	3804123	24065
8. სამეგრელო-ზემო სვანეთი	311,1	7468,2	3200,3	10287046	428523
9. სამცხე-ჯავახეთი	**152,1**	**6412,8**	**1420,0**	**9335963**	**221425**
10. ქვემო ქართლი	434,2	6436,2	5130,3	11814832	797079
11. შიდა ქართლი	255,1	3428,3	1916,0	7510780	558926
12. საშუალოდ საქართველოში	3700	69700	109024,3	29466027	1564194

წყარო: გაანგარიშებულია ჩვენს მიერ „საქსტატის“ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, სამცხე-ჯავახეთს უკავია 6412,8 კვ. კმ. ტერიტორია, რომელზეც 152100 ადამიანი ცხოვრობს. იგი საქართველოს შესაბამისი მაჩვენებლების 9,2 და 4,1 პროცენტს შეადგენს. ასეთ დროს, რეგიონში სრულდება მთლიანად საქართველოში შესრულებული მთელი სამეწარმეო ბრუნვის მხოლოდ 1,3 პროცენტი, ხოლო ყოველ 1000 მცხოვრებზე და ტერიტორიის 1 კვ. კმ-ზე მოდის შესაბამისად 9335963 და 221425 ლარი ბრუნვა. პირველი საქართველოს საშუალო ანალოგიურ მაჩვენებელს ჩამორჩება 68 პროცენტით, მეორე კი - 86 პრიცენტით. ასეთ დროს, ქ. თბილისს ერთი მაჩვენებელიც და მეორეც, საქართველოს საშუალო მაჩვენებელზე მეტი აქვს - 1000 მცხოვრებზე გათვლილი ბრუნვის შეფარდებითი მაჩვენებელი 2,3-ჯერ მეტი, ხოლო ტერიტორიის ერთეულზე გათვლილი - 7,8-ჯერ მეტი. ამას ვერ ვიტყვით სხვა რეგიონებზე. სამცხე-ჯავახეთის მსგავსად დიდი ჩამორჩენები აქვთ გურიას და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონებსაც.

ასეთ დროს,სამცხე-ჯავახეთის რეგიონს ეკონომიკური განვითარების კარგი ბაზა აქვს. მას აქვს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი რესურსის სიუხვე, რეკრეაციული კურორტები, შეუძლია სხვადასხვა სახის ტურიზმის განვითარება, ინტენსიური სოფლის მეურნეობის განვითარება და სხვა.

აქედან ჩვენს ინტერესში უფრო მეტად ექცევა სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ტურისტული პოტენციალი და ვთვლით, რომ მისი სრული ამოქმედებით აღნიშნული რეგიონი თანდათან დაიწყებს განვითარებას. ამის საფუძველს გვაძლევს მისი ტურისტული პოტენციალი [2, გვ. 421-423]: სამცხე-ჯავახეთს აქვს კურორტებისა და საკურორტო ადგილების მდიდარი პოტენციალი, მრავალფეროვანი ბუნების და კულტურული ძეგლები, ჯერაც შეუცნობელი უძველესი პერიოდის ნასახლარები და არქეოლოგიური ძეგლები. მოქმედი ეკლესია-მონასტრები და მათში დაცული სიწმინდეები საუკეთესო პირობას ქმნიან მომლოცველობითი ტურიზმისთვის.

ახალციხის რაიონი ხასიათდება ძირითადად კულტურული და სამკურნალო ტურიზმის პოტენციალით. ქალაქთან ახლოს მდებარეობს ცნობილი და დიდი ისტორიული მნიშვნელობის ძეგლი -საფარის მონასტერი. ასევე, ახლოსაა აწყურის დიდებული ტაძრის ნანგრევები და ციხე. ცოტა მოშორებით, თვალთაგან მოფარებულ ადგილასაა აღმართული წრიოხის ციხე.

ახალციხესთან არსებული ურაველის ხეობა საუკეთესოა სალაშქრო და ეკოტურებისთვის. ეკოტურისტებს იზიდავს ბორჯომ-ხარაგაულის პარკიც, რომლისშესასვლელიდა საგუშაგო სოფელ აწყურის მახლობლად მდებარეობს.

ახალციხეში შემონახულია არა ერთი რელიგიური და სახალხო დღესასწაული. მაგალითად, შალვაობა -შალვა ახალციხელის ხსენების დღე, საფარაში განსაკუთრებულად აღინიშნება ღვთისმშობლის მიძინებისა და წმ. საბა განწმენდილის ხსენების დღეები.

ადიგენის რაიონი მდიდარია კულტურული ძეგლებით: ზარზმა, ჭულევი, აბასთუმანი, ოქროს ციხე, ზანავის ციხე, უდე, ბუნარა... არქეოლოგიური თვალსაზრისით საინტერესოა სოფ. უდესთან აღმოჩენილი ნასახლარები. ნამარხი ტყე - სოფ. უტყვისუბანთან (ძინძეს ხეობა), ნამარხი ფაუნა სოფ. ბენარასთან. ესენია მსოფლიო მნიშვნელობის უნიკალური ბუნების ძეგლები. მილიონობით წლის გაქვავებული ტყეები, რომელიც მსოფლიოში მხოლოდ საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთშია აღმოჩენილი. ნამარხი ტყის ხაზი ვრცელდება მთელ ძინძეს ხეობაზე და გოდერძის უღელტეხილით აჭარის ტერიტორიაზე გადადის. ამ გზით შესაძლებელია ტურის მოწყობა - ადიგენიდან მთიან აჭარაში - შავი ტბა, კოტა, თლილი, თრიალა და მათი მიმდებარე ტერიტორიები საუკეთესო ადგილებია ლაშქრობის, კემპინგისა თუ შაბათ-კვირის დასვენებისთვის, მდინარეების ხეობები (ოცხე, ღალვი, ძინძე) კარგ საშუალებას იძლევა სალაშქრო და ეკოტურებისთვის.

ბორჯომი ძირითადად წარმოდგენილი კურორტების სახით (სამკურნალო და ზამთრის კურორტები).

ბორჯომის ზამთრის კურორტი ბაკურიანი მდებარეობს ზღვის დონიდან 1700 მ-ზე. მისი ჰავა და რელიეფი ზამთრის სპორტის განვითარების იდეალურ პირობებს ქმნის. ზამთარი უმეტესად მზიანია, თოვლის საბურველი კი 50 სნ-ს აღწევს და მუდმივად დევს დეკემბრიდან აპრილამდე.

თანამედროვე ბაკურიანი, რომელიც ზამთარში „სპორტული დედაქალაქი“ ხდება,

ტურისტებისთვის მიმზიდველია არა მარტო სამთო-სათხილამურო ტრასებით, საბაგირო გზებით, სპორტული და სამკურნალო გამაჯანსაღებელი ბაზებით, სასტუმრო მომსახურებით, დასვენებისა და ჰელიოთერაპიის ეფექტურობით, არამედ, აქტიური ტურიზმის ფართო შესაძლებლობებითაც.

ასპინძის რაიონის უმთავრესი ტურისტული ღირებულება მის კულტურულ მემკვიდრეობაში გამოიხატება. ახალციხიდან ასპინძის გზაზე გვხვდება სოფ. რუსთავი, სადაც გადმოცემის თანახმად, დაბადებულა შოთა რუსთაველი; მდ. მტკვრისა და მდ. ფარავნის შესაყარზე დგას ლეგენდარული ციხე-ქალაქი ხერთვისი, V საუკუნის რელიგიური ცენტრი - წუნდა და მითიური წუნდის ტბა, აუღებელის სახელით ცნობილი თმოგვის ციხე-ქალაქი, ვანის ქაბები - გამოქვაბული მონასტერი, ცნობილი ქალაქი-გამოქვაბული - ვარძია.

ასპინძის რაიონი ასევე ცნობილია კურორტებითა და მინერალური წყლებით. თავად ასპინძა ბალნეოლოგიური კურორტია - მისი თერმული წყლები გამოიყენება საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის ქრონიკული, პერიფერიულ ნერვული სისტემის, რევმატიზმის, გულ-სისხლძარღვთა სისტემის, ქრონიკული გინეკოლოგიური და კანის დაავადებების სამკურნალოდ.

საკურორტო ადგილებია ასევე, ნაქალაქევი და ვარძია - თერმული,რადიოაქტიური და სამკურნალო-მინერალური წყლებით.

ახალქალაქი და ნინოწმინდა, ჯავახეთის ზეგანი ერთ-ერთი ყველაზე ეგზოტიკური ადგილია საქართველოს მასშტაბით. ვულკანური წამროშობის პლატო, ათობით ვულკანური წარმოშობის ტბა, უნიკალური ენდემური თევზებით, ფრინველებით, ცხოველებითა და მცენარეული საფარით.

მოყვარულ მთამსვლელთათვის ზეგანზე აღმართულია ჩამქრალი ვულკანი - აბულის მთა (3301 მ.). აღმოჩენითი ტურებით დაინტერესებულებს შეუძლიათ მოიარონ ძვ. წ. II ათასწლეულით დათარიღებული ნასახლარები - მცირე აბულზე, შაორის ნაქალაქარზე და სხვ.

სამეცნიერო და ეკოტურებისთვის, ფრინველებსა და მცენარეებზე დაკვირვებისთვის ჯავახეთის ზეგანი უნიკალურ საშუალებებს იძლევა. ამას გარდა ჯავახური ყოფა მეტად საინტერესო, თითქმის შეუსწავლელია. ამით იგი გარკვეულწილად ეგზოტიკურ სახეს იძენს, რაც სასოფლო ტურიზმით დაინტერესებულთათვის დიდი აღმოჩენა იქნება.

ჯავახეთის ზეგანი, ლამაზი ხედები, მეზობლად განლაგებული კულტურის ძეგლები კარგ საშუალებას იძლევიან საცხენოსნო ტურიზმის განვითარებისთვის. რაც შეეხება კულტურულ ტურიზმს, ეს მხარეც ამ მხრივ საუკეთესო ძეგლებს გვთავაზობს. ე. წ. ჯავახური არქიტექტურა განთქმულია თავისი მაღალმხატვრულიორნამენტებითა და ტაძრების ფერადი ქვებით გაფორმების ტრადიციით. ამ თვალსაზრისით, ყველაზე დიდებული სანახავია კუმურდოს გუმბათმოშლილი ტაძარი, ბარალეთის ეკლესია, ვარდისციხე, სამსარის გამოქვაბულთა კომპლექსი, იხტილა, განძანი, ფოკა და სხვ.

ამრიგად, საქართველოს სამცხე-ჯავახეთის რეგონს ტურისტების, განსაკუთრებით უცხოელი ტურისტების დასაინტერესებლად მართლაც კარგი ბაზა აქვს.

დასკვნა

სამცხე-ჯავახეთის რეგიონს აქვს უნიკალური ტურისტული რესურსების უაღრესად დიდი მარაგი და მთელი წლის განმავლობაში მათი ეეფქტურად გამოყენების შესაძლებლობა. ამ რესურსების გამოყენებაში უნდა ჩაერთოს რეგიონის მთელი დაუსაქმებელი შრომისუნარიანი მოსახლეობა. ამისათვის უპირველესად საჭიროა დაუსაქმებელ შრომისუნარიან მოსახლეობას სახელმწიფოს ხარჯზე ვასწავლოთ ტურისტული ბიზნესი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სამცხე-ჯავახეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წ.წ. თბ., 2013.
2. მეტრეველი მ. ტურიზმის ბიზნესი. თბ., 2011.

Tourism development opportunities in Samtskhe-Javakheti region

Lela Meskhishvili, Doctoral of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Summary

The article is dedicated to the revitalization of the less developed Samtskhe-Javakheti region through the development of tourism.

First of all the article shows how far the Samtskhe-Javakheti region lags behind Georgia in terms of entrepreneurship development, and then describes its touristic potential. This potential is considered among the strengths of the region, and the realization of this potential is in its opportunities.

The author of the article believes that the local unemployed population should be involved in "developing" the tourism potential of the region, but for that we should teach them the tourism business. The author believes that the initiative of this should be taken by the leadership of the region and it should finance it from the budget of the region.

Key words:Tourism potential; Tourism business; Less developed region.

სამედიცინო ტურიზმის გამოწვევები და შესაძლებლობები გლობალიზაციის პირობებში

მეტრეველი მარინა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

კუჭავა მაკა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

გლობალიზაციის პროცესთან ერთად, განსაკუთრებით პოსტპანდემიურ პერიოდში, გაძლიერდება სამედიცინო ტურიზმის ინდუსტრია. ტურიზმის აღნიშნული სახეობა სულ უფრო მეტად დაიპყრობს ჯანდაცვის ინდივიდუალური მომხმარებლების, მომსახურების მიმწოდებლებისა და იმ ქვეყნების ყურადღებას, რომლებიც ცდილობენ განავითარონ ახალი ეკონომიკური შესაძლებლობები. სამწუხარო ფაქტია, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სამედიცინო ტურიზმის ინდუსტრიის სიდიდის, ტურისტების/პაციენტების ნაკადების, პროვაიდერების, მომსახურების მოცულობისა და მისი ხარისხის შესახებ სტატისტიკური მონაცემები სიმწირით გამოირჩევა.

ნაშრომის კვლევის მიზანს წარმოადგენს მომსახურების სტანდარტებისა და აკრედიტაციის როლის განსაზღვრა სამედიცინო ტურიზმის ინდუსტრიის მოცულობის ზრდის დაჩქარებისა და ხარისხის გაუმჯობის მიზნით.

კვლევის ამოცანებია:

- პანდემიის პერიოდში სამედიცინო ტურიზმის განვითარების შეფერხების ფაქტორების გამოვლენა.
- სამედიცინო ტურიზმის პრიორიტეტების განსაზღვრა ტურიზმის კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან მიახლოების პროცესში.

საკვანძო სიტყვები: სამედიცინო ტურიზმი, სამედიცინო ტურისტი, გლობალიზაცია, სტანდარტები და აკრედიტაცია.

ძირითადი ტექსტი

რამდენიმე ათწლეულის წინ სამედიცინო სერვისებზე წვდომა და ჯანდაცვის პროვაიდერების არჩევანი ძირითადად ადგილობრივი ან რეგიონული კლინიკებითა და სამედიცინო პერსონალით შემოიფარგლებოდა, დღეს კი არსებული არჩევანი სცდება პოლიტიკურ და გეოგრაფიულ საზღვრებს. რამაც გამოიწვია ისეთი გლობალური ინდუსტრიის განვითარება როგორიც სამედიცინო ტურიზმია - სფერო რომელიც სულ უფრო მეტად იპყრობს ჯანდაცვის ინდივიდუალური მომხმარებლების, მომსახურების მიმწოდებლებისა და იმ ქვეყნების ყურადღებას, რომლებიც ცდილობენ განავითარონ ახალი ეკონომიკური შესაძლებლობები.

აღსანიშნავია ის ფაქტი რომ სამედიცინო ტურიზმის ინდუსტრია მისი სიდიდის, ტურისტების/პაციენტების ნაკადების, პროვაიდერების, მომსახურების მოცულობისა და ხარისხის შესახებ სტატისტიკური მონაცემების სიმწირით გამოირჩევა. მსოფლიო სამედიცინო სერვისების ინდუსტრიის ზრდის ასიმეტრიულმა ხასიათმა გამოიწვია მნიშვნელოვანი სხვაობა ფასების, ხარისხის და სერვისებზე წვდომას შორის სხვადასხვა ქვეყანასა და რეგიონში. მზარდი ეკონომიკის ქვეყნების მოქალაქეების შემოსავლების ზრდასთან ერთად გაჩნდა უფრო მეტი მოთხოვნა სამედიცინო მომსახურებებზე, რაც ადგილობრივად ან არ არის ხელმისაწვდომი ან მომსახურების ფასი გაცილებით აღემატება საზღვარგარეთ იგივე სერვისის ფასს. ამან შექმნა სამედიცინო მომსახურების მოხმარების ახალი საერთაშორისო ტენდენციები, რასაც ასევე ხელი შეუწყო საჰაერო მიმოსვლის გამარტივებამ დაბალ ბიუჯეტიანი ავიაკომპანიების ხარჯზე და სამედიცინო სერვისების შესახებ ინფორმაციის და პროვაიდერი კლინიკების მოძიების შესაძლებლობამ ინტერნეტის საშუალებით.

რა არის სამედიცინო ტურიზმი და ვინ არიან სამედიცინო ტურისტები?

მნიშვნელოვანია დავიწყოთ იმის განსაზღვრა, თუ რას ნიშნავს "სამედიცინო ტურიზმი" და ვინ უნდა ჩაითვალოს "სამედიცინო ტურისტად". მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია (UNWTO) განმარტავს, რომ ტურისტები არიან ადამიანები, რომლებიც "მოგზაურობენ და რჩებიან საზღვარგარეთ არა უმეტეს ერთი წლის განმავლობაში დასვენების, ბიზნესის და სხვა მიზნებისთვის" (UNWTO, 1995). ამ განსაზღვრების შესაბამისად, ეს ნაშრომი განიხილავს სამედიცინო ტურიზმს, როგორც მომხმარებელთა ქმედებებს, როდესაც ისინი ნებაყოფლობით მიემგზავრებიან საზღვარგარეთ, რაიმე სახის სამედიცინო მკურნალობის მიღების მიზნით (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, OECD 2010).

გარდა ამისა, სამედიცინო ტურიზმი არ მოიცავს პაციენტებს, რომლებიც საჭიროებენ გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას საზღვარგარეთ ყოფნის პერიოდში ჯანმრთელობის გაუარესების გამო. ასევე სამედიცინო ტურიზმი უნდა გაიმიჯნოს ევროკავშირის შეთანხმებისგან რაც გულისხმობს წევრ ქვეყნებს შორის მოქალაქეების თავისუფალ მიმოსვლას სამედიცინო სერვისების მისაღებად.

სამედიცინო ტურიზმის მასშტაბი

მიუხედავად იმისა რომ ბევრი ქვეყანა, სამედიცინო ტურიზმის განვითარებას უწყობს ხელს, ამ ინდუსტრიის ძირითადი მახასიათებლების შესახებ ძალიან ცოტა რამ არის ცნობილი. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, არ არსებობს სანდო სტატისტიკური მონაცემები რომლებიც აღწერენ სამედიცინო ტურისტების რაოდენობასა და დინების ტენდენციებს ქვეყნებსა და კონტინენტებს შორის. ციფრები, რომლებიც მოყვანილია თანამედროვე ლიტერატურაში ემყარება Deloitte–ს მიერ მოწოდებულ მონაცემებსა და პროგნოზებს, რომლებიც კონცენტრირებულია მხოლოდ აშშ–ს მოქალაქეებზე. ამ მონაცემებზე დაყრდნობით 2018 წელს დაახლოებით 750,000 სამედიცინო ტურისტი გაემგზავრა საზღვარგარეთ.

Deloitte-ის მონაცემების გამომრიცხავ ციფრებს აქვეყნებს კომპანია McKinsey & Company, რომელიც ვარაუდობს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ასეთი დიდი რაოდენობის პოტენციალი არსებობს, სამედიცინო ტურისტების რაოდენობა ყოველწლიურად 60,000-დან 85,000-მდე მერყეობს.

ამავდროულად, ცნობილია, რომ ბანგკოკის ბუმრუნგრადის საავადმყოფომ 2017 წელს 500 000-მდე უცხო ქვეყნის მოქალაქე პაციენტი მიიღო ,ინდოეთში შიდა სამედიცინო ტურიზმის ყველაზე კონსერვატიული შეფასებებითაც კი მათი რიცხვი შეადგენს 200,000 ტურისტს წელიწადში, ხოლო სინგაპურის მონაცემებით აქ სამედიცინო ტურისტების რაოდენობა ყოველწლიურად 200,000–დან 350,000-მდე მერყეობს, კუბა კი ყოველწლიურად 200,000-მდე სამედიცინო ტურისტს იღებს .

ამ მონაცემებიდან ჩანს რომ როგორც Deloitte–ის ისე McKinsey & Company-ს მიერ მოწოდებული ციფრები არარეალისტურია. თავის მხრივ, იანგმენი თავის ნაშრომში "მკურნალობა საზღვარგარეთ" ყოველწლიურად დაახლოებით 5 მილიონ სამედიცინო ტურისტს ვარაუდობს, რაც ქვეყნების ოფიციალურ მონაცემებს ეფუძნება. თუმცა აქვე განმარტავს რომ ეს ციფრი არაზუსტია რადგან ყველა ქვეყანა, განსაკუთრებით კი ის ქვეყნები რომლებიც განსაკუთრებით პოპულარულია სამედიცინო ტურიზმისთვის (მაგ. როგორიცაა მექსიკა, ბრაზილია, ტაილანდი) მონაცემებს ამ მიმართულებით არ აქვეყნებს.

ხარისხი, რისკი და უსაფრთხოება

დღესდღეობით, სამედიცინო ტურიზმის ხარისხის განსაზღვრაც შეუძლებელია. ცოტა რამ არის ცნობილი ისეთ მნიშვნელოვან ხარისხობრივ მაჩვენებლებზე როგორიცაა მკურნალობის შემდგომი გართულებები, ინფექციები, რეჰოსპიტალიზაცია, გვერდითი მოვლენები, ავადობა და სიკვდილიანობა. არ არსებობს მონაცემები რომლებიც სამედიცინო ტურისტების მკურნალობის შედეგებს ან გართულებებით გამოწვეულ ხარჯებს ასახავენ. მაგალითად, დიდი ბრიტანეთის ეროვნული ჯანდაცვის სამსახური (National Health Service) ყოველწლიურად სამედიცინო ტურიზმის შედეგად გამოწვეული გართულებების სამკურნალოდ 5 მილიარდ ფუნტს ხარჯავს თუმცა სხვა ქვეყნებზე მსგავსი მონაცემები ვერ მოვიძიეთ.

ხარისხის უზრუნველყოფა სტანდარტებისა და აკრედიტაციის საშუალებით

ერთიანი სტანდარტის შემუშავებით მნიშვნელოვნად განვითარდა ისეთი სფეროები როგორიცაა სასტუმრო ბიზნესი - ვარსკვლავების სისტემის შემოღებით და საავიაციო ინდუსტრია - საერთაშორისო საჰაერო ტრანსპორტის ასოციაციის IATA-ს ოპერაციული უსაფრთხოების აუდიტის დანერგვით (IOSA). IOSA– ს დანერგვამდე, მსგავსი აუდიტი ხშირად არათანმიმდევრული და ცვალებადი იყო, საავიაციო ინდუსტრიის ხარჯები კი დიდი. ეს გამოწვეული იყო არა მხოლოდ ასეთი აუდიტის რაოდენობის, არამედ თვით სტანდარტებთან დაკავშირებული არაეფექტურობის და შეუსაბამობის გამო. IOSA სტანდარტებისა და აუდიტის დანერგვით ინდუსტრიის ხარჯები მნიშვნელოვნად შემცირდა და შედეგად მოხდა ხარისხის ერთიანი კოდების სისტემის დანერგვა, ახალი ბაზრების გახსნა რამაც თავის მხრივ გაჩნდა ახალი ბიზნეს შესაძლებლობები.

სასტუმრო ბიზნესში არსებობს შეფასების სხვადასხვა სისტემა. UNWTO– ს თანახმად, შეფასების ყველაზე პოპულარული სისტემაა ვარსკვლავების სისტემის გამოყენება, რომელიც 1958 წელს Forbes Travel Guide– მა დანერგა, სადაც ვარსკვლავების მეტი რაოდენობა მიანიშნებს უფრო მაღალ ხარისხზე. ინდუსტრიის ამგვარმა სტანდარტიზაციამ უზრუნველყო სასტუმრო ბიზნესის სეგმენტებად დაყოფა და მომხმარებელს გაუმარტივა არჩევანის გაკეთება ფასთან, სერვისთან და ხარისხთან მიმართებაში. ეს არის მკაფიო მაგალითი იმისა, თუ როგორ არის სტანდარტები და ბიზნესის განვითარება ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული.

ხარისხის მაქსიმიზაცია და რისკის მინიმუმამდე შემცირება მთავარია უკეთესი და უსაფრთხო ჯანდაცვის სერვისების შესაქმნელად, იქნება ეს ადგილობრივი მომხმარებლების თუ საერთაშორისო ტურისტების სამედიცინო მომსახურება. გამომდინარე იქიდან რომ სამედიცინო ტურისტი თავად ირჩევს მომსახურების პროვაიდერ დაწესებულებას და ხშირად ვერ განსაზვრავს ხარისხობრივ მაჩვენებლებს რადგან ეს არჩევანი ეფუძნება ისეთ პარამეტრებს როგორიცაა ფასი, ახლობლების რჩევა (WOMs), ინტერნეტით ძიება, წარმომადგენლობითი სააგენტოები და სხვ. ხშირია შემთხვევები როდესაც ის დაბალი სტანდარტის მქონე დაწესებულებაში ხვდება.

იმის გამო, რომ სამედიცინო ტურიზმის სერვისები ძირითადად არარეგულირებადია მთავარი საკითხი, რომლის გადაჭრაც საჭიროა, არის ერთიანი სტანდარტის შემუშავება რომელიც განსაზღვრავს ხარისხის დონეს. ხარისხის კონცეფცია დიდი ხანია დაუკავშირდა ჯანდაცვის სამყაროს და რჩება ერთ-ერთ მთავარ სტრატეგიულ ელემენტად, რომელიც ახდენს თანამედროვე ჯანდაცვის სისტემების ტრანსფორმაციასა და გაუმჯობესებას. ბოლო ათწლეულებში ეტაპობრივად შემოღებულ იქნა ხარისხის მართვის ოფიციალური სისტემები, როგორიცაა ISO 9000 – ის სერტიფიკაცია და ჯანდაცვის ორგანიზაციების აკრედიტაციის ერთობლივი კომისიის (JCAHO) და ხარისხის ევროპული მოდელის (EFQM) მიერ შემუშავებული აკრედიტაციის სისტემები.

სტანდარტიზაციის როლი ინდუსტრიების ზრდასა და განვითარებაში

სამედიცინო ტურიზმი განვითარების ეტაპზეა და იმ გამოწვევების წინაშე დგას, რაც სხვა ინდუსტრიებმა გამოსცადეს. ერთიანმა სტანდარტებმა, საერთაშორისო აკრედიტაციასთან ერთად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სასტუმრო და საავიაციო ბიზნესის განვითარებაში, ვთვლით რომ ეს მიდგომა ასეთივე დადებით როლს ითამაშებს სამედიცინო ტურიზმის ინდუსტრიის გაზრდაში. ამჟამად, სამედიცინო მომსახურების ინდუსტრია რეგულირდება ქვეყნის შიდა სტანდარტით, რომელიც არ არის ერთიანი და ხშირად იწვევს ინფორმაციის ასიმეტრიულობას და მონაცემთა შეუსაბამობას, რაც საბოლოოდ შესაძალოა სამედიცინო ტურისტისთვის დაბალი ხარისხის მომსახურებით დასრულდეს.

სტანდარტიზაციას კი შეუძლია მინიმუმამდე დაიყვანოს შეუსაბამობა და შექმნას სამედიცინო მომსახურების მომწოდებლების ერთიანი ხარისხის მაჩვენებელი რომელიც ადვილად აღქმადი იქნება სამედიცინო ტურისტისათვის და რისკის გაწევის გარეშე დაეხმარება პროვაიდერის და მომსახურების შერჩევაში.

სხვა ინდუსტრიების სტანდარტიზაცია არის ნათელი მაგალითი იმისა თუ რა როლი შეუძლია ითამაშოს სტანდარტების ერთიანი სისტემის შემუშავებას უსაფრთხოების, ხარისხის გაუმჯობესების და ინდუსტრიის ზრდისთვის უფრო ხელსაყრელი პირობების შექმნაში. დიდი ალბათობით,

სტანდარტების გამოყენება და აკრედიტაცია არა მხოლოდ გააუმჯობესებს სამედიცინო ტურიზმის ხარისხს, უსაფრთხოებას და აამაღლებს სამედიცინო ტურისტის კმაყოფილების დონეს, არამედ დააჩქარებს ამ ინდუსტრიის ზრდასაც.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Balaban V & Marano C (2010), Medical tourism research: A systematic review. International Journal of Infectious Diseases, 14, e135-e135.
2. Carabello L (2008), A Medical Tourism Primer for U.S. Physicians. Medical Practice Management, 23, 291-294.
3. Cattaneo O (2009), "Trade in health services what's in it for developing countries?" Policy Research Working Paper 5115, The World Bank Poverty Reduction and Economic Management Network International Trade Department, November, Available at: http:// papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id¼1503809 [Accessed 20 August 2014].
4. Frenz M & Lambert R (2012), Innovation Dynamics and the Role of the Infrastructure. Report on a research and evidence analysis for the Innovation Infrastructure Project.
5. Frenz M & Lambert R (2013), The Economics of Accreditation. Evidence paper for the United Kingdom Accreditation Service. Available: http://www.ukas.com/Library/Media-Centre/News/News-Archive/2013/Economics%20of%20Accreditation%20Final%20Report.pdf
6. Hitchkock L (2003),Standards during times of change: Aerospace strategy for keeping standards and business linked," ISO Buletin, April 2003, p14-19.
7. Hodgkinson D (2012), Standardization and business development: the global impact of the IOSA standards and the value of anticipation. Available at: http://hodgkinsongroup.com/documents/IEC_IOSA_IATA.pdf [Accessed 20 August 2014]
8. Horowitz M, Rosensweig J & Jones C (2007), "Medical tourism: globalization of the healthcare marketplace", Medscape General Medicine, Vol. 9 No. 4, p. 33.

Challenges and Opportunities of the Medical Tourism in the Context of Globalization

Marina Metreveli, Professor of Georgian Technical University

Maka Kuchava, PhD Candidate of Georgian Technical University

Summary

With the globalization, particularly in the post-pandemic period, the medical tourism industry is thought to flourish. This type of tourism is increasingly capturing the attention of individual healthcare consumers, service providers and countries seeking to develop new economic opportunities. It should be noted that the data on the size of the medical tourism industry, tourist / patient flows, providers, volume of services and its quality are scarce.

The aim of this paper is to define the role of standards and accreditation in order to accelerate the growth of the volume of the medical tourism industry and improve the quality.

The research objectives are:

Identify factors hindering the development of medical tourism during the pandemic.

Defining priorities of the medical tourism in the process of equalizing national tourism legislation with EU tourism legislation.

key words: Medical Tourism, Medical Tourists, Globalization, Standards and Accrediation.

თანამედროვე ტენდენციები და გამოწვევები სასტუმრო ინდუსტრიაში

ოსიტაშვილი ნინო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

ნადარეიშვილი ნანა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

XXI საუკუნე ხასიათდება ტექნოლოგიური ბუმით. თანამედროვე ინოვაციებმა გლობალური გარდატეხა მოახდინა ბიზნესში. სასტუმრო ინდუსტრიაც არ ჩამორჩა მიმდინარე პროცესებს. სასტუმრო მომსახურება უფრო გამჭირვალე და სენსიტიური გახდა. ციფრულმა ტექნოლოგიებმა კი თავის მხრივ ხელი შეუწყო ცნობადობის ამაღლებას. სასტუმროებისთვის რეპუტაციის შენარჩუნება და გამყარება უფრო მყიფე გახდა. დღევანდელ დღეს ნებისმიერ ტურისტს თუ ბიზნეს მოგზაურს სახლიდან გაუსვლელად მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში შეუძლია დაჯავშნოს სასტუმრო და წინასწარი განწყობაც შეიქმნას ამა თუ იმ განთავსების ობიექტზე. მომსახურების სფეროში ყველაზე მნიშვნელოვანი არის კონკურენტუნარიანობა. მის შენარჩუნებას და ბაზარზე ადგილის დამკვიდრებას რიგი ფაქტორების დაკმაყოფილება სჭირდება.

საკვანძო სიტყვები: სტუმარმასპინძლობა, კლასიფიკაცია, კონკურენცია, ბენჩმარკინგი, სტატისტიკა.

ძირითადი ტექსტი

თუ გადავხედავთ 2019 წლის ჩათვლით მსოფლიო სტატისტიკას სასტუმრო ინდუსტრიაში [1], დავინახავთ, რომ მსოფლიო ბაზარზე ახალი სასტუმროების რიცხვი 10% -დან 15 % -მდე იზრდებოდა ყოველწლიურად. ბოლო პერიოდში აზიური ბაზარი ძალიან მიმზიდველი გახდა ტურისტული ინდუსტრიისთვის და მსოფლიოს წამყვანმა ბრენდ-სასტუმროებმა ძირითადი ყურადღება ამ ბაზარზე გადაიტანეს და დაიწყეს ათვისება - მონოპოლიზაცია. ბაზარზე თავის მხრივ გამოჩნდა აზიური წარმოშობის ბრენდ სასტუმროებიც [2], რომლებმაც დიდი პოპულარობა მოიპოვეს და საკუთარი ქვეყნების საზღვრებსაც გასცდნენ. მაგ Minor hotels, Shangri_La Hotels and Resorts, OYO და სხვა.

ბრენდ სასტუმროების სიმრავლემ ხელი არ შეუშალა ადგილობრივ პატარა და საშუალო სასტუმროების გაჩენას. პირიქით, ბევრი ადგილობრივი ქსელიც კი შეიქმნა და თავისი ხელწერა აჩვენა მომხმარებელს. საქართველოში ამის ნათელი მაგალითია სასტუმროების ქსელი „რუმსი“.

სასტუმრო ბიზნესი ძალიან სპეციფიურია. მისი პროდუქტი სერვისია, რომლის ხარისხის შეფასება პროცესში ხდება. ამიტომ, მისი წინასწარი გაზომვა და შეფასება შეუძლებელია. თუმცა თანამედროვე ციფრულმა ტექნოლოგიებმა დიდი თავსატეხი გაუჩინა ჰოტელიერებს. ნებისმიერი სასტუმროს რეპუტაცია დამოკიდებული გახდა კლიენტთა კმაყოფილებაზე. ვირტუალურმა სამყარომ თავისი დიდი წვლილი შეიტანა სასტუმრო მომსახურების სპეციფიკაში. დღევანდელ დღეს ნებისმიერ კლიენტს შეუძლია შეაფასოს სასტუმრო თავისი განწყობის მიხედვით. არის შემთხვევები როდესაც განწყობას არაობიექტურობა სდევს და კლიენტი არასწორად აფასებს სასტუმროს. არ აქვს მნიშვნელობა ეს შეფასება დადებითია თუ უარყოფითი. მიუხედავად ამისა, ნებისმიერი მოგზაური სასტუმროს არჩევის დროს ხშირად კითხულობს შეფასებებს ამა თუ იმ სასტუმროზე და იქმნის წინასწარ განწყობას.

სასტუმროს სრულფასოვანი მუშაობისთვის პირველ რიგში სჭირდება, რომ იყოს კონკურენტუნარიანი. ბაზარზე სასტუმროს კონკურენტუნარიანობა ფასდება იმით, თუ რამდენად ორიგინალური და უფრო მიმზიდველი მახასიათებლებით შესთავაზებს სასტუმრო თავის პროდუქტს მომხმარებლებს ვიდრე კონკურენტები. სასტუმროს ეფექტიანობა ბაზარზე განისაზღვრება გაწეული ხარჯისა და ბაზარზე მიღებული რეზულტატის თანაფარდობით. საბაზრო შედეგი კი სასტუმროს აძლევს საშუალებას განვითარდეს გრძელვადიან პერსპექტივაში და დააკმაყოფილოს როგორც მფლობელის და მომუშავე პერსონალის მოთხოვნები, ასევე გაამართლოს კლიენტთა მოლოდინები.

სასტუმროს კონკურენტუნარიანობაზე გავლენას ახდენს მრავალი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს მის შესაძლებლობებს მოქმედ ეკონომიკურ და პოლიტიკურ პირობებში.

ზოგადად, სასტუმროს კონკურენტუნარიანობა ფარდობითი ცნებაა: ერთი და იგივე სასტუმრო, რეგიონში შესაძლებელია ჩაითვალოს კონკურენტუნარიანად, მაგრამ მსოფლიო ბაზარზე ან მის სეგმენტში არა.

მოგზაურობის ხელმისაწვდომობამ და ქვეყნებს შორის გამარტივებულმა სავიზო რეჟიმმა დიდი ნახტომით გაზარდა მოგზაურთა რიცხვი. მოგზაურობის მსურველთა სიმრავლემ ბიძგი მისცა სასტუმროების ქსელების გაფართოებას და ახალი სასტუმროების მშენებლობის ბუმის დაწყებას. ყოველივე ამან კი გაზარდა კონკურენცია.

ძირითადი პარამეტრი რითაც სასტუმროს კონკურენტუნარიანობა ფასდება, ეს არის სასტუმროს უნარი, მომხმარებელს შესთავაზოს სასტუმრო პროდუქტი კონკურენტებთან შედარებით უფრო მიმზიდველი მახასიათებლებით. სასტუმროს კონკურენტუნარიანობაზე მოქმედი ფაქტორები გავლენას ახდენენ მის პოზიციონირებაზე ბაზარზე.

სასტუმროებს შორის კონკურენცია ფასდება იმ შემთხვევაში თუ ისინი აკმაყოფილებენ მომხმარებლის იდენტურ მოთხოვნილებებს ბაზრის შესაბამის სეგმენტებში. შიდა კონკურენტული უპირატესობები, რომლებიც განსაზღვრავენ სასტუმროს საბაზრო პოზიციას, ჯგუფდებიან ექვსი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტის მიხედვით: [3]

1. კონკურენტუნარიანობა;
2. სასტუმროს ფინანსური მდგომარეობა;
3. მარკეტინგული საქმიანობის ეფექტიანობა;
4. გაყიდვების მომგებიანობა;
5. სასტუმროს სურათი (ბრენდის კაპიტალი);
6. მენეჯმენტის ეფექტიანობა.

საბაზრო პირობებში სასტუმროს მაღალი კონკურენტუნარიანობა მაღალი მომგებიანობის გარანტიაა. კონკურენციის მართვა ნიშნავს მეტი კლიენტის მოზიდვას, ახალი არხების გაჭრას, სწორედ დაგეგმილ რეკლამას, დანახარჯების დაზოგვით მიმზიდველი ტარიფის შეთავაზებას.

საქართველოს სასტუმროებს შორის საკმაოდ მაღალი კონკურენციაა და ყოველ წელიწადს სასტუმროების რიცხვის ზრდასთან ერთად ისიც მძაფრდება.

საქართველოში კონკურენცია მოითხოვს რიგი საკითხების გადაჭრას, როგორიცაა:

1. **კვალიფიციური კადრი.** მომსახურების სფეროში არაკვალიფიციური კადრის ყოლა თვალნათლივ აისახება მომსახურების ხარისხზე. არაკვალიფიციური პერსონალი ნიშნავს უკმაყოფილო კლიენტთა რაოდენობის გაზრდას, არასწორ ბიუჯეტირებასა და ხარჯების ოპტიმიზაციას.
2. **სასტუმროების კლასიფიკაცია.** ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული საკითხი სასტუმრო ინდუსტრიაში. ამ ეტაპზე საქართველოში არ არსებობს სასტუმროების კლასიფიკაციის შემუშავებული სტანდარტი. ნებისმიერი სასტუმრო, რომელიც უთითებს კლასიფიკაციას (ვარსკვლავს), საკუთარი განწყობის დ მოსაზრების მიხედვით აკეთებს, რაც ყოვლად დაუშვებელია. სასტუმროების კლასიფიკაცია, რომელიც იქნება მომსახურების ხარისხთან შერწყმული, სასტუმროებს მისცემს საშუალებას უფრო მაღალ დონეზე ავიდნენ და ბევრად უკეთესი პროდუქტი(სერვისი) შესთავაზონ მომხმარებელს. ის ორგანიზაცია, რომელიც მიანიჭებს ქვეყანაში სასტუმროებს კლასიფიკაციას, უნდა ზრუნავდეს და იცავდეს ჰოტელიერების ინტერესებს. ანუ, უნდა ატარებდეს კვალიფიკაციის ამაღლების ტრეინიგებს, ეხმარებოდეს სასტუმროებს საგადასახადო სისტემაში არსებული პრობლემების გადაჭრაში, მოლაპარაკებებს აწარმოებდეს სამთავრობო სტრუქტურებთან და ეცადოს გადასახადებში შეღავათების დაწესებას.
3. **არქიტექტურა და დიზაინი.** როდესაც სტანდარტი დადგენილია, ის არქიტექტორებს და დიზაინერებს საქმეს უადვილებს დაგეგმარებისას. წინასწარ განსაზღვრული სტანდარტის

მიხედვით, არქიტექტორებს და დიზაიენერებს უკვე ხელთ აქვთ გეგმა რა კატეგორიის სასტუმროს როგორი ინფრასტრუქტურა უნდა ჰქონდეს. როგორ დაიგეგმოს სტუმრის და პერსონალის არეალი, ისე რომ პერსონალი ნაკლებად თვალში მოსახვედრი იყოს სტუმრისთვის. სად უნდა იყოს სამზარეულო და სად რესტორანი. ბარი და საწყობი როგორ უნდა იყოს დაკავშირებული ერთმანეთთან, სად უნდა იყოს საწყობი და საიდან უნდა ხორციელდებოდეს დისტრიბუცია და ა.შ. როდესაც სასტუმროს შენობა სწორედ არის დაგეგმარებული ეს ზოგავს ზედმეტი, არასწორი დანახარჯებისაგან და აადვილებს ხარისხიან მომსახურებას.

4. **დამატებითი მომსახურება.** ქვეყნაში ტურიზმის განვითარებას თან სდევს ინფრასტრუქტურის განვითარებაც. როდესაც ტუროპერატორი ყიდის ტურისტულ პაკეტს, გარდა კვებისა და განთავსების, ყოველთვის ექცევა ყურადღება თუ რა სხვა აქტივობები შედის პაკეტში. ქვეყანა, რომლის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტად ტურიზმი ითვლება, ყურადღება მეტად გამახვილებული უნდა იყოს ქვეყანში უსაფრთხოებაზე, გაუმართავ გზებზე და მოუწესრიგებელ სველ წერტილებზე, სარესტავრაციო ისტორიულ ძეგლებზე და ა.შ.
5. **უსაფრთხოება.** ეს არის სასტუმროების აქილევსის ქუსლი. 2018 წლამდე აგებულ და გახსნილ სასტუმროებში ხანძარსაწინააღმდეგო სისტემები ან არ არის დამონტაჟებული ან სტანდარტი დარღვეულია. საერთაშორისო ტურისტული ორგანიზაცია ყველა სასტუმროს უგზავნის უსაფრთხოების ჩეკ-ლისტს, რომლის შევსების და საჭირო დოკუმენტაციის გადაგზავნის შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას რომელ სასტუმროსთან ითანამშრომლოს. ამიტომ, არასწორად დაგეგმილი ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა სასტუმროებს ხელს უშლის ტურისტების მოზიდვაში და მისი კონკურენტუნარიანობაც დაბლა ეცემა.

დასკვნა

Covid 19 პანდემიის გამო გამოწვეულმა მსოფლიო კოლაფსმა, კიდევ უფრო დაამძიმა და გაამკაცრა სასტუმროებისადმი უსაფრთხოების ნორმის დაცვის მოთხოვნები. STR- მსოფლიოში უმსხვილესი გლობალური კომპანიაა, რომელიც ემსახურება სასტუმროებს და აძლევს შედარებით ანალიზს ერთი და იგივე კატეგორიისა და სეგმენტის სასტუმროებს. ის ყოველწლიურად აახლებს ინფორმაციას მსოფლიოში სასტუმროების შესახებ . ამჟამად STR-ს გააჩნია დაწვრილებითი ანალიზი მსოფლიოს 67000 სასტუმროზე[4]). მიუხედავად იმისა, რომ STR წარმოიშვა აშშ-ში, 1998 წელს PriceWaterhouseCooper's- ისა და 2008 წელს HotelBenchmark- ის შეთანხმებამ ხელი შეუწყო კომპანიის გლობალურ გაფართოებას. STR-ის მიერ გამოქვეყნებული მონაცემები სასტუმროებს ხელს უწყობს სწორ დაგეგმვაში და ბაზარზე ახალ სეგმენტზე გასვლაში. კომპანია იყენებს ბენჩმარკინგის ინსტრუმენტებს მუშაობაში და თვლის რომ პანდემიის დროს და მისი დასრულების შემდეგ სასტუმროებს გაუადვილებს კონკურენციას ბაზარზე, თუ ისინი ისარგებლებენ ამ ინსტრუმენტებით. იგი თავის მომხმარებელს სთავაზობს სააბონენტოს საფასურად მიაწოდოს მსოფლიო ბაზრის ბოლო მონაცემები, რომელიც მოიცავს შემდეგ ინდექსებს:

1. ბაზარზე შეღწევადობის ინდექსი;
2. ADR იდენტიფიცირებული[საშუალო მაჩვენებლის ინდექსი];
3. RevPAR შედარებით განსაზღვრული[შემოსავლის გენერირების] ინდექსი.

კონკურენტებზე სწორი ინფორმაციის ფლობა ბენჩმარკინგული ანალიზისთვის, სასტუმროებს გაუადვილებს სწრაფად დააღწიონ თავი არსებული კრიზისს.[5]

გამოყენებული ლიტერატურა

1. https://str.com/sites/default/files/global-hotel-study-report-2019-2020.pdf
2. https://en.wikipedia.org/wiki/List_of_chained-brand_hotels
3. Мошнов В.А. Комплексная оценка конкурентоспособности предприятия. [ელ ვერსია] URL: http://www.cfin.ru/ management/strategy/estimate_competitiveness. Shtml
4. (https://www.marketsandmarkets.com/Market-Reports/covid-19-impact-on-analytics-market-11024881.html
5. Gursoy, D.; Chi, C.G. Effects of COVID-19 pandemic on hospitality industry: Review of the current situations and a research agenda. J. Hosp. Mark. Manag. 2020, 29, 527–529..

Modern trends and challenges in the hotel industry

Ositashvili Nino, Doctoral student at the Georgian Technical University

Nadareishvili Nana, Associate Professor at the Georgian Technical University

Summary

The 21st century is characterized by a technological boom. Modern technological advances and innovations have made a global breakthrough in business. The hospitality industry is keeping up with current processes. Hotel services have become more transparent and sensitive. Digital technology, in turn, has helped raise awareness. Maintaining and strengthening the hotel's reputation has made it more fragile. Today, any tourist or business traveler can book a hotel anywhere in the world without leaving home and create a preliminary mood for a particular accommodation facility.

Competitiveness is most important in the service sector. To maintain this and establish a place in the market you need to meet a number of factors.

Keywords: hospitality, classification, competition, benchmarking, statistics

ტურიზმის პანდემიური პრობლემები და მაღალი ინფლაცია საქართველოში

ქაჯაია ქეთევან
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

აბსტრაქტი

ტურიზმი დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკის და საზოგადოების სტაბილურ განვითარებაზე, მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ტურიზმი ეროვნული ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებად მიიჩნევა. ტურიზმის ინდუსტრიას, როგორც მომსახურების სფეროს, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში და საქართველო ამ მხრივ, გამონაკლისი არ არის. საქართველოში ტურიზმის განვითარება ხელს უწყობს ეკონომიკის ზრდას, ქართული ტრადიციების კულტურული და ისტორიული ფასეულობების პოპულარიზაციას, რაც მოსახლეობას დამატებით შემოსავლებს აძლევს, საგრძნობლად ამცირებს უმუშევრობის დონეს. ტურიზმი ეკონომიკისა და ბიზნესის წარმართვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

შესაბამისად, ლოგიკურია, რომ ტურიზმის სექტორი ერთ-ერთია, რომელმაც ყველაზე დიდი დარტყმა მიიღო COVID-19-ის პანდემიისაგან. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) შეფასებით, 2020 წელს დაფიქსირდა საერთაშორისო ტურისტული მიმოსვლების მკვეთრი შემცირება, ნავარაუდევი 3-4%-იანი ზრდის ნაცვლად, რაც ნიშნავს, საერთაშორისო ვიზიტორების დანახარჯებიდან მიღებული თანხების 30-50 მილიარდი აშშ დოლარით შემცირებას.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმი, ლარის კურსი, ინფლაცია, პანდემია, საერთაშორისო ვიზიტორები, ფულადი გზავნილები

ძირითადი ტექსტი

საქართველო იმ ქვეყნებს შორისაა, სადაც ტურიზმის სექტორს მშპ-ს მნიშვნელოვანი წილი უჭირავს (11,5% 2019 წლის მონაცემებით). ამ წელს საქართველომ საქონლისა და მომსახურების ექსპორტიდან 9,5 მლრდ აშშ დოლარი მიიღო, საიდანაც ტურიზმის შემოსავალი 3,3 მლრდ აშშ დოლარია (ჯამურის 34%). მსოფლიო ეკონომისტთა პროგნოზებით, ის ქვეყნები, რომელთა ჯამურ ექსპორტში ტურიზმიდან შემოსავალი 20%-ზე მეტია, მიმდინარე პანდემიის მიმართ ეკონომიკურად ყველაზე მოწყვლადები არიან. ოფიციალური მონაცემით, ტურიზმის სფეროში დასაქმებულია 150 000-ზე მეტი ადამიანი. თუმცა იგი დიდი ალბათობით, არ ასახავს იმ არარეგულირებად და ხშირად არაფორმალურ დასაქმებას, როგორიცაა არარეგისტრირებული საოჯახო სასტუმროები, ტრანსპორტირების სერვისები, კერძო სახლებისა და პატარა ბინების გაქირავებისა და მათი მომსახურების სერვისი და სხვა.

საქართველოში 2020 წელი ტურიზმის ზრდით დაიწყო. იანვარში უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა, წინა წელთან შედარებით, 19%-ით გაიზარდა, თუმცა თებერვლიდან უკვე გამოჩნდა პანდემიის გავლენა და ზრდის ტენდენციამ შემცირება დაიწყო. 18 მარტიდან საქართველოს საზღვრები ჩაიკეტა და ვიზიტორების შემოსვლა შეწყდა. აგვისტოში საჰაერო საზღვრები ნაწილობრივ გაიხსნა, თუმცა ამას დიდი გავლენა არ მოუხდენია და იანვარ-ნოემბერში ვიზიტორების რაოდენობა 81%-ით შემცირდა. 11 თვეში სულ 1.7 მლნ ვიზიტორი შემოვიდა, აქედან - 1.1 მლნ იანვარ-თებერვალში, ანუ არაპანდემიურ პერიოდში. მარტ-ნოემბერში ვიზიტორების სტატისტიკა, ძირითადად, საერთაშორისო გადაზიდვებში დასაქმებულ მძღოლებს მოიცავს.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2019 წელს ტურიზმიდან შემოსავალი, წინა წელთან შედარებით, 1.4 პროცენტით გაიზარდა და 3 მილიარდ 268 მილიონ დოლარს მიაღწია. 2018 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 3 მილიარდ 222 მილიონი დოლარი იყო. ბანკის ინფორმაციით, ამ წლის დასაწყისში ტურიზმიდან შემოსავლები იზრდებოდა, თუმცა მოსკოვის ავიასანქციების ამოქმედების შემდეგ, ივლისი-სექტემბერში მაჩვენებლის კლება დაფიქსირდა. ტურიზმის ეროვნული

ადმინისტრაციის მონაცემებით, 2019 წელს საქართველოში საერთაშორისო ვიზიტორთა რაოდენობამ 9 მილიონს გადააჭარბა.

2019 წლის ბოლოს საქართველოს მთავრობა პროგნოზირებდა, რომ 2020 წელს ეკონომიკა 4.5%-ით გაიზრდებოდა. იანვარში მართლაც დაფიქსირდა 5.1%-იანი ზრდა, მაგრამ თებერვლიდან უკვე პანდემიის გავლენით ზრდის ტემპი 2.2%-მდე შემცირდა. 21 მარტიდან საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. აქედან გამომდინარე, მარტში ეკონომიკა 2.7%-ით შემცირდა. პრაქტიკულად, გაჩერდა ტურიზმი. 2020 წლის 9 თვის მონაცემებით, ყველაზე დიდი კლება სასტუმროებისა და რესტორნების სექტორში იყო – 32%.

ფაქტობრივი მოცემულობაა, რომ საქართველოს მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ტურიზმისგან შემოსულ თანხებსა და ემიგრანტების მიერ გადმორიცხულ ფულად გზავნილებზე. მაკროეკონომიკური კუთხით რომ შევხედოთ, ქვეყნის ეკონომიკის ზრდაც და ლარის კურსის სტაბილურობაც ამ ორ მაჩვენებელზე, ფულად გზავნილებსა და ტურიზმზეა მიბმული. საქონლით ვაჭრობის ტრადიციულ დეფიციტს თითქმის აკომპენსირებს უცხოური ვალუტის შემოდინების აღნიშნული ორი წყარო, პლუს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2020 წლის აგვისტოში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ $184.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 25.8%-ით (37.8 მლნ აშშ დოლარით) მეტია 2019 წლის აგვისტოს ანალოგიურ მაჩვენებელზე. $184.2 მილიონი დოლარი არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი თანხა, რომელიც საქართველოში გზავნილების სახით გადმორიცხულა. ამაზე დიდი გზავნილები მხოლოდ ივლისში იყო - $188.7 მილიონი. 2020 წლის რვა თვის განმავლობაში საქართველოში გზავნილების სახით ჯამში $1.14 მილიარდი დოლარი გადმოირიცხა, რაც 2019 წელთან შედარებით $34.9 მილიონით (3.1%-ით) მეტია. საქართველოს კომერციულ ბანკებში 2020 წელს ელექტრონული სისტემებით ფულადი გზავნილების მოცულობა 2019 წელთან შედარებით 8,8%-ით გაიზარდა და 1 866 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. როგორც ვხედავთ, პანდემიის პერიოდში ფულადი გზავნილების მოცულობა მკვეთრად გაიზარდა და ის ვერ იქნებოდა ლარის კურსის არასტაბილურობის განმსაზღვრელი.

აქვე მოვიტანთ ერთ საინტერესო მაჩვენებელსაც. საქსტატის მონაცემებით, 2020 წელს საქართველოში 617 მლნ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა, რაც 53%-ით (694 მლნ დოლარით) ნაკლებია 2019 წლის მონაცემებზე. უკვე ვთქვით, რომ 2019 წელს ტურიზმიდან შემოსავალმა 3 მილიარდ 268 მილიონ დოლარს მიაღწია. 2020 წლის 11 თვის განმავლობაში საქართველოს შემოსავალი საერთაშორისო ტურიზმიდან 82%-ით შემცირდა და მხოლოდ $527 მილიონი დოლარი შეადგინა. ამ თანხის უდიდესი ნაწილი ($427 მილიონი) ლოქდაუნის დაწესებამდე ქვეყანაში შემოსულმა საერთაშორისო ვიზიტორებმა დახარჯეს, ლოქდაუნის დაწესების და საავიაციო მიმოსვლის დახურვის შემდეგ, საქართველომ ტურიზმიდან მხოლოდ $100 მილიონი დოლარი მიიღო. შესაბამისად, თანხა, რომელიც საქართველოს ტურიზმის სექტორმა 2020 წელს დაკარგა, $2.5 მილიარდია.

როგორც ვხედავთ, სამი მთავარი შემავსებლიდან, ფულადი გზავნილები გაიზარდა, უცხოურ ინვესტიცია თითქმის 700 მილიონით შემცირდა, ხოლო ტურიზმის სექტორმა 2,5 მილიარდი დაკარგა, რაც ძალიან დიდი დარტყმა აღმოჩნდა ლარის კურსზე და შესაბამისად, განსაზღვრა ინფლაციური პროცესები.

წლიური ინფლაციის დონემ 2020 წლის იანვარ-ნოემბერში 3.8% შეადგინა, თუმცა აპრილში 6.9%-მდე იყო გაზრდილი. ინფლაციის გამომწვევ მთავარ ფაქტორად ლარის კურსის ვარდნა დასახელდა. ერთი მხრივ, კურსის ვარდნამ გააძვირა იმპორტირებული პროდუქცია და ამასთან, შექმნა ნეგატიური მოლოდინები ფასების კიდევ უფრო ზრდის მიმართულებით, 2020 წლის დასაწყისში ლარის კურსი დოლარის მიმართ 2.87 იყო. პანდემიის გამო დაწესებულმა ეკონომიკურმა შეზღუდვებმა, ტურიზმის შეჩერებამ, მარტში ლარის სწრაფი გაუფასურება გამოიწვია. 27 მარტს კურსმა რეკორდულად მაღალ მაჩვენებელს მიაღწია – ოფიციალური კურსით

ერთი დოლარი 3.48 ლარი ღირდა. შემდეგ, ეროვნული ბანკის მიერ გაყიდული დოლარისა და პანიკის გარკვეულწილად ჩაცხრობის გამო ლარი 3.04-მდე გამყარდა. სექტემბრიდან ისევ გაუფასურება დაიწყო და დეკემბრის ბოლოს საშუალოდ 3.27-ზე შეჩერდა. რადგან ლარის გაუფასურება ინფლაციაში გადაიზარდა, ეროვნულმა ბანკმა კურსის გაუფასურების შესაჩერებლად მარტიდან წლის ბოლომდე სავალუტო აუქციონზე 843 მლნ დოლარი გაყიდა. ამ თანხით ნაწილობრივ დაიფარა უცხოური ვალუტის ის დანაკლისი, რაც საქართველოს საგარეო წყაროებიდან (განსაკუთრებით ტურიზმიდან) დააკლდა. ლარის გაუფასურება 2021 წელსაც გაგრძელდა. ლარი დოლართან ბოლო ერთი თვის განმავლობაში 3.4%-ით გაუფასურდა და ერთი დოლარის ოფიციალური ღირებულება 3.44 ლარს გადასცდა. შესაბამისად, გაიზარდა ინფლაცია. მაგალითად, თებერვალში წლიური ინფლაცია 3,6% იყო, თუმცა კონკრეტულ პროდუქტებზე ფასის ცვლილება გაცილებით მაღალი. მაგალითად, სურსათის კატეგორიაში თითქმის ყველა ქვეჯგუფში ფასები მკვეთრად გაიზარდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, ტურიზმის მთლიანმა გაჩერებამ გამოიწვია ის, რომ ამ ეტაპზე ბაზარს დააკლდა დიდი თანხა. ამ ვითარებას ბუნებრივად მოჰყვა პანიკა ბაზარზე და ასევე ბუნებრივი მცდელობა, კრიზისების დროს ლარის ანგარიშები გადავიდეს დოლარში.

დასკვნა

ბოლო წლებში ტურიზმი საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სექტორად ჩამოყალიბდა, რომელიც მშპ-ს დაახლოებით 11%-ს აგენერირებს. COVID-19-ის პანდემიის შედეგად გამოწვეული მოგზაურობის შიში და ჩაკეტილი საზღვრები ყველაზე ნეგატიურ გავლენას სწორედ ტურიზმის ინდუსტრიაზე ახდენს, რაც შესაბამისად, აისახა კიდეც საქართველოში ლარის გაუფასურებასა და ინფლაციის ზრდაზე.

საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია ტურიზმის აღდგენა, კერძოდ, უცხოელი ვიზიტორების შემოსვლა. 2019 წელს საქართველოში 9.4 მლნ ვიზიტორი შემოვიდა. ამ მაჩვენებელს საქართველო 2021 წელს ვერ დაუბრუნდება. რამდენი ვიზიტორი შემოვა, ძნელია პროგნოზირება, რადგან ეს მხოლოდ საქართველოში არსებულ მდგომარეობაზე არ არის დამოკიდებული. იმ ქვეყნებშიც, საიდანაც ჩვენთან ვიზიტორების დიდი ნაკადები შემოდიოდა, მძიმე ეპიდემიოლოგიური და ეკონომიკური სიტუაციაა. წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ ტურიზმის მხრივ 2021 წელი 2020 წელზე უკეთესი იქნება და ვიდრე ეს სიტუაცია გაგრძელდება, ლარის გამყარებისა და შესაბამისად, სამომხმარებლო პროდუქტის ტოტალური გაიაფების ტენდენციას არ უნდა ველოდოთ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თამარ ხორბალაძე, COVID 19-ის პანდემიის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე რეგიონულ ჭრილში, 2020.
2. მირანდა გავაშელი, ტურიზმის დარგი და მისი გავლენა რეგიონული ეკონომიკის განვითარებაზე, 2018
3. ფორბსი, 2021 წლის თებერვალი
4. საქსტატის და ეროვნული ბანკის მონაცემები

Tourism`s pandemic problems and higher inflation rate in Georgia

Ketevan Kajaia, Assistant Professor of Georgian Technical University

Summary

Tourism has a big impact over the development of country`s economic and social stability, improvement of material condition and satisfaction of spiritual needs. Thus, it`s natural that tourism is considered as a priority trend of national economy`s development. Tourism industry as the service field has a special position in world economy`s development and Georgia in this point of view is not an exception at all. Tourism development in Georgia promotes economic growth, popularization of traditional culture and historic values, which gives an additional income to the population and significantly decreases unemployment rate at a time. Tourism is one of important factors to manage economy and business.

Therefore, it`s logic that tourism sector is one of the sectors, who has received the biggest shock from COVID-19 pandemic. According the evaluation of World Tourism Organization (UNWTO), in 2020 international tourist arrivals were sharply decreased instead of expected 3-4% increase, that means decrease of amounts acquired from international visitors expenses by 30-50 billion USD.

როგორ უნდა გამოვიდეს ტურიზმი პანდემიური შოკიდან

ქაჯაია ქეთევან
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

აბსტრაქტი

ტურიზმის სექტორი მიმდინარე პანდემიის გამო მწვავე კრიზისს განიცდის. საერთაშორისო მოგზაურობა, ადგილობრივი ტურისტული საქმიანობა, სასტუმრო და სარესტორნო მომსახურება პრაქტიკულად გაჩერებულია. ტურიზმის ინდუსტრიის მოთამაშეებს - სასტუმროებს, რესტორნებს, ავიაკომპანიებს, ტურისტულ კომპანიებს და კულტურულ და ბუნებრივ ტურისტულ ობიექტებს - შეექმნათ პრობლემა, რომლის გადალახვა ამ ეტაპზე ძალიან რთული ჩანს.

ტურიზმის სექტორის კრიზისის სიმძიმე მეტწილად დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენ ხანს გაგრძელდება პანდემია. შეზღუდვების ეტაპობრივი შერბილების შემთხვევაშიც კი, სავარაუდოდ, ტურიზმის სექტორს მოუწევს მუშაობა შემცირებული სიმძლავრით. COVID -ით გამოწვეულმა კრიზისმა დიდი ხნით შეაჩერა საქართველოში ტურისტული საქმიანობა, რის გამოც ტურისტული ინფრასტრუქტურა და ის ადგილები, სადაც მნიშვნელოვანი ინვესტიცია განხორციელდა, უფუნქციოდ დარჩა. მაკრო დონეზე, ქვეყანამ დაკარგა უცხოური ვალუტის გენერირების მნიშვნელოვანი წყარო და ამ სექტორიდან მიღებული გადასახადები. მნიშვნელოვანია ის ფაქტორი, რომ რეალურია ინფექციის შესაძლო მომდევნო ტალღები და ანალოგიური მზარდი ეპიდემიოლოგიური სიტუაცია მეზობელ ქვეყნებში.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმი, შიდა ტურიზმი, ეკონომიკური კრიზისი, ანტიკრიზისული გეგმა, საგადასახადო შეღავათები, ტურიზმის სექტორი, კოვიდპანდემია

ძირითადი ტექსტი

ეროვნულ ეკონომიკაში ტურიზმის მნიშვნელობის შესაფასებლად უნდა გავითვალისწინოთ მისი წვლილი მშპ-ში. მსოფლიო მოგზაურობისა და ტურიზმის საბჭოს მეთოდოლოგიის (WTTC) საფუძველზე, 2019 წელს საქართველოს ტურიზმის სექტორის მთლიანმა წვლილმა მშპ – ში, მეოთხედზე მეტი (26,3%) შეადგინა, რაც 2018 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით მცირე იყო (27%). მთლიანი წვლილი მშპ-ის მაჩვენებელში 2011 წლიდან 2019 წლამდე გაორმაგდა (127%-იანი ზრდა), ამ პერიოდში საშუალო წლიური ზრდის ტემპმა 11.1% შეადგინა. იმავე საბჭოს განმარტებით, თუ ტურიზმის სექტორის მთლიანმა წვლილმა ქვეყნის მშპ– ში 20%-ზე მეტი შეადგინა, პანდემიის პირობებში ეკონომიკა ხდება მკვეთრად მოწყვლადი. ამიტომ არ არის გასაკვირი ის ჩიხური სიტუცია, რაც საქართველოშია შექმნილი. გასათვალისწინებელია ერთი ფაქტორიც: ტურიზმის ინდუსტრიის აღდგენას და კრიზისამდელ დონეზე დაბრუნებას, უკეთეს შემთხვევაში 3-4 წელი დასჭირდება. ინდუსტრიის სერვისებზე მოთხოვნა შემცირდება და აღდგენის პროცესი დამოკიდებული იქნება: ვაქცინის ეფექტიანობაზე ან COVID-19–ის ეფექტურ მკურნალობაზე, რისი პერსპექტივაც ჯერ არ ჩანს.

ამიტომ ბუნებრივად ჩნდება მთავარი საკითხი: ეკონომიკის სრულ რეაბილიტაციამდე რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ პრობლემები ნაწილობრივ მაინც მოგვარდეს და ბიზნესის გაჩერებულმა სახეობებმა შეღავათი იგრძნონ.

ამ ეტაპზე ტურისტული კომპანიებისთვის ყველაზე გადაუდებელი გამოწვევა კომერციული სესხის ვალდებულებების სუბსიდირებაა. კრიზისის პერიოდში ტურიზმის სექტორის საჭიროებები შეიძლება შემდეგ კატეგორიებად გადანაწილდეს: საგადასახადო შეღავათების შემოღება; ფინანსურ ინსტიტუტებთან კომუნიკაციის მხარდაჭერა და საპროცენტო განაკვეთების, შემოსავლისა და ქონების გადასახადების შეჩერება; კომუნალური ტარიფების გათანაბრება ფიზიკური პირების ტარიფებთან ან ტარიფების შემცირება მცირე ბიზნესებისთვის, რომლებიც ტურიზმთან დაკავშირებულ ინდუსტრიებში არიან ჩართულნი, განსაკუთრებით საოჯახო სასტუმროები, მცირე მარნები, რესტორნები, ღვინის ბარები და ღვინისა და სუვენირების მაღაზიები, რომელთა უმეტესობა სეზონურად მუშაობს, კომუნალური

ტარიფები (ელექტროენერგია, გაზი, წყალი) 12 თვის განმავლობაში ფიზიკური პირების ტარიფებთან უნდა გათანაბრდეს. თუ კომუნალური ტარიფების გათანაბრება შეუძლებელია, ისინი უნდა შემცირდეს; საპენსიო გადასახადის გაუქმება. კერძო სექტორის კომპანიები უნდა გათავისუფლდნენ საპენსიო შენატანებისგან.

ბუნებრივია, პანდემიის შემდეგ შეიცვლება ტურისტული ინდუსტრია. შესაძლოა შემცირდეს დიდი სასტუმროების მომსახურებაზე მოთხოვნა და პატარა სასტუმროები უფრო მიმზიდველად ჩაითვალოს. ამასობაში, ტურიზმი ღია ცის ქვეშ უფრო მიმზიდველი გახდება, ხოლო შეხვედრები, წამახალისებელი მოგზაურობები, კონფერენციები და გამოფენები შემცირდება. მოკლევადიან პერსპექტივაში მოსალოდნელია, რომ ტურიზმში მხოლოდ მცირე ჯგუფები ჩაერთვებიან. პანდემიის დროს საერთაშორისო ტურისტების ნაკადის შემცირების ფონზე, მნიშვნელოვანი ხდება შიდა ტურიზმის როლი. კარანტინის ზომების შემსუბუქების საწყის ეტაპზე, ქვეყანაში მოგზაურობის მოტივაცია, სავარაუდოდ, მაღალი იქნება, ხოლო საერთაშორისო მოგზაურთა ვიზიტები შემცირდება. მიზანმიმართულმა საკომუნიკაციო კამპანიამ შესაძლოა შიდა ტურებზე მოთხოვნა მნიშვნელოვნად გაზარდოს. შიდა მოგზაურობის სტიმულირების გადამწყვეტი ფაქტორები მოიცავს ფასების პოლიტიკას, კერძო სექტორის მოთამაშეების მიერ შემუშავებულ და შემოთავაზებულ პროდუქტებს/პაკეტებსა და საქართველოს მოქალაქეების მზაობასა და ფინანსურ შესაძლებლობებს მოგზაურობის უზრუნველსაყოფად. ამ მხრივ ახალი პროდუქტის შეთავაზებები შეიძლება მოიცავდეს საოჯახო ტურებს მთიან რაიონებში ან ისტორიულ-კულტურულ ადგილებში.

2019 წელს ქართველმა ტურისტებმა უცხოეთში 2.1 მილიარდი ლარი დახარჯეს და ეს მაჩვენებელი მოიცავს მხოლოდ საბანკო ბარათებით გადახდილ თანხას. **შესაბამისად, შიდა ტურიზმის გააქტიურებით ჩვენს ქვეყანას შეუძლია გადაარჩინოს ტურიზმის სექტორი მიმდინარე წელს, ისე რომ საზღვრები უამრავ, პანდემიის მხრივ რისკ-ქვეყანებთან ისევ ჩაკეტილი ჰქონდეს.** დასავლეთ ევროპაში არსებული მძიმე ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, შესაძლოა საჭირო გახდეს დროებითი ცვლილება იმ ქვეყნების ჩამონათვალში, რომლებსაც ქართული ტურიზმის მარკეტინგული კამპანია მიზნობრივად მოიცავს. მარკეტინგული კამპანიები შესაძლოა ფოკუსირებული იყოს მეზობელ სახელმწიფოებსა და ისეთ აუთვისებელ ბაზრებზე, როგორებიცაა ყოფილი იუგოსლავიის ქვეყნები, რუმინეთი, ბულგარეთი და უნგრეთი.

საინტერესო იქნება ევროპული ქვეყნების გამოცდილების გაზიარება ადგილობრივი ტურიზმის ხელშეწყობის საქმეში. მაგალითად, იტალიაში, Bonus Vacanze ინიციატივა ოჯახებს, რომლებსაც აქვთ 40,000 ევრომდე შემოსავალი, სთავაზობდა 500 ევრომდე ვაუჩერს შიდა ტურიზმზე დასახარჯად. მალაიზიამ გამოყო 113 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების სამოგზაურო ფასდაკლების ვაუჩერები, ასევე პირადი გადასახადის შემცირება 227 აშშ დოლარამდე შიდა ტურიზმთან დაკავშირებული ხარჯებისთვის. კოსტა რიკამ 2020 და 2021 წლების ყველა დღესასწაული ორშაბათს გადაიტანა, რომ კოსტარიკელებმა გახანგრძლივებულ შაბათ-კვირა გამოიყენონ ქვეყნის შიგნით მოგზაურობისთვის. საფრანგეთმა წამოიწყო კამპანია #CetÉtéJeVisiteLaFrance ("ამ ზაფხულს, საფრანგეთს ვესტუმრები"), რომელიც ხაზს უსვამს ქვეყნის მასშტაბით ტურისტული მიმართულებების მრავალფეროვნებას. ტაილანდი სუბსიდირებას გაუწევს სასტუმრო ნომრის სტანდარტული ფასის 40%-ს განთავსების 5 ღამის განმავლობაში.

შიდა ტურიზმის სტიმულირება მოითხოვს იმის გარკვევას, თუ ბაზრის რომელ სეგმენტებს შეეძლებათ მოგზაურობა. ასევე საჭიროა პოტენციური ვიზიტორების მოთხოვნებისა და მოლოდინების დადგენა. ბოლო წლების განმავლობაში ბევრმა ქართველმა დაიწყო შვებულების უცხოეთში გატარება. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ამ დროისთვის ამგვარი არჩევანი ძალზე შეზღუდული იქნება და საქართველოში დასვენება ბევრად უსაფრთხოა, ბევრი ჩვენი მოქალაქე აირჩევს შვებულების საქართველოში გატარებას. თუ გვსურს, რომ შიდა ტურიზმი აყვავდეს, აუცილებელია ტურიზმის სექტორში მოქმედმა ბიზნესებმა ფასების ისეთი პოლიტიკა შეიმუშაონ, რომელიც ქართველებზე იქნება მორგებული. გარდა ამისა, საჭირო იქნება კიდევ ერთი აუცილებელი მარკეტინგული კამპანია, რომელიც ქართველებს საკუთარ ქვეყანაში დასვენებისკენ მოუწოდებს.

საზღვარგარეთ მოგზაურობის შეზღუდვა გარკვეულწილად შიდა ტურიზმის ხელშემწყობ ფაქტორად შეიძლება მივიჩნიოთ, თუმცა, გასათვალისწინებელია, პარალელურად ქვეყანაში არსებული რთული ეკონომიკური მდგომარეობა და არასტაბილური ეპიდემიოლოგიური ვითარება, რაც უარყოფითად აისახება პოტენციური ქართველი მომხმარებლის ფინანსებზე. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ შიდა ტურიზმზე ორიენტირით ტურიზმის სექტორის წარმომადგენლების მიმდინარე გამოწვევები ვერ მოგვარდება და შიდა ტურიზმი ვერ შეძლებს საერთაშორისო ტურიზმის დანაკარგების მნიშნველოვნად შევსებას. შიდა ტურიზმს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ მინამლური გავლენა ხარჯების დაფარვის ან თანამშრომლების გარკვეული ნაწილის შენარჩუნების კუთხით. ესეც უმეტესად ეხება სასტუმროებს და რესტორნების სეგმენტს, და ნაკლებად ტურკომპანიებს. შიდა ტურიზმის განვითარება გრძელვადიანი სამომავლო პერსპექტივაა, რომლისთვისაც საჭიროა გამართული სტატისტიკური მონაცემები, მზაობა ტურიზმის სექტორის წარმომადგენლების მხრიდან, სახელმწიფოსა და სექტორის წარმომადგენლებს შორის მჭიდრო კომუნიკაცია და რიგი თანმდევი პროცესების ანალიზი.

დასკვნა

უნდა აღინიშნოს, რომ მთავრობის მიერ ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში განხორციელებულმა ღონისძიებებმა, საგადასახადო შეღავათების სახით ტურიზმის სექტორში არსებული მდგომარეობა მოკლევადიან პერიოდში შეამსუბუქა. რაც შემდგომში ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გაუარესების ფონზე არ აღმოჩნდა საკმარისი სირთულეების დასაძლევად. პანდემიის შემდგომი პერიოდის ეკონომიკური პრობლემების დაძლევის მხრივ მნიშნველოვანი როლი სახელმწიფოს ენიჭება. მთვარობამ ეკონომიკის შემდგომი გაჯანსაღებისა და კერძოდ ტურიზმის სექტორის მხარდაჭერის მიმართულებით უნდა შეიმუშაოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი ანტიკრიზისული გეგმები, რომელშიც გაიზრდება საგადასახადო შეღავათების წილი და სუბსიდირების მექანიზმები, რათა ნაკლები დანაკარგებით იქნეს რეანიმირებული ტურიზმის სექტორი პოსტ პანდემიურ პერიოდში. ამ მიზნების გადასაჭრელად მიზანშეწონილია საგადასახადო პოლიტიკის ლიბერალიზაცია, საბანკო სესხებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და სხვა მსაგვსი ღონისძიებები, რაც მიმართული იქნება ტურისტული სექტორის გაჯანსაღების და აღდგენისკენ, რათა თავიდან იქნეს აცილებული ეკონომიკური კოლაფსი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართელოს ეროვნული პლატფორმა, "პანდემიის პირობებში ტურიზმის ინდუსტრიაში არსებული გამოწვევები, სიტუაციის სოციალურ-ეკონომიკური ანალიზი და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის რეკომენდაციები, 2020 , დკემბერი
2. ტურიზმის სექტორი საქართველოში - იუსაიდის კვლევა

How does tourism should recover from pandemic shock?

Ketevan Kajaia, Assistant Professor of Georgian Technical University

Summary

Tourism sector is under slump due to current pandemic processes. International travel, local tourism activity, hotel and restaurant services are actually stopped. The players of tourism industry - hotels, restaurants, airlines, travel companies and cultural and natural tourism objects face the problem, overcome of which is too hard at this stage.

The heaviness of the crisis in tourism sector mostly will be depended on the period of pandemic`s extension. In case of lightening of restrictions according the stages, presumably the tourism sector will have to work with decreased capacity. The crisis caused by COVID has stopped the tourism activity in Georgia for a long time and as a result - the tourism infrastructure and all those places where important investments were made - now turned into the places without functions and were left behind. On macro level, the country has lost the significant source generating the foreign currency and fees acquired from this sector. An important factor is that possible further waves of infection and similar increasing epidemiological situation in neighboring countries is real.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის როლი ტურიზმის განვითარებაში

ყიზილაშვილი კონსტანტინე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი

წარმოდგენილ ნაშრომში, „საქართველოს კულტურული მემკვდრეობის როლი ტურიზმის განვთარებაში“, განხილულია საქართველოში კულტურული ტურიზმის განვითარების გზები; განსაზღვრულია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობა და აქტუალურობა საქართველოში; რაც თავისთავად გულისხმობს ქვეყანაში კულტურული მემკვიდრეობის დაცვას და პოპულარიზაციას, ასევე, კულტურული ტურიზმის განვითარებას და მის გამოყენებას ტურისტულ პროდუქტში.

ნაშრომში განხილულია ახალი ინიციატივა ლუდის ხარშვის უძველესი ტექნოლოგიის იუნიესკოს ძეგლთა დაცვის ნუსხაში შეტანასთან დაკავშირებით, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვნად გაზრდის ქვეყნის ცნობადობას საერთაშორისო ასპარეზზე, საქართველოს ისტორიულ-კულტურული პოტენციალის და მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით.

საკვანძო სიტყვები: კულტურული ტურიზმი, კულტურული მემკვიდრეობა, კულტრული იდენტობა, ტურისტული პროდუქტი, სოციალურ-ეკონომიკური განვითარება.

ძირითადი ტექსტი

ტურიზმი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დარგია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით. ტურიზმში კულტურული მემკვიდრეობის (როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური) როლი ძალზე აქტუალურია საქართველოში, რადგან იგი გულისხმობს ქვეყნის მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნებას და პოპულარიზაციას, ასევე კულტურული ტურიზმის განვითარებას და მის აქტიურ ჩართულობას ტურისტულ პროდუქტში.

საქართველოში კულტურული მემკვიდრეობის განსაზღვრა/იდენტიფიკაცია, მისი დაცვა და შენარჩუნება ქვეყანაში ტურიზმის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს. კარგად შემონახული ერის უნიკალური მემკვიდრეობა და რავალფეროვანი ტრადიციები, ტურიზმის განვითარების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია.

კულტრული მემკვიდრეობის დაცვას სახელმწიფო განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდება, როგორც ეროვნულ საგანძურს. საქართველო არის უძველესი მდიდარი კულტურის ქვეყანა, რომლის წარმოშობაც ათასწლეულებს ითვლის. საქართველოს თავისებური გეოგრაფიული მდებარეობა ევროპისა და აზიის კონტინენტების გასაყარზე, რამაც ისტორიულად მისი კულტურის წარმოქმნასა და განვითარებაში, გარკვეულწილად უაყოფითი გავლენა იქონია ადგილობრივ კავკასიურ ტრადიციებზე; საქართველოში აღმოსავლეთის სიბრძნე ხვდება დასავლეთის პროგრესულ დინამიკას. საქართველოს ისტორია მოიცავს ხანგრძლივ და მრავალფეროვან საინტერესო პერიოდს. საქართველოს უდიდესი პოტენციალი გააჩნია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით, ტურიზმში ჩართვისთვის და შეუძლია მოიზიდოს უფრო მეტი ტურისტი.

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა ის ფენომენია, რომელიც გადაეცემა თაობიდან თაობას, განიცდის ცვლილებას, თავიდან გააზრებას და გარდაქმნას. არამატერიალურ მემკვიდრეობას ქმნის თემი, ერი ან ქვეყნის მოსახლეობა. აქედან გამომდინარე, საზოგადოებისთვის არამატერიალური კულტურა საკუთარი იდენტობის განმსაზღვრელია.

ამა თუ იმ ტურისტული რეგიონისთვის მნიშვნელოვანია სწორად იქნას აღქმული ეროვნული ხასიათის თავისებურებები, რათა ქვეყანამ რაციონალურად გამოიყენოს არსებული ტურისტული რესურსები შემოსავლების ზრდისა და ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით.

კულტურული ტურიზმის მიზნით მოგზაურობა სულ უფრო მეტად პოპულარული ხდება

საქართველოში და განსაკუთრებით მთიან რეგიონებში, სადაც ტრადიციების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, ტურიზმის მრავალი სახეობის განვითარების შესაძლებლობა არსებობს. ლუდის კულტურა მთიანეთში არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს. ლუდის ტურიზმის, როგორც ტურისტული პროდუქტის განვითარება რეგიონში და თემში ხელს შეუწყობს ფართო კონტექსტში მოიზიდოს ტურისტების მზარდი რაოდენობა.

საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 7 თებერვლის #49 დადგენილებაში, „საქართველოს ტურიზმისა და კურორტების განვითარების ღონისძიებათა შესახებ", პირველად გამოიყენეს ტერმინი, „კულტურული ტურიზმი".

სახელმწიფოს გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების გეგმებში ტურიზმის სექტორს ერთ-ერთი მნიშვნელვანი ადგილი უკავია. საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ შეიმუშავა დოკუმენტი „ქართული ტურიზმის სტრატეგია 2025", რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ტურიზმის მდგრად განვითარებას. აღნიშნული სტრატეგიის თანახმად, მთავრობის მიზანს წარმოადგენს შეიმუშაოს და განახორციელოს გეგმა, რომლის მიხედვით, მდიდარი ბუნებრივი და კულტურული რესურსების აქტიურად ჩართვა ტურიზმში, კულტურული ტურიზმის მიმართულებას აქცევს მსოფლიო კლასის ტურისტულ პროდუქტად. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია აქტურად მხარს უჭერს კულტურულ ტურიზმს როგორც ადგილობრივ დონეზე, ასევე საერთაშორისო ასპარეზე.

აღსანიშნავია, რომ ბერლინში ჩატარებულ კუნკურსში თბილისი 2020 წლის „საკეთესო კულტურულ ქალაქად" დასახელდა. მსგავსი საერთაშორისო დონის კონკურსები მნიშვნელოვანი პლატფორმაა იმისთვის, რომ გავზარდოთ ჩვენი ქვეყნის ტურისტული შესაძლებლობები ტურისტებისათვის ქვეყნის ცნობადობის გაზრდის თვალსაზრისით, რაც თავის მხრივ განაპირობებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

საქართველოს რეგიონებში ტურიზმის განვითარების მხარდასაჭერად პროექტი „ზრდა" (USAID) ხელს უწყობს ახალი ტურისტული პროდუქტის შემუშავებას. ახალი ტურისტული ობიექტების და ღირშესანიშნაობების პოპულარიზაციასა და ტურიზმის სექტორში ჩართული მხარეების ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის გაუმჯობესებას კომპლექსური მიდგომის გამოყენებით. ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით „ზრდა"-ს ერთ-ერთი ძირითადი რეგიონია თუშეთი. აღნიშნული ორგანიზაცია ორიენტირებულია თუშეთში აგრო, ეკო, სათავგადასავლო და კულტურული ტურიზმის განვითარებაზე. აგრეთვე დაინტერესებულ მხარეთა შორის კოორდინაციისა და თანამშრომლობის გაუმჯობესებას აღნიშნული რეგიონის ტურისტული პოტენციალის უკეთ წარმოსაჩენად.

მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის დაცვა პირველად გაჟღერდა 1972 წელს იუნესკო-ს (გაეროს მეცნიერების, განათლებისა და კულტურის კომიტეტი) მიერ მიღებულ ამავე სახელწოდების კონვენციაში. იმავდროულად შეიქმნა იგივე სახელწოდების სახელმწიფოთაშორისო კომიტეტი, რომელსაც ყოველწლიურად შეაქვს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში დაახლოებით 30 ახალი ობიექტი.

ზოგადი ტერმინი ,,მსოფლიო მემკვიდრეობა" (World Heritage) ძეგლთა იერარქიაში ყველაზე საპატიო ადგილს იჭერს. ღირსშესანიშნაობა, რომელიც ამ ნუსხაში მოხვდება, სამართლიანად ითვლება უნიკალურად და მას ენიჭება მსოფლიოს საგანძურის წოდება, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი შენარჩუნება დათვალიერების, შესწავლის, შემეცნებისა და გამოყენების მიზნით უდავოდ საჭიროა მომავალი თაობებისათვის. ნუსხაში მოხვედრა ნიშნავს, რომ ძეგლი არის კულტურისა და ისტორიის უმნიშვნელოვანესი ქმნილება.

აღსანიშნავია, რომ ქართველ მეცნიერთა და აღიარებულ ექსპერტთა აზრით, არსებობს არგუმენტირებული საფუძვლები იმისა, რომ საქართველოს მთიანეთში ლუდის ხარშვის უძველესმა ტრადიციულმა მეთოდმა თავისი ღირსეული ადგილი დაიკავოს იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით სიაში. საქართველოდან უკვე წარდგენილ ისეთ ნომინაციათა გვერდით, როგორიცაა: ქართული მრავალხმიანობა – შეტანილ იქნა 2008 წელს; ქვევრის ღვინის დაყენების უძველესი ქართული ტრადიციული მეთოდი – შეტანილ იქნა 2013 წელს; ქართული

ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა – შეტანილ იქნა 2016 წელს და ქართული ჭიდაობა – შეტანილ იქნა 2018 წელს.

2019 წლის 27 სექტემბერს დაბა სტეფანწმინდაში გამართულ საერთაშორისო ღონისძიებაზე, რომელშიც მეცნიერებთან და რეგიონული მმართველობის ორგანოების ხელმძღვანელებთან ერთად ლუდის წარმოების ისტორიისა და ტექნოლოგიების მცოდნე მაღალკვალიფიციური სპეციალისტებიც მონაწილეობდნენ, ერთხმად გაცხადდა, რომ საქართველოს მთიანეთის მხარის განვითარების თვალსაზრისით, ლუდის დამზადების უძველესი ტექნოლოგიის აღდგენა - განვითარებას უდიდესი, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ენიჭება. იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ კონვენციის ფარგლებში შექმნილი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით სიაში (რომლის უმთავრესი მიზანია უზრუნველყოს მათი უკეთესი დაცვა და საზოგადოების ინფორმირება მათი მნიშვნელობის შესახებ), ახალი ნომინაციის - ,,საქართველოს მთიანეთში ლუდის ხარშვის უძველესი ტრადიციული მეთოდი'', შეტანა, უაღრესად მნიშვნელოვანია.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 9 ივნისის, №02/34 09 გადაწყვეტილებით, ,,საქართველოს მთიანეთში ლუდის ხარშვის უძველეს ტრადიციულ მეთოდს'' მიენიჭა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი და აისახა ეროვნულ ნუსხაში. უძველესი მეთოდებით ლუდის ხარშვის ტრადიციას დღეს საქართველოს ცენტრალური და აღმოსავლეთ მთიანეთის რეგიონების თითქმის ყველა კუთხეში მისდევენ. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ მასთან ორგანულად არის დაკავშირებული საქართველოს მთის მოსახლეობა, რომელიც, მას, თავისი კულტურული იდენტობის უმნიშვნელოვანეს ატრიბუტად მიიჩნევს. ტრადიციული ლუდის ხარშვისათვის საჭირო ცოდნა, დღესაც, საქართველოს მთიანეთის მოსახლეობის ყოველდღიურობის ნაწილია, რისი წყალობითაც იგი ათასწლეულების მანძილზე ცოცხალ ტრადიციად შენარჩუნდა. ლუდის ხარშვის ტრადიციული მეთოდი თანაბრადაა გავრცელებული და ისტორიულად დამკვიდრებულია ისეთ მაღალმთიან რეგიონებში, სადაც ენდემური ქერის კარგი მოსავალი მოდიოდა.

ქართველი მთიელები - თუშები, ხევსურები, ფშავლები, მოხევეები და სვანები უძველესი დროიდან იცნობდნენ ლუდის კულტურას. ამ მოსაზრებას ადასტრებს, როგორც წერილობითი ძეგლები, ასევე, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მონაცემები. საქართვლოს მთიან რეგიონებში, სადაც ლუდის დაყენებას მისდევდნენ, ჩამოყალიბებული იყო სახვნელი იარაღის ორიგინალური ტიპი და მეურნეობის ორგანიზებული ფორმა, რომლის საფუძველზე მოიწეოდა სარიტუალო მარცლეული (ქერი და დიკა) ასევე სარიტუალო ლუდისათვის.

კავკასიაში ქერისაგან დამზადებული სასმელის არსებობას ადასტურებს ქსენოფონტე (ძვ.წ. V-IV სს.). ქართული ლუდის სიძველე მტკიცდება ეთნოგრაფიული მასალითაც, განსაკუთრებით საკულტო-სარიტუალო სფეროში, სადაც ლუდის გამოყენების ტრადიცია ხასიათდება არქაულობით.

ლუდის კულტურა საქართველოს მთიანეთის უძველეს კულტურათა რიგს განეკუთვნება. ლუდის პირველი გამომხდელი და მომხმარებელი თემის პრეისტორიული წინაპარი იყო. საქართველოს მთიანეთში ხატ-სალოცავის დღესასწაული გადახდილი უნდა ყოფილიყო ტრადიციული ლუდის, ანუ წმინდა სასმელის შეწირვის ცერემონიით. ასევე ჯერ კიდევ მძლავრადაა შემორჩენილი მიცვალებულის კულტი, რომლის მიმართ სარიტუალო ქმედება ლუდის გარეშე შეუძლებელია. ტრადიციის მძლავრი ისტორიული ფესვები, რომელიც ამ საქმიანობას უკავშირდება, წარმოშობს ლუდისადმი საკრალურ დამოკიდებულებას და აქედან გამომდინარე იქცევა იგი კულტრული იდენტობის გამომხატველად.

რაც შეეხება თუშეთს, აღსანიშნავია ის რომ იგი კვლავ რჩება ტრადიციული ალუდის (ლუდის) წარმოების ფლაგმანად და სამომავლოდ ტურისტული ინფრასტრუქტურის გაძლიერების პარალელურად მას შეუძლია გაზრდილი მოხოვნილების დაკმაყოფილება. ლუდის ხარშვის თანამედროვე პროცესებზე თვალის მიდევნება ამჯერად შესაძლებელია თუშეთის მაგალითზე, სადაც არსებული წესის მიხედვით, თუში მოსახლე, სადაც არ უნდა იმყოფებოდეს, ვალდებულია სახალხო დღესასწაულზე „ათენგენობაზე“ (რომელიც იმართება ივლის-აგვისტოში) მივიდეს თავის სოფელში და რიგით მოწეული ვალდებულებით ლუდი მოუხარშოს თავისი სოფლის სალოცავის საყმოს. ესაა კოლექტიური სერობის უმშვენიერესი სანახაობა, რომელიც კვლავ ინარჩუნებს ტრადიციული

ღირებულებებისადმი დადებით დამოკიდებულებას.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არაერთგზის შეიცვალა ქვეყნის სოციალური და პოლიტიკური გარემო, ტრადიციული ლუდის ხარშვის ტრადიციები ინტენსიურად გრძელდება და ქართული საზოგადოებისათვის საკუთარი თვითიდენტიფიკაციის უმნიშვნელოვანეს ბაზისს წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო უფრო ინტენსიურ ყურადღებას იჩენს ლუდის ტრადიციული მეთოდით ხარშვის მიმართ. ამის დასტურია ელემენტის ეროვნული მნიშვნელობის ძეგლად რეგისტრაცია, ტრადიციული ლუდის აღორძინების კავშირის დაფუძნება და სხვა აქტივობები. დღეისათვის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში უკვე შეიქმნა სამუშაო ჯგუფი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აქტიური ჩართულობით ტრადიციული ლუდის კულტურის აღორძინების საკითხებზე. მომზადდა ლუდის სიწმინდის აქტი. მზადდება საქართველოს მთავრობის დადგენილება ,,საქართველოს მთიანეთში ტრადიციული ლუდის კულტურის აღორძინების სახელმწიფო პროგრამის კონცეფციის დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების შესახებ''და მრავალი სხვა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს თუ რაოდენ მნიშვნელოვანია კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, შენარჩუნება და მისი გადაცემა მომავალი თაობებისათვის. აღსანიშნავია, რომ ზემოთ ხსენებული ახალი ინიციატივა ლუდის ხარშვის უძველესი ტექნოლოგიის იუნიესკოს ძეგლთა დაცვის ნუსხაში შეტანასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნების სფეროში საზოგადოების ჩართულობას, ასევე, ლუდის ტურიზმის, როგორც ტურისტული პროდუქტის განვითარება რეგიონში და თემში ხელს შეუწყობს ფართო კონტექსტში მოიზიდოს ტურისტების მზარდი რაოდენობა; ყოველივე ეს მნიშვნელოვნად გაზრდის ქვეყნის ცნობადობას საერთაშორისო ასპარეზზე, რაც თავის მხრივ, საქართველოს ტურისტული პოტენციალის ერთ-ერთ ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ტურიზმის გლობალური ეთიკური კოდექსი- http://cf.cdn.unwto.org/sites/all/files/docpdf/georgia2015.pdf
2. საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ- https://matsne.gov.ge/ka/document/view/11932?publication
3. ტურიზმისა და კურორტების შესახებ- https://matsne.gov.ge/ka/document/view/33370?publication=9
4. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის გზამკვლევი https://bit.ly/2tEP9AI
5. საერთაშორისო კონვენცია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ-https://matsne.gov.ge/ka/document/view/1205181?publication=0
6. ტრადიციული ლუდის სიწმინდის აქტი, ტრადიციული ლუდის კულტურის პრობლემებზე მომუშავე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და საქართველოს ტექნიკური
   უნივერსიტეტის ერთობლივი საკოორდინაციო საბჭო . ტრადიციული ლუდის კულტურის აღორძინების კავშირი , თბ., 2020;
7. http://zrda.georgianeo.ge/index.php/ka/zrda-project/tourism-dvelopment-geo
8. https://www.unwto.org/
9. კვარაცხელია ნ. კულტურული ტურიზმი. 2009 თბილისი.
10. ყიზილაშვილი კ. თუშეთი და ტურიზმი (მონოგრაფია), თბილისი 2015 წ.
11. ყიზილაშვილი ფ. თუშების წარმოშობის ისტორია. თბილისი 2000 წ.
12. ცოცანიძე გ. ლუდის მოთხრობა . „თუშეთის განვითარების ფონდი“ 2018

The Role of Georgian Cultural Heritage in the Development of Tourism

Konstantine Kizilashvili, Professor of Georgian Technical University

Summary

In the presented paper, "The Role of Georgian Cultural Heritage in the Development of Tourism", are discussed the ways of development of cultural tourism in Georgia; the importance and urgency of intangible cultural heritage in Georgia is defined; which in itself implies the protection and promotion of cultural heritage in the country, as well as the development of cultural tourism and its use in tourism products.

The paper discusses a new initiative to include the ancient technology of brewing beer in the UNESCO World Heritage List, which in turn will significantly increase the country's international awareness of Georgia's historical-cultural potential and its socio-economic development.

Keywords: Cultural Tourism, Cultural Heritage, Cultural Identity, Tourism Product, Socio-Economic Development.

ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალი და ტურიზმის განვითარების პერსპექტივები ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის მაგალითზე

ჭიპაშვილი ანა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

რეზიუმე

პოსტსაბჭოთა პერიოდში საქართველოში დაცული ტერიტორიების სისტემის ძირეული რეფორმა განხორციელდა: დაცული ტერიტორიების კატეგორიების საბჭოთა მოუქნელი სისტემა გარდაიქმნა და შემოღებულ იქნა IUCN-ის კრიტერიუმზე დაფუძნებული 6 კატეგორია; დაარსდა ახალი კატეგორიების დაცული ტერიტორიები; მოხდა ზოგიერთი არსებული დაცული ტერიტორიის გაფართოება და რეორგანიზაცია. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი შეიქმნა 1995 წელს, იგი საქართველოს ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს და მცირე კავკასიონის მთების აღმოსავლეთ ნაწილს ქმნის. პარკის ტერიტორია მდიდარია რელიქტური, ენდემური, იშვიათი ფლორისა და ფაუნის მოწყვლადი სახეობებით.იზიდავს დამთვალიერებელს, აღძრავს ინტერესს და ყურადღებას, რაც ქმნის პარკის ტურისტულ-რეკრეაციულ პოტენციალს და ტურიზმის განვითარების პერსპექტივებს.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმი, ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალი, ტურიზმის განვითარების პერსპექტივები.

XX საუკუნის ბოლოს, განსაკუთრებით გამწვავებულმა ეკოლოგიურმა პრობლემებმა, ქვეყნები დააყენა ძალისხმევათა გაერთიანების აუცილებლობის წინაშე. 1992 წელს რიო-დე-ჟანეიროში ჩატარებულმა გაეროს კონფერენციამ ნათლად ასახა საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთობის სიმწვავე და „XXI ს.- ის დღის წესრიგში“ გამოიხატა მომავალი მოქმედების გეგმა ამ მიმართულებით.

ანთროპოგენულ ზემოქმედებას, ანუ ადამიანის, საზოგადოების მხრიდან სასიცოცხლო გარემოზე გათვალისწინებულ და გაუთვალისწინებელ გარდამქმნელ ზემოქმედებას, უმეტესწილად მოსდევს ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევა და ბუნებრივი რესურსების განადგურება. ასეთ ვითარებაში, განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა დაცულმა ტერიტორიებმა. დაცული ტერიტორიები მოიცავს მსოფლიოს ხმელეთის დაახლოებით 15.4 და მსოფლიო ოკეანის დაახლოებით 3,4 %-ს. ისინი შთანთქავენ მიწისზედა ნახშირბადის მარაგების 15%-ს, ხელს უწყობენ ტყეების გაჩეხვის, საცხოვრებელი გარემოს და სახეობების დაკარგვის შემცირებას. დაცული ტერიტორიების ფართობი 1990 წლიდან 2014 წლამდე გაიზარდა 13.4 მლნ კმ^2-დან 32 მლნ კმ^2-მდე.

მრავალფეროვანი ეკოსისტემური სერვისების მოწოდების გამო, საქართველოს დაცული ტერიტორიებს განსაკუთრებული და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი როლი აქვს საზოგადოების კეთილდღეობის უზრუნველყოფის საქმეში. ამ ეკოსისტემურ სერვისებს შორისაა ისეთი პირდაპირი სარგებელი, როგორიცაა სუფთა ჰაერისა და სასმელი წყლის მოწოდება, ესთეტიკური კმაყოფილება და რეკრეაციული პოტენციალი და სხვ.

ტურიზმმა, მათ შორის ეკოტურიზმმა, უნდა დაიცვას გარემო და ბუნების სანახაობები გადაგვარებისგან და მათი მდგრადობის შენარჩუნების მიზნით განსაზღვროს ტურისტული ობიექტების სარგებლობის ზღვარი.

პირველი დაცული ტერიტორია მსოფლიოში შეიქმნა ინდოეთში, მაშინ როცა ინდოეთის მეფე აშოკამ ჩვ.წ.აღ-მდე 252 წელს გამოსცა კანონი ცხოველების, თევზებისა და ტყეების დაცვის შესახებ.

ევროპაში პირველი დაცული ტერიტორიის შემქმნელად ითვლება რომის იმპერატორი არიანე (ჩვ.წ.აღ-მდე 117-138 წ.წ.).

რაც შეეხება ეროვნულ პარკს, პირველი ეროვნული პარკი შეიქმნა 1872 წლის პირველ მარტს ამერიკის შეერთებულ შტატებში. პრეზიდენტ გრანტის მიერ ხელი მოეწერა ბრძანებას იელოუსტონის ეროვნული პარკის (Yellowstone National Park) შექმნის შესახებ.

საქართველოში პირველი საკანონმდებლო ჩანაწერები ტყეებისა და ბუნების დაცვის შესახებ

დათარიღებულია XII საუკუნით. თამარ მეფემ გამოსცა სამეფო ბრძანება ზოგიერთი ტერიტორიის დასაცავად.

პირველი ოფიციალური ნაკრძალი საქართველოში დათარიღებულია 1912 წლით. 1991 წლის ბოლოსთვის საქართველოში 15 ნაკრძალი იყო, ის მოიცავდა ქვეყნის ტერიტორიის 2.4%-ს. 2014 წლის მონაცემებით, ბუნების კონსერვაციის საერთაშორისო კავშირის IUCN-ის კრიტერიუმების მიხედვით, საქართველოში ფიქსირდება 87 დაცული ტერიტორია: 14 ნაკრძალი (140.67 ჰა), 11 ეროვნული პარკი (352,46 ჰა), 41 ბუნებრივი ძეგლი (2,26 ჰა), 19 აღკვეთილი (70,39 ჰა) და 2 დაცული ლანდშაფტი (34,71 ჰა). დაცული ტერიტორიების მთლიანი ფართობი 600.490 ჰა-ს, ანუ საქართველოს ტერიტორიის 8,62%-ს შეადგენს.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი, რომელიც შეიქმნა 1995 წელს, საქართველოს ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს და მცირე კავკასიონის მთების აღმოსავლეთ ნაწილს ქმნის. მისი საერთო ფართობი 104.93 ჰა-ს შეადგენს, რაც საქართველოს ტერიტორიის 1,5%-ზე მეტია. ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიები ექვს მუნიციპალიტეტს მოიცავს. ესენია: ბორჯომი, ხარაგაული, ახალციხე, ადიგენი, ხაშური და ბაღდათი. ეროვნული პარკის ადმინისტრაციული და ვიზიტორთა ცენტრები განლაგებულია ბორჯომსა და ხარაგაულში. პარკის ადმინისტრაცია ოთხი სხვადასხვა კატეგორიის დაცულ ტერიტორიას, ბორჯომის ნაკრძალს, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკს, ქცია-ტაბაწყურის, ნეძვის აღკვეთილსა და გოდერძის ნამარხი ტყის ბუნების ძეგლს მართავს.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი კავკასიის ეკორეგიონის ცენტრში მდებარეობს. ბიომრავალფეროვნების და მოწყლვადობის გამო ეკორეგიონი ჩართულია მსოფლიო ბუნების დაცვის ფონდის 35 პრიორიტეტულ ეკორეგიონსა და საერთაშორისო კონსერვაციის 34 ცხელი წერტილის ნუსხაში. ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიები კავკასიისა და ანატოლიის ცხელი წერტილების ზღვარზეა განლაგებული. კავკასიის ეკორეგიონის კონსერვაციის გეგმის 56 პრიორიტეტული არეალიდან ერთ-ერთ (№27-ე) მნიშვნელოვან ნაწილს საქართველოს დაცული ტერიტორიები შეადგენენ.

პარკის ტერიტორია მდიდარია რელიქტური, ენდემური, იშვიათი ფლორისა და ფაუნის მოწყვლადი სახეობებით. ტერიტორიაზე 64 სახეობის ძუძუმწოვარია აღრიცხული, რომელთაგან 11 კავკასიის ენდემია, ხოლო 8 სახეობა - საქართველოს „წითელ ნუსხაშია“ შესული. ამ ტერიტორიაზე 217 სახეობის გადამფრენი და მობინადრე ფრინველი გვხვდება, მათგან 13 სახეობა საქართველოს „წითელ ნუსხას“ განეკუთვნება.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი იზიდავს დამთვალიერებელს, აღძრავს ინტერესს და ყურადღებას. პარკში შემონახული არტეფატები, კულტურულ-ტრადიციული მონაპოვარი კიდევ უფრო მეტად ზრდის ტურისტულ პოტენციალს. შესაბამისად, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი ტურისტული თვალსაზრისითაც მომგებიანია ქვეყნისათვის.

დაცული ტერიტორიების, მათ შორის ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის მონახულების მოთხოვნა მზარდია. ეროვნული პარკის მონახულების მთავარ მიზანს წარმოადგენს ველური ბუნება-გარემოს შეცნობა, ბუნებაში მსუბუქი სახის ფიზიკური აქტივობები, ასევე კულტურა და გარემოსდაცვითი განათლება, კულტურული ფასეულობები და მემკვიდრეობა, შეზავებული ბუნებასთან და ადგილობრივი ცხოვრების წესსა და ტრადიციებთან.

ბევრ ქვეყანაში ეკოლოგიური ტურიზმი წარმოადგენს ყველა სხვა სახის ტურიზმის განუყოფელ ნაწილს. იგი მაქსიმალურად ხელმისაწვდომია ნებისმიერი მსურველისათვის და საკუთარ თავში ატარებს დიდ აღმზრდელობით პოტენციალს. ამდენად, ურბანიზაციული პროცესების მართვაში, ბუნების რაციონალურ გამოყენებასა და დაცვაში ეკოლოგიური ტურიზმი შეიძლება ჩაითვალოს, თითქმის ერთადერთ მარეგულირებელ საკვანძო ინსტრუმენტად. ის საშუალებას გვაძლევს შევამციროთ ბუნებაზე ადამიანის დაუფიქრებელი ზემოქმედება და შევინარჩუნოთ ხელუხლებელი ბუნება.

ბუნებაზე ორიენტირებული ტურიზმი აწარმოებს ხელშესახებ ფინანსურ ნაკადებს. ტურიზმი ხშირად ძლიერ სტიმულს აძლევს ბიომრავალფეროვნებით მდიდარი ტერიტორიების დაცვას და ასეთი ადგილების ფორმალურმა მონიშვნამ შეიძლება გაზარდოს მათი პროფილი და გავლენა ტურისტულ ვიზიტებზე.

ტურიზმს მთელს მსოფლიოში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. შემოსავლების ზრდასთან ერთად ის ხელს უწყობს ქვეყნის ინფრასტრუქტურულ განვითარებას, ტურიზმის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ბიზნესის სხვადასხვა სფეროების განვითარებას და შესაბამისად, მოსახლეობის დასაქმების ზრდას. მნიშვნელოვანია მისი როლი ქვეყნისათვის დამახასიათებელი და მისი წარმოჩენისათვის სასარგებლო ადგილობრივი კულტურულ-ისტორიული ტრადიციებისა და სახალხო რეწვის შენარჩუნებასა და განვითარებაში.

დასკვნა

საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) და ავსტრიის განვითარების სააგენტოს (ADA) ხელშეწყობით შემუშავდა ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებისთვის გასატარებელი ღონისძიებები. ღონისძიებები ითვალისწინებს: ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას; კულტურულ-ისტორიული ძეგლების კონსერვაციას, მათ დაცვასა და მოვლას; სათანადო ხარისხისა და რაოდენობის სასტუმროების, რესტორნების, კაფეების, სწრაფი კვების ობიექტების, საოჯახო სასტუმროების და ა.შ. მოწყობას. მონადირეებისა და მეთევზეებისთვის ქოხების, რეკრეაციული პავილიონებისა და თავლების აშენების ხელშეწყობას; ადგილობრივი გზებისა და ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია-კეთილმოწყობას; მხარის საინფორმაციო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას; ტურისტული ობიექტების მიმანიშნებელი საგზაო ნიშნების, ფირნიშების და აბრების დამონტაჟებას ქართულ და ინგლისურ ენებზე; მუნიციპალური ტრანსპორტის ოფიციალურ გაჩერებებზე ტრანსპორტის მოძრაობის გრაფიკის ორენოვანი (ქართული და ინგლისური) დაფების მოწყობას და სხვ. აღნიშნულ ღონისძიებათა გატარებით, სათანადო აქტიური საინფორმაციო კამპანიით და კარგად დაგეგმილი ტურებით, ბუნებასთან სიახლოვისა და სასწავლო-რეკრეაციული, კულტურული ინტერესების გაერთიანებით, შესაძლებელია ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი და მისი მიმდებარე ტერიტორია უფრო აქტიურ ტურისტულ მიმართულებად ვაქციოთ, რაც ხელს შეუწყობს როგორც ადგილობრივი მოსახლეობის ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების ზრდას, ისე პარკის შენახვის სახელმწიფო ხარჯების შემცირებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „საქართველოს დაცული ტერიტორიები“, თბილისი, 2007. რედ. არჩილ ქიქოძე, რამაზ გოხელაშვილი;
2. „ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების სტრატეგიების სპეციფიკური მახასიათებლები საქართველოში“, მამუკა გოგელია, გამომცემლობა, „უნივერსალი“, ბათუმი 2014წ.;
3. მეტრეველი მ. გარემო და ეკოტურიზმის მენეჯმენტი, თბ., 2012 წ.;
4. „საქართველოს ტურიზმისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოკლევადიანი და გრძელვადიანი განვითარება“, ლევან კობალაძე, თბილისი, 2010წ.;
5. „ტურიზმის სტატისტიკის საერთაშორისო რეკომენდაციები“, თბილისი, 2008წ.;
6. დაცული ტერიტორიების მართვაში საზოგადოების მონაწილეობის გაძლიერება საქართველოს გამოცდილება, IUCN კავკასიის თანამშრომლობის ცენტრი, თბილისი,2010 წ.;
7. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის N13 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმა;
8. https://apa.gov.ge/ge/eco-tourism/servisebi-da-tarifebi/borjom-xaragaulis-daculi-teritoriebi
9. https://nationalparks.ge/ka/site/borjomi-kharagaulinp
10. http://apa.gov.ge
11. http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1_%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98_%E1%83%A2%E1

%83%94%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98

12. http://www.eiec.gov.ge/%E1%83%97%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.aspx

Tourism-recreational potential and tourism development Perspectives on the example of Borjomi-Kharagauli National Park

chipashvili ana
PhD student of Georgian Technical University

Summary

In the post-Soviet period, a major reform of the protected area system was carried out in Georgia: the Soviet inflexible system of protected area categories was transformed and 6 categories based on the IUCN criterion were introduced; New categories of protected areas were established; Some existing protected areas have been expanded and reorganized. Borjomi-Kharagauli National Park was established in 1995, it is located in the central part of Georgia and forms the eastern part of the Lesser Caucasus Mountains. The park area is rich in relict, endemic, vulnerable species of rare flora and fauna. It attracts visitors, arouses interest and attention, which creates the park's tourism-recreational potential and tourism development prospects.

საქართველოს მთიანი დასახლებების ეკონომიკური რეაბილიტაცია

ხმალაძე კონსტანტინე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ზერიძე ლამარა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი

მაღალმთიან რეგიონებში გამოიყოფიან დასახლებები, რომელთაც საერთო პრობლემებთან ერთად, გააჩნიათ დეპრესიულობის მაღალი ხარისხი - სტიქიური პროცესები, მწვავე დემოგრაფიული მდგომარეობა, მოშლილი ინფრასტრუქტურა, მძიმე ბუნებრივ-კლიმატური პირობები და სხვა. ეს მოითხოვს განსაკუთრებულ სახელმწიფო მიდგომას.

საქართველოს მთიანეთი გამოირჩევა მდიდარი რესურსებითა და სასარგებლო წიაღისეულით, რაც ჰქმნის მეწარმეობის განვითარებისა და მოსახლეობის დასაქმების შესაძლებლობებს. ეს პრიორიტეტული სფეროებია: მეცხოველეობა – მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის წარმოებისა და მეცხვარეობის განვითარება; მემცენარეობა; რძისა და ხორცის პროდუქტების წარმოება; ხე-ტყის გადამამუშავებელი მრეწველობა; მეთევზეობა; მცირე ჰიდროენერგეტიკა; მინერალური რესურსების გადამუშავება; მიწისქვეშა მტკნარი, მინერალური და თერმული წყლების რესურსის ათვისება; ტურიზმისა და საკურორტო მეურნეობის განვითარება; ტრადიციული შინა რეწვის დარგების განვითარება.

უნდა შემუშავდეს დეპრესიულ დასახლებათა სოციალურ-ეკონომიკური რეაბილიტაციისა და განვითარების მიზნობრივი პროგრამები.

პროგრამამ უნდა მოიცვას: მეწარმეობის, მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსური მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელება ხელსაყრელ დარგებსა და სფეროებში, შემოღებულ უნდა იქნას საგადასახადო შეღავათები სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების შედეგების მიხედვით.

საკვანძო სიტყვები: რეგიონული განვითარება; მაღალმთიანი რეგიონი; დეპრესიული დასახლება; მიზნობრივი პროგრამა.

ძირითადი ტექსტი

მთიანი დასახლებებისადმი განსაკუთრებული სახელმწიფო მიდგომის აუცილებლობა განპირობებულია მათთვის დამახასიათებელი სპეციფიკური გარემოებებით, როგორიცაა: რთული ფიზიკურ-გეოგრაფიული რელიეფი და კლიმატურ-ნიადაგური პირობები; სასოფლო-სამეურნეო სავარგულების, მათ შორის, სახნავი მიწების შეფარდებითი სიმცირე ბუნებრივ საკვებ სავარგულებთან შედარებით, მცირე მოსავლიანობა, წარმოების მექანიზაციისა და შრომის ნაყოფიერების დაბალი დონე; გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებისათვის არახელსაყრელი პირობები; სატრანსპორტო კომუნიკაციების განუვითარებლობა და მის რეაბილიტაციასთან დაკავშირებული პრობლემები; მოსახლეობის დასაქმების დაბალი დონე და მიგრაციული პროცესები.

მაღალმთიანობისათვის დამახასიათებელ საერთო პრობლემებთან ერთად, რიგ დასახლებებს გააჩნიათ დეპრესიულობის მაღალი ხარისხი - ქრონიკული დამანგრეველი სტიქიური პროცესები, უმწვავესი დემოგრაფიული მდგომარეობა, მოშლილი სატრანსპორტო-საკომუნიკაციო სისტემა, ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის გართულებული ბუნებრივ-კლიმატური პირობები და სხვა.

ყოველივე ეს მაშინ, როცა საქართველოს მთიანეთი გამოირჩევა მდიდარი სასარგებლო წიაღისეულით, ჰიდრო, ხე-ტყის და აგრო-კლიმატური რესურსებით, მცენარეული საფარისა და ცხოველთა სამყაროს მრავალფეროვნებით, რაც ჰქმნის მაღალმთიან რეგიონებში მეცხოველეობის, მემცენარეობის (თავთავიანი მარცვლეული კულტურები, კარტოფილი და სხვა საკვები

კულტურები), მეფუტკრეობის, ჰიდროენერგეტიკული, სამთო-მოპოვებითი, ხე-ტყის გადამამუშავებელი მრეწველობის, ტურიზმისა და საკურორტო მეურნეობის განვითარების შესაძლებლობებს.

მაღალმთიანი რეგიონების მინერალური რესურსების სამრეწველო გამოყენების მიზნით აუცილებელია განისაზღვროს მათი გეოლოგიური, ტექნოლოგიური და ეკონომიკური პარამეტრები და შემუშავდეს საინვესტიციო მახასიათებლები. ცალკეული რეგიონის მიხედვით გამოიკვეთება ფერადი მეტალურგიისა და ოქროს მომპოვებელი მრეწველობის, სამშენებლო ინდუსტრიის (მარმარილო და მოსაპირკეთებელი ქვები), მიწისქვეშა მტკნარი და მინერალური წყლების, ქიმიური მრეწველობის (ბარიტი), მინისა და კერამიკის და სხვა რესურსების მარაგები.

მაღალმთიან რეგიონებში ისტორიულად ჩამოყალიბებული სამეურნეო და კულტურული ტრადიციებისა და არსებული რესურსების ბაზაზე პრიორიტეტულად მიგვაჩნია საქმიანობის შემდეგი სფეროები:

- მეცხოველეობა – მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის წარმოებისა და მეცხვარეობის განვითარება. ეს დაკავშირებულია ზამთრის საძოვრების (განსაკუთრებით მეცხვარეობისათვის) რაციონალურად გამოყენებასთან, ცხვრის სარძეო პროდუქტიულობის ამაღლებასთან, მსხვილფეხა საქონლის სანაშენე სელექციური მომსახურების გაუმჯობესებასა და პროდუქტიულობის ამაღლებასთან;

- მემცენარეობა – მარცვლეული და პარკოსანი კულტურების, კარტოფილისა და ხილის წარმოება, რაც მნიშვნელოვანწილად გადაწყვეტს მეცხოველეობის კონცენტრირებული საკვებით უზრუნველყოფის პრობლემას;

- მეფუტკრეობა, რაც სანაშენე საქმიანობის გაუმჯობესებასთან არის დაკავშირებული;

- სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი მრეწველობა – რძისა და ხორცის პროდუქტების წარმოება, უალკოჰოლო სასმელების ჩამოსხმა და სხვა;

- ხე-ტყის გადამამუშავებელი მრეწველობა, განსაკუთრებით სვანეთისა და რაჭა-ლეჩხუმის უნიკალური მერქნის მარაგების ბაზაზე. ამასთან, უზრუნველყოფილ უნდა იქნას ნიადაგის, ფერდობების მდგრადობა და წყლის რესურსების დაცვა;

- მეთევზეობა. ჯავახეთის ტბებში თევზის მოშენებით მნიშვნელოვანწილად გადაწყდება ამ პროდუქციაზე ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების პრობლემა;

- მცირე ჰიდროენერგეტიკა. ჰიდროენერგეტიკული რესურსების სიუხვით გამოირჩევა სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი (საქართველოში 26 ათასამდე დიდი და მცირე მდინარეა. მცირე მდინარეების (25 კმ-ზე ნაკლები სიგრძის) ჯამური პოტენციური საშუალო წლიური გამომუშავება 15,9 მილიარდი კილოვატსაათია);

- მინერალური რესურსების ბაზაზე სამთო-მოპოვებითი წარმოების განვითარება. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გამოიყოფა სპილენძის, პოლილითონების, ანდეზიტის, კვარციტების, საშენი ფიქალების, გრაფიტის, დიაბაზის საბადოები. დასავლეთ საქართველოს მთიანეთში (სვანეთში) სამრეწველო დანიშნულების მქონე სამი მნიშვნელოვანი საბადოა: დარიშხანის, მარმარილოს და ბარიტის. სამხრეთ საქართველოს მთიანეთი მდიდარია აქატის, დიატომიტის და მინერალური სამშენებლო ნედლეულის დიდი მარაგებით;

- მიწისქვეშა მტკნარი, მინერალური და თერმული წყლების რესურსის ათვისება. სამხრეთ საქართველოს მიწისქვეშა მტკნარი წყლები გამოირჩევა მაღალი ხარისხითა და ეკოლოგიურობით (150 ათასი კუბ. მ/დღღ.). მინერალური წყლებიდან მაღალმთიან რეგიონებში გავრცელებულია სხვადასხვა ქიმიური შემადგენლობის ნახშირორჟანგიანი სამკურნალო და სამკურნალო-სუფრის წყლები (უწერა, შოვი, სქური, ვაჟას წყარო, ნადიბაანთ-ვეძა, მესტია, ფანშეთი-ყაზბეგი). ბოლომდე შესაფასებელია თრუსოს ხეობის ნარზანები, ლაშე-ჭალა (ცაგერის მუნიციპალიტეტი), მუაში (ლენტეხის მუნიციპალიტეტი). აღსანიშნავია გოგირდწყალბადიანი თერმული წყლების საბადო – თორღვას აბანო;

- ტურიზმისა და საკურორტო მეურნეობის განვითარება. საქართველოს მაღალმთიანეთის გამორჩეული სამკურნალო-საკურორტო და რეკრეაციული რესურსები ხელსაყრელ პირობებს ჰქმნიან სათავგადასავლო ტურიზმისა და აგროტურიზმის განვითარებისათვის;

- ტრადიციული შინა რეწვის დარგების (მეთუნეობა, ჭედურობა, ხეზე კვეთა, მეჭურჭლეობა, ქსოვა, ხალხური საკრავების წარმოება და სხვა) განვითარება.

სასურველია, საკანონმდებლო დონეზე შემუშავდეს მოცემული პრობლემის გადაწყვეტის ყოვლისმომცველი და სისტემური მხარდაჭერის წინადადებები.

მოქმედ კანონში - „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ (2015 წ)“ შესატანია ცვლილებები, რომლის მიხედვითაც ნათლად უნდა გაიმიჯნოს დეპრესიული დასახლებები დანარჩენი მაღალმთიანი ტერიტორიებიდან, რათა გამოირიცხოს სუბიექტური მიდგომები და მაქსიმალურად ეფექტიანად იქნას გამოყენებული საბიუჯეტო შესაძლებლობები.

უნდა შემუშავდეს დეპრესულ დასახლებათა სოციალურ-ეკონომიკური რეაბილიტაციისა და განვითარების მიზნობრივი პროგრამები. პროგრამის განხორციელებით მიღწეულ უნდა იქნას: საინვესტიციო საქმიანობის სტიმულირება და წარმოების განვითარება ადგილობრივი რესურსების სრული და ეფექტიანი გამოყენების საფუძველზე; მოსახლეობის დასაქმება, სოციალური ობიექტების რეაბილიტაცია და ინფრასტრუქტურის განვითარება; გარემოს დაცვა, ეკოლოგიური წონასწორობის აღდგენა და შენარჩუნება, ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელება; მოსახლეობისა და მეურნეობის სტაბილური ენერგომომარაგება და სერვისების მიწოდება.

პროგრამამ უნდა მოიცვას: მეწარმეობის, მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსური მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელება ხელსაყრელ დარგებსა და სფეროებში, როგორიცაა: ტურიზმი, აგროსფერო, წიაღისეულის მოპოვება-გადამუშავება და სხვა. შემოღებულ უნდა იქნას საგადასახადო შეღავათები სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების შედეგების მიხედვით.

მიზანშეწონილია განხილულ იქნას წინადადებები დეპრესიულ რეგიონებში საქმიანობის დაწყებიდან გარკვეული დროის (ვთქვათ, პირველი ხუთი წლის) განმავლობაში პროდუქციის წარმოების, მშენებლობის და მომსახურების (სავაჭრო-საშუამავლო მომსახურების გარდა) დამატებული ღირებულებისა და მოგების გადასახადებისაგან გათავისუფლების შესახებ. უნდა გამოვიყენოთ სტიმულირების ისეთი მექანიზმები, როგორიცაა: საგადასახადო კრედიტები, საგადასახადო არდადეგები და სხვა.

დასკვნა

მთიანი დასახლებებისადმი განსაკუთრებული სახელმწიფო მიდგომის აუცილებლობა განპირობებულია მათთვის დამახასიათებელი სპეციფიკური გარემოებებით.

მიზანშეწონილია, კანონმდებლობით განისაზღვროს დეპრესიული დასახლებების სტატუსი. მათი ეკონომიკური რეაბილიტაციის მიზნით შემუშავებულ უნდა იქნას მიზნობრივი პროგრამები.

პროგრამები მოიცავს მაღალმთიანი რეგიონების მდიდარი რესურსების საფუძველზე სამეწარმეო საქმიანობის აღორძინებისა და განვითარების წინადადებებსა და მექანიზმებს.

პრიორიტეტული სფეროებია: მეცხოველეობა – მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის წარმოებისა და მეცხვარეობის განვითარება; მემცენარეობა; რძისა და ხორცის პროდუქტების წარმოება; ხე-ტყის გადამამუშავებელი მრეწველობა; მეთევზეობა; მცირე ჰიდროენერგეტიკა; მინერალური რესურსების გადამუშავება; მიწისქვეშა მტკნარი, მინერალური და თერმული წყლების რესურსის ათვისება; ტურიზმისა და საკურორტო მეურნეობის განვითარება; ტრადიციული შინა რეწვის დარგების განვითარება. აუცილებელია მეწარმეობის, მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსური მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელება. შემოღებულ უნდა იქნას საგადასახადო შეღავათები სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების შედეგების მიხედვით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2015 წ. - 4036-რს.
2. საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2019-2023 წლების სტრატეგია 2019 წ..
3. მთიანი რეგიონების ტურისტული პოტენციალის ამოქმედების გზები. მე-5 საერთაშორისო

სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენცია – „ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი“. მასალების კრებული. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი. ბათუმი, 2014 წ.

4. K. Khmaladze. Methodological aspects for ensuring Regional Development. International Scientific-Practical Conference “Sustainable Economic Development Issues: Realities and Opportunities”. Kutaisi University, 2012.

Economic rehabilitation of mountainous settlements of Georgia

Khmaladze Konstantine
Professor of Georgian Technical University

Beridze Lamara
Professor of Georgian Technical University

Summary

There are settlements in the highlands, which, along with common problems, have a high degree of depression - natural disasters, acute demographic conditions, deteriorating infrastructure, severe natural-climatic conditions and more. This requires a special state approach.

The highlands of Georgia are rich in resources and minerals, which have opportunities for entrepreneurship development and employment. These priority areas are: Livestock - development of cattle production and sheep breeding; Vegetation; Production of dairy and meat products; Timber processing industry; Fisheries. Small hydropower. Processing of mineral resources; Exploitation of groundwater, mineral and thermal water resources; Development of tourism and resort economy. Development of traditional domestic handicrafts.

Targeted socio-economic rehabilitation and development programs for depressed settlements should be developed.

The program should include: implementation of measures for financial support of entrepreneurship, small and medium business in favorable fields and areas, tax incentives should be introduced according to the results of entrepreneurial activities.

ტურიზმის განვითარების პრობლემები და პერსპექტივები ჭიათურის მუნიციპალიტეტში

მახათაძე სულხან
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

რეზიუმე

დღემდე მხოლოდ წიაღისეულის მოპოვება კვებავს ჭიათურის მუნიციპალიტეტის ეკონომიკას, მაგრამ ფაქტია, რომ აღნიშნული საწარმოები ვერ მუშაობენ იმ დატვირთვით, როგორადაც ყოფილ საბჭოთა კავშირში. დასაქმების სფეროს დეფიციტის გამო, ბოლო წლებში, ხშირია მოსახლეობის გადინება ან დედაქალაქისკენ ან ევროპის რომელიმე ქვეყანაში, 2015 წლის მონაცემებით ჭიათურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა შეადგენს 46 680 კაცს, აქედან 298 ადამიანი საზღვარგარეთ არის წასული სამუშაოდ, ხოლო დედაქალაქისკენ გადინების სტატისტიკური მონაცემების დადგენა საკმაოდ ძნელია, რადგანაც სეზუნურ გადინებას აქვს ადგილი – ზამთარში დედაქალაქში ცხოვრებით ირჩენენ თავს, ხოლო ზაფხულში ისევ სოფლებს უბრუნდებიან მიწის დამუშავების მიზნით.

კვლევისას გამოყენებული იქნა კვლევის როგორც თვისობრივი, ისე რაოდენობრივი მეთოდები.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია მეტი ყურადღება გამახვილდეს ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტურისტულ პოტენციალის შესწავლასა და რეკლამირებაზე როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ევროპისა და აზიის სხვადასხვა ქვეყნებში, კერძოდ:

1. ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალი დაიყოს ორ ჯგუფად – სამლოცველო და ექსტრემალური დანიშნულების ტურისტულ ობიექტებად;
2. შემუშავდეს ტურისტული მარშრუტების ციფრული რუკები;
3. დამზადდეს ქართულ, რუსულ, ინგლისურ და თურქულ ენებზე სარეკლამო ბუკლეტები, ბანერები, ვიდეორგოლები ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მღვიმეების, გამოქვაბულების, ტაძრების, დედათა მონასტრების, კაცხის სვეტის და ა.შ. შესახებ;
4. სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებით მოხდეს ჭიათურის ტურისტული პოტენციალის რეკლამირება როგორც ტურისტების, ისე ინვესტორების მოზიდვის მიზნით;
5. ჭიათურის გამგეობამ ხელი შეუწყოს საოჯახო ტიპის სასტუმროების კეთილმოწყობას (თეთრეულით, ინტერნეტითა და ელექტროტექნიკით).

აღნიშნული აქტივობების განხორციელება ხელს შეუწყობს მოსახლეობის დასაქმებას, თუნდაც, საოჯახო ტიპის სასტუმროების დაარსებით ადგილობრივი ოჯახების ბაზაზე, გიდის ფუნქციის შესრულებით და სხვა.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმი, რეგიონი, ჭიათურა, წიაღისეული, დასაქმება, უმუშევრობა, გადინება.

ძირითადი ტექსტი

ჭიათურის მუნიციპალიტეტი — წარმოადგენს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს იმერეთის მხარეში. ჭიათურის მუნიციპალიტეტის რაიონულ ცენტრს წარმოადგენს ჭიათურა, რომელიც მდებარეობს ჭიათურის პლატოსა და მდინარე ყვირილის ვიწრო ხეობაში, ზღვის დონიდან 350–500 მეტრზე, გომი–საჩხერე–ზესტაფონის საავტომობილო გზაზე თბილისიდან 220 კილომეტრის დაშორებით. ჭიათურას ლამაზი და მიმზიდველი ადგილმდებარეობა გააჩნია, რადგანაც მისი ცენტრალური დასახლება მდინარე ყვირილის ორივე ნაპირზეა და თითქმის ყველა მხრიდან მაღალი, ციცაბო კლდეებით შემოსაზღვრული ქვაბულშია მოქცეულია. ქალაქს საფუძველი ჩაეყარა 1879 წელს, როცა აკაკი წერეთლის ინიციატივით დაიწყო მანგანუმის მადნის მოპოვება და დღემდე ჭიათურა "შავი ოქროს მომპოვებელ ქალაქად" არის ცნობილი. თუმცა, იქამდე, XIX საუკუნის 50-იან წლებში იმერეთში

ქვანახშირისა და რკინის საბადოების შესასწავლად გერმანელი აკადემიკოსი ჰერმან აბიხი ჩამოსულა. ჭიათურის სოფელ ნავარძელში მისთვის გლეხებს მარგანეცის საბადოს ნიმუშები უჩვენებიათ. აბიხმა საბადოს მეცნიერული შესწავლა დაიწყო და საბადოს მოკლე აღწერა მეფისნაცვლის კანცელარიაშიც შეიტანა. მიუხედავად ამისა, იმ პერიოდში საბადოს გამოკვლევით არავინ დაინტერესებულა.

1879 წლის ბოლოსვე მადნის მოპოვებაზე მუშაობა აკაკი წერეთელმაც მიატოვა, თუმცა XIX საუკუნის 80-იან წლებში მაგანუმის მრეწველობის განვითარების ტემპი გაძლიერდა. 1895 წელს შორაპან-ჭიათურას შორის "შავი ოქროთი" დატვირთული პირველი მატარებელი გამოჩნდა. მაგრამ მთავრობამ რკინიგზაზე მაღალი ტარიფები დააწესა, შესაბამისად, ურმებითა და აქლემებით მადნის გადაზიდვა კვლავ დიდ ხანს გრძელდებოდა.

ჭიათურის მუნიციპალიტეტი მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით, კერძოდ:

- მანგანუმი - ჭიათურა, მერევი, კალაური, შუქრუთი, ზედა რგანი, თაბაგრები, ხალიფაური
- მინერალური წყლები - მელუშეეთი, ზოდი
- მარმარილო - მოხოროთუბანი, სალიეთი, ჯოყოეთი
- ქვა - ქვედა ბერეთისა
- კვარციანი ქვიშა - ჭიათურა, დარკვეთი, კაცხი, შუქრუთი, ზედა რგანი[1]

დღემდე მხოლოდ წიაღისეულის მოპოვება კვებავს ჭიათურის მუნიციპალიტეტის ეკონომიკას, მაგრამ ფაქტია, რომ აღნიშნული საწარმოები ვერ მუშაობენ იმ დატვირთვით როგორადაც ყოფილ საბჭოთა კავშირში. გამომდინარე აქედან, დასაქმების სფეროს დეფიციტის გამო, ბოლო წლებში, ხშირია მოსახლეობის გადინება ან დედაქალაქისკენ ან ევროპის რომელიმე ქვეყანაში, 2015 წლის მონაცემებით ჭიათურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა შეადგენს 46 680 კაცს, აქრდან 298 ადამიანი საზღვარგარეთ არის წასული სამუშაოდ, ხოლო დედაქალაქისკენ გადინების სტატისტიკური მონაცემების დადგენა საკმაოდ ძნელია, რადგანაც სეზუნურ გადინებას აქვს ადგილი – ზამთარში დედაქალაქში ცხოვრებით ირჩენენ თავს, ხოლო ზაფხულში ისევ სოფლებს უბრუნდებიან მიწის დამუშავების მიზნით.

გარდა ამისა, ჭიათურის მუნიციპალიტეტის მიდამოები მჭიდროდ დასახლებული მხარეა. არქეოლოგიური გათხრები ადასტურებენ, რომ მოსახლეობა აქ ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე გაჩნდა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რამდენიმე არქეოლოგიური ძეგლია აღმოჩენილი, მათ შორის: სამგლე კლდე, სამელე კლდე, სამერცხლე კლდე, ხერგულის კლდე, დარკვეთის ეხი, კაჟნარი, ნიგოზეთის მღვიმე, ბეხნარი, კაჟები, მღვიმევის მღვიმე, თარო კლდე, ასევე მღვიმეები პერევისაში, ხალიფაურში, სვერში

გამოქვაბულები მიეკუთვნებიან მუსტიესა და აშელის კულტურებს, პალეოლითის, ბრინჯაოსა და ნეოლითის ხანებს.

ამასთან, ჭიათურის მუნიციპალიტეტი მდიდარია ბუნებრივი ძეგლებით, რომელთაც წიაღისეულის მოპოვებასთან და გადამუშავებასთან შედარებით, ყოველთვის ნაკლები ყურადღერბა ექცეოდა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბუნების ძეგლია **კაცხის სვეტი,** რომელიც კირქვის სვეტისებრი დენუდაციური „მოწმე" — შთენილი კლდე ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ კაცხში მდებარეობს, მდინარეების კაცხურისა (ყვირილის მარჯვენა შენაკადი) და ღვითორის (ბუჯის მარცხენა შენაკადი) წყალგამყოფზე.

სვეტის სიმაღლე 40 მეტრია. ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ კაცხის სვეტი თავდაპირველად მონოფიზიტ განდეგილთა სამყოფელს წარმოადგენდა, თუმცა ეს მოსაზრება საყოველთაოდ არაა გაზიარებული, სათანადო არგუმენტაციის არქონის გამო. სვეტის ზედა ბაქანზე დგას ორი მცირე ზომის ეკლესია (დღეისათვის ისინი ნანგრევების სახითაა შემორჩენილი). ასეთ ადგილებში სამლოცველოების აგებას მკვლევრები უკავშირებენ მესვეტეობას, რომელიც VI საუკუნეში გავრცელებული იყო წინა აზიასა და, უპირველეს ყოვლისა, სირიაში, რომელთანაც ქრისტიანულ საქართველოს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა. ერთი ეკლესია (V ს.) მშრალადაა ნაშენი ადგილობრივად მოპოვებული, უხეშად დამუშავებული ქვით, აფსიდი კლდეშია გამოკვეთილი. მეორე (VI ს.) ნაგებია ქვემოდან აზიდული კარგად გათლილი კვადრებით, აქვს კრიპტა (ქვედა სართული — სამარხი). არავინ იცის ზუსტად როდის შეწყდა

რელიგიური ცხოვრება კაცხის სვეტზე, მაგრამ ვახუშტი ბატონიშვილის დროს აქ ბერები აღარ მოღვაწეობდნენ.

კაცხის სვეტის არქიტექტურული ძეგლები 1944 წელს ალექსანდრე ჯაფარიძის ხელმძღვანელობით მთასვლელთა ჯგუფმა ინახულა. ბოლო პერიოდამდე კაცხის სვეტზე ასვლა, ალპინისტური აღჭურვილობის გარეშე, შეუძლებელი იყო.

2007 წლიდან კულტურული მემკვიდრეობის დაცვის და გადარჩენის ფონდის დაფინანსებით დაიწყო სვეტზე არსებული ნაგებობების სარეაბილიტაციო სამუშაოები. დღეისათვის კაცხის სვეტზე ასვლა შესაძლებელია ყველა მსურველისთვის. აღდგენილია სვეტის ძირში და თავზე არსებული სამლოცველოები, რაც სვეტზე ამჟამად მოღვაწე ბერი მაქსიმეს დამსახურებაა.

2007 წელს კაცხის სვეტზე არსებულ ნანგრევებში მამა მაქსიმემ აღმოაჩინა კირქვის მცირე ქვათლილი (ზომები 41X21 სმ), რომელზეც ათსტრიქონიანი ქართული ასომთავრული წარწერაა ამოკაწრული. წარწერა პალეოგრაფიული ნიშნებით XIII საუკუნით თარიღდება. წარწერაში მოხსენიებულია ვინმე ფრიად ცოდვილი გიორგი, რომელსაც „სამი სახლაკი“ აუშენებია „ძელი ცხოვრებაზე“ — ანუ სვეტის თავზე დამკვიდრებულ დაყუდებულთათვის.

კაცხის სვეტის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი წერდა: "[კაცხის] ციხის აღმოსავლეთით არს კლდე ხრამსა შინა ამოყვანილი ვითარცა სუეტი, ფრიად მაღალი მის კლდის თხემზე არს ეკლესია, არამედ ვეღარარა აღავლის კაცი, არც უწყიან ხელოვნება აღსვლისა".

ამჟამად სვეტის მიმდებარე ტერიტორიაზე დაგეგმლილია მუნიციპალური განვითარების ფონდის დახმარებით ტურისტული ინფრასტრუქტურული ბაზის მოწყობა. პროექტი ითვალისწინებს ჩამოსული ვიზიტორებისთვის ავტოსადგომების, კაფეების და და მოსასვენებლების მოწყობას . პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები უნდა დასრულდეს მომავალი წლის ზაფხულში.

ჭიათურის მუნიციპალიტეტი, ასევე, მდიდარია მღვიმეებითა და გამოქვაბულებით:

- რელიგიური მნიშვნელობის ისტორიული ძეგლები: კაცხის ტაძარი, მღვიმევის მონასტერი, პერევისის წმინდა გიორგის ეკლესია, ულახელოს მთავარანგელოზის ეკლესია, რგანის წმინდა გიორგის ეკლესია. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ასევე შემორჩენილია ეკლესიები ზედუბანში, ნავარძეთში, მეჩხეთურში, ზედა ბერეთისაში, სვერში.
- საერო ისტორიული ძეგლები: ნავარძეთის ციხე, კაცხის ციხე, სვერის ციხე, დიდველის ციხე, ციხე-დარბაზი ხრეითში და კარიანთ კლდე (ექსტრემალური ტურიზმის განვითარებისათვის ყველაზე ხელსაყრელი ადგილი)

საინტერესოა **მღვიმევის დედათა მონასტერი** — მონასტერი მდინარე ყვირილის ხეობაში, ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მღვიმევის მახლობლად.

მონასტერში მოხვედრა ჭიათურიდან უფრო ადვილადაა შესაძლებელი. ჭიათურიდან მონასტერში მიდის ვიწრო და საკმაოდ გრძელი კიბე, რომლის გავლის შემდეგაც შესაძლებელია გვირაბში შესვლა. გვირაბი ხელოვნურადაა გაყვანილი, საკმაოდ გრძელია და მისი გადახურვა შემაგრებულია საყრდენი თაღებით.

სამონასტრო კომპლექსი მრავალი ნაგებობისაგან შედგება. მთავარი ტაძარი მაცხოვრის სახელობისაა. ის წამოადგენს ორნავიან ბაზილიკას, რომლის ნავებიც ერთმანეთისაგან მასიურ სვეტებზე დაყრდნობილი თაღებითაა გამოყოფილი. ნაგებობის ფასადი შემკულია ძალზედ მდიდრული ჩუქურთმებით. აქ გვხვდება: სარკმლის გარშემო შესრულებული ჩუქურთმები, მონუმენტური ჯვრები, ერთმანეთზე გადაბმული რომბები, კარნიზის ჩუქურთმები და სხვ. მაცხოვრის ტაძრის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობა ხის კანკელია, რომელიც მთლიანადაა მოხატული. კანკელის კარი შემკულია ჭედური ფირფიტებით, ხოლო მის ზედა ნაწილში განლაგებულია მაცხოვრისა და თორმეტი მოციქულის კომპოზიცია, მისი (მაცხოვრის) ცხოვრების სხვადასხვა ეპიზოდები. ტაძარში შემორჩენილია კედლის ფრესკული მხატვრობაც, მათ შორის XIII საუკუნეში ამ მონასტრის დამაარსებლის, რატი რაჭის ერისთავის, მისი მეუღლისა და ძმის, ნიანია კახაბერისძის პორტრეტები. ცენტრალური ტაძრის უკან მდებარეობს მღვიმევის მღვიმე, სადაც დიდ დღესასწაულებზე წირვა ტარდება.

მონასტრის კიდევ ერთი ღირსშესანიშნაობა მცირე ზომის დარბაზული ეკლესიაა. მისი ჭერი და დასავლეთის კედელი ბუნებრივი კლდეა. ამ ეკლესიის აღმოსავლეთ კედელზე გამოკვეთილია ვერძის თავის ბარელიეფი, ხოლო სამხრეთის კედლის გარეთა მხარეს გვხვდება ფრესკული მხატვრობა. მონასტრის სხვა არქიტექტურული ნაგებობია: **სამრეკლო და მონაზონთა სენაკები.** მღვიმევის მონასტერში ინახებოდა უნიკალური ჭედური ხატები და ხეზე კვეთის ბრწყინვალე ნიმუში, ვაზის კარი. დღეისათვის ეს ნაკეთობები საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ფონდებშია დაცული. მღიმევის მონასტერი თავისი მდებარეობით ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ძეგლია საქართველოში.

ჭიათურის მუნიციპალიტეტის დასახლებულ პუნქტებში შესაძლებელია რამდენიმე საინტერესო ექსტრემალური ტურისტული მარშრუტის მოწყობა, როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ვიზიტორებისათვის. ბუნებრივი და ისტორიულ-არქტიტექტურული ძეგლების ექსტრემალური გეოგრაფიული მდებარეობის შეფასების საფუძველზე დამუშავებული იქნა რამდენიმე ტურისტული მარშრუტი, როგორც თითოეული ტერიტორიული მართვის ორგანოს, აგრეთვე მუნიციპალიტეტის ფარგლებში. ცალკე გამოიყო ძირითადი მარშრუტი, რომელსაც განსაკუთრებული პუპულარიზაცია ჩაუტარდება. ჭიათურის მუნიციპალიტეტისათვის დამახასიათებელი განსაკუთრებული სტუმართმასპინძლობის ტრადიციები კარგ პირობას ქმნის ამ რეგიონში ექსტრემალური ტურიზმის მოყვარულთათვის.

ტურისტმა შეიძლება მოინახულოს ექსტრემალური მდებარეობით გამორჩეული მღვიმეები, რომლებიც ერთმანეთან ახლოს მდებარეობენ, ქალაქ ჭიათურიდან დაახლოებით 10-15 კმ მოშორებით მდებარეობენ და თბილისიდან მანძილი დაახლოებით 200 კმ-ია.

სოფელი სვერი მდებარეობს ჭიათურის პლატოზე საძალიხევის მარცხენა მხარეს. ჩრდილოეთით მას ესაზღვრება საძალიხევის ხეობა. სამხრეთით - სოფელი ტყემლოვანა, აღმოსავლეთით - მდ. საძალიხევის ხეობა და ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში სოფელი გუნდაეთი, აგრეთვე სოფელი ნიგოზეთი. სოფელი სვერი ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ საშუალოდ 4-5 კმ-ზე, ხოლო დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ 3,5-4 კმ-ზე ვრცელდება. სოფლის ყველაზე დაბალი ადგილია, უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, მდ. საძალიხევის ხეობა სოფ. პერევისისა და სოფ. ცხრუკვეთის საზღვართან, სიმაღლე 420 მ. ზ. დ. ხოლო მაქსიმალური სიმაღლე 766 მ. უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, მდ. საკანაპურას, მდ. ხელმოსმულას და მდ. მლაშეღელეს წყალგამყოფ სერზე.

სვერის ისტორიული ძეგლებიდან აღსანიშნავია სვერის ციხე, რომრლიც არაბების VII საუკუნის შემოსევის პერიოდს მიეკუთვნება და მდინარე საძალიხევის პირასაა აგებული. ციხის მშენებლობის სტილი და ადგილმდებარეობა გვიჩვენებს, რომ მას მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ლიხ-იმერეთ-ქართლის თავდაცვის საქმეში. ეს ციხე იმ გზას დარაჯობდა, რომელიც აღმოსავლეთიდან დასავლეთ საქართველოში შემოდიოდა ჭერათხევზე, ულევზე და შორაპანზე გავლით. ამიტომ სკანდის, ჩხარის და შორაპნის ციხესთან ერთად, იგი სასაზღვრო ციხედ ითვლებოდა დასავლეთ საქართველოსათვის. წერილობით წყაროებში სვერის ციხე პირველად XI საუკუნეში მოიხსენიება. 1068 წელს სპარსეთის შაჰი ალფარსლანი შემოესია ქართლს, ააოხრა იგი. შემდეგ სპარსეთის დამსჯელი რაზმი გადმოსულა არგვეთს, ..სადაც მიუწიეს და დაარბიეს ვიდრე სვერის ციხემდეო_ გადმოგვცემს მემატიანე. სვერის ციხე განსაკუთრებით გვიან გაძლიერებულა. მკვლევართა აზრით, იგი ადრინდელი ფეოდალური ხანის ციხეა. თარიღად მიიჩნევენ 735 წელს (ვახუშტი ბაგრატიონი, XVIII ს.) 1590 წელს სვერის ციხე ქართლის მეფემ - სიმონ I-მა დაიკავა. 1661 წლს იმერეთში ლაშქრობისას ქართლის მეფე - ალექსანდრე V დაეუფლა. 2 წლის შემდეგ აბაშიძეებმა დაიბრუნეს. ხრესილის ბრძოლის (1763 წელს) შემდეგ ციხესიმაგრე ემორჩილებოდა იმერეთის სამეფოს. 1763 წელს ციხე ოსმალებმა აიღეს და დაანგრიეს. იმერეთის აჯანყების (1801 წ.) დროს ციხე რუსეთის ჯარმა დაიკავაEდა ციხე დაანგრიეს მთავარმართებელ ტორმასოვის ბრძანებით. ამის შემდეგ სვერის ციხესიმაგრემ დაკარგა ადრინდელი მნიშვნელობა.

კოტიასკლდის (სვერის ქვაბკარის) მღვიმე – სოფ სვერიდან 1.5 – 2 კმ მანძილზე, მდ. საძალიხევის აუზში. გამომუშავებლია ზედაცარცულ კირქვებში, მღვიმე იწყება გადმოხურული კარნიზით (სიმაღლე 5 მ, სიგანე 15 მ), ჭერის სიმაღლე 10 მ-ის შემდეგ 1,5 მ-დე მცირდება და სიღრუვე გვირაბის ფორმას იძენს.

მღვიმეში გამოიყოფა მომცრო დარბაზები, განშტოები, მოკლე საფეხურები, ძაბრები, ჭები. ეს უკანასკნელი დროებითი ნაკადების შემოსვლის ადგილებშია გაჩენილი. შესასვლელიდან 100 მეტრზე მღვიმე 2,5-მ-მდე ვიწროვდება, ხოლო ჭერის სიმაღლე 8-9 მ-მდე მატულობს. 135-ე მეტრზე გვირაბი კიდევ უფრო ვიწროვდება და 10 მ სიღრმის ჭას აწყდება. ჭის მიღმა, დაბალი (20-25 სმ) და კალციტის ფორმებით გამოჭედილი ვიწრო გასასვლელის შემდეგ, მღვიმე 15-20 მ-ით გრძელდება. მღვიმის აბსოლუტური სიმაღლე 640 მ. ზღვის დონიდან, ხოლო მდინარის დონიდან 50 მეტრია, სიღრმე 280 მეტრამდეა, სიგანე 1-10 მ, ფსკერის ფართობი 1890 მ2, საერთო მოცულობა 10400 მ3.

ქიმიური ნალექები 10 მეტრიანი ჭის მიღმა დერეფანში უხვად არის შემორჩენილი; მექანიკურიდან _ ნგრევის ადგილობრივი კირქვის ნამსხვრევები, გვხვდება თიხის ნაფენები, შესასვლელთან ჰაერის ტემპერატურა 20.50. შეფარდებითი სინოტივე – 36% იყო, სიღრმეში 140 მეტრზე კი 9,80 და 97% _ შესაბამისად. მღვიმის ბოლო მონაკვეთში შემოდის 4ლ/წმ დებიტის მქონე ნაკადი და მუხლისებური განშტოების ფსკერზე ნაპრალში იკარგება. ბინადრობენ ობობები, მწერები, რგოლოვანი ჭიები, ადვილი გასასვლელია, გამოკვლეულია გეოგრაფიის ინსტიტუტის სპელეოექსპედიციის (ზ. ტატაშიძე, კ. წიქარიშვილი, ო. ერქომაიშვილი) მიერ 1957 და 1976 წელს.

ორთვალაკლდის (წილთოს III) მღვიმე _ სოფ. პერევისის მიდამოები, მდ. საძალიხევის აუზი, მდინარე წილთოს მარჯვენა ფერდობზე გამომუშავებულია ზედაცარცულ კირქვებში, მღვიმე ორი შესასვლელი გააჩნია, რომლებიც უსახელო მთის ციცაბო ფერდობზე, ერთმანეთისაგან 30 მ-ის მოშორებით მდებარეობენ. აღმოსავლური განშტოება შესასვლელიდან 65-ე მეტრზე დასავლეთიდან შემომავალ გვირაბს უერთდება, ფსკერი თანდატანობით დახრილად მიემართება და გვირაბი 10 მ-მდე ფართოვდება. ბოლოში 40 მ სიგრძის, 6-7 მ სიგანის და 7-8 მ სიმაღლის დარბაზს ინვითარებს, რომელიც გამომშრალი თიხის ჰორიზონტული ფსკერით ხასიათდება. მღვიმის შესასვლელის სიმაღლე ზღვის დონიდან 530 მ, ხოლო მდინარის დონიდან 90 მ, ფსკერის ფართობი 800 მ2, საერთო მოცულობა 2400 მ3. ქიმიური ნალექებით ღარიბია; მექანიკურიდან _ ნგრევისა და გამოფიტვის ადგილობრივი და ზედაპირიდან ცამოტანილი მასალა (ღორღი, ლოდები), თიხის სქელი ნაფენები.მღვიმე მშრალია. ბოლო დარბაზში შემოჭრილი დროებითი ნაკადები. იქვე პონორებში იკარგება და ქვედა ჰორიზონტში პოულობს გამოსავალს. მღვიმეში ღამურათა რამდენიმე სახეობაა წარმოდგენილი. ისტორიული დროის ნაგებობა, წინა ორი დიდი გვირაბის კედლებს ეტყობა ხელოვნური დამუშავების კვალი, აღმოჩენილია ქვევრები და კერამიკის ნამტვრევები, მღვიმე ადვილი მისადგომია, გავლა ადვილია, გამოკვლეულია გეოგრაფიის ინსტიტუტის ექსპედიციის მიერ 1959 და 1990 წელს.

შვილობისას მღვიმე _ სოფ. ბუნიკაურის მიდამოებში, მდ. თაბაგრებისწყლის მარჯვენა ფერდობზე. გამომუშავებულია ზედაცარცულ, ლითოლოგიურად ერთგვაროვან ტურონ-სენონის ასაკის კირქვებში, სუბჰორიზონტული, წყლიანი, გვირაბის ტიპის გამჭოლი მღვიმე, რომელშიც აშკარად გამოიყოფა წინა, შედარებით მშრალი კალაპოტქვეშა და შორეული წყლიანი მონაკვეთები. ძირითადი დერეფანი ერთფეროვანია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ნაპრალების გადაკვეტის ადგილებში გამოყოფილ ცალკეულ დარბაზულ გაფართოებებ. მღვიმის შუა მონაკვეთში დერეფანი იმდენად ვიწროვდება, რომ გავლა მხოლოდ ფორთხვით არის შესაძლებელი. სიღრმეში იგი კიდევ უფრო ვიწროვდება და გაუვალი ხდება. მღვიმის წინა ნაწილში გამოიყოფა ,,მშრალი გვირაბი'', ,,როლისა'' და ,,გადასასვლელის მიღმა მდებარე დარბაზები'', უკანა ნაწილი ხვრელისებურია. კარგადაა გამოხატული მეანდრები და ეროზიული საფეხურები: გამოიყოფა ორი დონე და პატარა კანიონები. გვხვდება სტალაქტიდები, სტალაგმიტები, ფარდები, მოფარდაგებანი; ღვარების მიერ შემოტანილი მასალა, წმინდა მარცვლოვანი ალუვიონი. მღვიმის ბოლო ნაწილში საგრძნობია ჰაერის ნაკადის მოძრაობა. მიწისქვეშა ნაკადი გზადაგზა აჩენს წყლით სავსე ორმოებს, წვიმის დროს დონე მატულობს. მღვიმურ ნაკადს მოსახლეობა სასმელად იყენებს. მღვიმეში მოგზაურობა რთული არ არის მღვიმეში კარგად არის გამოხატული მეანდრები და ეროზიული საფეხურები. მღვიმის აბსოლუტური სიმაღლე ზღვის დონიდან 730 მ. მდინარე თაბაგრებისღელეს დონიდან 40 მ, ფსკერის ფართობი 1360 მ2, საერთო მოცულობა 3600 მ3. სიღრმე, საპროექტო სიგრძე 1000 მ, სიგანე 1-6 მ, ხოლო სიმაღლე 0,5-4 მეტრია, ქიმიურ ნალექებიდან გავრცელებულია სტალაქტიტები, სტალაგმიტები, კალციტის მოფარდაგებანი;

მექანიკურიდან ნგრევის ადგილობრივი და ღვარების მიერ შეტანილი მასალა, წმინდა მარცვლოვანი ალუვიონი. მღვიმის ნეოტრალურ ზონაში ჰაერის ტემპერატურა 12,30, გაედინება 7-10 ლ/წმ დებიტის მქონე ნაკადი, რომლის ტემპერატურა 11,5 –ია, გზადაგზა 1 მ სიღრმის ტბებსა და გუბურებს ინვითარებს. მღვიმეში ბინადრობენ ობობები, მწერები და სხვ. მღვიმე ადვილი გასავლელია, გამოკვლეულია ზ. ტატაშიძის, ერქომაიშვილის, კ. წიქარიშვილის მიერ 1975 წელს.

ყოველივე ამასთან ერთად ჭიათურისთვის „სავიზიტო ბარათს“ წარმოადგენს საბაგირო გზები, რომელიც ტრადიციული სატრასნპორტო საშუალებაა. ქალაქის სპეციფიკური რელიეფიდან გამომდინარე ტრანსპორტის ეს სახეობა ხშირ შემთხვევაში შეუცვლელია. საბაგირო გზით რამდენიმე ასეული მეტრით გადაადგილებით მივიღებთ ისეთ შედეგს რისთვისა ავტომობილით რამდენიმე კილომეტრის გავლაა საჭირო. ამდნად ტრანსპორტის ეს სახეობა ჭიათურის პირობებში მასობრივი გამოყენებისა იყო ტრადიციულად და მომავალშიც მასობრივი გამოყენების იქნება აუცილებლად, ვინაიდან ქალაქის რელიეფი სტატიკური მოცემულობაა, რომელიც ვერ შეიცვლება.

ქალაქ ჭიათურაში საბაგირო გზების დაპროექტება და აგება დაიწყო გასული საუკუნის 50_იან წლებში. პირველი კაპიტალური სამგზავრო საბაგირო გზა აშენდა 1953 წელს (ე.წ. ოცდახუთის საბაგირო), რომელიც ემსახურებოდა სტალინის სახელობის მაღაროს მუშებს და მაღაროს მიმდებარედ დასახლებულ მაცხოვრებლებს. მის შემდგომ წლებში ჭიათურაში საბაგირო გზების მშენებლობების ბუმი დაიწყო და 80–იანი წლების ბოლოს ჭიათურა საბჭოთა კავშირის მასშტაბით პირველ ადგილზე იყო საბაგირო გზების რაოდენობით და მათი საერთო რაოდენობა იყო 41. აქედან 21 იყო სახალხო და 20 იყო სატვირთო.

ამჟამად ფუნქციონირებს 24 საბაგირო გზა საიდანაც 9 არის სატვირთო ხოლო 15 სამგზავრო. მოქმედი საბაგირო გზების საერთო სიგრძე 12242 მეტრია. ამ მხრივ თუ შეიძლება ითქვას ჭიათურას ანალოგი არ ყავს მსოფლიოში და ტურისტული თვალსაზრისითაც მეტად საყურადგებო და საინტერესოს წარმოადგენს.

ამჟამად მთავრობის მხარდაჭერით და საფრანგეთის მთავრობის დახმარებით დაგეგმილია ოთხი მიმართულებით (ცენტრალური სადგურიდან -სანატორიუმი,ნაგუთის,ლეჟუბნის და მუხაძის) ნახევარსაუკუნოვანი საბაგირო გზების განახლება . ეს არის 13 მლ ევროს ღირებულების პროექტი თანამედროვე“ გონდოლებით“ აღჭურვილი , რომელსაც განახორციელებს ფრანგული კომპანია „პომაგალსკი“. ახალი საბაგირო გზები ექსპლუატაციაში შევა 2016 წლის შემოდგომაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ჭიათურა გამორჩეულია თავისი ისტორიულ- კულტურული, თუ ბუნებრივი სიმდიდრისა, რომელიც ტურისტულ პოტენციალს წარმოადგენს ჭიათურის მუნიციპალიტეტის რეალობაში, ტურისტების რაოდენობის სიმცირითა და კლებადობის ტენდენციით ხასიათდება: (იხ.ცხრილი N1)

ცხრილი N1. ვიზიტორთა რაოდენობა ჭიათურის მუნიციპალიტეტში (2011-2019) წწ

წელი	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
ვიზიტორთა რაოდენობა	295	285	215	174	185	197	215	173	242

ძირთადი მიგნებები და რეკომენდაციები:

მაშასადამე, კვლევამ აჩვენა, რომ ჭიათურის მუნიციპალიტეტი არ არის განებივრებული ტურისტების ნაკადით და არც დასაქმებულთა რიცხოვნობით, პირიქით – დღითიდღე იზრდება უმუშევართა რიცხოვნება, მხოლოდ "შავი ოქროს მიწისქვეშა ქალაქი" ვერ აკმაყოფილებს დასაქმების მაძიებელთა მოთხოვნებს, გარდა ამისა, ზამთრის პერიოდში მკაცრი კლიმატის გამო ნებისმიერი სოფლიდან "შავი ოქროს" მაღაროსკენ ტრანსპორტით გადაადგილებაც რთულია, ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია მეტი ყურადღება გამახვილდეს ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტურისტულ პოტენციალის შესწავლასა და რეკლამირებაზე როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ევროპისა და აზიის სხვადასხვა ქვეყნებში, კერძოდ:

1. ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალი დაიყოს ორ ჯგუფად –

სამლოცველო და ექსტრემალური დანიშნულების ტურისტულ ობიექტებად;

2. შემუშავდეს ტურისტული მარშრუტების ციფრული რუკები;
3. დამზადდეს ქართულ, რუსულ, ინგლისურ და თურქულ ენებზე სარეკლამო ბუკლეტები, ბანერები, ვიდეორგოლები ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მღვიმეების, გამოქვაბულების, ტაძრების, დედათა მონასტრების, კაცხის სვეტის და ა.შ. შესახებ;
4. სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებით მოხდეს ჭიათურის ტურისტული პოტენციალის რეკლამირება როგორც ტურისტების, ისე ინვესტორების მოზიდვის მიზნით;
5. ჭიათურის გამგეობამ ხელი შეუწყოს საოჯახო ტიპის სასტუმროების კეთილმოწყობას (თეთრეულით, ინტერნეტითა და ელექტროტექნიკით).

აღნიშნული აქტივობების განხორციელება ხელს შეუწყობს მოსახლეობის დასაქმებას, თუნდაც, საოჯახო ტიპის სასტუმროების დაარსებით ადგილობრივი ოჯახების ბაზაზე, გიდის ფუნქციის შესრულებით და სხვა.

გამოყენებითი ლიტერატურა:

1. 1.ჭიათურის მუნიციპალიტეტი ... https://ka.wikipedia.org › wiki › ჭიათურის_მუნიციპ...
2. ტურიზმი - ჭიათურის ... https://chiatura.gov.ge › turizmi
3. 3.http://topnews.com.ge › news

Problems and perspectives of tourism development in Chiatura municipality

Sulkhan Makhatadze, PhD student
Georgian Technical University

Summary

To date, only mining has fed the economy of Chiatura Municipality, but the fact is that these enterprises are unable to operate at the same load as in the former Soviet Union. Due to the shortage of employment, in recent years, the outflow of population is frequent either to the capital or to any European country, according to 2015 data, the population of Chiatura municipality is 46,680 people, of which 298 people have gone abroad to work and it is quite difficult to estimate the outflow statistics to the capital, as seasonal outflows take place - they work in the capital in winter and return to the countryside in summer to cultivate the land.

Both qualitative and quantitative research methods were used in the research.

We consider it advisable to pay more attention to the study and advertising of the tourism potential of Chiatura Municipality both within the country and in different countries of Europe and Asia, in particular:

1. The tourism potential of Chiatura Municipality should be divided into two groups - chapels and extreme tourist facilities.

2. Develop digital maps of tourist routes.

3. Prepare advertising booklets, banners, videos about the caves, temples, nunneries, Katskhi column, etc. located on Chiatura Municipality territory. in Georgian, Russian, English and Turkish languages.

4. Advertise the tourism potential of Chiatura through various media to attract both tourists and investors.

5. The Board of Chiatura to support the improvement of family-type hotels (with linen, internet, and electrical appliances).

The implementation of these activities will facilitate the employment of the population, even by establishing family-type hotels based on local families, acting as a guide, and more.

Keywords: Tourism, Region, Chiatura, Minerals, Employment, Unemployment, Outflow.

საუკეთესო პრაქტიკა არაფორმალური პროფესიული განათლების სისტემაში

ჩაჩავა ნინო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

სულაშვილი მალხაზ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მოწვეული ასოცირებული პროფესორი

ნაჰრენდორფი გუდრუნ
ლანდშაფტის დიზაინერი, გერმანია

მეიშვილი გიორგი
ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი

ნეფარიძე ირინე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

თავდუმაძე ნინო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ქვეყნის ეკონომიკის ინოვაციურ-ტექნოლოგიური განვითარებიდან გამომდინარე სულ უფრო აქტუალური ხდება პროფესიული არაფორმალური და ინფორმალური განათლების დანერგვისა და განვითარების საკითხების შესწავლა და აპრობირება, (1,2)

სტუმარმასპინძლობის ინდუსტრიაში ბაზრის სოციო-ეკონომიკური და ეკოლოგიური მოთხოვნებიდან გამომდინარე EcoMode პროექტის ფარგლებში უწყვეტი განათლების პრინციპებზე დაყრდნობით არაფორმალური და ინფორმალური განათლების ფორმატში შემუშავდა შესაბამისი სასწავლო საგანმანათლებლო პროგრამა და დაისახა მისი განხორციელების EcoMode სტრატეგია.

სტატიაში განხილულია ეკომოდ, ერასმუს პლუს პროექტის მაგალითზე საუკეთესო პრაქტიკების მეთოდოლოგიური საფუძვლები და მათი მნიშვნელობა მცირე და საშუალო საწარმოების ეკო-ინოვაციური ბიზნეს მოდელის ხელშემწყობი სასწავლო პროგრამების განვითარებაში.

საკვანძო სიტყვები: მცირე და საშუალო საწარმოები, ბიზნესის მდგრადი განვითარება, ტრენინ-პროგრამა, სუკეთესო პრაქტიკები, კომპეტენციების რუკა.

ძირითადი ტექსტი

მსოფლიოში მიმდინარე საინფორმაციო-ტექნლოგიური პროცესების სწრაფმა ზრდამ, გამოიწვია ფართო მასების ჩართულობა ბიზნესისა და მასთან დაკავშირებულ საწარმოო ინოვაციებში. პროფე-სიული განვითარებით დაინტერესებული საზოგადოება უფრო მეტად მიმართავს თვითგამოვლენის, თვითშეფასებისა და თვით განათლების რესურსებს. ამ გარემოებამ განაპირობა უწყვეტი განათლების სფეროში პროფესიულ ფორმალური, არაფორმალური და ინფორმალური კომპლექსური სწავლების მეთოდების გააქტიურება (1,2).

სტატიაში განხილულია ევროკავშირის Erasmus Plus EcoMode პროექტის ფარგლებში საუკეთესო პრაქტიკების შესწავლის მეთოდოლოგია, მისი დანერგვის სახეები პროფესიული განათლების სფეროში.(3)

ეკომოდ პროექტით შემუშავებული პროგრამა განეკუთვნება უწყვეტი განათლების ფორმატს და არის მცირე და საშუალო საწარმოების ბიზნესის ეკო-ინოვაციურ, მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაფუძნებული სასწავლო კურსი, რომელიც შედგება რვა დამოუკიდებელი მოდულისგან.

პროექტში ჩართული პარტნიორი ქვეყნების მიერ (ავსტრია, უნგრეთი, იტალია, საქართველო და თურქეთი) სტუმარმასპინძლობის ინდუსტრიის 12 ეკო-ინოვაციური ბიზნესმოდელით გამორჩეული კომპანია იქნა შესწავლილი, გამოიკვეთა მისი წამყვანი სპეციალისტების მუშაობის პრინციპები, მათი

თეორიულ-პრაქტიკული ცოდნის ძირითადი ასპექტები, უნარ-ჩვევები და კომპეტენციები.

ეს მონაცემები სისტემაში იქნა მოყვანილი ინტერაქტიული კომპეტენციების რუკის საშუალებით, რომელიც საუკეთესო პრაქტიკებისა და პროფესიული განათლების საკოორდინაციო ღერძების მქონე მცირე და საშუალო საწარმოების ბიზნეს მოდელის მდგრადი განვითარების მაპროექცირებელ სიბრტყედ იქნა წარმოადგენილი (4).

საუკეთესო პრაქტიკის სახით პროექტის ფარგლებში გამოკვლეული იყო ევროპაში გარემოსდაცვითი მიმართულებით სერტიფიცირებული წარმატებული რამდენიმე ორგანიზაცია. ასეთი ტიპის პრაქტიკების გამოყენება განაპირობებს საგანმანათლებლო პროგრამის საერთაშორისო სტანდარტებსა და რეკომენდაციებთან თანხვედრას.

თითოეული საუკეთესო პრაქტიკის მქონე კომპანია განსხვავებული იყო თავისი ეკო-ინოვაციური მიდგომით. მას შემუშავებული ჰქონდა სხვადასხვა ტიპის აქტივობა დაწყებული პროდუქტისა და მომსახურების სფეროთი დამთავრებული ტექნოლოგიური, მარკეტინგული თუ ორგანიზაციული ინოვაციებით და ეკოინოვაციური გადაწყვეტილებებით. ეკო-ინოვაციების ბიზნეს მოდელები ძირითადად ორიენტირებული იყო ენერგიის დაზოგვასა და ნარჩენების შემცირებაზე და ეხებოდა ტექნოლოგიურ ინოვაციებს ან პროდუქტის / მომსახურების ინოვაციას. ნაკლებად იყო წარმოდგენილი ორგანიზაციული და მარკეტინგული ინოვაციები. ჩატარებული ანალიზის შედეგად გამოჩნდა, რომ ყველა პარტნიორ ქვეყანაში ეკო-ინოვაციის მიმართულებით მრავალი სხვადასხვა ტიპის სამუშაოა ჯერ კიდევ ჩასატარებელი და საჭიროებს კომპლექსური მდგრადი განვითარების საგანმანათლებლო პროფესიული რესურსების დანერგვას.

ბაზრის მოთხოვნებისა და საჭიროებების ანალიზის შედეგად მიღებულ ინტელექტალურ შედეგებში გამოიკვეთა სამიზნე ჯგუფების ტიპები, საწარმოების მომგებიანი და შედარებით სუსტი მხარეები. ამ დასკვნების საფუძველზე პროექტისთვის შემუშავდა სასწავლო მეთოდოლოგიური EcoMode სტრატეგია, გამოიკვეთა პროფესიული და არაპროფესიული, ინფორმალური განათლების კომპონენტების მნიშვნელობა, რაც გამოიხატა თეორიულ-პრაქტიკული კონტენტის, ღია საგანმანათ-ლებლო პლატფორმისა და ცოდნის რევერსირების სათამაშო პლატფორმის შექმნის ერთობლიობაში.

სწორედ ამ ანალიზისა და დასკვნების საფუძველზე შემუშავდა სწავლების მეთოდოლოგიაც (5).

EcoMode პროექტის ფარგლებში გამოყენებული საუკეთესო პრაქტიკების შესწავლისას გამოკვლეული იყო სტუმარმასპინძლობის მცირე და საშუალო ბიზნესის ეკო-ინოვაციური მოდელის განვითარების, ამ კონკრეტული შემთხვევისთვის ხელშემწყობი გარე და შიდა ფაქტორები.

სწორედ ამიტომ საუკეთესო პრაქტიკების შერჩევა ასევე მნიშვნელოვან და კომპლექსურ პროცესს წარმოადგენს, რომელიც დაკავშირებულია შერჩევის კრიტერიუმებთან. ეს კრიტერიუმები სხვადასხვა დარგისთვის განსხვავებულია, თუმცა ძირითადი პრინციპებით ერთმანეთთან კვეთაშია და ამიტომ მათი განზოგადოებაც შესძლებელია.

პროექტის ფარგლებში საუკეთესო პრაქტიკების შერჩევისას გამოყენებული იყო შემდეგი კრიტერიუმები:

- პროფესიონალის, ლიდერის ან ბიზნესის გამოცდილებაზე დაფუძნებული პრიორი-ტეტები;
- თეორიულ მოთხოვნებზე დაფუძნებული პრიორიტეტები;
- საერთაშორისო სტანდარტებთან შედარებითი ანალიზის პრინციპი;
- ნომინაციები, როგორც წარმატების ინდიკატორები;
- გარემოს დაცვისა და ბიზნესის მდგრადი განვითარების მოთხოვნებიდან გამომდინარე პროფესიული უნარების ტრანსფორმაციის ანალიზის საფუძველზე პროექტის ფარგლებში შემუშავებული და გამოკვეთილი პრიორიტეტები.

საუკეთესო პრაქტიკები შეფასებული იქნა რისკების, ხელშემწყობი გარემოებებისა და შესაძლებ-ლობების შედარებითი ანალიზის საფუძველზე. მათ შორის არსებულ ბალანსი სხვადასხვა საუკეთესო პრაქტიკაში განსხვავებული იყო არსებული ბუნებრივი პირობების, პოლიტიკური და ბიზნეს გარემოდან გამომდინარე.

თუმცა ეკომოდის პროექტის შემთხვევაში მცირე და საშუალო ბიზნესის ეკო-ინოვაციური ბიზნეს მოდელის ყველა შესწავლილი მაგალითისთვის დამახასიათებელი იყო გარემოსდაცვითი და ენერგოეფექტურობის ფაქტორების კომპილაცია და პრიორიტეტულობა დარგობრივ მაჩვენებლებთან შედარებით.

შედეგები

საუკეთესო პრაქტიკების კვლევის შედეგად მივიღეთ

- ინტერაქტიული კომპეტენციების რუკა, მასზე დაფუძნებული საგანმანათლებლო პროდუქტი რვა მოდულის შემადგენლობით;
- საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც საბაზრო ეკონომიკური გარემოს პირობებში ხელს უწყობს ეკოლოგიის შენარჩუმნებასა და ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოებას;



- საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბაზრისა და პოლიტიკური გარემოს გარე და შიდა ფაქტორების დინამიკიდან გამომდინარე აუცილებელია საუკეთესო პრაქტიკების მეთოდოლოგიაზე დაფუძნებული ტრენინგ - პროგრამის პერმანენტული განახლება;
- სტუმარმასპინძლობის ინდუსტრიაში მცირე და საშუალო ბიზნესის საუკეთესო პრაქტიკებზე დაფუძნებული კომპეტენციების ინტერაქტიული რუკა განაპირობებს პროექტისა და პროგრამის პრაქტიკულ ღირებულებას;
- საუკეთესო პრაქტიკების მეთოდოლოგიაზე დაფუძნებული სასწავლო პროგრამები გამოირჩევიან დარგის სპეციალისტებთან მჭიდრო კავშირით და გამოირჩევიან მომხმარებლის, ბაზრის და საგანმანათლებლო სექტორის ინტერესების ჰარმონიული ურთიერთ-კავშირით;
- საუკეთესო პრაქტიკები შეფასებული იქნა რისკების, ხელშემწყობი გარემოებებისა და შესაძლებლობების შედარებითი ანალიზის საფუძველზე. მათ შორის არსებულ ბალანსი სხვადასხვა საუკეთესო პრაქტიკაში განსხვავებული იყო არსებული ბუნებრივი პირობების, პოლიტიკური და ბიზნეს გარემოდან გამომდინარე.

რეკომენდაციები

- საუკეთესო პრაქტიკების მეთოდოლოგია, ინტერაქტიული კომპეტენციების რუკა და მასზე დაფუძნებული სასწავლო კურსი ხელს უწყობს ერთიანი, მოქნილი, მდგრადობაზე ორიენტირებული ღია საგანმანათლებლო რესურსის შექმნას;
- საუკეთესო პრაქტიკების გამოსავლენი კრიტერიუმები შეირჩეს გარემოსდაცვითი, ეკოლოგიური და დარგობრივი ფაქტორების გათვალისწინებით.
- საბაზრო მოთხოვნებზე ორიენტირებული ეკო-ინოვაციური ბიზნეს გარემოს განვითარების ხელშემწყობი ტრენინგ-პროგრამები მომზადდეს საუკეთესო პრაქტიკების ანალიზის საფუძველზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. სამთავრობო პროგრამა თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა
2. http://gov.ge/files/68_63143_156281_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%902018-2020.pdf

3. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მექანიზმები. პაპაშვილი, ლელა . სამაგისტრო ნაშრომი 2019 ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
4. http://eco-mode-project.eu/?lang=ka
5. http://eco-mode-project.eu/wp-content/uploads/2021/01/ECOMODE-Competence-Map_final_GEO.pdf
6. http://eco-mode-project.eu/?page_id=721&lang=ka
7. http://eco-mode-project.eu/wp-content/uploads/2021/01/Training-course-plan-for-trainers-GTU-1.pdf

Best practices in non-formal vocational education

Nino Chachava
Associate Professor of Georgian Technical University,

Malkhaz Sulashvili
Associate Professor of Georgian Technical University

Gudrun Nahrendorf
Landscape Architect, Germany

Giorgi Meishvili
PhD Degree of Business Administration

Irine Neparidze
PhD student of Georgian Technical University

Nino Tavdumadze
PhD student of Georgian Technical University

Summary

Due to the innovative-technological development of the National economy, it is becoming more and more important to study and approve the issues of introduction and development of non-formal and informal vocational education, (1,2).

Based on the socio-economic and environmental demands of the market in the hospitality industry, the EcoMode project has developed an appropriate curriculum in the format of non-formal and informal education and outlined the EcoMode strategy for its implementation.

The article present and discusses the methodological bases of the best practices on the example of Erasmus Plus EcoMode project and its importance in the development of training programs promoting the eco-innovative business model of SMEs.

Keywords: SMEs, Sustainable Business Development, Training Program, Best Practices, Competence Map.